

გიორგი გომელაშვილი

ქართული-  
ენა  
შემკული და  
კურთხეული

**ჩემო მკითხველო,**

ერთხელ მკითხეს (უყვართ ჟურნალისტებს ამგვარი შეკითხვები), თავიდან რომ იწყებდე ცხოვრებას, რა გზას აირჩევდიო.

ვუპასუხე: ვეცდებოდი, უკეთესად მესწავლა ქართული; მეტი სამსახური გამეჩნია დედაენისათვის-მეთქი... მაგრამ მერე ვთხოვე, ეს კითხვა პასუხიანად ამოელო - არ დამიჯერებენ, დღეს არაა პოპულარული დედაენა და მისი სამსახური-მეთქი...

არადა, მერნმუნეთ, გელწრფელად ვუპასუხე...

მჯერა: არ არსებობს უფრო დიდი ბედნიერება (ტვირთიც და პასუხისმგებლობაც), ვიდრე ის, რომ ქართველი კაცი ქართველს ქართულ ენას ასწავლიდეს!

ღმერთმა მარგუნა ეს ბედნიერება...

მნამს: ქართველი კაცისათვის არ არსებობს უფრო დიდი ბედნიერება (ტვირთიც და პასუხისმგებლობაც), ვიდრე ის, რომ თავს თვლიდე ქართული ენის ქომაგად და მოჭირნახულედ!

ვფიქრობ, ეს ბედნიერებაც მარგუნა ღმერთმა...

ოტია იოსელიანმა თქვა: საიდანაც ქარი მოუბერავს, დედაენას იქიდან უნდა ჩამოეფაროო.

ძალიან მინდა, ვიფიქრო, რომ ცოტათი მაინც ვახერხებ ამას...

ვნატრობ, ჩემო მკითხველო, მეც, შენც და სხვამაც - ყველა ქართველმა - იმ პრინციპით ვიცხოვროთ, ილიამ რომ გვიანდერძა:

„სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ

ფ. 119.80X  
3

საქმე 119.80X  
3

მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება. თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას? სხვისა არა ვიცით და ჩვენ-კი მშობელ მამასაც არ დაუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მინასთან გასწორებას. ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს... ჩვენის მხრივ ამას კი ვიტყვით, რომ ჩვენი ქართული ენა ისე გვიყვარს, რომ ჯერ ვეცდებით, რომ მის წინააღმდეგად არ მოვიქცეთ და, თუ ღმერთი გაგვიწყნრება და უხერხოდ მოგვივა რამე, მის შენიშვნას სიხარულით და მადლობით მივიღებთ”.

ღმერთი იყოს ქართველი ხალხისა და ქართული ენის შემნე!



. . .

### I ათასწლეულის მიწურული:

**გიორგი მერჩულე:** „ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღი-  
რაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შე-  
ინირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“.

### II ათასწლეულის მიწურული:

საქართველოს ყოველ კუთხეში ქართულითა ენითა  
ჟამი აღარ შეინირვის და ლოცვაჲ აღარ აღესრულებს...

### რა გველის III ათასწლეულში?

ჟურნალი „ბურჯი ეროვნებისა“

№12, 2000 წ.

\* \* \*

მესამე ათასწლეულის კარიბჭესთან ვდგავართ.

მეორე ათასწლეულის უკანასკნელი წელი იკრეფს ძალას.

მესამე ათასწლეულის კარიბჭესთან ვდგავართ და იმედით გავყურებთ მომავალს...

ცოტაც და ისტორიას ჩაბარდება მეორე ათასწლეული; ათასწლეული, რომელიც საქართველოს გამთლიანებით, გაძლიერებით, აღმასვლით დაიწყო...

დიდი დავით აღმაშენებელი მოვევლინა საქართველოს ათასწლეულის დასაწყისში – ყველა დროის ყველაზე დიდი ქართველი!...

ყველა დროს ყველაზე დიდი ქართველი – ასეთი შეფასება ილია ჭავჭავაძესაც მიეცა. ილია ჭავჭავაძეს, რომელიც ათასწლეულის დასასრულს მოვევლინა საქართველოს და თითქმის საუკუნე-ნახევარი განსაზღვრავს ქართული ეროვნული სულის განვითარებას, ასაზრდოებს, კვებავს მას!...

დავით აღმაშენებელი და ილია ჭავჭავაძე – ყველა დროის ყველაზე დიდი ქართველები; დასაწყისი და დასასრული II ათასწლეულისა.

დიდი ილია სენეკას სიტყვებს მოიშველიებდა, როცა დავით აღმაშენებელზე ფიქრობდა: „ჩვენთვის, ადამიანებისათვის, საჭიროა იმისთანა კაცი, რომ მის მიხედვით და მისი მაგალითით შევიძლოთ საკუთარი ხასიათის განვრთნა და განმტკიცება. ოჰ, რა ბედნიერია იგი, ვინც არამც თუ ჩვენთან ყოფნით გვნვრთნის ჩვენ, არამედ მართო თავისი სახელის ხსენებითაცო“. ასეთ კაცად დავით აღმაშენელი ეგულებოდა ილია ჭავჭავაძეს... ასეთ კაცად ილია გვეგულება ჩვენ, რა თქმა უნდა, დავით აღმაშენებელთან ერთად: თავი და ბოლო მეორე ათასწლეულისა!...

რამდენადაც მეორე ათასწლეულის დასაწყისსა და დასასრულს ღვთის ნყალობად მოგვევლინენ ქართველთა შორის უპირველესნი, იმედის თვალთ უნდა ვუყუროთ მესამე ათასწლეულის დასაწყისს – ილიას გზის გაგრძელებას, ილიას იდეების აღორძინებას, ილიას საქმეების აღმასვლას. მოკლედ – ილიას საქართველოს გაბრწყინებას!..

მნიშვნელოვან ფაქტად გვესახება:

**პირველი ათასწლეული** ქრისტიანული სარწმუნეობის გავრცელებითა და დამკვიდრებით დაიწყო;

**მეორე ათასწლეული** – ქვეყნის გაერთიანებითა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური, კულტურული თუ ეკონომიკური აღმასვლით;

**მესამე ათასწლეულს** – ამ კანონზომიერებიდან გამომდინარე – იმედის თვალთ შევყურებთ: ილიას გზის გაგრძელებას, ილიას იდეების აღორძინებას ველით!...

მესამე ათასწლეულისკენ მიმავალ გზაზე ილია ჭავჭავაძე გვამხნევებს და შეგვახსენებს: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება“. შეგვახსენებს და გვეკითხება: „თუ ამათაც არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას!...“

ამ შეკითხვის პასუხად ჩვენი მზადყოფნა უნდა დავანახოთ; მზადყოფნა მამულისათვის, ენისა და სარწმუნეობისათვის თავდადებისა!...

დავით აღმაშენებლისა და ილია ჭავჭავაძის საქართველოს გაბრწყინებას ველოდებით მესამე ათასწლეულში!...

*გაზეთი „ბორჯღაღო“, №1, 1997 წ.*

*ჯურნალი „ბურჯ.ი ეროვნებისა“,  
№1-2, 2000 წ. (ვარიანტი)*

\* \* \*

მამული, ენა, სარწმუნოება - ილია ჭავჭავაძის ცნობილი ტრია-  
და განსაკუთრებით აქტიურად გავიხსენეთ 80-იანი წლების ბოლოს  
და ლოზუნგად ვაქციეთ.

ილიამ თავის დროზე ის ტრადიციული ჭეშმარიტება შეგვახსენ-  
ა, რომელიც სხვადასხვა ავტორთან შეიძლება დავადასტუროთ. გი-  
ორგი მერჩულე: „ქართლად ფრიადი ქვეყანა აღირაცხების, რომელ-  
საცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეინირვის და ლოცვაჲ ყოველი  
აღესრულების“...

80-იან წლებში ტრადიციული თანამიმდევრობა შევცვალეთ და  
მომრავლებულ ლოზუნგებზე ენა წინ გადმოვიტანეთ. ერთი მხრივ,  
ეს სასიკეთო ცვლილებად მივიჩნიე - მეგონა, ხაზგასმა იყო იმ ფაქ-  
ტისა, რომ ენას, მშობლიურ ენას, მეტი ყურადღება სჭირდება და ის  
პრობლემები, რომლებიც დედაენის წინაშე დგას, უფრო აქტუალუ-  
რი უნდა გახდეს-მეთქი...

სამწუხაროდ, არ ყოფილა ასე. რიგის შეცვლა ჩვეულებრივი შე-  
ცდომის შედეგი ჩანს; ისევე როგორც ვაჟასეული ცნობილი გამო-  
თქმის - „ერი დედა ენისა“ - „თანამედროვე“ ვარიაცია: „ენა დედა  
ენისა“, რაც, ერთ პერიოდში, მახსოვს, სატელევიზიო გადაცემის  
რუბრიკაც იყო...

ჭეშმარიტება ეს არის: როცა მამულზე ვსაუბრობთ, უწინარე-  
სად, ენა უნდა გავიხსენოთ - ასე გვიანდერძეს ჩვენმა წინაპრებმა;  
ამას იმეორებდნენ დაჟინებით ილია, აკაკი, იაკობი...

ილიამ მას „ღვთაებრივი საუნჯე“ უწოდა, იაკობმა - „ბურჯი  
ეროვნებისა“. დაგვანამუსეს - თუ ამათაც არ ვუპატრონეთ, რალა  
კაცები ვიქნებითო. ვპატრონობთ კი ისე, როგორც მას სჭირდება და  
ეკადრება?...

**რა დროს ქართული ენააო....**

ეს რამდენიმე წლის წინათ იყო. ან განსვენებულმა პროფ. თენ-  
გიზ ბუაჩიძემ კოლეგა პარლამენტარებს პლენარულ სხდომაზე შე-  
ნიშნა - რა ქართულით გლაპარაკობთ, საქართველო გვისმენსო... პა-



სუხად დარბაზიდან რეპლიკა გაისმა – რა დროს ქართული ენააო! შეძახილს არავინ შეპასუხებია. ეტყობა, მიიჩნიეს: დღეს პოლიტიკა და ეკონომიკაა მთავარი, ენაზე საუბრისათვის, მასზე ფიქრისთვის და, მით უფრო, ზრუნვისთვის არა გვცალიაო... როდის მოიცლიან, არც ამას ამბობენ: მოიცლიან კი საერთოდ?

დაინტერესებული კაცი პარლამენტის სხდომათა ტრანსლაციას რომ ჩაუჯდეს, ქართული თუ რიგიანად იცის, ვერ დადგება რიგიან ხასიათზე. „რა დროს ქართული ენაა“ – დღესაც არ გახუნებულა ეს აზრი პარლამენტში...

იყო დრო (ორი-სამი არჩევნების წინ), როცა დეპუტატობისა თუ პრეზიდენტობის კანდიდატები თავიანთ საარჩევნო დაპირებებში სახელმწიფო ენის შესახებაც საუბრობდნენ. პრეზიდენტობის ერთ-ერთმა კანდიდატმა (მგონი, 1991 წელი იყო) ერთი სატელევიზიო გამოსვლა ქართული ენის შესახებ საუბარს დაუთმო; განსაკუთრებით ხაზგასმით თავისი „დამსახურება“ აღნიშნა დედაენის წინაშე და დაპირებებიც მრავლად ითქვა... ის კანდიდატი პრეზიდენტი ვერა, მაგრამ „დიდი კაცი“ მაინც გახდა... ქართული ენა კი დაივიწყა... და ის რომ უძღვებოდა, იმ სფეროში გაუჭირდა ყველაზე მეტად, ქართულს...

თითქოს ნიშანდობლივია: ბოლო არჩევნებში ენა აღარავის უხსენებია, გეგონება, ყველა პრობლემა მოგვარდაო, არადა....

### „საპირისპირო აზრის მტკიცება აბსურდია...“

შეიძლება ვინმემ თქვას, საუკუნეების მანძილზე ქართველ კაცს არ ჰქონია კანონები ენის შესახებ, არ ყოფილა სამთავრობო მითითება-განკარგულებები, მაგრამ ენა მაინც შემოვიწინახეთ, ენას მაინც ვუერთგულეთო... რალა შორს ნავიდეთ, XIX საუკუნე გავიხსენოთ: სამთავრობო პოზიცია სრულიად საპირისპირო იყო, მაგრამ იყვნენ ილია, აკაკი, იაკობი, ვაჟა... ავქსენტი ცაგარელი იტყოდა, თურმე: „ქართულ ენას ისეთი ასარბასარა დამცველი ჰყავს, ვაგლახად ვერავინ გაუბედავს რაიმესო“, – იაკობს გულისხმობდა. მათს სიტყვასა და საქმეს კანონისა და დადგენილების ძალა ჰქონდა.

XIX საუკუნე ისტორიას ჩაბარდა... XX საუკუნეც მიიწურა, მაგრამ XIX-გან განსხვავებით, ვერ მოიწონებს თავს დედაენისადმი თავ-



დადებული ზრუნვით... განსაკუთრებით ბოლო ათწლეულს ვგულისხმობ.

ერთ ფაქტს გავიხსენებ: 70-იანი წლების ბოლოს რამდენიმე სამთავრობო დადგენილება გამოვიდა, ქართული ენის სწავლებას რომ ეხებოდა. ვისაც ის პერიოდი კარგად ახსოვს, დამეთანხმება, დადგენილებებს რამდენი სასიკეთო შედეგი მოჰყვა... თუნდაც: ყველა უმაღლეს სასწავლებელში ყველა სპეციალობაზე ისწავლებოდა მშობლიური ენა; ყველა უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გამოცდებზე ბარდებოდა ქართული ენა... ეს სიკეთე დღემდე გრძელდება უმაღლეს სასწავლებელთა ერთ ნაწილში. სხვაგან იმ დადგენილებას ძალა აღარ აქვს – ძველი მთავრობისა იყოო(?!), ახალი დადგენილება კი აღარ ჩანს! ამიტომ შედეგებიც ხშირად სავალალოა. ერთ-ერთ ოფიციალურ შეკრებაზე აგრარული უნივერსიტეტის რექტორმა ბრძანა, მისაღები გამოცდა რომ ჩაატაროს ქართულ ენასა და ლიტერატურაში, თურმე სასწავლებელს ვერ დააკომპლექტებს – ქართული ცუდად იცინანო. ერთმა აბიტურიენტმა განცხადება სანახევროდ რუსული ასოებით დამიწერაო. კი, მაგრამ ასეთი სტუდენტისაგან გაიზრდება ის სპეციალისტი, XXI საუკუნის საქართველოს რომ სჭირდება? აკი შენიშნა კიდეც მაშინ ბატონმა როინ მეტრეველმა: *„მე სრულიად მიუღებლად მიმაჩნია ყოველგვარი საპირისპირო მტკიცება. ქართული ენა და ლიტერატურა უნდა იცოდეს ყველამ, ისევე, როგორც საქართველოს ისტორია... ეს არის აუცილებელი ადამიანისათვის. არ იცის ქართული? არ უნდა მივიღოთ უმაღლეს სასწავლებელში. თუკი ჩვენ გვინდა, ვიყოთ უნივერსიტეტი, რაგინდ მცირე კონკურსიც იყოს, არ შეიძლება უმაღლეს სასწავლებელში წერა-კითხვის უცოდინარი ხალხი მივიღოთ. ამას უნდა შევეგუოთ. ასეთი „სპეციალისტი“ საქართველოს არ სჭირდება. ყოველგვარი საპირისპირო აზრის მტკიცება აბსურდია“* („ბ.ე.“ № 4, 1998).

ეს რექტორთა საბჭოს თავჯდომარემ ბრძანა რექტორთა საბჭოს სხდომაზე. ყველა დაეთანხმა, მაგრამ... საქმე მაინც სხვაგვარად მიდის... ვინც უმაღლეს სასწავლებელთა ვითარებას იცნობს, დამეთანხმება. რატომ? კანონი (დადგენილება, ბრძანებულება, მითითება) არ ავალდებულებს და საქმის გაიოლება ქართულის ხარჯზე ხდება... რა შედეგებს მოგვიტანს ეს ყოველივე?

## სკოლა - ჩვენი სატყეივარი

ზემოთ რომ გავიხსენე, იმ სხდომაზე ბატონმა რ. მეტრეველმა ასეთი რამაც თქვა: „სკოლაზე გადაბრალება, იქ ვერ ასწავლეს კარგადო (ქართული იგულისხმება - გ. გ.), საქმეს არ უშველის; საქმე ჩვენ უნდა გამოვასწოროთ; ამაზე უნდა ვიფიქროთ“.

რა თქმა უნდა, გადაბრალება საქმეს არ შველის, მაგრამ გადაბრალება რად უნდა გვჭირდებოდეს? სკოლა აკეთებს კი თავისას, რაც მას ევალება ქართულის სწავლების თვალსაზრისით? სამნუხაროდ, ვერა!...

უნივერსიტეტის პირველ-მეორე კურსელებთან გამოკითხვა ჩავატარეთ: ა) სწავლობდნენ თუ არა X-XI კლასებში საგანს „ქართული ენა“; ბ) ჩააბარეს თუ არა გამოსაშვები გამოცდა XI კლასში ქართულ ენასა და ლიტერატურაში; გ) თუ ჩააბარეს, ენის საკითხები შედიოდა თუ არა საგამოცდო ბილეთებში. უმრავლესობამ გვიპასუხა: „არ მახსოვს“, „არც ვიცი“. იყო უარყოფითი პასუხიც - „არა“. ასეთ პასუხებს ნამდვილად არ ველოდით... იყო თითო-ოროლა დადებითი პასუხიც. როგორც გინდა მოვინდომოთ, უმაღლესი სასწავლებელი შეძლებს ამ მდგომარეობის გამოსწორებას?

ის, რომ ქართულ ენაში მაღალ კლასებში გაკვეთილები არ ტარდება, ან სხვა საგნები გამოიყენებენ ამ საათებს, ჩვეულებრივ ამბად იქცა.

ამიტომაც არის, რომ მეგრელი თუ სვანი, ხევსური თუ აჭარელი, ინგილო თუ ფერეიდნელი სხვა ერის წარმომადგენლები ჰგონიათ. ასეთი პასუხი სტუდენტებისაგანაც არაერთგზის მომისმენია. ქართულ დიალექტოლოგიას ვასწავლი და საკმაოდ დრო იხარჯება იმის გარკვევაში, ფშავ-ხევსურეთი თუ რაჭა-ლეჩხუმი აღმოსავლეთ საქართველოშია თუ დასავლეთში... როდის წარმოიშვა ქართული დამწერლობა და სალიტერატურო ენა როდიდან იღებს სათავეს - ამ კითხვებზე სწორი პასუხი იშვიათად მიგვიღია... არადა, საშუალო სკოლის ქართული ენის პროგრამა ამ ყოველივეს ითვალისწინებს. მაპატიონ, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ამ კითხვაზე შეიძლება ბევრმა მასწავლებელმაც ვერ უპასუხოს; იმ მასწავლებელმა, რომელმაც ახლახან გაიარა ატესტაცია და რომელსაც განათლების სამინისტრომ 1997 წელს ტესტებიც მოუმზადა, დაუბეჭ-

და (კითხვები პასუხებითურთ) და ატესტაცია ჩაუტარა. ფორმალური იყო ეს ყოველივე და შედეგიც ასეთი გვაქვს...

ყურმოკრულს არ ვიმეორებ. არაერთ პედაგოგთან მქონია საუბარი და ატესტაციის შესახებ მათი აზრი და გამოცდილება ვიცი. ამ ატესტაციამ საქმე უფრო ნაახდინა, ვიდრე გამოაკეთა...

ქართული ენა რომ უყურადღებოდაა და სკოლაში ღვთის ანაბარად მიტოვებული, ამის თაობაზე ადრეც გვითქვამს. დღეს რომ საშუალო სკოლის მოსწავლეებს შევეკითხოთ, რომელი საგანი უფრო უყვართ, არა მგონია, ვინმემ ქართული ენა დაასახელოს. რატომ? რამდენიმე მიზეზია: 1. არ ვასწავლით და არ მოვითხოვთ მათგან ამ საგნის შესწავლას; 2. შესაცვლელია პროგრამები და სახელმძღვანელოები; 3. შესაცვლელია სწავლების სისტემა... ამაზე თქმულა, დაწერილა და დაბეჭდილა კიდეც. მაგრამ, საუბედუროდ, ის არ ისმენს, ვინც სათავეში უნდა ჩაუდგეს ამ საქმეს. პირიქით, ყოველგვარი ინიციატივა ახირებად ითვლება. უფრო დიდი საქმე აქვთ, „რეფორმას ატარებენ“, XXI საუკუნის სკოლას აშენებენ... მაგრამ – უქართულოდ?

ზემოთ წარმოდგენილ კითხვებზე, დარწმუნებული ვარ, იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებზე გაზრდილი ბავშვი წარმატებით უპასუხებდა. დიახ: იაკობ გოგებაშვილი „დედაენითა“ და „ბუნების კარით“ ოთხი წლის მანძილზე ახერხებდა ყოველივე ეს ესწავლებინა. ჩვენ კი 11 წლის განმავლობაში ვერ ვასწავლით! რატომ?...

კიდევ ერთი ფაქტი: ქართულის მასწავლებელი მისტირის ჟურნალს „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“. არადა, ეს პერიოდული გამოცემა მართლაც კარგ საქმეს აკეთებდა... მერე მოკვდა ეს ჟურნალი. ორიოდ წლის წინათ განათლების სამინისტრომ და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა შექმნა შპს „სკოლა“, რომელმაც გამოსცა 12 სამეცნიერო-მეთოდური ჟურნალი: „მათემატიკა სკოლაში“, „ქიმია სკოლაში“, „ქართული ლიტერატურა სკოლაში“... მაგრამ „ქართული ენა“? ასეთი ჟურნალი არ გამოცემულა... არც იმ ჩამონათვალში იყო, რას გამოვცემთ საერთოდო, რომ წერდნენ!

სკოლაში ქართული ენა აღარ აინტერესებთ?... არ მინდა დავიჯერო, მაგრამ...

## რა მაიმედებს

რაც ვთქვი, ძნელია სათქმელად და მძიმეა მოსასმენად. მაგრამ, საბედნიეროდ, იმედის შუქიც გამოკრთის:

ამას წინათ, თბილისის I გიმნაზიაში ვიყავი; ქართული ენისა და ლიტერატურის წრის შემაჯამებელ მუშაობას დავესწარი. პედაგოგი ნანა ლონლაძე ხელმძღვანელობდა ამ სხდომას. ეს ქართული ენისა და ლიტერატურის ზეიმი იყო!... ენასა და ლიტერატურაზე შეყვარებულთა ზეიმი!...

აპრილში სამტრედიის გიორგი ნიკოლაძის სახელობის ლიცეუმის – „XXI საუკუნის“ – მოსწავლეთა კონფერენციას დავესწარი. მკითხველთა კონფერენცია იყო – „ბურჯი ეროვნებისას“ მკითხველთა. კონფერენციას თითქმის მთელი რაიონის ქართულის პედაგოგები ესწრებოდნენ... ესეც ზეიმი იყო, ქართული ენის ზეიმი! რომ არ ვაჭარბებ, ყველა დამეთანხმება, ვინც ამ ორ ღონისძიებაში მონაწილეობდა ან, უბრალოდ, ესწრებოდა...

ღვთის მადლით, არიან პედაგოგები, არის სკოლები, სადაც ქართული „ძველ უფლებებშია“... მაგრამ, სამწუხაროდ, ეს გამოწაკლისად იქცა... თუმცა ზემოხსენებულ თავყრილობათა მონაწილე პედაგოგების აზრი რომ მოვისმინე, გაჩნდა იმედი, იმედი იმისა, რომ ხვალ უკეთესობა იქნება. ოღონდ, ვუთხრათ მადლობა იმათ, ვინც კეთილ საქმეს აკეთებს, რათა სხვას მაგალითად ექცეს!... ამისათვის უნდა მოიცალოს პრესამ, რადიომ, ტელევიზიამ...

დიახ, პრესამ, რადიომ, ტელევიზიამ!...

თუმცა, ჩვენ ისევ პრობლემებს ვუბრუნდებით... უნდა დავუბრუნდეთ კიდევ. არავინ იფიქროს, პრობლემები მხოლოდ პარლამენტსა და სკოლაში აქვს დედაენას...

სამწუხაროდ, პრობლემები მრავლად არის... ყველგან არის!...

სამწუხაროდ, ჩვენ სხვა ერის ენის ვითარებასაც ვიცნობთ და გამოგიტყდებით, თეთრი შურით მშურს ბევრის... რა მშურს და ვისი? ამ საკითხებზე საუბარი შემდეგი დროისათვის გადავდოთ...

მესამე ათასწლეულის კარიბჭესთან ვდგავართ და, ღმერთმა ნუ ქნას, იმედით არ გავცქეროდეთ მომავალს.

გაზეთი „თბილისი“, № 56, 2000.

## „ყველაწერი – სამოქმოსათვის, არაწერი – საქუთარი თავისათვის“

სათაურად გამოტანილი ფრაზა იმერეთის ეპისკოპოსის – გაბრიელის – დევიზი იყო. და, როგორც ჩანს, მის მიერ ასე ნათლად ჩამოყალიბებული მიზანი ცხოვრებისა სხვათა დევიზიც იყო... თუ ვინმეს მიმართ შეიძლება ეს ითქვას, უპირველესად ილიას, აკაკის, იაკობის, ვაჟასა თუ გალაკტიონის მიმართ შეიძლება ითქვას...

XIX საუკუნის 60-იანი წლები.

სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის ახალი თაობა: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი... უკვირთ სითამამე ახალგაზრდებისა. უკვირთ და აღიზიანებთ. როგორც ყოველთვის, ეს რა ახალგაზრდობა მოდისო, ატეხენ ამბავს.

შესანიშნავად თქვა თამაზ ჭილაძემ, „გენიის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი სითამამეაო“ და თამამად შემოვიდა ასპარეზზე გენიოსთა თაობა.

შეშფოთებული ძველი თაობის აზრს მოგვიანებით პოეტურად გრიგოლ ორბელიანი გააფორმებს:

„ჰე, განუსჯელნო.

უმაღლო შეილნო.

საუბედუროდ ცუდ დროს შობილნო...“

არადა მართლაცდა ცუდ დროს, მძიმე პერიოდში მოველინნენ ისინი ამ ქვეყანას და მიზნად დროების შეცვლა დაისახეს...

ჭეშმარიტება, რაც ამ ლექსში გრიგოლ ორბელიანმა ბრძანა, მისი ზოგადი თვალსაზრისი იყო:

„ერის ცხოვრება.

მისი დიდება.

მის ისტორია დაცულ არს ენით;

რა ენა წახდეს.

ერიც დაეცეს.

წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას!...“



დიახ, მართალია გრიგოლ ორბელიანი – „რა ენა ნახდეს, ერიც დაეცეს“, მაგრამ, რბილად რომ ვთქვათ, იმსახურებდა კი ახალთაობა ამ საყვედურს (თუ საყვედურებს, ბრალდებებს)? დღეს ამ შეკითხვის დასმა უხერხულიცაა; ამგვარი კითხვის დასმის საჭიროება აღარაა; ნათელია ყოველივე...

წინაპართა ღვანლი შეახსენეს ილიასა და მის თაობას და წინაპართა კეთილი საქმეებისადმი პატივისცემისაკენ მოუწოდეს:

„მათ დაიფარეს,  
სისხლით დაიცივეს  
სისხლ შემოსილი მამული თვისი.  
და სასო ღვთისა,  
მცველი ერისა.  
ენა, საყდარი, სარწმუნოება!“

დიახ, შეახსენებენ ახალთაობას, რომ მამულის, ენისა და სარწმუნოების წინაშე ქართველი კაცის დამსახურებას მადლიერი შთამომავლობის მადლიანი საქმეები სჭირდება... შეახსენებენ მაგრამ ვის? ილიას, აკაკის, იაკობს?... სჭირდებათ მათ ამის შეხსენება?

1871 წელს იყო ეს...

ათიოდე წლის წინათ სწორედ ახალმა თაობამ დასვა ეს პრობლემა. ჭაბუკი ილია იყო ის, ვინც თავისი თაობიდან პირველმა მოუწოდდა ქართველობას: *„სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამაპაპათავან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას? სხვისი არა ვიციოთ და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დაუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას. ენა საღვთო რამ არის. საზოგადო საკუთრებაა, მაგრამ კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“.*

ეს იყო პოზიცია ილიასი. ამგვარი განცხადებით გამოვიდა იგი სამოღვაწეო ასპარეზზე და ამ შეგნებით იბრძოდა თავისი სიცოცხლის მანძილზე; ამ შეგნებით იდგა დედაენის სადარაჯოზე. ერთარსება საქართველო ილიასთვის ეს სამება იყო: *მამული, ენა, სარწმუნოება.*

ის, რასაც ილია ბრძანებს, ძირითადი პრინციპი იყო მთელი თაობისათვის, განსაკუთრებით კი აკაკისა და იაკობისათვის.

აკაკისა და იაკობს თავიანთი ხანგრძლივი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე მამულზე ფიქრი და ზრუნვა არასოდეს გადა-

უნევიან უკანა პლანზე; მასზე წინ არასოდეს არაფერი დაუვინები-  
ათ. აკაკის სამების თავისებურ ვარიანტს გვთავაზობს; ნერს: *„ჩვენ  
ჩვენი წინაპრების ანდერძის გამტყუნი არა ვართ... გეწამს მათი ანდერძი  
და დღესაც მოველით იმას, რასაც ისინი თხოულობენ: ენას, რჯულს  
და ეროვნული საქმის მოწყობას“.*

იაკობი კი ბრძანებდა: ეროვნულობას სამი ბურჯი აქვს – *მამული  
(სამშობლო), ენა და ეროვნული სკოლაო.*

*სამი ვარიანტი საქმებისა:*

*ილია – მამული, ენა, სარწმუნოება;*

*აკაკი – ენა, რჯული, ეროვნული საქმე;*

*იაკობი – მამული, ენა, ეროვნული სკოლა.*

ეს, როგორც ჩანს, გარკვეული ტრადიციის გაცოცხლება იყო. მამულის, ენისა და სარწმუნოების ერთარსებად (საქართველოდ) გა-  
აზრების ფაქტს გიორგი მერჩულესთან ვხვდებით: *„ქართლად ფრიადი  
ქუყყანაა აღიარაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა უამბი  
შეიწირვის და ლოცვაა აღესრულებს“.* დიახ, ჩანს, რომ ქართველი  
კაცისათვის მამულის გააზრება ენისა და სარწმუნოების გარეშე არ  
ხდებოდა. აი, ეს ტრადიცია გააცოცხლეს სამოციანელებმა; ამ ტრა-  
დიციის ერთგულებისაკენ მოუწოდებდნენ ერს. იაკობმა ილიას სამე-  
ბას ეროვნული სკოლა ამოუყენა გვერდით და ყოველივე ამის გააზ-  
რებით შეიძლება ოთხ ღვთაებრივ საუნჯეზე, ეროვნულობის ოთხ  
ბურჯზე ვისაუბროთ; დიახ, ჩვენი ეროვნულობა სწორედ ამ ოთხ  
ბურჯს ემყარება: *მამულს, ენას, სარწმუნოებას და ეროვნულ სკოლას...  
ამ ბურჯთა სიმტკიცისათვის იბრძოდნენ და იღვწოდნენ ჩვენი მარა-  
დიული თანამედროვენი – ილია, აკაკი, იაკობი, ვაჟა, ვალაკტიონი...*

\*\*\*

ილია ჭავჭავაძე როცა დავით აღმაშენებელზე საუბრობდა, სე-  
ნეკას სიტყვებს მოიშველიებდა: *„ჩვენთვის, ადამიანებისათვის, საქი-  
როა იმისთანა კაცი, რომ მის მიხედვით და მისი მაგალითით შევიძ-  
ლოთ საკუთარი ხასიათის გაწვრთნა და განმტკიცება. ო, რა ბედნიე-  
რია იგი, ვინც არამც თუ ჩვენთან ყოფნით გვეწვრთნის ჩვენ, არამედ  
თავისი სახელის ხსენებითაცო“.* ასეთ კაცად დავით აღმაშენებელი  
ეგულებოდა ილია ჭავჭავაძეს...



ასეთ კაცებად ილია, აკაკი, იაკობი, ვაჟა, გალაკტიონი... გვგვხუ  
ლება ჩვენ (რა თქმა უნდა, დავით აღმაშენებელთან ერთად...).

დიახ, საკუთარი ხასიათის განვრთნა და განმტკიცება მათი მა-  
გალითით უნდა შევიძლოთ... მათი სახელისა და საქმეების გახსენე-  
ბამ უნდა გაგვწვრთნას ჩვენ... არადა, რა საოცრად დიდი სკოლაა; რა  
საოცარი გაკვეთილები – მათი არსებობა, მათი ყოფა, მათი მოღვა-  
ნეობა, მათი ურთიერთდამოკიდებულება....

\*\*\*

*მარად და ყველგან, საქართველოვ.  
ჩვენ ვართ შენთანა!...*

ეს ილიას, აკაკის, იაკობის, ვაჟას, გალაკტიონის... ხმაა, მარადი-  
ულ თანამედროვეთა ხმა, რომელიც მეორე ათასწლეულის მინუ-  
რულს გვამხნევენს და იმედის თვალით გაგვახედებს მომავლისაკენ  
– მესამე ათასწლეულისაკენ...

*წიგნიდან „მარადიული თანამედროვენი“. 2000 წ.*

F119.808  
3





## ქართული ენა

რა არის ქართული ენა? ზოგადად, ალბათ, პოეტურად უფრო კარგად ჟღერს, უფრო გასაგები იქნება:

„ქართული ქართველთ რწმენაა!  
 ღმერთია!  
 ბედისწერაა!  
 ზღვა როა -  
 იმოდენაა!“ (მ. მაჭავარიანი)

რას ნიშნავს ქართული ენა ქართველი კაცისთვის? ისევე პოეტს მოვეუსმინოთ:

„ო, ენავ ჩემო,  
 დედაო ენავ!  
 შენ, ჩვენო ნიჭო, სრბოლავ და ფრენავ,  
 შენ, ჩვენი სუნთქვის დიდო ალამო,  
 შენ, ჭირთა ჩვენთა ტკბილო მალამო,  
 შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა“... (ი. აბაშიძე)

„საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენამ“, - ესეც პოეტის (ლ. ასათიანი) ხედვაა. აქ, ამ მთებში, ცხოვრობს ქართველი კაცი ოდითგანვე და, შესაბამისად, აქ - ამ მთებში - შეიქმნა, იშვა, ხშიანობს ქართული ენა ოდითგანვე. დიახ, „ერი დედაა ენისა“ (ვაჟა); ერი შობს, ზრდის, პატრონობს, უვლის ენას...

თუ ენას ერის ყურადღება მოაკლდა, თუ დედამ ვერ მოუარა შვილს, დაიღუპება შვილი. მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა უბედური დედა სხვა შვილის გაზრდაზე ველარ იფიქრებს. ენა მხოლოდშობილი შვილია ერისა, დედისერთაა და ამ შემთხვევაში გადაჰყვება კიდეც პირმშოს დაკარგვას - დედაენის ნახდენას. გავიხსენოთ: „რა ენა ნახდეს, ერიც დაეცესო“ (გ. ორბელიანი). არაა ეს მხოლოდ ლამაზი პოეტური ფრაზა, ეს ჭეშმარიტებაა და არაერთი ერისა და ენისათვის გამხდარა საბედისწერო ეს ჭეშმარიტება: შუმერები და შუმერული ენა, ურარტუელები და ურარტული ენა, ხეთები და ხეთური ენა, სხვანი და სხვათა ენა... და ამის გვერდით უთვალავი მაგალითი - როცა ენამ გადაარჩინა ერი, ერმა იხსნა ენა დაღუპვისაგან; საბედ-

ნიეროდ ჩვენდა, ასეა ქართველი ერისა და ქართული ენის შემთხვევაშიც.

ქართველ კაცს ყოველთვის ახსოვდა ის ჭეშმარიტებაც, რომ „მტერობა ენის არს მტრობა ქვეყნის“ (ილია). ეს გაფრთხილება იყო და განგაშის ზარიც პოეტისაგან შემოკრული, როცა ძალიან გაუჭირდა ქართულ ენას...

\* \* \*

ჩვენდა ბედად, ქართველ კაცს ყოველთვის ესმოდა დედაენის მნიშვნელობა ერისათვის და არასოდეს მოუკლია მისთვის ყურადღება. მეტიც: აღმერთებდა მას (ღმერთიანო – ხომ გვითხრა პოეტმა). გავიხსენოთ თუნდაც დავათის სტელა (ქვა-ჯვარი): V-VI საუკუნეების ამ ძეგლზე ამაღლების კომპოზიციაა გამოსახული. მთავარანგელოზებს – მიქაელსა და გაბრიელს – გაშლილი ეტრატი უჭირავთ ხელთ; გრაგნილი, რომელზეც ქართული ანბანია გამოსახული ანიდან ჰოემდე. მოგეხსენებათ, ანბანი სიმბოლოა ენისა და, ცხადია, ამ სტელაზე ქართული ენის ამაღლების, გაღმერთების იდეაა გამოსახული. ამბობენ: დავათის ქვა-ჯვარზე გამოსახული ეს კომპოზიცია თავისი სიმბოლიკით უჩვეულოა იკონოგრაფიისათვის და ეროვნული ანბანის, შესაბამისად დედაენის, განდიდებას გამოხატავს; იგი იმ ეპოქის იდეალებს შეესატყვისება, როცა მიმდინარეობდა ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის, ქართული ენის განმტკიცების რთული პროცესი... დიახ, ქართველმა დაინახა, ქართველმა შეაფასა ასე თავისი მშობლიური ენა. ეს ხედვა მარადიულია...

ენა ქართველი კაცისთვის „შემკული და კურთხეული“ ფენომენი იყო ყოველთვის; სჯეროდა, რომ „ყოველი საიდუმლოე ამას ენასა შინა დამარხულ არს“ (იოანე ზოსიმე).

იქნებ ამ დამოკიდებულებაში უნდა ვეძიოთ საფუძველი იმისა, რომ ქართული ენა – ესაა მრავალსაუკუნოვანი მთლიანობა (რ. თვარაძე); პირობითია დაყოფა – ძველი და ახალი ქართული ენა. ეს არ არის ისეთი განსხვავებული რეალობა, როგორიცაა ძველი ბერძნული ენა და ახალი ბერძნული ენა; ძველი სომხური ენა და ახალი სომხური ენა... დღევანდელმა ბერძენმა საგანგებოდ თუ არ ისწავლა, ვერ გაიგებს, რას ნერდა საუკუნეების წინათ მისი წინაპარი, ვერ ნა-

იკითხავს ჰომეროსს... ჩვენ, ქართველები, ვკითხულობთ, გვესმის და ვტკბებით „შუშანიკის ნამებითა“ თუ „აბოს მარტვილობით“, „ნინოს ცხოვრებითა“ თუ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებით“, იოანე ზოსიმესა თუ იოანე მინჩხის პოეზიით და ეს ბედნიერებაა ჩვენი.

„რა ენა ნახდეს, ერიც დაეცესო...“ იცოდა ქართველმა კაცმა, რომ ერის მთლიანობის, ქვეყნის ერთიანობის უმთავრესი პირობა ენობრივი ერთობა იყო. გიორგი მერჩულე გავიხსენოთ: „ქართლად ფრიადი ქუეყანაა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეინირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“.

და მივაქციოთ ყურადღება იმას, რომ აქ, ამ ამონარიდში იმ სამებაზეა საუბარი, მოგვიანებით ილიამ ღვთაებრივი საუნჯე რომ უწოდა - მამული, ენა, სარწმუნოება: „ქართლად ფრიადი ქუეყანაა“ - მამული; „ქართულითა ენითა“ - ენა; „ჟამი შეინირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“ - სარწმუნოება...

მოგეხსენებათ, ილია ჭავჭავაძე არ იცნობდა გიორგი მერჩულის შედევრს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“; არ ნაუკითხავს მას, მაგრამ როცა ილია გვმოდერავს - „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას!...“ - დიახ, როცა ასე გვმოდერავს, ის დასკვნა უნდა გავაკეთოთ, რომ ესაა ტრადიციული დამოკიდებულება ქართველი კაცისა ქართული ენისადმი.

და ეს უნდა გვახსოვდეს; ამის დავინყება იმ პროცესებისადმი გზის მიცემაა, ენას რომ ნაგვიხდენს... დიახ, ეს ენის ნახდენის გზა იქნება და რა მოჰყვება ამას, ზემოთაც ვთქვით: აცხადდება ის ჭეშმარიტება, ერის ნახდენა რომ ჰქვია... ფიქრადაც არ უნდა გავივლოთ ეს!...

\*\*\*

ვთქვით: უხსოვარი დროიდან ცხოვრობს ქართველი საქართველოში და საუბრობს ქართულად.

დიახ, ქართულად საუბრობდა ათასწლეულების წინათ ქართველი და საუბრობს დღესაც. თუმცა ათასწლეულების წინანდელი ქართული, როგორც ჩანს, განსხვავებული იყო, სხვაგვარად ჟღერდა. არცაა გასაკვირი: ენა ცოცხალი ფენომენია. ისევე, როგორც ნების-



მიერი ცოცხალი არსება, ისიც იზრდება, ვითარდება, იცვლის სახეს. ენის ცვლას მრავალი რამ უწყობს ხელს: გარეენობრივი სამყარო; შიდაენობრივი სიტუაციები; ენის განვითარების შინაგანი კანონზომიერებანი... რაღაც ქრება, რაღაც ჩნდება, რაღაც სახეს იცვლის, რაღაც უცვლელია...

ვთქვით, თხუთმეტი საუკუნის წინანდელი ქართული ისე არ შეცვლილა, რომ ვერ გავიგოთ ნაკითხული; მაგრამ იმ ცვლილებებს თუ გავითვალისწინებთ, იაკობ ხუცესის დროიდან (V საუკუნიდან) რომ მოხდა დღემდე, ადვილად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, ათასწლეულების წინანდელი ქართული რა სახის იქნებოდა... იმ უხსოვარი დროის ქართულს საერთოქართველურ ფუძე ენას უწოდებენ მეცნიერები. ოდესღაც ქართველი იმ საერთოქართველურ ენაზე საუბრობდა...

\*\*\*

მოგეხსენებათ, ყოველი ცოცხალი ენა თავისი არსებობის ნებისმიერ ეტაპზე წარმოდგენილია სხვადასხვა ნაირსახეობით. ეს ასე უნდა წარმოვიდგინოთ: იმ ტერიტორიაზე, სადაც ესა თუ ის ენაა გავრცელებული, ერთ კუთხეში მეორისაგან განსხვავებულად საუბრობენ; ერთი კუთხის მეტყველებას ახასიათებს ის თავისებურებანი, რაც მას მეორისაგან განასხვავებს და ა.შ. ასეთი ნაირსახეობანი ენაში შეიძლება არაერთი იყოს. ამგვარ ნაირსახეობებს ენისას კილოს უწოდებენ, სხვაგვარად – დიალექტს. ვიცით, რომ თანამედროვე ქართულ ენას მრავალი დიალექტი აქვს; თექვსმეტამდე ასახელებენ: ქართლური, კახური, ინგილოური, ფერეიდნული, ხევსურული, ფშაური, თუშური, მოხეური, მთიულურ-გუდამაყრული, მესხურ-ჯავახური, იმერული, რაჭული, ლეჩხუმური, გურული, აჭარული, იმერხეული (კლარჯული). ეს დღეს.

ცხადია, საერთოქართველურ ენას ჰქონდა თავისი ნაირსახეობები; იმ უხსოვარ დროსაც ქართველები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში განსხვავებულად უქცევდნენ, სხვადასხვა დიალექტზე მეტყველებდნენ. ვიცით ისიც, რომ ერთ-ერთი დიალექტი იყო სვანური, მეორე – ზანური (ანუ კოლხური, ანუ მეგრულ-ჭანური, ანუ მეგრულ-ლაზური – ყველა ეს სინონიმური ტერმინია). ასე რომ, საერთოქართველურ ენას, ანუ ქართველთა უძველეს ენას, სამი ძირითა-

დი დიალექტი ჰქონდა, პირობითად ასე ვთქვათ: ქართული, სვანური და ზანური. ვხვდებით ალბათ: ეს იყო ათასწლეულების წინათ.

დროთა განმავლობაში სხვაობა ქართველთა ამ სამ დიალექტს შორის გაიზარდა და ისე დაშორდნენ ერთმანეთს ეს კილოები, რომ ენათმეცნიერულად სვანების მეტყველებას სვანურ ენას უწოდებენ, ზანების (ანუ მეგრულ-ჭანების) მეტყველებას – ზანურ ენას და არის ამათ გვერდით დანარჩენ ქართველთა მეტყველება, რომელსაც ქართულს ვეძახით. ეს ენათმეცნიერულად.

სხვათა შორის, დღეს იმის შესახებაც საუბრობს ზოგი ენათმეცნიერი, რომ ქართველთა ორი ტომის – ჭანებისა (ლაზების) და მეგრელების – მეტყველება ენებად იქნეს გააზრებული: მეგრული ენა და ჭანური (ლაზური) ენა... ვთქვი: ასე ენათმეცნიერები ფიქრობენ; ეს – ენათმეცნიერულად.

სოციალურად (სოციოლინგვისტიკის თვალსაზრისით) სვანური, მეგრული და ლაზური დიალექტებია; ისეთივე ნაირსახეობანია ქართული ენისა, როგორც ქართლური, იმერული, რაჭული და სხვა – საქართველოს რომელიმე კუთხეში გავრცელებული ქართული მეტყველება.

\* \* \*

ის, რაც აერთიანებს სხვადასხვა დიალექტის წარმომადგენელს, რაც საერთოა და საყოველთაო ქართველთათვის – არის სალიტერატურო ქართული ენა.

მოდით, ეს საკითხი სხვადასხვაგვარად დავინახოთ:

იაკობ გოგებაშვილი ამბობდა: უმთავრესი ბურჯი ეროვნებისა გახლავთ სამშობლო ენაო. ანუ: ერის არსებობის უმთავრესი ნიშანი ეროვნული ენაა. ქართული ეროვნული ენაა. „ეროვნულ ენას ქმნის ერთობლიობა იმ ენობრივი მოვლენებისა და მათში მონაწილე ელემენტებისა, რომელიც საერთოა ყველა (ან უმეტესი ნილი) ტერიტორიული და სოციალური დიალექტებისათვის... სალიტერატურო ენა კი ეფუძნება ამ საერთო მონაცემს და მის ნორმირებულ, დახვეწილ სახეს წარმოადგენს“ (ბ. ჯორბენაძე).



„სალიტერატურო ენა ხელს უწყობს ენის კონსოლიდაციას და აზიარებს მას მსოფლიო ლიტერატურისა და მეცნიერების მიღწევებს“ (ბ. ჯორბენაძე).

მაშ, ასე: ქართული სალიტერატურო ენა არის საფუძველი ქართველთა ერთობისა; ქართველთა ძლიერებისა; ქართველთა უკვდავებისა!

სალიტერატურო ენა ნიგნის ენაა; მწერლობის ენაა. ამიტომაცაა, რომ მას სამწერლობო ენასაც უწოდებენ. შესაბამისად, თუ ენას არა აქვს დამწერლობა, ის ენა არ არის სალიტერატურო ენა. ქართული ერთ-ერთი უძველესი სალიტერატურო ენაა!

დიახ, ენა ხდება სალიტერატურო, სამწერლობო, როცა იქმნება დამწერლობა. როცა ერთი თაობის ნააზრევი ხელმისაწვდომი ხდება მომდევნო თაობებისათვის, როცა ენობრივი ურთიერთობის თვალსაზრისით დაბრკოლებას ვეღარ ქმნის დრო და სივრცე...

და მიგვაჩნია, რომ ქართული სალიტერატურო ენა სათავეს ფარნავაზის ეპოქაში იღებს: იცით, რა თქმა უნდა, რომ ლეონტი მროველი (XI ს-ის მემატიანე) მეფე ფარნავაზს (ძვ.წ. IV-III ს.) მიანერს ქართული ანბანის შემოღებას: „ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განაგვრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვნიერ ქართლისა და ამან შექმნა მნიგნობრობაჲ ქართული“. ჩვენ პატივს ვცემთ ჩვენს ისტორიას, ჩვენი მემატიანის ამ ძვირფას ცნობას, მაგრამ მაინც ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის ათვლა V საუკუნიდან უნდა დავიწყოთ. რატომ? ჩვენდა სამწუხაროდ, უფრო ადრინდელი ძეგლები ჩვენი დამწერლობისა არ შემოგვრჩენია (ვერას ვიტყვი ამჯერად ნეკრესის ნარწერაზე: შემდგომი კვლევა-ძიება გაარკვევს მართლა წინარექრისტიანული ძეგლია თუ არა...). გვაქვს იმედი იმისა, რომ აღმოჩნდება ადრინდელი ძეგლები სალიტერატურო ენისა. რა გვაძლევს ამის იმედს?

1952 წლამდე ითვლებოდა, რომ უძველესი წერილობითი ძეგლი იყო ბოლნისის სიონის ტაძრის ნარწერა, რომელიც თარიღდება 492-493 წლებით (ა. შანიძე). 1952 წელს იტალიელთა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ვირჯილიო კორბოს მეთაურობით პალესტინაში, იუდას უდაბნოში, ბეთლემის მახლობლად აღმოაჩინა ქართული კულტურის შესანიშნავი ძეგლი - მონასტერი ქართული ნარწერებით.

ნარწერათაგან უძველესი თარიღდება 428-432 წლებით (გ. წერეთელი). ასე რომ, ამ აღმოჩენით ქართული დამწერლობის დოკუმენტირებულმა ისტორიამ ექვსი ათეული წლით გადაინია... ეს კი იმედს გვაძლევს, რომ აღმოჩენები კვლავაც იქნება... ამ იმედით ვუყურებთ მომავალს!

ახალ აღმოჩენებამდე კი ქართული სალიტერატურო ენის ისტორია V საუკუნიდან უნდა ავითვალოთ.

\*\*\*

სალიტერატურო ენა, მსგავსად საერთო-სახალხო ენისა, იცვლება, იხვეწება, ვითარდება. ვთქვით, კვლავაც მივაქცევ ყურადღებას: „სალიტერატურო ენა ითვლება ეროვნული ენის უმაღლეს ფორმად. სალიტერატურო ენა ითვალისწინებს ეროვნული ენის განვითარების ტენდენციებს და ყოველ ეპოქაში შესაბამისი წესების სახით ამკვიდრებს მას“ (ბ. ჯორბენაძე). ამ წესებს სალიტერატურო ენის ნორმებს ვუნოდებთ. სალიტერატურო ენა ნორმირებული ენაა. სალიტერატურო ენის ნორმების დაცვა ყველა წიგნიერი კაცის მოვალეობაა. სხვა რომ არა, ესაა დედაენის პატივისცემისა და სიყვარულის გამოხატვა, ზრუნვა მის კეთილდღეობაზე, განვითარებაზე, მონოლითურობაზე...

ვთქვით, სალიტერატურო ენა იცვლებაო. ჩვენ რომ წარმოდგენა გვქონდეს, როგორი იყო ქართული სალიტერატურო ენა საუკუნეთა წინათ, ძველ ეპოქაში, ამისთვის იზრუნეს ჩვენმა წინაპრებმა, მწიგნობარმა წინაპრებმა და V საუკუნიდან მოყოლებული ძეგლებს უგებდნენ თავიანთ დედაენას თავიანთ ეპოქებში. იაკობ ხუცესი და იოანე საბანისძე, გიორგი მერჩულე და გიორგი მთაწმიდელი, იოანე ზოსიმე და იოანე მინჩხი, შოთა რუსთაველი და სულხან-საბა ორბელიანი, სხვანი და სხვანი ძეგლისმგებელნი არიან მშობლიური ენისა. მათი შემოქმედება უტყუარი და უკვდავი ძეგლებია დედაენისა; ამ ძეგლთა გვერდიგვერდ დაყენებით ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ ნათელი ისტორია ქართული ენისა, რა სახე ჰქონდა მას ოდესღაც, რა შეიცვალა და რით.



\*\*\*

სალიტერატურო ენა, როგორც ითქვამს, ნაირსახეობაა საერთო-სახალხო ენისა. შეიძლება ასე ვთქვათ: დიალექტი არის ბუნებრივი ნაირსახეობა საერთო-სახალხო ენისა; სალიტერატურო ენა – მეტ-ნაკლებად ხელოვნური, ნორმირებული, წესდადებული ნაირსახეობა.

სალიტერატურო ენა ყოველთვის ეყრდნობა, ეფუძნება დიალექტს ან დიალექტთა ჯგუფს. დროთა განმავლობაში საყრდენი, საორიენტაციო დიალექტი შეიძლება შეიცვალოს, რაც ზოგჯერ სალიტერატურო ენაში არსებითი ხასიათის ცვლილებებს იწვევს. სალიტერატურო ენის განვითარების მანძილზე შეიძლება ხელოვნური ჩარევა მოხდეს მნიშვნობარითა; რეფორმა მოხდეს სალიტერატურო ენისა... თექვსმეტსაუკუნოვანი ისტორია ქართული ენისა უაღრესად საინტერესო სურათს დაგვიხატავს; უაღრესად საინტერესო გზა განვლო ქართულმა სალიტერატურო ენამ; იყო აღმასვლა და დაცემა-დაკნინების პერიოდიც; პროგრესული ჩარევა სალიტერატურო ენის განვითარებაში და ნარუმატებელი რეფორმებიც... გადავხედოთ ამ გზას.

მოდით, ესეც ვთქვათ: ჩვენ ჩამოვთვალეთ დღევანდელი ქართული ენის დიალექტები; ვისაუბრეთ ქართული ენის ოდინდელ დიალექტურ დაყოფაზეც, რამაც ხელი შეუწყო სვანური და ზანური ენების ჩამოყალიბებას. ივარაუდება, რომ ძველ ქართულშიც (V საუკუნიდან მოყოლებული) გვექონდა დიალექტები. ასახელებენ რამდენიმე მათგანს:

- ა) სამხრეთ-აღმოსავლური (ხანმეტი) დიალექტი;
- ბ) სამხრეთ-დასავლური (ჰამეტი) დიალექტი;
- გ) ცენტრალური ზონის დიალექტი (იგივე: ევ კილო);
- დ) ჩრდილო-აღმოსავლური (ფხოური) დიალექტი.

ენობრივი მასალა ამ დიალექტთა არსებობას ადასტურებს. აკაკი შანიძის აზრით, ძველი ქართული ენის ადრეულ პერიოდში, V-VII საუკუნეებში, სალიტერატურო ქართული ენა ეფუძნებოდა ხანმეტ დიალექტს. შესაბამისად, ამ პერიოდის ენობრივი ძეგლები ხანმეტია.

შენიშვნა: ტერმინი „ხანმეტი“ გიორგი მთაწმიდლის (XI ს.) ანდერძში გვხვდება და გულისხმობს ისეთ ენობრივ ძეგლს, სადაც ხანი გამოხატავს ა) სუბიექტურ მეორე პირს - ხ-არ, მი-ხ-ვალ (ეს ფორმები იმდროინდელი ნაშთია); ბ) მესამე ობიექტურ პირს - შე-ხ-უაბთ



(შევაბით) ჩვენ მას იგი, ხ-უთხრა მან მას იგი... გ) გვხვდება ი თავ-სართიანი ვნებითის ფორმებში - ხ-იყო, ხ-იმალების და დ) ზედსართავი სახელის უფროობითი ხარისხის ფორმებში: ხ-უდიდეს, ხ-უმჯობე-ეს... ჰაემეტ ძეგლებში ხანს ჰაე ცვლის.

მომდევნო პერიოდში, VII-IX საუკუნეებში, ქართული სალიტერატურო ენის საყრდენი, საორიენტაციო არის ჰაემეტი დიალექტი. შესაბამისად, ამ პერიოდის ძეგლები ჰაემეტია: ეს პროცესი, ფუძე-დიალექტის შეცვლა, უნდა უკავშირდებოდეს არაბების შემოსევის შედეგად ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ცენტრის სამხრეთ-დასავლეთით გადაინაცვლებას (ა. შანიძე).

IX საუკუნიდან მოყოლებული ძველ ქართულ სალიტერატურო ენას სანწარევს ვუნოდებთ: ჰაესა და ხანის ადგილს მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევებში სანი იჭერს. აღარ გავაგრძელებთ ამაზე საუბარს; არ გადავტვირთავთ მკითხველს ენათმეცნიერული მსჯელობით. ვიტყვიტ მხოლოდ: V-XI საუკუნეების ქართული, მიუხედავად ამ პრინციპული სხვაობებისა, რაც აღვნიშნეთ, მკაცრად ნორმირებული ენაა. მნიგნობრები ზედმინევენით იცავენ სალიტერატურო ენის ნორმებს. მოუნოდებენ კიდევაც სხვებს, არ დაარღვიონ, არ გადაუხვიონ სწორი ქართულის გზიდან: „ვინცა ვინ დასწერდეთ, ვითა აქა ჰპოოთ, ეგრე დაწერეთ. თუ ამისგან ჯერ გიჩნდეს დაწერაჲ ღმრთისათჳს სიტყუათა ნუ სცვალებთ, არამედ, ვითარცა აქა სწერია, ეგრე დაწერეთ“... ამას გიორგი მთანმიდელი მოუნოდებს მნიგნობრობის მოსურნეთ. მოუნოდებს და ევედრება კიდევ: ღმრთისათჳს, ნუ სცვალებთო... გიორგი მთანმიდელი სახარების ტექსტს გულისხმობს. აქ ნათლად არის ნაჩვენები, რომ ბიბლიის ქართული თარგმანების ტექსტი იყო ნორმა სალიტერატურო ქართულისა და ეს არა მხოლოდ მთანმიდლების პერიოდში, ასე იყო, როგორც ჩანს, V საუკუნიდან მოყოლებული. ამიტომაც იყო მკაცრად ნორმირებული სამნიგნობრო ენა. მნიგნობარს არ ჰქონდა ამ ნორმიდან გადახვევის უფლება. ამიტომაც ამბობს ხაზგასმით გიორგი მერჩულე: გრიგოლმა „საღმრთონი ნიგნნი ზეპირით მოიწუართნაო“.

სალიტერატურო ქართულით საუბარი, სალიტერატურო ქართული ენის სინმინდის დაცვა უმთავრეს ღირსებად მიაჩნდათ მნიგნობრისა. იოანე და ეფთჳმე ათონელების ცხოვრების აღმწერი გიორგი ხუცეს-მონაზონი საგანგებოდ მიაჩნებდა: „ხუცესი იგი ესევეთა-

რი კაცი იყო, რომელ პირსა მისსა მსოფლიოე სიტყუა არა გამოვი-  
 დოდა, არამედ ყოველივე საღმრთოე და სულიერი". მსოფლიოე სი-  
 ტყუა – არალიტერატურულ, დიალექტურ ფორმებს გულისხმობს.  
 სწორი, ლიტერატურული ქართული – საღმრთოე და სულიერია!

და კიდევ: მიაჩნიათ, რომ კარგი ქართული, წმიდა სალიტერა-  
 ტურო ენით მოღვანება ქართველთა ენისა და ქვეყნის ამალღებაა,  
 განათღებაა, ღირსმსახურებაა: ეფთჳმე მთანწიდეღმაო „განანათლა  
 ქართველთა ენაე და ქუეყანაე, რომლისა-იგი ნამუშაჳევი ახარებს  
 შორიელთა და მახლობელთა“ (გიორგი მთანწიდელი).

ღიახ, შედეგი ამგვარი დამოკიდებულებისა სამწიგნობრო ენი-  
 სადმი, სალიტერატურო ენისადმი იყო ის, რომ სალიტერატურო ენა  
 მეტ-ნაკლებად დაშორდა ცოცხალ სასაუბრო ენას, მსოფლიოე სი-  
 ტყუა უკვე ამკარად სხვაობს სამწერლობო ენისაგან. ეს სხვაობა  
 თანდათან იზრდება. დაუუკვირდეთ: ნიგნის ენა შორდება ცოცხალ  
 სასაუბრო ენას, საერთო-სახალხო ენას. მიუთითებენ: „სალიტერა-  
 ტურო ენის ნორმებსა და ცოცხალ მეტყველებას შორის გარკვეული  
 წინააღმდეგობა არსებობს. სალიტერატურო ენის ნორმები კონსერ-  
 ვატული ხასიათისაა, საუკუნეებს უძლებს; ცოცხალი მეტყველების  
 ნორმები გაცილებით სწრაფი ტემპით იცვლება. სალიტერატურო  
 ენის ნორმები ხშირად მას შემდეგაც უცვლელია, რაც ცოცხალ მე-  
 ტყველებაში ამ ნორმათა საფუძველი გრამატიკული თუ ფონეტიკუ-  
 რი ევოლუციის შედეგად აღარ არსებობს“ (ზ. სარჯველაძე). ეს ფაქ-  
 ტი უკვე ამზადებს ნიადაგს რეფორმისათვის...

\*\*\*

და პირველი პრინციპული ხასიათისა და ფართომასშტაბიანი  
 რეფორმა ქართული სალიტერატურო ენისა მოახდინა შოთა რუსთა-  
 ველმა.

როგორც ვთქვით, საკმაოდ დაშორდა „ნიგნური“ და „ხალხური“  
 მეტყველება ერთმანეთს. შოთა რუსთაველმა, ფაქტობრივ, მოხსნა  
 ეს განსხვავება და სამწერლობო ენა (ამ შემთხვევაში „ვეფხისტყა-  
 ოსნის“ ენა) დააფუძნა ცოცხალ სასაუბრო ენას – საერთო-სახალხო  
 ენას. პრინციპი – სალიტერატურო ენა საერთო-სახალხო ენას უნდა  
 ეფუძნებოდეს – რუსთაველმა გაატარა ბოლომდე. ამიტომაცაა: X-XI



საუკუნეების ძეგლების ენა უფრო მეტ სხვაობას ამჟღავნებს რუსთაველის ენასთან, ვიდრე V-VI საუკუნეების ძეგლთა ენასთან.

რუსთაველის შემთხვევაში ვერ ვიტყვით, რომ იგი რომელიმე კონკრეტულ დიალექტს დაემყარა; მისთვის საორიენტაციო იყო საერთო-სახალხო ენა. საკითხის საგანგებო შესწავლის შემდეგ არნ. ჩიქობავა დაასკვნიდა, რომ შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ მოიპოვება როგორც აღმოსავლეთ საქართველოს ბარის კილოების (უმთავრესად ქართლურ-კახურის) დამახასიათებელი მოვლენები, ისე დასავლეთ საქართველოს (იმერეთ-გურია-აჭარის) დიალექტური სინამდვილისათვის ნიშანდობლივი მონაცემები; ფაქტია სამცხური დიალექტის თავისებურებათა დადასტურებაც...

ამიტომ ვიმეორებთ: შოთა რუსთაველის მიერ ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში მომხდარი რეფორმის მთავარი მიმართულება ასეთია: სალიტერატურო ენა უნდა ემყარებოდეს საერთო-სახალხო ენას და მასში უნდა აისახებოდეს ცოცხალ ენაში მიმდინარე ცვლილებები.

რეფორმა, რომელიც შოთა რუსთაველმა ჩაატარა, ნარმატიული აღმოჩნდა...

\* \* \*

მარტივი ჭეშმარიტებაა: ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა, ჩვეულებრივ, განსაზღვრავს კულტურის დონეს. „ეროვნული ენა არის ეროვნული კულტურის ფორმა... ენა არის კულტურის ძირითადი ფორმა“ (არნ. ჩიქობავა). ამიტომაც ენის მდგომარეობა, კეთილდღეობა, ცხადია, დამოკიდებულია ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ მდგომარეობაზე...

რუსთაველის შემდგომ ეპოქაში საქართველოს პოლიტიკური ერთიანობის რღვევამ, ეროვნული და სახელმწიფოებრივი კონსოლიდაციის დასუსტებამ რეალური საფრთხე შეუქმნა ქართულ სალიტერატურო ენას. დიდია უცხო ენათა გავლენა... მაღალი პოეტური ენა რუსთაველისა გადაგვარების საფრთხის წინაშე დადგა. „სხვა ენათა განუკითხავმა მოძალეობამ გარდაუვალი შერყვნის საშიშროება შეუქმნა მას. დარბაისლური მეტყველება გარმიანული ჟარგონით იცვლება. ენა კარგავს ეროვნულ ნიშანს, ივსება ბარბაროზებით,



უცხოური კალკებით, იფიტება, მოუქნელი და მყიფე ხდება" (ბ. ჯორბენაძე).

შეშფოთდნენ ერისკაცები.

„ეგ ნუ გგონიათ, სხვა ენა მეც არ ვიცოდე სხვასავით, მაგრამ ცუდია გარევა ქართულ ენაში სხვას ავით“ – ეს მეფე-პოეტი არჩილის შეძახილია. სულხან-საბა ორბელიანმა ქართული ლექსიკონი შექმნა; თავთავისი ადგილი მიუჩინა დიალექტურ თუ უცხოენოვან სიტყვებს და სალიტერატურო ენის თვალსაზრისით ნორმატული ფორმები წარმოაჩინა. არ შველის...

XVII-XVIII საუკუნეებში განსაკუთრებით რეალური საფრთხის წინაშე დადგა ქართული ენა...

და ასპარეზზე გამოჩნდა ანტონ ბაგრატიონი – ანტონ I კათალიკოსი. ამ უდავოდ ბუმბერაზმა პიროვნებამ, თვალსაჩინო მოღვაწემ ქართული სალიტერატურო ენის რეფორმა შემოგვთავაზა: ანტონმა სამი სტილის თეორიის დაკანონება სცადა. მიზანი ანტონ კათალიკოსისა იყო მამულიშვილური, კეთილშობილური: გაესწორებინა ქართული სალიტერატურო ენის გამრუდებული მაგისტრალური ხაზი; გადაერჩინა დედაენა.

შედეგი აღმოჩნდა სავალალო: ერთიანი ქართული სალიტერატურო ენის ნაცვლად მივიღეთ სამგვარი ტიპის სამწერლობო ენა – მაღალი სტილისა, საშუალო სტილისა და დაბალი სტილისა... მაღალი სტილის გამომუშავებაში ანტონი აქტიურად ჩაერია და ორიენტაცია აიღო ძველ ქართულ ენაზე – სასულიერო მწერლობის ენაზე. არადა XVIII საუკუნეა. ძველი ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, რა თქმა უნდა, წარსულს ჩაბარდა; მოხდა მცდარი ინტერპრეტაცია ამ ნორმებისა და მივიღეთ, ფაქტობრივად, ხელოვნური სალიტერატურო ენა. ვიმეორებთ: მთავარი შეცდომა ის იყო, რომ ტრადიციისამებრ საყრდენად არ იქნა გამოყენებული საერთო-სახალხო ენა...

ანტონ კათალიკოსისეული რეფორმა წარუმატებელი გამოდგა.



გამრავლდა ქართული სალიტერატურო ენის წინაშე მდგარი პრობლემები და ასპარეზზე გამოჩნდა ილია ჭავჭავაძე; ილია ჭავჭავაძე და მისი თაობა.

რეფორმა ქართული სალიტერატურო ენისა, რომელიც XIX საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო, თავისი ხასიათით იგივე იყო, რაც შოთა რუსთაველმა ჩაატარა თავის დროზე.

ძირითადი პრინციპი ილიას თაობისა: სალიტერატურო ენა უნდა იყოს ერთი და იგი უნდა ეფუძნებოდეს საერთო-სახალხო ენას. ეს იყო ტრადიციული დამოკიდებულება; ილია და მისი თაობა თავგამოდებით იცავს ამ პრინციპს.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს იაკობ გოგებაშვილის როლი ახალი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრებაში.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში, როცა ფართოდ გაიშალა ბრძოლა ერთიანი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებისათვის, როცა არ არსებობს ერთიანი ენობრივი ნორმები, უპირველესად იაკობის სახელმძღვანელოებმა იტვირთეს ეს მისია. „დედაენისა“ და „ბუნების კარის“ ქართული იყო ნორმა, ნიმუში სალიტერატურო ქართულისა... ამას გულისხმობს ზაქარია ჭიჭინაძე, როცა წერს: „გოგებაშვილმა თავის „დედაენაში“ აღადგინა დაცემული ენა ქართველთა... და ამ წიგნის მეოხებით მთელი ქართველობა, ყველა თემისა და ხეობის მონათესავენი ერთის ქართული ენით იწყებენ წერა-კითხვის სწავლებას და ლაპარაკს, ყველგან ამ წიგნის მეოხებით ქართული ენა ეფინება“.

ისევ წამოიწია წინა პლანზე ენის, როგორც ერის გამაერთიანებელი უპირველესი ძალის, როლმა: „დედაენა“ ამაფეთქებელი ნაღმოსნით მისრიალდა ჩვენს მიუვალ მთა-კლდეებში – თუშეთსა და სვანეთში; მიდიოდა ბარად, შეუყვებოდა აჭარასა და მესხეთს და ყველგან სძრავდა ენას საქართველოდ, ყველგან აფეთქებდა გრძნობას ეროვნულსა“ (შალვა დადიანი).

ენა ეროვნების ბურჯად გამოცხადდა; ილია „ღვთაებრივ საუნჯეს“ უწოდებდა (ვთქვით ზემოთ). ილიასეულ სამებას იაკობმა ეროვნული სკოლა დაუმატა და „თერგდალეულთა“ ზოგადი თვალსაზრისი ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: ჩვენი ეროვნულობა ოთხ ბურჯს ემყარება: მამულს, ენას, სარწმუნოებასა და ეროვნულ სკო-



ლას. „ენა საღმრთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა; იმას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხო“, – გაგვაფრთხილებს ილია იაკობი დააზუსტებს: „უმთავრესი ბურჯი ეროვნებისა გახლავთ სამშობლო ენა“. აკაკი დედაენის ერთგულებისაკენ მოგვინოდებს: „კრულ იყოს მისი სახელი, ვინც დაგმობს დედაენასაო“...

\*\*\*

და ამგვარმა დამოკიდებულებამ, ამ პოზიციებმა მყარი საფუძველი შეუქმნა ახალ ქართულ სალიტერატურო ენას. XIX საუკუნემ ესტაფეტა XX საუკუნეს გადასცა. „XX საუკუნის 10-20-იან წლებში ცხოვრების რევოლუციურმა გარდაქმნებმა, ქართული უნივერსიტეტის დაარსებამ, ეროვნული თვითშეგნების აღორძინებამ, ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებამ ახალი თვალსაწიერი გადაუშალა ქართულ სალიტერატურო ენას... უკვე გეგმაზომიერი, მეცნიერულად გააზრებული ენობრივი პოლიტიკის სახეს ატარებს ის, რაც ადრე მეტ-ნაკლებად სტიქიური ხასიათისა იყო“ (ბ. ჯორბენაძე).

კიდევ რამდენიმე შეგონება მინდა გავიხსენო, ქართული ენისადმი ჩვენს, ქართველთა, დამოკიდებულებაზე რომ მიგვანიშნებს; ჩვენს მოვალეობას რომ შეგვახსენებს; სადღეისო თუ სახვალეო სამოქმედო გეგმებს დაგვისახავს...

დიმიტრი ყიფიანი წერდა: „იმ ხალხს, რომელსაც სალიტერატურო ენა არა აქვს მტკიცედ დადგენილი, ხალხოთა არ ეთქმის“...

დადგენილ ნორმებს დაცვა და პატრონობა სჭირდება: „ქართული ენის სინამდის დაცვა ისეთივე საპატიო საქმეა, როგორც ხმლით დაცვა საკუთარი სამშობლოსა“, – ამას კონსტანტინე გამსახურდია შეგვახსენებს...

და ეს საპატიო საქმე ჩვენ უნდა ვიტვირთოთ; ჩვენი ქართველობა ამას გვავალებს...

\*\*\*

ბევრი ვთქვით, ბევრიც უთქმელი დაგვრჩა...  
ფაქტია:



გზა, რომელიც ქართულმა ენამ განვლო, გრძელია, რთული და სასახლო!..

გზა, რომელიც ქართულმა ენამ უნდა განვლოს – უსასრულო!..

გვახსოვდეს, „ერი დედაა ენისა!“

ვისურვოთ: პატივისცემა, ზრუნვა, მოვლა-პატრონობა, ერთგულება ქართველი კაცისა არ მოჰკლებოდეს ქართულ ენას.

**წიგნიდან: საკითხავი ყმაწვილთათვის, კრებული მე-8,  
საქართველო არის ესე, თბილისი, 2003 წ.**

„დედაენა“ – წიგნთა წიგნი

1876 წელს იაკობ გოგებაშვილმა გამოსცა „დედა ენა ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი სახალხო შკოლებისათვის“. ქართული სახელმძღვანელოების გამსინჯველი კომისიის მიერ წიგნი დაჯილდოებული იქნა სტეფანე ზარაფოვის პრემიით. ეს იყო პირველი აღიარება „დედაენისა“. ეს იყო შედეგი თითქმის თხუთმეტწლიანი თავდადებული შრომისა... თუმცა მივყვეთ უფრო თანმიმდევრულად.

შევნიშნავთ: იაკობი ორ სიტყვად წერდა – „დედა ენა“. დღეს ერთ სიტყვად გაიაზრება – „დედაენა“. ერთფეროვნებისათვის ასე დავწერთ...

1863 წელს 23 წლის იაკობმა ჯანმრთელობის გაუარესების გამო შეწყვიტა სწავლა კიევის სასულიერო აკადემიაში და დაბრუნდა საქართველოში. მას ცხოვრების მიზანი უკვე გარკვეული აქვს: სიცოცხლის ბოლომდე ემსახუროს ეროვნულ სკოლას – მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ეროვნულობის მესამე ბურჯს (პირველი ბურჯი მამულია, მეორე – სამშობლო ენა...)... თუმცა ეროვნული სკოლის სამსახურიც მამულისა და სამშობლო ენის სამსახურია... მიზანი ნათელია და 25 წლისა უკვე სცემს სახელმძღვანელოს – „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“. როგორც ამბობენ, ეს უპრეცედენტო შემთხვევაა, როცა ასე ახალგაზრდა კაცი წერს სახელმძღვანელო წიგნს, თანაც ანბანის სახელმძღვანელოს! მაგრამ ასეთი გამონაკლისები ალბათ კაცობრიობის ისტორიამ იცის – საქმე გენიოსთან გვაქვს!

საინტერესო პარალელი: დიდი რუსი მწერალი ლევ ტოლსტოი 44 წლის ასაკში ქმნის საანბანე წიგნს და სიამაყით ამბობს: „დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი „ანბანით“ სამარადისო ძეგლი დავიდგეო“. ამას ამბობს კაცი, რომელიც უკვე ავტორია რომანისა „ომი და მშვიდობა“ და იმჟამად წერდა „ანა კარენინას“! ერისთვის რაც იყო ფასი საანბანე წიგნისა, იცოდა დიდმა შემოქმედმა...



ამ თვალსაწიერიდან თუ დავინახავთ იაკობ გოგებაშვილის პიროვნებასა და ღვანლს ქართველი ერის წინაშე, კიდევ უფრო კოლორიტულად წარმოჩნდება მისი გრანდიოზული ფიგურა... იაკობი 25 წლისა გამოსცემს საანბანე წიგნს...

მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის „დედაენა“... ეს მხოლოდ კვარცხლბეკია იმ ძეგლისათვის, რომელიც დიდმა იაკობმა „დედაენით“ უნდა დაიდგას. თუმცა ეს პირველი წიგნიც არ ჩანს უმნიშვნელო: პედაგოგიკის სპეციალისტები ამბობენ, რომ იმ დროს არსებულ საანბანე წიგნებს შორის იაკობის „ქართული ანბანი“ უდავოდ წინააღმდეგმული ნაბიჯი იყო: „წერა-კითხვისა და, საერთოდ, ქართული ენის სწავლება ამ წიგნის მიხედვით დაეფუძნა შეგნებულობის, მისანვდომობის, თვალსაჩინოების, აქტუალობისა და სისტემატურობის დიდაქტიკურ პრინციპებს; ნაცნობიდან უცნობზე, ადვილიდან ძნელზე, მარტივიდან რთულზე თანდათანობით გადასვლის წესებს. ამგვარი სწავლების სისტემის შემოღება იმ დროისათვის დიდი ნოვატორობა იყო და ქართული პედაგოგიური აზროვნების ისტორიაში რევოლუციას უდრიდაო“ (ვ. რამიშვილი). ასე ვთქვათ, კვარცხლბეკი საკმაოდ მტკიცეა!..

საგანმანათლებლო ასპარეზზე დამკვიდრებისთვის „ქართულ ანბანს“ ბრძოლა უხდება; ბრძოლა უშეღავათოა. არ უჭირთ იაკობსა და მის წიგნს შემოტყვევების მოგერიება. არ უჭირთ, რადგან ძალა და სიმართლე მათ მხარესაა... „ქართული ანბანის“ სრულ უპირატესობაზე წერდა „ივერია“ 1867 წელს: „მეთოდი, მიღებული ი. გოგებაშვილისგან თავის „ანბანში“, არის საუკეთესო მეთოდი, რომელიც გავრცელებულია მთელს განათლებულს ევროპაში. ეს ანბანი და საკითხავი წიგნი დანერვილია ძალიან გასაგები ენით, როგორც ყმანვილი ლაპარაკობს“... და ახალგაზრდა კაცს – იაკობ გოგებაშვილს – მადლობას უცხადებენ „სვინდისიანი და კეთილი შრომისთვის საზოგადო ასპარეზზედ“... ეს აღიარებაა... წარმატებაა, მაგრამ არა მოულოდნელი, კანონზომიერი...

„რევოლუციას უდრიდაო“...

პირველი წიგნი – პირველი რევოლუცია... უფრო დიდი რევოლუცია მოსახდენია – „დედაენა“ შესაქმნელია...



თუმცა, ასე ნუ ვიტყვით; ქართული პედაგოგიკური აზროვნების ისტორიაში მეორე რევოლუცია „ბუნების კარი“ იყო. 1868 წელს 28 წლის იაკობი გამოსცემს ენციკლოპედიური ხასიათის სახელმძღვანელოს – „ბუნების კარს“ (ავტორის წლოვანებას საგანგებოდ გავხაზავთ).

„დედაენის“ შექმნამდე რამდენჯერმე გამოიცა „ქართული ანბანი“ და „ბუნების კარი“. გამოცემები არ მეორდება: ყოველი მომდევნო წინამავალთან შედარებით იცვლება, იხვეწება, ივსება და, როგორც წერენ, „ი. გოგებაშვილი დღითიდღე იზრდება, როგორც შემოქმედი, ყალიბდება, როგორც მკვლევარი მეცნიერი, რომელიც ემზადება წერა-კითხვის სწავლების უფრო სრულყოფილი სახელმძღვანელოს შესადგენად“ (ვ. რამიშვილი)

და 1876 წელს გამოდის კიდევ „დედაენა“ – მწვერვალი ქართული პედაგოგიკური აზროვნებისა.

„დედაენის“ როლი და მნიშვნელობა ქართველ კაცს ყოველთვის ესმოდა... როგორც აღნიშნავდნენ, „დედაენა“ არა მხოლოდ პატარების, არამედ მთელი ხალხის სახელმძღვანელო გახდა. წერდნენ: „დედაენამ“ მკაცრად შეუტია უნიგნურობას, კუთხურობასა და ტომთა შორის კარჩაკეტილობას, განავრცო სიტყვა ქართული და ამერ-იმერი ერთიანი სახალხო ენით აამეტყველა, დააკავშირა; მნიგნობრობის გავრცელებასა და ქართველი ხალხის კონსოლიდაციაში „დედაენის“ როლი ფასდაუდებელია“ (ვ. რამიშვილი).

საგანგებოდ უნდა გაიხაზოს: XIX საუკუნის მეორე ნახევარში, როცა ფართოდ გაიშალა ბრძოლა ერთიანი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებისათვის, როცა არ არსებობს ერთიანი ენობრივი ნორმები, უპირველესად იაკობის სახელმძღვანელოებმა იტვირთეს ეს მისია. „დედაენისა“ და „ბუნების კარის“ ქართული იყო ნორმა, ნიმუში სალიტერატურო ქართულისა... ამას გულისხმობს ზაქარია ჭიჭინაძე, როცა წერს: „გოგებაშვილმა თავის „დედაენაში“ აღადგინა დაცემული ენა ქართველთა... და ამ წიგნის მეოხებით მთელი ქართველობა, ყველა თემისა და ხეობის მონათესავენი ერთის ქართული ენით იწყებენ წერა-კითხვის სწავლებას და ლაპარაკს, ყველგან ამ წიგნის მეოხებით ქართული ენა ეფინება“.

შესანიშნავად ბრძანა შალვა დადიანმა: „დედაენა“ ამაფეთქებელი ნალმოსანით მისრიალდა ჩვენს მიუვალ მთა-კლდეებში - თუ-შეთსა და სვანეთში; მიდიოდა ბარად, შეუყვებოდა აჭარასა და მესხეთს და ყველგან სძრავდა ენას საქართველოდ, ყველგან აფეთქებდა გრძნობას ეროვნულსა“.

კიდევ რამდენიმე ხოტბა - ობიექტური შეფასება - „დედაენის“ როლისა და მნიშვნელობისა:

გრიგოლ აბაშიძე: „შეიძლება თამამად ითქვას, რომ „დედაენის“ შექმნა თავისი მნიშვნელობით უტოლდება ყველაზე დიდ წვლილს, რომელიც რომელიმე ჩვენს წინაპარს შეუტანია ჩვენი ერის სულიერ საგანძურში“.

დემნა შენგელაია: „ერთხელ დაბადებული ქართველი კაცი მეორედ მაშინ იბადება, როცა იაკობ გოგებაშვილის „დედაენას“ ხელში პირველად აიღებს. აიღებს, გაშლის და, თითქოს ისევ დაიბადო, - ამ სამზეროს უცებ სხვაგვარად რომ დაინახავს და დაინახავს, სხვანაირად გაიაზრებს, ჰოდა, იმ დღეს რა დაგვაფინყებს, ამ უპირველესი წიგნის ყდაზე ამოქარგული ბულბულის სტვენა როცა ერთბაშად გავიგონეთ და შიშით, აქ არ გაგვიფრინდესო, ხელი მაშინვე დავაფარეთ, მისი ტკბილი სტვენა - ჭიკჭიკი, ღამით ღამეში გადაკიდებული ნაზი ქვითინი განა მას აქეთ არ გვესმის ხოლმე?“..

ეს ყოველივე მოგვიანებით ითქვა, მომდევნო თაობებისაგან... უფრო ადრე კი - აკაკისეული შეფასება: „მთელ საქართველოში იაკობ გოგებაშვილი ერთადერთი ქართველი მოღვაწეა, რომელიც თავისი შრომით და ენერგიით, თავისი მძლავრი კალმის ნაწარმოებით უდიდეს სამსახურს უწევს მთელ ქართველობას. იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილი ქართული სახელმძღვანელოებით მოფენილია მთელი საქართველო. ვინაა ისეთი ქართველი, რომ იაკობ გოგებაშვილის „დედაენაზე“ არ აეხილოს თვალები. ჩემი და ილიას ღვაწლი რა მოსატანია იმ დიდ ღვაწლთან, რომელიც იაკობ გოგებაშვილს მიუძღვის ქართველი ერის წინაშე; ქართველი მწერლების ნაწერებს დღეს დღეობით თუ გასავალი აქვს, იაკობ გოგებაშვილს უნდა ვუმადლოდეთ. იაკობ გოგებაშვილმა ქართველ ხალხს ქართული ენის სიტკბოება ყურში ჩაანვეთა, ქართველ ხალხს ქართული ენა შეაყვარა. განა ეს პატარა საქმეა! იაკობ გოგებაშვილი ღირსია, რომ ქართველმა ხალხმა სიცოცხლეშივე ძეგლი დაუდგას. ეს ღირსეული მა-



მულიშვილი შეუპოვარ დარაჯად უდგას ქართველ ერს და სიტყვით, საქმით, მწერლობის საშუალებით მედგრად იგერიებს ჩვენზედ მოსულ მტერს"...

მოგვიანებით თემას დემნა შენგელაია განაგრძობს: „თუ ქართველი კაცი აქამდე მტერსა და დუშმანს „ვეფხისტყაოსნით“ იგერიებდა, ამიერიდან მას ხელში „დედაენა“ ეჭირა და თავის ნამუსს, კაცურკაცობასა და ქართველობას იმით იცავდა“.

ავქსენტის ცაგარელს სცოდნია იაკობზე თქმა: ჯერ ბოდიშს მოიხდიდა და მერე იტყოდაო – „ქართველებს და ქართულ ენას ისეთი ასარბასარა დარაჯი ჰყავს, რომ მას ვერაფერს ვერაფერს დააკლებსო, არავის გაახარებს, თუ ჯიბრზე მიდგა საქმეო“...

„დედაენა“ იქცა ქართული ენის უპირველეს ფარად; „დედაენა“ იქცა ქართველი ბავშვის მეგზურად ნიგნის იდუმალ სამყაროში...

იაკობი დადგა ქართველთა განათლების სათავესთან თავისი „დედაენით“. და, ალბათ, არ არის უფრო საპატიო მისია, უფრო დიდი ბედნიერება, ვიდრე ის, რომ შენ ხარ მეგზური ქართველი კაცისა ქართული ენის ღვთაებრივ სამყაროში და, ალბათ, ამაზე მძიმე ტვირთიც არ არსებობს, საპატიო ტვირთი... და ეს მისია, ბედნიერება და ტვირთიც განგებამ წილად იაკობსა და მის „დედაენას“ არგუნა.

მცირე გადახვევა: ვერ გავიზიარებთ იმას, რაც აკაკისა და ზ. ფალიაშვილის დიდმა სიყვარულმა ათქმევინა თამაზ ნივნივაძეს: „ღვთაებრივი „დედაენისადმი“ ჩემი უდიდესი მოკრძალების მიუხედავად გავბედავ და ვიტყვი: ყოველი სახელმძღვანელო, რა ოსტატობითაც უნდა იყოს შედგენილი, დროთა განმავლობაში სხვის კარგავს – მიჭირს თქმა! – ძველდება და აუცილებლად შესაცვლელი ხდება!

აკაკი წერეთლის „განთიადი“ კი ცა-ფირუზ-ხმელეთ-ზურმუხ-ტივით მარადიულია!

ერთი სიტყვით, პირველკლასელთათვის სახელმძღვანელოს შედგენა, მეტნაკლებად, სხვებსაც ხელენიფებოდათ, ხოლო „დაისის“ შესავლის დანერა – ფალიაშვილის გარდა არავის“...

ვეთანხმებით, რაც არის პოეზიაში „განთიადი“, ისაა მუსიკაში „დაისის“ შესავალი და ... ისაა პედაგოგიკაში „დედაენა“ – ამის შე-

დგენასაც ისეთივე გენიოსი სჭირდებოდა, როგორებიც იყვნენ აკაკი და ზ. ფალიაშვილი თავიანთ სფეროში.

ორიოდე მაგალითი იმისა, თუ რა სახელმძღვანელოებს უწევს კონკურენციას „დედაენა“; „სხვებსაც ხელეწიფებოდა“ თუ არა, შეექმნათ საანბანე წიგნი. ცნობილი პლატონ იოსელიანისა და ივანე კერესელიძის სახელმძღვანელოები დახვდა იაკობის წიგნებს. ზაქარია კიკნაძის შეფასებას მიუვადოთ ყური: „ხალხის სალაპარაკო ენა და ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოს ენა ერთი მეორისგან არ სხვაობდა, არამედ ერთნაირი იყო, მაშინ როდესაც სხვების ანბანებში ეს განსხვავება მეტად დიდი იყო. მაგალითად, პლ. იოსელიანის „ანბანი ქართული“ პირველად იწყება ხუცური ანბანით, შემდეგ კი მიდის მხედრულით. მარცვლების ჩამოთვლის დროს ჯერ ჩამოთვლილია ხუცურად და შემდეგ მხედრულად. წიგნის 24-ე გვერდამდე ყოველი სიტყვა დანერილია ჯერ ხუცური ასოებით და ამის შემდეგ მხედრულით. ხოლო თვით ანბანის შემდეგ საკითხავი მასალა ბავშვებისთვის წარმოადგენს მეტად რთულს და მიუწვდომელს. მოვიტანთ ერთ-ერთი ტექსტიდან ამის ნიმუშს: „პლატონ ფილოსოფოსსა მონაფეს სოკრატისასა ჰკითხეს ოდეს სრულ-ჰყოფ სწავლასა შენსა? მან უპასუხა: მაშინ, ოდესაც აღივსება წადილი გულისა ჩუენისა, რათა არღა გვინდოდეს არცა უმეტესი კეთილ არცა უმეტესი ბედნიერება; ფილოსოფოსთა ჯერ არს, რათა მარადის ქუნდეს მეცადინეობა წარმატებისათვის (ციტატა მოყვანილია პლ. იოსელიანის „ქართული ანბანის“ 1883 წლის გამოცემიდან, გვ. 24 – გ. გ) და სხვა... თითქმის ასეთივე ხასიათისაა ივ. კერესელიძის „ანბანი ახალ მოქსნავლეთა ყრმათათვის“...“

„დედაენამდე“ ერთი წლით ადრე, 1875 წელს, რაფიელ ისარლიშვილმა გამოსცა საანბანე წიგნი: „პირველი წიგნი წერა-კითხვის სასწავლებლად შედგენილი სურათებით ამერიკულ მეთოდზე სასოფლო სკოლებისთვის“. კვლავ ზაქარია კიკნაძეს მოვუსმინოთ: რ. ისარლიშვილის წიგნში „ანბანის შესასწავლად პირველ გაკვეთილში ოთხი ასოა მოცემული, მაგ., „ბატი“. ეს უკანასკნელი სურათზე მონერილია და შემდეგ ორჯერაა განმეორებული მარცვლებად და ბგერებად. ამას მოსდევს იმავე წესით „ბუდე“, „ვაშლი“, „ქათამი“ და ა. შ. ამ წესით წარმოებს ბავშვის მიერ ყველა ასოს შესწავლა... პირველ

გაკვეთილში ბავშმა ერთბაშად უნდა დასძლიოს და შეისწავლოს ოთხი უცნობი ასო, განსაკუთრებით ძნელად შესასწავლი ორი ასო ბ და ტ. მეორე გაკვეთილში – სამი სრულიად უცნობი ასო (ბუდე) – უ, დ, ე... მესამე გაკვეთილში – კიდევ სამი სრულიად უცნობი ასო (ვაშლი) – ვ, შ, ლ... ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ ანბანის შესწავლისას არცერთ გაკვეთილში არ არის მოცემული სავარჯიშო მასალები". თავად რ. ისარლიშვილი ასეთ განმარტებას აძლევს პედაგოგებს: „სკოლაში სავარჯიშოდ პირველმა მონაწიემ უნდა ნაიკითხოს ბატი, მეორემ გაჰყოს მარცვლებად ბატი, მესამემ გაჰყოს ასოებათ პირველი მარცვალი ბა, მეოთხემ მეორე მარცვალი ტი. ეს ვარჯიშობა იმდენად უნდა განმეორდეს, ვიდრე ყმანვილს კარგად შეეძლოს ამ პირველი სიტყვის ნაკითხვა, გარჩევა მისი მარცვლებისა და ასოებისა. ამ გვარათვე უნდა ასწავლო შემდეგი სიტყვები ბუდე, ვაშლი და სხვა"... ნულარ გავაგრძელებთ... სურათი ნათელია...

„დედაენა“ ი. გოგებაშვილისა ძალიან გამოსადეგი, ძალიან სასარგებლო ნიგნი არის და საუცხოოდ არის შედგენილი“ – ამას ლვან-ლმოსილი მამულიშვილი, ქართველი ინტელიგენციის ერთ-ერთი თავკაცი, დიდად ნიგნიერი და მნიგნობარი კაცი იტყვის – დიმიტრი ყიფიანი. ძალიან საქმიან და საინტერესო შენიშვნებსაც გამოთქვამს პირუთვნელი ოპონენტი, უსყიდველი მსაჯული (ეს შენიშვნები შემდგომში გაითვალისწინა იაკობმა). რეცენზიას ასე ამთავრებს: „რადგან უეჭველია, ეს ნიგნი კიდევ ბევრჯერ დაიბეჭდება, – კარგი იქნება უკეთ გაშალაშინდეს, კარგი ნიგნი რომ არ ყოფილიყო, არას ვიტყოდი“...

ბერს ნიშნავდა „ქვეყნის მოყვარეს“ ქება-ნაქეზება იაკობისთვის, რადგან გენიოსი შემოქმედი, ცხადია, გრძნობს სიდიადეს თავისი ნიგნისა...

იცის იაკობმა, თუ რა განძი შესძინა თავის სათაყვანო ქართველ ერს. ამიტომაცაა, იგი ერთ-ერთ ოპონენტს ასეთ შეკითხვასაც უსვამს: „უდრის თუ არა „დედაენა“ თავისი ღირსებით ამჟამად საუკეთესო სახელმძღვანელოებს ევროპისასა?“ არ იყო ეს თავმომწონე ავტორის ამბიციური შეკითხვა. დრომ დაადასტურა: 1960 წელს ვენესუელას დედაქალაქ კარაკასში ჩატარდა მსოფლიო ენების ანბა-

ნის სახელმძღვანელოების გამოფენა, სადაც იაკობის „დედაენის“ პრინციპებზე შედგენილმა სახელმძღვანელომ ერთ-ერთი უპირველესი ადგილი დაიჭირა, გამოფენის სიგელი დაიმსახურა. ეს ფაქტია. აქ იაკობ გოგებაშვილის პრინციპმა გაიმარჯვა. ზუსტად თქვა ვასილ ბარნოვმა: „იაკობს როცა ვახსენებ, უნებურად გული მიტოკავს; ის ჩვენი სინამდვილისთვის გაცილებით დიდი ადამიანი იყო, ვიდრე ეს წარმოდგენილი გვაქვს“. თითქმის საუკუნის წინათ ითქვა ეს სიტყვები და, სამწუხაროდ, ამ სიტყვების ქეშმარიტება დღესაც იგრძნობა...

ქართული კულტურის ისტორიაში ძნელია დაასახელო უფრო დიდი აღმოჩენა, ვიდრე საანბანე ნიგნის პირველი გაკვეთილი „ია. აი ია“ არის. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ეპოქალური მიგნება. ეს არის ნიგნიერების ცხრაკლიტულისათვის ყველაზე მარჯვედ მორგებული გასაღები. თითქოსდა უბრალო და იმდენად მარტივი, ყველასათვის ნაცნობი და ბუნებრივი, რომ, როცა ეს გასაღები ხელთ გვიჭირავს, ვერცა ვგრძნობთ მის სიდიადეს. ცხადია, იმ ასაკში არც შეიძლება ვგრძნობდეთ ამას... იმ ასაკში არა, მაგრამ შემდეგ? მივაგებთ კი ღირს პატივს ნიგნსა და მის ავტორს? მეუჭევა: 2001 წელს 125 წელი შესრულდა „დედაენის“ გამოცემიდან. რამდენმა გაიხსენა? მეტიც, ითქვა და დაინერა - „იაკობის „დედაენამ“ ვერ გაამართლაო“... და ეს ითქვა ახლახან (ამის თაობაზე იხ. „ბ.ე.“, №1-2, 2001)...

კვლავ დავუბრუნდეთ „დედაენის“ გამოცემას. 1876 წელი იყო.

ისე არ გავიგოთ, თითქოს ყველა აღფრთოვანებით შეხვდა „დედაენის“ გამოსვლას; ანდა დამფასებელი არ ჰყოლოდა მას იმთავითვე. იყვნენ ერთნიც და მეორენიც... გავიხსენოთ ფაქტები, თარიღები, რიცხვები...

1865 წელს დასტამბული „ქართული ანბანი“ „დედაენის“ გამოცემამდე 5-ჯერ გამოიცა. თუმცა ამ ნიგნს იაკობი „დედაენის“ გამოცემის შემდეგაც ვერ შეეღობა. სულ 13 გამოცემა არსებობს მისი, ბოლო 1903 წელს დაიბეჭდა. „სახლობაში სახმარი“ ნიგნი დაარქვა: „კოკორი ანუ ანბანი და პირველი საკითხავი ნიგნი სახლობაში სახმარებელი“. შემოკლებით „კოკორს“ ეძახდნენ.



„დედაენისა“ და „ბუნების კარის“ გვერდით „კოკორის“ არსებობას, რა თქმა უნდა, გამართლება ჰქონდა. ნიკო ლომოური იგონებს: „ნიგნს ვადგენო, წარმოსთქვა დაბალის ხმით იაკობმა. „დედაენიდან“ „ბუნების კარზე“ გადასვლა ძნელია მოსწვლეებისთვის. მინდა შევადგინო ისეთი ნიგნი, რომელიც შეაერთებს მოხსენიებულ ორ სახელმძღვანელოს“. „კოკორის“ გარდა ამ მიზნით იქმნება (ასე ვთქვათ, კლასგარეშე საკითხავად) „კუნწულა“ (1883) – ევროპელი და რუსი მწერლების რჩეული მოთხრობების კრებული უფროსი ასაკის ბავშვებისათვის; „ხომლი“ (1883) – ქართული ლექსების კრებული უფროსი ასაკის ბავშვებისთვის; „აკიდო“ (1901) – მოთხრობების კრებული და „კონა“ (1901) – საბუნებისმეტყველო მოთხრობების კრებული... და კიდევ, ცალკე ნიგნაკებად იბეჭდება იაკობის საყმანვილო მოთხრობები: „ხატის მიზეზი?“ (1882), „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“ (1897), „ასპინძის ომი“ (1902), „იავნანამ რა ჰქნა“ (1904), „სხივი წარსულისა“, „საარაკო თავგადასავალი ტახტის მემკვიდრისა“ (1912), „თავდადებული ქართველნი“ (1913) და სხვა.

ღირსსაცნობი ფაქტი: იაკობი ნიგნის სათაურს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს, ღრმა აზრობრივ დატვირთვას აძლევს მას. მისი გენიალობა ნიგნის სათაურის შერჩევაშიც ჩანს – „დედაენა“, „ბუნების კარი“, „კოკორი“, „კუნწულა“, „ხომლი“, „აკიდო“, „კონა“... არ იყო შემთხვევითი დიდი გალაკტიონის ნათქვამი: „დედაენა“ და „ბუნების კარი“ სახელმძღვანელოები კი არა, უდიდესი პოემებია. მე თანახმა ვიქნები გამოვიდეს ეხლა ეს ნიგნები, არა როგორც სახელმძღვანელო, არამედ საკითხავ ნიგნად“. პოეზიისა და პოეტურობის უკეთესი ექსპერტი ჩვენ არ გვყოლია; ვენდოთ გალაკტიონს!.. „დედაენა“ უაღრესად პოეტური სათაურია. გალაკტიონის ნათქვამი სათაურსაც შეეხება, „ია“-საც და, საერთოდ, მთელ ნიგნს. ამიტომაც სჭირდება გაფრთხილება... მეოცე საუკუნის მინურულს გახშირებული გამოცემები „დედაენებისა“ (!) ჩვენი დიდი ეროვნული საუნჯის დაურიდებელი ხელყოფაა... ამის თაობაზე ითქვა, დაინერა („თბილისში“, „განათლებაში“, „ლიტერატურულ საქართველოში“, „ბურჯი ეროვნებისაში“...). ამ პუბლიკაციების სათაურებს გავიხსენებთ მხოლოდ: „დედაენა“! „დედაენა“!; „საშვილიშვილო ნერგს ფესვებს არ სჭრიან!“; „ასეთი რამ, ვახანიავ, არ გვინახავს რა ხანია!“; „აი ია,



აი უთავბოლობა"; „ექსპერიმენტები გრძელდება, შედეგები რთულდება"; „დედაენა გუშინ, დღეს, ხვალ"... მაგრამ, ჩვენდა სამნუხაოდ, საქმის გამოსწორებას სასიკეთო პირი არ უჩანს... განათლების დარგის მესვეურთა ყურადღება ამ ფაქტმა ვერ მიიქცია... ეს შეიძლებოდა ბოლოს გვეთქვა, სათაურზე საუბრისას გაგვახსენდა, რადგან სათაურის პრობლემაცაა: სათაური „დედაენა“, ისევე როგორც „ვეფხისტყაოსანი“, ავტორისაა და მისი გამოყენება მითვისებაა სხვისი საკუთრებისა!..

კვლავ ფაქტები, თარიღები, რიცხვები...

გამოცემიდან 30 წლის შემდეგ 1906 წელს, იაკობმა „დედაენა“ ორ წიგნად გამოსცა: პირველში მოთავსებულია წერა-კითხვის შესასწავლი მასალა, მეორეში – საყმაწვილო მხატვრული თხზულებანი, ხალხური შემოქმედების ნიმუშები და საბუნებისმეტყველო, გეოგრაფიული, ისტორიული და ეთნოგრაფიული შინაარსის მეცნიერულ-პოპულარული სტატიები.

საერთოდ, იაკობის წიგნების თემატიკა ცალკე მსჯელობის საგანია – ამის თაობაზე სხვაგან...

1912 წელს იაკობის სიცოცხლეში უკანასკნელად გამოიცა „დედაენა“. ეს იყო 33-ე გამოცემა. 1925 წლამდე გამოცემას ხელმძღვანელობდა კომისია ლ. ბოცვაძის თავკაცობით. ამ წელს 45-ედ გამოიცა „დედაენა“. საერთო ტირაჟმა 1 300 000-ს მიაღწია... ჩვენს სინამდვილეში წარმოუდგენელი რიცხვია!...

როგორც ვთქვით, იაკობის სიცოცხლეში 33-ჯერ გამოიცა „დედაენა“. არცერთი გამოცემა უცვლელად არ იმეორებს წინამორბედს: იცვლება, იხვეწება, მდიდრდება... ეს ცვლილებებიც საგანგებო მსჯელობის თემაა, სპეციალისტებისათვის და, საერთოდ, მკითხველთათვის უაღრესად საინტერესო...

თუმცა არ იქნება ურიგო თვალის ერთი გადავლება იმისთვის, თუ როგორ და რა რით იცვლება „დედაენაში“: გაკვეთილების თანმიმდევრობა; რომელი ასო-ბგერა რა სიტყვით ისწავლება. ჩვენ გვერდივერდ დავაყენებთ „დედაენის“ პირველი (1876 წლისა) და იაკობის სიცოცხლეში ბოლო (1912 წლის) გამოცემები. არც ის იქნება უინტერესო, ამათ გვერდით იაკობის დიდი წიგნის დღევანდელი მემკვიდრე დავსვათ:



1876 წლისა		1912 წლისა		2000 წლისა	
ია	ი - ა	ია	ი - ა	ია	ი - ა
1. ია	ი - ა	თითი	თ	თითი	თ
2. ხე	ხ - ე	საათი	ს	თასი	ს
3. სახე	ს	თხა	ხ	თხა	ხ
4. მახე	მ	თოხი	ო	თოხი	ო
5. თითი	თ	ხე	ე	ხე	ე
6. თოხი	ო	უთო	უ	უთო	უ
7. სოკო	კ	ძუა	ძ	ძუა	ძ
8. იხვი	ვ	მუხა	მ	მუხა	მ
9. ვაზი	ზ	მაშა	შ	შოშია	შ
10. კუ	უ	სოკო	კ	სოკო	კ
11. მაშა	შ	იხვი	ვ	თივა	ვ
12. ჯონა	ნ	ოფოფი	ფ	გემი	გ
13. დანა	დ	აკვანი	ნ	ოფოფი	ფ
14. ვირი	რ	თეფი	ზ	ვაზი	ზ
15. ღორი	ღ	ურემი	რ	ირემი	რ
16. ძროხა	ძ	კამეჩი	ჩ	კამეჩი	ჩ
17. მამალი	ლ	დანა	დ	ხოხოპი	პ
18. ქათამი	ქ	ღორი	ღ	ხიდი	დ
19. გველი	გ	კურდღელი	ღ	ბელურა	ღ
20. ოფოფი	ფ	ქათამი	ქ	ლომი	ლ
21. კამეჩი ჩ	ქათამი	ქ	ლომი	ლ	
22. კიბო	ბ	ნამგალი	გ	ყაყაჩო	ყ
23. პეპელა	პ	ბუდე	ბ	ფირაფი	ფ
24. ბაყაყი ყ	პეპელა	პ	პეპელა	პ	
25. ცხენი	ც	ბაყაყი	ყ	ლიმონი	ნ
26. მტევანი	ტ	მერცხალი	ც	ნერო	ნ
27. მწევარი	წ	ტოროლა	ტ	ცელი	ც
28. კაჭკაჭი	ჭ	აბუზული			
		ნინილა სდგას	ნ	კატა	ტ
29. ფინჯანი	ჯ	კაჭკაჭი ტოტზე			
		ზის	ჭ	ქათამი	ქ
30. ვაფი		ჯარა მინაზე			
ლოცულობს	ფ	სდგას	ჯ	ჭა	ჭ



31.	ჩიტი ტოტზე ჰკიდია	ჰ	პატარა ვაჟი ლოცულობს	უ	ჯობნი
32.			ჩიტი ტოტზე ჰკიდია	ჰ	რეჰანი

ვთქვით, ყველა აღფრთოვანებით არ შეხვედრია ახალი სახელმძღვანელოს გამოჩენას. „დროებაში“ ეფრემ მარჯანიძის წერილი იბეჭდება (საბაასო, უფ. ი. გოგებაშვილის „დედაენაზე“: №138, 1876). ავტორი სინანულით დაასკვნის: „უფ. ი. გოგებაშვილისა, როგორც „დედაენას“, აგრეთვე ყველა იმის მარგალიტებივით ნაწარმოებს ჩვენი საზოგადოება ვერ მიეგება იმ გულმხურვალებითა და მაღლობითა, რომლებსაც ეგრე ღირსნი არიან ისინი“.

მთელი ცხოვრება გოგებაშვილისა – ეს იყო ზრუნვა და ფიქრი საკუთარ სახელმძღვანელოთა სრულყოფაზე და ბრძოლა ამ სახელმძღვანელოთა დაცვისათვის; უამრავ შემოტევათა მოგერიება. „დედაენამდე“ არსებული საანბანე სახელმძღვანელოები (პ. იოსელიანისა, ი. კერესელიძისა, ს. მდივნოვისა, ა. ფურცელაძისა, პ. უმიკაშვილისა და სხვათა) ფაქტობრივ კონკურენციას ვერ უწევენ „დედაენას“. მეთოდურადაც და ენობრივადაც მოძველებულნი არიან. სრული უპირატესობით გამოდის ასპარეზზე „დედაენა“! მაგრამ, სამწუხაროდ, ბრძოლა მაინც უწევს იაკობს. ერთ ადგილს მოვიყვანოთ თედო სახოკიას მოგონებიდან: „ეს ის დრო იყო, როდესაც მშობლიური ენა დევნილი იყო სკოლებში, პატივყარილი ოჯახებში; არისტოკრატიას ერცხვინებოდა ქართულად ხმის ამოღება, თავმოსანონად მიაჩნდა რუსულად ლაპარაკი, თითზე ჩამოსათვლელი ინტელიგენცია რუსულად ფიქრობდა, რუსულადვე მეტყველებდა... ქართული ენის შესასწავლად ორგვერდიანი ნაბეჭდი ანბანი არსებობდა...“

და აი, ასეთს განწირულს დროს გამოდის ი. გოგებაშვილი თავისი „დედაენით“ და ცდილობს იმის საშუალებით შესულიყო სკოლებში ქართული ენა, მონაფეს მშობლიური ენის შეთვისების საფუძვლად „დედაენა“ ჰქონოდა; საძირკველი – მის თვალის ახელას, გაადამიანებას „დედაენის“ საშუალებით ჩაჰყროდა. სრულებით ბუნებრივი გახლავთ, რომ ი. გოგებაშვილს თავისი „დედაენა“ მიეჩნია ქართველისთვის ეროვნული სახის შენარჩუნების საშუალებად და ვინც



ამ წიგნის საწინააღმდეგოს რასმე იტყოდა, გამოეცხადებინა ქართული ენის, ყოველივე ქართულის მტრად, საქართველოს ძირის გამომთხრელად\*.

არადა, ასეთებიც იყვნენ... და არა ერთი და ორი. ივანე გომელაური იგონებს: „იაკობი თავგამოდებით, ბასრი კალმითა და მჭრელი ენით იცავდა თავის სახელმძღვანელოებს ყოველმხრივ მოსეული მტრებისაგან. მტრები კი ბევრი ჰყავდა – შინაური და გარეული. შინაურები იყვნენ წვრილფეხა და განდიდება-გამდიდრების სურვილით შეპყრობილი მასწავლებლები, რომლებიც ცდილობდნენ „დედაენისა“ და „ბუნების კარის“ დამცირებას, რათა მათ მაგიერ სკოლებისათვის მიეჩეჩებინათ თავიანთი შეთითხნილი სახელმძღვანელოები და ამით გემრიელი ლუკმა აეღოთ ხელში. განსაკუთრებით „დედაენას“ ეცილებოდნენ, რადგანაც ის უფრო შემოსავლიანი იყო. გარეშე მტრები კი იყვნენ მთავრობის მოხელეები, მოყოლებული სასწავლო ოლქის მზრუნველიდან ყველა მისი ყურმოჭრილი ჩინოვნიკით, რომელთაც არაფრად ეპიტიზავებოდათ არც ზვიადი და განათლებული ჩვენი პედაგოგი და არც მის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოები“...

ვინ არიან ეს „შინაური მტრები“, „განდიდება-გამდიდრების“ სურვილით შეპყრობილნი და რას ემართლებიან იაკობს?

„დედაენა“ ხელს უშლით იმათ, ვინც თავიანთ სახელმძღვანელოებს ადგენენ – „დედაენის“ სანაცვლოს და ცდილობენ მათ დამკვიდრებას, ავისა და კარგის გამრჩევი მასწავლებელი და მოსწავლე „დედაენას“ ამჯობინებს მათ ნაცოდვილარს... ამიტომაც ებრძვიან იაკობს. ვინ იყვნენ? ზ. გულისაშვილი, ი. როსტომაშვილი, ალ. ნათაძე, გ. ბურჭულაძე, ღრიანკალი, მიხ. ნასიძე, პრ. ქუთათელაძე... განსაკუთრებით ნათაძე და ქუთათელაძე აქტიურობდნენ, სათავადაზნაურო გიმნაზიის მასწავლებლები. მთავრობის ჩინოვნიკების მიმხრობაც სცადეს... ახალგაზრდა პედაგოგების მტრად სახავდნენ იაკობს, ჩვენი ეროვნული განათლების მტრად...

მაგრამ იაკობი იაკობია – ქედუხრელი, მწვავე პოლემისტი. ვასილ ბარნოვს გოგებაშვილის შესახებ აქვს ასეთი ჩანაწერი: „კაცო, ამბობენ, რასაც იტყვის, გველის ხვრელში გაძვრება და აასრულებს კიო“.

იოსებ იმედაშვილი წერს:

„იაკობი ისეთი იყო, მოკამათეს, როგორც იტყვიან, რჯულამდე ჩაჰყვებოდა, თუ მისი აზრი საექვოდ მოეჩვენებოდა“.

ამასაც ამბობენ, „თავისნათქვამა“ კაცი იყო... ამის დასტურად საინტერესო ფაქტი:

ცნობილია, იაკობს აკაკისთან პოლემიკა ჰქონდა ენობრივ საკითხებზე. აკაკის მიუწერია გ. წერეთლისთვის: „ძმავო გიორგი! გოგებაშვილის პასუხით დავრწმუნდი, რომ მას ველარას გადაათქმევიანებ და მეც აღარ ამოვიღებ ხმას, რაც უნდა სწეროს! ამასთანავე გთხოვთ, თუ რამე გამოგზავნონ იმის შესახებ, არ დაბეჭდოთ! ხომ იცი, რაც უნდა იყოს, იაკობისთანა კაცები ძვირფასები არიან ჩვენთვის და საფრთხილოდ მოსაპყრობი...“

ყოფილა „თავისნათქვამა“, მაგრამ „თავისნათქვამობა“ საკუთარი აზრის ჭეშმარიტებაში დარწმუნებულობის გამოხატვა იყო. უთქვამს: „შეადგინონ ჩემს სახელმძღვანელოზე უფრო უკეთესი შინაარსიანი სახელმძღვანელოები და მაშინ სიამოვნებით გზას დავულოცავო, მაგრამ, ვიდრე მე ცოცხალი ვარ, ნებას არავის მივცემ, რომ უნიჭოდ შედგენილი და უხეირო შინაარსიანი სახელმძღვანელოებით დაამახინჯონ ქართველი ბავშვები“ (ი. გომელაურის მოგონებიდან).

კრიტიკას არ გაურბოდა. პირადი ღირსების შელახვად არ მიიჩნევს საკუთარი შეცდომის აღიარებას. ამბობდა: „შეუცდომელი მხოლოდ ღმერთია და, ღმერთის გარდა, უსაქმო ძილის გუდა. ვინც ჰმოქმედობს, იღვწის, შეცდომას ვერას დროს ვერ ასცდება. გარნა გონიერი მომქმედი, შეიგნებს რა თავისს შეცდომას, ჯიუტად როდი შეჩერდება მასზედ, იგი სცდილობს, რაც შეიძლება მალე გამოასწოროს თავისი შეცდომა და საქმე კეთილად წარმართოს“...

და იაკობს მიუღია შენიშვნა არა ერთისგან; თუნდაც იმ დროისათვის სრულიად ახალგაზრდა კაცისგანაც. მაგალითი: იოსებ მჭედლიშვილი იგონებს: 15-16 წლისა ვიქნებოდი, იაკობს რომ გავეცანიო. „როდესაც ლაპარაკში შევეჩვიე, ისე წავთამამდი, რომ აქა-იქ ფრთხილად ენაც დავუნუნე მის სახელმძღვანელოებს... თქვენს წიგნებში ზოგან არ არის ხალხურად დაწერილი წერილებიო... - აბა, სადა, მაჩვენეო“, - უთქვამს იაკობს და „ბუნების კარი“ მიუწვდია. ცოტა არ იყოს, შევფიქრიანდიო, განაგრძობს ი. მჭედლიშვილი. დინჯად

გადაუშლია წიგნი და უპოვია სასურველი მაგალითი. „აი, ბატონო იაკობ, ავილოთ, მაგალითად ამბავი გველზე: ასე იწყება: „ყველამ იცის, რომ გველი შხამიანი ცხოველია“. ხალხი იტყვის: „ყველამ იცის, გველი შხამიანი ცხოველია“. ი. მჭედლიშვილს მსგავსი მაგალითები სხვაც დაუძებნია. იაკობს უთქვამს: „იცოც, ყმანვილო, შენ მართალი ხარ, ზოგიერთ ადგილს არ უნდა „რომ“. მერე წიგნიც უჩუქებია და უთხოვია, რაც კი გასწორების ღირსად ცნო, გაასწორე და მომიტანო...“

ისიც ცნობილი ფაქტია: იაკობს ჯილდო ჰქონდა დანესებული იმისთვის, ვინც მის სახელმძღვანელოში შეცდომას აღმოაჩენდა. თითო შეცდომაში შაურს ჩუქნიდა, როცა „დედაენის“ პირველი ნაწილი ორი შაური ღირდა...

ოღონდ შეადგინონ უკეთესი სახელმძღვანელოო, იტყვის იაკობი და სანამ უკეთესს ვერ ხედავს, თავგამოდებით იცავს „დედაენას“...

თითქოს უმნიშვნელო დეტალი, იაკობი ერთ-ერთი მოწინააღმდეგის წიგნზე საუბრისას (ალ. ნათაძის „ბავშვის მოკეთე, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი სკოლებში სახმარებლად“) შენიშნავს: „უ არ არის გამეორებული, შ - არ არის, ზ - არ არის, ნ - ერთხელ, დ - ერთხელ“... გვასწავლის: „ანბანი მით უფრო ჩქარა მოენევა, რამდენადაც უფრო ხშირად იმეორება სიტყვებში და ფრაზებში ის ასო, რომელიც ბავშვმა უნდა შეისწავლოს“... ამ მხრივ „დედაენა“ სანიმუშოდაა აღიარებული...

იაკობისა და „დედაენის“ წინააღმდეგ განსაკუთრებით გაზეთი „კვალი“ აქტიურობს. გ. ნერეთელი ჩაერთო პოლემიკაში საკმაოდ მწვავედ და უსიამოვნოდ. არ რჩება ვალში იაკობი. მეტიც, ასე ვთქვათ, გაანადგურა კიდეც ოპონენტი. ეს საპოლემიკო სტილია იაკობისა: „ბატონი ნერეთელი თვითონ ელობება წინ ყოველს ნიჭიერს და ღირსეულს ქართველს და თუ აქებდა, მხოლოდ იმისთანებს, რომელიც მასზედ უარესნი იყვნენ, რათა ქონდრის კაცებში იგი გულივერად გამოჩენილიყო“...

ეკამათებიან, აკრიტიკებენ და უკვირთ კიდეც, იაკობი „დედაენას“ რომ იცავს; იაკობ ბურჭულაძე იგონებს: „იაკობი ეკამათებოდა გ. ნერეთელს და ს. დოდაშვილს, რომლებმაც უსაყვედურეს იაკობს:

„ხმა ვერ ამოგვიღია გოგებაშვილის მიერ შედგენილი წიგნის შესახებ, მაშინვე იაკობი ქვა-გუნდასა და ცეცხლს დაგვაყრისო“.

შეიძლება უცნაურად მოგვეჩენოს, მაგრამ გ. წერეთელი ასეთ რამესაც იკადრებს: „მწერლობაში მხოლოდ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ გვგონია შეუდარებელი ნაწარმოები და ისიც კი ამ ბოლო დროს დაგვიძველდა. მაშ რაღა გამოჩნდება ეს „დედაენა“, რომ დრო და ჟამის ქარ-ცეცხლი არ უნდა ეკარებოდეს?...“

რაკი ამ პოლემიკას შეეყვებით, გ. წერეთლისადმი საპასუხო წერილიდან ერთი ადგილიც ჩავიკითხოთ. აქ ისიც იწინასწარმეტყველავს გენიოსმა შემოქმედმა, თუ რა ბედი ელოდა „დედაენას“ მისი სიკვდილის შემდეგ: „ასე რომ, თქვენი სიკვდილის შემდეგაც, როცა „დედაენა“ მოაკლდება გაუკეთესებასა, მას შეუძლია იცოცხლოს რამდენიმე ათი წელიწადი? – გულგახეთქილი იკითხავს ჩვენი გიორგი ბრძენი. – დიას, ბატონო, თვით იმ შემთხვევაშიც, თუნდა თქვენმა დუეტმა იმ ქართან იმატოს და გაორკეცდეს. ეს მოხდება იმის გამო, რომ ცნობილი უკულმართობა იმარჯვებს მხოლოდ გახრწნილს და მომაკვდავს საზოგადოებაში; და ამისთანა სენით, იმედია, შეპყრობილი არ არის ჩვენი საზოგადოება...“ (კარგია, რომ ამ იმედით განეშორა ამ ცოდვილ ქვეყანას იაკობი!..).

ავტორი „დედაენისა“ იცავს „დედაენას...“ ეს არ არის საკუთარი ნაშრომისადმი ახირებული თავგამოდება. იაკობი აქ ობიექტური მოღვაწის თვალთა აფასებს თავის ქმნილებასაც და სხვის ნაცოდვილარსაც. მას თავისი კრიტიკრიუმები აქვს საანბანე წიგნის შეფასებისა. ამ კრიტიკრიუმებიდან ამოსვლით იცავს სწორედ „დედაენას“. მოვუსმინოთ:

„დედაენა“ დაუთმობს თავისს ადგილს არა რომელსამე ლატაკს წიგნაკს, არამედ იმისთანას, რომელიც უფრო მდიდარი იქნება მასზედ, იქნება უფრო სრული სახელმძღვანელო კითხვისა და წერისა ერთად, უფრო უკეთესად დააკმაყოფილებს მოთხოვნილებას იქითა და აქეთა საქართველოსას, საერო და სამრევლო სკოლებისას ერთად, და უფრო მეტად დაეხმარება გაერთიანებას ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებისას. და, აი, ამისთანა სახელმძღვანელოს შემდგენელს სრულს ნებას ვაძლევთ ისარგებლოს „დედაენის“ მასალითა, რამდენიც ნებავდეს“.



ვიმეორებთ, ეს არ არის ახირება იაკობისა; აქ არ ლამაზსიტყვაობს გოგებაშვილი. არაერთი მაგალითი ვიცი, როცა მას გზა დაუთმია სხვისთვის (გვინდოდა გვეთქვა, უკეთესისათვის-თქო, მაგრამ ძნელი სათქმელია, იყო კი უკეთესი ის, რასაც გზა ეთმობოდა?...).

მოვიხმობ ციტატას იაკობის ერთ-ერთი წერილიდან: „ამ ათის წლის წინად ჩვენ ვსწერდით ქართულს გრამატიკას და ნახევარი შრომა უკვე გაკეთებული გვქონდა, როცა შევიტყვეთ, რომ ბ-ნმა ჟორდანიამ და ბ-ნმა ქუთათელაძემ ქართული გრამატიკები შეადგინესო. ჩვენ მაშინვე შევაჩერეთ გრამატიკის გათავება, რომ ამ პირებისათვის კონკურენცია არ გაგვეწია და ვურჩიეთ გრიქუროვს და ხიდიკელს, დაებეჭდათ ეს გრამატიკები, თუმცა არა ერთი პირი გვავალებდა და ეხლაც გვავალებს გრამატიკის გამოცემასა“... ეს ერთი მაგალითია...

ახლა სხვა მაგალითი: „ერთ დროს ჩვენ ხელი მივყავით საღმრთო ისტორიის შედგენას, რადგანაც კარგად შემუშავებულ საღმრთო მოთხრობებს აღმზრდელი გავლენა აქვთ ყმანვილებზე. ძველი აღთქმა უკვე გათავებული გვქონდა და გამომცემელთანაც პირობა შეკრული, როცა ბ-ნი იოსელიანისაგან შევიტყვეთ, რომ მას უკვე მზად აქვს დასაბეჭდად საღმრთო ისტორია. ამის შემდეგ ჩვენის შრომის გათავებაზედ არამც თუ ხელი ავიღეთ, არამედ ბ-ნი იოსელიანი მივიყვანეთ გამომცემელთან და ამ უკანასკნელს ვურჩიეთ, დაებეჭდა მისი წიგნი და იმედი აღარა ჰქონოდა ჩვენგან ისტორიის გათავებისა...“ ესეც მეორე მაგალითი...

ვერ გეტყვით, როგორი იყო იოსელიანის „საღმრთო ისტორია“, არ ნავიკითხავს, მაგრამ თუ როგორია იაკობის „ბიბლიური ისტორია“, ამის თქმა შეგვიძლია. XX საუკუნის ბოლოს გამოიცა: იაკობის საკადრისი წიგნია. ამ წიგნზე ითქვა უარი...

მესამე მაგალითი: „როცა არითმეტიკა ბ-ნი ჯაჯანაშვილისა და ბ-ნი ნატროშვილისა შესდგა, ჩვენ დაწყებული გვქონდა ელემენტარული არითმეტიკა სახალხო სკოლებისათვის; მაგრამ მისი დამთავრება აღარ მოვინდომეთ, რათა ამ პირებისათვის ხელი არ შეგვეშალა“... ესეც მესამე მაგალითი...

მეოთხე მაგალითი: „ქართული დედანი ჩვენ დამზადებული გვქონდა 1882 წელიწადსა და პირობაც შეკრული გამომცემელთან და ლიტოგრაფ დემუროვთან, როდესაც ბ-ნმა გაბიჩვაძემ თბილისში



ჩამოიტანა თავისი ქართული დედანი. ჩვენც არამც თუ უკან დავისიეთ, არამედ ხელის მონერაც გავმართეთ, ბ-ნი გაბიჩვაძის სასარგებლოდ „დროების“ რედაქციაში, და პირადად გადავეცით ბ-ნს გაბიჩვაძეს ჩვენი საკუთარი 12 მანეთი, რათა მიგვეცა ლონისძიება დედანის გამოცემისა“... არ დაუნყია იაკობს მტკიცება, ჩემი სჯობსო... არადა, როგორც ჩანს, აშკარად სჯობდა იაკობის დედანი გაბიჩვაძისას და... თუმცა კვლავ იაკობს მოვუსმინოთ: „როცა ბ-ნი გაბიჩვაძის დედანმა არაფერ არ დააკმაყოფილა და თვითონ შემდგენელიც დარწმუნდა მის გამოუსადეგრობაში, ჩვენ დავბეჭდეთ ქართული დედანი“...

ასე რომ, როცა იაკობი წერს – „დედაენა“ დაუთმობს თავისს ადგილს არა რომელსამე ლატაკს წიგნაკს, არამედ იმისთანას, რომელიც უფრო მდიდარი იქნება მასზედ“, – უნდა ვირწმუნოთ. ეს არ არის კერძო ინტერესებით ნაკარნახევი გამოქომაგება საკუთარი წიგნისა... კვლავ იაკობი: „მართალია, ჩვენ მტკიცედ ვიცავდით ჩვენს სახელმძღვანელოებს ქართულის ენისას მტრული მოქმედებისაგან; მაგრამ „კვალის“ რედაქცია ვერ დაგვისახელებს ვერც ერთს შემთხვევასა, როდესაც კი ამ დაცვას არ მოითხოვდა თვით ინტერესი ქართული ენისა“...

ეს ინტერესი – ქართული ენისა – იყო იაკობისათვის უპირველესი და მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ამას ემსახურებოდა...

ემსახურებოდა იმიტომ, რომ მიაჩნდა: „დედაენა არის უმთავრესი ეროვნული ძალა“. თორემ იცის ფასი დიდმა მამულიშვილმა უცხო ენებისა. იცის ფასი, მაგრამ მტკიცედ იცავს პრინციპს: „საჭიროა საქართველოს ეროვნულ ეტლში შევაბათ ძირში ქართული ენა და კევრად მივუბათ რუსული ენა და სხვა ენები“. და ეროვნულ ეტლში შებმულ „დედაენას“ კევრად მიუბა „Русское слово“ (1887წ. იაკობის სიცოცხლეში 22-ჯერ გამოიცა). ესეც იაკობის საკადრისი სახელმძღვანელო იყო. თავადაც „დედაენისა“ და „ბუნების კარის“ გვერდით აყენებდა... თუმცა ჩვენთვის ამჯერად „დედაენაა“ მთავარი...

„დედაენის“ წარმატება არ ახარებს მტერს. დიახ, მტერს დედაენისას, მტერს ქართული სკოლისა, მტერს ქართული საქმისა... და იაკობს ებრძვიან; ებრძვიან აკრძალული ხერხებითაც; შეურაცხყო-



ფუნ მის პიროვნულ ღირსებას. „კვალი“ წერს და ავრცელებს: „გოგებაშვილს ბაშვილს „დედაენითგან“ წლითი წლობამდის შემოდის 250 თუმნამდე“... ეს დიდი თანხაა!... მაგრამ არ არის ეს სიმართლე... კარგად იციან იმათ, ვინც წერს, მაგრამ მაინც წერენ. წერენ იმისათვის, რომ მკითხველს აფიქრებინონ: იაკობ გოგებაშვილს საქმე კი არ ადარდება, შემოსავლის წყარო არ უნდა გაუშვას ხელიდანო (თუ რა დიდი თანხაა 250 თუმანი, შეიძლება გავიაზროთ: საანბანე ნაწილი „დედაენისა“ ორი შაური ღირდა“...).

ვინც იაკობ გოგებაშვილის ბიოგრაფია იცის, მიხვდება, რომ ეს უნამუსო ბრალდება იყო. ცნობილი გამოთქმა რომ არის – თუ გინდა კაცი წონასწორობიდან გამოიყვანო, დააბრალე ის, რის წინააღმდეგაც მთელი ცხოვრება იბრძვისო, – ასეა იაკობის საქმეც. გოგებაშვილის ნაცვლად გოგებაშვილს წერენ... ამითაც სტკენენ გულს...

და ეს საოცრად ამაყი და თავმოყვარე კაცი იძულებულია თავი იმართლოს და ასეთი რამ დაბეჭდოს:

„გოგებაშვილს „დედაენითგან“ წლითი-წლობამდის შემოდის (?) 250 თუმნამდე“, ბრძანებს ჩვენი სიმართლის მოყვარე ბატონი. ეს რომ ნახევრობით მაინც მართალი იყოს, მე ახლა მდიდარი ქართველი ვიქნებოდი. ავიღოთ, მაგალითად, უკანასკნელი გამოცემა „დედაენისა“, რომელიც 18 000 დაიბეჭდა. „წერა-კითხვის“ საზოგადოებას ამ გამოცემაზედ ჩემი ჰონორარიტურთ უნდა დაეხარჯნა, პირობისამებრ, 3 600 მანეთი. აქედგან წიგნის გამოცემას მოუნდა 2200 მანეთი და ჩემ წილად დარჩა 1400 მანეთი, რომელიც მე უნდა მეძლიოს თვიურად, ვიდრე წიგნი გაიყიდებოდეს. რადგანაც „დედაენა“ ამჟამად იყიდება 10 000-მდე წელიწადში, ამიტომ უკანასკნელის გამოცემის გასაღებას მოუნდება თითქმის ორი წელიწადი. მაშასადამე, წელიწადში „დედაენა“ მაძლევს 700-800 მანეთს და არა 2 500 მანეთსა. საზოგადოდ ქართული ენის აკრძალვამ მეგრულს სახალხო სკოლებში, შევინროებამ სხვა სკოლებში და ფაქტიურმა გაუქმებამ ზოგს სასწავლებლებში ისე შეამცირა ჩემი წლიური შემოსავალი, რომ იგი ძლივსლა მყოფნის, თუმცა წინანდელზე უფრო ხელმოჭერილად ვცხოვრობ, და მოკლებული ვარ შეძლებას, ჩემდა სამწუხაროდ, ხელი გაუმართო ზოგიერთთა გაჭირვებულს მოსწავლესა“...

არ იყო იაკობი ის კაცი, ვისაც ასეთი თავისმართლება უნდა დასჭირვებოდა. ფულს ნატრობს, გაჭირვებულ მოსწავლეს ხელი რომ



გავუმართოო... ქველმოქმედი იყო ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით და ასეთ კაცს „მოგებაშვილს“ ეძახიან, - საქმეს რომ მოაცდინონ და სწორედ დრო თავისმართლებაში დააკარგვინონ... ანალოგიისათვის: არნოდდ ჩიქობავამ იოსებ ყიფშიძისადმი მიძღვნილ სხდომაზე თქვა: ი. ყიფშიძეს რომ ეცოცხლა, ის ენერგია, რაც გართულებულმა ურთიერთობებმა შეიწირა, საქმეს მოხმარდებოდაო. ასეა იაკობის შემთხვევაშიც: ის ენერგია, რაც გართულებულმა ურთიერთობებმა და უხერხულმა თავისმართლებამ შეიწირა, დიდ ეროვნულ საქმეს მოხმარდებოდა!... ოპონენტები არ ფიქრობდნენ ასე...

არადა, იაკობს მართლა შეეძლო, მდიდარი კაცი ყოფილიყო, მაგრამ მისი მთავარი მიზანი საქვეყნო საქმის კეთება იყო. როგორც თვითონ იტყოდა, „სახსრის ტრფიალი და კუჭის პრინციპი“ უცხო იყო მისთვის.

„სახსრის ტრფიალი და კუჭის პრინციპი“ - ხშირად იმეორებს ამას იმათ მიმართ, ვისთვისაც ეროვნულ ინტერესებზე მაღლა პირადული დგას... ვისაც შეუძლია, საქვეყნო საქმე მტლად დააღოს პირადულს... არადა „ისე დამღუპველი და დამამხოველი არსად არის, როგორც ხალხის განათლებაში ძებნა პირადი ინტერესებისა, ნივთიერის სახსრის გაძლიერებისა, ფულის მოპოვებისა, - მეტადრე იქ, სადაც დედა ენას ზოგიერთნი ეპყრობიან ისე, როგორც ავი დედინაცვალი ეპყრობა თავის მოძულეებულს გერსა“... ამგვარ ხალხსო, განაგრძობს იაკობი, „სახსრის ტრფიალმა“ და „კუჭის პრინციპებმა“ ბევრი არასაქები საქციელი ჩაადენინაო... „კუჭის პრინციპმა“ ისინი უვიცობის მოსარჩლე გახადაო...

ილია და აკაკი უმაგრებს ზურგს იაკობს, თუმცა ამ კამათში არ ჩაერევინან: იაკობი დასაბუთებულ პასუხს თავად გასცემს, საკადრის პასუხს... აკაკის აზრი ზემოთ მოვიყვანეთ... არტურ ლაისტი იგონებს: „ილია არანაკლები პატივისმცემელი იყო იაკობ გოგებაშვილისა... ილია ხშირად აქებდა გოგებაშვილის ნიჭსა და მოღვაწეობასა“... ლადო ბზენელის თქმით, „ილია დიდ პატივს სცემდა იაკობს და აფასებდა მას, როგორც ეროვნული სკოლის მოამაგეს და მუბრძოლს, გაბედულ კალმოსანს“... და ეს პატივისცემა და დაფასება იაკობის ღვაწლისა კარგად ჩანს ილიას „ორ-ხმიან საახალწლო ოპერეტაში“, სადაც იაკობს ათქმევენებს:

„ჩემი ან ცანით ყოველმან,  
მას ვაქებ, ვინცა მიქია:  
„დედა-ენა“ მიჩს სახელად,  
თავი არ გამიქიქია.

იგია ფუძე ქართველისა,  
მაგარი ვითა ჯიქია...

„დედა-ენითა“ წვრთნა ყრმისა  
მე ბევრჯერ მითქვამს, მიქია.

„დედა-ენა“ პირველადვე  
სიბრძნისაა ერთი დარგი,  
ტკბილი, ტკბილად, გასაგონი,  
ყრმათა წვრთნისთვის დიდი მარგი...  
მით ზრდას არვინ დამინუნებს,  
თუ კაცია მართლა ვარგი...  
სიტყვა სრულად გულსა სწვდება,  
„დედა-ენა“ მით არს კარგი“!

ვთქვით, კამათში არ ჩაერევიან-თქო, მაგრამ არ არის მთლად ასე. ამავე ლექსში იაკობისადმი მიძღვნილ მონაკვეთში ილია ხოროს ასეთ კომენტარს აკეთებინებს:

„მოგახსენებთ, ეგე სწავლა  
ჩვენთვის ყოვლად სოფლად ჰღირდეს,  
მაგრამ რა ვქნათ, როგორ გავძლოთ,  
როს ჩვენ ჭირი შინვე გვჭირდეს?  
როს გიორგი წერეთელი

„დედა-ენას“ სთხრიდეს, ჰრყვნიდეს...

არ მიიღოს მან შენგან წვრთნა  
არ გისმინოს, ნუ გიკვირდეს:  
გონიერსა მწვრთნელი უყვარს,  
უგუნურსა გულსა ჰგმირდეს“.

დიახ, სიტყვითაც, მაგრამ უფრო საქმით უდგანან მხარში. კირი-  
ლე ლორთქიფანიძეს სწერს იაკობი: „ამ ცოტა ხანში უნდა გაუგზავ-  
ნო ილია ჭავჭავაძეს და აკაკი წერეთელს გადაწერილი საყმანვილო  
რუსული ლექსები ქართულ ენაზედ გადასათარგმნელათა... ლექსებს  
ბლომათ ვაწერინებ და კაი ხანს წაართმევს ამ ჩვენს პოეტებს მათი  
თარგმნა“...

ღირსსაცნობი ფაქტი... თავად ნიჭიერი მწერალი ილიასა და აკაკის სთხოვს თარგმნას - იცის, ისინი უკეთ შეძლებენ ამას...

„დედაენის“ ავტორი ქება-დიდებას არ ითხოვს. პირიქით, გაურბის. მის პატივსაცემად გამართულ სხდომაზე იაკობს უბრძანებია: „მე ღირსი არა ვარ იმ ქება-დიდებასა, რომელიც მე თქვენ მომიბოვეთ. მე ქართველი ხალხისთვის ბევრი არაფერი არ გამიკეთებია, მაგრამ თუ მართლა რაიმე გაუკეთე ქართველ ხალხს, მე ეს გავაკეთე ილია ჭავჭავაძის დახმარებით და ხელისშეწყობით. ჩინ-ორდენების მოყვარული ქართველები როდესაც თავს მესხმოდნენ, ჩემი ერთადერთი იმედი, მფარველი და ნუგეშისმცემელი ილია ჭავჭავაძე იყო.

თუ დღეს ჩემ მიერ შედგენილ სახელმძღვანელოებს - „დედაენას“, „ბუნების კარს“ და „რუსსკოე სლოვოს“ - საქართველოს სკოლებში ფართო გასავალი მიეცა, ეს უმთავრესად ასე მოხდა ილია ჭავჭავაძის აქტიურ დახმარებით და ხელისშეწყობით...

ამ საქმეში აგრეთვე დიდი დამსახურება მიუძღვის საქართველოს ბულბულს აკაკი წერეთელს, რომელიც ჩემი სახელმძღვანელოების „დედაენის“ და „ბუნების კარის“ შედგენაში მუდამ აქტიურად მებმარებოდა, ხელს მიწყობდა და მიგერიებდა ყველა იმით, რომლებიც წინააღმდეგი იყვნენ ჩემი სახელმძღვანელოების საქართველოს სკოლებში გავრცელებისა“...

ვთქვით, პირად მტერსა და მოშურნეს თავად უსწორდება. პრინციპია საინტერესო იაკობისა - ვის ედავება, ვისთან მართავს პოლემიკას. წერს: „ოთხ კრიტიკოსში მხოლოდ ერთს ვაძლევდი პასუხს. ეს ჩვენი პასუხი ყოველთვის იყო თავაზიანი, თუ კრიტიკოსი მართებულად გვეპყრობოდა ჩვენ და ჩვენს ნიგნებსა. მაგალითად, წარსული წლის მაისში ერთმა ახალბედმა მასწავლებელმა დაწერა „ივერიაში“ ვრცელი შენიშვნები „დედაენის“ შესახებ. შენიშვნები დაწერილი იყო გულწრფელად (გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება - გ. გ.)... საქმის სიყვარულით, მიუდგომლად და მიუფერებლად. ჩვენ ასეთივე შენიშვნები დავუწერეთ „მომამბეში“ და სრულის თავაზიანობით მოვეპყარი. გ. წერეთელმა და დოდაშვილმა ჩვენი დამცირება მოინდომეს და თვითონ იქნენ დამცირებულნი ჩვენ მიერ.“



იაკობსა და მის „დედაენას“ პატივისმცემელი და დამფასებელი ყოველთვის ჰყავდა... ეტყვი, კრიტიკასაც არ გაქცევია; ესაა, დაუმსახურებელი ძაგება სტკენს გულს, მწარედ სტკენს...

ისევ კამათი, ისევ ბრძოლა, ისევ დაცვა „დედაენისა“... ფიქრი მკითხველზე, სწავლის მსურველზე... ერთგან წერს, რომ არსად ასე იაფად არ იყიდება საანბანე წიგნები, როგორც ჩვენი „დედაენაო“ და ეამაყება ეს. რუსულის მაგალითი მოჰყავს, სომხურისაც... ცალკე გამოცემული „ქართული დედანი“ შემდეგ „დედაენაში“ შეიტანა, რადგან ძვირი უჯდებაო მსურველს: „ჩვენი დედანი ბლომად იყიდებოდა და დიდი მოთხოვნილებაც იყო მისი; მაგრამ ჩვენ იგი მთლად შევეურთეთ „დედაენასა“, რათა წერა-კითხვის სწავლება ქართველი ხალხისათვის ერთი ორად გაგვეიაფებინა. წინათ „დედაენაში“ აძლევდნენ ექვს შაურსა და ამდენსავე „დედანში“ იხდიდნენ. ახლა კი ორივეში ხარჯავენ ექვს შაურსა. ამითი ჩვენ მოვისპეთ არა მარტო შემოსავალი „დედნისა“, არამედ „დედაენის“ პონორარიც იმდენადვე შევიმცირეთ, რამდენადაც წიგნის სიდიდემ და ხარჯმა იმატა. ჩვენ ბევრს მოვაკლდით, ხალხმა მოიგო, მაშასადამე“... აქ სამ წერტილს დასვამს იაკობი და გასაგებია... მაშასადამე, ნუ იკადრებთ და ნუ მაკადრებთ იმას, რაც უცხოაო ჩემთვის... და კიდევ:

გაკვეთილი სამარადისო: ხალხის განათლებაში ძებნა პირადული ინტერესებისა ყველაზე მეტად დამლუპველია ქვეყნისთვისო და ისე მოვიქცეთ, საქმეს რომ სასიკეთოდ წაადგებო...

დიახ, იაკობისათვის სიცოცხლის ბოლომდე უპირველესი და უმთავრესი საზრუნავი „დედაენა“ იყო.

იაკობის ძმისშვილი, შალვა გოგებაშვილი, იგონებს 1912 წლის 31 მაისის ამბებს. ეს იაკობის უკანასკნელი დღეა. ანდერძის ნაკითხვა მოისურვა. ნაუკითხა ცრემლმორეულმა ძმისშვილმა. „დავამთავრე თუ არა ანდერძის კითხვა, იაკობმა ამოიოხრა და მითხრა: „მოვრჩი ჩემი სამსახური ხალხის საქმისთვის, მის სიკეთისთვის. რაც რჩება ჩემი სიკვდილის შემდეგ, დიდი ნაწილი უნდა ხალხსავე მოხმარდეს. მგონია, ნათესავებიც არ დამემდურებიან, ცოტ-ცოტა ყველას გავანდინე და არავინ გამომრჩენია. მხოლოდ ის მაფიქრებს, რომ წერა-კითხვის საზოგადოებამ კარგად მოუაროს ჩემს „დედაე-

ნას" და გონივრულად მოიხმაროს მისი შემოსავალი. თუ ახლა გადაურჩი სიკვდილს, შეიძლება ცოტა შესწორება შევიტანო ამ მხრივ და შენ, როგორც ახალგაზრდა ეკონომისტმა, დახმარება უნდა გამინიო ამ საქმეში. „დედაენა“ დიდი რამეა ჩვენი ერისთვის. მეფე ერეკლეს რომ გვყოლოდა, ეს სახელმძღვანელო ისეთივე იქნებოდა, როგორც დავითვე ამ ბოლო დროს." ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები. ამის შემდეგ იაკობს ჩაუფარდა ენა და იმავე დღეს საღამოს 6 საათისათვის სამუდამოდ დაჰხუჭა თვალი".

ორ მომენტზე ვამახვილებთ ყურადღებას - „დედაენას“ უპატრონონო კარგად, ვისაც ეს ეხება - ესაა უკანასკნელი ნატვრა და მეორე - როგორ გავიგოთ, „მეფე ერეკლეს რომ გვყოლოდა, ეს სახელმძღვანელო ისეთივე იქნებოდაო“...

ამ უკანასკნელით დავინყოთ: საოცარ ფაქტზე ამახვილებს ყურადღებას; 1912 წელს, როცა საუკუნეზე მეტია, რაც საქართველო რუსეთის კოლონიაა, მაშინ ითქვა ეს სიტყვები. იაკობის აზრით, საანბანე წიგნისაგან პოლიტიკა შორს უნდა იყოს. ერეკლესდროინდელ თავისუფალ საქართველოსა და 1912 წლის საქართველოში საანბანე წიგნები ერთნაირი პრინციპით უნდა ყოფილიყო შედგენილი.

შევისმინეთ ეს შეგონება? მოვახერხეთ პოლიტიკისაგან საანბანე წიგნის გამიჯვნა? წერა-კითხვის დამწყები უმანკო გონება გავათავისუფლეთ იდეოლოგიური ტვირთისაგან? ვერა...

წერა-კითხვის საზოგადოებამ კი მოუარა, მაგრამ შემდეგ? შემდეგ რა ხდება?...

როცა იუნკებოდნენ ვენესუელაში ჩატარებული ანბანის სახელმძღვანელოთა გამოფენის შესახებ, ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ გაიმარჯვა „გოგებაშვილის „დედაენის“ საფუძველზე შედგენილმა საბჭოთა „დედაენამ“. დიახ, საბჭოთა „დედაენამ.“

ამონარიდი ი. გოგებაშვილის თხზულებათა ერთ-ერთი გამოცემლის წერილიდან: „1943 წელს, როცა მრისხანე ომი მძვინვარებდა, ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელმა ორგანოებმა გამოიტანეს დადგენილება - დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოები აგებულიყო იაკობ გოგებაშვილის პროგრესულ მემკვიდრეობაზე, კერძოდ, მისი „დედაენის“ პრინციპზე. ამ საქმეს კვალიფიციური კომისია ჩაუდგა სათავეში და 1944 წელს უკვე გამოიცა ი. გოგებაშვილის „დედაენის“ პრინციპების მიხედვით შედგენილი საბჭოთა „დედაენა“ (ნ.



ბოცვაძისა და ე. ბურჯანაძისა). დიახ, მიზანი იყო, შექმნილიყო საბჭოთა „დედაენა“ – რევოლუციით, ლენინ-სტალინითა და ბერიათი, საბჭოთა არმიითა და დიდი საბჭოეთით...

ეს იმ ავბედითი დროის მოთხოვნა იყო და, სამწუხაროდ, იაკობის ნატვრა და პრინციპი („ერეკლეს დრო რომ ყოფილიყო“...) ამ დროის მოთხოვნას შეენირა. ვერ შევუსრულეთ ანდერძი. თუმცა მაინც პატივი უნდა მივაგოთ იმათ ღვანლს, ვინც ზრუნავდა შეძლებისდაგვარად „დედაენის“ გაუკეთესებაზე, რა თქმა უნდა, იმ დროისათვის დასაშვებ ფარგლებში...

კვლავ ფაქტები, თარიღები:

1912 წლიდან 1925 წლამდე „დედაენის“ გამოცემას ხელმძღვანელობდა ნერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ შექმნილი კომისია ლ. ბოცვაძის ხელმძღვანელობით.

1935-1943 წლებში გამოდის ი. გოგებაშვილის ანალიზურ-სინთეზური მეთოდით შედგენილი ვ. ძიძიგურისა და ა. გვახარიას „დედაენა“....

1944 წლიდან – როგორც ითქვა, ი. გოგებაშვილის „დედაენის“ პრინციპების მიხედვით შედგენილი საბჭოთა „დედაენა“ ნ. ბოცვაძისა და ე. ბურჯანაძისა.

1973 წლიდან მოსამზადებელი კლასებისათვის ახალი „დედაენა“ შეადგინა ვ. რამიშვილმა, რომელსაც შემდგომ პირველი კლასის სახელმძღვანელო ეწოდა და დღემდე გამოდის (2000 წლის მე-18 გამოცემა შეავსო და გადაამუშავა ნ. მალაქელიძემ).

შემდეგ გამოდის შ. ამონაშვილის, ზ. ვახანიასა და ვ. როდონაიას (ხელმძღვანელი) გამოცემები „დედაენისა“. უფრო სწორად, ექსპერიმენტული გამოცემები, რომელთა ავ-კარგზე მრავალჯერ ითქვა (ბევრად მეტი ავი...).

ერთი რამ აშკარაა – ვერ გავითავისეთ და ვერ შევუსრულეთ ანდერძი იაკობს. ბოლო გამოცემებით ბევრი ტკივილი მივაყენეთ მის ნათელ სულს... ერთიც უნდა ითქვას: „დედაენის“ შემდგენელ-გადამმუშავებელნი ავტორებად(!) იწოდებიან ზოგჯერ.

ასეთი კუროზიცი: გამომცემლობა „საქართველოს“ ქუთაისის ფილიალმა 1995 წელს გამოსცა „დედაენა“. წიგნი ბუდაპეშტში დაი-



ბეჭდა, საუკეთესო ხარისხის ქალაქში, უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე... ძალიან კარგო, იტყვიან მკითხველი, მაგრამ... ეს არ არის იაკობის „დედაენა“. ესაა ლელა შალიკიან-ხოტივარის „დედაენა“. დიახ: „მხატვრული გაფორმება, ლექსები და პროზაული ტექსტები ლელა შალიკიან-ხოტივარისა“ - ასე აწერია წიგნს. ამ წიგნს იაკობის „დედაენასთან“ საერთო მხოლოდ სახელი აქვს და კიდევ სურვილი ავტორისა „დედაენის“ გვერდით დგომისა: „ამ წიგნსაც „დედაენა“ ვუნოდე ისე, როგორც დედა არქმევს ხოლმე თავის პირმშოს სახელს ვისიმე სიყვარულითა და პატივისცემით. ვფიქრობთ, ეს წიგნი მოკრძალებით დადგება იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ გვერდით“... ნუ გაიცინებ, მკითხველო. ეს რომ ერთი შემთხვევა იყოს იაკობის დამცირებისა, ჰო, მაგრამ... მაგრამ 1999 წელს მესამე გამოცემა გამოდის „დედაენისა“, რომელსაც ასე აწერია: „სახელმძღვანელოს ავტორი: ზურაბ ვახანია, მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტ. სწავლების ფსიქოლოგიის ლაბორატორიის გამგე, სამი საავტორო სკოლის სამეცნიერო ხელმძღვანელი, უმაღლესი კატეგორიის მასწავლებელი“...

ჩვენ ასე ვიცოდით, „დედაენის“ ავტორი იაკობ გოგებაშვილი იყო... და, რაც მთავარია, ხსენებული წიგნების უმეტესობა „დამტკიცებულია საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ“... ზემოთ ვთქვით, ეს იგივეა, ხვალ ამ ან სხვა ავტორებმა „ვეფხისტყაოსანი“ რომ დაარქვან თავიანთ წიგნებს და მოისურვონ „მოკრძალებით მოთას გვერდით დადგომა“... ეს გზა აქეთ მიდის...

იაკობის სიცოცხლეში დაწყებული ბრძოლა, მტრობა ენისა და „დედაენისა“ გრძელდება. წერა-კითხვის საზოგადოების იმედი ჰქონდა იაკობს... დღეს ვისი მოიმედეა?...

უცნაურია, მეტი თუ არა, ერს ი. გოგებაშვილის „დედაენა“ ჰქონდეს და ამდენ უაზრო ექსპერიმენტს ატარებდეს...

125 წელია, „დედაენა“ ავტორის ძეგლად დგას... სიცოცხლეშივე უკვდავყო წიგნმა თავისი ავტორი...

ზევით აკაკისა და ილიას სიტყვები გავიხსენეთ. მათ ჰქონდათ უფლება, პირში ეთქვათ იაკობისთვის სათქმელი, სადიდებელი. სხვები ვერ უბედავდნენ; თავად იაკობი იყო ასეთი. იუბილეს გადა-



ხდა მოუნდომესო და საშინელი წინააღმდეგობა გაუნია – მე რა სა-  
იუბილეო კაცი ვარ, იუბილე სხვას გადავუხადოთო...

იაკობის თვალით ნახვას ნატრობენ, „დედაენის“ ავტორი როგო-  
რი კაცია, ეს აინტერესებთ. ასეთ პირად ბარათს სწერს აკაკი ია-  
კობს: „ერთი აქეთკენაც დაენახვე თვალთ ჩვენებურ ბავშვებს! გუ-  
შინ ერთი პანანა მეზობლის გოგონა მეკითხებოდა შენს შესახებ: ბე-  
ლატია (მელოტი) თუ არა იაკობ გოგებაშვილიო? შვილები თუ ყავ-  
სო? განყრომა იცისო? და სხვანი... ნეტავ მაჩვენაო და მეც პორ-  
ტრეტს დავპირდი. დიდად გაიხარა, ცალკე მინდა, თვარა „ფერხუ-  
ლიანი“ არის ჩვენს სახლშიო; „ფერხულიანს“ თურმე სხვებთან რომ  
ხარ ერთად, იმას ეძახის; თუ გაქვს, გეთაყვა, შენი პატარა სურათი  
გამომიგზავნე...“

შენი მარად ერთგული და მოსიყვარულე აკაკი“...

• ადამიანის სიდიადე, მისადმი დამოკიდებულება პიროვნების  
სიკვდილშიც წარმოჩნდება. იგონებენ, ილიას გარდაცვალების შემ-  
დეგ ასეთი სახალხო გლოვა საქართველოს არ ახსოვსო... „ქართული  
ენა დაობლდა. დაუნდობელმა სიკვდილმა ქართველ ბავშვებს მო-  
სტაცა ყავარჯენი და ერს წინამძღოლი...“ – ინერებოდა გორიდან  
ანასტასია ერისთავ-ხოშტარია... პატიებას სთხოვდნენ მის „წმინდა  
სულს ნებსითი თუ უნებლიე შეცოდებისთვის“... „შეგვინდე, მამათ  
მამაო იაკობ, თუ რამე იმავ წმიდა საქმის გულისთვის უნებლიეთ გა-  
წყენინეთ, რომელსაც შენ მტლად ედებოდი, ზვარაკად ეწირებოდი  
და რომელსაც მთელი შენი არსებობა ანაცვალო“ – იყო ასეთი ნე-  
რილებიც.

საოცარ გულში ჩამწვდომ ფაქტს იგონებს ალ. მიქაბერიძე: რო-  
დესაც იაკობი საკუთარი ბინიდან ქაშვეთის ეკლესიაში გადაჰყავდა-  
თო, „ვეძინის ყოფილ ქუჩაზე უამრავი ხალხი მოსდევდა, შემოხვდა  
თეთრ ქუდსა და თეთრ ხალათში გამონყობილი მეფურნე, რომელ-  
მაც თვალი მოჰკრა თუ არა თავლია კუბოში ჩასვენებულ იაკობის  
ცხედარს, ერთი საზარლად შეჰყვირა: „ვაი ჩვენს უბედურებას, ჩვენი  
„დედაენის“ დამწერი მომკვდარაო“. მეფურნემ თავისი ფურნე პატა-  
რა მსახური ბიჭების ამარა დასტოვა და მწუხარე სახის გამომეტყვე-  
ლებით კუბოს უკანა თავს ხელი მაგრად ჩასჭიდა სახელურში და

სხვებთან ერთად შეუცვლელად მიაცილა მიცვალებული ქაშვეთის ეკლესიამდე”...

ხალხმა იცის ფასი თავისი დიდი შვილისა, მით უმეტეს, სიკვდილის შემდეგ გამოჩნდება ეს ცოდნა...

ზემოთ გ. წერეთლის ირონიული ნათქვამი მოვიყვანეთ, „დედაენა“ „ვეფხისტყაოსნის“ გვერდით რომ დააყენა და, უნდა ითქვას, როგორც ჩანს, გუმანმა უკარნახა ნიჭიერ მწერალს ეს დაწყვილება, თუმცა გაუცნობიერებლად...

არადა ცხადია:

მეორე ათასწლეულში საქართველოში ორი დიდი წიგნი დაიწერა, ორი წიგნთა წიგნი: „ვეფხისტყაოსანი“ და „დედაენა“. იცის ქართველმა კაცმა ფასი თავისი უპირველესი წიგნებისა და ამიტომაც საქართველოში ორად ორ წიგნს გადაუხადეს იუბილე: „ვეფხისტყაოსანსა“ და „დედაენას“...

იცის ფასი ქართველმა კაცმა წიგნთა წიგნისა და ამიტომაც ერთადერთ წიგნს აუგო ძეგლი – „დედაენას“...

„დედაენიდან“ „ვეფხისტყაოსნამდე“ – ეს არის ის გზა, რომელიც 125 წელია ყველა ჭეშმარიტი ქართველისათვის ერთადერთი გზაა წიგნიერებისაკენ, განათლებისაკენ, კულტურული ცხოვრებისაკენ და, საერთოდ, ღირსეული ქართველობისაკენ.

მგზავრთა სიმრავლე არ მოჰკლებოდეს ამ გზას!

*წიგნიდან: გ. გობოლაშვილი, ა. ავალიანი –  
„დედაენა“ – წიგნთა წიგნი, თბილისი, 2001 წ.*

## მეოცე საუკუნე და ქართული უნივერსიტეტი

XX საუკუნის 10-20-იან წლებში ქართული უნივერსიტეტის დაარსებამ, ეროვნული თვითშეგნების აღორძინებამ, ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებამ ახალი თვალსაწიერი გადაუშალა ქართულ სალიტერატურო ენას...

ბ. ჯორბენაძე

*დიალოგი მწერალ თამაზ შმაღაძესთან.*

**გიორგი გოგოლაშვილი:** ბატონებო, დღეს გავიხსენებთ ჩვენი კულტურის, განათლების, მეცნიერებისა და, ზოგადად, ერის ისტორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენას: 1918 წლის 26 იანვარს, დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, გაიხსნა თბილისის უნივერსიტეტი!...

**თამაზ შმაღაძე:** დიახ, და ეს მოხდა ძველი სტილით 26 იანვარს, ახალი სტილით – 8 თებერვალს; თუმცა, მაშინ დრო მხოლოდ ერთი სტილით აითვლებოდა.

**გ. გ.:** ჩვენ გვაქვს ისეთი ძეგლები, რომლებითაც საუკუნე იწონებს თავს უწინარესად; რომელთაც ეპოქასთან ვაიგივებთ: *XI საუკუნე და სვეტიცხოველი. XII საუკუნე და გელათი...* ამ რიგში, ჩემი ღრმა რწმენით, უნდა ჩავაყენოთ *XX საუკუნე და ქართული უნივერსიტეტი...*

დიახ, ქართული უნივერსიტეტი. ამას საინტერესო ისტორია აქვს. იმ დროისათვის (ეს 1917 წელია) რუსეთის იმპერიაში არსებობდა კანონი კერძო, თავისუფალი სასწავლებლების, კლასებისა და კურსების შექმნის შესახებ. როცა დაიწყო კონკრეტულად ფიქრი და ზრუნვა ქართული უნივერსიტეტის შექმნაზე, უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოების წესდების პროექტში „თავისუფალი უნივერსიტეტი“ ჩაიწერა. 1917 წლის 22 ივნისის სხდომაზე ივანე ჯავახიშვილის წინადადებით, სიტყვა „თავისუფალი“ შეიცვალა სიტყვით „ქართული“;

**თ. შ.:** უნივერსიტეტს ეწოდა „ქართული უნივერსიტეტი“, ხოლო საზოგადოებას – „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოება“. მეტიად საყურადღებოა ივანე ჯავახიშვილის არგუმენტი ამ ცვლილების თა-



ობაზე: სიტყვა „თავისუფალი“ კერძობით ხასიათს აძლევს ამ დაწესებულებასო.

გ. გ.: მიზანი კი იყო არა კერძობითი, არამედ საერთოეროვნული, ზოგადქართული უმაღლესი სასწავლებლის დაარსება.

თ. ხ.: ბევრი თქმულა, დაწერილა ამის შესახებ. უპირველესად, პროფ. სერგო ჯორბენაძის ღვანლი უნდა აღინიშნოს. მან ორი შესანიშნავი წიგნი დაგვიტოვა – „თბილისის უნივერსიტეტის მოკლე ისტორია“ და „ცხოვრება და ღვანლი ივანე ჯავახიშვილისა“. ძნელია ეპითეტების მოძებნა, განსაკუთრებით – ამ უკანასკნელისათვის, რომანივით იკითხება...

გ. გ.: მრავალი მოგონება, წერილი თუ სხვა სახის პუბლიკაცია არსებობს, ამ მოვლენას რომ ასახავს. თითქმის ყველაფერს გადავხედეთ, კიდეც ერთხელ გავიაზრეთ და საუკუნის დასაწყისში მომხდარი ფაქტის მნიშვნელობის კიდეც ერთხელ გააზრება ვცადეთ საუკუნის მიწურულს.

თ. ხ.: ბატონო გიორგი, მოდით, კიდეც ერთხელ ასე დავსვათ საკითხი: უნივერსიტეტის გახსნის დღედ რატომ შეირჩა 26 იანვარი – დავით აღმაშენებლის ხსენების დღე? შემთხვევითი იყო ეს ფაქტი თუ კანონზომიერი?

გ. გ.: თავად საკითხი, როდის გახსნილიყო უნივერსიტეტი, როდის დაწყებულიყო სწავლა, თითქმის ბოლომდე აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა. რა თქმა უნდა, ამის გათვლა, ამის გაანგარიშება თავიდან არ იყო იოლი. 1917 წლის 6 დეკემბერს გაიმართა ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობისა და საფინანსო კომისიის გაერთიანებული სხდომა. ივანე ჯავახიშვილის მოხსენების მიხედვით ივარაუდებოდა, რომ უნივერსიტეტი იანვარში გაიხსნებოდა. მისი აზრით, „ჯერჯერობით საფილოლოგო ფაკულტეტი უნდა გაიხსნას, რაც შედარებით უფრო ადვილია და იაფიც, მერე საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი და ამის შემდეგ – სამკურნალო ფაკულტეტი“...

თ. ხ.: ცოტა ხნით შევწყვიტოთ ამ ფაქტზე საუბარი და გავიხსენოთ, რა დროა, რა ვითარებაა იმჟამად საქართველოში: 1917 წლის დეკემბერია. რუსეთში ოქტომბრის რევოლუცია ჩავლილია. საქართველოში ეროვნული საბჭო მოქმედებს. უმძიმესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციაა; სახელმწიფოებრივი უშიშროების პრობ-

ლემაც დგას; სამხედრო ვითარება ძალზე დაძაბულია.

გ. გ.: უნივერსიტეტის საზოგადოებამ ეროვნული საბჭოსგან მატერიალური დახმარება ვერ მიიღო. მატერიალურად არც საზოგადოების მდგომარეობაა სახარბიელო... და, ივანე ჯავახიშვილის პრინციპული მოთხოვნით, უნივერსიტეტის გახსნა 1918 წლის იანვარში უნდა მოხდეს!...

თ. ხ.: თუმცა, 1917 წლის 3 დეკემბრის თათბირზე შექმნილი მძიმე მდგომარეობის გათვალისწინებით, გამოითქვა აზრი, უნივერსიტეტი 1918 წლის სექტემბერში გახსნილიყო; ყველა დაბრკოლება, რაც იმჟამად არსებობდა, თავიდან იქნებოდა აცილებული. სერგო ჯორბენაძის აზრით: „უნივერსიტეტის საზოგადოება ამით არსებითად თვითდაშლას აწერდა ხელს“.

გ. გ.: ბატონი სერგოს – პროფესიონალი იურისტის – ეს შეფასება ათეული წლების შემდგომი ანალიზის შედეგია... ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს დიდი ივანე ჯავახიშვილის გენიალობას, მის შორსმჭვრეტელობას, მოვლენების შეფასების უტყუარ ალლოს. როგორც ვთქვით, იმ შეკრებას ესწრებოდნენ ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობის წევრები (კ. აფხაზი, ი. ლორთქიფანიძე, ე. თაყაიშვილი, ვ. ყიფიანი), საფინანსო კომისიის წევრები (ანასტ. წერეთელი, ანასტ. ვირსალაძე, ნინო ნაკაშიძე...) და უნივერსიტეტის კოლეგიის წარმომადგენლები – პეტრე მელიქიშვილი და ივანე ჯავახიშვილი; გამგეობის მდივანი ილია ზურაბიშვილი. ამას იმიტომაც ჩამოვთვლი, რომ თუ ჯავახიშვილის აზრი ვერ გაიმარჯვებდა (თუ გადაწყდებოდა, უნივერსიტეტი სექტემბერში გახსნილიყო), ეს არ ნიშნავს, რომ დანარჩენები ეროვნულ საქმეს დაუპირისპირდნენ, ასე ვთქვათ, მაგრამ დიდი ივანე ხედავდა და გრძნობდა იმას, რასაც ვერ ხედავდნენ სხვები...

ამ პერიოდისათვის ივარაუდებოდა, რომ უნივერსიტეტი უნდა გახსნილიყო 1918 წლის 14 იანვარს. მოვლენების განვითარებამ ეს თარიღი დააზუსტა: 1918 წლის 10 იანვარს პროფესორთა კოლეგიის სხდომაზე გადაწყდა: უნივერსიტეტი გაიხსნებოდა 1918 წლის 26 იანვარს – დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს.

თ. ხ.: და გავიხსენოთ ჩვენი კითხვა: რა სიმბოლური კავშირი უნდა დავინახოთ ამ დამთხვევაში, ის ხომ არაა, რომ საუნივერსიტეტო განათლების ისტორიას საქართველოში დავით აღმაშენებელმა დაუ-

დო სათავე გელათის აკადემიის გახსნით?

გ. გ.: უმჯობესია, ამჯერად, ბატონ როინ მეტრეველს მოვუსმინოთ: „დავით აღმაშენებლის მოსახსენიებელი დღე შემთხვევით არ შეარჩია უნივერსიტეტის საზეიმო გახსნის დღეზე ივანე ჯავახიშვილმა. საქმე ის არის, რომ განათლებამ, კულტურამ დავით აღმაშენებლის პერიოდში მიაღწია ზენიტს: მწვერვალი მისი შემოქმედებისა იყო გელათის აშენება და გელათის უნივერსიტეტის დაარსება“... ჩვენი კითხვის პასუხიც არის ამ ამონარიდში, ზუსტად არის ახსნილი და დახასიათებული მოვლენა, ჩავიკითხოთ ბოლომდე: „მე შემთხვევით არ ვამბობ უნივერსიტეტს, - ბ-ნი როინ მეტრეველი, - აკადემია ჩვენი საუკუნის შუა ხანებში მკვლევარებმა უნოდეს მას; ეს პირობითი სახელია. ის იყო ამ ტიპის უმაღლესი დაწესებულება, როგორც იმდროინდელ მსოფლიოში არსებობდა, ვთქვათ, საფრანგეთში, იტალიაში, როგორც იყო, დაფუძვანთ, იმდროინდელი სორბონის, სალამანკისა ან ბოლონიის უნივერსიტეტები“.

თ. ს.: ბატონმა როინმა ეს აზრი თქვენს ჟურნალში გამოთქვა. ამ დიალოგს საინტერესო სათაური ჰქონდა: „ფუძე და დედო გელათი“. იგულისხმება, რომ თბილისის უნივერსიტეტი ცარიელ ნიადაგზე არ შექმნილა, მისი ფუძე, შეიძლება ითქვას, XII საუკუნის გელათის უნივერსიტეტი იყო... და სწორედ ამ კავშირის სიმბოლური მინიშნებაა, რომ ქართული უნივერსიტეტის გახსნის დღედ 26 იანვარი შეირჩა გელათის უნივერსიტეტის მესაძირკვლის, დავით აღმაშენებლის, ხსენების დღე!

გ. გ.: ამ ფაქტით ქართული უნივერსიტეტის მიმართულეა ც განისაზღვრა: ის უნდა ყოფილიყო ღირსეული მემკვიდრე წინაპარ უნივერსიტეტისა, ლოგიკური გაგრძელება ბედის უკუღმართობით შეწყვეტილი განათლებისა.

თ. ს.: და რადგან მივიჩნევთ, რომ 1918 წლის 26 იანვარს აღდგა საუკუნეების წინათ შეწყვეტილი დიდი ტრადიცია, იქნებ ისიც შეგვეხსენებინა მკითხველისათვის, რას წარმოადგენდა გელათის აკადემია. კვლავ როინ მეტრეველს მოვუსმინოთ: „გელათში იყო სწავლება კვადრიუმისა და ტრივიუმის წესით, რაც სავსებით შეესაბამებოდა უნივერსიტეტს. დავით აღმაშენებლის მიზანიც ეს იყო, რომ საერთაშორისო სტანდარტების დონის სასწავლებელი შეექმნა“.

გ. გ.: რადგან ფუძე თბილისის უნივერსიტეტისა გელათი იყო,



ისიც განემარტოთ, რას გულისხმობდა სწავლება ტრივიუმისა და კვადრიუმის წესით: სასწავლო პროგრამაში შეტანილი იყო ტრივიუმის ციკლის საგნები - 1. „ქვეყნის საზომლო“ - ანუ გეომეტრია. 2. „რიცხუნი“ - ანუ არითმეტიკა. 3. - „სამუსო“ - ანუ მუსიკა; და კვადრიუმის ციკლის საგნები: ფილოსოფია სამი სახისა - „საქმითი, მხედველობითი და განმსიტყველობითი“. 2. რიტორიკა სამი სახის - „თანამზრახველობისა, მეპაექრობისა და დღესასწაულობისა“; 3. გრამატიკა; 4. ასტრონომია - „ვარსკვლავთმრიცხველობა“. ასეთი იყო ძირითადი სასწავლო პროგრამა გელათის უნივერსიტეტისა.

თ. ხ.: მართლაც, უაღრესად საინტერესო პროგრამაა... თავის დროზევე იცოდნენ მისი ფასი... არ იყო შემთხვევითი, რომ დავითის ისტორიკოსი წერდა გელათის შესახებ: „ან წინამდებარე არს ყოვლისა აღმოსავლეთისა მეორედ იერუსალემად, სხუად ათინად, ფრიად უაღრეს მისსა“. ე. ი. გელათი სხვა ათენად და მეორე იერუსალიმად მოეწვინა ქვეყანასო;

გ. გ.: მოგეხსენებათ, ათენი სიბრძნის ცენტრად იყო ცნობილი, ხოლო იერუსალიმი - რწმენისა. ე. ი. მემატთანე ხაზს უსვამს იმას, რომ გელათი უნდა ყოფილიყო ათენისა და იერუსალიმის ერთობლიობა - სიბრძნისა და რწმენის ერთობლიობა... და თუ ვინმეს ესმოდა მნიშვნელობა გელათისა, ესმოდა ივანე ჯავახიშვილსაც.

თ. ხ.: ამიტომაც ქართული უნივერსიტეტი, როგორც მემკვიდრე იმ უნივერსიტეტისა, სიბრძნისა და რწმენის ერთობლიობა რომ იყო, სწორედ დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს გაიხსნა...

გ. გ.: და ქართული უნივერსიტეტის მიზანიც ასე ესახებოდა მის დამაარსებელს - ცოდნისა და რწმენის ერთობლიობა უნდა ყოფილიყო ჩვენი უნივერსიტეტი.

თ. ხ.: რა ხდება გელათის აკადემიიდან ქართულ უნივერსიტეტამდე? ანდა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, 1918 წლამდე? როდის ჩაისახა იდეა უნივერსიტეტის დაარსებისა და როდის მიეცა რეალური სახე ამ იდეას?..

გ. გ.: ძნელია ამისთვის სრულად თვალის მიდევნება. ბევრი რამ, ეტყობა, ჟამთა სვლამ შეინირა. მრავალი საინტერესო ცნობაც შემოგვრჩა. თუნდაც ის, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, ერეკლეს დროს, მეტად აქტიურად დაისვა უმაღლესი განათლების ცენტრების აღდგენა-განახლების საკითხი. როგორც მიუთითებენ, შემუშავდა





უმაღლესი სკოლის შექმნის საგანმანათლებლო კერები, ფილოსოფიური სემინარები...

თ. ზ.: ისიც ხომ გვახსოვს, ცნობილმა მოღვაწემ, იოანე ბაგრატიონმა გიორგი მეთორმეტის ძემ, 1799 წელს მამამისს, ქართლ-კახეთის მეფეს, მოხსენება რომ წარუდგინა სამეფოს რეფორმის შესახებ; ეს პროექტი ქართლ-კახეთში სამი უმაღლესი სასწავლებლის გახსნას ვარაუდობდა - თბილისში, გორსა და თელავში...

გ. გ.: თუმცა, ისევ ჩვენი ისტორიის ავბედობის გამო, ამ პროექტს ასრულება არ ეწერა და დროებით მიიძინა იდეამ ქართული უმაღლესი განათლების თაობაზე... მაგრამ დროებით... XIX საუკუნეში პირველად ეს იდეა 1832 წლის შეთქმულებმა გააცოცხლეს; მათ დასვეს თბილისში უნივერსიტეტის გახსნის საკითხი...

თ. ზ.: საოცარი ფაქტია, რუსეთის იმპერია ყოველნაირად ცდილობს, საფუძველი გამოაცალოს ამ იდეას. ქართველმა მოწინავე საზოგადოებამ იცის, რომ ქვეყნის გადარჩენის ერთ-ერთი გზა განათლების გზაა. ეროვნული განათლების სისტემა უნდა შეიქმნას, უმაღლესი განათლების ჩათვლით...

გ. გ.: 32 წლის შეთქმულთა იდეას განხორციელება არ ეწერა... ამ იდეამ ახალი ძალითა და ენერგიით 60-იან წლებში იფეთქა. ილია ჭავჭავაძის თაობა დაბეჯითებით მოითხოვს თბილისში უნივერსიტეტის დაარსებას. ეს გახდა კიდევ მიზეზი „მამათა და შვილთა ბრძოლის“ ახალი ეტაპის დასაწყისისა.

თ. ზ.: მკითხველს შევახსენებდი, 1871 წელს თბილისში იმპერატორი რომ ჩამოვიდა... ახალი თაობის პრინციპული მოთხოვნა თბილისში უნივერსიტეტის გახსნის შესახებ ძველმა თაობამ არ გაიზარა და ამას ურთიერთობის გამწვავება მოჰყვა თაობათა შორის (გასაკვირია, მაგრამ ამ დროს უნივერსიტეტის გახსნის მოწინააღმდეგენი ისინი არიან, ვინც 1832 წელს მოითხოვდა მის გახსნას). ძირითადი მოტივი იმპერიის იდეოლოგიებისა ის იყო, რომ უმაღლესი სასწავლებლის დაარსებისათვის ქვეყანა მოუმზადებელიაო...

გ. გ.: ცნობილია ილიას პასუხი ამ არგუმენტის გასაბათილებლად: „ახლა ვთქვათ, რომ ჩვენი ხალხი ვითომ მართლაც მოუმზადებელია. მაშინ, ვინც მოუმზადებელია, თავის დღეში აღარ უნდა მომზადდეს? ხალხს რა ამზადებს? სწავლა, ვარჯიშობა, გამოცდილება. იმ საქმეში ჩაყენება, რისთვისაც მომზადება საჭიროა, კაცს ხელ“

ფეხს ვუკრავთ და ვეუბნებით კი ჭიდილი ისწავლეო”.

**თ. ხ.:** სჭირდება კი იმპერიას განათლებული, მომზადებული პროვინციები?

**გ. გ.:** კარგად იცის რუსმა: რასაც ილია ამბობს – „სწავლა, ვარჯიშობა, გამოცდილება ამზადებს ხალხსო“. სწორედ ნასწავლი, გამოცდილი, მომზადებული „ინოროდცები“ არ სჭირდება იმპერიას. მას კარგად გათვლილი ვერაგული, იმპერიული ეროვნული პოლიტიკა აქვს.

**თ. ხ.:** დიახ, იცის რუსმა განათლების მნიშვნელობა და ფასი. ამიტომაც რუსეთში აფართოებს უმაღლეს სასწავლებელთა ქსელს. 1801 წლამდე იქ მხოლოდ ერთი უნივერსიტეტია – მოსკოვის.

**გ. გ.:** რომლის დამაარსებელთა შორის ვახუშტი ბაგრატიონიც არის!

**თ. ხ.:** ასეა... და 1801-1834 წლებში ექვსი უნივერსიტეტი გაიხსნა – იურიევის, ყაზანის, ვილნიუსის, ხარკოვის, პეტერბურგის, კიევის...

**გ. გ.:** გავხაზავთ, ეს არის რუსული უმაღლესი სასწავლებლები. რუსეთში უნივერსიტეტი მიაჩნიათ ბუნტის მთავარ კერად. 1830-31 წლებში დაიხურა ვილნიუსის „მეამბოხე“ უნივერსიტეტი. მიაჩნიათ, რომ „ინოროდცებს“ არ სჭირდებათ უმაღლესი სასწავლებლები. ყოველ ბუნტში „ინოროდცები“ არიან აქტიურნი და ამიტომ რუსეთის უნივერსიტეტებში შეზღუდულია მათი მიღება...

**თ. ხ.:** ვილნიუსის უნივერსიტეტის დახურვა სამწუხარო ფაქტად აღიქვეს საქართველოშიც, ეს იყო რუსეთის დარტყმა „ინოროდცების“ საუნივერსიტეტო განათლების სურვილზე. ამაში ქართველი მოღვაწეები თავიანთი მიზნების საწინააღმდეგო საქმეს ხედავდნენ, მათ ოცნებას რეალური საფუძველი ეცლებოდა.

**გ. გ.:** სწორედ ამიტომ გაცხოველდა აზრი ქართული უნივერსიტეტის შექმნისა 60-70-იან წლებში; სწორედ ამიტომ წააწყდა ის დიდ წინააღმდეგობას.

**თ. ხ.:** საუბედუროდ ჩვენდა, ამ საქმეში ქართველების ხელიც ერია. ილიას „გამოცანები“ და „კიდევ გამოცანები“ გვახსოვს...

**გ. გ.:** საუნივერსიტეტო იდეის წინააღმდეგ გამოსვლა ქვეყნისა და ქვეყნის ბედის ფეხზე დაკიდებად მიიჩნია ილიამ და არ შეუშინდა შინაური მტრების რისხვას.



თ. ხ.: ამ დღიდან, ფაქტობრივ, საქართველოში უნივერსიტეტის დაარსების იდეას აღარ მიუძინია.

გ. გ.: ისიც გავიხსენოთ, როცა ილიამ 1861 წელს ერს შეახსენა, მამაპაპათაგან სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩაო: მამული, ენა და სარწმუნოებაო. იაკობ გოგებაშვილმა ამ ტრიადას ეროვნული სკოლა დაუმატა და ეროვნულობის ბურჯად გამოაცხადა.

თ. ხ.: ჩვენი ეროვნულობა სწორედ ამ ოთხ ბურჯს ემყარება და მის სიმყარეზეა დამოკიდებული ჩვენი ეროვნულობის სიმყარეცო...

გ. გ.: დიახ, მზადდება თეორიული და პრაქტიკული საფუძველი ქართული უნივერსიტეტის დაარსებისათვის. 1881 წელს ქართველ მოღვაწეთა ინიციატივით თბილისში გაიმართა რუსეთის არქეოლოგთა მე-5 ყრილობა. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდნენ რუსეთის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში მოღვაწე ქართველი მეცნიერები, ასევე - თბილისში მომუშავე მკვლევრებიც. ქართული საზოგადოებრიობა ამ ყრილობას უდიდესი ინტერესით შეხვდა. ქართველმა მოღვაწეებმა ილონეს, რომ ეთქვათ, ეს ყრილობა თავისი მნიშვნელობით, შედეგებით სხვებისგან განსხვავებული იყო. ეს ოფიციალურად გაცხადდა.

თ. ხ.: წინა ყრილობებთან შედარებით, მე-5 ყრილობას მონაწილეთა რეკორდული რაოდენობა ესწრებოდაო - ამასაც ამბობდნენ. წინა ყრილობები კიევსა და ყაზანში გაიმართა.

გ. გ.: ილია ჭავჭავაძემ ეს ფაქტიც საუნივერსიტეტო იდეის პროპაგანდისათვის გამოიყენა, აღნიშნავდა, რომ საუნივერსიტეტო ქალაქებში არ იყო ისეთი დაინტერესება, როგორც თბილისშიო.

თ. ხ.: იმპერიის მესვეურნი არათუ ნებას აძლევდნენ ეროვნული უნივერსიტეტის გახსნისა, არამედ, მაქსიმალურად ზღუდავენ რუსეთის უნივერსიტეტებში მათი სწავლის შესაძლებლობას, მიაჩნიათ, რომ საუნივერსიტეტო ბუნტის დროს „ინოროდცების“ აქტიურობა აშკარა იყო.

გ. გ.: სხვათა შორის, კავკასიელი სტუდენტები ცენტრალური უნივერსიტეტებისათვის რომ ჩამოეშორებინათ, გამოითქვა ის აზრიც, რომ ვარშავაში პოლონელთათვის, ხოლო თბილისში ქართველებისა და სომხებისათვის გახსნილიყო უნივერსიტეტი... ეს საუკუნის მინურულს ითქვა, მაგრამ „დროზე მიხვდნენ“, რომ იმპერიისთვის ეს ნაბიჯი გაცილებით საშიში იქნებოდა და საკითხზე საუბარი

შენყდა.

თ. ხ.: ისიც ვთქვათ, რა ნებართვაზე იყო საუბარი: ეროვნულ უნივერსიტეტს ისინი არ ცნობდნენ. თვით უკრაინაში, პოლონეთსა თუ ესტონეთში არსებული უნივერსიტეტები რუსული იყო, არავითარი ეროვნული!

გ. გ.: ქართველთა ოცნება კი ყოველთვის ქართული უნივერსიტეტი იყო და ეს იდეა ცოცხლობს და ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევს წინ – ფინიშისაკენ.

თ. ხ.: ფინიში კი ჯერ შორს იყო. 1918 წლის 26 იანვარია ეს ფინიში...

გ. გ.: ჯერ ილიას პერიოდი და ფინიშამდე მისი გზაა. ილია არ იყო ის კაცი, რომ მისთვის დაბრკოლებებს აზრი შეეცვლევინებინა. ისევ ს. ჯორბენაძეს დავიმოწმებთ: ილია და მისი თანამოაზრენი „ანოყიერებდნენ იმ ნიადაგს, რომელზეც ხელსაყრელ მომენტში უნივერსიტეტი უნდა აღმოცენებულიყო“.

თ. ხ.: სწორედ ამგვარ ნიადაგად უნდა მივიჩნიოთ მაშინდელ თბილისში ყველაზე დიდი შენობის აგების იდეა; სათავადაზნაურო გიმნაზიაზე მოგახსენებთ, რომელიც იმთავითვე მომავალი უნივერსიტეტის შენობად იქნა ჩაფიქრებული.

გ. გ.: ექვთიმე თაყაიშვილმა თქვა კიდევ შემდეგ, რომ სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობის აგებით სანახევროდ გადაწყდა უნივერსიტეტის გახსნის დიდი საქმეო.

თ. ხ.: კეისარს – კეისრისაო და როცა უნივერსიტეტის დაარსებაზე, საუნივერსიტეტო იდეის გამარჯვებაზე ვსაუბრობთ, ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და პედაგოგის ნიკო ცხვედაძის ღვაწლიც აღვნიშნოთ – დიდი ღვაწლი. მით უმეტეს, თუ ამ შენობის აგებით სანახევროდ გადაწყდა უნივერსიტეტის დაარსების საქმე. 1897 წელს ნიკო ცხვედაძე ჩაუდგა სათავეში მშენებლობის საქმეს. მან მოიწვია ახალგაზრდა არქიტექტორი სვიმონ კლდიაშვილი, რომელიც შემდეგ მშენებლობასაც მეთვალყურეობდა...

გ. გ.: როგორც ყველა დიდი ეროვნული საქმის წამოწყებისას, აქაც იჩინა თავი წინააღმდეგობამ...

თ. ხ.: სხვა რომ ვერა დააკლეს, ადგილი დაუნუნეს, ვარაზის ხევის გაღმა რად იყიდა მიწაო; ვერეს მელიებისა და ტურებისათვის უყიდნია სკოლის ადგილი; ქართველი ყმანვილები ვერელი ლიბუა

მენახშირესკენ და მეშეშეებისაკენ უნდა გარეკოსო - დასცინიან, საყვედურობენ... მოკლედ, ხელს უშლიან...

გ. გ.: ნიკო ცხვედაძის თანამედროვენი აკი იგონებენ, რომ მისმა თავგანწირვამ და ჯიუტობამდე მისულმა პრინციპულობამ შეაძლე ბინა დანყებული საქმის ბოლომდე მიყვანა.

თ. ხ.: ნახატი მახსენდება ერთი, ილია, იაკობი, ნიკო ცხვედაძე, სვიმონ კლდიაშვილი და სხვები ჯერ კიდევ ხარაჩოებში ჩასმული შენობის წინ დგანან და რალაც შინაგანი სიამაყით შესცქერიან თავიანთ ქმნილებას.

გ. გ.: მოგებული ბრძოლის შემდეგ, სარდლები რომ ბრძოლის ველს გადაჰყურებენ, დაახლოებით ეს შეგრძნებაა. არადა, დიდი ბრძოლა მოიგეს.

თ. ხ.: წინ ახალი ბრძოლებია. ქართული უნივერსიტეტის დაარსებისათვის დანყებული დიდი ომი გრძელდება.

გ. გ.: და, რადგან გიმნაზიის შენობის აგებით, როგორც ექვთიმე თაყაიშვილმა თქვა, სანახევროდ გადაწყდა უნივერსიტეტის გახსნის საქმე, ეს საქმე სანახევროდ ილია ჭავჭავაძემ და მისმა თაობამ გადაწყვიტეს, მეორე ნახევარი იყო დარჩენილი საქმისა, მეორე ნახევარი - გაცილებით უფრო რთული, მძიმე და სახიფათო. სახიფათო იმდენად, რამდენადაც არასწორად გადადგმულ ნაბიჯს, გაუთვლელ მოქმედებას, შესაძლოა, იდეა დაელუპოა...

თ. ხ.: ასე ვთქვათ: საუნივერსიტეტო იდეის გამარჯვებისათვის წარმოებულ ომს ამ ეტაპზე სათავეში ივანე ჯავახიშვილი ჩაუდგა. სერგო ჯორბენაძე წერს: „უშუალო თადარიგი ქართული უნივერსიტეტის გახსნისათვის 1907 წლიდან იწყება. ამ საშვილიშვილო წამოწყების მოთავე სახელოვანი მამულიშვილი, პეტერბურგის უნივერსიტეტის აღზრდილი და ამ უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი - ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილია“.

გ. გ.: 1907 წელს დასრულდა ილიას ეპოქა და დაიწყო ივანე ჯავახიშვილის ეპოქა. არ არის ეს შემთხვევითი დამთხვევა თარიღებისა. ეს იყო დიდი ესტაფეტის გადაცემა დიდ მამულიშვილურ საქმეში... უფრო სწორად, ვერაგულად შეჩერებული ერთი მოღვაწის წამოწყებული საქმე მეორე დიდმა კაცმა აიღო ხელში და ღირსეულად ატარა...

თ. ხ.: ფინიშამდე ჯერ დიდი და გრძელი გზაა გასავლელი.... ფო



ნიში 1918 წლის 26 იანვარია.

გ. გ.: უნივერსიტეტს ერთი კაცი არ აარსებს და ვერ აარსებს. და, მაინც, პირველი რექტორი ქართული უნივერსიტეტისა, საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერი, პროფესორი პეტრე მელიქიშვილი იტყვის: „ივანე ჯავახიშვილი ბრძანდება ერთადერთი დამაარსებელი, სულისჩამდგმელი და ერთადერთი რაინდი ჩვენი უნივერსიტეტისა. აქ მას ვერავინ შეეცოქება და შეეზიარება“.

თ. ხ.: მოსე ჯანაშვილი 1918 წლის 23 იანვრის გაზეთ „საქართველოში“ დანერს: „ივანე ჯავახიშვილმა იკისრა ყველაზე დიდი ტვირთი – გუთნისდებობა თვით ქართულ, მძიმე, ღრმად მხვნილი გუთნისა!... ჯავახიშვილის მხნეობამ ყოველივე დაბრკოლება დასძლია და ახალი ლამპარი აგვინთო, ქართული გიმნაზიის შენობა გვიქცია ეროვნული დიდების ტაძრად“...

გ. გ.: ამ ეროვნული დიდების ტაძრის შენებას რომ ჩაუდგა სათავეში, დიდოსტატი 31 წლისა იყო; 11 წელი მუხლჩაუხრელად იღვანა და 1918 წელს, 41 წლის რაინდი მილოცვებს იღებდა მის მიერ აგებული ტაძრის საკურთხეველთან. კვლავ ამონარიდი მოსე ჯანაშვილის პუბლიკაციიდან: „მივიდეთ ვაკეზე. იქ ჯავახიშვილმა აგვინთო სხივოსანი მზიანი კანდელი, რომელიც ამიერიდან შუქური ვარსკვლავით გაგვინათებს გზა-კვალს სავალად გმირულ და მზიან ნაბიჯით წინ, წინ ადამიანური მარადისობისაკენ. ამასთანავე, მოვიგონოთ იქ ჩვენი ძველი მეცნიერები საუკუნო ხსენებით. ხოლო კანდელის ამნთებელ გმირს, ივანეს, ერთობლივ და გულმხურვალედ შემოვცახოთ ჩვენებური ქართველური ვაჟა! გამარჯვება მარად და მარად!“

თ. ხ.: ივანე ჯავახიშვილს დაუმსახურებელ ქებას ვერავინ შებედავდა. დაუმსახურებელი ქება იგივე გინებააო, აკაკის უთქვამს. ვერავინ შებედავდა, მით უმეტეს, თუ დიდი ივანეს პიროვნებას გავითვალისწინებთ – მისთვის დამსახურებული ქების თქმაც კი ძნელი იყო. ასე რომ, რაც ითქვა, არ არის ეს სრულყოფილი დახასიათება მისი დიდი ღვანლისა...

გ. გ.: როცა ივანე ჯავახიშვილზე ვფიქრობ, კონსტანტინე გამსახურდიას ნათქვამი მახსენდება გიორგი პირველის მიმართ: „ბაღლო-ბიდანვე მიყვარდა და მოცებდა აფხაზი მეფე გიორგი პირველი. სიჭაბუკეში მომემატა პატივისცემა მისდამი, როცა გავიაზრე, თუ რამოდენა ვეშაპს შებმია ეს შესანიშნავი რაინდი“.



თ. ხ.: ჭეშმარიტად, რაინდული გამბედაობა იყო საჭირო იმ ვე-  
შაპთან შესაბამელად, რუსული იმპერია რომ ერქვა...

გ. გ.: გავიხსენოთ, XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასა-  
წყისში გააქტიურდა იდეა თბილისში კავკასიის უნივერსიტეტის შექ-  
მნისა. ეს იდეა ქართული უნივერსიტეტის შექმნის იდეას დაუპირის-  
პირდა, რამდენადაც კავკასიის უნივერსიტეტი, ცხადია, რუსული  
უნივერსიტეტი იქნებოდა და იმავე რიგში ჩადგებოდა, იმპერიის  
სხვა კუთხეებში რომ იყო.

თ. ხ.: იდეა კავკასიის უნივერსიტეტის შექმნისა არაერთხელ  
განიხილეს თურმე იმპერიის უმაღლეს ეშელონებში. პრობლემას  
მათთვის ის ქმნიდა, თუ რა სახისა უნდა ყოფილიყო სასწავლებელი -  
პოლიტიკური თუ უნივერსიტეტი და სად აგებულყოფი - ნავთ-  
ლულსა თუ საბურთალოზე.

გ. გ.: მაგრამ, როგორც ხდება ხოლმე, კავკასიის უნივერსიტე-  
ტის იდეის გააქტიურებამ მოამწიფა აზრი ქართული უნივერსიტე-  
ტის დაარსების აუცილებლობისა და ივანე ჯავახიშვილი ადგენს სა-  
კმაოდ ხანგრძლივ სამოქმედო პროგრამას. უმთავრესი იმ ეტაპზე  
კადრები იყო. პეტერბურგის უნივერსიტეტში იგი თავად აარსებს და  
ხელმძღვანელობს ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრეს. ეს არ  
იყო მხოლოდ საუნივერსიტეტო წრე, სხვა სასწავლებლების ქართვე-  
ლი სტუდენტებიც მიიზიდა და გაჩაღდა ინტენსიური მუშაობა...

თ. ხ.: მაშინდელი სტუდენტი, შემდეგში აკადემიკოსი, გიორგი  
ჩიტაია იგონებს: „ეს წრე ხელმძღვანელობდა ყველა სხვა ქართულ  
წრეს რუსეთში და საზღვარგარეთ. სამეცნიერო მოხსენებები ქარ-  
თულ ენაზე, საბიბლიოგრაფიო მუშაობა, სალექსიკონო მასალის შე-  
გროვება, ტერმინების ამოკრეფა, სიძველეების რესტავრაცია, ძვე-  
ლი ხელნაწერების ჩხრეკა - წრის მუშაობის საგანს შეადგენდა“.

გ. გ.: სწორედ სტუდენტთა სამეცნიერო წრემ ჩაატარა 1911-  
1912 წლებში საანკეტო გამოკვლევა რუსეთისა და დასავლეთ ევრო-  
პის უმაღლესი სასწავლებლების ქართველი სტუდენტებისა. რო-  
გორც სტუდენტთა სამეცნიერო წრის მაშინდელი ხელმძღვანელი,  
შემდგომში დიდი ივანეს ერთ-ერთი უპირველესი თანამოაზრე, აკა-  
დემიკოსი აკაკი შანიძე იგონებს, გამოკითხვის შედეგებმა იმედები  
გაამართლა; ოპტიმისტურად განაწყო საუნივერსიტეტო იდეის გა-  
მარჯვებისთვის მებრძოლნი. თავად ბატონ აკაკის მოფუსმინოთ:



„საანკეტო გამოკვლევამ ცხადყო, რომ ქართველ სტუდენტობაში დიდი ინტერესია მეცნიერებისადმი, რომ ეს ინტერესი მრავალფეროვანია... ამიტომ ნათელი გახდა, რომ ქართული უმაღლესი სასწავლებლის საქმე ამ მხრივ სავსებით უზრუნველყოფილი იყო“.

**თ. ხ.:** ამავე დროს ივანე ჯავახიშვილი აზუსტებს და აგროვებს ცნობებს რუსეთისა თუ ევროპის უნივერსიტეტებში მოღვაწე ქართველ მეცნიერთა შესახებ.

**გ. გ.:** 1907 წელს ექვთიმე თაყაიშვილი აარსებს „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას“. კორნელი კეკელიძე დაწერს შემდეგ ამ საზოგადოების შესახებ: „ეს იყო მაშინ ჩვენში უნივერსიტეტიც, აკადემიაც და სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტიც“. ესეც საუნივერსიტეტო იდეის გამარჯვების ერთ-ერთი პირობა იყო...

**თ. ხ.:** მაგრამ არსებობს უმთავრესი დაბრკოლება: კანონით არ არის დაშვებული ამგვარი უნივერსიტეტის არსებობა და იმპერიის ცენტრში იძულებული შეიქნენ 1914 წელს გამოეცათ კანონი კერძო სასწავლებლების, კლასებისა და კურსების შესახებ, რომლებიც არ სარგებლობდნენ მთავრობის სასწავლებლების უფლებით. ამ კანონმა, როგორც სერგო ჯორბენაძე იტყვის, ლეგალური საფუძველი მისცა ქართველ მოღვაწეთა ბრძოლას უნივერსიტეტის გახსნისათვის.

**გ. გ.:** მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება... არც არის გასაკვირი: თეორიულად ყველაფერი გათვლილია, პრაქტიკული მოქმედებაა საჭირო.

**თ. ხ.:** 1917 წლის აპრილიდან ივანე ჯავახიშვილი თბილისშია. სარდალი ბრძოლის ველზე გავიდა. 1917 წლის 12 მაისს მოინვიეს უნივერსიტეტის დამფუძნებლების პირველი კრება.

**გ. გ.:** მაისია, ფინიშამდე არც თუ დიდი დრო რჩება; ფინიში, როგორც ვთქვით, 1918 წლის 26 იანვარია და სხდომას სხდომა მოსდევს; წინააღმდეგობას – წინააღმდეგობა. არსდება „განსაკუთრებული საზოგადოება ქართული თავისუფალი უნივერსიტეტისა“ (12 მაისია).

**თ. ხ.:** საქართველოს მასშტაბით გაიშალა მოძრაობა. ქუთაისი ჩაება საქმეში. უამრავი რამ უნდა გაკეთდეს: შემოიკრიბოს კადრები; მოაგვაროს მატერიალური და ფინანსური საქმეები...

**გ. გ.:** შენობა გვაქვს. ამაზე ადრე იზრუნეს დიდმა ილიამ და მის-





მა თანამებრძოლებმა. დანარჩენ საქმეს დიდმა ივანემ უნდა მიხედოს... ისევ ამოქმედდა რუსული ვერაგული გეგმა ამიერკავკასიის რუსული სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებისა, ურჩევდნენ ქართველებს, ხელი აეღოთ კერძო ეროვნული უნივერსიტეტის დაარსების იდეაზე, რადგან იგი კონკურენციას ვერ გაუწევდა რუსულ სახელმწიფო უნივერსიტეტს.

საფრთხე აშკარა იყო და სერიოზული. გაზეთ „სახალხო ფურცელში“ კონსტანტინე გამსახურდია შემფოთებული წერს: „კავკასიის უნივერსიტეტის გახსნა განზრახულ ქართულ უნივერსიტეტს ფუძეს გამოაცლის“.

თ. ზ. ხელს უშლიან ქართულ უნივერსიტეტს და რუსები ჩქარობენ რუსული უნივერსიტეტის გახსნას. უნდა იჩქაროს ქართულმა საქმემაც და დღედაღამ არ სძინავთ ქართველ რაინდებს. ბრძოლა დაუნდობელი; უდიდესი ეროვნული მნიშვნელობის საქმე წყდება. თავგანწირვამდე მისული თავდადებაა საჭირო... და ასეც არის.

გ. გ. 1917 წლის 14 ოქტომბერს აკაკი შანიძე „სახალხო საქმეში“ აქვეყნებს წერილს „ორი უნივერსიტეტი“. ქართველი მოღვაწისა და, ზოგადად, მთელი გუნდის მწარე გულისტკივილია მასში გადმოცემული. ჩავიკითხოთ, ცოტა ვრცელია ამონაწერი, მაგრამ საინტერესო: „პეტერბურგიდან პირდაპირ მავთულით სასწრაფოდ იტყობინებიან, რომ ტფილისში იანვრიდან რუსული უნივერსიტეტი გაიხსნება.

პეტერბურგიდან ნელ-ნელა ფოსტით მოდის და ჯერ ვერც კი ჩამოსულა ქართული უნივერსიტეტის ძირითადი დებულება შეწყნარებული და ორი მუხლის გამოკლებით, თითქოს დამტკიცებული დროებითი მთავრობის მიერ.

ვერ ჩამოსულა, მაგრამ როდესმე ჩამოვა და, მაშასადამე, ტფილისში იანვრიდან ორი უნივერსიტეტი იქნება, ერთი - რუსული, მეორე - ქართული; ერთი - მთავრობის, მეორე - კერძო, ერთი - უფლებრივი უპირატესობით აღჭურვილი და სახელმწიფოს მიერ ზურგგამაგრებული, მეორე - უფლებამოკლებული და პირადი თაოსნობის მოიმედე, ერთი - ხაზინის მიერ შენახული და ქონებრივად უზრუნველყოფილი, მეორე - კერძო პირთა გულშემატკივრობისა, დახმარებისა და მზრუნველობაზე დამყარებული... ქართველთა ეროვნული ტკივილების ცოტად მაინც დასაამებელი, ქართული მეცნიერების ტაძარი, ქართველთა და ქართულად მოუბართა წყარო



ცოდნისა, ქართველთა საჭიროებაზე აღმოცენებული“.

თ. ზ.: ეს ქართველებისადმი მონოდება იყო – მხარდაჭერისათვის ცდა ქართული უნივერსიტეტის მნიშვნელობის გაცნობიერებისა და ასე, დაპირისპირებით, მიდის წინ საქმე... ფინალური ბრძოლები ჯერ გადასატანია. არ უნდა შეგვაშინოს უსახსრობამ, ცივმა აუდიტორიამ, რუსეთის უნივერსიტეტში თბილი და კარგი სამსახურის მიტოვებამ და პრობლემებით აღსავსე ქართული უნივერსიტეტის დაარსების საქმეში ჩადგომამ...

გ. გ.: ზემოთაც ვთქვით, თუ 1918 წლის იანვარში უნივერსიტეტი არ გაიხსნებოდა, დგებოდა იდეის ჩაშლის საშიშროება და პროფესორთა საბჭო პასუხისმგებლობას კისრულობს... სხდომა სხდომაზე იმართება; ლაგდება, ჯერდება, ზუსტდება დეტალები და...

თ. ზ.: 1918 წლის 26 იანვარს ქართული უნივერსიტეტის დაარსების საზეიმო სხდომა გაიმართა. ასრულდა დიდი ხნის ოცნება ქართველი კაცისა!...

გ. გ.: ბრძოლა მოგებულა... 13 იანვარს პროფესორთა კოლეგიის პირველ ოფიციალურ სხდომაზე მისმა მონაწილეებმა რექტორობა ივანე ჯავახიშვილს სთხოვეს, მაგრამ მან კატეგორიულად იუარა და რექტორად პროფესორი პეტრე მელიქიშვილი დაასახელა. ექვთიმე თაყაიშვილი გაიხსენებს შემდეგ ამ ფაქტს. ივანე ჯავახიშვილს უთქვამს, პეტრე მელიქიშვილი დიდად ცნობილი მეცნიერია, როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ და მისი არჩევა დიდ პრესტიჟს შეუქმნის ჩვენს უნივერსიტეტსო.

თ. ზ.: ეს იყო 13 იანვარს. 26 იანვარს უნივერსიტეტის გახსნის საზეიმო სხდომაზე ქართული უნივერსიტეტის პირველი რექტორი იტყვის: „ჩვენ, ქართველები, მცირე ხალხი ვართ; ჩვენ არ ვთამამდებით, შევადართოთ საკუთარი თავი დიდ ხალხებს. ჩვენი სწრაფვაც ასევე მოკრძალებულია, ჩვენ გვსურს იმ ენაზე, რომელზედაც პირველად გავიგონეთ დედის ალერსი და პირველად ავლაპარაკდით, მოვისმინოთ მეცნიერული ჭეშმარიტებანი და ის ჰუმანიტარული პრინციპები, რომლებიც ნამდვილი კულტურის საფუძვლებია, ჩვენ ვაფუძნებთ ქართულ უნივერსიტეტს იმისათვის, რომ საშუალება მივცეთ ჩვენს ხალხს, მშობლიურ ენაზე გაეცნოს და აითვისოს მეცნიერული ჭეშმარიტების სანყისები და, აგრეთვე, საშუალება მივცეთ ჩვენს მეცნიერულ ძალებს, შეისწავლონ ჩვენი სამშობლო – საქარ-



თველო და კავკასია"...

გ. გ.: სხვათა შორის, ამ გამოსვლაში მეტად საგულისხმო ფაქტზე მიაპყრობს მსმენელთა ყურადღებას საქვეყნოდ ცნობილი ქიმიკოსი: გერმანიაში გამოჩენილ ავსტრიელ ენათმეცნიერს ჰუგო შუხარდტს შეხვედრია. როდესაც შუხარდტმა გაიგო გერმანიაში ჩემი ჩასვლის მიზანი, ღიმილით მითხრაო: ქართველი რატომ სწავლობ ქიმიას, მას ხომ სხვებიც შეისწავლიან. შენ რატომ უმდიდრესი ქართული ენის ბუნებას არ იკვლევო...

თ. ხ.: ქართველმა უპირველესად ქართულ ენასა და კულტურას უნდა მიხედოს, შეისწავლოსო, ეს იგულისხმებოდა, ცხადია.

გ. გ.: პეტრე მელიქიშვილს აქედან ასეთი დასკვნა გამოაქვს: „ეს ფაქტი ნათლად ადასტურებს, რომ ჩვენი უნივერსიტეტის მუშაობას ჰუმანიტარული მეცნიერებანი უნდა დაედოს საფუძვლადო“...

თ. ხ.: გავიხსენოთ, ამას ქიმიკოსი რექტორი ბრძანებს და ეს პრინციპული პოზიცია იყო ქართული უნივერსიტეტის დამაარსებლებისა.

გ. გ.: ამიტომაც მიანიშნებენ, რომ ქართული უნივერსიტეტის დაარსებით ახალი ეტაპი დაიწყო ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში.

თ. ხ.: ჩვენ უკვე ფინიშთან ვართ. დაარსდა ქართული უნივერსიტეტი...

გ. გ.: ზეიმობს სრულიად საქართველო...

აი, ამონარიდი ერთ-ერთი ქუთაისური გაზეთიდან: „ქუთაისმა იუქმა ქართული მეცნიერების ტაძრის გახსნის დღე - 26 იანვარი. ამ დღეს ქუთაისში არსებულ სკოლებში სწავლა ყველგან შეწყდა; სასწავლებლებში გადაიხადეს პარაკლისი, იყო მუსიკა, ნარმოითქვა სიტყვები"... პირველი ლექცია ივანე ჯავახიშვილმა ნაიკითხა 1918 წლის 30 იანვარს... დიდი ბრძოლა მოგებულა, მაგრამ თვითდამშვიდების დრო ჯერ კიდევ შორს არის, უმძიმესია პირველი სემესტრი. 1918 წლის გაზაფხულზე თბილისს ოსმალთა ოკუპაციის საფრთხე დაემუქრა...

თ. ხ.: და ახლად გახსნილ უნივერსიტეტს - დახურვის საშიშროება. საგანგებო სხდომა გაიმართა, შეწყვეტილიყო სწავლა თუ გარძელებულიყო...

გ. გ.: ეს პროფესორთა საბჭოს სხდომაა. სხდომამ დაადგინა:



„უნივერსიტეტი არ დაიკეტოს და ლექციების კითხვა გაგრძელდეს... იმ სტუდენტთა და მსმენელთათვის, რომელნიც ომში წავლენ, გამოტოვებული ლექციები განმეორებული იქნეს... ეთხოვოს, ვისაც ჯერ არს, დაყენებული იქნეს საიმედო დარაჯები და ყოველგვარი ზომები იქნეს მიღებული, რომ საომარ ასპარეზად არ გახდეს უნივერსიტეტისა და მუზეუმების ახლო-მახლო მიდამოები. საშიშროების მოახლოების დროს პროფესორები უნივერსიტეტის შენობაში უნდა დარჩნენ და ხელი შეუწყონ მის დაცვას“.

თ. ხ.: სერგო ჯორბენაძის თქმით, ამ ჭეშმარიტად რაინდულ გადანყვეტილებაზე ხელს სამეცნიერო საბჭოს ცხრა წევრი აწერდა: პეტრე მელიქიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, კორნელი კეკელიძე, ფილიპე გოგიჩაიშვილი, აკაკი შანიძე, შალვა ნუცუბიძე, გიორგი ახვლედიანი და იოსებ ყიფშიძე...

გ. გ.: უნივერსიტეტის ეზოში მათს ძვირფას საფლავეებს რომ ვხედავ, ისეთი განცდა მეუფლება, რომ ისინი დღესაც დარაჯად უდგანან დიდი გმრობის ფასად აგებულ ყველა ქართველისათვის უძვირფასეს ტაძარს...

თ. ხ.: მეოცე საუკუნის უპირველეს ტაძარს – ქართულ უნივერსიტეტს...

გ. გ.: დიახ, ერთხელ საქართველოში, კერძოდ, 1918 წლის 26 იანვარს, დიდი ხნის ნაფერები და ნალოლიავეები იდეის ხორცშესხმა მოხდა: გაიხსნა ქართული უნივერსიტეტი...

*გადაიკა საქართველოს მთავარი რადიოთი. 7. II.98 წ.*

*წიგნიდან „ერთხელ საქართველოში“. 2000.*



## ქართული ენა, ჩვენ და ხელისუფლება

„რა ენა ნახდეს, ერიც დაეცეს“, – თქვა პოეტმა, მაგრამ ეს არ არის მხოლოდ ლამაზი პოეტური ფრაზა; ეს ჭეშმარიტებაა და ძალა ამ ჭეშმარიტებისა არა ერთმა და ორმა ერმა იწვინა თავის თავზე. ჩვენ არ ვიცით ზუსტად, რა იყო ის ძალები, რამაც აღგავა პირისაგან მინისა სახსენებელი არა ერთი და ორი კულტურული ერისა, მაგრამ ფაქტია, „ენის ნახდენა“ უეჭველად იქნებოდა ერთ-ერთი მთავარი მიზეზი...

ნუ ნავალთ შორს; XIX საუკუნე გავიხსენოთ: ასეთი შემოტევა ქართულ ენაზე მტრის მიერ საქართველოსა და ქართველების მოსპობის უმთავრესი გზა იყო. იყო მცდელობა ქართული ანბანის სლავურით შეცვლისა...

როცა ივანე ჯავახიშვილმა ქართული უნივერსიტეტის დაარსებისათვის აქტიური მოძრაობა წამოიწყო, თავგამოდებით ეწინააღმდეგებოდნენ მას რუსეთში. შალვა ნუცუბიძეს მოვუსმინოთ: „ოლდენბურგი, ვასილიევი და სხვები მზრუნველობითი კილოთი გვიჩვენებენ, ხელი აგველო ამ უიმედო საქმის დაწყებაზე, რასაც საქართველოს უნივერსიტეტი ეწოდება. ქართულ ენას არა აქვს არც მეცნიერული ტერმინოლოგია, არც მეცნიერული ტრადიცია; ყველა ამის შექმნა არა თუ ძნელია, უიმედო საქმეაო, გვეუბნება ეს გულშემატკივარი ხალხი... ისინი მფარველობის კილოთი ამბობდნენ: დაგვიჯერეთ, დროს ნუ დაკარგავთ, თავს ნუ მოიტყუებთ“. საქმე ქართულ უნივერსიტეტს ეხებოდა, თორემ რუსული უმაღლესი სასწავლებლის შექმნაში ხელშეწყობას და დაფინანსებაც კი გვპირდებოდნენ. დიახ, ამითაც გვაშინებდნენ: ქართული უნივერსიტეტი თქვენ უნდა დააფინანსოთო, რუსულს ჩვენ მიეხედავთო.

რატომ? – რატომდა, ქართული უნივერსიტეტის დაარსება ქართული ენის აღორძინების, გაძლიერების, მისი ფუნქციონირების არის გაფართოების საფუძველი გახდებოდა; ყოველივე ეს კი ეროვნული ძლიერების საფუძველი შეიქმნებოდა... იცოდა ეს „მოყვარე“ მტერმა და ცდილობდა თავისი მიზნის მიღწევას...



როცა XIX საუკუნის 60-იან წლებში დიდი ილიას თაოსნობით ეროვნული მოძრაობის ახალი ეტაპი დაიწყო, უპირველესი ყურადღება სწორედ დედაენას მიაპყრეს. გავიხსენოთ: „სხვისა არ ვიცით და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დავუთმობთ ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას“... რატომ? – რატომ და, იცოდა ილიამ, რომ „მტერობა ენის არს მტრობა ქვეყნის“.

ქართული ენის წინააღმდეგ არაერთხელ შეიმართა მახვილი, არაერთხელ ამოიღეს მიზანი. ზოგადი თეორიებიც შეიქმნა – მცირერიცხოვან ერთა ენას მომავალი არა აქვს; უნდა მოხდეს ერთა და ენათა შერწყმაო. ეს საკითხი გასულ საუკუნეშიც დაისვა; ამ იდეის მხარდამჭერს – გიორგი მუხრანსკის – სხვათა შორის ბრწყინვალე პასუხი გასცა იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელ ქიქოძემ... და ეს იდეა სკკპ უკანასკნელ პროგრამაშიც იყო ასახული ... ათასგვარი ვარიანტები – „მეორე მშობლიური ენა“, „უფროსი ძმის ენა“... – სწორედ ამ მიზნისაკენ მიმავალი გზა იყო... ამ საუკუნის 70-იან-80-იან წლებში სწავლების ენად რუსულის დამკვიდრება მოინდომეს ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში...

მოკლედ: ქართული ენის წინააღმდეგ მიმართული მახვილი ქართველობის, საქართველოს წინააღმდეგ მიმართული მახვილია და ეს უნდა გვახსოვდეს. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენს წინაპრებს ეს კარგად ესმოდათ; ამიტომ მიანიშნებდა ლეონტი მროველი (XI ს.) ფარნაოზის უდიდეს დამსახურებაზე, რომ მან „განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვნიერ ქართული-სა და ამან შექმნა მწიგნობრობაჲ ქართული“.

ენა რომ ეროვნულობის უპირველესი ნიშანია, ენა რომ უპირველესი საფუძველია ეროვნული მთლიანობისა, ამის თაობაზე გიორგი მერჩულეც (X ს.) მიანიშნებდა: „ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეინირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“.

ძნელია მტკიცება იმისა, რომ ჩვენ, ქართველები, ამ მხრივ განსაკუთრებულები ვართ, რომ ქართული ენისადმი ქართველების დამოკიდებულება გამორჩეულია, მაგრამ ზოგი მაგალითი ამას ადასტურებს...

საბედნიეროდ, ამის შეგნება ქართველ კაცს ყოველთვის ჰქონდა; მომხდურის მიზნის ამოცნობა ხერხდებოდა და რეაქციაც იყო საპასუხო.

თუმცა იყო დრო, როცა მოყვრულად მოსული მტრის ტაქტიკამ დააბნია ქართველი; მაშინ შეუძახეს ილიამ და მისმა თაობამ. „მაგ შარბათში სანამლავს სვამ, იცოდე!“ - აფრთხილებს ქართველს აკაკი... როცა სახელმწიფო ენის ნართმევა მოინდომეს (1978 წ.), ესეც იმ გზის გაგრძელება იყო; იმ პოლიტიკის განვითარება და აღდგა სრულიად საქართველო. დიახ, ძალას ძალა უპირისპირდებოდა...

ასე გადარჩა ქართული, ასე მოვიდა დღემდე, დღეს?

80-იანი წლების დასასრულს საკმაოდ მასშტაბური შეტევა დაიწყო ქართველ ბავშვთა არაქართულ სკოლებში აღზრდის წინააღმდეგ. ამას შედეგად მოჰყვა: მრავალი ქართველი ბავშვი დაუბრუნდა ქართულ სკოლას. სამწუხაროდ, ეს პოლიტიკური აქცია აღმოჩნდა. რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ მიმართული აქცია.

თორემ დღეს განათლების ენის საკითხი აღარაა აქტიური საკითხი: არავინ დაგიდევს, რა ენაზე სწავლობს ბავშვი. მეტიც, პრესტიჟულად და საამაყოდ მიაჩნიათ არაქართულ საბავშვო ბალებში, სკოლებში, ლიცეუმებში, კოლეჯებში სწავლა. ამის თაობაზე ვნერდი კიდევ ერთგან, განათლების სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკი სიამაყით აცხადებდა ტელევიზიით, რომ თბილისში 70-ზე მეტი არაქართულენოვანი საბავშვო ბალიაო. აიძულებს ვინმე ვინმეს იმ ბალებში თავიანთი შვილების მიყვანას? რა თქმა უნდა, არა! ფიქრობენ მშობლები შედეგზე? არა.

ჯერ ერთი: არამშობლიურ ენაზე განათლების მიღება უპირველესად თვითონ მოზარდისათვისაა საზიანო. ი. გოგებაშვილი წერდა: „დედაენა გარეგნობით როდია ადამიანის არსებობასთან შეკავშირებული... იგი როდი ჰგავს ტანისამოსსა, რომლის გამოცვლა ადვილად და უვნებლად შეიძლება. მას აქვს ღრმად გამდგარი ფესვები ადამიანის ტვინში, ნერვებში, ხმის ორგანოებში, ძვალსა და რბილში, მთელს ბუნებაში“. ილია ბრძანებდა: „ჩვენ რომ ეგრე დაჟინებით და უკანდაუხედავად ვთხოულობთ დედაენისათვის სრულს და დამოუკიდებელს გზას სასწავლებელში, ეგ მარტო დედაენის სიყვარულით არ მოგვდის. ვთხოულობთ და ვნატრულობთ იმიტომაც, რომ უდედაენოდ გონების გახსნა ბავშვისა ყოვლად შეუძლებელია. მაშინ სკოლა



გონების გახსნის სახსარი კი არ არის, გონების დაჩაგვრისა, გონების დახშვისა, დათრგუნვისა, გათახსირებისა და განა ეს სასურველია ვისთვისმე?" იაკობი კიდევ უფრო დააზუსტებს ამ აზრს: „დედაენის გაცვლა უცხო ენაზედ ამდაბლებს კაცის გონებასა და უსუსტებს ზნეობრივ ძალას; იბადება წინააღმდეგობა კაცის ეროვნულ აგებულებასა და მის მეტყველებას შუა და ამ წინააღმდეგობის წყალობით კაცი რამდენსამე ხარისხით ძირს ჩამოდის სულიერად: თუ იგი გენიოსად იყო გაჩენილი, გამოვა მხოლოდ შესანიშნავი ნიჭის პატრონი; თუ ნიჭიერად იყო გაჩენილი, საშუალო ნიჭის ადამიანი შეიქმნება და თუ ბუნებისაგან დაყოლებული ჰქონდა უბრალო ნიჭი; მტკნარ სიტუტუცეზედ ჩამოხტება“.

იქნებ მითხრან, ეს მეცხრამეტე საუკუნის მოღვაწეთა აზრიაო. XXI საუკუნის კარიბჭესთან ამის ქადაგება ჩამორჩენილობის დასტურია და მეტი არაფერიაო. თქვეს კიდევაც უნივერსიტეტში ერთ-ერთ შეკრებაზე ახალგაზრდა „მოღვაწეებმა“: იზოლაციონიზმისაკენ უბიძგებენ ქვეყანას დედაენის ამგვარი ქომაგობითო...

ჯერ ერთი, რასაც XIX საუკუნის მოღვაწენი ბრძანებენ, არ იყო მათი მწერლური ფანტაზიის ნაყოფი. ისინი ბრწყინვალედ იცნობდნენ იმდროინდელ რუს თუ ევროპელ მეცნიერთა ნააზრევს და მხოლოდ იმას ემყარებოდნენ. ამის ნათელსაყოფად შეიძლება გავიხსენოთ ილიას წერილი იანოვსკის საპასუხოდ, ანდა იაკობის „ბურჯი ეროვნებისა“, თუ აკაკის „ჩვენს მშობლებს“. სხვაც შეიძლებოდა მოგვეხმო... ეს ერთი მხარეა საკითხისა.

ვინც ენათმეცნიერების, ფსიქოლოგიის, პედაგოგიკისა თუ გენეტიკის დღევანდელ მიღწევებს იცნობს, დაგვეთანხმება, რომ ის, რის შესახებაც ჩვენი კლასიკოსები XIX საუკუნეში წერდნენ, დღესაც ფასეულია. დღევანდელია ადასტურებს მის ჭეშმარიტებას, თანამედროვე დონე მეცნიერებისა კიდევ უფრო აღრმავებს და აფართოებს ამ ცოდნას. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ არ ვიცნობთ სერიოზულ მტკიცებას საპირისპირო თვალსაზრისისას, თორემ არამეცნიერული (ეკონომიკური თუ პოლიტიკური მოსაზრებებით შემაგრებული) მსჯელობა რომ სიკეთეს არ მოგვიტანს, ნათელია...

ერთი მაგალითიც მინდა გავიხსენოთ, აკაკი წერს: – „ნეტარხსენებული ვარანცოვის დროს ერთმა დირექტორთაგანმა კოცებუმ შენიშნა, რომ ქართველს ყმანვილებში ზოგი დიდს ნიჭს იჩენდა და ზო-



გი კი სრულ უნიჭობას... საშუალოს ვერსად ჰხედავდა. დაუკვირდა და რა გამოდგა: ის, რომელსაც დედაენაზე ესწავლა სახლშივე წერაკითხვა, ქართულით გაეტეხა თვალი და გაეხსნა გულის ყური, გაუჭირვებლად გადადიოდა უცხო ენაზე და უცხო ენის ნყალობით ადვილად ითვისებდა სწავლა-განათლებას და ვინც პირდაპირ იწყებდა უცხო ენის სწავლას, ის კი გულისყურს ჰპარგავდა. ეს ჭეშმარიტება დღესაც არა აქვთ შეგნებული ქართველ დედ-მამებს". ეს XIX საუკუნეში იწერება! ვაი რომ, დღესაც არა აქვთ შეგნებული ქართველ დედ-მამებს ამ ჭეშმარიტების არსი... და როცა ჰგონია, რომ საკუთარი შვილის მომავალზე ზრუნავს, პირიქით - აუბედურებს მას... ვთქვით, ეს ერთი მხარეა უბედურებისა... მეორე, და ასევე მთავარია ქვეყნის განათლების სისტემაში სახელმწიფო ენის პარალელურად ფეხს იკიდებს და მკვიდრდება არაქართული ენა. მით უმეტეს, დღეს საქართველოში არსებობს არაერთი არაქართულენოვანი უმაღლესი სასწავლებელი. ქართული საზოგადოებრიობის ძალისხმევამ - წინ აღდგომოდა ამ უბედურებას - შედეგი არ გამოიღო. ვგულისხმობთ ე. წ. თურქული უნივერსიტეტის თაობაზე ამტყდარ აჟიოტაჟს. ეს ფაქტი დაგმეს და მკვეთრი წინააღმდეგობა გაუჩინეს თბილისის უნივერსიტეტმა, მეცნიერებათა აკადემიამ, მწერალთა კავშირმა, რექტორთა საბჭომ... სასწავლებელი განაგრძობს ფუნქციონირებას...

ახლა დავფიქრდეთ: არაქართულენოვანი საერთაშორისო უნივერსიტეტისადმი ლტოლვა როგორი იქნება, ეს ადვილი მისახვედრია, თუ გავითვალისწინებთ კონკურსს იმ სპეციალობებზე, სადაც დასახელებაში საერთაშორისო ურევია. რა გამოვა: ამგვარ უმაღლეს სასწავლებლებზე ორიენტირებულნი (მშობლები მყავს მხედველობაში) შვილებს არაქართულ ბალებში, სკოლებში, კოლეჯებში მიაბარებენ, რომ გაუადვილდეთ არაქართულ უმაღლეს სასწავლებელში მოხვედრა და ქართულ ენას საქართველოს განათლების სისტემაში მონილე გაუჩნდება, საშიში მონილე! ეს გზა ქართულის დისკრედიტაციის გზაა; საქართველოში ქართული ენის ფუნქციონირების შეზღუდვის გზაა. თუ შორეულ „პერსპექტივებს“ გავითვალისწინებთ, ეს გზა ეროვნული უბედურების გზაა!

გვაიძულებს ვინმე ამ გზაზე შედგომას? ჩვენივე უვარგისობა, უგულისყურობა, უპასუხისმგებლობა - სხვა არავინ. ჩვენს ქართველობას ჩვენივე ხელით ვაცლით მთავარ ბურჯს - დედაენას... გვაბ-



სოც ალბათ: ოთხმოციანი წლების დასაწყისში არაქართულენოვანი რეკლამების, წარწერების წინააღმდეგ მიმართული მოძრაობა; ლ. ღვინჯილიას სატელევიზიო გამოსვლები. შედეგები თვალსაჩინო იყო. დღეს რა ხდება?

წალეკა თბილისი და საქართველო უცხოურმა რეკლამებმა. ტელევიზიით გამუდმებით აჩვენებენ, იმეორებენ ამგვარ რეკლამებს; არავინ აქცევს ყურადღებას სწორ ქართულს... აღარას ვამბობ მომრავლებულ ჟურნალ-გაზეთებზე. ბილსიტიყვაობამ ყური მოგვჭრა... ვინ გვაიძულებს ყოველივე ამას? ჩვენივე უვარგისობა, უგულისყურობა, უპასუხისმგებლობა. გამართლებას ცდილობენ ზოგჯერ ამგვარადაც: ერთ-ერთმა ცნობილმა ადვოკატმა, რომლის პასუხისმგებლობის საკითხიც დასვეს ამას წინათ, თავი ასე იმართლა: რადგან ცენზურა აღარ არსებობს, აღარც უცენზურო სიტყვები არისო. ძალიან კარგად იცის მანაც და მისთანებმაც, რომ ეს ორი სხვადასხვა რამეა, მაგრამ ასე საჭირდება მას!.. და ილახება ღირსება დედაენისა, ქართული ენისა.

რა თქმა უნდა, ამას სხვას ველარ დავაბრალებთ...

თბილისის ერთ-ერთ ბაზრობაზე უცხოურ რეკლამებსა და ტრანსპარანტებს სურათს ვუღებდი. დაინტერესდნენ იქ მომსახურე ქართველები, ვინ ვიყავი და რას ვაკეთებდი. როცა ვკითხე, რა ეწერა იმ რეკლამებზე, ეს რა ჩვენი საქმეაო, ჩვენ ხელფასს გვაძლევენ და პურს ვჭამთო. იქნებ გვლანძღავენ-მეთქი და ნეტაი შენო...

წინა პარლამენტში ან განსვენებულმა პროფესორმა თ. ბუ. ზიძემ კოლეგებს სწორი ქართულით საუბრისაკენ მოუწოდა და დარბაზიდან რეპლიკა გაისმა, რა დროს ქართული ენააო... ეს რომ პარლამენტში მოხდება, კომენტარიც მიჭირს ამ ფაქტისა...

ჩვენამდე ბრძოლითა და სისხლით მოტანილ ქართულ ენას ასე ვექცევით. ი. ჭავჭავაძის პროსპექტზე უზარმაზარი რეკლამაა ქართული წარწერით „გუდაური ვოდკა!..“ თბილისსა და საერთოდ მთელ საქართველოში კატასტროფული სისწრაფით იზრდება ეს უბედურება. „რა ჩემი საქმეა“ – ესაა პასუხი. ეს ყველას საქმეა, მაგრამ ყველა თავის თავზე ფიქრობს. ქართულ ენაზე ვინ იფიქროს? ყოველივე ამის შედეგზე ვინ იფიქროს?

იტყვიან, ხელისუფლებამო. დიახაც, უნდა იფიქროს ხელისუფლებამ, მაგრამ თითოეულ ჩვენგანს ამათ პასუხისმგებლობა არ უნდა

მოუხსნას. და მაინც, ფიქრობს კი ხელისუფლება ყოველივე ამაზე? ერთი შეხედვით, რა თქმა უნდა, ფიქრობს: 1995 წლის იანვარში გამოქვეყნდა (მეოთხე წელია!) მაშინ სახელმწიფოს მეთაურის ბ-ნ ედუარდ შევარდნაძის განკარგულება ქართული ენის სახელმწიფო კომისიის შექმნის თაობაზე. როგორც დადგენილებაში ეწერა, ქართული ენის წინაშე მდგარი პრობლემები იყო საფუძველი ამგვარი კომისიის შექმნისა. მეორე წელია, შეიქმნა საქართველოს ენის სახელმწიფო პალატა (თავმჯდომარე ბ-ნი ლ. ლვინჯილია); პარლამენტში არსებობს ქართული ენის ქვეკომიტეტი (თავმჯდომარე ქ-ნი მ. გიგინეიშვილი).

ერთი შეხედვით, ასეთი სტრუქტურების არსებობა ამის გარანტიას უნდა იძლეოდეს. ყოველ შემთხვევაში, პრობლემების მოგვარება არ უნდა ჩირდეს. სინამდვილეში რა ხდება?

არ ვიცი, იქნებ მე ვცდები (ღმერთმა ქნას, ასე იყოს! — მე ვცდებოდე), მაგრამ ბოლო წლებში საქმეს სასიკეთო პირი არ უჩანს.

რამდენადაც ჩემთვისაა ცნობილი (ყოველ შემთხვევაში ყველა ოფიციალური ცნობის მიხედვით, ასეთი დასკვნის გაკეთების უფლება მაქვს), ქართული ენის სახელმწიფო კომისიის ერთ-ერთი (თუ ერთადერთი) საქმიანი გადამწყვეტილება ისაა, რომ შეიქმნა საქართველოს ენის სახელმწიფო პალატა; იმ კომისიისა, რომლის ჩამოყალიბების დროსაც იგეგმებოდა, რომ მას უნდა შეემუშავებინა ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, უნდა ეზრუნა ამ ნორმათა დაცვაზე, თვალყური ედევნებინა სახელმწიფო ენის ფუნქციონირებაზე და ა. შ. მოკლედ, ყველა არსებითი პრობლემა ქართულ ენასთან დაკავშირებული ამ კომისიის ფიქრისა და ზრუნვის საგანი უნდა გამხდარიყო.

ვიმეორებთ: რეალურ ღონისძიებას, ამ კომისიის მიერ ჩატარებულს, მე არ ვიცნობ.

ვთქვით, ერთადერთი, რაც ამ კომისიის საქმიან ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს, ის იყო, რომ შეიქმნა *საქართველოს ენის სახელმწიფო პალატა*. სათაურს ხაზგასმით ვწერთ, რადგანაც საქმე სათაურთან უნდა დაინყოს. ორაზროვნება (*საქართველოს ენაზე* საუბარი თუ *ენის სახელმწიფო პალატაზე საქართველოსა*) ასეთ შემთხვევაში ნინასნარი თავისდაზღვევა ხომ არ არის მოსალოდნელი ოპონენტების საგან?.. მოკლედ, სათაურს ნუ მივაქცევთ ყურადღებასო, გვეტყვი



ან; კეთილი, გადავხედოთ ფაქტებს: საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის შექმნის თაობაზე 1997 წლის 24 იანვრით თარიღდება. ბრძანებულების მიხედვით პალატის თავმჯდომარეს ორ კვირაში უნდა წარედგინა: ა) ენის სახელმწიფო პალატის დებულება, ბ) ენის სახელმწიფო პალატის სტრუქტურა, გ) ენის სახელმწიფო პალატის ხარჯთაღრიცხვის პროექტი; ფინანსთა სამინისტროს პალატის შექმნასთან დაკავშირებული შესაბამისი ხარჯები უნდა გაეთვალისწინებინა 1997 წლის ბიუჯეტში...

ახლა, როცა მეორე წელი დაიწყო, დაინტერესებულ კაცს პალატის მუშაობის შედეგების შემჩნევა არ უნდა გაუჭირდეს, მაგრამ, სამწუხაროდ, კონკრეტული ჯერ არაფერი ჩანს. ყოველდღიურობა სხვა დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა. ვინც ჩვენს სკეპტიკურ შეხედულებას არ იზიარებს, დადგეს რუსთაველის მოედანზე რუსთაველის ძეგლთან და მიმოიხედოს ირგვლივ. რომ არა შოთა რუსთაველის ძეგლი, უცხოეთში ეგონება თავი. და ეს „გაუცხოურებული“ რუსთაველის მოედანი ბოლო თვეების „შემოქმედებაა“; არაა ეს მხოლოდ რუსთაველის მოედნის უბედურება: აივსო ქალაქი ცხენიდან ჩამოვარდნილი თუ ცხენზე ამხედრებული კოვბოებით; ენათმეცნიერების ინსტიტუტს – ქართული ენის უპირველეს და თავდადებულ მსახურს – თავზე უცხოური წარწერა დაადგეს, ქალაქის ყველა კუთხიდან რომ ჩანს ლამის... აღარ გავაგრძელებთ... ეს ერთი მხარეა დღევანდულობისა... სადაა სახელმწიფო კომისია ან ენის პალატა?

განათლების სისტემა ლამის მინასთან გავასწოროთ უცხოეთის მიბაძვით (გამიგეთ: უცხოურ მოდელს კი არ ვინუნებ, ჩვენს რეალობასთან მის შეუსაბამობაზე ვამახვილებ ყურადღებას, მაგრამ ეს სხვა საუბრის თემაა); სახელმწიფო ენისადმი სხვა ერთა დამოკიდებულების მაგალითებით არ ვინტერესდებით... არ ვიცი, რამდენად შეეფერება სინამდვილეს, მაგრამ ჩვენი ტელევიზიიდან მოვისმინე, მოსკოვში უცხოური რეკლამები აიკრძალო... ამას წინათ გაზეთში „კვირის ფოსტა“ (№ 1, 1998) საფრანგეთის სენატის წამყვანი სპეციალისტის წერილი გამოქვეყნდა: „ენობრივი პოლიტიკის ფრანგული მაგალითი“. თურმე, საფრანგეთში არსებობს კანონი „ფრანგული ენის გამოყენების უზრუნველსაყოფად“. პირველად ეს კანონი 1975

ნელს იქნა მიღებული. ამის საფუძველზე 1996 წელს ახალი კანონი მიიღესო. რამდენიმე ამონარიდს ჩავიკითხავ ამ წერილიდან: „ფრანგული ენის გამოყენება სავალდებულოა საქონლისა და სერვისის (მომსახურების) დასახელების, შეთავაზების, აღწერის, მოხმარების წესისა თუ გარანტიის პირობებისათვის. იგივე შეეხება რეკლამასაც - იქნება ის წერილობითი, სალაპარაკო თუ აუდიო-ვიზუალური, რომელიც ამ საქონელსა თუ სერვისს ახლავს. გათვალისწინებულია აგრეთვე, რომ უცხოური წარმოშობის პროდუქციის დასახელებაც ისევე იკითხებოდეს ფრანგულად, როგორც უცხო ენაზე“.

ასეა თურმე საფრანგეთში! ასე სცემენ პატივს ფრანგულ ენას ფრანგები; ასე ინარჩუნებენ ეროვნულობას... კვლავ ამონარიდი: „გარდა ფრანგული ენის დაცვაზე ზრუნვისა, მათ, ცხადია, ამოძრავებთ მომხმარებლის სწორად ინფორმირების სურვილიც“... დიას, ამაზეც ფიქრობენ და ზრუნავენ იქ, საფრანეთში. თურმე „სახელმწიფო ორგანოები სენსიბილიზაციის (საზოგადოების ყურადღების მიპყრობის) აქციის მეშვეობით ცდილობენ, დაანახონ ამ სანარმოებს, რომ ფრანგული ენის უგულვებელყოფა ქვეყნის შიგნით საზოგადოებრივ კლიმატს აფუჭებს, რასაც შეუძლია უარყოფითი გავლენა მოახდინოს მათ კონკურენტუნარიანობასა და ეროვნული ბაზრის დაპყრობის სტრატეგიაზე“. აღარ გავაგრძელებთ, ერთს მივანიშნებთ მხოლოდ: თურმე სათანადო უწყებები „კანონის დარღვევის შემთხვევაში უფლებამოსილნი არიან, აღძრან სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი (ჯარიმები)“...

ჩვენთან არსებობს კომისია, პალატა... პარლამენტში შეიქმნა ქართული ენის ქვეკომიტეტი... პარლამენტის სხდომათა დარბაზში საგანგებო შეკრება გაიმართა და ბ-მა ელდარ შენგელაიამ, რომელსაც სხდომა მიჰყავდა, გახაზა კიდეც მნიშვნელობა იმ ფაქტისა, რომ ქართული ენის სინმინდის დაცვისადმი მიძღვნილი სხდომა პარლამენტის სხდომათა დარბაზში ტარდებოდა. იყო მსჯელობა, თუ როგორ უჭირს ქართულ ენას... შედეგი?..

რადგან საკანონმდებლო ორგანოში შეიქმნა ქართული ენის ქვეკომიტეტი, ვიფიქრეთ, იზრუნებდნენ რაიმე საკანონმდებლო აქტის შექმნაზეც, მაგრამ მსგავსი არაფერი შექმნილა.

არადა, მორალურ დონეზე დასმული პასუხისმგებლობა საქმეს ვერ გამოასწორებს. რა უნდა გააკეთოს პალატამ, როცა არ არსებ



ბოძს არანაირი საკანონმდებლო აქტი, რომელიც დედაენის ღირსეულობის შეურაცხყოფლის პასუხისმგებლობის საკითხს დასვამდა.

ლოგიკური იქნებოდა, ჯერ მომზადებულყო საკანონმდებლო ბაზა და შემდეგ შექმნილიყო ის სტრუქტურა, რომელიც ამ ბაზის საფუძველზე იმოქმედებდა... ვთქვით, მორალური პასუხისმგებლობა არაა ის საფუძველი, რომელზეც დედაენის პრობლემათა მოგვარება დაემყარება. ბიზნესში ჩაბმული ჩვენივე თანამემამულე არას დაგიდევთ დედაენას – მისთვის ფულია მთავარი და ამიტომაც აივსო საქართველო იმ რეკლამით, რომელიც მას მოგებას ჰპირდება... ასეთებს სასაცილოდ არ ჰყოფნით თითო-ოროლა კაცის თავგამოდება და ზემოხსენებული პარლამენტარივით ფიქრობს, რა დროს ქართული ენააო...

სახელმწიფო ენას სახელმწიფოს მზრუნველობა სჭირდება და ეს გვაკლია სწორედ. აბა, დაასახელოს ვინმემ თუნდაც ერთი ფაქტი, რომელიც ამ თვალსაზრისით სამაგალითო და მისაბაძი იქნებოდა...

როცა ქართული ენის ქვეკომიტეტის ზემოხსენებულ სხდომაზე ენის კანონის შემუშავებისა და მიღების საკითხი დავსვით (ეს საკითხი ადრეც იდგა...), ბატონმა კ. გაბაშვილმა ენის კანონის საჭიროების საკითხი ეჭვქვეშ დააყენა. რა თქმა უნდა, დიპლომატსა და პოლიტიკოსს ამ ეჭვის საფუძველი ექნება, მაგრამ შექმნილი მდგომარეობის გამოსწორების გზა?..

ქალაქის მასშტაბით პრობლემის მოგვარების ცდა იყო 1995 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება თბილისის მერიისა. ერთ-ერთი პუნქტი ასე უღერდა: დაევალოს „თბილისის მუნიციპალიტეტს (მ. ტყეშელაშვილი) და დიზაინის სამმართველოსთან (ზ. მგალობლიძევილი) ერთად მიიღონ გადაწყვეტი ზომები სარეკლამო გაფორმების მოსაწესრიგებლად. უახლოეს დროში აღრიცხონ და შესაბამისი ფორმებისა და კერძო სტრუქტურების საშუალებით შეცვალონ რაიონებში არსებული არაქართულენოვანი სარეკლამო ნარჩენები, აბრები, პლაკატები და ა. შ. ხოლო ახალი ფირმის შექმნისას დროულად იზრუნონ შესაბამისი სახელწოდების შესარჩევად“. დადგენილება მართლაც საგულისხმოა, საჭირო და აუცილებელი. ქალაქის მერი იმჟამად ბ-ნი ნ. ლეკიშვილი იყო...

იმავე წლის (1995) 24 ნოემბერს გაიართა ქ. თბილისის მერიის კოლეგიის სხდომა, რომელზეც გადაწყდა, რომ მერიასთან შეიქმნე-

ბოდა სახელმწიფო ენის ფუნქციონირების საზედამხედველო სამსახური. 1995 წლის 2 დეკემბერს ამის თაობაზე თავად ბ-ნმა მერმა, ნ. ლეკიშვილმა, ამცნო ტელემეყურებლებს (გადაცემა „ბაბილონის გოდოლი“; გადაცემა მიჰყავდა ლ. ლვინჯილიას). რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ამ სამსახურის ხელმძღვანელად ბ-ნი ლ. ლვინჯილია დაინიშნა... მერიის მიმდებარე თავისუფლების მოედანი არის იმის მაგალითი, თუ როგორ შესრულდა ან სრულდება ეს გადანაცვლებები, თუ რა გააკეთა, თუ რას აკეთებს ეს სამსახური... ვთქვით: მეორე წელია ენის პალატა არსებობს, მეოთხე წელია ქართული ენის სახელმწიფო კომისია არსებობს... ალბათ ბევრი ერი და ენა ვერ დაიკვებნის დედაენაზე მზრუნველ სტრუქტურათა ასეთ სიმრავლეს... შედეგი?...

1989 წელს დიდი ზარ-ზეიმით შევხვდით „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის“ მიღებას. მართლაც საგულისხმო დოკუმენტი იყო; ქართული ენის ფუნქციონირების, შესწავლისა თუ სწავლების ყველა პრობლემა იყრიდა თავს ამ დოკუმენტში; თითქმის ყველა სფეროს პასუხისმგებლობა იყო განსაზღვრული. დაიწყო კიდევაც ამ პროგრამის განხორციელება. მერე მოვიდა ეროვნული ხელისუფლება და ერთ-ერთ პასუხისმგებელ პირს პროგრამის მოთხოვნის შესრულების აუცილებლობის საკითხი რომ შევახსენე (მაშინ ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ვიყავი), მიპასუხა ის პროგრამა ძველი, კომუნისტური მთავრობისა იყო.

საუბედუროდ, არ იცის მან (და არც სხვამ, როგორც ჩანს), რომ სახელმწიფო ენის პროგრამა არცერთი მთავრობისა არ არის, იგი ეროვნული პროგრამაა და ყველა მთავრობა, ხელისუფლება ვალდებულია ემსახუროს მას...

წინა პარლამენტს შევახსენეთ ეს და მეცნიერებისა და განათლების კომისიაში (თავმჯდომარე რ. კუპრავა) შემუშავდა ახალი რედაქცია ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის სახელმწიფო პროგრამებისა (ცნობილ მეცნიერებთან ერთად)... მაგრამ იმ პარლამენტს ვადა გაუვიდა და ეს საქმეც შუა გზაზე გაჩერდა...

ისტორია ვიცით; ვიცით, როგორი იყო დამოკიდებულება ქართველი კაცისა დედაენისადმი; გვჯერა ჭეშმარიტება იმისა, რომ „ჩა ენა ნახდეს, ერიც დაეცეს“...



მაინც ვერ ვდგავართ ჩვენ, დედაენის ბატონ-პატრონები, ჩვენს სიმალღეზე, ვცოდავთ მის წინაშე; „რა დროს ქართული ენააო“, ამ შეძახილს ვეთანხმებით შინაგანად (თუ რეალურად) და უკულმა მიდის ქართულის საქმე... ამას წინათ ტელევიზიით ასეთი ფრაზა გაისმა, ჯერ დამაპურეთ და ეროვნულ ფასეულობებზე მერე მესაუბრეთო... როდის მერე? დედაენის გადარჩენა რომ უკვე შეუძლებელი იქნება? ჩვენს მორალურ პასუხისმგებლობაზე არ შეიძლება ამ საქმის მიგდება...

მთავრობამ და ხელისუფლებამ თავისი სიტყვა უნდა თქვას. ქალღმერთს დარჩენილი დადგენილებები, ფორმალური კომისია-პალატა-კომიტეტები საქმეს ვერ უშველის... საქმეს საქმე უშველის... 14 აპრილს რომ გვახსენდება დედაენა, ეს არ კმარა!.. არც არჩევნების წინა კამპანიის დროს ქადილი და დაპირებები მოგვიტანს სიკეთეს, თუ ქადილი და დაპირება არ შესრულდა... ქართულ ენას, საქართველოს სახელმწიფო ენას, სახელმწიფოებრივი ზრუნვა სჭირდება...

ყოველმა დაგვიანებულმა დღემ შეიძლება იმდენი რამ დაუშავოს დედაენას, რომ წლები დასჭირდეს მის გამოსწორებას, თუ გამოსწორდა საერთოდ...

*I საშეცნიერო-საზოგადოებრივი კონფერენცია  
„დედაენის დელოზობა და სახელმწიფოებრივი  
ცნობიერების პრობლემები“. მოხსენებათა კრებული.  
(24-25 აპრილი, 1998, თბილისი).*



## კავშირი დედაენისა ერის სულთან და ხორცთან

*დიאלოგი მწერალ თამაზ ხმალაცხთან*

**თ.ხ.** - ბატონო გიორგი, ბოლო წლებში გახშირდა დისკუსიები იმის თაობაზე, რომ ქართველმა ბავშვმა ქართულად უნდა ისწავლოს...

**გ.გ.** - მაპატიეთ, ბატონო თამაზ, შეგანყვეტინებთ. მართალია, ჩვენ ქართველი ბავშვის პრობლემა გვანუხებს უპირველესად და საკითხსაც იმიტომ ვსვამთ ასე - ქართველმა ქართულ სკოლაში ისწავლოსო. რაიმე უხერხული გაუგებრობა რომ არ გამოიწვიოს, დავაზუსტოთ: ბავშვმა, განურჩევლად ეროვნებისა, დედაენაზე უნდა მიიღოს პირველდანიყვებითი განათლება.

**თ.ხ.** - კეთილი. ასე დავსვათ კითხვა: რატომ არის აუცილებელი, მოზარდმა განათლება მშობლიურ ენაზე მიიღოს?

**გ.გ.** - დავინწყით იმით, რომ ეს მოთხოვნა - ქართველმა ქართულად ისწავლოსო - ოდენ პატრიოტულ მოთხოვნად იქნა გაგებული, ეროვნული მოძრაობის მხარის აბმად იქნა შეფასებული. ცრუპატრიოტობაც კი დაგვწამეს ამის გამო...

**თ.ხ.** - იმის მონმეც ვყოფილვარ, კაცს რომ დაუტრაბახია, ბავშვი ქართულ სკოლაში გადავიყვანეო და ამით თავის პატრიოტობას უსვამს ხაზს...

**გ.გ.** - კი, ბატონო, და ის მინდა გავაცნობიეროთ, რომ ამ მოძრაობაში მართლაც არის პატრიოტული, დიდი პატრიოტული მიზანი - ქართველი ბავშვის გონებრივ განვითარებას მიეცეს სწორი გზა. ღვთითბოძებული ნიჭი სწორად განვითარდეს. ეს მხოლოდ დედაენაზეა შესაძლებელი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს არაა პატრიოტული ახირება, პროვინციული პატრიოტიზმის გამოვლინება...

**თ.ხ.** - ისიც უნდა ვთქვათ, ალბათ, რომ ბოლო წლებში ჩვენში შექმნილმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა სიტუაციამ მოგვცა საშუალება ამ საკითხზე მსჯელობისა, ამ საკითხის მოგვარებისა.

**გ.გ.** - მაგრამ წინა ათწლეულებმა იმდენი რამ გააფუჭა ამ მხრივ, ისევ წლები დასჭირდება გამოსწორებას.



**თ.ხ.** - საკითხი, რომელზეც დღეს ვსაუბრობთ, ყველაზე მასშტაბურად, ღრმად, მწვავედ იმდროინდელი მეცნიერების მიღწევათა გათვალისწინებით იაკობ გოგებაშვილთან დაისვა.

**გ.გ.** - და არა მხოლოდ იმდროინდელი მეცნიერების მიღწევათა დონეზე... დიდი იაკობის პოზიციას მეცნიერული საფუძვლიანობა, აქტუალობა და პრობლემურობა, სამწუხაროდ, დღესაც არ დაუკარგავს.

**თ.ხ.** - რატომ „სამწუხაროდ“?

**გ.გ.** - მოგეხსენებათ, პუბლიცისტიკა ენაა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის აქტუალური საკითხებისა. საუკუნის წინანდელი პუბლიცისტური ნაწარმი რომ კვლავაც სადღეისოა, ესაა სამწუხარო. საუკუნის წინათ ჩვენ წინაშე მდგარი პრობლემა რომ დღესაც გადაუჭრელია...

**თ.ხ.** - ასე რომ, ეს პრობლემა საუკუნის წინათაც იდგა...

**გ.გ.** - იდგა და როგორ! იაკობ გოგებაშვილის მოღვაწეობის ერთი მთავარი ხაზი სწორედ დედაენაზე სწავლების აუცილებლობის დასაბუთება იყო. მოვისმინოთ: „დედაენა გარეგნობით როდია ადამიანის არსებასთან შეკავშირებული, იგი როდი ჰგავს ტანისამოსსა, რომლის გამოცვლა ადვილად და უვნებლად შეიძლება. მას აქვს ღრმად გამდგარი ფესვები ადამიანის ტვინში, ნერვებში, ხმის ორგანოებში, ძვალსა და რბილში, მთელ მის ბუნებაში; იგი არის ძვირფასი იარაღი, რომელიც ბუნებას ზედ გამოუჭრია ადამიანის სულსა და ხორცზედ, მის ფსიქოლოგიურს და ფიზიოლოგიურს აგებულებაზედ. ყოველ ადამიანს დაბადებიდან ჰყვება მიდრეკილება და ნიჭი დედაენის ადვილად და ღრმად შესწავლისა სწორედ იმგვარად, როგორც ბულბულს ჰყვება გალობის ნიჭი, იადონს - იადონურის გალობის ნიჭი და სხვა“.

**თ.ხ.** - იაკობისეული ცნობილი გამოთქმაა - „მხოლოდ დედა-ენა არის ენა სულისა და გულისა, - ყველა უცხო ენა კი არიან ენანი მეხსიერებისა...“

**გ.გ.** - დიას, კიდევ ერთი, ძალიან შთამბეჭდავი ადგილი მინდა მოვიყვანო იაკობის ნაშრომიდან: „დედაენის გაცვლა უცხო ენაზედ... ამდაბლებს კაცის გონებასა და უსუსტებს ზნეობრივ ძალასა... თუ იგი გენიოსად იყო დაბადებული, გამოვა მხოლოდ შესანიშნავი ნიჭის პატრონი, თუ ნიჭიერად იყო გაჩენილი, საშუალო ნიჭის

ადამიანი შეიქმნება და თუ ბუნებისაგან დაყოლილი ჰქონდა უბრალო ნიჭი, მტკნარ სიტუტუცეზედ ჩამოხტება".

თ.ხ. - ე. ი. ძირითადი აზრი ნათქვამისა ისაა, რომ თუ ბავშვი მშობლიურ ენაზე არ მიიღებს განათლებას, მისი ღვთითბოძებული ნიჭი სრულად ვერ განვითარდება, ვერ გამოავლენს თავის ღვთითბოძებულ შესაძლებლობას სრულად...

გ.გ. - ასეა. და ეს არ იყო მხოლოდ იაკობის საფიქრალი და სადარდებელი. ახლა ილიას მოვუსმინოთ: „ჩვენ რომ ეგრე დაჟინებით და უკან-დაუხეველად ვთხოულობთ დედაენისათვის სრულს და დაუბრკოლებელს გზას სასწავლებელში, - ეგ მარტო დედაენის სიყვარულით არ მოგვდის. ვთხოულობთ და ვნატრულობთ იმიტომაც, რომ უდედა-ენოდ გონების გახსნა ბავშვისა ყოველად შეუძლებელია. მაშინ სკოლა გონების გახსნის სახსარი კი არ არის, გონების დაჩაგვრისა, გონების დახშვისა, დათრგუნვისაა, გათახსირებისაა - და განა ეს სასურველია ვისთვისმე?"

თ.ხ. - და ეს მსჯელობა ყოველთვის იყო საბუთიანი და არგუმენტირებული.

გ.გ. - ეს აუცილებელი პირობაც იყო ილიასათვის თუ იაკობისათვის. არაარგუმენტირებული და უსაბუთო მსჯელობა იყო ძირითადად მათი სამიზნე. ვინც ილიასა თუ იაკობის ამ ნაშრომებს იცნობს, დაგვეთანხმება, რომ ისინი საოცრად ღრმად და საფუძვლიანად იცნობენ იმდროინდელი პედაგოგიური, ფსიქოლოგიური თუ ენათმეცნიერული მეცნიერების მიღწევებს. უშინსკი, პოტებნია, პესტალოცი, ვესელი, დისტერვეგი, ტოლი, იან ამოს კომენსკი, შლაიხერი - აი, არასრული სია იმ მეცნიერთა, ვის შრომებსაც ეყრდნობიან ისინი, როცა დედაენაზე პირველდანიყებითი განათლების აუცილებლობაზე მსჯელობენ.

თ.ხ. - რუსულ იმპერიულ აზროვნებას რუს მეცნიერთა ნააზრევით ებრძვიან.

გ.გ. - არა მხოლოდ რუსულით. ბრწყინვალედ იცნობენ ილიაც და იაკობიც ევროპელი მეცნიერების მიღწევებს. მაგრამ, სამწუხაროდ, ამით ვერც იმპერიული აზროვნება შეცვალეს და ვერც ვაიქართველს შეაგონეს.

თ.ხ. - „ჯანი გავარდეს ან შვილსაც, მამულს, ოღონდ ვაამოთ ჩვენს საკუთარ გულსო"?!..



გ.გ. - რა თქმა უნდა, იმპერიულ ენობრივ პოლიტიკას, იანოვსკებს, მხარის დამჭერნი რომ არ ჰყოლოდათ ჩვენში ვაიქართველთა მხრივ, ბრძოლა არ იქნებოდა ასე ძნელი. მშობელი ნაკლებად ფიქრობდა ყოველივე ამაზე და თავისი შვილის კარიერაზე მისი ბალღობიდანვე „ზრუნავდა“. მშობელთა გასაგონად ლაღადებდა ილია: „ერთხელ და ერთხელ საჭიროა ყურებიდან ბამბა გამოვიღოთ. ერთხელ და ერთხელ საჭიროა ვიცოდეთ, რომ შვილის გაზრდა, შვილის კაცად გამოყვანა უნმინდესი და უდიდესი ვალია მშობლებისა“. შვილის გაზრდაში კი მის სწორ, მეცნიერულ ნიადაგზე დამყარებულ სწავლა-განათლების მიღებას გულისხმობდა. ისევ იაკობს მივმართოთ: ის მშობელნი, რომელიც „თავის შვილებსა ზრდიან გარეშე დედაენის გავლენისა, სწყვეტენ კავშირსა მათსა და სამშობლოს შორის, უკარგავენ თავისს ქვეყანასა მამულიშვილებს, ამცირებენ იმ რაზმს ქართველებისას, რომელნიც ემსახურებიან სამშობლოს წარმატებას, მის ბედნიერებასა, რომ ეს მშობელნი, ერთი სიტყვით, დამნაშავენი არიან სამშობლო ქვეყნის წინაშე“.

თ.ს. - კარგი იქნებოდა ჩვენი დიალოგი იმათ წაეკითხათ, ვინც გულის სიღრმეში მაინც ნანობს, რომ არ მიეცათ საშუალება ქართველი ბავშვის არაქართულ სკოლებში მიბარებისა, ანდა იძულებულნი გახდნენ არაქართული სკოლებიდან გამოეყვანათ და ქართულ სკოლებში მიეყვანათ შვილები. არიან ასეთებიც.

გ.გ. - არიან და ალბათ არა ერთი და ორი. ჩვენს დღევანდელ საუბარში რამდენიმე ადგილი მოვიყვანეთ იაკობ გოგებაშვილის ვრცელი წერილიდან „ბურჯი ეროვნებისა“. სწორედ ასეთ მშობლებს მინდა ვურჩიო, გაეცნონ ამ წერილს. „ბურჯი ეროვნებისა“ მათ დაარწმუნებთ თავიანთი ნაბიჯის სისწორეში და, უფრო მეტიც, მადლობელი დარჩებიან იმ ძალისა, რამაც აიძულა ისინი, ქართველი ბავშვი ქართულ სკოლაში მიებარებინათ.

თ.ს. - და კიდევ ერთი მინდა ვურჩიო ამგვარ მშობლებს - აკაკი წერეთლის ერთ წერილსაც გაეცნონ, რომლის სათაურიცაა „ჩვენს მშობლებს“. ერთ ადგილს ჩავიკითხავ ამ წერილიდან: „ყმანვილს დედის რძესავით უნდა შეერგოს და შეეწოვოს პირველი დაწყებითი სწავლა... ამისთვის საჭიროა, რომ ახალგაზრდა მოსწავლემ თვალი გაახილოს და გულისყური გაიხსნას იმ ხელსაწყოს წყალობით, ე. ი.

ინყოს სწავლა იმ ენაზედ, რომელზედაც იმას პირველად ხმა ამოუღია და შეუთვისებია".

მაგრამ, რომ აკაკის დროს კი არა, დღესაც არა აქვს ეს ჭეშმარიტება შეგნებული მრავალს, მაგალითად სწორედ ილიასა და აკაკის მოიშველიებენ, მათ ხომ რუსულად მიიღეს განათლებათ და ის კი ავინყდებათ, ან არ იციან, რომ სანამ სასწავლებელში მივიდოდნენ, ილიამ და აკაკიმ ლამის ზეპირად იცოდნენ „ვეფხისტყაოსანი“...

გ.გ. - და არა მხოლოდ „ვეფხისტყაოსანი“. არტემ ახნაზაროვის ერთი მოგონებაც მინდა გავიხსენო: „ქართული ენის სწავლება სავალდებულო არ იყო და ამ ენას ყურადღებას არ აქცევდნენ, მით უმეტეს, რომ მშობელთა შორის, ჩვენდა სამარცხვინოდ, ორიოდე ისეთიც აღმოჩნდა, რომელთაც გიმნაზიის დირექტორს მარკოვს თხოვნა მიართვეს, ჩვენს შვილებს ქართულს ნუ ასწავლით და ნუ აცდენთ, რადგან ქართული რუსული ენის შესწავლას ხელს უშლისო“, ესეც კარგი მაგალითია ჩვენი ავბედობისა.

თ.ს. - ხომ ჩატარდა გახმაურებული ექსპერიმენტი, როცა ქართულ სკოლებში სწავლების პირველსავე წელს აწყობინებდნენ რუსულს.

გ.გ. - ამ ექსპერიმენტის სავალალო შედეგებზე ბევრი ითქვა და იმასაც მიაქციეთ ყურადღება, სად გახმაურდა და დაფასდა ეს ექსპერიმენტები... იმპერიის პოლიტიკური მიზნები მაღლა იდგა ყოველგვარ მეცნიერულ აზრზე. ხშირად მეცნიერული აზრი კარიერისტულ ამბიციას ეწირებოდა.

თ.ს. - თავისი მომხრეები ამ აზრსაც ჰყავდა...

გ.გ. - მომხრე ყველა აზრს ჰყავს, რაც არ უნდა უაზრობა იყოს იგი. გააჩნია, ვინ ემხრობა ვის და ვინ ემხრობა რას... დედაენის პრობლემით გენეტიკაც დაინტერესდა. ქართველი მკითხველი ამის თაობაზეც არის ინფორმირებული. საოცარი შედეგებია, საუკუნის წინათ რომ მსჯელობდნენ დედაენის კავშირზე ერის სულთან და ხორცთან, მშობლიური ენის გენებით შვილზე გადაცემაზე, გენეტიკა დღეს ამას უტყუარ ფაქტად მიიჩნევს. ყოველივე ეს დღეს ექსპერიმენტულად მტკიცდება. ასე რომ, ჭეშმარიტი მეცნიერული აზრი არა თუ ძველდება, ახალ ძალას იძენს...

თ.ს. - საბედნიეროდ, დღეს გამრუდებული ცნობიერება მავანისა და მავანისა სწორ კალაპოტში დგება. და აღარც რუსული სკოლები-საკენ ქართველ მშობელთა ძველებური ლტოლვა შეინიშნება. რო-



გორც იქნა, ცხოვრებისეული პრაქტიკა მეცნიერულ საფუძველს ეფუძნება.

**გ.გ.** - ეგ კი სწორია, მაგრამ ერთი საშიში ტენდენცია მაინც იჩენს თავს. უცხო ენის პრიორიტეტზე უარის თქმა რუსულ ენაზე უარის თქმად იქნა გაგებული. ქართველი ბავშვი აღარ შეჰყავთ რუსულ სკოლაში, რუსულ ბაღში, მაგრამ მომრავლდა სკოლამდელი დანესებულებები, კერძო ბაღები, სადაც 3-4 წლის ქართველ ბავშვებს ინგლისურის სწავლას აწყებინებენ. მე ვიცი ბავშვები, რომელთაც რამდენიმე ინგლისური ლექსი იციან და ქართული - არცერთი. ეს მეორე უკიდურესობაა. არცთუ დიდი ხნის წინათ სატელევიზიო გადაცემაც კი მიეძღვნა იმას, თუ როგორ კარგად ითვისებენ საბავშვო ბალის ასაკის მოზარდები ინგლისურ ენას. უცხოელი პედაგოგი კმაყოფილი იყო ქართველ ბავშვთა უცხო ენისადმი მიდრეკილებით. კი მაგრამ, რის ხარჯზე ხდება ყოველივე ეს? რა თქმა უნდა, დედაენის. სულს თუ უმახინჯებს ბავშვს არამშობლიურ ენაზე სწავლის დანყება, რომელი იქნება ის არამშობლიური ენა, რა მნიშვნელობა აქვს ამას? უცხო ენის სწავლება მოდად არ უნდა იქცეს. ამგვარ მოდას დედაენა არ უნდა შეეწიროს... გააზრებული მიდგომაა საჭირო და არა მოდური გატაცება.

**თ.ხ.** - ამგვარ კერძო ბაღებსა თუ საგანმანათლებლო დანესებულებებს მეტი კონტროლი სჭირდება სახელმწიფოსაგან. თავიდანვე უნდა იქნეს გარკვეული, ვინ რას აკეთებს და დამატებითი საზრუნავი არ უნდა გაეიჩინოთ ახალწამომწყებთა მიერ გაფუჭებული საქმის გამოსწორებაზე ფიქრით.

**გ.გ.** - საერთოდ, სწავლების სისტემა და პრობლემები რომ მეტ ყურადღებას ითხოვს, ფაქტია. დღევანდელ თემაზე საუბრისას მრავალჯერ მოვიშველიეთ დიდი იაკობი და მინდა თქვენი ყურადღება იმ ფაქტს მივაქციო, რომ ეროვნული სკოლა იაკობ გოგებაშვილს ეროვნულობის ერთ-ერთ ბურჯად მიაჩნდა. სამი ბურჯი აქვს ეროვნებას: მამული, ენა და ეროვნული სკოლაო. ეროვნულ სკოლაში დედაენის პრიორიტეტი უნდა იყოს, რადგან ღრმა არის კავშირი დედაენისა ერის სულთან და ხორცთან.

*საქართველოს მთავარი რადიო.*

*15 ივნისი, 1991 წ.*

*„ქართველი ერი“. №20, 1991 წ.*

## როგორ ვიცით ქართული?

### დიალოგი მწერალ თამაზ ხმალაძესთან

**თ.ხ.** – ბატონო გიორგი, ამ ბოლო დროს არაერთი კრიტიკული და პოლემიკური წერილი გამოქვეყნდა ქართული ენის თაობაზე. მათში სხვადასხვა კუთხით და სულისკვეთებით განიხილებოდა დედაენასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები. როგორც ყოველთვის ხდება ჩვენში, პოლემიკას ვნებათაღელვაც ახლდა.

**გ.გ.** – და როგორც ხშირად ხდება, ამ შემთხვევაშიც წინა პლანზე პირადულმა ინტერესებმა წამოიწია. თავისგამოჩენის სურვილმა იმძლავრა. ასეთ დროს კი, ეჭვგარეშეა, საზოგადო ინტერესი პირადულს ეწირება...

**თ.ხ.** – შარშანდელ მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებით გამართულ დისკუსიაში, სადაც თქვენც მოგინიათ კამათში ჩაბმა, სრულიად ნათლად გამოიკვეთა აზრი, რომ ქართული ენა ჩვენმა ახალგაზრდობამ ცუდად იცის, ამის გამო იმასაც კი მოითხოვდნენ, მისაღებ გამოცდებზე ნუ მოვკითხავთ ქართული ენის ცოდნასო.

**გ.გ.** – ეს მეორე უკიდურესობაა. თუ ცუდად ასწავლიან (ეს ასეა, და, რა თქმა უნდა, ვეთანხმები), უნდა დავსვათ საკითხი სწავლების გაუმჯობესებისა და არა საგნის უარყოფისა. ყველამ ერთად უნდა ვეძებოთ ეს გზა... გზა ქართული ენის სწავლების გაუმჯობესებისა, თორემ გამოცდაზე მოვკითხოთ თუ არა აბიტურიენტს ქართული ენის საკითხების ცოდნა, ეს არაა პრობლემის გადაწყვეტა. მოდი, ავს ვუნოდოთ ავი და ვალიაროთ, რომ ქართული ენის სწავლება ცუდადაა დაყენებული. ქართველ კაცს დედაენას არ ვასწავლით ისე, როგორც საგანს ეკადრება.

**თ.ხ.** – ბოლო წლებში ეროვნული მოძრაობის აღორძინებამ ახალი ძალა შემატა, ასე ვთქვათ, სალიტერატურო ქართულის სინმოდისტვის ბრძოლას. ბევრს ვწერთ, ვლაპარაკობთ დედაენის პატრონობაზე. მისთვის კუთვნილი ღირსეული ადგილის მინიჭებაზე ქართველი კაცის სულიერ საგანძურში, პრაქტიკულად რა შედეგი გვაქვს, რა კეთდება მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის?

გ.გ. - მე ერთგან დავნერე კიდეც, რომ ბრძოლამ სალიტერატურო ქართული სინმინდისათვის კამპანიური ხასიათი მიიღო, ენა კიდეც ის ფენომენი არ არის, რომლის პრობლემები კამპანიური ღონისძიებებით შეიძლება გადაიჭრას. როგორც ყოველი კამპანიური ღონისძიება, მალე მინელდება ხოლმე ერთუზიაზმი და ახალ წამონყებებსა და ახალ კამპანიებს უნდა დაველოდოთ. დედაენის პრობლემებზე ზრუნვა და ფიქრი შინაგან მოთხოვნილებად უნდა გვექცეს, მაღლიდან დავალებას, ვინმესგან მოწოდებას კი არ უნდა ველოდეთ, ყველამ ჩვენს თავს და საქმეს უნდა მივხედოთ. არადა, როგორც ყოველ კამპანიურ ღონისძიებას სჩვევია, გახსოვთ ალბათ, ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის მიღებისას ყველა ავლაპარაკდით, იყო ქადილი და დაპირებები, ვინ რას გააკეთებდა... ასევე იყო ქართული ენის დღე რომ ვიზიემთ პირველად, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ყველა დანაქადები თუ დაპირებული შესრულდა, ანდა სრულდებოდა.

თ.ს. - დედაენისადმი ზრუნვა-პატივისცემის შინაგანი მოთხოვნილება რომ გამოვიმუშაოთ, ამას ალბათ დრო დასჭირდება, მანამდე კი, ჩემი აზრით, ამგვარი კამპანიური ღონისძიებებიც საჭირო იქნება.

გ.გ. - გეთანხმებით. ერთი მაგალითი მინდა მოვიყვანო დედაენის წინაშე მოქალაქეობრივი ვალის შეგრძნებისა: ცნობილი გეოლოგის, აკადემიკოს ალექსანდრე ჯანელიძის მონაფე იგონებდა: ასპირანტები ნაშრომს რომ ვაჩვენებდით, პროფესიულად რაც უნდა კარგი ყოფილიყო, თუ ცუდი ქართულით იყო დაწერილი, მასწავლებლის რისხვას ვერ გადავურჩებოდით. უფრო მეტიც, პირველ რიგში ამ თვალთ გადახედვდა ნაშრომს, შემდეგ პროფესიულით.

თ.ს. - დღეს ალბათ მსგავსი მაგალითების მოძიებაც გაგვიჭირდება.

გ.გ. - გაგვიჭირდება არაა ის სიტყვა... გაგვიჭირდება კი არა, ვერ მოვიძიებთ ასეთ მაგალითს. საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ დარიგებაში, ასე ვთქვათ, „სამუშაო ენა“ აღარაა ქართული. დაგკარგეთ დიდი ივანე ჯავახიშვილის დამკვიდრებული ტრადიცია და, ალბათ, ათეული წლები დაგვჭირდება ამ მხრივ 30-იანი წლების დონემდე რომ ავიდეთ. ყველაფერს იმპერიას ნუ დავაბრალებთ. იმპერია არ აიძულებდა მავანსა და მავანს აკადემიის „მომამბესა“ თუ „მაცნე-



ში" რუსულად ებეჭდათ ნაშრომები, რუსულად გამოეცათ წიგნები, როცა ამის აუცილებლობას ეროვნული ინტერესები არ უკარნახებდა. იმპერია არ აიძულებდა თბილისში სამეცნიერო კონფერენციებზე ქართველს რუსულად ეკითხა მოხსენება. ეს ვაიქართველთა კერძო ინიციატივა იყო.

თ.ხ. - იმპერიული პოლიტიკა რომ მაინც შუაშია, ამას ფიცი და მტკიცება არ სჭირდება. სხვა რომ არა იყოს რა, სამეცნიერო წრეების ენის საკითხებს როცა შევეხებით, ვერც იმას ავუვლით გვერდს, რომ იძულებითი იყო დისერტაციების რუსულად დაწერის ფაქტი...

გ.გ. - ღმერთმა დასწყველოს იმპერიაც და მისი დამცველ-მაქებრებიც, მაგრამ მე სხვა რამ მინდოდა მეთქვა. იმპერია არ გვიკრძალავდა დისერტაციის ქართულად დაცვას, ასეც ხდებოდა ფილოლოგიაში, ისტორიაში და ზოგჯერ ალბათ, სხვაგანაც. მაგრამ სადისერტაციო ნაშრომი შემდეგ რუსულად უნდა გვეთარგმნა და დასამტკიცებლად გაგვეგზავნა იმპერიის ცენტრში. რუსულად თარგმნა, მოგეხსენებათ, საქმეს ართულებდა და ეს საქმე გააიოლეს, როცა რუსულად დაიწყეს დისერტაციების წერა და სამეცნიერო საბჭოების სხდომათა რუსულად გამართვა. ე. ი. იმპერიული მოთხოვნები სტრამულად იქცა მათთვის და საკუთარი საქმის გაიოლებას დედაენის ინტერესი შეეწირა... ჰოდა, იმდენი რამ გაგვირთულა ამან, იმდენი რამ გაფუჭდა, ნლები დასჭირდება გამოსწორებას. ქართველთა შორის ქართული ენის საკითხებზე რუსულად საუბრის მონაცემი ვყოფილვარ. ის კი არა, ზოგ პროფესიულ წრეში ქართულად საუბარი პროვინციალიზმად მიიჩნეოდა და მიიჩნევა კიდევ... ამის დაძლევა-საც ნლები სჭირდება. არადა ეს უკვე ჩვენზე იყო დამოკიდებული. ამას „ზვეიდან“ არ გვაავალდებულებდნენ და გვაიძულებდნენ. ეს დედაენისადმი ჩვენი მოქალაქეობრივი ვალის, ჩვენი ენობრივი შეგნების შესუსტების შედეგი იყო. კონსტანტინე გამსახურდია წერდა: „დაუდევრობა უდიდესი სენია დღევანდელი ქართველობისა. სწორედ მეტყველებაში იჩენს უწინარეს ყოვლისა ამ დაუდევრობას ქართველი კაცი“.

თ.ხ. - უფრო კონკრეტულად, „გზა ხსნისა?“

გ.გ. - ქართულის სწავლება სკოლაში ძირეულ გარდაქმნას მოითხოვს, ქართულისა და არა მხოლოდ ქართული ენისა. დაწყებითი კლასებიდან თავანკარა ქართულის ნიმუშები უნდა მივანოდოთ ბავ



შვებს. კარგი ქართულით გამართული ტექსტებით უნდა ვასწავლოთ  
წერა-კითხვა.

**თ.ხ.** - საყოველთაოდ ცნობილია, იაკობ გოგებაშვილი როგორ  
მუშაობდა „დედაენისა“ თუ „ბუნების კარში“ შესატან ტექსტებზე.

**გ.გ.** - გასულ წელს განათლების სამინისტროში ქართული ლი-  
ტერატურის სასკოლო პროგრამების განხილვისასაც დაისვა ეს სა-  
კითხი. განსაკუთრებით დაწყებით კლასებში დგას ეს პრობლემა. სა-  
მწუხაროდ, არ იყო აზრთა ერთგვარობა. სახელმძღვანელოში სწორი  
ქართულით გამართული ტექსტების შეტანის მოთხოვნა ენათმეც-  
ნიერთა ახირებად მიიჩნიეს. ერთმა ლიტერატორმა ლამის დანაშაუ-  
ლად მიიჩნია სასკოლო სახელმძღვანელოში აშკარა ენობრივი შე-  
ცდომების ჩასწორებაც კი, თუნდაც დაბალ კლასებში.

**თ.ხ.** - გულისხმობდა ალბათ, რომ ეს ხელყოფა ავტორისეული  
ტექსტისა.

**გ.გ.** - კი ბატონო, მაგრამ როგორ ავუხსნათ უმცროსკლასელს,  
რატომ იხმარა მწერალმა ესა თუ ის დიალექტური ფორმა და საერ-  
თოდ რა არის დიალექტში და სხვა. მწერლობა რა არის და როგორ  
უნდა მოვეპყრათ ლიტერატურულ ძეგლს, მე მგონი, კონსტანტინე  
გამსახურდიამ სხვებზე ნაკლებად არ იცოდა, მაგრამ, აბა, მოვუსმინ-  
ოთ: „არც ერთი მწერლის ნაწარმოები შეუსწორებლად არ უნდა და-  
იბეჭდოს ახალი თაობისათვის განკუთვნილ ქრესტომათიაში, ჩვენი-  
თვის, ჩვენი კულტურისათვის, მთავარზე უმთავრესია არა თუ ამბი-  
ცია რომელიმე მწერლისა (სულერთია, ცოცხალი იქნება იგი თუ  
გარდაცვლილი), არამედ სიჯანსაღე ჩვენი კულტურისა და ჩვენი  
ენის სიფაქიზის შენარჩუნება“. „უვიცობა ავტორისა, დაუდევრობა  
რედაქტორისა თუ კორექტორისა, ... - განაგრძობს კ. გამსახურდია,  
- ... ნაახდენს ხოლმე სკოლებისათვის განკუთვნილ ქრესტომათიებს  
და ანაგვიანებს ქართულ ენას. ეს ამბავი ცალკეულ გამოცემებში ისე  
სახითაფო არაა, როგორც სახელმძღვანელოებსა და ქრესტომათი-  
ებში. ასეთი ქრესტომათია წლების განმავლობაში ავრცელებს ჟარ-  
გონს ნორჩი თაობის მეხსიერებაში“.

**თ.ხ.** - როცა სახელმძღვანელოების ენაზე ვსაუბრობთ, რა თქმა  
უნდა, არ იგულისხმება მხოლოდ ქართული ენისა და ლიტერატურის  
სახელმძღვანელოები. რამდენადაც მახსოვს, ენათმეცნიერების ინ-



სტიტუტმა სპეციალური კრებულიც კი მიუძღვნა სახელმძღვანელოების ენის საკითხს.

**გ.გ.** - დიახ, ჩვენმა ინსტიტუტმა შეისწავლა ქართული სახელმძღვანელოების - ნათარგმნისა თუ ორიგინალურის - ენის საკითხები. მასალები გამოქვეყნდა „ქართული სიტყვის კულტურის საკითხების“ ერთ-ერთ ტომში. სავალალო მდგომარეობაა ამ მხრივ როგორც ნათარგმნ, ისე ორიგინალურ სახელმძღვანელოებში. ამას თუ იმასაც დავუმატებთ, რომ ქართული ენის სინმიზის თაობაზე მხოლოდ ქართულის გაკვეთილება საუბარი და სხვა საგნების გაკვეთილებზე პრაქტიკულად არასწორი ქართულით ვსაუბრობთ, ეფექტი ქართულის გაკვეთილებზე მიღებული ცოდნისა ნაკლები იქნება, ბუნებრივია.

**თ.ხ.** - თვითონ ქართულის გაკვეთილებზე ვასწავლით იმას, რასაც ჰქვია „ქართული ენა“, ანდა ისე ვასწავლით, როგორც საჭიროა?

**გ.გ.** - რთულ პრობლემას ვსვამთ. ქართული ენის სწავლება სკოლაში ძირეულ გარდაქმნას მოითხოვს, ეს საკითხი არაერთხელ დასმულა ოფიციალურად, ჩვენც მიგვიღია მონაწილეობა მის განხილვაში. მაგრამ ვსაუბრობთ ბევრს, ვაკეთებთ ცოტას, ანდა - არაფერს, საქმის გამოსასწორებლად. პროგრამებისა თუ სახელმძღვანელოების თაობაზე ყოველ კრიტიკულ შენიშვნას ძალზე მტკივნეულად აღიქვამენ ისინი, ვისაც ეს უშუალოდ ეხება. პროგრამა-სახელმძღვანელოების საკითხი მათი ავტორების პრესტიჟის საკითხად იქცა. თავგამოდებული იცავენ... და ავტორ-რედაქტორთა პატივმოყვარეობას ენირება საზოგადო საქმე.

**თ.ხ.** - რა დასამალია და, იშვიათად მინახავს მოსწავლე, საგანი ქართული ენა რომ უყვარდეს, ანდა ქართული ენის გრამატიკა რიგთანად რომ იცოდეს.

**გ.გ.** - მე არ ვიცი, რა შედეგი ექნება, ასეთი გამოკითხვა რომ ჩატარდეს სკოლებში, რომელი საგანი უფრო უყვარს მოსწავლეს, რამდენი პროცენტი დაასახელებს ქართულ ენას პირველ საგნად, მაგრამ დიდი რომ არ იქნება ეს რიცხვი, მეც მჯერა: ცუდი სახელმძღვანელოთი და ცუდი პროგრამით აგებულ საგანს გენიოსი მასწავლებელიც კი ძნელად შეაყვარებს მოსწავლეს.

**თ.ხ.** - მაინც რა გაქვთ მხედველობაში, როცა პროგრამა-სახელმძღვანელოების ნაკლებ საუბრობთ?



**გ.გ.** - ერთი ამბავი მინდა გავიხსენო. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სომხეთში მომიწია ორი წელი მუშაობამ, სამხედრო სამსახურში ვიყავი. ადგილობრივ მოსახლეობასთან კარგი ურთიერთობა, ხშირი და ახლო კონტაქტები გვქონდა. გაკვირვებული ვიყავი. უმცროსი კლასის მოსწავლევ კი, როცა გაიგებდა, რომ ქართველი ვიყავი, მესრობ მაშტოცს მიხსენებდა...

**თ.ხ.** - ვითომ ამან შეგიქმნათ ქართველებს ანბანიო, არა?

**გ.გ.** - დიახ! მაღლი უფალს, საუნივერსიტეტო კურსი მქონდა გავლილი, ფილოლოგი გახლდით და ვიცოდი, ვინც იყო მესრობ მაშტოცი. სომეხი ბავშვები სათავისოდაც იცნობდნენ მესრობ მაშტოცს და საჩემოდაც, რა თქმა უნდა, ამას ბოროტი განზრახვით არ აკეთებდნენ, უბრალოდ შეგვახსენებდნენ ჩვენი ისტორიული ურთიერთობის ფაქტს. მაგრამ დამერწმუნეთ, მშურდა და მშურს ახლაც ერისა და ენის ისტორიის ასეთი ცოდნა.

**თ.ხ.** - რასაც ჩვენ, ქართველები, ვერ დავიკვივხებით...

**გ.გ.** - ვერა, იმიტომ რომ რიგიანად არ ვასწავლით ერისა და ენის ისტორიას. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ჩვენი ბავშვები ფარნავაზის სახელს პირველად გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელოში“ მოკრავენ ყურს, ღვთის მაღლით, თუ კარგი მასწავლებელია, შეიძლება განუმარტოს კიდევაც, ვინ იყო ფარნავაზი და რა დამსახურება ჰქონდა ქართული ენის წინაშე.

**თ.ხ.** - არადა, რა ლამაზი მოთხრობა აქვს ი. გოგებაშვილს „ბუნების კარში“ ფარნავაზზე.

**გ.გ.** - ჩვენ კიდევ უამრავ ლექსსა თუ მოთხრობას ვასწავლიდით ლენინსა და პარტიაზე პირველი კლასიდანვე და ფარნავაზი ვიღას ახსოვდა. ქართული ენის კურსი უნდა ითვალისწინებდეს ამგვარი მასალის მიწოდებასაც. თუ ეს არ გავაცანით და ამგვარი მასალით არ შევავყარეთ დედაენა, არაფერი გამოვა.

**თ.ხ.** - ალბათ ეს ჰქონდათ მხედველობაში, როცა წედნენ ზემოხსენებული დისკუსიის მონაწილენი, რომ საგანი „ქართული ენა“ ქართულმა გრამატიკამ შეცვალაო.

**გ.გ.** - მხედველობაში რა ჰქონდათ, ვერ გეტყვით, რადგან ამ დისკუსიამ ბევრი რამ აურია... მაგრამ ფაქტია: სანამ ბავშვი ენის ფონეტიკური სისტემისა თუ გრამატიკული სტრუქტურის შესწავლას დაიწყებდეს, მანამდე უნდა იცოდეს, თუ რას ნიშნავს დედაენა,

რომ ენა არის უპირველესი ნიშანი ერის მეობისა, რომ ენის ნახდენს ერის დაცემის მაუნყებელია, რომ ენის მტრობა ერის მტრობაა. ეს ცოდნა ლიტერატურული მასალით შეიძლება მიენოდოს და მოზარდისათვის გასაგებ ენაზე გაუკეთდეს კომენტარი, ახსნა-განმარტება. ბავშვმა დაბალ კლასებშივე უნდა გაიცნობიეროს, რატომღა აუცილებელი მშობლიური ენის ცოდნა, მშობლიურ ენაზე განათლების მიღება... ყოველივე ეს შეიძლება იოლად მოგვარდეს. ქართული პოეზია ამისათვის მდიდარ მასალას გვაძლევს. როგორ შეიძლება, ი. გოგებაშვილის „ბურჯი ეროვნებისა“ თუნდაც საკითხავ მასალად არ ეძლეოდეს სკოლაში მოსწავლეს. ცალკეული ფრაზები თუ გამონათქვამები, თითო-ოროლა ლექსიც ისწავლება ამ თემაზე. მაგრამ ეს საქმეს ვერ შევლის.

**თ.ხ.** - დამამთავრებელ კლასებში, ალბათ, ამგვარი შემეცნებითი მასალის გაზრდა შეიძლება.

**გ.გ.** - დამამთავრებელ კლასებში ენის თეორიული კურსი უნდა ისწავლებოდეს. ქართული ენის სახელმწიფო პროგრამაში არის კიდევაც ასეთი პუნქტი. უნდა იცოდეს, რა არის ენა, ენის წარმოშობის, ენათა ნათესაობის, ენათა ურთიერთმიმართების, ენის ცვალებადობის შესახებ წარმოდგენა უნდა ჰქონდეს. ანდა, რა არის სალიტერატურო ენა, რა არის დიალექტი, რა მიმართებაა სალიტერატურო ენასა და დიალექტებს შორის, ქართული ენა და ეროვნული ლიტერატურა, ქართული ენის ისტორია... რა ვიცი, გრძლად შეიძლება საუბარი ამის თაობაზე.

**თ.ხ.** - თქვენ მრავლად ჩამოთვალეთ საკითხები და ხომ არ გადავტირთავთ ისედაც გართულებულ სასკოლო პროგრამებს.

**გ.გ.** - არის ისეთი რამ, რაც აუცილებლად უნდა იცოდნენ ქართველმა ბავშვებმა და არის ისეთი რამ, რისი ცოდნაც არაა სავალდებულო. რაც არაა სავალდებულო და აუცილებელი, იმისგან უნდა განიტვირთოს სასკოლო პროგრამები, ხოლო მსგავსი საკითხები, რაზეც საუბარი მქონდა, ვფიქრობ, რომ აუცილებელია. არა, ნუ შეგვაშინებს ჩამოთვლილ საკითხთა სიმრავლე და ნურც რთულად მოგვეჩვენება. როგორ ახერხებდა ი. გოგებაშვილი ოთხი წლის მანძილზე - სწავლების I-II წელს „დედაენის“, ხოლო III-IV წელს „ბუნების კარით“ - ესწავლებინა ქართველი ბავშვებისათვის საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიის, ეთნოგრაფიის საკვანძო საკითხები: გაეც



ნო მათთვის ბუნება, სამყარო, ესნაველებინა ქართული ენა და ლიტერატურა... როგორ და - გენიოსურად შედგენილი სახელმძღვანელოებით. ვიმეორებ, ოთხ წელში ორი წიგნით - „დედაენით“ და „ბუნების კარით“ - ასწავლიდა იმას, რასაც ჩვენ თითქმის ვერ ვახერხებთ მრავალი წლის მანძილზე მრავალი სახელმძღვანელოთი.

**თ.ხ.** - ჩვენ კი „დედაენაში“ ბევრი რამ შევცვალეთ არცთუ უკეთესით, ხოლო „ბუნების კარი“ საერთოდ მივივიწყეთ...

**გ.გ.** - არ ვიცი, ჩვენს მეტი, ალბათ, ვერავინ შეძლებდა იმას, რომ გოგებაშვილი გვყავდეს, ის დავივიწყოთ და მავანსა და მავანს უაზრო ექსპერიმენტების ჩატარების უფლება მივცეთ. მჯერა, რომ ამიერიდან მაინც დაესმება ამ საქმეს ნერტილი.

*საქართველოს მთავარი რადიო,  
10.04.1991 წ.  
„კრიტიკა“, №2-3, 1992 წ.*

ქართულ ენას სახელმწიფო უნდა უკატრონოს! ...  
მაგრამ რამ ვერ კატრონოს?...

ჩვენი დღევანდელი რესპოდენტი - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვიორჯი გოგოლაშვილი - მშვენიერი ქართული ჟურნალის - „ბურჯი ეროვნებისა“ - დამაარსებელი და მისი უკვე აღნიშნული რედაქტორია. ბატონი ვიორჯი ქართული ენის, ქართული კულტურის უანგარო ქომაგი და მოამბეა. - „ბურჯი ეროვნებისა“ დღეს ერთადერთი პერიოდული გამოცემაა, რომელიც საქართველოს სახელმწიფო ენის ინტერესების დამცველი და პოპულარიზატორია. ვთავაზობთ საუბარს ბატონ ვიორჯი გოგოლაშვილთან, რომელიც მრავალმხრივად საინტერესო...

- ბატონო გოგი, თქვენ ბრძანდებით რედაქტორი ჟურნალის „ბურჯი ეროვნებისა“. თუ შეიძლება, მოკლედ გვიამბეთ ამ ჟურნალს დაარსებისა და მისი მიზანდასახულობის შესახებ...

- როცა გაჩნდა საჭიროება ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის შექმნისა, მაშინვე გაჩნდა აზრი იმის თაობაზე, რომ უნდა გვექონოდა გაზეთი, რომელსაც ერქმეოდა „დედაენა“. ფაქტობრივად, ეს უნდა ყოფილიყო პერიოდული ორგანო, რომელიც ენის პრობლემებს გააშუქებდა... და ეს იმთავითვე ჩაიდო ქართული ენის სახელმწიფო პროგრამაში, რომელიც 1989 წელს დაამტკიცა იმდემინდელმა მთავრობამ.

ამის შემდეგ, მოგეხსენებათ, რა პროცესებიც წარიმართა - ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა დავინყებას მიეცა და, მით უმეტეს, არავის გახსენებია პერიოდული ორგანო, რომელიც სახელმწიფო ენის ინტერესებს დაიცავდა, მასზე იზრუნებდა და იფიქრებდა. მართალია, ადრე არსებობდა ჟურნალი „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, შემდგომში - „ბალავერი“, მაგრამ მის გამოცემას, სამწუხაროდ, თავი ველარ მოაბეს და უკვე რამდენიმე წელია, აღარც ის გამოდის...

როდესაც შეიქმნა „ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება“, მაშინ გადავწყვიტეთ, დაგვეარსებინა პერიოდული ორგანო, იმჟამად



გაზეთი... ორნელინად-ნახევარი გამოდიოდა გაზეთი „ბურჯი ერევანისა“, რომელიც შარშან იანვრიდან ჟურნალად გადაკეთდა.

გაზეთის, შემდეგ ჟურნალის, უმთავრეს მიზნად იმთავითვე დაისახა ქართული ენის სამსახური: ზრუნვა ქართული სალიტერატურო ენის მოვლა-პატრონობაზე: ქართული ენისა და კულტურის ამაგდარ მსახურთა წარმოჩენა: სასწავლო პროცესში ქართული ენის სათანადოდ ფუნქციონირებისათვის მიხედვა...

აი, უკვე სამ წელზე მეტია, ჩვენ გამოვდივართ, თავდაუზოგავად ვშრომობთ და ვფიქრობთ, რომ სასარგებლო საქმეს ვაკეთებთ – ჟურნალის ხარისხზე და შინაარსზე კი რა მოგახსენოთ – მკითხველმა განსაჯოს... მე მგონი, ჩვენ შევძელით დასახული მიზნების განხორციელება.

– ბატონო გოგი, თქვენ საუბარში ახსენეთ „ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება“. იქნებ თრიოდ სიტყვით მოგვითხროთ ამ საზოგადოების დაარსების მიზეზებსა და მისი დანიშნულების შესახებ?

– ბესარიონ ჯორბენაძე გახლდათ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, უნივერსიტეტის პროფესორი, ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი – მრავალი სამეცნიერო თუ სამეცნიერო-პოპულარული შრომის ავტორი და ა.შ. ეს იყო ახალგაზრდა, ენერგიითა და იდეებით სავსე კაცი, რომელიც მეტისმეტად ადრე წავიდა ჩვენგან... რაც მთავარია, ბატონი ბესიკი იყო ბრწყინვალე პიროვნება – ადამიანი, რომელსაც უამრავი მეგობარი, მონაფე და თანამოაზრე ჰყავდა... მისთვის არსებობდა ერთადერთი საქმე – ის, რასაც ჰქვია ქართული ენა და, უფრო მეტიც, ზოგადად ქართული კულტურა. ამ საქმის კეთებას შეაღია მან თავისი სიცოცხლე...

იგი 1993 წელს გარდაიცვალა: ეს ძალიან მოულოდნელად მოხდა, ალბათ მისთვისაც... უამრავი საქმე დარჩა წამოწყებული, ბევრი იდგა – განუხორციელებელი.

მართალია, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, რომლის დირექტორიც ბატონი ბესიკი ბრძანდებოდა, აგრძელებს ბევრ, მის მიერ წამოწყებულ საქმეს. მაგრამ ის, რაც იდეის დონეზე იყო და უნდა ეკეთებინა თავად ბესარიონ ჯორბენაძეს თუ მის თანამოაზრეებს, შეიძლება დარჩენილიყო გაუკეთებელი... თუნდაც ის ხელნაწერები, რომელთა სამეცნიერო ღირებულება



ძალიან მაღალია: აი, სულ ახლახან გამოვეცით მისი „ქართული დიალექტოლოგიის“ მეორე ტომი, რომელიც სამაგიდო წიგნად იქცა არამხოლოდ ქართული ენის დიალექტთა შემსწავლელთათვის, არამედ, საერთოდ, ქართული ენის ფონეტიკით დაინტერესებული ნებისმიერი პირისათვის... ანდა ქართული ენის მორფოლოგიის კურსის გეგმა-პროსპექტი - საოცარი ნაშრომი, მრავალი საკითხისა და პრობლემის ახლებური ხედვა და ანალიზი... მოკლედ რომ ვთქვათ, ამ წიგნების გამოუცემლობა ჩვენი მხრიდან დანაშაულის ტოლფასი იქნებოდა...

საზოგადოების საქმიანობა მხოლოდ ბესარიონ ჯორბენაძის სამეცნიერო მემკვიდრეობის გამოცემა-პოპულარიზაციას არ მოიცავს: ყოველწლიურად ტარდება სამეცნიერო სესიები, სადაც მონაწილეობენ როგორც ძველი თაობის „გრანდები“, ასევე ახალგაზრდა, პერსპექტიული ლინგვისტები. საუკეთესო ნაშრომები ქვეყნდება საზოგადოების კრებულში - „საენათმეცნიერო ძიებანი“, რომელიც წელიწადში ორჯერ გამოდის.

მინდა ხაზი გავუსვა იმ ფაქტს, რომ „ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოების“ დაარსება არ იყო მხოლოდ ერთი, თუნდაც ღირსეული პიროვნების პატივისცემა - ჩვენთვის მთავარი იყო იმ საქმის გაგრძელება, რასაც ბესარიონ ჯორბენაძე აკეთებდა - საქმისა, რასაც ენის უანგარო სამსახური ჰქვია.

*- ბატონო გოგი, ბატონი ბესიკი ვახლდათ ერთ-ერთი ავტორი და ინიციატორი ქართული ენის სახელმწიფო პროგრამისა, რომელიც, როგორც თქვენ ბრძანეთ, ფაქტობრივად, აღარ ფუნქციონირებს საქართველოში განვითარებული რთული მოვლენების გამო. დღეს თუ დგას ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის ამოქმედების საკითხი?*

- ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის ამოქმედების იდეა თავის დროზე ენათმეცნიერების ინსტიტუტში დაიბადა და იმდროინდელმა ხელისუფლებამ მხარი დაუჭირა: ანუ, მხარი დაუჭირა აზრს, ქართული ენის პრობლემები მოგვარებულიყო სახელმწიფოებრივ დონეზე. პროგრამა 4 ძირითად ასპექტს მოიცავდა: ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსი; ქართული ენის ფუნქციონირების საკითხი; ქართული ენის მეცნიერული შესწავლისა და მისი სწავლების საკითხები.

პროგრამა, როგორც უკვე გითხარით, 1989 წელს ამოქმედდა და



იმ მოკლე ხანში საოცრად დიდი საქმე გაკეთდა.

ჩვენდა გასაკვირად, ეროვნულმა ხელისუფლებამ, რომელიც 1990 წელს მოვიდა ქვეყნის სათავეში, ვერ მიაქცია ყურადღება ქართული ენის სახელმწიფო პროგრამას – მიზეზი ასეთი გახლდათ: „ეს ძველი მთავრობის პროგრამა იყო და ჩვენ ახალი გვჭირდებაო“...

საქმე ის გახლდათ, რომ ქართული ენის პროგრამაზე როცაა ლაპარაკი, მთავრობის მიხედვით არ უნდა წყდებოდეს ეს საკითხი... იმიტომ, რომ ენა ყოველთვის იყო, არის და იქნება – და მას რუდუნებით უნდა ემსახუროს ყველა მთავრობა, მით უმეტეს, თუკი იგი ეროვნულს უწოდებს თავს. ქართული ენის სახელმწიფო პროგრამაში არავითარი პოლიტიკური მომენტი არ უნდა ჩადებულყოფიყო და არც ჩვენ ჩაგვიდვია მაშინდელ პროექტში...

შემდეგ კვლავ შეიცვალა ხელისუფლება და ჩვენ კვლავ რამდენიმეჯერ დავსვით საკითხი მთავრობაში. 1993 წელს მივმართეთ პრეზიდენტს... შეიქმნა კიდევ კომისია ბატონი ირაკლი მენაღარიშვილის ხელმძღვანელობით, რომელიც მაშინ ვიცეპრემიერი ბრძანდებოდა და მეცნიერების სფეროსაც კურირებდა. დაიწყო პროგრამის ახალი ვარიანტის შედგენაზე მუშაობა. საპარლამენტო კომისიიდან პროექტი მთავრობაში გადაიგზავნა, მაგრამ...

...დღესაც ველოდებით ამ ახალი რედაქციის შექმნას...

არადა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ – ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის „დროების შესაბამისად“ გადაკეთება ნონსენსია: ეროვნული ენა ნებისმიერი მთავრობისათვის ერთი უნდა იყოს და არასწორია ამ საკითხის პოლიტიზირება...

სამწუხაროა, მაგრამ დღეს საქართველოში არ მოქმედებს არანაირი საკანონმდებლო აქტი, რომელიც გარკვეულ პასუხისმგებლობას დააკისრებს ნებისმიერ ჩვენგანს, ნებისმიერ ორგანიზაციას სახელმწიფო ენის მიმართ... ამიტომაც არის ასეთი ქაოსი ამ სფეროში.

- როგორც ჩანს, პრობლემა მართო ფინანსებში არ უნდა ვეძიოთ - საქაროა გარკვეული სახელმწიფოებრივი ნების გამოჩენა, რასაც, სამწუხაროდ, ვერ ვხედავთ.

- მართალი ბრძანდებით... ჩვენ თუ იმას დაველოდებით, როდის ექნება სახელმწიფოს იმის შესაძლებლობა, რომ დააფინანსოს ყველა ის პრობლემა, ყველა ის თემა იქნება თუ პროგრამა, რაც სახელმწიფო ენის გადარჩენისკენაა მიმართული, ქართული ენა, სრული პასუ-

ხისმგებლობით ვაცხადებ, დაილუპება... არსებობს მეორე, რასაც არ სჭირდება ფინანსები და რაც მორალურ დონეზე უნდა გადანყდეს: აი, თუნდაც დღესდღეობით უალრესად აქტუალური პრობლემა: არავინ ავალდებულებს რომელიმე ფირმას, დაანეროს ფირმის სახელწოდება თავის ოფისს სახელმწიფო ენაზე - ქართულზე... კონკრეტულ, შემაშფოთებელ მაგალითს მოგიყვანთ: გახსოვთ ალბათ, რა სკანდალი ატყდა რუსთაველის მოედანზე „მაკდონალდსის“ რესტორნის მშენებლობასთან დაკავშირებით... „მაკდონალდსმა“ ფული გადაურიცხა რუსთაველის თეატრს (თითქოსდა საკომპენსაციოდ!) და ამით თითქოს „ხელები დაიბანა“ - ყოველგვარი პასუხისმგებლობა მოიხსნა ქართული კულტურის წინაშე! არადა, არცერთი ქართული წარწერა არ ამშვენებს „მაკდონალდსის“ რესტორნის შენობას!

უბედურება ის არის, რომ ამ საკითხს არავინ აუღელვებია და არც არავინ გამოხმაურებია!

ასეთი უპასუხისმგებლო ქმედების უამრავი მაგალითის მოხმობა შეიძლება: რალა შორს წავიდეთ - აი, ენათმეცნიერების ინსტიტუტის თავზე, თითქოს სპეციალურადო, ვეებერთელა ასოებით, მხოლოდ ინგლისურ ენაზე „Absolute bank“ ეწერა... ავტებზე ერთი ამბავი, გამოვთქვით პროტესტი და, როგორც იქნა, ბანკის ხელმძღვანელობამ „გაილო მონყალემა“, ამ უზარმაზარი წარწერის ქვეშ მიაკოსეს პანაწინა ასოებით ქართული ტექსტი, რომელსაც ვერავინ ამოიკითხავს, თუ ბინოკლით არ დააკვირდება... ეს ხომ ცინიზმია, უპატივცემულობა და აბუჩად აგდება ქართული ენისა.

და იცით, რატომ ხდება ეს ყოველივე? იმიტომ რომ არავინ ავალდებულებს მათ ამას! აბა, ერთი ნუთით თუ წარმოიდგენთ თქვენ, თურქეთში მიმავალი ქართველებისათვის თურქეთის მთავრობას ვთხოვოთ, გზებზე ქართული წარწერები დაგვიყენოს?! არადა, ჩვენთან ეს ჩვეულებრივი მოვლენაა.

ჩვენ ვითხოვთ კანონს! უნდა არსებობდეს კანონი ენის შესახებ, რომელიც აუცილებლად დაარეგულირებს ყველა ამ პრობლემას და ზემოხსენებულ ამაზრზენ ფაქტებს ჩვენში, იმედია, ველარ ვიხილავთ...

- მაინც, რას მიიწვევთ დღეს უპირველეს ყოვლისა გადახადებულ ნაბიჯად?

- იცით რა... დღეს ვინმეს ნამუსზე შეგდება და მორალურ დონე-



ზე საუბარი აღარ შევლის საქმეს. თავისთავად ცხადია, სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ამის შესახებ... აი, ჩვენ კონკრეტული ფაქტები შეგვიძლია მოგანოდოთ: ქვემო ქართლში, მოგეხსენებათ, მძიმე დემოგრაფიული მდგომარეობაა; იმის ნაცვლად, რომ ჩვენ შევთავაზოთ და დავავალდებულოთ ადგილობრივ მოსახლეობას სახელმწიფო ენის ათვისება, ისინი აქეთ მოითხოვენ: მოგვეცით საშუალება, ქართული ენა სრულყოფილად შევისწავლოთ (თითქოს დაუჯერებელია, მაგრამ დოკუმენტურად შემოიძლია დაგიდასტუროთ, ეს ფაქტი!)... ამას ენთუზიაზმის დონეზე ვერ გააკეთებ – სახელმწიფომ უნდა მოახერხოს და დაგეგმოს ისე, რომ უმაღლეს სასწავლებლებში მოხდეს სპეციალურად ამ რეგიონებისთვის კადრების მომზადება და იქ კი, ადგილზე, შესაბამისი პირობების შექმნა... სხვანაირად არ გამოვა: ეს კომპლექსურად გადასანყვეტი პრობლემაა...

ჩვენ უნდა გვკონდეს საკანონმდებლო აქტი, რომელიც დაავალდებულებს საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, შეისწავლოს სახელმწიფო ენა – ქართული! ასევე, დაავალდებულებს ნებისმიერ ფირმას (ქართულსა თუ უცხოურს), პატივი სცეს სახელმწიფო ენას!

მხოლოდ ამის მერე შეიძლება ვილაპარაკოთ, ვთქვათ, იმაზე, ამოვიღოთ თუ არა ეროვნულობის აღმნიშვნელი რეკვიზიტები პიროვნების დამადასტურებელი დოკუმენტებიდან – ეს კიდევ ცალკე თემაა...

– ბატონო გოგი, ამ საკითხზეც მოგვახსენეთ თქვენი აზრი...

– ამის თაობაზე მე ადრეც გამოვთქვი ჩემი შეხედულება. დღესდღეობით საქართველოში არ არის ისეთი ვითარება, როგორც იმ ქვეყნებში, რომლებიც მაგალითად მოჰყავთ... საფრანგეთში ყველა ფრანგია: თურქეთში ყველა თურქია – ამ ქვეყნებში ეროვნება და მოქალაქეობა გაიგივებულია... ჩვენ ამ გზით არ შეიძლება წავიდეთ: ყველას ქართველს ვერ დავუძახებთ! დღესდღეობით წარმოუდგენლად მიმაჩნია, ქართველობა იყოს ზეპირგადაცემის დონეზე... ამის უფლება ჩვენ არ გვაქვს და არ გვაპატიებს მომავალი თაობა. მოდით, სხვა რამეში მივბაძოთ ფრანგებს – მაგალითად, იმაში, როგორ უვლიან ისინი ეროვნულ ენას, ეროვნულ კულტურას! იცით, რომ საფრანგეთის მუსიკალურ პროგრამებს ეკრძალებათ, 30 პროცენტზე მეტი რაოდენობით სხვაენოვანი სიმღერების ეთერში გაშვება? განა ეს დემოკრატიულობის ეტალონია? მაგრამ ენის, ეროვნული კულ-

ტურის დაცვისათვის აუცილებელია... ასე რომ დაიცავ შენს ეროვნულობას, ეროვნულ კულტურას – აი, მაშინ უკვე შეგიძლია მისცე თავს უფლება, ისაუბრო ეროვნული რეკვიზიტების გაუქმებაზე... მოკლედ, ეს კომპლექსურად გადასაწყვეტი საკითხია და სათუთად მიდგომას საჭიროებს...

– ბატონო გოგი, ვფიქრობ, ძალიან საინტერესო საუბარი გამოგვივიდა – ბევრი რამ დაუსრულებელი დაგვრჩა... დიდი მადლობა ინტერვიუსათვის და – იმედაი, გავაგრძელებთ საუბრებს ქართული ენის შესახებ...

გაზეთი „ინტერვიუ“, № 10, 1999.

## როგის გვახსენდება დედაჩვენა?

დასრულდა მძიმე და რთული წინასაარჩევნო პერიოდი.

დამთავრდა ჟამი დაპირებებისა და დაინყო შეპირებულ სიკეთე-თა მოლოდინის ხანა. არ გვსურს, უსაზღვრო იყოს ჩვენი მოლოდინი. არადა, ამასაც შევეჩვიეთ: არაერთგზის მიგვიღია დაპირება და დავიწყებას მისცემია იგი... ჩვენ დედაჩვენის ბედი გვადარდებს.

როგორც სხვა დროს, წინასაარჩევნო პერიოდში ქართული ენაც გაიხსენა მავანმა და მავანმა. ზოგჯერ საკმაოდ გაუმართავი ქართულთ ლექციებს გვიკითხავდნენ იმის თაობაზე, რომ დედაჩვენას უნდა მოვუაროთ, ვუპატრონოთ... და ეს არ იყო ერთი და ორი შემთხვევა. სამწუხაროდ, დედაჩვენაზე ფიქრმა და ზრუნვამ კამპანიური ხასიათი მიიღო; მავანისა და მავანის ხელში ქართული ენა ქულების დაგროვების საშუალებად იქცა.

ასე იყო წინა არჩევნებშიც. პრეზიდენტობის ერთ-ერთ კანდიდატს ქართული ენისადმი უპატივცემულობა უსაყვედურეს და ერთი სატელევიზიო გამოსვლა იმის მტკიცებას, ახსნა-განმარტებას მოანდომა, თუ რა დიდი ღვაწლი აქვს მას დედაჩვენის მიმართ... ჩაიარა არჩევნებმა და, სამწუხაროდ, ქართულ ენას ყველაზე მეტად იმ უწყებაში უჭირს, რომელსაც პრეზიდენტობის ის კანდიდატი ხელმძღვანელობს...

ასეთი ფაქტიც გვახსოვს (ხშირად ვიმეორებ): ქვეყნის, ერისა და ენის სიყვარულში გულდამწვარ პარლამენტარებს ან განსვენებულმა ბატონმა თენგიზ ბუაჩიძემ შეახსენა, რომ ქვეყნისა და ერის გასაგონად სწორი ქართულთ უნდა ვისაუბროთ და, ჩვენდა საუბედუროდ, ტრიბუნაზე მყოფ ბატონ თ. ბუაჩიძეს დარბაზიდან რეპლიკა ესროლეს – რა დროს ქართული ენააო. ასე ერთბაშად ჩაიყარა წყალში ის წინასაარჩევნო დაპირებები – ქართულ ენას მივხედავთო... და გვერწმუნებით, წინასაარჩევნო პერიოდში ვერ გაბედავდა დეპუტატობის კანდიდატი ასეთ რეპლიკას – პარლამენტში შესვლა იყო საჭირო და ასეთი მოქმედება საქმეს გაურთულებდა. როცა თავისი გაინალდა, რა დროს დედაჩვენააო...

დიდად სამწუხარო ფაქტად მიგვაჩნია ისიც, რომ საქართველოში ქართული ენის უფლებების დაცვას, მისი შესწავლისა და სწავლების საკითხების მოგვარებას სპეციალური სამთავრობო დადგენილება-პროგრამები სჭირდება. სამწუხაროდ იმდენად, რამდენადაც ათეული საუკუნეების მანძილზე არ ჰქონდა ქართველ კაცს ასეთი დადგენილება-პროგრამები, მაგრამ დედაენას ყურადღება, სიყვარული და ზრუნვა არასოდეს მოჰკლებია, უფრო მეტიც, ენა ქართველი კაცის უპირველესი სალოცავი ხატი იყო. ოდითგანვე ქართველი კაცი ერის მთლიანობის უპირველეს პირობად ქართულ ენას თვლიდა, ენა ეროვნულობის ბურჯად მიაჩნდა... დღეს კი?..

დღეს კი აუცილებელი გახდა სამთავრობო დადგენილება - პროგრამები, რომ ქართველმა კაცმა ქართულად ილაპარაკოს, ისწავლოს, იღვანოს; დედაენას რომ ღირსი პატივი მიაგოს...

ამ აუცილებლობამ გამოიწვია ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის შექმნა და ეს პროგრამაც მივივიწყეთ. განა იმიტომ, რომ მასში შეტანილი საკითხები მოგვარდა. არა, კომუნისტური მთავრობის დროს მიღებული პროგრამა იმავე მთავრობამ გაიყოლა და ეროვნულ მთავრობას მის განახლებაზე, გაცოცხლებაზე, შესრულებაზე არ უფიქრია...

1995 წლის იანვარში სახელმწიფო მეთაურის განკარგულება გამოქვეყნდა ქართული ენის სახელმწიფო კომისიის შექმნის თაობაზე: მინისტრთა კაბინეტს დაევალა, რომ ორი თვის ვადაში უნდა დაემტკიცებინა ქართული სალიტერატურო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის დებულება და ერთი თვის ვადაში - მუდმივი სახელმწიფო კომისიის წევრთა ახალი შემადგენლობა. ქართული ენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის პირველი სხდომა ჩატარდა 1995 წლის ოქტომბერში - არჩევნებამდე ორი კვირით ადრე...

არ გვინდა ვიფიქროთ, რომ ესეც წინასაარჩევნო ღონისძიება იყო. გვინდა გვჯეროდეს, რომ ახალი ხელისუფლება და მთავრობა ქართული ენის სახელმწიფო პროგრამასაც გაიხსენებს; დედაენას უანგაროდ მოემსახურება. არ გვინდა, გამართლდეს სკეპტიკოსთა პროგნოზი, რომ ქართული ენის მორიგი გახსენების თარიღი 14 აპრილი იქნება - ქართული ენის დღე...

*„ბურჯი ეროვნებისა“, ნოემბერი, 1995 წ.*



**ზოგადი შრახეობით ვერ დავმყვინდებო**

სამი შეკითხვა ეურნალ „ბურჯი ეროვნებისას“ მთავარ რედაქტორს, ცნობილ ენათმეცნიერს, პროფესორ ვიორგი გოგოლაშვილს:

1. ბატონო ვიორგი, მასხოვს, არაერთხელ დაგინივლიათ იმის ვა-მო, რომ ქართული ენა მხოლოდ 14 აპრილს ახსენდებათ. ვფიქრობ, ახ-ლა უარესის მოწმენი ვართ: ასე მიფუჩეჩებული 14 აპრილი ხელისუფ-ლებას ცოტათი მაინც ეპატება - კოდორის ცნობილი მოვლენების გამო. მაგრამ რა ვუყოთ ყოველი მხრიდან გამოჩენილ გულგრილო-ბას?!

2. გაზეთ „ალიაში“ (№43, 11-12 აპრილი) გამოქვეყნდა ინტერვიუ პარლამენტის ენის ქვეკომიტეტის თავმჯდომარესთან მანანა ვიგნიეშ-ვილთან. შემაშფოთა კორესპონდენტის საუბარმა იმის შესახებ, რომ, თითქოს ქალბატონმა მანანამ პარლამენტის თავმჯდომარეს ეუთოდან საგანგებო წერილი ჩამოუტანა... „ქართულ ენას უნივერსიტეტში სა-ფრთხე არ ემუქრება?“ - კვითხება კორესპონდენტი პარლამენტის წევრს. თქვენი აზრით, ნუთუ ასეთი შეკითხვის თუნდაც იოტისოდენა საფუძველი მაინც არსებობს?

3. ბატონო ვიორგი, მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და ერთ პრაქტიკულ საკითხზე გკითხოთ: ვიცო, რომ უცხო სიტყვების ხმარებას უნდა ვერიდოთ, მაგრამ, აი, ამ ინტერვიუს რუბრიკად ლათინური გა-მოთქმა წავუშეღვარე: „Post Faktum“, უცხო სიტყვათა ლექსიკონში ასეა განმარტებული: „მას შემდეგ, რაც უკვე შესრულდა, მონდა რამე“. ხომ უსაზღვროდ მდიდარია ჩვენი ენა („მარტო წვიმას აქვს ხანელი ცხრა“). მაგრამ ხსენებული გამოთქმის ზუსტი და ლაკონური შე-სატყვისი მაინც ვერ მოვძებნე (აქნებ, „კვადლაკვალ“ ყველაზე უკეთესი იყოს), ასევეა „Post Scriptum“ ანუ „P. S.“ ვერსად გავუქცევით ჩვენში შემოსული უცხოური კომპანიების სახელწოდებებსაც, მაგალითად, „AES“-ს, რას გვიჩვენებთ, ასეთ შემთხვევაში როგორ დაეცვათ ქარ-თული ენის უფლებები? რა ვუყოთ უცხოური ფირმების თუ მათი პრო-დუქციის მოზღვავებულ რეკლამებს?



1. ქართული ენის დღე პირველად 1990 წლის 14 აპრილს აღინიშნა. ამ დღის დანესება ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის ერთ-ერთი პუნქტის რეალიზაცია იყო (პროგრამა 1989 წლის 25 აგვისტოს დაამტკიცეს). ამ პროგრამაში ეწერა: „ამ დღეს შეჯამდება, თუ რა გაკეთდა წლის განმავლობაში ქართული ენის ფუნქციონირების შესწავლისა და სწავლების საქმეში“. დიახ, ეს იყო მიზანი ქართული ენის დღის დანესებისა.

ადრე ის გვაღიზიანებდა, რომ ეს დღე იქცა არაჩვეულებრივად პომპეზურ, საზეიმო დღედ. იხსენებდნენ 1978 წლის მოვლენებს, აწყობდნენ საზეიმო შეკრებებს დედაენის ძეგლთან, საკონცერტო დარბაზებში და ა. შ. ხოლო „რა გაკეთდა...“ არავის ახსოვდა; არ ახსოვდა იმიტომ, რომ საანგარიშო, შესაჯამებელი არაფერი იყო...

ახლა ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ მოგონებები ამოიწურა, უსაგნო ზეიმი მოსწყინდათ და ამიტომ ეს დღე ვითომც არ ყოფილა... კი, მართალია, საქართველოს მთავარმა რადიომ და ტელევიზიის პირველმა არხმა რამდენიმე გადაცემა მიუძღვნეს ქართულ ენას, მაგრამ ეს მაინც შორს იყო იმისგან, რისთვისაც ეს დღე დანესდა...

წინა წლებში საქართველოს პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის სხდომა წელიწადში ერთხელ, სათოთხმეტაპრილოდ მაინც, ტარდებოდა, წელს ესეც არ ყოფილა...

ბევრი რამ აღძრავს სერიოზულ კითხვებს. თუნდაც ის, თუ რატომ აწყდება ასეთ წინააღმდეგობას კანონი ენის შესახებ. ხელთა მაქვს 2001 წლის 12 აპრილით დათარიღებული ზემოხსენებული მუდმივი სახელმწიფო კომისიის სხდომის ოქმი, რომელსაც ზელს აწერს საქართველოს პრეზიდენტი. სხდომაზე ენის კანონის პროექტი განიხილეს და ასეთი დადგენილება მიიღეს: „ძირითადად მოწონებული იქნეს წარმოდგენილი კანონპროექტი. საქართველოს ენის სახელმწიფო პალატამ (ლ. ლვინჯილია), იუსტიციის სამინისტროსთან (მ. სააკაშვილი) ერთად, გააგრძელოს მუშაობა კანონპროექტზე და მისი საბოლოო ვარიანტი, კომისიის სხდომაზე გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადების გათვალისწინებით, ერთი თვის ვადაში წარმოადგინოს განსახილველად“...

ამის შემდგომ კანონპროექტი აღარავის განუხილავს...



არადა ეს კანონპროექტი 1998 წელს იუსტიციის მაშინდელმა მინისტრმა თ. ნინიძემ წარადგინა პირველად განსახილველად...

მგონია, ამ დღემ უფერულად იმიტომ ჩაიარა, რომ მივხვდით, როცა არაფერს ვაკეთებთ დედაენის სასიკეთოდ, ეს დღეც არ უნდა აღვნიშნოთ... 14 აპრილს გამოჩენილი გულგრილობა კი არ არის ჩვენი უბედურება, მთელი წლის (თუ წლების) მანძილზე – უგულისყოფრო დამოკიდებულებაა საგანგაშო... ვფიქრობ, ენის კანონის მიღებაც ვერ უშველის საქმეს, თუ პრინციპული დამოკიდებულება არ შეიცვალა ქართული ენისადმი, თუ არსებული კანონების შეუსრულებლობის პრობლემა არ მოიხსნა. ერთი მაგალითი: „დილის გაზეთში“ (№85, 2002 წ.) ბ-ნი ლ. ღვინჯილია წერდა: „ამოჩემებული მყავს ერთი მენარმე, რომელსაც მესამე წელიწადია ვეუბნები: ამ შენს სამორინეს დაანერე ქართულად სიტყვა „ევროპა“, მაგრამ დღემდე ვერ შევაგნებინე“. რა შუაშია „ამოჩემება“, და „შევაგნებინე“, როცა არსებობს კანონი რეკლამის შესახებ, რომელიც ავალდებულებს მენარმეს ამის გაკეთებას?..

გამოსავალი ერთია: სახელმწიფოს (ისიც ჩვენნაირ მდგომარეობაში მყოფს) ენის სახელმწიფო პროგრამა უნდა ჰქონდეს, რომელიც მოიცავდა ჩვენი ყოფის ყველა სფეროს!.. მაშინ ექნებოდა აზრი ქართული ენის დღის აღნიშვნასაც...

2. მართლაცდა, შემაშფოთებელი (და აღმაშფოთებელი) ფაქტია. რატომ ჩნდება ასეთი შეკითხვა?! იმავე ინტერვიუში ამ შეკითხვის დასმამდე ქალბატონი მანანა გიგინეიშვილი ამბობს: „ისიც ითქვა, რომ ეუთო გვიკრძალავს სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებას. ეს აბსურდია!“.. ვინ თქვა და რატომ? რამ მისცა საფუძველი ამის მთქმელს? თუ აბსურდია, რატომ ვხდით საერთოდ მსჯელობის საგნად? ეუთოდან ჩამოტანილ რა საგანგებო წერილზეა საუბარი?

საინფორმაციო საშუალებებიდან ვიცით, რომ ეს ვიზიტი ჰააგაში ენის კანონთან დაკავშირებით შედგა. როგორც ქ-ნი მანანა ბრძანებს, თუ „საიდუმლო არაფერია, კეთილგანწყობაა გამოხატული“, ითქვას გარკვევით, რის მიმართ ან ვისგან გამოიხატა ეს კეთილგანწყობა, რა იყო მიზანი ამ ვიზიტისა და რა შედეგი მოჰყვა მას. თუ ეს სათქმელი არ არის, მაშინ ამ ვიზიტის ამბავიც არ უნდა გახმაურე-

... ცენტრი ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიისათვის

ბულიყო და ასე ზოგადი ფრაზებით არ უნდა ამშვიდებდნენ შკი-თხველს.

განათლების შესახებ კანონიდან ერთ პუნქტს გავიხსენებ: „სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების ენა არის ქართული“ (მუხლი მე-4, პუნქტი 1). ტექნიკურ უნივერსიტეტში უცხოენოვანი ფაკულტეტი შეუქმნიათ და ამით თავს იწონებენ. კანონი ირღვევა! შემთხვევითია ეს თუ რაიმე კავშირშია ზემოთ დასმულ შეკითხვებთან?

საერთოდ კი, ჭორებსა და გულისგამხეთქავ პროვოკაციებს რომ ბოლო მოეღოს, ხომ არ დადგა დრო, საგანგებო მსჯელობის საგნად ვაქციოთ ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში; ხომ არ დადგა დრო იმგვარი ღონისძიებებისა, 1979-1983 წლებში რომ გატარდა (ვგულისხმობთ დადგენილებებს ქართული ენის სწავლების გაუმჯობესების თაობაზე...)?

საქმით ხომ არ ვცადოთ ჭორის გაქრობა და არა უარგუმენტო მსჯელობით?

3. რაგინდ მოვინდომოთ, უცხოური სიტყვების გამოყენებას ვერ ავცდებით; ასე იყო ისტორიულად და ასეა დღესაც.

ოღონდ, ერთი: უკონტროლობა, განუკითხაობა, თვითნებობა, უსისტემობა გამოუსწორებელ შედეგებამდე მიგვიყვანს, განუსაზღვრელია ამ საქმეში პრესისა და რადიო-ტელევიზიის როლი. იყო დრო, როცა ჟურნალისტები თუ სხვანი აუცილებლად თვლიდნენ, სპეციალისტებისათვის მიემართათ ყველა საჭირო შემთხვევაში. ღვთის მადლით, გვაქვს ინსტიტუტები, უმაღლეს სასწავლებელთა შესაბამისი კათედრები, სადაც ამგვარ საკითხებზე მუშაობენ; კომპეტენტურნი არიან ამ საქმეში... ხდება კი დღეს ამ პოტენციალის გამოყენება?

სამწუხაროდ, ხშირად არ კადრულობენ, იკითხონ და აივსო ქართული ენა არასწორი ფორმებით, არასაჭირო უცხოური სიტყვებით (თინეიჯერი, უიკენდი, სეკვესტრი...). 3-4 წლის წინათ წამოვიწყეთ დისკუსია, აბრევიატურის გამოყენების წესების შემუშავებას რომ ისახავდა მიზნად. ყურად არ იღეს, ვისაც ევალეზოდა გადამწვევტი სიტყვის თქმა და ამიტომაც, ვისაც როგორ სურს, ისე წერს: „AES“, „ე-ი-ესი“, „ა-ი-ესი“... ეს ერთი ფაქტია; მსგავსი უამრავია. გამოსავალი ერთია: უნდა შემუშავდეს წესები და მიეცეს მას ნორმის სახე. და



კიდევ: ნორმის შესრულების კონტროლის მექანიზმი უნდა შეიქმნას და ამუშავდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, აზრი არ ექნება ნორმების არსებობას. ხომ გვაქვს სალიტერატურო ენის ნორმები? რა პასუხისმგებლობა ეკისრება მის დამრღვევს? – არანაირი! მაშინ, რისთვის არის ეს ნორმები? იმისთვის, რომ ვიღაცამ შეიძლება ნება გამოიჩინოს და დაიცვას?..

იოლი გამოსაველი მოძებნეს ჟურნალისტიკებმა და უცხოურ სიტყვებს, გამოთქმებს, ფირმებისა და იქაური პროდუქციის დასახელებას, გამოცემებისა და ნაწარმოებების სახელებს პირდაპირ უცხოურად წერენ (ამის თაობაზე იხ. „ბურჯი ეროვნებისა“, №1-2, 2002)... შეიქმნა ამ ტიპის „თანამედროვე ბილინგვები“ – „მო-TV“. საბედნიეროდ, ტელევიზიამ მსგავსი ფაქტები გაასწორა, პრესაში კი იმატა ამგვარმა შემთხვევებმა... საგანგებოდ რომ ვერ მოიფიქრებ, ხშირად ისეთ რალაცას წააწყდები გაზეთებში. „კვირის პალიტრაში“ (№15, 2002 წ.), პირველ გვერდზე, დიდი ასოებით ეწერა: „უხადიდე ვონა“: რუსული სილბოს ნიშანი დაუსვენს ქართულ ბგერას(!)...

გამოსაველი ერთია: დავიცვათ არსებული წესები; საჭიროების შემთხვევაში, შევიმუშაოთ ახალი; გამოვიყენოთ სპეციალისტთა ცოდნა და, რაც მთავარია, შევიმუშაოთ მექანიზმები, რაც საშუალებას მოგვცემს, გავაკონტროლოთ და მოვითხოვოთ არსებული წესების დაცვა. ამისთვის საგანგებოდ საკანონმდებლო აქტია საჭირო...

*გაზეთი „თბილისი“, №42, 2002 წ.*



„ჩვენ ასე ვერ გავფრინდებით“,  
ანუ რამდენია ორჯერ ორი?

არსებობს თემები, რა ზედაც ბევრს არ საუბრობენ, ანდა საერთოდ არ საუბრობენ, რადგან მასზე თითოეულ ჩვენგანს მზა პასუხი მოეპოვება და ზედმეტ ძიებას შეურაცხყოფელადაც კი მიიჩნევენ. აბა რა საკამათოა ის, რომ დედამიწა მრგვალია, რომ აღმართს დაღმართი მოჰყვება, რომ ბავშვს ყველაზე მეტად მშობლები უყვარს და ა. შ. ეს ხომ დღესაც ნათელია და ისეთივე ანბანურ ჭეშმარიტებას წარმოადგენს, როგორც ის, რომ ორჯერ ორი ოთხის ტოლია. მაგრამ ისიც ხომ ანბანური ჭეშმარიტებაა, ძვირფასო მკითხველო, რომ ყოველი ჩვენგანი ცხოვრებაში ერთხელ მაინც აღმოვჩენილვართ ერთაოზ ბრეგვაძის როლში, როცა იგი პირდაღებული შესტყურის წვეროსან „ბიძია-ბაბუას“ და ვერაფრით გაუგია, რას უღრის ორჯერ ორი. ალბათ ძალიან გავაუბრალოებთ ელდარ შენგელიას „შერეკილებს“, ყველასათვის საყვარელ ფილმს, თუ ვიფიქრებთ, რომ რეჟისორი „ორჯერ ორში“ რალაც უფრო მეტს და მთავარს არ გულიხსბობდა. ულმობელ დროში ცვცხოვრობთ, ყოველი დღე პარადოქსებითაა სავსე და პრობლემებით დახუნძლულებს ზოგჯერ სწორედ ეს მთავარი გვაეინყდება, ყურადღების მიღმა გვრჩება ის, რაც მართლაც ანბანური ჭეშმარიტებაა. არადა, „ჩვენ ასე ვერ გავფრინდებით“, უფრო მეტიც, საერთოდ ვერ ავაგებთ იმ საოცნებო ცათმფრენს, რომელსაც ფილმის გმირები ნატრობენ - ჩვენი ცათმფრენი, ჩვენი ოცნების მწვერვალი და სანუკვარი მიზანი საქართველოს ხელახლა „აგებაა“, ისეთი საქართველოსი, რომელიც ოდესღაც არსებობდა, მერე მისი კარიკატურაღა შემოგვრჩა და დღეს, შაგერნის ტყავივით შეკუმშული, უკეთეს მერმისს ელის. საქართველოზე უპირველეს ყოვლისა, ქართველებმა უნდა ვიზრუნოთ და ამისათვის საჭიროა, ქართველში ქართული სული არ ჩაქრეს, მისი ენა არ შეიყვანას და ცნობიერება არ დაიარღვეს - ესეც ალბათ ისეთი ანბანური ჭეშმარიტებაა, რომელსაც ყველა რიხით ეთანხმება, რეალურად კი სულ სხვა სურათი გვაქვს. სწორედ ამ მტკივნეულ საკითხზე ესაუბრება მწერალი ვახტანგ ხარჩილავა ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომ



რის სტუმარს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოების თავმჯდომარეს, ჟურნალ „ბურჯი ეროვნებისას“ მთავარ რედაქტორს, პროფესორ გიორგი გოგოლაშვილს.

- ბატონო გიორგი, ახალ სახელმწიფოს ვაშენებთ. ქართულ ენას სახელმწიფო ენის სტატუსი აქვს. რა კეთდება იმ მიმართულებით. რომ იგი მართლაც სახელმწიფოებრივ რანგში ავიყვანოთ და ქართულის ცოდნა ყოველი მოქალაქისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდეს? თუ ასე არ მოხდა, ამ განაცხადს ხომ მხოლოდ დეკლარაციული ხასიათი ექნება?

- ენა რომ ეროვნების უმთავრესი საფუძველია, ეს ქართველმა კაცმა დიდი ხანია იცის. არსებობენ ერები, რომლებიც კარგავენ მშობლიურ ენას, მაგრამ ეროვნებას ინარჩუნებენ. რალა შორს ნავიდეთ, ებრაელების მაგალითიც საკმარისია: თავიანთი ისტორიული ბედისა თუ უბედობის წყალობით მათ ფაქტობრივად დაკარგეს ენა, მაგრამ ებრაელებად დარჩნენ. ქართველი კი ქართველობას ენის დაკარგვისთანავე კარგავს. ეს იცოდა ჩვენმა დიდმა წინაპარმა, როცა „ქებაჲ და დიდებაჲს“ ჰქმნიდა. სულაც არაა შემთხვევითი, რომ სწორედ საქართველოში, კერძოდ დუშეთის რაიონში, დავათში, აღმოჩნდა „სტილა“ - ძალზე საინტერესო კომპოზიციით: მთავარანგელოზებს ხელთ უპყრიათ ეტრატი, რომელზედაც გამოსახულია ქართული ანბანი - ძველი V-VI საუკუნეებით თარიღდება. ესაა ამაღლების სცენა, რომელშიც ქართული ანბანია ჩასმული. ანბანი ენის სიმბოლოა და ქართველი კაცი ენას ღმერთად მიიჩნევს. როგორც იკონოგრაფები ამტკიცებენ, ეს ერთადერთი შემთხვევაა, როცა ამაღლების კომპოზიციაში ენაა წარმოდგენილი - ასე მოიაზრებოდა ენის ფენომენი წარსულში და ასე უნდა იყოს დღესაც. თუ ასე არ მოხდა, დავილუპებთ. გავიხსენოთ გრიგოლ ორბელიანის სიტყვები: „რა ენა ნახდეს, ერიც დაეცეს, ნაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმიდას“ - ეს ჭეშმარიტებაა და ბევრ ერს აუცხადდა, ღმერთმა ნუ ქნას, ჩვენც აგვიცხადდეს, მაგრამ ამ მიმართულებით დიდი ძვრები ჯერჯერობით არ შეიმჩნევა...

- ბატონო გიორგი, ჩვენ ნაწილობრივ უკვე აგვიცხადდა ეს წინასწარმეტყველური სიტყვები აფხაზეთთან მიმართებაში: ენაზე უწელოამ, რაც იქ განხორციელდა. ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილის

ფსიქოლოგია დაარღვია. ადამიანი, რომელიც ერთ ხიტყვას ქართულად ამბობს, ერთს - რუსულად, ერთს - აფხაზურად - ფაქტობრივად ერთენულ ცნობიერებადაკარგული. „დაცემული“ კაცია და მისი „ტანადრიც“ ჩირქითაა წაბილწული. ასე რომ, გრიგოლ ორბელიანის ხიტყვებს გამოძახილი უკვე ჰქონდა ჩვენთან.

- აბსოლუტურად გეთანხმებით. რაკი აფხაზეთზე ჩამოვარდა საუბარი, გეტყვით, რომ ჩემი ინფორმაციით, გალის რაიონში საერთოდ აიკრძალა ქართული ენის სწავლება. მოსახლეობას ეუბნებიან: - კი, ბატონო, იქართველეთ, არავინ გიშლით, ოღონდ საკუთარ ტერქვეშ, განათლება კი სხვა ენაზე მიიღეთო. როგორც კი ასეთ ფაქტებს ნაფუყრებთ, დამღუპველ შედეგს მივიღებთ. იცით, ქართულ ენას ყველაზე მეტად ახლა უჭირს, გასულ საუკუნეში და დღემდე რუსულის ზენოლა გვქონდა, მაგრამ ვუძლებდით, რადგან ქართველი მტრულად მოსულს ადრე თუ გვიან ყოველთვის საკადრის პასუს სცემდა ხოლმე, მაგრამ მოყვრად მოსული მტერი ჩვენთვის გაცილებით საშიშია. მე ბოლო ათი წელი უფრო მაფიქრებს ენობრივი პოლიტიკის თვალსაზრისით, რადგან დღეს „მოძალადე ენა“ გვიპირისპირდება არა ამკარად და პოლიტიკის გზით, არამედ ეკონომიკით, ბიზნესით, კულტურითა თუ ფსევდოკულტურით. თუნდაც ესტრადავილოთ, რომელმაც დღესდღეობით თავისი სახე დაკარგა, არადა ესტრადას ყველაზე მეტი მაყურებელი ჰყავს - არც მელოდიაა ქართული, არც შესრულების მანერა, ქართული სიტყვებიც კი არაქართული ინტონაციით წარმოითქმება. რა თქმა უნდა, ეს ყველას არ ეხება, მაგრამ ეხება უმრავლესობას.

- XX საუკუნე კომპიუტერის ხაჯუნია და. ცხადია, საქართველომ მასობრივი კომპიუტერი ზაცია უნდა მოხდეს. ყოველი ქვეათმთავრად ადამიანი ამის მომხრეა. მაგრამ არსებობს ერთი დიდი პრობლემა: ამ „ჭკვიან“ დანადგარს ქართული ენა არ ესმის... რას გვეტყვით ამის შესახებ?

- სამწუხაროდ, ჩვენ ყოველთვის მაშინ დავარისხებთ ხოლმე განგაშის ზარებს, როცა უკვე დაგვიანებულია. კომპიუტერიზაციის პროცესი ხომ ეხლა არ დანწყებულია? რატომ არ ვიფიქრეთ ამის შესახებ გუშინ, გუშინნინ? ჩვენს ჟურნალში ვწერდით, რომ მოდის უდადესი ძალა კომპიუტერის სახით და მის შესახებ დრად უნდა მოვინზადოთ...



- ხხათა შორის რუსებმა ეს საკითხი უკვე მოაგვარეს. ფირმებს, საიდანაც კომპიუტერების შესყიდვა ხდებოდა, რუსულენოვანი პროგრამა შეუქვეთეს. ფირმებმაც, გასაღების ბაზარი რომ არ დაგვარგათ, კონომიკური ინსტრუმენტები უფრო წინ დააყენეს, ვიდრე პოლიტიკური და შედეგიც სახეზეა: კომპიუტერი რუსულად „ამტყვევდა“. ნუთუ შეუძლებელია ჩვენთანაც იგივე მოხდეს?

- ეს საკითხი უნდა ჩაჯდეს იმ საერთო პროგრამაში, რასაც განათლების ეროვნული პროგრამა ჰქვია, ყველაფერი ეროვნულობის კონცეფციას უნდა დაექვემდებაროს. უპირველს ყოვლისა, თავისი შინაარსით ქართული უნდა იყოს მომავლის სკოლა, რომელიც დღევანდელ მონაცემებს დაეფუძნება. პესიმისტი არა ვარ, მაგრამ რეალობიდან გამომდინარე ვამბობ, რომ ქართულ ენას XXI საუკუნეში ძალიან გაუჭირდება, სკოლაში თუკი მას ის ადგილი არ ექნა, რაც გასულ საუკუნეში იაკობ გოგებაშვილმა, ილიამ და აკაკიმ დაუმკვიდრეს - ქართული ენა დაიღუპება. ეს სულაც არ არის ხმამაღლა ნათქვამი. ენის დაღუპვა კი ეროვნულობის დაღუპვას ნიშნავს. რა თქმა უნდა, ყოველ სკოლაში უნდა შევიტანოთ კომპიუტერი, ოღონდ იგი ეროვნული სკოლის პროგრამაში უნდა ჩაჯდეს.

ფიქრობენ ამაზე ისინი, ვისაც ევალება? განათლების კანონში არის ასეთი პუნქტი: „სახელმწიფო სასწავლებლებში განათლების ენა ქართულია“. წარმოგიდგენიათ? მხოლოდ სახელმწიფო სასწავლებლებში! ხოლო სახელმწიფო აკრედიტაციის მქონე არასახელმწიფო სასწავლებლებში განათლების ენა შეიძლება იყოს არაქართული. ჩვენ ვწერდით ამის შესახებ, ვაპროტესტებდით, მაგრამ სასიკეთოდ არაფერი შეცვლილა. რა შედეგს მოიტანს თურქული, ფრანგული, ინგლისური და ა. შ. უნივერსიტეტების არსებობა? არავის არაფერი აქვს უცხო ენების სანიშნაობა, მაგრამ მათი სწავლა მშობლიურის ხარჯზე არ უნდა ხდებოდეს. ცხადია, რომ აქაურ უნივერსიტეტში სასწავლებლად უცხოელები არ ჩამოვლენ, ანდა ჩამოვა ერთი-ორი კაცი. მაშასადამე, კონტიგენტი ქართველი ახალგაზრდობისაგან შეივსება. ეს კი რას ნიშნავს? ახალგაზრდამ რომ ინგლისურ უნივერსიტეტში ისწავლოს, მან სკოლაც, შესაბამისად, ინგლისური უნდა დაამთავროს, ხოლო ინგლისურ სკოლაში სწავლა რომ შეძლოს, ბავშვობიდანვე ინგლისურად უნდა ისმენდეს იავნანას, ე.ი. საბავშვო ბაღამდე დავდივართ. თბილისში უკვე უამრავი უცხოური კო-



ლექი და საბავშვო ბაღია, სადაც ქართველი კონტიგენტი სწავლობს. ბავშვს, რომელიც განათლების ასეთ საფეხურებს გაივლის, ქართული მხოლოდ გვარი შერჩება. ამიტომაც არ უნდა მივიღოთ ისეთი კანონი, რომელიც ამ მახინჯ მოვლენას დააკანონებს. იაკობ გოგებაშვილი ამბობდა: ბავშვი, რომელიც არამშობლიურ ენაზე მიიღებს განათლებას, თუ დაბადებიდანვე გენიოსია – ნიჭიერ კაცად რჩება, თუ ნიჭიერია – საშუალო ნიჭის კაცად იქცევა, ხოლო თუ საშუალო ნიჭის კაცად გააჩინა ღმერთმა – „მტკნარ სიტუტუცეზე ჩამოხტება“ – ეს სიტყვები ყველასათვის გაფრთხილება უნდა იყოს: უნდა გვახსოვდეს, რომ ასეთი „ვაი განათლების“ პროცესში ბავშვის ბუნებრივი მონაცემების რეალიზაცია ერთი საფეხურით ქვეითდება. ამიტომაც ამ კუთხით უნდა შევხედოთ ეროვნული სკოლის კონცეფციის შექმნას...

– ბატონო გიორგი, როგორც ბრძანეთ, ეროვნული ქართული სკოლა გერჯერობით არ არსებობს...

– არა, ასე ნუ ვიტყვით... მაგრამ ფაქტია, რომ გარკვეული საფრთხე ემუქრება... ერთი რამ გავიხსენოთ: „მამული, ენა, სარწმუნოება“, იაკობ გოგებაშვილმა კიდეც ერთი კომპონენტი დაუმატა – ეროვნული სკოლა. რომ არა ეროვნული სკოლის აღორძინება XIX საუკუნის მეორე ნახევარში, დალუპულნი ვიყავით. დღესაც სწორედ ამ საფრთხის წინაშე ვდგავართ.

– სხვათა შორის, ეროვნულმა სკოლამ გადაგვარჩინა გასაბჭოების შემდგომ პერიოდშიც...

– გეთანხმებით. სამოციანელების პროგრამა ივანე ჯავახიშვილმა გააგრძელა. იგი უნივერსიტეტის შექმნაზე რუსეთის იმპერიის დროსვე ფიქრობდა, რა თქმა უნდა, ხელს უშლიდნენ და ასეთი რამ შესთავაზეს: თუ უნივერსიტეტი რუსულენოვანი იქნებოდა, მას სახელმწიფო დააფინანსებდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ი. ჯავახიშვილს თავად უნდა ეძებნა დაფინანსების წყარო. ივანე ჯავახიშვილი არ გახლდათ ის პიროვნება, რომელსაც იოლადა აცდუნებდნენ ან განზრახულზე ხელს აალებინებდნენ. და როცა ეროვნული სკოლის უმაღლესი საფეხური, ეროვნული უნივერსიტეტი, შეიქმნა, მას უდიდესი ფუნქცია დაეკისრა: ქვეყნის გადარჩენა.

– ბატონო გიორგი, ენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს შეკერის საქმეში – ეს აქსიომაა და ყველა ერს ესმის. მაგალითად



ფრანგი არასოდეს დაუშვებს, რომ მის ქვეყანაში ფრანგული ენა რომელიმე უცხო ენამ შეაფაროს. ასევე არ დაუშვებს ამას გერმანელი, ინგლისელი და სხვა. დიდი ერები უფროსილადებიან მშობლიურ ენას და ჩვენ კი რატომღაც ისე ვაფამბაცდით. სულაც არ გვეშინია მომატებული ინგლისურენოვანი წარწერების, რამაც ლამის წალკაოს ქალაქი...

- მართალს ბრძანებთ. ასმილიონიანმა იაპონიამ მთელი რიგი ლონისძიებები დასახა, როგორ აღუდგეს წინ ინგლისურის მოძალეზას, იგივე პრობლემაა გერმანიაშიც გაერთიანების შემდეგ. იქ ამაზე ფიქრობენ და მოქმედებენ, გულხელდაკრეფილნი კი არ სხედან. ჩვენ კი ვცოდავთ საკუთარი ენის წინაშე; რასაც არავინ გვავალებს იმაც ვაკეთებთ; ერთი სიტყვით, თავად ვითხრით სამარეს. ერთ შემთხვევას მოგიყვებით: ხაშურთან სასადილოს თავზე უზარმაზარი პლაკატი გამოეკრათ თურქული წარწერით. სურათი გადავუღე, რამაც იქვე მდგომი ქართველები რატომღაც ძალიან გააბრაზა. მაშინ ერთ-ერთ მაგანს ვკითხე, თუ იცოდა, რა ეწერა პლაკატზე. იცით რა მიპასუხა? მოგცლიათ ერთი, რაში მაინტერესებს, რა წერია, მე ის ვიცი, რომ მავ წარწერის ავტორი პურს მაჭმევსო. აი, კუჭის ფილოსოფიაც ასეთი უნდა. იქნებ დროა, კუჭით აზროვნებას მოვეშვათ.

- ვიყოთ უკეთესი მომავლის იმედზე! მოგესხენებათ. საქართველოში მართო ქართველები არ ცხოვრობენ. ჩვენი ქვეყანა სხვა ერების წარმომადგენელთა სამშობლოცაა. მათ უმრავლესობას კი, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მოქალაქეები არიან, ქართული არ ესმით. რადგან არ სჭირდებათ. გამოდის, რომ შეიძლება საქართველოში იცხოვრო. ისწავლო. იმოღვაწეო და არავითარი დისკომფორტი არ შეგქმნას ენის უცოდინარობის გამო. ხედავთ რაიმე გამოხსავალს?

- ქვეყანაში უნდა არსებობდეს კანონი, რომელიც განსაზღვრავს მოქალაქის ვალდებულებას სახელმწიფო ენის მიმართ. ასეთი კანონის არარსებობის შემთხვევაში მორალური, ე. წ. დაუნერელი კანონების იმედად უნდა ვიყოთ...

1988 წელს გამოქვეყნდა სახელმწიფო ენის პროგრამის პროექტი, სადაც ნათქვამი იყო, რომ საქართველოს ყველა მოქალაქისათვის აუცილებელია ქართული ენის ცოდნა, დაევალა მეცნიერებათა აკადემიას, უნივერსიტეტს, განათლების სამინისტროს, რომ ქართული ენის შესწავლის მსურველთათვის ხელი შეეწყოს. სახელმწიფო პროგრამის განხილვა 8 თვე გრძელდებოდა, დაამტკიცეს 1989 წ. აგ-

ვისტომი. უკვე ამ პერიოდში იმდენი მსურველი გაჩნდა არაქართველ მოსახლეობაში, ქართულის შესწავლის მსურველი, რომ ქართულის სპეციალისტები აღარც კი გვყოფნიდა - პირადად ემონანილები ამ პროცესში და კარგად მახსოვს. როგორც კი სახელმწიფოებრივ დონეზე დაისვა საკითხი, რომ საქართველოს ყველა მოქალაქე ვალდებულია იცოდეს იმ ქვეყნის ენა, რომლის მოქალაქეცაა, ყველა სწავლას შეუდგა. ასე რომ, ამ მოთხოვნას კანონის ძალა უნდა მიეცეს დღესაც, თორემ რას ვერჩით არაქართველ მოსახლეობას - არ სწავლობენ, იმიტომ, რომ არ სჭირდებათ, ჩვენ მათ რუსულად ვესაუბრებით, ზედმეტად კი რატომ შეინუხებენ თავს. ჩვენი ხათრით ენას არავინ ისწავლის, თუ კი ამის საჭიროებას არ იგრძნობს. ლატვიაში, მაგალითად, ყოველ არალატვიელ მოქალაქეზე სერთიფიკატს გასცემენ, რომელიც მიუთითებს, რა დონეზე იცის მფლობელმა სახელმწიფო ენა და შესაბამისად, სად შეუძლია მუშაობა. იქნებ მიგვებაძა მათთვის?!

*- ბატონო გიორგი, ალბათ დამეთანხმებით, რომ ქართული ენა ამ შემთხვევაში ვაუძლებს ზეწოლას და თავის ადგილს დაიმკვიდრებს. თუკი ერთიანი ქართული ცნობიერება იარსებებს. თუ ჩვენ „საერთო ძარღვი ჩაგვიწყდება“, როგორც ილია გულისტკივილით აღნიშნავდა, მაშინ არა მუშტად შეკრული საქართველო კი არა, საკუთარი კარ-მიდამოს შემურე ადამიანების გროვა შეგვრჩება ხელში. ვართ კი ერთ მუშტად შეკრულნი? ვაუბსხნით, რას წერდა აკაკი: „ჩონგური საქართველოა. სიმები ჩვენ ვრ ყველაო“. თითოეული სიმი - თითო კუთხეა. ყველა კუთხეს ერთნაირად ვუფერებით? დასამალი არაა, რომ სამეგრელო და სვანეთი მტეხი ყურადღების ღირსია - ამ კუთხის წარმომადგენლებს აქვთ თავიანთი ენაზე საუბრის თუნდაც ლექსების წერის უფლება და როცა ამ უფლებას ვაყენებთ, ამით მთელ კუთხეს შეურაცხვეყოფთ - ადამიანები ღირსება შელასხულად გრძნობენ თავს. ზოგჯერ ეს წყენა შორს მიდის და სამი სახესაც იღებს - ჩვენ ამის არაერთი მაგალითი გვაქვს. რა თქმა უნდა, ეს ყოველივე რუსეთის მიერ გვემაზომიერად ვატარებელი პოლიტიკის შედეგია, მაგრამ დღესდღეობით რუსეთის ქვეშევრდომები აღარა ვართ. რას ვაკეთებთ იმისათვის, რომ სიტუაცია სასიკეთოდ შეიცვალოს? რას ვაკეთებთ იმისათვის, რომ სვანეთსა და სამეგრელოში პირველად ხახულმა ადამიანმა ვაკვირებისგან პირი არ დააღოს. რადგან აქაც საქართველოს აღმოაჩინეს? ამ კუთხით ვერჯერობით ჩამიწიმი არ ახმბს*

არადა, დავგროვდა შეცდომები პრესის მხრიდან. ზოგიერთ პატრივცემულ მწერალსა და პოეტსაც შეაჯდა მხარზე ეშმაკი. ოდესმე ხომ უნდა გამოვლიანდეს. ოდესმე ხომ უნდა გვქონდეს ერთიანი ქართული ცნობიერება! რას გვეტყოდით ამის შესახებ?

- როცა გოგებაშვილმა „დედაენა“ და „ბუნების კარი“ შექმნა, ამით ქართველი ბავშვის ჭეშმარიტ ქართველად ჩამოყალიბებას ჩაუყარა საფუძველი - ბავშვი ეცნობოდა საქართველოს ყველა კუთხის ცხოვრებას, სწავლობდა მათ ისტორიას, ტრადიციებს და მის ცნობიერებაში მკვიდრდებოდა აზრი, რომ, როგორც ჩონგური ირღვევა სიმის ჩანყვეტისას, ისე ირღვევა ერთიანი საქართველო, თუკი მას რომელიმე კუთხე გამოაკლდება. დღეს კი რა ხდება? ტოტალიტარული აზროვნების ინსტინქტებით ვცხოვრობთ. მავანს ეშინია აღნიშნოს, რომ ქართლელია, კახელია, იმერელია და ა. შ. ის კი გვაზინყდება, რას წერდა აკაკი: „იმერლობას ნურავინ მიკიჟინებს, რადგან იმერლობა იგივე ქართველობაა“. მართალია, ეს ყოველივე რუსეთის მიერ შემოგდებული პროვოკაციაა, მაგრამ ნუ წამოვევებით პროვოკაციაზე და საშველიც მოიძებნება. ერთიანი ქართული ცნობიერება, რომელიც, როგორც მართებულად აღნიშნეთ, არ გაგვაჩინია, ბავშვობიდანვე უნდა ჩამოყალიბდეს. უნივერსიტეტში მიკითხავს სტუდენტებისათვის, რომელია ქართული კილოები. აფხაზურიც ქართულის კილოდ მიაჩნიათ. რატომ ხდება ასე? იმიტომ, რომ სკოლა არ დგას სათანადო დონეზე. სკოლაშივე უნდა ვასწავლოთ ბავშვს, რომ სვანებს თავიანთი ტომობრივი ენა აქვთ, მეგრელებს - თავისი. ყველა კუთხეს თავისი ისტორია აქვს და ყოველი კუთხის წარმომადგენლებს დიდი წვლილი მიუძღვით იმაში, რომ დღესდღეობით საქართველო არსებობს. არ შეიძლება იმის ანონვა, ვის მეტი დამსახურება აქვს და ვის - ნაკლები.

- ეს ქართული ხასიათის ერთ-ერთი ასირებაა. ხომ ხშირად კამათობენ: ილია უფრო დიდია თუ აკაკი? აკაკი თუ ვაჟა? ეს ხომ იგივეა. კაცმა იკითხოს: მარჯვენა თვალი ვაობია თუ მარცხენა?

- რა თქმა უნდა, საკითხის ასე დასმა არ შეიძლება. დარღვეული ცნობიერების გამთლიანება სახელმწიფო პოლიტიკის უმთავრესი მიზანდასახულება უნდა იყოს, ბოლოსდაბოლოს უნდა მივხვდეთ, რომ ჩვენი ბედოვლათობითა და ერთმანეთის თვალში ბენვის ძიებით სხვის წისქვილზე ვასხამთ წყალს, სხვისი წისქვილი კი ყოველთვის



სხვისთვის ფქვავდა და დღესაც ასეა. რადგანაც პიროვნების ჩამოყალიბებაში სკოლის როლი განუსაზღვრელად დიდია, ამიტომ საშუალო სკოლის პროგრამების საკითხი უნდა დავსვათ. გულახდილად გეტყვი: მე ვერ წარმომიდგენია XXI საუკუნის სკოლა, რადგანაც XX საუკუნის სკოლა დაინგრა, ნანგრევებზე კი აღარაფერი აღარ აშენდება. დროა, ნანგრევები გავენმინდოთ და ხელებდაკაპინებულმა მომავლის სკოლის მშენებლობა დავიწყოთ, რომელიც გოგებაშვილის გამოცდილებას დაემყარება. ასეთ სკოლაში აღზრდილ ადამიანს შესისხლხორცებული ექნება დუტუ მეგრელის ლექსი: „ქართლკახეთი, იმერეთი, გურია და სამეგრელო, ყველა ჩემი სამშობლოა – საყვარელი საქართველო“ და ვერც ვერავინ აუბნევს თავგზას, ქართველები სხვა ხალხია და მეგრელები – სხვაო; თუ გვინდა, რომ მომავალ თაობას სწორი ინფორმაცია მივანოდოთ, სწორედ ასე უნდა მოვიქცეთ.

*- გამადლობთ საინტერესო საუბრისათვის!*

*ვიმედროვნებთ, რომ მომავლის საქართველო მართლაც ერთ ძლიერ მუსტად შეკრული იქნება და ალგეთზე ვაზრდილი ლეკების ალგეთური წარმოშობა სათუო არ გახდება. ვიმედროვნებთ, რომ ჩვენა ბაღისხმევით მომავალი თაობა არც მამულს დაქარგავს, არც უნას და არც სარწმუნოებას და თუ უფალმა გაგვწირა და ასე არ მოხდა, ქართველობა იმ ვადაშენებულ ერთა რიცხვს მიემატება, რომლებიც ფუნჯ და... აღარ არიან. ეს რომ არ გვინდა – ანბანური ჭეშმარიტებაა...*

**ვაშეთი „მესამე ნაპირი“, აპრილი, 2000 წ.**

## დედაენას უანხარო სამსახური სჭირდება

ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის პროექტის განხილვის დროს ითქვა: სამუხარო ისაა, რომ საქართველოში ქართული ენის უფლებების დაცვას, მისი შესწავლისა და სწავლების საკითხების მოგვარებას სპეციალური სამთავრობო დადგენილება-პროგრამები სჭირდებაო. სამუხაროა იმდენად, რამდენადაც ათეული საუკუნეების მანძილზე არ შექონდა ქართველ კაცს ასეთი დადგენილება-პროგრამები, მაგრამ დედაენას ყურადღება, სიყვარული და ზრუნვა არასოდეს მოჰკლებია. უფრო მეტიც – ენა ქართველი კაცის უპირველესი სალოცავი ხატი იყო. ამას, როგორც ჩანს, უცხოელის თვალი უფრო ამჩნევს. ცნობილი ნორვეგიელი ქართველოლოგი ჰანს ფოგტი ბრძანებდა, „ქართველებს თავიანთი ენის ნამდვილი კულტი აქვთო“. ოდითგანვე ქართველი კაცი ერის მთლიანობის უპირველეს პირობად ქართულ ენას თვლიდა, ენა ეროვნულობის ბურჯად მიაჩნდა, დედაენისადმი ქართველი კაცის უნიკალური დამოკიდებულების მაგალითად იკმარებდა იოანე ზოსიმეს ლექსის „ქებაა და დიდებაა ქართულისა ენისაჲ“ და დავათის ქვაჯვარის გახსენება.

დღეს კი?.. დღეს აუცილებელი გახდა სამთავრობო დადგენილება-პროგრამები, რომ ქართველმა კაცმა ქართულად ილაპარაკოს, ისწავლოს, იღვანოს, დედაენას რომ ღირსი პატივი მიაგოს. გვახსოვს, ალბათ, რომ სამოცდაათიან წლებში სამთავრობო დადგენილება მიიღეს ქართული ენის შესახებ. ახმაურდა რადიო, ტელევიზია, პრესა. ვუკრავდით ტაშს და ხოტბას ვასხამდით დედაენაზე მზრუნველ კომპარტიას... შედეგი? სავალალო. იგივე კომპარტია რუსულად მეტყველებდა... გვირჩევდნენ, აჯობებდა რუსულად გვესწავლა, გვეფიქრნა, გვეაზროვნა. უწყებებმა, წარმოება-დანესებულებებმა საქმე გაიიოლეს – დედაენა დაივიწყეს. ვაიქართველთა ტალღა აზვირთდა – შვილები რუსულ სკოლებში მიაბარეს... ვერ უშველა ქართულ ენას ცკ-ის დადგენილებებმა. 1975 წლიდან გვითხრეს, არ გიშლით, შეგიძლიათ დისერტაცია ქართულად დაიცვათო, ოღონდ თუ გინდათ, რომ დაგიმტკიცოთ, რუსულად თარგმნეთ და გამოგვიგზავნეთ; ვიფიქრებთ, ხართ თუ არა ღირსი სამეცნირო ხა-

რისხისაო. ვაიქართველებმა ისევ გაიხოლეს საქმე - მაინც რუსულად უნდა ვთარგმნოთ და რუსულად დაიწყეს წერა. სამეცნიერო გამოცემათა უმრავლესობა რუსულად გადაკეთდა; ზოგ მათგანს სახელწოდებალა შემორჩა ქართული.

ისევ ამოქმედდნენ პატრიოტული ძალები: შეახსენეს ქართველს - ქართული შენი ენაა და ქართულად წერეთ, ილაპარაკეთ, ისწავლეთ... გაჩნდა იდეა სამთავრობო დონეზე პროგრამის შედგენისა. იდეა, ასე ვთქვათ, ქვემოდან წამოვიდა. მიზანდასახულობა ერთი იყო: ის, ვისაც სამსახურებრივად ევალეზოდა, ეზრუნა ქართული ენის შესახებ, ეკეთებინა ქართული საქმე, ანგარიშს გაუნევედა სამთავრობო დადგენილებას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საკუთარი სკამის უსაფრთხოებაზე ზრუნვა აიძულებდა, შეესრულებინა სამთავრობო პროგრამით მასზე დაკისრებული საქმე. ვიმეორებთ, ეროვნული უბედურებაა, როცა ქართველ კაცს დავალეზა სჭირდება, შენს ენას პატივი ეცი, მოუარე და უპატრონეო!... სხვა გზა არ იყო: სალიტერატურო ენა შევლას ითხოვდა და შეიქმნა „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა“. ყველა ძირითადი პრობლემა, რაც ქართული ენის წინაშე იდგა, ამ პროგრამაში იყრიდა თავს, კონკრეტულად დაევალა ამა თუ იმ უწყებებს, დანესებულებებს, ორგანიზაციებს, რა უნდა გაეკეთებინათ. მათთვის, ვინც პროგრამა ჩაიფიქრა და შეადგინა, ეს იყო ერთადერთი გზა დედაენის სასიკეთო საქმეთა კეთებისა; რადგან გვეჯეროდა და ახლაც გვეჯერა, რომ ცალკეულ უწყებათა თუ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს თუ ზემოდან არ მიუთითეს, არც დედაენა ახსოვთ და არც დედასამშობლო. ზემოდან მითითების, დავალების მეთოდი იყო საჭირო, ქართველი თანამდებობის პირი ეროვნული საქმის საკეთებლად რომ ამოძრავებულიყო. ეს რომ ფაქტია და არ ვაჭარბებ, კონკრეტულ მაგალითს მოვიყვან: ქართული ენის შესახებ ნაშრომთა გამოცემის ორგანიზება დაევალა გამსახკომსა და მეცნიერებათა აკადემიას. ქართული ენის პროგრამა 1989 წლის 15 აგვისტოს დამტკიცდა (ნიშანდობლივი ფაქტია ისიც, რომ პროექტის განხილვა 9 თვეზე მეტხანს გაგრძელდა!), წლის ბოლოსთვის კონკრეტული გეგმა მოგვთხოვეს (ამას პროგრამა ავალეზდათ), 10 წლის განმავლობაში ენათმეცნიერების ინსტიტუტი რა ნაშრომებს მოამზადებდა გამოსაცემად გამოცემის ვადებისა და ნიგნის მოცულობის მითითებით. ჩვენც არ დაგვიყოვნებია და ასეთი



გეგმა გადავეცით გამსახკომსა და მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭოს 1989 წლის ბოლოს. გეგმაში ისეთი ნაშრომები იყო შეტანილი, როგორცაა მრავალტომეული „ქართული ენა“, განმარტებითი, ორთოგრაფიული, ტერმინოლოგიური, თარგმნითი, დიალექტური ლექსიკონები და სხვ. დაგვაიმედეს, მთავრობას პირობა მისცეს, ვიზრუნებთ გამოცემაზეო. გამომცემლობა „საქართველოში“ ენისა და ლიტერატურის რედაქცია უნდა შექმნილიყო... კონკრეტულად დღემდე არაფერი გაკეთებულა. გეგმაში შევიტანეთ ისეთი ნაშრომებიც, რომლებიც დიდი ხანია გამომცემლობებში დევს („ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“, „სვანური ლექსიკონი“, „თუშური ლექსიკონი“...); ვიფიქრეთ, იქნებ ამან დააჩქაროს გამოცემა ამ უაღრესად მნიშვნელოვანი ლექსიკონებისა-თქო. არა, ბატონო... ჩვენს ცხოვრებაში მოხდა უმნიშვნელოვანესი მოვლენა: ხელისუფლების სათავეში ეროვნული ძალები მოექცა, ვიფიქრეთ, ეს ფაქტი ჩვენს საგამომცემლო საქმეს სასიკეთოდ შემოაბრუნებდა. მივმართეთ ჩვენს გამომცემლებს, შევახსენეთ მოცემული პირობები და რასაც ვერ ვიფიქრებდით, ის პასუხი მივიღეთ: ის პროგრამა ძველი მთავრობისა იყოო...

დაგვერწმუნებით, ესაა პასუხი იმგვარ „მოღვაწეთა“, ვის შესახებაც ზემოთ მოვახსენეთ: თუ მთავრობა დააგალებს, ეცდება გააკეთოს ეროვნული საქმე, არადა, რის დედაენა, რა მამული...

საინტერესოა, რატომ ფიქრობენ ეს „მოღვაწენი“, რომ ქართული ენის სამსახური იმ მთავრობის დავალებით შეიძლებოდა; ახალი მთავრობისათვის ეს ნაკლებად საზრუნავი საქმეა? პირიქით, ქართული ეროვნული მოძრაობის ისტორიაში ქართული ენის პრობლემა უმნიშვნელოვანესი იყო და იქნება. ამგვარ „მოღვაწეებს“ უზენაესი საბჭოს პირველ სესიაზე ბატონი ზვიად გამსახურდიას სიტყვა მიიწია და შევახსენო: „საქართველოს პარლამენტმა თავის უმთავრეს მიზნად უნდა დაისახოს საქართველოში ქართული მოსახლეობის უფლებრივი გარანტიების დაკანონება, ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის რეალური და არა მოჩვენებითი განხორციელება, ქართულ ენაზე უნდა გადავიდეს საქმის წარმოება ყველა საწარმოსა და დაწესებულებაში, ხოლო ის საწარმოები, რომლებიც ვერ იგუებენ ქართულ ენას თავიანთი ე. წ. საკავშირო დაქვემდებარების გამო, უნდა გამოეყონ ამგვარ დაქვემდებარებას და სრულიად შეწყვიტონ



არსებობა... უნდა გაღრმავდეს და გაუმჯობესდეს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება, საქართველოში უნდა დამკვიდრდეს ქართული სკოლის პრიორიტეტი... ქართველი ბავშვები აღარ უნდა იზრდებოდნენ რუსულ სკოლებში”.

ინტერესის განელება და ქართული ენის პროგრამით გათვალისწინებული საკითხებისადმი გულგრილი დამოკიდებულება მხოლოდ საგამომცემლო საქმეში არ მომხდარა. პროგრამის დამტკიცებასაც კი არ დალოდებიან, პროექტის გამოქვეყნებისთანავე შეიქმნა ქართული ენის შემსწავლელი ჯგუფები ცალკეულ წარმოება-დანესებულებებში. დაიწყეს დოკუმენტაციების, საქმიანი ქალაქების გაქართულება, ფიქრი და ზრუნვა ქართული ენის სწავლების გაუმჯობესებაზე. აღმასკომებთან შეიქმნა კომისიები... ენათმეცნიერების ინსტიტუტი ლამის ველარ აუდიოდა დახმარების მთხოვნელთა მანც შევძელით თითქმის შეუძლებელი და მართლაც გაკეთდა მრავალი სასიკეთო საქმე - გაქართულდა მრავალი დანესებულების დოკუმენტაცია; მაგრამ ეს ენთუზიაზმი თანდათან ქრება: ბევრგან დაიშალა ქართული ენის შემსწავლელი ჯგუფები; აღარც დოკუმენტების გაქართულებას ეშურებიან...

კამპანიური ღონისძიებების მოყვარულთა საყურადღებოდ ვსვამ კითხვებს: ისევ რომ გამოცოცხლდეს ზრუნვა დედაენაზე, ახალი ეროვნული მთავრობის მიერ შედგენილი პროგრამა-დადგენილება საჭირო? ზემომოყვანილი ნაწყვეტი ბატონი ზვიად გამსახურდიას გამოსვლიდან არ გვირკვევს ახალი ხელისუფლების პოზიციას დედაენისადმი? ხომ არაა აუცილებელი და საშური ყოველგვარი სამთავრობო დავალების გარეშე ვემსახუროთ დედაენას - ბურჯს ეროვნებისას - იმ სფეროში, სადაც ვსაქმიანობთ? სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენი სამსახურებრივი მოვალეობისა და შესაძლებლობის ფარგლებში ვაკეთებთ კი იმას, რასაც ქართული ენა ჩვენგან მოითხოვს? არგაკეთებულისათვის თავის სამართლებელი მიზეზების ძეება არაა საქმე. მიზეზებს, მით უმეტეს, დღეს, მრავლად მოვიძებთ; მაგრამ საკუთარი მოქალაქეობრივი სინდისის, ერისა და დედაენის წინაშე მართლები ვიქნებით? ვფიქრობთ, რომ არა!

ვაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“  
6 აპრილი, 1991 წ.



**დროა, ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა  
სახელმწიფოებრივი ზრუნვის საბანი გახდეს!**

1988 წლის 3 ნოემბერს გამოქვეყნდა ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის პროექტი. პროექტის განხილვამ ცხრა თვეს გასტანა, დამტკიცდა 1989 წლის 15 აგვისტოს, გამოქვეყნდა 25 აგვისტოს. მთავრობის დადგენილებაში ვკითხულობთ: „... 2. დაევალოს რესპუბლიკის ყველა პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, ადმინისტრაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციას უზრუნველყონ ქართული ენის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განუხრელი და დროული შესრულება. 3. ყველა ორგანიზაციამ, რომელიც დაკავშირებულია აღნიშნული პროგრამის შესრულებასთან, ორი თვის ვადაში დაამუშაოს და წარადგინოს საქართველოს მინისტრთა საბჭოში კონკრეტული წინადადებები, მათი რეალიზაციის ვადების ჩვენებით“.

შესრულებას კონტროლიც დაუნესდა...

პროექტის განხილვის დროს დიდად აქტიური და დაინტერესებული ჩანდა ჩვენი საზოგადოება ამ პროგრამით. იყო მრავალი წინადადება და შენიშვნა; იყო ქადილი და დაპირებები... შედეგი? რა მოგახსენოთ! გაცილებით მეტი გაკეთდა პროგრამის პროექტის განხილვის პერიოდში, ვიდრე პროგრამის დამტკიცების შემდეგ.

დადგენილების თანახმად, შესაბამისმა ინსტანციებმა ოპერატიულად მოითხოვეს შესასრულებელ ღონისძიებათა ნუსხა და, არსებითად, ამით დამთავრდა ყოველივე. მაგრამ მომდევნო პერიოდში რა გაკეთდა, ან რა კეთდება პროგრამის მოთხოვნათა შესაბამისად?

თუმცა, შეიძლება მართებული იყოს, კითხვა ასე დაგვევა: ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა არსებობს, უნდა იყოს, თუ აღარ არის საჭირო? კითხვის ამგვარად დასმას აქვს საფუძველი. ერთ ფაქტს დავიმონწიებ: ქართული ენის შესახებ სამეცნიერო, მეთოდური თუ პოპულარული ლიტერატურის გამოცემა დაევალათ გამსახკომსა და მეცნიერებათა აკადემიას. ენათმეცნიერების ინსტიტუტმა ვრცელი ნუსხა შეადგინა უალრესად საჭირო და აუცილებელი ნაშრომებისა და წარუდგინა გამომცემლებს. როცა ჩვენი გეგმის

ბედი მოვიკითხეთ, გვიპასუხეს: ის პროგრამა (ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა) ძველი მთავრობისა იყო. ამას „ეროვნული“ მთავრობის დროს გვეუბნებიან. ასე სხვაც ფიქრობდა... ანბანური ჭეშმარიტებაა: ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა არც ერთ მთავრობისა არ არის; ის ეროვნული პროგრამაა და ერის საარსებო ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს. ყოველგვარი მთავრობა გულისყურით უნდა ეპყრობოდეს და უწყობდეს ხელს მის შესრულებას.

პროგრამაში არ ყოფილა, არსებითად, არც ერთი საკითხი, რომელიც აქტუალური არ იყოს დღესაც, რომლის მოგვარება გადაუდებელ აუცილებლობას არ წარმოადგენდეს. იქნებ დადგა დრო (ალბათ, დაგვიანდა კიდევც), სერიოზული ყურადღება მიექცეს ამას. საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევამ დედაენისადმი ზრუნვა უნდა გააათკეცოს!..

ნუ გავიგებთ ისე, თითქოს, არაფერი კეთდებოდეს დედაენის სასიკეთოდ მაგრამ კეთდება ის, რაც პროგრამის შედგენამდეც კეთდებოდა; იღვწის და ზრუნავს ის, ვინც მანამდეც არ იზურებდა ძალას ამ სასიკეთო საქმისთვის. პროგრამა კი არ ამოქმედებულა. დედაენისადმი უგულისყურო დამოკიდებულებისას ერთ გულსატკბავ ფაქტსაც გავიხსენებ: 15 წელია „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის“ ახალი, შევსებული და შესწორებული გამოცემა ძველ გამოცემლობა „განათლებაში“, პროგრამაშიც შევიტანეთ (გვეგონა, ეს დააჩქარებდა გამოცემას), მაგრამ... ათასობით დაინტერესებული კაცი დღესაც ელოდება ამ წიგნს: გამომცემელთაგან მხოლოდ დაპირებებია... ასეთი ფაქტების მოყვანა მრავლად შეიძლება...

დროა, ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგანი გახდეს.

\* \* \*

ურიგო არ იქნებოდა, ალბათ, თუ გავიხსენებთ: ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა რამდენიმე მთავარ ასპექტს მოიცავდა: ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსი, ქართული ენის შესწავლა და ქართული ენის სწავლება.

შეიძლება ვინმემ თქვას, რომ ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის კონსტიტუციური სტატუსის უზრუნველყოფის პრობლემა დღეს ისე მწვავედ აღარ დგას, როგორც ამ პროგრამის შედგენის



დროს იყო, მაგრამ ამ მხრივაც გასაკეთებელი და მოსაგვარებელი მრავლადაა. პროგრამის ის ნაწილი, რომელსაც „ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსი“ ჰქვია, ასეთ საკითხებს ითვალისწინებს: „2. საქართველოს უმაღლეს საბჭოსთან კომისიის შექმნა შესაბამისი უფლებამოსილებით – კონტროლი გაუწიოს ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის ფუნქციონირებას;

3. საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული ქართული სალიტერატურო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის შექმნა შესაბამისი უფლებამოსილებით – კონტროლი გაუწიოს ქართული სალიტერატურო ენის ფუნქციონირებისა და სინმინდის დაცვას; შეიმუშაოს ქმედითი ღონისძიებანი სალიტერატურო ენის ნორმათა დასამკვიდრებლად.

4. რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონულ ცენტრში სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან ქართული ენის ფუნქციონირებისა და სინმინდის დაცვის საზედამხედველო და საკონსულტაციო კომისიების შექმნა.

5. ქართულ ენაზე ყველა დარგის სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურის (მათ შორის სადისერტაციო ნაშრომების) შექმნისა და გამოცემის ორგანიზაცია“... (შეიძლება ეს ვრცელი ამონარიდი არ მოგვეყვანა, მაგრამ, სამწუხაროდ, პროგრამა ბროშურად ჯერ არ გამოქვეყნებულა...).

ვფიქრობთ, ყველა ეს საკითხი სასწრაფოდ მოსაგვარებელი და გადასანყვეტია, რასაკვირველია, თანამედროვე რეალობასთან შესაბამისობაში.

\* \* \*

ქართული ენის მეცნიერულ შესწავლას თითქოს არაფერი უშლის ხელს. შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები ჩვეული ენთუზიაზმით მუშაობენ; მაგრამ აქაც რთული პრობლემა იჩენს თავს: ნაშრომთა გამოცემის საკითხი გართულდა. არათუ გართულდა, ფაქტობრივად, შეჩერდა. გამომცემლობა „მეცნიერება“ (რომელიც ძირითადი გამომცემელია ამ სახის ლიტერატურისა) უმძიმეს ფინანსურ მდგომარეობაშია; ინსტიტუტებს კი არავითარი საშუალება არა აქვთ, დააფინანსონ თავიანთი გამომცემები: თუ კვლევა-ძიების შედეგები არ გამოქვეყნდა, მეცნიერების წინსვლაზე ლა-

პარაკიც ზედმეტია. ქართული ენის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული, გამოსაცემად მომზადებული ნაშრომები დღის სინათლეს, ალბათ, მანამ ვერ იხილავს, სანამ სახელმწიფო მისი დაფინანსებისთვის არ იზრუნებს. ამ საქმეში მეოხებესაც (სპონსორებსაც) შეუძლიათ თავიანთი სიტყვის თქმა...

\* \* \*

ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის მესამე ასპექტიც - ქართული ენის სწავლება - გადაუდებელ ღონისძიებებს საჭიროებს. რაგინდ სავალალოდაც მოგვეჩვენოს, ქართული ენა სკოლასა თუ უმაღლეს სასწავლებლებში ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად პოპულარული საგანია. გამოკვლევა რომ მოენყოს, თუ რომელი საგანი უფრო უყვარს მოსწავლესა თუ სტუდენტს, მეეჭვება, რომ მრავლად იყვნენ ისინი, ვინც ქართულ ენას პირველ საგნად დაასახელებს. ამ რამდენიმე მომენტიც საგულისხმო.

უნდა გადახალისდეს პროგრამები და შეიქმნას ახალი სახელმძღვანელოები. ამ საქმის დაყოვნება გამოუსწორებელ შედეგებს მოგვცემს. მშობლიური ენისადმი (როგორც საგნისადმი) ინტერესის გაქრობის ერთ-ერთი მიზეზი ესეც უნდა იყოს.

უფრო სავალალო და საშიშია უპასუხისმგებლობა ამ საგნის სწავლებისადმი. ქართული ენა ერთ-ერთი ის საგანია (თუ ერთადერთი არა), რომელიც განათლების ყველა ეტაპზე ისწავლება - საბავშვო ბაღიდან დაწყებული უმაღლესი სასწავლებლით დამთავრებული. ყურადღების შესუსტება თუ უპასუხისმგებლობა ამ ხანგრძლივი პროცესის რომელიმე ეტაპზე გამოუსწორებელ შედეგს მოგვცემს. თუ ერთი რგოლი განყდა, მთელი პროცესი ჩაიშლება. რამდგომარეობაშია სკოლაში ქართული ენის სწავლება? როგორია მოთხოვნა უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთათვის ამ საგნის ცოდნისა? როგორია ინტერესი უმაღლეს სასწავლებელში სტუდენტებისა ამ საგნისადმი? საერთოდ, რას ვასწავლით და როგორ? - ყველა ამ კითხვას ერთმანეთთან უშუალო კავშირი აქვს.

რა დასამალია და, დღეს დედაენისადმი მამულისმეილიური დამოკიდებულების შეგნება საგრძნობლად მოისუსტებს. სამწუხაროდ მოსწავლე თუ მისი მშობელი უფრო პრაგმატული თვალთ უყურებს სასწავლო საგანს (არცთუ იშვიათად, მასწავლებელიც); სკოლაში იმ



საგანს უთმობენ საგანგებო ყურადღებას, რომელიც უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდაზე უნდა ჩააბარონ. ჩვენდა საუბედუროდ, სწორედ მისაღებ გამოცდები განსაზღვრავს იმას, თუ რა ისწავლოს მოსწავლემ და რა – არა (და არა ის, რისი ცოდნაა აუცილებელი ქართველი კაცისთვის უპირველესად...). ამ რეალობას ვერ გავექცევით. ამიტომ უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გამოცდებზე ქართულ ენას, როგორც საგანს, ღირსი პატივი უნდა მივაგოთ. მართალია, ყველა სასწავლებელში ბარდება გამოცდა „ქართულ ენასა და ლიტერატურაში“, მაგრამ „ქართული ენის“ ცოდნის მოთხოვნა პუნქტუაციისა თუ ელემენტარული მართლწერის წესების ცოდნით ამოიწურება. მოგეხსენებათ, მხოლოდ ეს ჯერ კიდევ არ არის საგანი „ქართული ენა“, შედარებისთვის: სკოლასა თუ უმაღლეს სასწავლებელში ცალკე საგნებია ალგებრა და გეომეტრია; უმაღლეს სასწავლებელში ერთ გამოცდად ბარდება, მაგრამ არ ილახება არცერთის ინტერესი – თანაბრად მოეთხოვება როგორც ალგებრის, ისე გეომეტრიის ცოდნა. ასევეა ქართული ენა და ქართული ლიტერატურა – დამოუკიდებელი საგნებია სწავლების ყველა ეტაპზე; ერთ საგნად მხოლოდ მისაღებ გამოცდებზეა წარმოდგენილი და, სამწუხაროდ, აქ ილახება ინტერესი საგნისა ქართული ენა, და რაკი ასეა, ამ საგნისადმი ინტერესი სკოლაშიც დაქვეითდა. ეს ჭაშმარიტებაა. ამ ხარვეზის დაძლევის ცდა იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1991 წლის მისაღებ გამოცდებზე შემოთავაზებული მოდელი. არსებითი სიახლე ის იყო, რომ წერით გამოცდაზე აბიტურიენტს ქართული ენის საკითხების ცოდნა მოეთხოვებოდა (ერთი საკითხი ქართული ენიდან იყო). შედეგიც სასურველი გამოდგა. ნაცვლად იმისა, რომ ეს სიახლე დანერგილიყო (შეიძლებოდა გვემსჯელა დახვეწის, გაუმჯობესების თაობაზე), წელს იგი ხელაღებით უარყვეს. ქართული ენის სპეციალისტების აზრიც არ გაითვალისწინეს. ქართული ენის სწავლების საქმეში წინგადადგმული ნაბიჯი უარყვავით რალაც კერძო მოსაზრებით. საზოგადო ინტერესი ისევ პირადულს შეეწირა...

მისაღებ გამოცდებზე ასე ვრცლად იმიტომ შევჩერდით, რომ ეს ქართული ენის სწავლების უწყვეტ პროცესში ის რგოლია, რომელიც გავლენას ახდენს როგორც წინა, ისე მომდევნო ეტაპებზე. განათლების სამინისტრომ და ქართული ენის პროგრამით გათვალისწინე-

ბულმა კომისიებმა (როცა შეიქმნება) ამ საკითხს საგანგებო ყურადღება უნდა მიაქციონ.

ქართული ენის სწავლებაზე ფიქრი სხვა პრობლემებსაც აღძრავს. თუ ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა ამოქმედდა, ამ პრობლემებს მოეველება.

\* \* \*

ერთია: დღეს, უმძიმეს პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ვითარებაში, შეიძლება ვინმემ თქვას, რა დროს ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა და ქართული ენის დღეაო. მწერალთა ყრილობაზე მსგავსი რეპლიკა გაისმა მწერლობის მისამართით. მერნმუნეთ, ყოველი დღე საქმეს ართულებს; მოსაგვარებელი საქმის ერთი დღით გადადებაც კი თვეობით გამოსასწორებელ საქმეს გაგვიფუჭებს... და როცა, ღვთისა და ერის შენევნით, პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემები მოგვარდება, გვიანლა არ იყოს „თითზე კბენანი“.

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“  
31 ივლისი, 1992

ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა  
ბუშინ, ღღუს, ხვალ

80-იანი წლების დასასრულის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის შემუშავება და დამტკიცება. იდეა ამგვარი პროგრამის შემუშავებისა ენათმეცნიერების ინსტიტუტში ჩამოყალიბდა ბესარიონ ჯორბენაძის თავკაცობით. რესპუბლიკის იმდროინდელი ხელმძღვანელობის ხელშეწყობითა და თანადგომით მომზადდა და 1988 წლის ნოემბერში გამოქვეყნდა პროგრამის პროექტი. უალრესად აქტიური განხილვა 9 თვეს გაგრძელდა. პროგრამის ცალკეული პუნქტების განხორციელება პროგრამის დამტკიცებამდე დაიწყო. 1989 წლის აგვისტოში დამტკიცდა და გამოქვეყნდა ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა. სამწუხაროდ, მალე დავივიწყეთ ამ პროგრამის არსებობა. ქართული ენის წინაშე დასმული პრობლემები გამრავლდა, გართულდა. 1994 წლის ოქტომბერში ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოებამ რადიოთი, ტელევიზიითა და პრესით გააერცელა განცხადება:

*„ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოების განცხადება*

*ქართული ენის ფუნქციონირების, შესწავლისა და სწავლების წინაშე დამდგარმა პრობლემებმა აუცილებელი გახდა ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის შემუშავება (დამტკიცდა 1989 წელს). ბოლო წლებში საქართველოში შექმნილმა მძიმე საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ვითარებამ ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა დავიწყებას მისცა. ვაცხადებთ სრული პასუხისმგებლობით: ასეთი უგულისყურო, უპატივცემულო, უდარდელი დამოკიდებულება დედაენის მიმართ, ამჟამად რომ არის, ბოლო ათწლეულებში არ ყოფილა. განუკითხავად ირღვევა ქართული სალიტერატურო ენის ნორმები პრესაში, რადიოსა თუ ტელევიზიაში, ნებისმიერ დაწესებულებაში; სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სასწავლებლებში შესუსტდა, ანდა საერთოდ იგნორირებული იქნა ქართული ენის სწავლება. არის მცდელობა, უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში ჩათვლით შეიცვალოს, ანდა საერთოდ გაუქმდეს...*



მიემართავთ ყველას, ვისაც ეს შეეხება:

დაუყოვნებლივ ამოქმედდეს ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველდღიურად შეიძლება ისე დაზარალდეს ქართული ენა, რომ წლები დასჭირდეს ნაშხდარის გამოწნორებას“.

გაზეთ „თბილისში“ (4 ნოემბერი, 1994წ.) საპასუხოდ დაიბეჭდა მინისტრთა კაბინეტის პრესცენტრის წერილი სათაურით „დაველოდოთ ახალ რედაქციას“: „პრესაში გამოქვეყნდა ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოების გამგეობის განცხადება, რომ ბოლო წლებში საქართველოში შექმნილი მძიმე საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების გამო ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა დაიწყებას მიეცა და საჭიროა იგი დაუყოვნებლივ ამოქმედდეს. ამასთან დაკავშირებით მინისტრთა კაბინეტის პრეს-სამსახური განმარტავს, რომ 21 ოქტომბერს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილის ი. მენაღარიშვილის თავმჯდომარეობით გაიმართა ქართული ენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის სხდომა. დაისახა ღონისძიებანი ამ კომისიის შემდგომი საქმიანობის უზრუნველყოფისა და ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის ახალი რედაქციის მოსამზადებლად“.

მიუხედავად იმისა, რომ საპასუხო წერილში რამდენიმე უზუსტობაა, არსებითია ის, რომ ბატონი ი. მენაღარიშვილის თაოსნობით დაიწყო ზრუნვა ქართული ენის სახელმწიფო კომისიის შექმნისა და სახელმწიფო პროგრამის გაცოცხლების შესახებ. ამის შედეგი იყო ის, რომ გამოქვეყნდა სახელმწიფო მეთაურის, ბატონ ე. შვეარდნაძის განკარგულება (1995 წლის 27 იანვრისა):

„უკანასკნელი 5-6 წლის განმავლობაში ფაქტობრივად არ მოქმედებს რესპუბლიკის მთავრობასთან არსებული ქართული ენის მუდმივი სახელმწიფო კომისია, რაც დღევანდელ პირობებში არსებითად აფერხებს თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დამკვიდრებას, მის შემდგომ განვითარებასა და მეცნიერულ შესწავლას.“

1. მიღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის წინადადება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და განახლდეს ქართული სალიტერატურო ენის მუდმივი სახელმწიფო



კომისიის საქმიანობა საქართველოს სახელმწიფო მეთაურის თავმჯდომარეობით.

2. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა:

- ორი თვის ვადაში დაამტკიცოს ქართული სალიტერატურო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის დებულება;
- ერთი თვის ვადაში შესათანხმებლად წარმოადგინოს და შემდგომ დაამტკიცოს ქართული სალიტერატურო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის წევრთა ახალი შემადგენლობა.

3. განკარგულების შესრულების კონტროლი დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილეს ი. მენაღარიშვილს“.

მინისტრთა კაბინეტის პრესცენტრი გვპირდებოდა, რომ სწორედ ეს კომისია შეიმუშავებდა ახალ რედაქციას ქართული ენის სახელმწიფო პროგრამისას.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომისიამ მეცნიერთა ჯგუფთან ერთად უკვე შეიმუშავა ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის სახელმწიფო პროგრამების ახალი რედაქცია, რომელიც უნდა წარედგინოს მინისტრთა კაბინეტს.

ვიმედოვნებთ, რომ ამ საქმეს დაბრკოლებები აღარ შეხვდება და ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის შემდგომ სიცოცხლეს საფრთხე აღარ დაემუქრება, რომ სახელმწიფო პროგრამა სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგანი გახდება.

*გაზეთი „ბურჯი ეროვნებისა“  
ივლისი-აგვისტო“. 1995 წ.*



რბ ღროს ქართული ენააო, ღმერთმა  
ნუ ზვამთმევიწიოს!

ინტერვიუ გაზეთ „ივერია ექსპრესს“

– ბატონო გიორგი, თქვენ ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ბრძანდებით. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ინსტიტუტის სამეცნიერო გამოცემების საკითხი თქვენს კომპეტენციაში შედის რას გვეტყოდით იმ პრობლემებზე, რაც ინსტიტუტის წინაშე დგას ამ თვალსაზრისით?

– ვერაფერს საიმედოს. არსებობის 50 წლის განმავლობაში ენათმეცნიერების ინსტიტუტი არასოდეს ყოფლა ისეთ მძიმე მდგომარეობაში საგამომცემლო საქმიანობის მხრივ, როგორც დღესაა. ორმოციანი წლების დასაწყისში, ომის დროს, გაცილებით უკეთესი მდგომარეობა იყო, ვიდრე დღესაა. ორმოცდაათიან წლებზე არას ვამბობ, როცა გამოდის „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მრავალტომეული თუ სხვა ფუნდამენტური გამოცემები.

სიძნელეები ყოველთვის იყო; ჩვენი გამოცემების მცირეტირაჟიანობა, ტექსტის სირთულე მრავალ პრობლემას გვიქმნიდა. მაგრამ ვისაც თვალი მიუდევნებია ჩვენი წიგნებისათვის ბოლო ათი წლის მანძილზე, დამეთანხმება, რომ ეს პრობლემები თითქმის მოიხსნა და გამოცემები არ დაბრკოლებულა. ახლა აღმოვჩნდით სავალალო მდგომარეობაში.

შეიძლება გვითხრან, დღევანდელ უმძიმეს პირობებში ამგვარი ჩივილით ვერავის გააკვირვებო, მაგრამ რადგან მკითხეთ, მინდა ზოგ რამეზე გავამახვილო ყურადღება.

რამდენადაც უცნაურად უნდა მოგეჩვენოთ, ამ ბოლო წლებში საგრძნობლად შენეღდა ყურადღება ქართული ენის მიმართ. ეს საგამომცემლო საქმესაც დაეტყო. მე ერთხელ დავნერე და გამომცემლობა „განათლების“ მესვეურნი განაწყენებულან. გავიმეორებ (და ალბათ მანამდე, სანამ ნანატრ წიგნს არ ვიხილავ): 15 წელია „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“ გამომცემლობაში. გვპირდებიან, მალე გამოვაო, მაგრამ ველარ ვენდობი – წიგნის გამომცემლობაში მიტანის დღიდან ამგვარი დაპირება მრავალი იყო.



არა მგონია, ვინმესთვის განმარტებას საჭიროებდეს ამ ლექსიკონის მნიშვნელობა... არადა, ორთოგრაფიული ლექსიკონის უქონლობა მწარედ ეტყობა ჩვენს პრესას, რადიოს, ტელევიზიას... ნიგნის არდაბეჭდვის მიზეზების გამოძებნა არ არის ძნელი. ფაქტია: არ გვეფიქრება დედაენის სიკეთე. ვერ დამაჯერებს გამომცემელი, რომ 15 წლის მანძილზე მოინდომა და ვერ გამოსცა „ორთოგრაფიული ლექსიკონი“. ამგვარ შემთხვევასაც ვგულისხმობ, როცა დედაენისადმი უგულისყურობაზე ვსაუბრობ.

სხვაც შეიძლება თქმულიყო: 10 წელია „სვანური ლექსიკონი“ დევს სხვა გამომცემლობაში. ვერ მოხერხდა რუსულ-ქართული ლექსიკონის გამოცემა... არას ვამბობ დიალექტურ ლექსიკონებზე – ზოგი გამომცემლობაშია, ზოგიც გამომცემელს ეძებს. არ ჩანს გამომცემელი; თუ ჩანს, არ ჩქარობს. სოკობივით მომრავლებული საგამომცემლო ფირმები სხვა სახის ლიტერატურის გამოცემას ამჯობინებს... სანამ კოოპერატორ-გამომცემელთა ეროვნული შეგნება იმ დონეზე ავა, რომ საჭიროდ ჩათვლიან ქართული ენის შესახებ ლიტერატურის გამოცემას, დიდი დრო გავა ალბათ. მათ იმედზე ვერ ვიქნებით.

ჩვენი ლიტერატურის ძირითადი გამომცემელი „მეცნიერებაა“. მაგრამ, სამწუხაროდ, გამომცემლობა „მეცნიერების“ იმედზე ყოფნაც დღეს უპერსპექტივო ჩანს. ეს არ არის თავად გამომცემლობის ბრალი. ვისთვისაც ნაცნობია გამომცემლობა „მეცნიერების“ პრობლემები, დამეთანხმება, რომ ქართული მეცნიერების ხვალისდელი დღე შველას ითხოვს: თუ შეფერხდა სამეცნიერო ლიტერატურის გამოცემა, შეფერხდება მეცნიერების წინსვლაც; ეს განსაკუთრებით ითქმის ჩვენს დარგზე...

ამ დროს გამომცემლობა „მეცნიერებას“ სთხოვენ ე. წ. „მომგებიანი“ წიგნების გამოცემას, რომ თავი შეინახოს. ის თანხა, რაც გამომცემლობას მიეცა დოტაციის სახით, ზღვაში წვეთია იმ საჭიროებასთან, რასაც ქართული მეცნიერების ინტერესი მოითხოვს.

ელემენტარული ჭეშმარიტებაა: გამომცემლობა „მეცნიერება“ ვერ იარსებებს სამეურნეო ანგარიშით; სამეცნიერო წიგნი ვერ იქნება „მომგებიანი“. რას მოგვცემს ამგვარი კურსი? მხოლოდ სავალალო შედეგს. საქმე ისაა, რომ იშვიათი გამონაკლისის გარდა, გამოცემა ჩვენვე უნდა დავაფინანსოთ; გამოდის, რომ წყალობას უნდა

ველოდეთ... დიახ, ორი გზა არსებობს მდგომარეობიდან გამოსვლისა: სახელმწიფომ უნდა იზრუნოს სამეცნიერო ნიგნის გამოცემის დაფინანსებაზე და სპონსორებსაც უნდა გაუჩნდეთ სურვილი ამ ეროვნული საქმის ხელშეწყობისა...

სამეცნიერო ნიგნის გავრცელების პრობლემაც მწვავედ დგას. იძულებულნი ვართ, თითქმის მთელი ტირაჟი ჩვენვე (ინსტიტუტმა) შევიძინოთ. არ იფიქროთ, რომ ჩვენ გარდა არავის აინტერესებს ჩვენი ნიგნი. უბრალოდ, ნიგნის ვაჭრობის სისტემა სამეცნიერო ნიგნს არ ეტანება... სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა გამომცემლობა „მეცნიერების“ საფირმო მალაზიის გახსნა. არსებული „აკადემიკოსების“ მალაზია აკადემიური ნიგნისთვის ნაკლებად იცლის. ეს საკითხიც არაერთგზის დასმულა. მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა საგანგებო კომისიაც შექმნა ამ საკითხის შესასწავლად, მოსაგვარებლად. რამდენადაც ვიცო, რეალური ნაბიჯი ჯერ არ გადადგმულა. მხოლოდ საუბარია და ქალაქდზე დარჩენილი დადგენილებები... არადა, სამეცნიერო ნიგნის ბედი სავალალო მდგომარეობაშია. იქნება მიწვევს ჩვენი ხმა მათ, ვისაც ეს ეხება.

- „ერი დედაა ენისა“... ქართულ ენას რომ მოვლა-პატრონობა სჭირდება. ამაზე დღეს არავინ კამათობს. მაგრამ ეს ყოველივე სატყვიით. საქმე?

ამ საპიოდე წლის წინ. ჯერ კიდევ კომუნისტური მმართველობის დროს. დიდი ზარზემით მივიღეთ ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა. დაიხსნა მრავალი კეთილი მიზანი; არადა, ფაქტობრივად, ეს ყოველივე აღუსრულებელი დარჩა. რა მოხდა? რატომ შეჭრა ეს უაღრესად საჭირბოროტო საქმე?

- სერიოზული პასუხის გაცემა მიჭირს. არასერიოზული პასუხი კი ამგვარ შეკითხვაზე ორიოდ ნლის წინათ გამცა ერთ-ერთ ეროვნულ დანესებულებაში დასაქმებულმა მოღვაწემ: ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა ძველი მთავრობისა იყო; როცა ქართული ენის პროგრამა ვინმესთვის (მით უმეტეს, ეროვნული მოღვაწის პრეტენზიის მქონე პირისათვის) შეიძლება რომელიმე მთავრობისა იყოს, ვერაა კარგად მაშინ ჩვენი საქმე. ქართული ენის პროგრამა არცერთი მთავრობისა არ არის, იგი ეროვნული პროგრამაა; მაგრამ ყველა მთავრობა ვალდებულია, იზრუნოს იმ საკითხების მოგვარებისათვის, რასაც პროგრამა ითვალისწინებდა. ბედნიერება ის იქნე-



ბოდა, რომ საჭიროება არ ყოფილიყო ამგვარი პროგრამის შედგენი-  
სა: დედაენისადმი დამოკიდებულება დადგენილება-პროგრამით არ  
განსაზღვრულიყო: ყველას ჰქონოდა შეგნებული საკუთარი მოვა-  
ლეობა დედაენისადმი... სამწუხაროდ, არ იყო და არ არის ასე. ამი-  
ტომ მადლობის ღირსია, ვინც იზრუნა ამ პროგრამის შედგენისა-  
თვის და ისიც, ვინც მხარი დაუჭირა და დაამტკიცა იგი.

საოცარია, მაგრამ თუ გავიხსენებთ, „იმ დროს“ გაცილებით მე-  
ტი კეთდებოდა ქართული ენის სასიკეთოდ, ვიდრე დღეს ან გუშინ –  
დამოუკიდებელ საქართველოში. ეს დამოკიდებულება გამოვლინდე-  
ბა ენის გამოყენების თითქმის ყველა სფეროში...

მართალი ბრძანეთ, ზარზეიმით მივიღეთ ეს პროგრამა. იყო ქა-  
დილი და დაპირებები და კომუნისტური მთავრობის წასვლასთან  
ერთად დამთავრდა ფიქრი ამაზეც. პარადოქსია თითქოს, მაგრამ  
ფაქტია. საქმეში ჩახედული, ვიცი, დამეთანხმება, რომ იმ დროს არ-  
სებული პრობლემები არა თუ მოიხსნა, ზოგ შემთხვევაში გართულ-  
და კიდევც...

მე არ ვიცი, რამდენად აძლევეთ ხელს ამ პროგრამის გაცოცხლე-  
ბა იმ უწყებებსა და დანესებულებებს, რომლებსაც საკმაოდ სერიო-  
ზული ვალდებულებები ეკისრებათ, მაგრამ პროგრამა რომ უნდა  
ამოქმედდეს, ფაქტია: დროც არ ითმენს...

საბედნიეროდ, დღეს მთავრობასა და ხელისუფლებაში არიან ის  
ადამიანები, ვინც თავის დროზე აქტიური მონაწილენი იყვნენ ამ  
პროგრამის შექმნისა; ისინი, ვისთვისაც ეროვნული ენის ფენომენი  
სამთავრობო კუთვნილების ფაქტად არ აღიქმება...

უნდა გახდეს და, მჯერა, რომ გახდება კიდევც პარლამენტისა და  
მთავრობის მსჯელობის საგანი ქართული ენის სახელმწიფო პროგ-  
რამა, ახალ სიცოცხლეს შეიძენს იგი!

მესმის, რომ უამრავი ყოფითი პრობლემაა გადასაწყვეტი. რა  
დროს ქართული ენააო, ღმერთმა ნუ გვათქმევინოს: როცა დავილ-  
ხნთ, გვიან არ იყოს დანანება. ყოველდღიურად შეიძლება იმდენი  
რამ გაფუჭდეს დედაენისადმი უგულისყურო დამოკიდებულებით,  
რომ წლები დასჭირდეს გამოსწორებას.

- ამ ბოლო დროს პრესაში გაჩაღებული იყო პოლემიკა ქართულ  
ენასა და ლიტერატურაში მისაღები გამოცდების ჩატარების ფორმაზე.

თქვენ აქტიური მონაწილე ბრძანდებოდით ამ პოლემიკისა. რა შედეგია? ანდა რას გვეტყვიან ახალს ამ საკითხთან დაკავშირებით?

- ახალს? ალბათ ვერაფერს. კარგა ხანს გაგრძელდა ეს დება. ამ ცოტა ხნის წინათ განათლების სამინისტროში სპეციალური თათბირიც ჩატარდა; წერიტ გამოცდაზე „ქართულ ენასა და ლიტერატურაში“ რეკომენდაცია მიეცა როგორც თხზულებას, ისე ე. წ. „საკითხებს“ (ტესტების მეთოდით გამოცდა ამ საგანში უარყვეს). უმაღლეს სასწავლებლებს სრული დამოუკიდებლობა აქვთ და გამოცდის ფორმის შერჩევის საკითხს ისინი წყვეტენ... სამწუხარო ისაა, რომ კოლექტიური აზრის პიროვნულ აზრთან შეჯახებისას ხშირად ეს უკანასკნელი იმარჯვებს; უბოდიშო იგნორირება ხდება საზოგადო აზრისა, ჯერ კიდევ ძლიერია კაბინეტური აზრი...

თქვენ დისკუსია ახსენეთ გამოცდის ფორმასთან დაკავშირებით. მე როცა ამ პოლემიკაში ჩავერთე, არ მქონდა მიზნად, მემსჯელა ქართული ლიტერატურის ცოდნა რა ფორმით შემომნებულაყო, ეს ჩემი განსასჯელი ნაკლებადაა, სხვები უკეთ შეძლებენ. მე თუ ე. წ. საკითხებით (ბილეთებით) წერას დავეუჭიე მხარი, ერთადერთი მიზეზის გამო: ქართული ენის (როგორც საგნის) ცოდნის შემომნება ამ გზით უკეთ ხერხდება.

აი, რას ვგულისხმობ: იქ, სადაც მხოლოდ წერიტით გამოცდა ბარდება ქართულ ენასა და ლიტერატურაში, საგნის - ქართული ენა - ცოდნის შემომნება ხდება ფაქტობრივ ელემენტარულ მართლწერის წესებში, პუნქტუაციასა და ორთოგრაფიაში. მოგეხსენებათ, საგანი ქართული ენა მხოლოდ ეს არ არის. ნუ დავხუჭავთ თვალს მწარე სმართლებზე და ვთქვათ: უნიგნურობა ზეიმობს. ზემოთაც ვთქვი: გადახედეთ მომრავლებულ ჟურნალ-გაზეთებს, კომერციული მიზნებით გამოცემულ წიგნებს, სადღაა ჩვენი ძარღვიანი ქართული რატომ? დედაენისადმი არასერიოზულმა დამოკიდებულებამ იწინათავი. გაუბრალოვდა, გამარტივდა ის ფენომენი, დედაენა რომ ჰქვია...

პრაქტიციზმმა სასკოლო საგნები ორად დააჯგუფა: საჭიროდ და არასაჭიროდ. საჭიროდ ითვლება ის საგნები, რომლებშიც გამოცდები უნდა ჩააბაროს აბიტურიენტმა; სხვა დანარჩენი - არასაჭირო საგნებია. ყველა ჩვენგანი იცნობს მოზარდებს, დაწყებით კლასებიდანვე იურისტად, ექიმად, ინჟინრად რომ იზრდებოდა. იმ



თავითვე იმ საგნებზე იყო გაკეთებული აქცენტი, რომლებშიც გამოცდები უნდა ჩაებარებინა მომავალ აბიტურიენტს... გავიხსენოთ: როგორი რეაქცია გამოიწვია ჩასაბარებელი საგნის შეცვლამ სამედიცინო ინსტიტუტში – ფიზიკა შეიცვალა მათემატიკით და კარგა ხანს გაგრძელდა დისკუსია. ახლახან ხმა გავარდა, იურიდიულზე მათემატიკა უნდა ჩაბარდესო და ისევ აზვირთდა პროტესტი... მარტივად ასახსნელი ფაქტია: მათემატიკა შესთავაზეს მას, ვინც დაბალი კლასიდანვე ფიზიკაზე იყო ორიენტირებული, ანდა საერთოდ არ ფიქრობდა მათემატიკაზე.

ვიმეორებ – მარტივად ასახსნელი ამბავია: სკოლაში ბავშვი სწავლობს იმ საგანს, რომელიც მას „დასჭირდება“ უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გამოცდებზე. უბედურებაა, მაგრამ ფაქტია: მიზანი გამოცდებია და არა ცოდნა საგნისა. ჰოდა, აღარ სწავლობს მოსწავლე საგანს ქართული ენა. მისაღებ გამოცდებზე რომ უფრო პრინციპულად და საფუძვლიანად მოგვითხოთ აბიტურიენტებს ქართული ენის საკითხები, მისი ცოდნის საჭიროებაც გამოჩნდება. მართალია, ეს იძულებითი მეთოდია და ცოტა უხერხულიც ისეთი ფენომენის მიმართ, დედაენა რომ ჰქვია, მაგრამ ჯერჯერობით სხვა გზას ვერ ვხედავ... დამერწმუნეთ, საერთოდ ქართულში გამოცდაც რომ არ ბარდებოდეს უმაღლეს სასწავლებელში, „ვეფხისტყაოსანს“ არ წაიკითხავდა ათი პროცენტიც კი...

მოკლედ: როგორც კი ამგვარ პრაქტიკულ მიზნებს ასცდა ქართული ენა, იქცა „ზედმეტ“ საგნად. კი, მართალია, პროგრამებიც და სახელმძღვანელოებიც „შუაშია“, მაგრამ გენიალურად შედგენილი პროგრამა თუ იდეალურად დანერგილი სახელმძღვანელოც ვერ უშველის საქმეს. გავიხსენოთ: როგორც კი წაკითხულის შინაარსი (ე.წ. კარნახი) შემოიღო ერთ-ერთმა უმაღლესმა სასწავლებელმა, „ვეფხისტყაოსანსაც“ აღარ კითხულობდნენ ამ სასწავლებელზე ორიენტირებულნი...

ასე რომ, თუ მხარი დაგუჭირე ე.წ. „საკითხებით“ წერას, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ აქ ხდებოდა სერიოზული მოთხოვნა „ქართული ენისა“, შედეგიც სასურველი იყო: იმ წელს აბიტურიენტთა ცოდნა „ქართულ ენაში“ გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე სხვა წლებში. სხვათა შორის, ოპონენტებმა საკითხი ასეც დასვეს: ზეპირზე ხომ მოეკითხება აბიტურიენტს „ქართული ენაო“... ზეპირ გამოც-



დაზე ლიტერატურის ცოდნაც მოეკითხებათ, მაგრამ ამის გამოწერითი გამოცდის მოხსნა არავის მოუთხოვია.

სავალალო ისაა, რომ სერიოზულად „ქართული ენის“ ცოდნა არც ზეპირ გამოცდაზე მოეთხოვება, იშვიათი გამონაკლისის გარდა. ენის საკითხები უმეტესად მოვალეობის მოხდის მიზნითაა შეტანილი საგამოცდო ბილეთებში. არ ვაჭარბებ: ჰკითხეთ ზეპირგამოცდა-გამოვლილ სტუდენტებს თუ, თუნდაც, გამომცდეღეს... აღარას ვამბობ იმათზე, ვინც ზეპირ გამოცდას არ აბარებს.

შედეგი? გრამატიკის საკითხები რომ არ იცის უნივერსიტეტის აბიტურიენტმა, ეგ კიდევ არაფერი. როდის შეიქმნა და რა გზა გაიარა ქართულმა დამწერლობამ, ამგვარ შეკითხვას ასიდან ერთი თუ უპასუხებს: ვერ გეტყვიან, რომელ ენებს ენათესავება ქართული, რომელია ქართული ენის დიალექტები და მისთანანი; რომელია ცოდნასაც ითვალისწინებს საშუალო სკოლის პროგრამები... უნდა იცოდეს თუ არა ნიგნიერმა ქართველმა (ნებისმიერი სპეციალობისა) ეს საკითხები? არა მგონია, ვინმემ უარყოფითი პასუხი გასცეს ამ შეკითხვაზე. მაშინ რატომ არ ვცდილობთ, ხელი შევუწყოთ იმგვარი საგამოცდო მეთოდის დამკვიდრებას, ქართული ენის უკეთ შესწავლას რომ შეუწყობს ხელს?

აქ რომ საკითხები ჩამოვთვალო, მისთანანი მრავლადაა საშუალო სკოლის პროგრამებში (და არა სახელმძღვანელოებში). მისაღები გამოცდების პროგრამებში მხოლოდ ფონეტიკისა და გრამატიკის საკითხები აისახა. არაერთხელ დაისვა საკითხი მისაღები გამოცდების პროგრამების გადახალისებისა, შეცვლისა... პროექტიც შედგა საამისო და მალალ ინსტანციებში ოფიციალურ შეკრებებზეც იყო ამის თაობაზე საუბარი. შედეგი? არაერთარი. სიახლეს გართულვად აღიქვამენ; აუცილებლობას – პოზად! და წყდება საკითხები არაერთოვნული ინტერესებიდან ამოსვლით... ვნახოთ, რას გვიქადის მომავალი, საქმე იქამდეც კი მივიდა, სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში ზეპირი გამოცდა მოხსნეს. შედეგი ის იქნება, რომ საქართველოს ისტორიის მომავალ სპეციალისტს ელემენტარული წარმოდგენა არ ექნება ენის ისტორიაზე; ენის ისტორია რომ ერის ისტორიის ნაწილია, ესეც არ ეცოდინება.



ამიტომ: მჯერა და დღესაც ვამბობ – სერიოზულად უნდა მოხდეს ცოდნის შემონახვა საგანში „ქართული ენა“ ნებისმიერი უმაღლესი სასწავლებლის ნებისმიერ სპეციალობაზე. უნდა დაგუჭიროთ მხარი ძველს, ანდა გამოიძებნოს ახალი მეთოდი ამ ცოდნის შემონახვისა. ეს, ჩემი ღრმა რწმენით, ეროვნული მნიშვნელობის საქმეა. ქართული ენა ქართველ მოღვაწეთა აქტიურ თანადგომას საჭიროებს.

**გაზეთი „ვერია ექსპრესი“.**  
**12 დეკემბერი, 1992 წ.**

## რა ენა წახდეს, ერთი დაეცეს!

14 აპრილი ქართული ენის დღეა. როცა მისი დანესების საკითხი დადგა, ითქვა:

„ამ დღეს შეჯამდება: თუ რა გაკეთდა წლის განმავლობაში ქართული ენის ფუნქციონირების, შესწავლისა და სწავლების საქმეში; გამოიციემა ერთდროული გაზეთი „დედაენა“...“

ეს ითქვა კარგა ხნის წინათ... დღეს? ქართული ენის დღე ისეთივე უფერულ და შაბლონურ თარიღად ვაქციეთ, უამრავი რომ გვექონდა ახლო წარსულში.

იქნებ ვცდები (ღმერთმა ქნას, ვცდებოდე!)? მეტი რა გვინდაო, მეტყვიან: დედაენას ძეგლი აუგეთ; დედაენის დღე დავანესეთ...

სახელმწიფოებრივი ზრუნვა სახელმწიფო ენას არასდროს მოჰკლებია თითქოს. ამ თვალსაზრისით, ერთი შეხედვით, დღევანდელი ვითარება სასიკეთოდ განსხვავებულია: გვაქვს ქართული ენის სახელმწიფო კომისია; შეიქმნა სახელმწიფო სამსახური - ენის პალატა, თავისი რეგიონალური სამმართველოებით... გვაქვს აკადემიური ინსტიტუტები, უმაღლესი სასწავლებლები, სადაც ქართული ენის სწავლება-შესწავლა ხდება... და მაინც, ეს ის არის, რაც გარედან მტერს უბრმავეებს თვალს, შიგნიდან კი - მოყვარეს. დღესდღეობით დედაენის მიმართ გაცილებით ნაკლებ ყურადღებას ვიჩენთ, ვიდრე ამ ორი-სამი ათეული წლის წინათ.

დღეს სახელმწიფო ტელევიზიის პირველი არხით შეიძლება ასეთი აზრები იქადაგონ: ერის თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის ენის შენარჩუნება არ არის აუცილებელიო(!); მშობლიურ ენას იცავს ის, ვინც არ იცის უცხო ენაო(!)...

ერთ-ერთი პოპულარული ტელეკომპანიის (რუსთავი-2) დიქტორს ღია ეთერში შენიშნეს, თქვენს გადაცემებში ქართული მოკოჭლებსო და სრულიად გაუგებარი და უადგილო პასუხი მოვისმინეთ: ენა წინ მიდის და მეცნიერება ვერ ეწევაო(!) ამ „მოსწრებულ“ პასუხს მეორე დიქტორმა დასძინა, ჩვენი ენა უფრო ესმის ხალხს, ვიდრე ის, რომელსაც თქვენ მოითხოვთ ჩვენგანო(!)... ეს არ არის მხოლოდ კურიოზი; ეს აბუჩად აგდება ჩვენი ეროვნულობის უმთავ



რესი ბურჯისა – ქართული ენისა!

ნუ ვიტყვი, მერე რაო. ტელევიზიის ეკრანიდან გაფლერებული ყოველი ასეთი აზრი ძალზე სახიფათოა. მას მეტი მსმენელი და დამჯერი ჰყავს (საუბედუროდ), ვიდრე კომპიუტერული პირების ლოგიკურ და საფუძვლიან მსჯელობას.

ისეთი შთაბეჭდილება რჩება, ვილაცას ხელს აძლევს ასეთი აზრების პროპაგანდა. ვინ არის ის „ვილაცა“? შეუძლია კი იმ „ვილაცას“, დაასაბუთოს, რომ უაზრობაა „რა ენა ნახდეს, ერიც დაეცეს“? ამის დამტკიცებას, ცხადია, ვერავინ შეძლებს; არც მიაჩნიათ აუცილებლად რაიმეს მტკიცება; მთავარია თქვან, უარყონ რალაც... ენის ნახდენა ერის დაცემას არ გამოიწვევსო, – ამის საბუთად შოტლანდიურის მაგალითი მოჰყავთ. გამოდგება კი ეს მაგალითი საჩვენოდ? არ ფიქრობენ ამაზე. ვერც იმას ვიგებთ, რატომ ეძებენ უარყოფით მაგალითებს, როცა საპირისპირო მაგალითების მოყვანა უხვად შეიძლება... მაგრამ „ვილაცას“ არ აძლევს ხელს ამგვარი ფაქტების გამომზეურება. ვინ არის ის „ვილაცა“ და ვის დაკრულზე ცეკვავს? ვის შეკვეთას ასრულებს?

ესეც საკითხავია (ვაი, რომ ეს „ვილაც“ კრებით სახელად უფრო მოიაზრება).

ალბათ, არასდროს ისეთი პუბლიცისტური ჟღერადობა არ ჰქონია საუკუნეზე მეტი ხნის წინათ თქმულს, როგორც დღეს აქვს:

*„აღჩნდნენ მწერლები,  
ჟურნალისტები,  
ვაი საბრალოს,  
ვაი ჩვენს ენას!...“*

(ბ. ორბელიანი).

არაერთ პერიოდულ გამოცემას, ჟურნალისტს შესძახეს ენის გამო: სთხოვეს, პატივი ეცით დედაენასო, მაგრამ შედეგი? სასიკეთო – არანაირი! არც არის გასაკვირი: მშობლიური ენის ერთგულება უცხო ენათა უცოდინარობის გამოვლენად რომ მიაჩნიათ ზოგ-ზოგებს, შეიძლება, ეამაყებოდეთ კიდევ, მშობლიური ენის უცოდინარობა... ვინ არის ის „ვილაცა“? ვის წისქვილზე ასხამს წყალს? და როდემდე უნდა ვუყუროთ გულხელდაკრეფილებმა იმ „ვილაცას“? რისთვის გვჭირდება ამდენი სამსახური, კომისია? ერთგან დაიჩივლა ენის სახელმწიფო პალატის თავმჯდომარემ, ხელ-ფეხი გვაქვს შე-

კრული იმის გამო, რომ ენის კანონი არ არსებობსო. მართალია: ვქმნით სამსახურს და არ გავგაჩნია საკანონმდებლო ბაზა, რომელსაც ეს სამსახური უნდა დაეფუძნოს... არც ადრე გვექონდა კანონიო, - გვეტყვიან. მაგრამ ადრე დაუნერეულ კანონებსაც ჰქონდა ძალა. დღეს კი დაუნერელი კი არა, დანერილი კანონი აღარ კანონობს... ამიტომ დანერილი კანონი არის საჭირო, ენის კანონი! ასეთი კანონის პროექტი არსებობს კარგა ხანია, მაგრამ „ვილაცა“ აბრკოლებს, „ვილაცას“ არ სურს, რომ მივიღოთ და ამოქმედდეს. ვინ არის ის „ვილაცა“ და რა მიზანი ამოქმედებს მას? როდის შევძლებთ, გავაკეთოთ ის, რაც იმ „ვილაცას“ არ სურს, მაგრამ ჩვენს ეროვნულობას ჰაერივით სჭირდება.

ამჯერად სკოლაში ნუ შევიხედავთ, კიდევ უფრო რომ არ დამძიმდეს ჩვენი საზეიმო განწყობილება.

საერთო მონდომებაა საჭირო იმისათვის, რომ მართლაც საზეიმოდ გვექონდეს საქმე...

ვაზეთი „თბილისი“. № 40, 2000.

„რას იტყვის ჩვენზე შთამომავლობა?“

2002 წლის 24 აპრილს საინფორმაციო სააგენტო „მედია ნიუსმა“ ასეთი ინფორმაცია გაავრცელა:

„გუშინ პარლამენტის სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტში გაიმართა ეუთოს ეროვნული უმცირესობების საკითხების უმაღლესი კომისარიატის ექსპერტებთან შეხვედრა, რომელზეც *სახელმწიფო ენის შესახებ კანონპროექტთან* დაკავშირებული პრობლემები განიხილეს. სახელმწიფო ენის პალატის თავმჯდომარის *ლევან დვინჯილიაშვილს* განცხადებით ორი კვირის წინ თბილისსა და ჰააგაში განეული სამუშაოების შემდეგ მომზადებულ კანონ-პროექტში ცვლილებები შევიდა და *ამჟამად პარლამენტში სრულყოფილი პროექტი დევს*. ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისარიატის დირექტორის ჯონი პარკერის თქმით, სახელმწიფო ენის პალატისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტთან კომისარიატის აქტიური მუშაობის შემდეგ კანონპროექტის ერთ-ერთი მუხლი, რომლის თანახმადაც *საქართველოს მოქალაქე ვალდებულია იცოდეს ქართული ენა*, შემდეგნაირად შეიცვალა: *„საქართველოს ყველა მოქალაქემ სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობისას უნდა გამოიყენოს ქართული ენა“*. მისივე თქმით, კანონ-პროექტში გათვალისწინებული იქნა ეუთოს კომისარიატის წინადადება, რომლის თანახმად, *რეიონების საკრებულოებს მისი წევრების უმრავლესობის გადაწყვეტილების შემთხვევაში ქართული ენის გარდა სხვა ენაზე ფუნქციონირების უფლებაც ენიჭებათ*“ (ხაზი ყველგან ჩვენია – გ. გ.).

ამ ინფორმაციამ რამდენიმე შეკითხვა გააჩინა:

1. რას ნიშნავს: *„უნდა იცოდეს ქართული ენა“* შეიცვალა ფორმულირებით *„უნდა გამოიყენოს ქართული ენა“*? თუ არ ეცოდინება, როგორ გამოიყენებს? და საერთოდ, რას ნიშნავს სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობისას ქართული ენის გამოყენება? ხომ არსებობს არასახელმწიფო ორგანოები, დანესებულებები, სტრუქტურები... მათთან ურთიერთობისას რომელი ენა „უნდა გამოიყენოს“? არასახელმწიფო სექტორში ქართული აღარაა სახელმწიფო ენა?... ეს

პროექტი ხომ ენინაალმდეგება მომდევნოს: თუ საკრებულო სამუშაო ენად არაქართულს გამოაცხადებს, მაშინ როგორ „უნდა გამოიყენოს ქართული ენა?“...

2. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით ქართული ენა საქართველოს სახელმწიფო ენაა. თითქმის მეოთხედი საუკუნეა, ვზეიმობთ და დიდსა და პატარას თავი მოგვაქვს იმით, რომ ქართულ ენას ეს უფლება შევეუნარჩუნეთ. საკრებულოებისათვის სამუშაო ენის არჩევანის უფლების მინიჭება ხომ სახელმწიფო ენის ფუნქციონირების შეზღუდვაა იმ კონკრეტულ რეგიონში, რომლის საკრებულოც ამ გადანყვეტილებას მიიღებს? კონსტიტუციით მინიჭებული სტატუსის შეზღუდვის (უფრო ზუსტად: გაუქმების) უფლებას ვანიჭებთ საკრებულოს?

25 აპრილს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტში ამ კანონპროექტის განხილვისას ითქვა, *საქიროა მცირე კომპრომისზე წახვლა* (ინფორმაცია ტელევიზიით გადაიცა). არის კი ეს „მცირე“ კომპრომისი?

თუ ვაცნობიერებთ, რა შედეგების მოტანა შეუძლია ამ „მცირე კომპრომისს“?

გვჭირდება კი ამგვარი კანონი?

და საერთოდ, ვფიქრობთ კი ქართული ენის მომავალზე? არ გვადარდებს, „რას იტყვის ჩვენზე შთამომავლობა?“

მოკლედ, ზემომოყვანილმა ინფორმაციამ უამრავი კითხვა გააჩინა...

პასუხი?

*ყურნალი „ბურჯი ეროვნებისა“*, №3-4, 2002.



## ქართული ენა ბრანტმაში არ უნდა გაიცვალოს

ენის კანონპროექტის ირგვლივ დიდი სჯა-ბაასია ატეხილი. ეს დაეა უკვე დიდი ხანია დაინყო და, როგორც ჩანს, კიდევ დიდხანს გაგრძელდება. ამ კამათში მეცნიერების ხმა მოკრძალებულად გაისმა, არადა მათი მოსაზრებები უფრო საინტერესოა. ჩვენ შევეცადეთ ცოტათი გამოგვესწორებინა ეს უსამართლობა. კანონპროექტის შესახებ საუბრობს უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგი, გიორგი გოგოლაშვილი.

**- ბატონო გიორგი, გვესაჭიროება კი საერთოდ ენის შესახებ კანონი?**

ერთი მხრივ, ჩვენ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ კანონი ენის შესახებ უნდა არსებობდეს და ამავე წარმატებით ვამტკიცოთ, რომ არ უნდა არსებობდეს. ვინც პირველ ვარიანტს ამტკიცებს, მოგვიყვანს ისეთი ქვეყნების მაგალითს, როგორებიცაა საფრანგეთი, ბალტიის ქვეყნები, აზერბაიჯანი... ის, ვინც გვეტყვის, რომ კანონი არ უნდა არსებობდეს, ინგლისის მაგალითს მოიშველიებს. ამ უკანასკნელში კანონი ენის შესახებ არ არსებობს, მაგრამ მშობლიური ენისადმი დამოკიდებულება გაცილებით ფაქიზია, ვიდრე იქ, სადაც კანონი წარმატებით მუშაობს. ამას წინათ ინგლისის პრემიერ-მინისტრს სკანდალი მოუწყვეს, რომელიღაც სიტყვას სწორად ვერ წერდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ სკოლაში მისი ყოფილი ენის მასწავლებელი მოიძიეს; მოკლედ პრემიერ-მინისტრს კინალამ იმპიჩმენტი მოუწყვეს. შესაბამისად, თუ არის კანონი, ის უნდა სრულდებოდეს, ანდა საერთოდ არ იყოს.

**- დღევანდელი საქართველოს პირობებში ამ მტკივნეული თემის ასე აფიშირება რამდენად გამართლებულად გეჩვენებათ?**

- დაგვიანებულიც კია. ეს კანონი თავის დროზე რომ მიგველო, საქმე გაცილებით წინ წავიდოდა. მაგალითად, აზერბაიჯანში ეს კანონი ელჩიბეის დროს მიიღეს და დღესაც წარმატებით მუშაობს. ჩვენს კანონპროექტში ყველაზე დიდ წინააღმდეგობას ინვეს პუნქტი იმის შესახებ, უნდა იცოდეს თუ არა ყველამ ქართული ენა და



თუ არ იცის, რა ვუყოთ მათ. არის ქვეყნები, სადაც ჩადეს ისეთი ნუსი, რომ ეს პუნქტი ამოქმედდეს 5 წლის შემდეგ. მანამდე უცხოენოვან მოსახლეობას ადგილობრივ ენას შეასწავლიან. ჩვენ თუ ამის თავი არა გვაქვს, მაშინ ეს კანონიც არ უნდა მივიღოთ.

- რატომ ჭიანჭურდება ამ კანონის მიღება?

- რამდენადაც მახსოვს, ეს საკითხი ყველა განხილვაზე ისმებოდა. სამ განხილვას კომისიაში პრეზიდენტი ხელმძღვანელობდა, ერთს - თედო ისაკაძე. ყველა ამბობდა, რომ კანონი აუცილებელია, მაგრამ დასახვენი; თუ რატომ, არავინ ამბობდა. რა ვუყოთ იმ ხალხს, ვინც არ იცის ქართული, შევძლებთ ენის შესასწავლად მათ სათანადო პირობები შევუქმნათ? ამაზე არავინ საუბრობს.

- როგორც გავიგე, იყო მოთხოვნები, რომ კანონი დახვენილიყო, რამდენად ხდებოდა ეს?

ყველა მომდევნო ვარიანტი დამუშავებული იყო. ყველა ახალ ვარიანტს ახლდა იუსტიციის მინისტრის დასკვნა; ყველა ამბობდა, რომ კანონი გამართულია, მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში იყო ტერმინოლოგიური დავა, მაგალითად, იმის თაობაზე, რა დარქმეოდა არაქართულ ენებს. იყო ვერსია, რომ მათთვის უცხო ენა ეწოდებინათ. ასეთ ფორმულირებას მოწინააღმდეგენი გამოუჩნდნენ; მათი არგუმენტებით, იმ ქვეყანაში, სადაც ნახევარი მილიონი აზერბაიჯანელი ცხოვრობს, ამ ენას უცხოს ვერ დაარქმევ. შემდეგ ნამოვიდა ახალი ვერსია, იქნებ არასახელმწიფო დავარქვათო. ამ დასახელებაში მეტი უხერხულობა აღმოჩნდა. არსებობს სახელმწიფო ენები, თუ ამ დანარჩენს არასახელმწიფოს დავარქმევთ, საერთოდ გავიყვანთ სახელმწიფოს გარეთ, ეს კი, რა თქმა უნდა, უხერხულიაო. ამ ტერმინოლოგიურ დავასაც ვერ მოველო. როგორც ჩანს, ვიღაცა ამაში ეროვნული შულღის გაღვივების მარცვალს ხედავს. პარლამენტის ენის ქვეკომიტეტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ აქვს 18 სათვისტომოს განცხადება, რომლებშიც აღნიშნულია - კანონის მიღება არ შეიძლება, რამეთუ ეს გამოიწვევს ეროვნულ შულღსო. მაგალითად ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა მოიყვანა... პირადად ამას ვერ დავეთანხმები. პროგრამის პროექტის განხილვა გაგრძელდა 8 თვეს. ამ ხნის მანძილზე ენათმეცნიერების ინსტიტუტი და უნივერსიტეტი ვერ აუდიოდა ქართული ენის პედაგოგებთან დაკავშირებით მოთხოვნებს, არაქართულებს რომ ქართული ესწავლათ.



- რაც შეეხება მე-10 და მე-12 მუხლებს, რა არგუმენტები ქონდათ ამ მუხლების მოწინააღმდეგეებსა და მომხრეებს.

- ბოლო საჯარო განხილვამდე, რომელიც 2001 წლის 12 აპრილს შედგა, მე-10 მუხლი ასე იკითხებოდა: ყველა მოქალაქე ვალდებულია იცოდეს ქართული ენა. ამ პუნქტის საწინააღმდეგოდ არავინ გამოსულა, ხოლო მე-12 მუხლი საერთოდ არ არსებობდა. ამას მე სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რადგან ყველა განხილვაში ვიღებდი მონაწილეობას. პრეზიდენტმა კანონპროექტს ხელი 19 ივნისს მოაწერა. ეს სადავო პუნქტიც სწორედ მას შემდეგ გამოჩნდა. ე.ი. 12 აპრილიდან 19 ივნისამდე. სად, რატომ და ვისი მითითებით გაჩნდა, დღემდე გაუგებარია.

- ნუთუ მართლა არ იცის არავინ, თუნდაც იმავე ღვინჯილიაშვილი?

- რა თქმა უნდა, მან იცის, მაგრამ როგორც ჩანს, გამჟღავნების დრო ჯერ არ დამდგარა. ფაქტია, რომ ეს ვარიანტი არცერთ განხილვაზე არ გასულა. ენათმეცნიერების ინსტიტუტი, მწერალთა კავშირი და უნივერსიტეტი შეენინააღმდეგენ ამ კანონის მიღებას მე-12 მუხლის გამო. გამოდის პარლამენტის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე და ამბობს, რომ სამივე ზემოთ დასახელებულ ორგანიზაციას ადრე პროტესტი არ გამოუთქვამს და ახლა ამხელა აჟიოტაჟი რატომ ატეხესო. როგორ გამოთქვამდნენ პროტესტს, როდესაც განსახილველ პროექტში ეს მუხლი საერთოდ არ ეწერა. ვიმეორებ, ეს მუხლი გაჩნდა 12 აპრილიდან 19 ივნისამდე. ცნობისათვის, ეს არის ძალიან სახიფათო პუნქტი. ვიცით, რომ ქვეყნის მთლიანობას ენის მთლიანობა განსაზღვრავს - „რა ენა ნახდეს, ერი დაეცეს“. ეს მართლაც ასეა, ამ პუნქტის ამოქმედების შემთხვევაში ჩვენ ვდგებით საშიში პრობლემის წინაშე. გვეუბნებიან, რომ სანამ შეისწავლიან ქართულ ენას, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს მივცეთ იურიდიული უფლება, ოფიციალურ ენად ის გამოაცხადონ, რომელიც მათ უნდათ. ამის შედეგი იქნება ის, რომ ჩვენ ვეღარ შევასრულებთ მე-10 მუხლის მოთხოვნას, რომელიც გვეუბნება: საქართველოს ყველა მოქალაქე ვალდებულია ოფიციალურ ორგანოებთან ურთიერთობა დაამყაროს ქართულ ენაზე. დღევანდელი საქართველოს პირობებში ეს რამხელა საშიშროებას გვიქადის, მე მგონი, ნათელია. არ გამოვრიცხავ პროვოკაციებს საქართველოს მთელ რიგ

ნებათ, მე-19 საუკუნიდან მოყოლებული რუსეთი ყოველთვის იმაზე აკეთებდა აქცენტს, რომ დასავლეთ საქართველოში სვანები, მეგრელები, გურულები და ქართველები ცხოვრობენ. საქმე იქამდე მივიდა, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისში მეგრული ანბანის შექმნასა და გაზეთის გამოშვებაზე დაიწყეს საუბარი. უკვე ჩვენს დროში აფხაზეთში მდგომარეობა როგორც კი დაიძაბა, მათ მიერ მეგრულ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ ორი გამოცემა გაკეთდა. ისმის კითხვა, რატომ? იმიტომ, რომ მეგრელებს უთხრეს, თარგმნეთ „ვეფხისტყაოსანი“ მეგრულად, რამეთუ ეს სხვა ენაა, ქართული - სხვა; მე ვედავები ქართველს, შენთან სადავო არაფერი მაქვსო. ამიტომ კანონში ამგვარი მუხლის ჩადება გაცილებით უარესი ნაღმია, ვიდრე ის, რაც თავის დროზე ავტონომიებში ჩადეს. ამდენად, დღეს ამ კანონის მიღება არ შეიძლება.

- როგორ მოხდა ეუთოს ჩართვა ამ პროექტში?

- რა თქმა უნდა, დეტალებს არ ვიცნობ, მაგრამ ვიცი ფაქტები. იყო პერიოდი, როდესაც ენის პალატის თავმჯდომარე, ლევან ლვინჯილია ამ პროექტის პარლამენტში განსახილველად გატანის მომხრე იყო, ხოლო ქალბატონი მანანა გიგინეიშვილი - წინააღმდეგი. უფრო მეტიც, პრესის საშუალებით ქ-ნი მ. გიგინეიშვილი სხვა დეპუტატებთან ერთად პრეზიდენტს სწერდა, რომ გაეტანა კანონი პარლამენტიდან, რათა არ განხილულიყო. ეს ხდება იანვარში. ცოტა მოგვიანებით, ლ. ლვინჯილია, მ. გიგინეიშვილი და გელა კვარაცხელია ეუთოში იყვნენ მინვეულები. ჩამოსვლის შემდეგ ყველა ერთ აზრზე შეთანხმდა (სწორედ ამის შემდეგ მოხდა ცვლილება, რომ არ არის სავალდებულო ყველამ იცოდეს ქართული ენა), რომ უნდა მივიღოთ ეს კანონი.

- ე.ი. ეუთოში ჩასვლის შემდეგ?

- დიახ, ეუთოში ჩასვლის შემდეგ. გაიჟღერა ინფორმაციამ, რომ, თუ მე-12 პუნქტი შევა ძალაში, სადაც გარკვევით ნერია, რომ რეგიონების ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში სამუშაო ენად დაიშვას არაქართული, ამის შემდეგ ეუთო გამოგვიყოფს გრანტებს აღნიშნული რეგიონების მოსახლეობისათვის ქართული ენის



ჯერ ვაძლევთ იმის უფლებას, თავის ენაზე ანარმოს საქმეები და მართოს ქვეყანა, მერე კი გვიყოფენ გრანტებს მათთვის ქართული ენის შესასწავლად.

ცოტა არ იყოს, ჩემთვის დამაბნეველი, დამაფიქრებელი და დამაქვებელიც კია ყოველივე ეს.

**ვახუთი „რევიონის ტრიბუნა“, № 113, 2002.**

## ნუ დავაბნევთ მსმენელს, ანუ აჩქარება წელიწადში ერთხელ?

საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის შოუპროგრამა „რას ფიქრობს ხალხი“ 25 იანვარს ქართული ენის პრობლემებზე მსჯელობას დაეთმო. გადაცემაში სხვებთან ერთად მონაწილეობდა ჟურნალის „ბურჯი ეროვნებისა“ მთავარი რედაქტორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ბიორბი ბოგოლავშილი. ბატონი გიორგი ის პიროვნებაა, ვისთვისაც ქართული ენა ყველაზე დიდი ავტორიტეტია და მის პრობლემებზე ყოველთვის მწვავედ და მოურიდებლად საუბრობს. თუმცა ხსენებულ გადაცემაში ამის საშუალება არ მიეცა.

- ბატონო გიორგი, აშკარად ჩანდა, რომ სათქმელი ვერ თქვით მაინც რის თქმას აპირებდით?

- მართალია, სტუდიაში ვიჯექი, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ გადაცემაში ვმონაწილეობდი. მხოლოდ ერთი რეპლიკის საშუალება მომეცა, ისიც - სანახევროდ, ჩანს, ასე იყო დაგეგმილი. მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარი ისაა, რომ ასეთი მტკივნეული და სადავო საკითხები პროფესიონალებმა უნდა განიხილონ. დარბაზს რომ გადავხედე, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ბევრი მათგანი ადგილების შესავსებად იყო მიწვეული ძველი, საბჭოური მეთოდით.

- თქვენი რეპლიკა ასეთი იყო: „ნუ დავაბნევთ ხალხს, სიმართლე ვუთხრათ“. მაინც რა არის ეს სიმართლე?

- ამ შეკითხვას მოკლედ და ერთმნიშვნელოვნად ვერ ვუპასუხებ. მაგალითად, დაისვა შეკითხვა: გვაქვს თუ არა ქართული სალიტერატურო ენის ნორმები? ამ კითხვას მარტივი პასუხი აქვს: რა თქმა უნდა, გვაქვს და ეს იცის ყველამ, ვისაც საშუალო სკოლის პროგრამა გაუვლია. მაგრამ არა გვაქვს მექანიზმი, რითაც ამ ნორმების დაცვას გავაკონტროლებდით. სხვაგვარად: არა გვაქვს საკონონმდებლო აქტი, რომელიც სახელმწიფო ენის მიმართ ჩვენს იურიდიულ პასუხისმგებლობას განსაზღვრავდა.

- ენის შესახებ კანონს ვულისხმობთ?



- მოდით, ასე ვთქვათ: კანონი იქნება ეს, თუ სხვა სახის სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც საქართველოს მოქალაქის პასუხისმგებლობას განსაზღვრავდა სახელმწიფო ენის მიმართ.

- კი. მაგრამ ხსენებული გადაცემა ხომ არსებითად ქართული ენის შესახებ კანონზე უფრო სწორად, კანონ-პროექტზე მსჯელობას მიეძღვნა. „მთავარი მონაწილენიც“ უდავოდ, ამ პრინციპით იყვნენ შერჩეულნი: ლევან ღვინჯილია - ენის სახელმწიფო პალატის თავმჯდომარე (ეს კანონ-პროექტი სწორედ პალატამ მოამზადა, გუჩია კვარაცხელია - ქართული ენის სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე (აქ ეს კანონ-პროექტი რამდენჯერმე განიხილეს). მანანა გიგინეიშვილი - პარლამენტის ქართული ენის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე (ქვეკომიტეტში ამჟამად დევს განსახილველად კანონ-პროექტი), გურამ შარაძე - პარლამენტარი (ვინც დაყენებით მოითხოვს კანონ-პროექტის განხილვას და მიღებას).

- დიას გადაცემა ამ მიმართულებით წარიმართა და ძირითადი კითხვაც ეს იყო: გვჭირდება თუ არა კანონი ენის შესახებ.

- ხიშართლე სადღა იშალებოდა?

- იმის მტკიცებაში, თითქოს, ჩვენში არსებული რთული ვითარების გამო ამ კანონის მიღება ნაჩქარევი იყოს.

ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების ნერილი ჩაიკითხეს. სწორედ ისინი გვიჩვენებენ, არ ავჩქარებულებიყავით... რას ნიშნავს ნაჩქარევად მიღებული კანონი? ეს კანონ-პროექტი ხუთი წლის წინათ გამოჩნდა ასპარეზზე. იუსტიციის სამინისტროში მომზადდა და საჯარო განხილვაზე - ქართული ენის სახელმწიფო კომისიის სხდომაზე - პირველად 1998 წლის 4 აპრილს იუსტიციის მინისტრმა წარმოადგინა. სხდომას ბატონი ე. შევარდნაძე თავმჯდომარეობდა. მოდით, თვალი გადავავლოთ ამ კანონ-პროექტის განხილვის ისტორიას და მერე დავასკვნათ, ვჩქარობთ, თუ საკითხს არასერიოზულად ვეკიდებით. 1998 წლის 4 აპრილს ითქვა, კომისიის წევრები ორი კვირის მანძილზე გასცნობოდნენ ამ პროექტს, ავტორებს გაეთვალისწინებინათ გამოთქმული შენიშვნები და უახლოეს ხანში კვლავ განხილულიყო კომისიის სხდომაზე...

კომისიის მომდევნო სხდომა კი... 1999 წლის 13 აპრილს გაიმართა (!). სხდომას კვლავ პრეზიდენტი თავმჯდომარეობდა. პროექტი სხდომას ენის სახელმწიფო პალატის თავმჯდომარემ წარუდგინა.

კვლავ შენიშვნები, კვლავ „უახლოესი დროისათვის“ გადადება და კვლავ ერთი წლის შემდეგ ჩატარებული სხდომა (ამჯერად სხდომას სახელმწიფო მინისტრის მოადგილე თ. ისაკაძე თავმჯდომარეობდა)... საკითხის ისევ „უახლოესი პერიოდისათვის“ გადადება და ისევ მომდევნო წელს გამართული სხდომა...

კანონ-პროექტი 2001 წლის 12 აპრილს განვიხილეთ ქართული ენის სახელმწიფო კომისიის სხდომაზე. ყველაფერი ნაცნობი სცენარით წარიმართა...

- *აპრილში კანონის განხილვა. ალბათ. ქართული ენის დღისაღმშობიძენილო ღონისძიებაა...*

- არა მგონია, ვცდებოდე: ეს იყო ღონისძიება ღონისძიებისათვის... ასე შეიძლებოდა უსასრულოდ გაგრძელებულიყო და გრძელდება კიდევც... ენის სახელმწიფო პალატამ მოახერხა ის, რომ კანონ-პროექტი პრეზიდენტმა პარლამენტს წარუდგინა და ქ-ნი მანანა გიგინეიშვილის ინიციატივით პარლამენტართა ერთმა ფგუფმა წერილით მიმართა პრეზიდენტს, უკან გაეთხოვა ეს კანონი პარლამენტადან...

- *ამის საფუძველი რა იყო?*

- მოდით, მე ჩავიკითხავ ადგილებს ქ-ნი მ. გიგინეიშვილის ინტერვიუდან (გაზეთი „ახალი ეპოქა“, № 100, 2001 წ.): „ეუთოს წარმომადგენელთა აზრით, კანონ-პროექტი ძალიან დასახვეწია“. კანონ-პროექტი პირველად იუსტიციის მინისტრმა წარადგინა; ყველა განხილვაზე დადებითი დასკვნა ახლდა იუსტიციის მინისტრის ხელმოწერით... გამოდის რომ, თუ „ძალიან დასახვეწია“, ძალიან ცუდად გვექონია საქმე იუსტიციის სამინისტროში... საერთოდ, კანონ-პროექტს გაეცნო ყველა დაინტერესებული ორგანიზაცია... თურმე, „ეუთო, გვთავაზობს ახალი ჩარჩო-კანონის შემუშავებას, საკუთარი ექსპერტების დახმარებას“... დავიჯერო, ჩვენ არ შეგვწევს ძალა, ასეთი კანონი შევქმნათ? იქვე ქ-ნი პარლამენტარი ასეთ საკითხს სვამს: „ენის პალატის კანონ-პროექტში წერია, რომ საქართველოს ყველა მოქალაქე ვალდებულია, ქართული იცოდეს. ფაქტია, თითქმის ერთმა მილიონმა ჩვენმა მოქალაქემ ენა არ იცის! მათ რას ვეუბნებით?“ შეკითხვის ასე დასმა ამ კანონ-პროექტზე საერთოდ უარის თქმაა. ეუთო რომ კანონს დაგვინერს, ის რას ეტყვის ამ მილიონ მოქალაქეს? თუ - ვერაფერს, მაშინ ის კანონიც არ ივარგებს, ამ ლოგიკით;



თუ რამეს ეტყვის – ახლა გვითხრას, გვასწავლოს...

– ბატონო გიორგი, არაქართულენოვანი მოხსენებების საკითხი რომ პრობლემურია. ესეც ხომ ფაქტია?

– კი, ბატონო, მაგრამ მსგავსი პრობლემები არ იდგა სხვა სახელმწიფოების, ვთქვათ, ბალტიისპირეთის ქვეყნების წინაშე? როგორ მოავგარეს მათ? ენის კანონი ელჩი-ბეის პრეზიდენტობისას მიიღეს აზერბაიჯანში... ეროვნულ უმცირესობათა სათვისტომოების წარმომადგენლების წერილი, რომელიც ქალბატონმა მანანა გიგინეიშვილმა ამ გადაცემაში ჩაიკითხა, გვაფრთხილებდა, ასეთი კანონის მიღება ემიგრაციას გაზრდისო... არაქართულენოვანი მოქალაქე თუ თავის ეთნიკურ სამშობლოში დაბრუნდება, ამას ემიგრაცია არ ჰქვია... თუ სხვა ქვეყანაში წავა, იმ ქვეყნის სახელმწიფო ენის ცოდნა არ დასჭირდება? რომელი ქვეყანაა ასეთი? რას ნიშნავს ეს მუქარა?

სამწუხაროდ, ამ წერილმა კანონ-პროექტის ბოლო განხილვისას კომისიაზე გამოთქმული შენიშვნები გამახსენა... დიახ, ეს წერილი შეეკვეთილია... და კიდევ: ტელეგადაცემაში ზ. ხალიდოვა თქვა, ეს კანონი ეთნოკონფლიქტების წარმოქმნას შეუწყობს ხელსო და მაგალითად ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა მოიყვანა (1989 წელს რომ დამტკიცდა) – ამ პროგრამამ წარმოშვა ოსეთსა და აფხაზეთში კონფლიქტებო. ეს აზრიც ქალბატონმა მ. გიგინეიშვილმა ბრძანა ენის კომისიის სხდომაზე... სხდომაზეც და გადაცემაშიც ლ. ღვინჯილიამ სწორად უპასუხა, მაგრამ ფაქტია, ამგვარი აზრის განვითარებას ვილაც მართავს... „ახალი ვერსიის“ მეოთხე ნომერში გია ნოდია გვარწმუნებს: „ნეგატიურ შედეგს ეს კანონი ნამდვილად გამოიწვევს, ამის სრულ გარანტიას გაძლევთ“... რას ნიშნავს „სრული გარანტია“? რისი „სრული გარანტია“ გვაქვს, ამის „სრულ გარანტიას“ რომ გვაძლევს გ. ნოდია?

და, საერთოდ, ძალზე საეჭვოდ დაემთხვა ეს გადაცემა და გ. ნოდის პუბლიკაცია... ღმერთმა ქნას, ვცდებოდე... გ. ნოდის წერილი საგანგებო მსჯელობის თემაა. საერთოდ, მომაბეზრებელი გახდა ყველაფრის მცოდნეთა და ყველაფრის ექსპერტთა შეგონებები. მით უმეტეს, როცა ანბანურ ჭეშმარიტებას ფილოსოფიად ნათლავენ და ჩვენ, მათი სიტყვებით რომ ვთქვათ, „პატრიოტულ ლოზუნგებს ამოფარებულ ანტიეროვნულ ძალებს“, ჭკუას გვასწავლიან, თითხ



გვიქნევენ და „საერთაშორისო დონეზე“ შერცხვებით გვემუქრებიან...

– ბატონო გიორგი, გ. ნოდია ხსენებულ ინტერვიუში ამბობს: „საზოგადოებრივი ადამიანის უფლებაა იყოს უნიჭო, ზარმაცი, ვაუნათლებელი, სულელი, გონებაჩლუნგი“... განა ამ უფლებას ვინმე ართმევს?

– რა თქმა უნდა, არავინ; იყოს, ვინ უშლის, ოღონდ ჩვენ დაგვანებოს თავი! ისევ გადაცემას დავუბრუნდეთ. იმ ტელეგადაცემით შეურაცხყოფილი დავრჩი: როცა ყმანვილი არნოლდ სტიფანიანი ჭკუას გვარიგებდა, დაანებეთ ქართული ენის დაფინანსებაზე ფიქრს თავი და ჯარს მოახმარეთ ის თანხაო... ანდა ზაურ ხალილოვი მენტორული ტონით რომ გვიხსნიდა, რატომაა ცუდი ენის კანონის მიღება... როცა შეეკამათნენ, განაწყენდა, სიტყვა დამამთავრებინეთო და დამამთავრებინეს... იურისტების, ენის სპეციალისტების ამდენი ხნის შრომა ერთი ხელის მოსმით ჩაგვიყარეს წყალში ბატონებმა სტიფანიანმა და ხალილოვმა!... მაგრამ, თურმე, ასეა საჭირო... ეს მარტივად დაგვეგმილი თამაში, უნიჭოდ დადგმული სკეტიჩა. სუფლიორიც ნაცნობია...

– და მაინც, რა ელის ენის კანონს? გვექნება კი ოდესმე?

– წინა პარლამენტში შეიქმნა ქართული ენის ქვეკომიტეტი. მაშინ იმედი მომეცა, რომ ქართული ენის პრობლემები მოგვარდებოდა. ამდენი წელია ეს ქვეკომიტეტი არსებობს და არანაირი საკანონმდებლო აქტი არ შეუმუშავებია. აგერ ექვსი თვეა, კანონი ენის შესახებ განსახილველად უდევს და არ განუხილავს... პირიქით, განუხილავად მისი უკან განვევა მოსთხოვეს პრეზიდენტს... მხოლოდ სხვა კანონთა რედაქტირებისა და სტილური ჩასწორებისათვის ქვეკომიტეტი არ იყო საჭირო... მოდით, ასე შევხედოთ საკითხს: ჩვენ გვაქვს ქართული ენის სახელმწიფო კომისია, რომელსაც პრეზიდენტი თავკაცობს; ჩვენ გვაქვს სახელმწიფო სამსახური – ენის სახელმწიფო პალატა; ჩვენ გვაქვს პარლამენტში ქართული ენის ქვეკომიტეტი; ჩვენ გვაქვს... ვის ვუბრძავებთ თვალს? გამოდის, რომ ეს კეთდება იმისათვის, ვილაცას ვუთხრათ: აი, როგორ ვზრუნავთ ქართულ ენაზე! სინამდვილეში რა ხდება? კომისიისა და ქვეკომიტეტის მუშაობის შედეგებზე ზემოთ მოგახსენეთ; საკანონმდებლო ბაზის უქონლობა პალატის მუშაობას, ფაქტობრივად, აჩერებს...

ასეთ ფონზე რამდენიმე დეპუტატის მცდელობა პარლამენტში



კანონის განხილვის თაობაზე უიმედო ჩანს... სიტყვა პრეზიდენტზეა; ვნახოთ, რას იტყვის იგი.

ერთი ფაქტიც მახსენდება: (ამას ხშირად ვიმეორებ...) ერთ-ერთი წინა მოწვევის პარლამენტში ბატონმა თენგიზ ბუაჩიძემ დეპუტატებს სწორი ქართულით საუბრისაკენ მოუწოდა და დარბაზიდან რეპლიკა ესროლეს: „რა დროს ქართული ენააო“...“ ეს ხმამაღლა ითქვა, მთელი საქართველოს გასაგონად და არავის გაუკიცხავს ის დეპუტატი... იგივე სული ხომ არ ტრიალებს დღევანდელ პარლამენტში?... ბატონი თენგიზი კი, საუბედუროდ, აღარ არის!...

- *სამაგიეროდ პარლამენტში თუ პარლამენტს გარეთ უხვად არიან ისეთები, ქართულ ენას რომ უპირსპირდებიან...*

- გახსოვთ, ალბათ, თქვენს გაზეთში გამოვეხმაურეთ ამ ფაქტს: დასავლეთზე ორიენტირებულმა (თუ დასავლეთიდან მართულმა) პროვინციალიზმში რომ დასდო ბრალი იმათ, ვინც ქართული ენის ინტერესებს იცავს; ასე თქვა: ქართულს ის იცავს, ვინც უცხო ენა არ იცისო... ვერაგული ნათქვამია: ე.ი. უვიცი ხარ, თუ ქართულს იცავო... აღარ გათავდა ამ ყველაფრის მცოდნეთა თვითნებობა და თავხედობა!...

მოდით, კიდევ ერთხელ გადავაველოთ თვალი დასავლეთისაგან მართულ ქართველთა „საგმირო“ საქმეებს:

არ არის საჭირო ეროვნებაო და ამოიღეს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებიდან!

სავალდებულო არ არის ქართული ენის ცოდნაო და ებრძვიან კანონს, რომელიც იურიდიულად პასუხისმგებელს გახდიდა საქართველოს მოქალაქეს ქართული ენის წინაშე;

ილია და სხვანი „ბანძები“ არიანო, გალაკტიონი სოფლელიაო, რალა დროს ესენიაო...

გააფთრებით ებრძვიან ქართულ ცნობიერებას, მორალს, ზნეობას იაფფასიანი და უზნეო კინოტელეპროდუქციით...

შეურაცხყოფენ ჩვენს წარსულს, წმინდანებს...

იბრძვიან მართლმადიდებლობის წინააღმდეგ შემართულ სექტანტთა უფლებების დასაცავად...

და სხვა... და სხვა...

- *ბატონო გიორგი, არ უნდა ხდებოდეს ყოველივე ეს უანგაროდ. „სიყრმესა შინა უმეცრებით“...*

- სამნუხაროდ, ასეა. ამ ეკონომიკურად დაქცეულ ქვეყანაში იოლად იყიდება სული... მერე უცხოური ფონდები, გრანტები, ინსტიტუტები საკუთარ მშობელს აუგად მოგახსენიებინებს, ენას გაგანირვინებს და სულგაყიდულები ჰყიდიან ისტორიას, კულტურას, ენას...

- ბატონო გიორგი, ყველა მათგანი ერთად რომ ნახოთ შეკრებოლი და ერთი შეკითხვის უფლება გქონდეთ. რას ჰკითხავდით?

- ასე რამ შეგაძულათ საქართველო, ანდა ამდენს რას გიხდიან ამ სიძულვილში?

- ამდენი საუბრის შემდეგ, იქნებ, მაინც ეთქვათ, რა იყო შემოსვენებული გადაცემის მიზანი და რა შედეგი მივიღეთ?

- მიზანი ჩემთვის მთლად ნათელი არ არის. შედეგი კი, ვფიქრობ, არცთუ სასიკეთოა: არ ბრუნავს საჩვენოდ ის ნისქვილი, რომელზეც ვასხით წყალი... სხვისას ფქვავს, მტრისას!... ქართულის მტრისას!... ამიტომაც შოუ-პროგრამათა ავტორებს, ალბათ, მეტი ფიქრი მართებთ, გამუდმებით სხვის ნისქვილზე წყლის დასხმა რომ არ გამოვიდეს...

ესაუბრა იოსებ ქუმბურიძე

გაზეთი „თბილისი“. №14, 2002.

## ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა...

ქართული ენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის სხდომა მაისში უნდა გამართულიყო, მაგრამ მიზეზთა გამო გადაიდო. ამით, გარკვეულწილად, დაირღვა დამკვიდრებული ტრადიცია, რომლის მიხედვითაც წელიწადში ერთხელ, გაზაფხულზე იმართება ხოლმე სხდომა (წინა სხდომა ჩატარდა 2001 წლის 12 აპრილს).

სხდომა ასეთი წესით წარიმართა: ჯერ მოვისმინეთ ყველა მოხსენება და შემდეგ გაიმართა მსჯელობა, რამაც, ფაქტობრივად, აგვაცდინა ძირითად პრობლემებს, უმჯობესი იყო, ცალკეული საკითხები განხილულიყო თანმიმდევრულად...

\*\*\*

დღის წესრიგის მიხედვით, მესამე საკითხად სალიტერატურო ენის ნორმათა სამი პროექტი იყო წარმოდგენილი (1. *ვდგევარ* თუ *ვდგაევარ?*; *ვგევარ* თუ *ვგაევარ?*; *ყვევარ* თუ *ყვაევარ?*; 2. *მღერიხარ* თუ *მღერი?*; *ტყუიხარ* თუ *ტყუი?*; 3. *ყოველი ჩვენთაგანი* (*თქვენთაგანი*) თუ *ყოველი ჩვენგანი* (*თქვენგანი*);)? პროექტები ენათმეცნიერების ინსტიტუტში მომზადდა და მათ დამტკიცებას წესით წინააღმდეგობა არ უნდა შეხვედროდა, მაგრამ კომისიის ცალკეული წევრისთვის ზოგი რამ სადავო აღმოჩნდა. მართებულად აღინიშნა, რომ ასეთი სპეციფიკური ენობრივი საკითხების შესახებ კომისიის სხდომაზე კამათი არ უნდა გაიმართოს: ენათმეცნიერებმა სადავო საკითხები პროექტის მომზადებისას უნდა მოაგვარონ. ამიტომ შემდგომში სასურველი იქნება, სალიტერატურო ენის ნორმათა პროექტების მომზადებაში სპეციალისტთა ფართო წრე მონაწილეობდეს; ყოველ შემთხვევაში, სახელმწიფო კომისიის ენათმეცნიერი წევრები მაინც.

სხდომაზე იმ აზრმაც გაიჟღერა, არის თუ არა საერთოდ საჭირო ნორმათა პროექტების სახელმწიფო კომისიაზე განხილვა. ეს აზრი მართებულად უარყვეს, სალიტერატურო ენის ნორმებს რომ კანონ-

დამტკიცებული. ფაქტია, ამგვარი ნორმის დაცვის მეტი გარანტია იარსებებს... ბატონი პრეზიდენტის მოსაზრება, რომ საჭიროა, გადაისინჯოს კომისიის ფუნქციები, ზუსტად განისაზღვროს მისი დანიშნულება, აქტუალურია, მაგრამ არა იმ მიმართულებით, რომ მას მოეხსნას სალიტერატურო ენის ნორმათა დამტკიცების უფლებამოსილება.

\*\*\*

დოცენტმა შუქია აფრიდონიძემ სხდომას გააცნო „თანამედროვე ქართული დამოუკიდებელი პრესის ზოგადი ენობრივი მიმოხილვა“. შესაძლებელია, ვინმესთვის მოსაწყენიც კი იყო კონკრეტული ენობრივი დარღვევების ვრცელი ნუსხის მოსმენა, მაგრამ მოხსენება იყო ნათელი დასტური იმისა, რომ მდგომარეობა საგანგაშოა.

ნორმალურ ვითარებაში პრესა (და, საერთოდ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები) ხელს უნდა უწყობდეს სწორი ქართულის გავრცელება-დანერგვას. ხდება კი პირიქით. სრული განუკითხაობაა. ცხადია, ამგვარ შემთხვევაში უნდა არსებობდეს საკითხის მოგვარების მექანიზმი. პრეზიდენტის წინადადებით: კანონში „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა შესახებ“ უნდა შევიდეს პუნქტები ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დაცვის ღონისძიებათა შესახებ.

ვნახოთ... არადა, საქმე დღითი-დღე უარესდება.

\*\*\*

სხდომაზე თავდაპირველად ასეთი საკითხი მოვისმინეთ: „ქართული ენის სწავლების მდგომარეობის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში“. აღინიშნა, რომ ქართული ენის სწავლების მდგომარეობა (საგანმანათლებლო სისტემის ნებისმიერ ეტაპზე), თუნდაც უახლოეს წარსულთან შედარებით, მნიშვნელოვნად არის გაუარესებული: ეს გზა ქართული ენის დაღუპვის გზაა. სხდომაზე ითქვა, რომ ამ მოხსენების საფუძველზე



ბა. რა სახის იქნება ის, ვის რას დაავალდებულებს, როგორ აღუდგე-  
 ბა წინ კატასტროფული სიჩქარით მიმავალ უკუსვლის პროცესს, –  
 ეს ნათლად არ გამოკვეთილა. ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ  
 ენის სახელმწიფო პალატის თავმჯდომარემ, ბატონმა ლევან ლვინ-  
 ჯილიამ და პარლამენტის ქართული ენის ქვეკომიტეტის თავმჯდო-  
 მარემ, ქალბატონმა მანანა გიგინეიშვილმა, მსჯელობა განგებ გადა-  
 იტანეს სხვა თემაზე – სახელმწიფო ენის შესახებ კანონპროექტზე...  
 იმის თქმა კი არ გვინდა, რომ ენის კანონი ნაკლებად პრობლემურია;  
 უბრალოდ, დღის წესრიგში სხვა პრობლემები იდგა...

\*\*\*

ბატონმა ლ. ლვინჯილიამ ამ კანონპროექტთან დაკავშირებული  
 კერძო თუ საზოგადო საკითხების თავისებური განხილვა მოახსო-  
 თონებდა. ანგარიშსწორებასაც ჰგავდა მისი გამოსვლა... უაღ-  
 რესად ეროვნული, სამართლიანი და აუცილებელი იყო მწერალ თა-  
 მაზ ჭილაძის გამოსვლა. ბატონმა თამაზმა ერთხელ კიდევ მიანიშნა,  
 თუ რა გამოუსწორებელი პრობლემების წინაშე დაგვაყენებს კანონ-  
 პროექტის ამ სახით მიღება.

ქალბატონმა მ. გიგინეიშვილმა კანონპროექტის მონინაალმდე-  
 გეთა პოზიციის გაბათილება და გამწვავებული პრობლემების გაუბ-  
 რალოება სცადა. გახმაურებულ მე-12 მუხლთან დაკავშირებით აღი-  
 ნიშნა, რომ საქმე ეხება სოფლის საკრებულოებში საქმის წარმოების  
 ენას. არადა, პროექტში სოფელი არ არის ნასესხები. გარკვევით წე-  
 რია, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში საქმის წარ-  
 მოების ენის საკითხს საკრებულო წყვეტსო: რაც, ცხადია, მხოლოდ  
 სოფელს არ გულისხმობს.

კარგა ხნის წინათ ოფიციალურად გამოცხადდა, ენის შესახებ  
 კანონპროექტის განხილვის გადადება თბილისის სახელმწიფო უნი-  
 ვერსიტეტიდან მიღებული დასკვნის საფუძველზე მოხდაო (დასკვნა  
 გამოქვეყნდა ჟურნალში „ბურჯი ეროვნებისა“ № 7-8, 2002 წ.). ქალ-  
 ბატონმა მ. გიგინეიშვილმა ამ დასკვნის გაუბრალოებაც სცადა; რამ-  
 დენჯერმე გაიმეორა, რომ კანონპროექტი განიხილეს და იქ ძირითა-

დად არაარსებით საკითხებზე იყო მსჯელობაო (მ. გიგინეიშვილი, მოლალატედ გამოაცხადესო...), ჩანს, ქალბატონ მ. გიგინეიშვილს არ ჰქონდა სწორი ინფორმაცია. სამწუხაროდ, არ მოგვეცა საშუალება, კომისიის წევრებისათვის განგვემარტა, სინამდვილეში რა მოხდა, რა დასკვნა წარადგინა უნივერსიტეტმა პარლამენტში.

სინამდვილეში კი ასე იყო: თბილისის უნივერსიტეტის დიდ სამეცნიერო საბჭოზე პროფ. მ. ნათაძემ დასვა საკითხი, რომ უნივერსიტეტს მხარი დაეჭირა მწერალთა საერთო-ეროვნული კავშირის პოზიციისათვის ენის შესახებ კანონპროექტის თაობაზე. მწერალთა საერთო-ეროვნული კავშირის მიმართვა პარლამენტისადმი „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა, უნივერსიტეტის რექტორის, აკადემიკოს რ. მეტრეველის აზრით, უმჯობესი იქნებოდა, უნივერსიტეტს გამოეთხოვა კანონპროექტი და მოეწყო მისი საჯარო განხილვა. დასკვნაც ამის საფუძველზე გამოეტანა. პარლამენტიდან მიღებული კანონპროექტის განხილვის ორგანიზება ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანს, პროფესორ ა. გომართელს დაევალა. 2002 წლის 29 ივნისს უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში გაიმართა კანონპროექტის განხილვა. განმარტებით კანონპროექტის თაობაზე გამოვიდა ენის პალატის თავმჯდომარე ლ. ღვინჯილია. განხილვაში მონაწილეობდნენ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, გამოთქმული შენიშვნებისა და თვალსაზრისების შეჯერება და დასკვნის ჩამოყალიბება დაევალა პროფესორებს გ. ნიბახაშვილს, ზ. ჭუმბურიძეს, ა. გომართელს, ა. არაბულს, გ. გოგოლაშვილს. ეს დასკვნა გადაეგზავნა პარლამენტს; თანმხლებ წერილს ხელს აწერდა უნივერსიტეტის რექტორი, ბატონი რ. მეტრეველი. ასე რომ, ეს არის საუნივერსიტეტო განხილვის შედეგად მიღებული დასკვნა. კერძო პირებზე (მით უმეტეს, ქალბატონ მ. გიგინეიშვილზე, რომელიც განხილვას არ ესწრებოდა) არავის უსაუბრია...

ჩანს, ბატონი პრეზიდენტი არ იზიარებს კანონპროექტის მე-10 მუხლის ბოლო რედაქციას. მან გარკვევით აღნიშნა: მე ახლაც იმ აზრისა ვარ, რომ სახელმწიფო ენა ქვეყნის ყველა მოქალაქემ უნდა იცოდეს; ეს საჭიროა იმისათვის, რომ საქართველოს ყველა მოქალაქე, ეროვნების მიუხედავად, საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი



იყოს, და კიდევ: ბატონმა პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ კანონის მიღების პროცესი ხელოვნურად არ უნდა დაჩქარდეს. კვლავ დავუბრუნდეთ ამ საკითხს, კარგად ვიფიქროთ და მივიღოთ სრულფასოვანი კანონი, რომელიც უპასუხებს ჩვენი ქვეყნის ინტერესებსაც და ევროპულ სტანდარტებსაც.

დიახ, ისეთი კანონი გვინდა, ჩვენი ქვეყნის ინტერესებს რომ უპასუხებს; თუ ასე არ იქნება, მაშინ ამგვარი კანონის საჭიროებაც არ იარსებებს – ეს აზრიც გამოითქვა ქართული ენის სახელმწიფო კომისიის სხდომაზე...

**გაზეთი „თბილისი“, 22 ნოემბერი, 2002.**



საკმაოდ გულდასმით ვადევნებდი თვალს ინგლისურად მოლაპარაკეთა კავშირის (იმკ) კვირეულს საქართველოში. რამდენიმე ღონისძიებას დავესწარი. ქუთაისის სტუმრებს ვუმეგზურე კიდეც, ასე რომ, მეც ვახლდით მართლაცდა შთამბეჭდავი კვირეულის მონაწილე. ამ ფაქტმა ორიოდე სიტყვის თქმის სურვილიც გამიჩინა, საჭიროება მაგრძნობინა:

ჩვენი ჟურნალის 1999 წლის III-IV ნომერში მკითხველს პროფ. ლილი გოქსაძესთან საუბარი შევთავაზეთ. ასეთი სათაური ჰქონდა დიალოგს: „ენა, ერი და ხელისუფლება“. გვაინტერესებდა ინგლისური ენისადმი ინგლისელი ხალხისა და ხელისუფლების დამოკიდებულება. ასეთი დასკვნა გამოიკვეთა: „ბრიტანეთში მშობლიური ენა გააზრებულია ინგლისელი კაცის ეროვნული ღირსების შემადგენელ აუცილებელ, ერთ-ერთ უპირველეს, კომპონენტად. მისი ბრიტანელობა უპირველესად მშობლიური ენის ღირსეული ცოდნით გამოვლინდება. ამაზე ფიქრობს და ზრუნავს ყველა – ოჯახიდან დაწყებული, პარლამენტით დამთავრებული“. იმკ-ის კვირეულმა ამ აზრის ჭეშმარიტეში კიდეც უფრო დამარწმუნა...

ჩვენს მკითხველს ენობრივი პოლიტიკის ფრანგულ მაგალითზე ვესაუბრეთ („ბ.ე.“ № I-II, 1998); იმის თაობაზეც გამოვაქვეყნეთ მასალა, თუ როგორ იბრძვიან ესპანელები მშობლიური ენის სინმინდისათვის („ბ.ე.“ № III-IV, 1999) და როგორია ენობრივი პოლიტიკა ლატვიაში („ბ.ე.“ № 1-2, 1998)... საუცხოო მაგალითებია...

არა, არა მშურს ამ ხალხების დამოკიდებულება თავიანთი მშობლიური ენისადმი. შური მაინც მსუხარებაა სხვისა სიკეთესა ზედა. არა მშურს, მაგრამ ვნატრობ იმ დროს, როცა საქართველოშიც ასეთივე იქნება დამოკიდებულება სახელმწიფო ენისადმი ერისა, ხელისუფლებისა, თითოეული ჩვენგანისა!...

არადა რამდენ რამეში ვბაძავთ უცხოეთს, რაც არაა მიბაძვის ღირსი...

აი, რაში მივბაძოთ! აი, რა უნდა გადმოვიღოთ... ჩვენს ენას, როგორც მცირერიცხოვანი ერის ენას, ხომ მეტი ზრუნვა, მოვლა-პატრონობა სჭირდება, რომ „არ ნახდეს“, ერი არ დაეცეს!...

*ჟურნალი „ბურჯი ეროვნებისა“, №8-9(33), 2000 წ.*

ქართული ტელეგადაცემები...

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ჩვენი კლასიკოსები თეატრის ენას: იმ პერიოდისათვის თეატრის ენის გავლენა საზოგადოებაზე განუსაზღვრელად დიდი იყო. თეატრს ეს ფუნქცია დღესაც არ დაუკარგავს, მაგრამ ტელევიზიამ პირველობა წაართვა. ამიტომ, თუ რა მნიშვნელობა აქვს, როგორი ქართულით ესაუბრებიან ტელეეკრანებიდან საქართველოს, ვფიქრობთ, ნათელია.

სამწუხაროდ, ვერ მოვინონებთ თავს ამ მხრივ. დღეს ყურადღებას მხოლოდ ტელეგადაცემათა სათაურებზე შევაჩერებთ.

• კომენტარის გარეშე:

ტონიკი: ბისი; C0-მედი; ნონსტოპი; კლიპ-მიქსი; პროგრამ „F“; ბრაუნი (I სტერეო)... ჯაზ-პარნასი (კავკასია)... და სახელმწიფო ტელევიზიიდან:

კომუნიკატორი:	ოქტავონი:
რამპა:	ულტრა:
მაესტრო:	მეტრონომი:
კო-დაიჯესტი:	ბელკანტო:
მელომანია:	ზუმი:
ოვერტაიმი:	მუნდიალი:
ჯეოპოპი:	ტოტო-ლოტო:
ფაილი:	ფორტუნა:
ტელე-სინე-ვიდეო:	პიტ-პარადი:
არტ-ექსპრესი:	ანტრე:
ტაიმ-აუტი:	სუპერ-მატჩი...

ჩვენ მხოლოდ ერთი კვირის (20.XI-26.XI) ტელეპროგრამას გადავავლეთ თვალი. ნუ დანყდებათ გული იმ გადაცემათა ავტორებს, ვინც ამ კვირის პროგრამაში არ მოხვდა, ანდა შემთხვევით გამოგვრჩა...

ფურნალი „ბურჯი ეროვნებისა“, №10-11, 2000.



### რამდენიმე შეკითხვა ტელევიზიის მუშაკებს

ჩვენი ჟურნალის გასული წლის პირველ ნომერში შეკითხვით მიმდართეთ ტელევიზიის მუშაკებს. ვიმეორებთ შეკითხვას:

„როგორ ნავიკითხოთ და გავშიფროთ „სატელევიზიო ბი-ლინგვა“ *შო TV*, რომელიც სხვადასხვა ვარიაციებით (თარაზულად, შვეულად) ინერება ეკრანზე? თუ ეს არის სიტყვა „*მოტივი*“, როგორც პროგრამის ნამყვანი ახმოვანებს, ასევე რომ დაინეროს, რა დაშავდება? ისე ისიც უნდა იცოდეს ამისმა ავტორმა, რომ *TV* იკითხება, როგორც „*თი-ვი*“ და რა „*ტი-ვი*“.

\*\*\*

მშვენიერ საბავშვო გადაცემას „*აბდაუბდა*“ ჰქვია. ამ გადაცემის სათაური ეკრანზე ასე ინერება: *აბ&უბ&*. ლოგოგრამა *&* ნიშნავს „*და*“ კავშირს და იკითხება როგორც *and* (*ენდ*). ჩვენი სატელევიზიო „*ბი-ლინგვა*“ როგორ უნდა ნავიკითხოთ: *აბ-ენდ-უბ-ენდ?* ვინც ინგლისური არ იცის -*აბ-უბ?* როგორ მოგწონთ?..

\*\*\*

საქართველოს ტელევიზიით ყოველდღე გადაიცემა გაზეთ „*ახალი ტაღლის*“ რეკლამა. დიქტორი ამბობს, რომ გაზეთი *ყაიდება* ამა და ამ დღიდანო; ეკრანზე კი წერია: *გაყიდებააო*. რატომ არ ვწერთ ისე, როგორც ამბობს დიქტორი? ძნელია ამ შეცდომის გასწორება?

*ჟურნალი „ბურჯი ეროვნებისა“, №1-2, 1999.*

## ბატონი ღამნაშავე!

მიმართვის ფორმა „ბატონი“ არცთუ დიდი ხნის წინათ დაგმობილი იყო. საზოგადოების ერთ, გარკვეულ ნაწილშიღა ცოცხლობდა. ჩვეულებრივ მას „ამხანაგო“ თუ „პატივცემულო“ ცვლიდა; ზოგიერთ ნრეში – მამის სახელით მიმართვაც...

უახლოეს წარსულში არაერთი დისკუსია გაიმართა მიმართვის ფორმათა შესახებ ქართულში. „ბატონოში“ კლასობრივ შინაარსს ხედავდნენ და იყო შესაბამისი ბრალდებები. საპირისპიროდ იყო მტკიცება, კლასობრივი შინაარსიდან დაცლილი სიტყვააო „ბატონო“...

საბედნიეროდ, დღეს ეს სიტყვა აღარ ეუცხოებათ. ყოველთვის, ადრეც და დღესაც, „ბატონობით“ მიმართვის დროს გამოვლინდება როგორც მთქმელის დამსახვების კულტურა. ისე პატივისცემა ადრესატისადმი.

ეს, რაც ვთქვი, ანბანური ჭეშმარიტებაა. ალბათ, ამის გახსენებაც არ იქნებოდა საჭირო, რომ არა ერთი ტენდენცია:

მოხდა მიმართვის ფორმის „ბატონო“ ცალმხრივად გაგება – გაიაზრება როგორც მხოლოდ მთქმელის, მიმმართველის კულტურის გამოვლინება და გამოიყენება იმათი მისამართითაც, ვის მიმართაც პატივისცემის გამოვლენა არ ხდება, არ იმსახურებენ ამას.

ამასწინათ სამართალდამცავი ორგანოს ერთ-ერთი თანამშრომელი ცნობილი ტერორისტული აქტის თაობაზე საუბრობდა. დანაშაულში ეჭვმიტანილი და უკვე პატიმრობაში მყოფი პირები „ბატონობით“ მოიხსენიებოდა...

ახლახან (და ადრეც) აფხაზ სეპარატისტებზე საუბრობდა მაღალი თანამდებობის პირი და არძინბას, ქართველი ხალხის დაუძინებელ მტერს, „ბატონობით“ მიმართავდა...

დამეთანხმებით, ამგვარი შემთხვევები დედაენისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებაა – გაუფასურება სიტყვის მნიშვნელობისა, უპატივცემულობა პატივსაცემი სიტყვისა. ვიმეორებთ: მიმართვის ფორმა „ბატონო“ მიაჩნებებს მთქმელის კულტურაზეც და ადრესატისადმი პატივისცემაზეც.

ღამნაშავე, არაპატივისცემი კაცი „ბატონობით“ არ უნდა მოვიხსენიოთ.

გაზეთი „ბურჯი ეროვნებისა“, ივლისი, 1995 წელი.

## ბედნიერ ახალ წელს ბისურვიბთ

მიიწურა 1995 წელი; წელი ჩვენი გაზეთის დაბადებისა...

უკვე მეხუთედ ვხვდებით ერთმანეთს; დიახ, ნაცნობები გვეთქმის. ნაცნობობის ხუთი თვე და გაზეთის ხუთი ნომერი, ალბათ, უფრო გულახდილი საუბრის უფლებასაც გვაძლევს. გეთანხმებით, ჩვენო კეთილმოსურნენო, ზოგი რამ ვერ ვთქვით ისე, იმ ფორმით, იმგვარად, ამ ჩვენს საერთო საფიცარს, ქართულ ენას, რომ ეკადრება; უნდა მოგვიტევეს დედაენამაც და მკითხველმაც, უნდა გვეპატიოს ახალბედობის გამო... ის კი, ჩვენ მცდელობა არ დაგვიკლია, პირნათლად წარვმდგარიყავით თქვენ წინაშე...

ჩვენი გაცნობისას (პირველ ნომერში) ვწერდით: „ველოდებით შემოტევას განაწყენებული ადრესატისაგან“. იყო ასეთი შემოტევებიც. ჩვენ მიერ დაწუნებული ესა თუ ის ფორმა რომელიმე თანამდებობის პირის ნათქვამად იცნეს და ცდილობდნენ, ჩვენი პოზიციისათვის პოლიტიკურად მცდარი ეწოდებინათ... ადრეც გვითქვამს და ვიმეორებთ: ჩვენ არა ვართ პოლიტიკოსები; პოლიტიკა იმდენად გვაინტერესებს, რამდენადაც იგი ენასთანაა კავშირში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენ ენობრივი პოლიტიკა გვაინტერესებს და შევეცდებით, ვუერთგულოთ ამ ჩვენს პოზიციებს. ამავე დროს, ვფიქრობთ, დედაენის მიმართ ერთგვარად ვართ პასუხისმგებელნიც და ვალდებულნიც დიდი თუ პატარა, ერი თუ ბერი... ისე კი, საინფორმაციო საშუალებათა მიმართ ვთქვით ერთხელ და გავიმეორებთ: რაც უფრო მაღლა ვდგავართ საზოგადოებრივ კიბეზე, მით უფრო შორს წვდება ჩვენი ხმა, მით მეტი გვისმენს და მით უფრო დიდია ჩვენი სიტყვის გავლენის ძალა. შესაბამისად, მით უფრო მეტი უნდა იყოს თითოეული ჩვენგანის პასუხისმგებლობა.

ასე გვესმის ჩვენ ეს საკითხი და ამიტომაც კვლავინდებურად ვუქომაგებთ ქართულ ენას, კვლავ ვიბრძობებთ მისი ინტერესების დასაცავად. და გთხოვთ, ნუ ვეცდებით ამ წმინდა მიზნის გაუფასურებას, მრუდ სარკეში მის დანახვას.

უსიამოვნო რეაქცია იმანაც გამოიწვია, რომ რამდენიმე უწყებინა თუ ორგანიზაციის (გამომცემლობა „განათლება“, დედაქალაქის



მერია, ტელე-რადიო დეპარტამენტი, მეცნიერებათა აკადემია) ხელმძღვანელს შეკითხვით მივმართეთ. ისევ პირადული, კერძო, სუბიექტური მიზანი დაინახეს ამ მიმართვაში... არ გახლავთ ასე!.. შეკითხვის მიზანი ერთადერთია: ვფიქრობთ, ქართული ენის კონსტიტუციური უფლება ირღვევა, ან ღირსება ილახება იმ დაწესებულებაში, უწყებაში... და გვსურდა, ამისთვის მიექცია ყურადღება ადრესატს. თუ ჩვენ ვცდებით და არასწორად შევარჩიეთ ადრესატი (ღმერთმა ქნას, ვცდებოდეთ – ყველაფერი რიგზე იყოს ამ მხრივ იქ! ჩვენ საჯაროდ მოვიხდით ბოდიშს და პატიებას ვთხოვთ ადრესატსა და ღმერთს შეცოდებისათვის...), უნდა გვითხრან და მკითხველამდეც მივიტანთ ამ ამბავს. მაგრამ, ვაი რომ, საქმე სწორედ ისეა, როგორც ჩვენ ვხედავთ და ეს გვიკლავს გულს. კაცმა რომ თქვას, პასუხსაც არ ვითხოვთ. საქმე მოგვარდეს და ეს იქნება საუკეთესო პასუხიც... ვფიქრობთ, საქმის მოგვარება სჯობს პრესტიჟისათვის თავის მართლებას! თავი იმით უნდა ვინუგეშოთ, რომ დიდი წინაპრისა არ იყოს, „ჩვენ ყველანი ქართული ენის ხმარებაში ცოდვილნი ვართ და ჩვეულება ურთიერთის ცოდვების ჩვენებისა არ იქნება მომატებული. მაშ, როგორ უნდა გავსწორდეთ, თუ ჩვენი სიმრუდე არ გვეცოდინება? ნეტავი ორიოდე კაცი იყოს საქართველოში, რომ ჩვენი ბოროტება ერთიანად ასწეროს და დაგვანახოს... აბა, ის იქნება ნამდვილი საქებარი მამულისმოყვარე და არა ის, მეტისმეტად დამტყავებული სიყვარულისა გამო, ანგელოზივით ასახელებს საქართველოსა. ბოროტების აღიარება ნახევარი გასწორებაა. ჩვენი მხრით ამას კი ვიტყვით, რომ ჩვენი ქართული ენა ისე გვიყვარს, რომ ჯერ ვეცდებით, რომ მის წინააღმდეგ არ მოვიქცეთ და, თუ ღმერთი გაგვიწყნარა და უხერხოდ მოგვივა რამე, მის შენიშვნას სიხარულით და მადლობით მივიღებთ“.

*ბედნიერ ახალ წელს გისურვებთ. ძვირფასო მკითხველო.*

*ეურნალი „ბურჯი ეროვნებისა“  
№5, 1998 წ.*



## წიქრები დედანაზე

(წერილი პირველი)

ამას წინათ განათლების დარგის ერთ-ერთი მუშაკი თავმონონებით ამცნობდა ტელემაყურებლებს, თბილისში 70-მდე არაქართულენოვანი დანყებითი სასწავლებელიაო...

ჩემი მეგობარი ასეთი ფაქტის მოწმე გახდა: ხანშიშესული მანდილოსანი მეგობარ ქალბატონს სიამაყით უყვებოდა, რომ მისი ბატარა შვილიშვილი უკვე ფრანგულად აზროვნებს; გუშინ მითხრა, ჩემი მამიკო კარგად თამაშობს როიალზეო...

ჰქონდა კი საფუძველი თავმონონებისა განათლების იმ მუშაკს, ანდა სიამაყისა „ფრანგულად მოაზროვნე“ შვილიშვილის ბებიას?! უნდა გვახარებდეს ასეთი ფაქტები თუ არა? ვფიქრობთ, ეს რიტორიკული კითხვა... პასუხის გაცემას მაინც ვეცდებით...

\* \* \*

მე არ ვიცნობ სასწავლო პროგრამებს თბილისში არსებული სულიმიან დემირელის სახელობის კოლეჯისას, მაგრამ თითქმის ყოველდღე ვისმენდით ტელევიზიით რეკლამას, რომ არაჰუმანიტარული საგნების სწავლება ამ კოლეჯში ინგლისურ ენაზე იქნებაო. რამდენადაც ჩვენთვისაა ცნობილი, კოლეჯის მოსწავლეებიც და მასწავლებლებიც ქართველები არიან. რა გამოვიდა: ქართველმა, რომელმაც უკეთესად იცის ქართული ვიდრე ინგლისური, მათემატიკა, ფიზიკა და სხვა საგნები, ინგლისურად უნდა ისწავლოს... ქართველმა, რომელმაც უკეთესად იცის ქართული, ვიდრე ინგლისური, მათემატიკა, ფიზიკა და სხვა საგნები, ქართველ ბავშვებს ინგლისურად უნდა ასწავლოს... რა არის მიზანი ამგვარი სწავლებისა, ფიზიკა-მათემატიკის შესწავლა? თუ ამ საგანთა სწავლება გვსურს, ეს ქართულად უკეთ მოხერხდება; თუ ინგლისური ენის სწავლება გვსურს, ინგლისური ვასწავლოთ...

ყოველივე ზემოთქმული ერთ სავალალო ფაქტზეა დაფუძნებული: იგნორირება ხდება ქართული ენისა – საქართველოს სახელმწიფო ენისა!... ეს გზა საით მიდის?... რას გვიქადის?... ტაძრისკენ რომ არ მიდის, ფაქტია...

\* \* \*

ამ ბოლო ხანებში ძალიან გახმაურდა ე. წ. თურქული უნივერსიტეტის საკითხი. ამ იდეის ძალზე მცირერიცხოვან, მაგრამ თავგამოდებულ დამცველთა ერთი არგუმენტი ისიცაა, რომ აღნიშნული სასწავლებელი ინგლისურენოვანი იქნებაო. ერთი ნუთით გვერდზე გადავდოთ „თურქულ უნივერსიტეტთან“ დაკავშირებული პოლიტიკური, რელიგიური, დემოგრაფიული თუ ეკოლოგიური საკითხები და ამ კუთხით დავინახოთ პრობლემა: აქვს თუ არა მნიშვნელობა იმას, რა ენაზე წარიმართება სწავლება „თურქულ უნივერსიტეტში“, თუ ის ქართულენოვანი არ იქნება. არაქართულენოვანი უმაღლესი სასწავლებელი არის კი სიკეთის მომტანი საქართველოსათვის? ვისთვის ან რისთვის კეთდება ის? იქნებ ცოტა უფრო ღრმად ჩავუფიქრდეთ, რას გულისხმობს ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, პროფესორი სერგო ჯორბენაძე, როცა ბრძანებს: „მე იმდენად არ მაშინებს იჯარით მიწის გაცემა, რამდენადაც თვით ამ უნივერსიტეტის გახსნის ფაქტი... როცა ივანე ჯავახიშვილმა ქართული უნივერსიტეტი დააარსა, მაშინვე „აღმოაცენეს“ რუსული უნივერსიტეტი, სომხური ფილოლოგიის ფაკულტეტი... ნუ შევიქმნით პრობლემებს“. ვითომ ბატონი სერგო ვერ ჩანვდა სიღრმეს იმ სიკეთისას, რასაც „თურქული უნივერსიტეტი“ ჰპირდება საქართველოს? ვერ დაინახა ის პერსპექტივა, რაც ამ იდეის ავტორ-მხარდამჭერებმა დაინახეს? მეეჭვება...

ისტორიაც გავიხსენოთ:

ჯერ კიდევ XIX საუკუნეში, ილია ჭავჭავაძის დროს, როცა გაჩნდა იდეა საქართველოში უნივერსიტეტის გახსნისა. „ცარიზმი, ცხადია, თბილისში უნივერსიტეტის დაარსების წინააღმდეგ იყო“ (ს. ჯორბენაძე).

რატომ?...



ანდა, რატომ ენინაალმდეგებოდნენ ისე თავგამოდებით დიდი ივანე ჯავახიშვილისა და მისი თანამებრძოლების მცდელობას ქართული უნივერსიტეტის გახსნის თაობაზე? გავიხსენოთ, რას ამბობს შალვა ნუცუბიძე: „ოლდენბურგი, ვასილიევი და სხვები მზრუნველობითი კილოთი გვირჩევდნენ, ხელი აგველო ამ უიმედო საქმის დაწყებაზე, რომელსაც საქართველოს უნივერსიტეტი ეწოდება, ქართულ ენას არა აქვს არც მეცნიერული ტერმინოლოგია, არც მეცნიერული ტრადიცია; ყველა ამის შექმნა არა თუ ძნელია, უიმედო საქმეაო, გვეუბნებოდა ეს გულშემმატიკივარი ხალხი... ისინი მფარველობის კილოთი ამბობდნენ: დაგვიჯერეთ, დროს ნუ დაკარგავთ, თავს ნუ მოიტყუებთო...“ ცხადია, არ იყო ეს მოყვრის თავგამოდება ქართველი ხალხის მომავალზე ზრუნვით ნაკარნახევი...

საუბედუროდ, არ იყო ეს მხოლოდ „ოლდენბურგებისა“ და „ვასილიეების“ პოზიცია. მაშინაც არაერთი ქართველი აღუდგა წინ ეროვნული უნივერსიტეტის გახსნას. ჯერ ი. ჯავახიშვილს მოეუსმინოთ და შემდეგ შევეცადოთ ვუპასუხოთ კითხვას - რატომ? „რამდენი იყო ჩვენში 1917 წელს ისეთი განათლებული ქართველი, რომელსაც ან მთელი ეს კამათი (ეროვნული უნივერსიტეტის გახსნის თაობაზე - გ.გ.) სასაცილო გულუბრყვილობად მიაჩნდა, ანდა მის გაგონებაზე ღიმილი მოსდიოდა. რამდენი გვყავდა ბრძენი დამრიგებელნი, ჭკუის მასწავლებელნი და წინასწარმეტყველნიც კი, რომელნიც, მათი ღრმა რწმენით, სრულიად უნიადაგო და უიმედო განსაზღვრისაგან ხელის აღებას გვირჩევდნენ. ისეთებიც ხომ იყვნენ, მათ შორის მეცნიერებიც კი, რომელთაც მთელი ეს გეგმა და დაწყებული საქმე თვით ქართველობისთვისავე დამლუპველად ჰქონდათ პრესაშიც კი აღიარებული... კულტურული დაქვეითების მეტი არაფერია საქართველოს მეცნიერული აზროვნებისათვის ამ გეგმის განხორციელებისაგან მოსალოდნელიო“... ვითომ ცდებოდნენ ეს „განათლებული ქართველები“, თუ შეგნებულად სხვის ნისქვილზე ასხამდნენ წყალს? სამწუხაროდ, როგორც ვგავს მათი პოზიცია „თურქული უნივერსიტეტის“ იდეის მქადაგებელთა და მხარდამჭერთა პოზიციას. მეორდება ისტორია...

ასეთი ფაქტიც გავიხსენოთ: ეროვნული უნივერსიტეტის მონინაალმდეგენი მონდომებული იყვნენ, თბილისში კავკასიის უნივერსიტეტი გახსნილიყო: კავკასიის უნივერსიტეტს სახელმწიფო დაა-

ფინანსებს (საუბარია რუსეთის იმპერიაზე), ქართული უნივერსიტეტი თქვენ უნდა შეინახოთო – „მეგობრულად“ ურჩევდნენ... ფაქტია: კავკასიის უნივერსიტეტი რუსულენოვანი იქნებოდა...

ყოველ კითხვაზე – „რატომ!“ – ერთი პასუხია: ქართული ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის მხოლოდ ქართული უმაღლესი სასწავლებელი იყო საჭირო... აქედან გამომდინარე, ქართული უმაღლესი სასწავლებლის გახსნას ეწინააღმდეგებოდა ის, ვისაც ეს არ აძლევდა ხელს... ქართული უნივერსიტეტის გახსნისათვის იბრძოდა ის, ვისთვისაც ჩვენი ეროვნულობის შენარჩუნება სისხლხორცეული საქმე იყო...

იცოდნენ ეს ილია ჭავჭავაძემ და მისმა თაობამ; ივანე ჯავახიშვილმა და მისმა თანამებრძოლებმა და ქართული ენა უმაღლესი განათლების ენად დაამკვიდრეს საქართველოში. დღეს კი? ამ დიდი მონაპოვრის ხელიდან გაშვება არა მხოლოდ ჩვენი დიდი წინაპრების ღვანლის უარყოფაა, ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგო ქმედებად შეიძლება ჩაითვალოს...

ნუ ჩავთვლით ამ აზრს საკითხის მუქ ფერებში დახატვად. დავფიქრდეთ, რატომ იზრდება ასეთი კატასტროფული სიჩქარით არაქართულენოვანი სასწავლებლები (საბავშვო ბაღიდან მოყოლებული უნივერსიტეტამდე); ვინ არის მისი კონტინგენტი და ხვალ-ზეგ ქართულენოვან სასწავლებლებს გაუწევენ თუ არა კონკურენციას ისინი?..

„პერესტროიკის“ პერიოდში რუსულ სკოლებში ქართველ ბავშვთა სწავლის პრობლემა რომ წამოიჭრა, ამის დასაბუთებას მეცნიერულად ცდილობდნენ... რა მოხდა შემდეგ? რუსული ენა ინგლისურმა (თუ სხვა ევროპულმა) ენამ შეცვალა და ეს ბუნებრივ და, უფრო მეტიც, სასურველ შედეგად მივიღეთ. ვითომ არის განსხვავებება იმაში, ქართულ ენას საქართველოში რუსული დაჩაგრავს, დააბეჩავებს თუ ინგლისური? უფრო დიდი საფრთხის წინაშე ხომ არ ვდგავართ? ამიტომ განცხადება იმისა, რომ „ეს არ არის თურქული უნივერსიტეტი, ეს იქნება ინგლისურენოვანი უნივერსიტეტიო“, თავის მართლებაა თუ თავის მოტყუება? ვიმეორებთ, ქართულს ინგლისური დაჩაგრავს თუ თურქული, პრინციპულად რა განსხვავებაა? ვითომ არ იცის ეს იმან, ვინც ამაყობს არაქართულენოვანი სასწავლებლების არსებობით; ვისაც უხარია, ჩემი შვილი არაქართულად აზროვნ-

ნებსო? თუ არ იცის, უბედურებაა; თუ იცის - უფრო დიდი უბედურება...

\* \* \*

უნდა გვახსოვდეს, „რა ენა ნახდეს, ერიც დაეცეს!“ - არ არის მხოლოდ ლამაზი პოეტური ფრაზა. ჭეშმარიტებაა და ამ ჭეშმარიტების ძალა არა ერთმა და ორმა ენამ და, შესაბამისად, ერმა ინენია თავის თავზე. ქართული არ არის გამონაკლისი და, ლმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ თუ ასეთი დამოკიდებულება გაგრძელდა, ეს ლამაზი პოეტური ფრაზა ჭეშმარიტებად იქცევა...

ვიმეორებ, ლმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ იგივე ლმერთი დაგვისჯის დედაენისადმი ასეთი უგულისყურო დამოკიდებულებისათვის.

არა მხოლოდ სასწავლებლებში, თითქმის ყველა დონეზე და ყველგან შეიმჩნევა უგულისყურო და უპატივცემულო დამოკიდებულება დედაენისადმი. კეკლუც ტელედიქტორს ურჩევნია ბედნიერი „უიკენდი“ გვისურვოს, ვიდრე ქართულად დაგვემშვიდობოს; 160 სერიან უცხოურ ფილმს ვთარგმნით ქართულად და ყურს არ გვჭრის უცნაური და უხერხული ქართული; კაცი პრეზიდენტობაზე ფიქრობს და ჩიქორთულით გვესაუბრება; მავანმა და მავანმა ყურნალ-გაზეთების გამოსაცემი ფული იშოვა და ნალეკა ქვეყანა მახინჯმა ქართულმა და ბილნსიტყვაობამ (ალარას ვამბობთ რეკლამებზე, აბრებზე...)...

ამგვარი სიის გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება...

ვინაა გამკითხავი?

ანდა, არსებობს კი რაიმე საკანონმდებლო აქტი, რომელიც საქართველოს მოქალაქეს სახელმწიფო ენის მიმართ დაავალდებულებს? სახელმწიფო ენისადმი უგულისყურო, უპატივცემულო, მტრული დამოკიდებულებისათვის პასუხს მოსთხოვს?

კარგა ხნის წინათ ერთ-ერთი სოლიდური დანესებულების ხელმძღვანელს ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა შეევახსენე და მიპასუხა, ის პროგრამა ძველი მთავრობისა იყო... ეს არ არის მხოლოდ იმ ხელმძღვანელის აზრი. მაგრამ, სავალალოდ, ფაქტია, გვაკინყდება, რომ სახელმწიფო ენაზე ზრუნვა ყველა მთავრობას ევა-



ლება... პროგრამა-დადგენილებების მივინყება იმას აძლევს ხელს, ვისაც დედაენის წინაშე მოვალეობისაგან თავის დახსნა სურს...

არადა, ყოველდღიურად იმდენი შეიძლება დაუშავდეს დედაენას, რომ ათწლეულები დასჭირდეს მის გამოსწორებას (თუ საერთოდ გამოსწორდა!)...

დროა, გონს მოვეგოთ, ჯერ არ არის გვიანი!...

*ყურნალი „დროშა“,  
№7-9, 1996 წ.*

## შიძრები დედანაზე

(წერილი მეორე)

ჩვენი საუკუნის 80-იან წლებში, ე. წ. „პერესტროიკის“ პერიოდში, მასობრივი ლაშქრობა დაიწყო იმ ქართველთა წინააღმდეგ, ვისი შვილებიც რუსულ სკოლებში სწავლობდნენ. ამ ფაქტმა უპირველესად პოლიტიკური ხასიათი მიიღო – რუსულსა და რუსებს ებრძოდნენ ამით. შესაბამისად, მოლაღატედ რომ არ მონათლულიყო, არაერთმა ქართველმა გადაიყვანა ქართულ სკოლაში გარუსების გზაზე მდგარი ქართველი ბავშვი. არაერთი რუსული სკოლა დაიხურა ამ მოძრაობის უამს...

გამოხდა ხანი. დაინგრა საბჭოთა (ანუ რუსული) იმპერია. გაქრა დაინტერესებაც იმ ფაქტისადმი, სწავლობს თუ არა ქართველი ბავშვი რუსულ სკოლაში... და, საერთოდ, ნაკლებად ექცევა ყურადღება იმას, როგორია ქართული ენის პოზიციები საქართველოს განათლების სისტემაში. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ ჩვენთან მშრავლდა არაქართული სასწავლებლები, დანყებული საბავშვო ბალებიდან, დამთავრებული უმაღლესი სასწავლებლებით. დიახ, აშკარაა განთლების სისტემაში ევროპული ენების მოძალემა, ე. წ. თურქული უნივერსიტეტის პრობლემა არ იყო გადაჭრილი და ახალი საერთაშორისო უნივერსიტეტის იდეა გაჩნდა ქუთაისში (ამის თაობაზე არაერთგზის განაცხადა ქ. ქუთაისის მერმა ბატონმა თ. შაშიაშვილმა). ჩვენი მიმბაძველობის ძლიერი სენის „წყალობით“ ხვალ-ზეგ ახალი საერთაშორისო უნივერსიტეტები აღმოცენდება; მათ კონტიგენტი საძებარი არ ეყოლებათ: ყურადღება მივაქციოთ იმას, თუ როგორია ლტოლვა იმ სპეციალობებისაკენ, „საერთაშორისო“ რომ ურევია სახელწოდებაში – საერთაშორისო სამართალი, ურთიერთობები, ეკონომიკა, ბიზნესი, ჟურნალისტიკა... (ამის გამო მოსწრებულად იხუმრა ერთმა: დავარქვათ საერთაშორისო მათემატიკა, ფიზიკა და გაიზრდება კონკურსი მისაღებ გამოცდებზე...).

ქართველი ზურგს შეაქცევს ქართულს და უცხო ენაზე მიიღებს განათლებას...



ხმამალლა გამოვთქვით აზრი არაქართულენოვან სასწავლებელთა მოჭარბებით მოსალოდნელ საშიშროებაზე, ეს პოლიტიკურ შეცდომად ჩავგითვალეს და იზოლაციონიზმისაკენ მიმავალ გზად მიიჩნიეს ამგვარი პოზიცია ჩვენმა ოპონენტებმა.

არის კი ასე?

საერთოდ, აქვს კი მნიშვნელობა იმას, რა ენაზე მიიღებს განათლებას მოზარდი? იქნებ ინგლისურ თუ რუსულ ენას მეტი შესაძლებლობა აქვს, იტვირთოს განათლების მისია?.. აქედან გამომდინარე, იქნებ დროულად ვიფიქროთ და არ დავაგვიანოთ ინგლისური (თუ სხვა) ენის დამკვიდრება ჩვენს სკოლაში სწავლების ენად?.. იქნებ დროზე ვთქვათ უარი ქართულ ენაზე?

როგორც ჩანს, არ არის ასე...

იაკობ გოგებაშვილს მოეწონებოდა: „გაგიგონიათ მებაღე, რომელიც უზომოდ მონატრებული ყოფილიყოს ხილის უზვი მოსავლისა და ხეხილისათვის კი ძირი და ფესვები ეთხაროს, ეფუჭებინოს, ეხმოს?... გადაავლეთ ახლა ყურადღებით თვალი ჩვენის მოზარდის თაობის აღზრდა-სწავლებასა და თქვენ დარწმუნდებით, რომ ჩვენ შორის მოიპოვებიან არა ერთნი და ორნი მშობელნი, რომელნიც ამ საარაკო, არ გაგონილს მებაღეს მოგაგონებენ... არა ერთს განათლებულს ქართველს სახლობას შეხვდები, სადაც მოზარდი თაობა ლაპარაკობს და ტიტინებს რომელსამე უცხო ენაზედ, ქართულისა კი ჭაჭანებაც არ ისმის... მშობლები, რომელნიც თავისს შვილებსა ზრდიან გარეშე დედაენის გავლენისა, სწყვეტენ კავშირსა მათსა და სამშობლოს შორის, უკარგავენ თავის ქვეყანას მამულიშვილებს... ეს მშობლები დამნაშავენი არიან სამშობლო ქვეყნის წინაშე“.

იაკობ გოგებაშვილი განმარტავს კიდევაც, თუ რატომ ფიქრობს ასე: „დედა-ენა გარეგნობით როდია ადამიანის არსებასთან შეკავშირებული. იგი როდი ჰგავს ტანისამოსსა, რომლის გამოცვლა ადვილად და უვნებლად შეიძლება. მას აქვს ღრმად გამდგარი ფესვები ადამიანის ტვინში, ნერვებში, ხმის ორგანოებში, ძვალსა და რბილში, მთელს მის ბუნებაში“.

დიდი მამულიშვილი იმ შედეგებზეც მიგვანიშნებს, თუ რა შეიძლება მოჰყვეს აღზრდის პროცესში დედაენის უგულებელყოფას: „დედაენის გაცვლა უცხო ენაზედ (...) ამდაბლებს კაცის გონებასა და უსუსტებს ზნეობრივ ძალას (...); იბადება წინააღმდეგობა კაცის

ეროვნულ აგებულებასა და მის მეტყველების შუა და ამ წინააღმდეგობის წყალობით ეს პირი რამდენსამე ხარისხით ძირს ჩამოედის. სულიერად...." დავიხსომოთ ეს და ახლა ილია ჭავჭავაძეს მოვუსმინოთ:

„ჩვენ რომ ეგრე დაჟინებით და უკანდაუხედავად ვთხოვლობთ დედაენისათვის სრულს და დამოუკიდებელს გზას სასწავლებელში, ეგ მარტო დედაენის სიყვარულით არ მოგვდის. ვთხოვლობთ და ვნატრულობთ იმიტომაც, რომ უდედაენოდ გონების გახსნა ბავშვისა ყოვლად შეუძლებელია. მაშინ სკოლა გონების გახსნის სახსარი კი არ არის, გონების დაჩაგვრისა, გონების დახშვისა, დათრგუნვისა, გათახსირებისა და განა ეს სასურველია ვისთვისმე?“

ამ თემაზე აკაკი წერეთელსაც უფიქრია. ესეც წავიკითხოთ და მერე, მკითხველო, ერთად გავაკეთოთ დასკვნა: „უსუსურ ბავშვს რომ რძის ნაცვლად სუკის მწვადები დააძალოთ და დაასაკებულ ვაჟკაცს კი რძის მეტი არა მიაკაროთ რა, სწორედ მოგახსენოთ, ვერაფერი მასპინძლობა იქნება და რგების მაგიერ აწყენს კიდევაც... ყმანვილს დედის რძესავით უნდა შეერგოს და შეენოვოს პირველი დანყებითი სწავლა... ამისათვის საჭიროა, რომ ახალგაზრდა მოსწავლემ თვალი გაახილოს და გულისყური გაიხსნას იმ ხელსაწყოს წყალობით, რომელიც უფრო ეადვილება, ე. ი. იწყოს სწავლა იმ ენაზედ, რომელზედაც იმას პირველად ხმა ამოუღია და შეუთვისებია“.

ვინმემ შეიძლება გვითხრას, ილია, აკაკი და იაკობი XIX საუკუნის მოღვაწენი არიან და მათი აზროვნებაც XIX საუკუნის აზროვნებააო; XXI საუკუნის კარიბჭესთან ამის ქადაგება ჩამორჩენილობის დასტურია და მეტი არაფერიო. თქვეს კიდევაც, იზოლაციონიზმისკენ უბიძგებენ ქვეყანას დედაენის ამგვარი ქომაგობითო.

ჯერ ერთი, ის, რასაც ილია, აკაკი და იაკობი ბრძანებდნენ, არ იყო მათი მწერლური ფანტაზიის ნაყოფი; ისინი ბრწყინვალედ იცნობდნენ იმდროინდელ რუს თუ ევროპულ მეცნიერთა ნააზრევს და მხოლოდ იმას ემყარებოდნენ; ამის ნათელსაყოფად შეიძლება გავიხსენოთ ილიას წერილი იაკოვსკის საპასუხოდ, იაკობის „ბურჯი ეროვნებისა“ თუ აკაკის „ჩვენს მშობლებს“. სხვაც შეიძლებოდა, მაგრამ მაგალითისათვის ესეც კმარა... ეს ერთი მხარეა საკითხისა.

ვინც ენათმეცნიერების, ფსიქოლოგიის, პედაგოგიკისა თუ გენეტიკის დღევანდელ მიღწევებს იცნობს, დაგვეთანხმება, რომ ის, რის შესახებაც ჩვენი კლასიკოსები XIX საუკუნეში წერდნენ, დღესაც



ფასეულია; დღევანდელი ადასტურებს მის ჭეშმარიტებას, თანამედროვე დონე მეცნიერებისა კიდევ უფრო აღრმავებს და აფართოვებს ამ ცოდნას. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ არ ვიცნობთ სერიოზულ მტკიცებას საპირისპირო თვალსაზრისისა, თორემ არამეცნიერული (ეკონომიკური თუ პოლიტიკური მოსაზრებებით შემაგრებული) მსჯელობა რომ სიკეთეს არ მოგვიტანს, ნათელია.

გაგვიგრძელდა საუბარი. პრობლემა ასე დგას: განათლების ენა ქართველი ბავშვისთვის ქართული უნდა იყოს; არაქართული, რუსული იქნება ის თუ ინგლისური, ეროვნული სიკეთის მომტანი არაა. ცნობილი ხალხური ანდაზა – რა განსხვავებაა, მგელი შეჭამს ცხვარს თუ მგლისფერი ძაღლი – ამ შემთხვევაზე ითქმის.

განათლების ენა სახელმწიფო ენა უნდა იყოს; ყოველი კერძო ინიციატივა, რომელიც ამ პოზიციას დაუპირისპირდება, დამლუპველია ქვეყნისთვის, რაც დროზე ავტენტ განგაშს და მივხედავთ საქმეს, მით მეტი სიკეთე მოუვა ჩვენს ეროვნულ ყოფას. ამ საქმის მოგვარების გზები საძებნი არაა, მონდომებაა საჭირო და კიდევ იმ წინააღმდეგობათა დაძლევა, რომელსაც ქმნიან ისინი, ვინც თავიანთი ჯიბისა თუ კუჭის ინტერესებიდან გამომდინარე იგონებს ათასნაირ ლიცეუმებს, კოლეჯებს, უნივერსიტეტებს... სამწუხაროდ, ეს დაბრკოლებები არაა იოლად დასაძლევნი. ამის მაგალითად ე. წ. თურქული უნივერსიტეტიც გამოდგებოდა: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, მწერალთა კავშირი, რექტორთა საბჭო და, საერთოდ, ინტელექტუალური საქართველო იბრძვის მის გასაუქმებლად, მაგრამ არსებობს რაღაც ძალა, რომელიც უპირისპირდება ამ საღ აზრს და იმარჯვებს! (იმედია, ეს გამარჯვება დროებითია, ყოველ შემთხვევაში, ასე გვაიმედებენ)...

დროა, დაფიქრდეთ. XXI საუკუნის საქართველოს ინტერესები გვავალდებულებს, ღირსი პატივი მივაგოთ ქართულ ენას.

კი, ბატონო, პატივი ვცეთ რუსულს, ინგლისურს, გერმანულს, ჩინურს, მაგრამ დედაენის ინტერესები არ შევლახოთ ამით. ჩვენს ქართველობას უმთავრესი ბურჯი – ქართული ენა – არ გამოვაცალოთ. არადა, გზა – არაქართული ენის დამკვიდრებისა – ამას გვიქადის...

ქურნალი „დროშა“, №1-2, 1997 წ.



საიდანაც ქარი მოუბერავს, დედაენას იძიდან  
უნდა ჩამოეფარო...

ჩვენი მკითხველისათვის და. ხაერთოდ. ქართველი მსმენელისათვის კარგად არის ცნობილი საქართველოს მთავარი რადიოს ყოველკვირეული ლიტერატურული პროგრამა "ენა შემკული და კურთხეული". რომლის ავტორი და რედაქტორია მწერალი თამაზ ხმალაძე. ვთავაზობთ ერთ სიუჟეტს, რომელშიც ოტია იოსელიანის ახლახან გამოქვეყნებული წერილის თაობაზე საუბრობენ მწერალი თამაზ ხმალაძე და პროფესორი ბიორბი ბობოლაშვილი.

თამაზ ხმალაძე - „ეროვნულ ენას ქარი საიდანაც მოუბერავს, იქიდან უნდა ჩამოეფარო, რომ ცივი ნიავე არ მიეკაროს, არ გაგრილდეს, ნაუჟმურევი არ შეეყაროს. ყველაფერს ეშველება: გაჭირვებას, გაძალღებას, შიმშილს, ნყურვილს, სიშიშვლე-სიტიტვლეს, თვით თავისუფლების დაკარგვასაც და მონობასაც, თუ ენამ არ დაკარგა თვითმყოფადობა, თავისუფლება და არ დამონდა. ტერიტორიული დაპყრობა ერს ვერ დაიმორჩილებს, თუ მტრის ენამ ენა ვერ ხელშეყო. ენა თუ ცოცხალია და ფხიზელი, არ მოასვენებს, არ დააძინებს ერს, ხმალს არ დაუჩლუნგებს“, - რაც ნავეკითხე, ეს გახლავთ ამონარიდი მწერალ ოტია იოსელიანის წერილიდან „ენა - ერის სული“, რომელიც გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა აპრილის ბოლოს და შემდეგ გადაბეჭდა ჟურნალმა „ბურჯი ეროვნებისა“. ისევე, როგორც ზემოთქმული, ბევრი პრობლემა თუ საკითხი, ამ წერილში დასმული, ჩვენთვის მისაღებია და გასაზიარებელი. მეტიც, ვფიქრობთ, აუცილებელიც არის, ზოგი მათგანი ფართო მსჯელობის საგნად ვაქციოთ. ამ მიზნით დღეს სტუდიაში მოვინვიეთ ჟურნალის „ბურჯი ეროვნებისა“ მთავარი რედაქტორი და გამომცემელი, პროფესორი გიორგი გოგოლაშვილი. ბატონო გიორგი, რა იყო მიზეზი იმისა, რომ თქვენს ჟურნალში გადაბეჭდეთ მწერალ ოტია იოსელიანის წერილი „ენა - ერის სული“.

გიორგი გოგოლაშვილი - ბატონო თამაზ, უპირველესად ის, რომ

თქვენი არ იყოს, მეც ვთვლი, ამ წერილში დასმული კონკრეტული საკითხები უალრესად აქტუალურია და პრობლემური, იგი ფართო მსჯელობის საგნად უნდა იქცეს. ერთია, ჩვენ ვერ შევძელით სრულად გადმოგვებუჭდა ეს წერილი (და ამის გამო ავტორსაც და მკითხველსაც ბოდიში მოვუხადეთ); მაგრამ, ვფიქრობ, შევძელით არსებითი მომენტების გამოყოფა და სიმწვავე არ დაგვიკარგავს ბატონი ოტია იოსელიანის ნააზრევისათვის.

თ. ხ. - რა არის ის არსებითი, რითაც შეიძლებოდა დაგვეწყო მსჯელობა.

გ. გ. - ბატონო თამაზ, ნავიკითხოთ პირველივე აბზაცი ამ წერილისა:

„გადასარევია ჩვენი ამბავი! უპირველეს ყოვლისა, მოვიშალოთ - „წერე და იკითხე“, „რაც გინდა ის თქვი, მაგრამ გამგონი სად არის?“ - უბედურებაა. არის თუ არა ეს მართლა უბედურება? ვნერო, ვამხელთ, მივუთითებთ, ვასწავლით - ვის ესმის? შეგიძლიათ დამისახელოთ თუნდაც ერთი შემთხვევა, რომ ამგვარი მხილების, კრიტიკის, დედაენისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო ვინმესთვის ვინმეს პასუხი მოეთხოვოს? სწორედაც რომ ასეა, „წერე და იკითხე“, „რაც გინდა, ის თქვი“ - და ეს უნდა იქცეს სწორედ მსჯელობის საგნად: დედაენის ღირსების შელახვას, მისი უფლებების დამცირება-შემცირებას ვერ უნდა ბედავდეს მავანი და მავანი“. გულისტკივილი მწერლისა ჭეშმარიტებაა და საზოგადოებამ მხარი უნდა აუბას მას.

თ. ხ. - და ბატონი ოტიას ეს აზრიც უნდა გავიზიაროთ: „არ იტყვი, გასკდა გული, იტყვი და... ყველაფრის მიყურისძირება შეიძლება?! ასე: ილია, აკაკი, ვაჟა და გოგებაშვილი... ერთად რომ გააცოცხლო, მაინც არაფერი ფასი ექნებათ“.

გ. გ. - ერთ მაგალითს მოვიშველიებ: როცა ქალაქის ცენტრში, ფილარმონიასთან, სასტუმრო „მუზის“ კედელზე დიდებულ ქართულ ანბანს ჩამოგიხსნიან და მის ნაცვლად კოკა-კოლას უსახურ რეკლამას გააკრავენ, ამაზე ვილაცამ პასუხი უნდა აგოს.

თ. ხ. - ამის შესახებ დაინერა და ითქვა კიდევაც ხმამაღლა, მაგრამ მართლაც „წერე და იკითხე“.

გ. გ. – კი, ბატონი; თავის დროზე ქალაქის მერს, ბატონ ნ. ლეკიშვილს მივმართეთ გაზეთიდან „ბურჯი ეროვნებისა“; მერე იყო და, როცა კოკა-კოლას რეკლამა დაზიანდა, ბატონ თ. ჭყონიას მივმართეთ წერილით გაზეთ „თბილისიდან“ – ვთხოვეთ, აღედგინა უსამართლოდ განდევნილი ქართული ანბანი... მაგრამ ახალი რეკლამა გააკეთეს კოკა-კოლასი. მერე ბატონ ვ. ზოდელავას მივმართეთ და ველით შედეგს. ყოველ შემთხვევაში, ესაა ქართული ანბანისა და, საერთოდ, ქართული ენის ღირსების დამცირება, ვინ გაყიდა, ვინ ჩამოხსნა, რის საფასურად? პასუხიც კი არავინ გვაღირსა... ეს საუბარიც ისე ჩაივლის, ვითარცა ადრინდელები...

თ. ხ. – გულსატკენია და დასანანი ისეთი ფაქტის აღიარებაც. ბატონი ოტია რომ წერს: „1919 წლის 22 სექტემბერს მაშინდელმა უთავბოლო მთავრობამაც კი გამოიტანა დადგენილება, რომ წარწერები ყველგან უნდა გაკეთებულიყო ქართულად, დიდი ასოებით; სხვაენოვანიც შეიძლებოდა, მაგრამ მეორეხარისხოვან ადგილზე და წვრილი ასოებით და ეს თვითდინებაზე კი არ მიუშვიათ, სამ თვეში, 1 დეკემბრამდე, უნდა დასრულებულიყო. თუ არა და, მკაცრი სასჯელი: ჯარიმა 500 მ. და პასუხისგებაში მიცემა სასჯელთა წესდების 29-ე მუხლით“. დღეს?

გ. გ. – დღეს? დღეს არანაირი საკანონმდებლო აქტი არ არსებობს, სახელმწიფო ენისადმი პასუხისმგებლობას რომ აკისრებდეს საქართველოს მოქალაქეს.

თ. ხ. – არადა, მხოლოდ მორალური პასუხისმგებლობის საკითხის დასმა, როცა მორალსა და ზნეობას საფუძველი შეერყა, არაფერს გვაძლევს.

გ. გ. – ამიტომაც სტკივა გული ოტია იოსელიანს, რომ ენის სახელმწიფო პალატამ ვერ შეძლო, ვერ მოახერხა სახელმწიფო ენის შესახებ კანონპროექტის ნორმალური განხილვაც კი; ეს კანონპროექტი ისევ იდეაშია, ისევ დამუშავების პროცესშია და ხშირად ის უპირისპირდება ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტას, ვინც პირველი უნდა დაუდგეს მხარში ენის სახელმწიფო პალატას.

თ. ხ. – თქვენ ო. იოსელიანის წერილიდან ამ ადგილს გულისხმობთ ალბათ: „ორი წელიწადია არსებობს გასაცოდავებული პალა-

ტა და კანონპროექტით ხელში ძუძგურობს პარლამენტის კართან, როდის მოიცლიან დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს მშენებლები ღვთის ანაბარად მიტოვებული ენის დასაცავად".

**გ. გ.** - დიახ. ვინმე ეტყვის ბატონ ოტიას და გვეტყვის ჩვენც, ხომ არსებობს ქართული ენის სახელმწიფო კომისია, თუნდაც ენის სახელმწიფო პალატა ხომ შეიქმნაო. ეს მართალია. მაგრამ უნდა არსებობდეს ის საკანონმდებლო ბაზა, რაც ამ კომისიისა თუ პალატის მუშაობის საფუძველი იქნება. ვიმეორებ, მორალურ დონეზე კაცის დამუნათება საქმეს ვერ უშველის. მახსოვს, ერთხელ ხაშურთან თურქულნარნერიან სასადილოს სურათს ვუღებდი და იქაურმა ქართველებმა შემომიტყეს. როცა ვკითხე, რა წერია, თუ იცით-მეთქი, არ ვიცითო; იქნებ გვლანძღავს, გვამცირებს ვინმე-მეთქი და, მოგცლია შენო, მითხრეს, ჩვენ ხელფასს გვაძლევენ და მშიერი არ ვკვდებითო; რა წერია, რა ჩვენი საქმეაო... ნუ გვექნება იმედი მორალური კანონის ამოქმედებისა, იურიდიული კანონია საჭირო. მართლს ამბობს ოტია იოსელიანი და ეს საჯარო მხარდაჭერაა ენის პალატის საქმიანობისა, მათი ამოცანებისა. ესეც ხმამაღლა სათქმელია...

**თ. ხ.** - და დროულად მოსაგვარებელი. რამდენადაც ვიცი, რეკლამის კანონში დამატება-შესწორების საკითხიც დადგა.

**გ. გ.** - ენის სახელმწიფო პალატის ინიციატივით მთავრობის სხდომაზე განხილული იქნა რეკლამის კანონში შესატანი დამატება-შესწორებანი. და რაზეც ბატონი ოტია წუხს, მოგვარდება, თუ მოხერხდა ამ შესწორების შეტანა. წინ პარლამენტია...

**თ. ხ.** - ერთი ადგილიც მინდა ჩავიკითხო ოტია იოსელიანის წერილიდან და თქვენი კომენტარი მაინტერესებს: „რამ თოვა და რამ წვიმა ამდენი ჟურნალისტი“, ყოველ ორლობეში რომაა გახსნილი უნივერსიტეტები, ბუიროვით უშვებენ ჟურნალისტებს და ენა პირში დაუტევარი ჰგონიათ, მაგათ არ უნდათ ენის პალატის ნებართვა? ფირნიშზე ერთი სიტყვაა, ან ორი და ეს რომ ათობით გვერდიან გაზეთს უშვებს!“

**გ. გ.** - რამდენად შეიძლება ენის პალატის ნებართვა გახდეს საჭირო ჟურნალისტობისათვის, ეს შეიძლება მთლად ნათელი არ იყოს

ჩემთვის, მაგრამ, თუ გაზეთი ან ჟურნალი განუკითხავად არღვევს ენის ნორმებს, უგულისყუროდ და უდიერად ექცევა ენას, ენის პალატას უნდა ჰქონდეს უფლება ამ საკითხის მოგვარების მიზნით ღონისძიების ჩატარებისა. უფრო მეტიც, მესმის გულისტკივილი მწერლისა - ვინც კი მოისურვა, ორ სიტყვას ვინც კი გადააბამს ერთიმეორეს, ყველამ ჟურნალისტი დაირქვა. ჟურნალისტობისათვის თურმე არც ცოდნაა საჭირო, არც შესაბამისი განათლება, არც დიპლომი... ამას წინათ ერთ ჩემს ყოფილ სტუდენტს გადაცემა მიჰყავდა ტელევიზიაში: სამართალმცოდნეობითი ხასიათის გადაცემა იყო. ეს ყმანვილიც სამართალმცოდნეობაზე სწავლობს. ჯერ სტუდენტია. ტელევიზორში ტიტრებზე დაინერა ჟურნალისტიო. გამიკვირდა და როცა შემხვდა, ვკითხე, შენ ხომ სამართალმცოდნეობაზე სწავლობ-მეთქი; ჯერ არ დამიმთავრებია, დიპლომი არ ამიღია და ამიტომ არა ვარ სამართალმცოდნეო. ჟურნალისტს რომ გეძახიან, ჟურნალისტის დიპლომი გაქვს-მეთქი და არაო... ასე. იურისტი რომ დაგიძახონ, დიპლომია საჭირო, ჟურნალისტი რომ დაგიძახონ, ამისთვის არაფერია საჭირო, სურვილისა და საქმის ჩანყობა-მოგვარების გარდა.

თ. ხ. - ამიტომაც იწვევს ჩვენი პრესა მწერლის გულისტკივილს და არა მხოლოდ ოტია იოსელიანისას. ამ შეძახილს ყველამ უნდა შევუერთოთ ხმა. ქართულის არმცოდნემ ვერ უნდა გაბედოს ხელში კალმის აღება და ჟურნალ-გაზეთებიდან მაღალი იდეების ქადაგება.

გ. გ. - ბატონო თამაზ, გახსოვთ, თქვენს გადაცემებში გვქონდა ამაზე საუბარი და შემდეგ ჟურნალში „ბურჯი ეროვნებისა“ დავბეჭდეთ, როგორია ინგლისელთა დამოკიდებულება ინგლისური ენის მიმართ. იქ არა აქვთ კანონი ენის შესახებ, მაგრამ, თუ კარგი ინგლისური არ იცის, რიგიან სამსახურს ვერ იშოვის და ამას ყველა ეგუება.

თ. ხ. - ასეა, ბატონო გიორგი, სხვა ქვეყნებშიც, საფრანგეთში, ბალტიისპირეთში. ჩვენთან ყველაფერი პრობლემაა. ჩვენი, პროფესიონალი ჟურნალისტების, გულისწყრომაც ესაა, რასაც ბატონი ოტია იოსელიანი ჩივის.

გ. გ. - არ შეიძლება მაღლობა არ ვუთხრათ ოტია იოსელიანს და



საგანგებო მსჯელობის საგნად არ ვაქციოთ მომრავლებული ტელეკომპანიების საკითხი. რა დაგიმალოთ და, სახელმწიფო ტელევიზიაც ბევრს ცოდავს, მაგრამ ის, რაც კერძო ტელეკომპანიებში ხდება, მართლა ძნელი ასატანია. ისევ მწერალს მოვუსმინოთ: რას აბობს „ყველაზე საშიშ ენის მოძალადეზე – სოკოებივით მომრავლებულ ტელეკომპანიებზე, ზოგიერთ გასაცოდავებულ რაიონს „მამულიშვილებმა“ ერთის მაგიერ ორი რომ გაუხერხეს. ქვეყნის „ცენტრალურ“ პირველ არხს (ვთქვათ, მეორესაც; ასობით თანამშრომელი რომ ჰყავს და დაარსების დღიდან დღემდე – გამოცდილებაც) თავი ვერ გაურთმევია, გადაცემები ეროვნული ჰქონდეს და ენა – შეურყვნელი; ან ხალხის გამომთავყვანებელი სერიალებით არ შეავსოს და ეს „სოკოები“ თუ ხორცმეტები ვინ არიან, რაიონული უთავბოლო, უმრავლესად უნიგნური, ხელმძღვანელობის ანაბარად რომაა მიტოვებული. ყოველგვარ მხატვრულ ღირებულებას რომ თავი დავანებოთ, ყოველდღე რომელ ენაზე უნდა გადმოცეს 5-6 საათიანი პროგამა?“

თ. ხ. – ძნელია, არ დაეთანხმო ბატონ ოტიას და გულისტკივილით არ მოისმინო ის, რაც, ჩვენდა საუბედუროდ, რეალობაა; „ეს ენის ტელესაყასბოებია, სადაც ნაჯახით ჩეხენ ენას და ძვალრბილიანად კეპავენ. რამდენნაირ მონობასა და რბევას გადავარჩინეთ ენა, მაგრამ ამნაირი ყოველდღიური სისხლის ღვრა არ განუცდია. ფრანგებს 24 საათიან გადმოცემებში მხოლოდ 10 წუთი აქვთ ნებადართული სხვა ენაზე (და ისიც სიმღერა თუა ჩართული)“.

გ. გ. – ამ ამონარიდს კომენტარიც არ სჭირდება, რალაც უნდა ვილონოთ, რომ ურმის გადაბრუნებამდე მოვძებნოთ გზა. ერთ დეტალს მინდა ყურადღება მივაქციოთ ამ წერილში: ესეც ნიშანდობლივი ფაქტია: „არ იშლის, კერძო კომპანია ვარო: კერძო თავის სახლში გაუშვას. ეთერში რომ გადის, კერძოა? კერძო ბომბი რომ დაგვეცეს, რანაირი ცარიელი თავიც უნდა გქონდეს, არ აგაფეთქებს?“

თ. ხ. – და მართლაც, ხომ უნდა არსებობდეს რალაც მექანიზმი, კერძო რომ სახელმწიფო ენის მიმართ პასუხისმგებლობას გრძნობდეს.

გ. გ. – ვფიქრობ, ისიც პრობლემაა და მოგვარება სჭირდება

დროული, ბილნსიტყვაობა და უნმანური საუბარი ეკრანიდან, რადიოდან (ვგულისხმობ კერძო კომპანიებს), ჟურნალ-გაზეთებიდან ასე თავისუფლად რომ ისმის, დავკარგეთ ზნეობა, ეთიკა... მართალია ოტია იოსელიანი, როცა ასეთ კითხვას სვამს: „უნმანური, ბინძური ენა ერის შერყვნა არ არის?“

თ. ხ. - ბატონო გიორგი, როგორც ჩანს, მწერალმა ოტია იოსელიანმა მართლაც მრავალი საჭირობოროტო საკითხი წამოიწია, მრავალ სადღეისო პრობლემაზე გაამახვილა ყურადღება. როცა ეს წერილი წაეკითხე, ვიფიქრე, ამით საფუძველი დაედებოდა დისკუსიებს; გამოჩნდებოდნენ მხარდამჭერები... და დიდი იყო ჩემი გაოცება, როცა ენის სახელმწიფო პალატის ქუთაისის სამმართველოს გაზეთებში ო. იოსელიანის ამ წერილის შესახებ უარყოფითი დამოკიდებულება გამოავლინეს. მე მხედველობაში მაქვს ამ გაზეთის რედაქტორის, ბ-ნი ტარიელ ფუტყარაძის, საპასუხო წერილი, რას იტყოდით ამის თაობაზე.

გ. გ. - ბატონო თამაზ, ამ წერილით ბატონი ოტია იოსელიანი მე უპირველესად ენის სახელმწიფო პალატის მხარდამჭერად მეჩვენება და ველოდი, სახელმწიფო პალატა ამ წერილს თავის სასარგებლოდ გამოიყენებდა, მსჯელობის საგნად აქცევდა აქ წამოჭრილ პრობლემებს და სათავისო (რაც თავისთავად საქვეყნოცაა) საქმეს გააკეთებდა. მოხდა პირიქით, მიჭირს ამ ფაქტის შეფასება: უფრო სწორად, გული მწყდება, რომ ასე მოხდა. ენა ერის სულიაო, ამ შემთხვევაში თუ მწერალი ჰუმბოლდტს არ იმონებს, ესაა მთავარი? „ქართული“ - ასე ჰქვია ამ გაზეთს, მაგრამ მინდა, რომ აქ დასმული საკითხებისადმი მისი დამოკიდებულება მართლა ქართული იყოს. როცა ამდენი პრობლემაა წამოჭრილი, იმაზე ყურადღების გადატანა, რომ ო. იოსელიანის წერილში გრამატიკული შეცდომა ვეძებოთ, არაა ჩემთვის მთლად გასაგები პოზიცია.

თ. ხ. - უშეცდომო მხოლოდ ღმერთია და უსაქმო ძალისგებაო, - იაკობმა თქვა.

გ. გ. - და სხვაც შეიძლება გავიხსენოთ. იცი, რა მახსენდება? აკაკი წერეთელი რომ ჰყვება ივანე მაჩაბელთან პაექრობის თაობაზე. აკაკის ივანე მაჩაბლის ნაწერებში ენობრივი შეცდომები გაუხა-



ზავს. გაგულისებულა მარაბელი და უთქვამს: განა შენს ნანერებში კი არ არის შეცდომებიო. აკაკის ღიმილით უპასუხია: ახლა შენს ნანერებზეა საუბარი და როცა ჩემი ნანერების განხილვაზე გადავალთ, რა იცი, რომ არ დაგეთანხმებო. შეცდომას შენც ხომ უშვებო, ეს შენ არ გამართლებსო. ეს ინტელიგენტური ბაასი კი არ არის, მოახლური გაქიშებააო. დიახ, ბატონო თამაზ, მოვიდა დრო, დავივინყოთ ეს მოახლური გაქიშება და, აკაკის სიტყვით რომ ვთქვათ, ინტელიგენტური ბაასია საჭირო.

თ. ხ. – ნამხდარ საქმეს მხოლოდ ეს გამოასწორებს. მოსაგვარებელ პრობლემებს მხოლოდ ეს მოაგვარებს. ასე, რომ მაღლობა უნდა ვუთხრათ ბატონ ოტია იოსელიანს ამ წერილისათვის. ჩვენი დღევანდელი საუბარი თანადგომაა მწერლისა და ვიმედოვნებ, ამით არ დამთავრდება ამ წერილზე და, საერთოდ, ამ თემაზე საუბარი.

*ყურნალი „ბურჯი ეროვნებისა“. №7-8, 1999.*



„დიდი რამ არის, ვიც იცის კარბად წაკითხვა  
წასაკითხისა“\*

მწერალ ოტია იოსელიანის წერილის - „ენა - ერის სული“ - ჩვენს ჟურნალში გადმობეჭდვა როდესაც გადავწყვიტეთ და შემდეგ ამ წერილის თაობაზე მწერალ თამაზ ხმალაძესთან დიალოგიც გავმართეთ, ვფიქრობთ, ჩვენი პოზიცია ნათლად წარმოჩნდა: ჩვენ ვეთანხმებით ბ-ნ ოტია იოსელიანს, ვიზიარებთ მის პოზიციას და შევეცადეთ, სხვაც გამოგვეჩვენია ამ პრობლემებზე სამსჯელოდ.

არც ვფიქრობთ და არც გვითქვამს, რომ მწერალმა და მისმა მხარდამჭერებმა ახალი აღმოჩენა გააკეთეს. რასაც ყველა ვხედავთ, რაც ყველასთვის ნათელია, სხვამ რომ თვალი აარიდა და წაუყრუა, იმაზე ტეხს განგაშს მწერალი. ახლაც ვფიქრობთ და ყოველთვის ვფიქრობდით, ამგვარ შეძახილს რაც მეტი შეუერთებს ხმას, საქმეს მით უფრო ადრე მოეველება. ეს ზოგადად.

ჩვენ არც ამჯერად გვესმის და ახლაც გვწყდება გული, რომ ჩვენს დიალოგში ბ-ნი ტ. ფუტყარაძე რალაც ქვეტექსტებს ეძებს და პოულობს კიდევ (!). საქვეტექსტოდ საქმე არ გაგვიხდია, ჩვენი აზრი შეუფარავად ვთქვით; მოსაწონი მოვიწონეთ, დასაწინი დავიწინეთ.

ჩვენ ავტორის, ბ-ნი ტ. ფუტყარაძის, პატივისცემით, რა თქმა უნდა, უცვლელად (სარედაქციო ჩარევის გარეშე) დავბეჭდეთ წინამდებარე წერილი. თუმცა ბევრი რამ მასში ჩვენთვის სადავოა და მიუღებელი; თუნდაც ის, რომ ქართული ენის მიმართ სახელმწიფოებრივი ზრუნვის ისტორია არასწორადაა წარმოდგენილი...

ვერც იმას ჩავწვდით, რა კონტექსტია მისაღები ავტორისათვის და რატომ აღმოჩნდა მოულოდნელი თ. ხმალაძისა და გ. გოგოლაშვილის დიალოგის შინაარსი მისთვის.

არ ვაპირებთ დანვრილებით კომენტარს, მაგრამ ერთს კი ვიტყვით. როცა მწერალი ამბობს: „სიცოცხლე მაინც არ ღირსო“, იმ შემთხვევაზე

\* ნინა პუბლიკაციას ბ-ნი ტ. ფუტყარაძე გამოეხმაურა („უქვეტექსტოდ ვიღვანოთ, განსჯა კი უფალსა და შთამომავლობას მივანდოთ“ - „ბ.ე.“ № 10-11, 1999). წინამდებარე წერილი პასუხია ამ გამომხმაურებაზე.



გულისხმობს, თუ ქართულ ენას არ ვუპატრონებთ და დედაენის გარეშე დავრჩებით... არაა ეს ნიჰილიზმი, ამას სხვა სახელი ჰქვია...

არც იმის დანახვა უნდა იყოს ძნელი, რომ მწერალს გული სტიკია, ახალგაზრდობა ნიგნს რომ გაუუცხოვდა; არც ესაა სიკეთის მომტანი. არ არის მართალი? მაშინ როგორ გავიგოთ, ბ-ნო ტარიელ, თქვენსავე გაზეთში გამოქვეყნებული აზრი ქუთაისის უნივერსიტეტის რექტორისა, პროფესორ ა. ნიკოლეიშვილისა: „ნელს ტესტირება ჩავატარეთ მისაღები გამოცდების ნაცვლად; კითხვები საშუალოზე დაბალი დონისა იყო; 70 მსურველიდან (იგულისხმება ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობა – გ. გ.) 5-ს მიეცა დამაკმაყოფილებელი შეფასება“ (გაზეთი „ქართული!“ №4, 1999 წ.). ანდა, ესეც გავიხსენოთ: ჩვენ გამოკითხვა ჩავატარეთ ერთ-ერთი უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტებთან. ვთხოვეთ ჩამოეთვალათ 10 თანამედროვე მწერალი; ილიას, აკაკისა და ვაჟას 10-10 ნაწარმოები. შედეგები თავის დროზე გამოვაქვეყნეთ; სამწუხაროდ, სავალალო შედეგები... როგორ ფიქრობთ, ეს ნივნიერებისა და საჯარო ბიბლიოთეკაში დღედაღამ ჯდომის შედეგია? როცა მწერალი ამ საკითხს სვამს, ეს ფიქრია და დარდი ხვალინდელ დღეზე...

ბ-ნი ფუტკარაძე წერს: „მათი (თ. ხმალაძისა და გ. გოგოლაშვილის – გ. გ.) მცდელობით გამოვიდა, რომ *მწერალი საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის გულშემატკივარია. ზოგადად, ქართული ენის ქომაგია* (ხაზი ჩვენია – გ. გ.), გაზეთი „ქართული“ და მისი რედაქტორი კი მწერალს აკრიტიკებს“.

თუ ვისი მცდელობაა, არასწორად შევაფასოთ მწერლის პოზიცია, ვფიქრობთ, კარგად წარმოჩნდება გაზეთ „ასაველ-დასავალის“ კორესპონდენტისა და ბატონ თ. ნივნივადის დიალოგში; და კიდევ ენის სახელმწიფო პალატის თავმჯდომარის, ბ-ნ ლ. ლვინჯილიას ქვემო მოყვანილ კომენტარში.

ბ-ნ თ ნივნივადეს ეკითხებიან: „ლიტერატურულ საქართველოში“ ოტია იოსელიანის წერილი დაიბეჭდა – „ენა – ერის სული“. ჩინებული პუბლიკაცია გახლავთ – სარეკლამო აბრა-ფირნიშების შემონმება-კონტროლს რომ ვავალებთ ენის პალატას, ასობით ტელეკომპანიებს რატომ არ ვკითხავთ, რა ქართულით მოძღვრავენ ერს, – ჩივის მწერალი და, ვგონებ, მართალიც გახლავთ“.

– ბ-ნი თ. ნივნივადე უპასუხებს: „ოტია იოსელიანმა ლაპარაკი

რომ ვერ ისწავლა, წერა ამიტომ დაიწყოს! არადა, როცა კაცმა წერა, იცის და ლაპარაკი - არა, ის ყოველთვის მოითხოვს, სხვებმაც გამართულად წერონ! ამიტომ ამნაირ კაცს ენის საკითხები სხვაზე მეტად დაეჯერება! ერთი სიტყვით, ჩვენი გამოჩენილი მწერლისა არ იყოს, დღევანდელი პრესა და ტელევიზია ქართული ენის მიმართ უსაშველოდ სცოდავენ" („ლიტერატურული საქართველო“, 7-14 მაისი, 1999 წ.).

*ბ-ნ ლ. ღვინჯილიას აზრზე მოვისმინოთ ო. იოსელიანის ამ წერილის თაობაზე:*

„თვით სულისკვეთება მწერალ ო. იოსელიანის წერილისა არის სწორედ ხაზგასმა ამგვარი სამსახურის (ენის სახელმწიფო პალატის - გ. გ.) მნიშვნელობისა; მე მგონია, რასაც ბ-ნი ოტია ამბობს ენის პალატასთან დაკავშირებით, იქ საჩოთირო არაფერია, პირიქით...“

ჩემი აზრით, გაუგებრობა ამ წერილის ავტორსა და მის მოპასუხე მხარეს შორის (იგულისხმება ტ. ფუტყარაძე - გ. გ.) გამოიწვია იმან, რომ ბ-ნი ოტია აქ პალატად მოიხსენიებს ქუთაისის სამმართველოს. ბუნებრივია, მას ქუთაისის სამმართველოს საქმიანობის შესახებ მეტი ინფორმაცია უნდა ჰქონოდა, მაგრამ ესეც იმის ბრალია, რომ პროპაგანდისტული მუშაობა, ჩვენი სამსახურის ცენტრალური აპარატის ანალოგიურად, არ დგას ჯეროვან სიმაღლეზე. ენის სახელმწიფო პალატამ ვერ შეძლო თავისი მნიშვნელობისა და მის მიერ დღემდე განეული საქმიანობის პროპაგანდა ისეთ დონეზე, რომ მთელი ქვეყნის მოსახლეობისათვის და, უპირველეს ყოვლისა, ინტელიგენციისათვის, განსაკუთრებით კი ქართული მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენლებისათვის, ყოფილიყო ნათელი, თუ რა გაკეთდა, ანდა რა კეთდება...“

*აღარ ვაგაგრძელებთ სიტყვას. ისე კი, ჩვენს უმცროს კოლეგას ვურჩევდით, სანამ პოლემიკას წამოიწევდეს, დიდი ილიას ერთი შეგონება გაიხსენოს: „დიდი რამ არის, ვინც იცის კარგად წაკითხვა წახაქთხისა. ერთი ფრიად სასიამოვნო და ფრიად სახარგებლო ხელოვნება კარგად წაკითხვა“.*

*„ბურჯი ეროვნებისა“. №10-11, 1999 წ.*

## ახალი წელი და ძველი პრობლემები

*„უკანასკნელი 5-6 წლის განმავლობაში, ფაქტობრივად, არ მოქმედებს რესპუბლიკის მთავრობასთან არსებული ქართული ენის მუდმივი სახელმწიფო კომისია. რაც დღევანდელ პირობებში არსებითად აფერხებს თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დაკვიდრებას. მის შემდგომ განვითარებასა და მეცნიერულ შესწავლას“ – ასე იწყებოდა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის განკარგულება „ქართული სალიტერატურო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის შესახებ“ (1995 წლის 27 იანვარი)...*

ქართული ენის წინაშე მდგარი პრობლემების მოგვარების სურვილმა 80-იანი წლების მიწურულს ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის შექმნის იდეა დაბადა. 1988 წელს პროგრამის პროექტი გამოქვეყნდა, ხოლო 1989 წლის აგვისტოში პროგრამა დამტკიცდა.

გვახსოვს ალბათ, პროგრამა ოთხ ძირითად ასპექტს მოიცავდა: ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსი, ქართული ენის ფუნქციონირება, მეცნიერული შესწავლა და სწავლება. ყველა ამ ასპექტს საგანგებო ყურადღება ექცეოდა: ძალიან ზუსტად და დეტალურად იყო განსაზღვრული ყოველი ჩვენგანის პასუხისმგებლობაც და მოვალეობაც სახელმწიფო ენის მიმართ. ის, ვინც ეს პროგრამა მიიღო და დაამტკიცა, ყოველ ორგანიზაციას, ყოველ დაწესებულებას ავალდებულებდა, ყოველწლიურად ანგარიში წარედგინა თავისი ზემდგომი ორგანოსათვის, რა გააკეთა საანგარიშო წლის მანძილზე დედაენის სასიკეთოდ; შეასრულა თუ არა ის ვალდებულება, რაც სახელმწიფო პროგრამამ განუსაზღვრა. ეს საანგარიშო დღეც დანესდა – 14 აპრილი.

თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე პროგრამამ ისე იმუშავა, როგორც იყო ჩაფიქრებული. საკმაოდ ბევრი რამ გაკეთდა დედაენის სასიკეთოდ იმუშავდა, მაგრამ... მაგრამ, ვთქვით, რომ ხანმოკლე სიცოცხლე ხვდა წილად პროგრამას...

ჭირო რაიმე ისეთი საკანონმდებლო აქტი, რომელიც სახელმწიფო ენის წინაშე საქართველოს მოქალაქის ვალდებულებას განსაზღვრავდა? რომელიც ყოველ ორგანიზაციას, ყოველ დაწესებულებას მოსთხოვდა ანგარიშს, განუსაზღვრავდა პასუხისმგებლობას ქართული ენის მიმართ? როგორც ჩანს, არის და აუცილებელიცაა...

არაერთგზის ითქვა: საქართველოს დედაქალაქმა ქართული სახე დაკარგა. ყოველგვარი გემოვნების, გეგმაზომიერების, გეგმის გარეშე აჭრელდა ქუჩები უცხოური წარწერებით; მომრავლებულ რადიოარხებში ქართულ მუსიკას იშვიათად თუ გაიგონებ; მომრავლებულ ტელეარხებზე უცხოური გადაცემებია, ანდა გაქართულებული უცხოური, უსახური გადაცემები, ტელესერიალები...

გავიხარეთ და აღვნიშნეთ კიდეც, რეკლამის კანონი რომ მივიღეთ (იხ. „ბ.ე.“ №3). გავიხარეთ, რადგანაც რეკლამის კანონში გარკვევით წერია: *„რეკლამა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება სახელმწიფო ენაზე... ხოლო საქართველოში განთავსებული სხვა ენაზე რეგისტრირებული სასაქონლო (მომსახურების) ნაშნის (ლოგოტიპის) მფლობელს ვეალება მისი ტრანსლიტერაციის წესით გადმოცემა ქართულ ენაზე“* (მუხლი 4, პარაგრაფი 2).

მერე? მერე არაფერი. კანონი არსებობს, მაგრამ მისი მოთხოვნების შესრულება არაა სავალდებულო თურმე მავანისათვის... იმ კანონში ასეთი პუნქტიცაა:

*„რეკლამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევითობის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს (რეკლამის დამკვეთებს, მწარმოებლებსა და გამავრცელებლებს) კისრებათ პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად“* (მუხლი 24, პუნქტი 1).

მერე რაო, იკითხავთ. არაფერი. ჩვენ არ ვიცით ფაქტი, რომ ვინმეს პასუხისმგებლობის საკითხი დასმულიყო... არადა, იმდენი დარღვევაა, იმდენი უგულებელყოფა კანონისა, კანონის პატივისმცემელ ქვეყანაში ქვეყნის დაქცევად რომ აღიქმება...

ჩვენ თუ გვკითხავს კაცი, აბუჩადაც კი ვიგდებთ ამ კანონსა და საერთოდ, სახელმწიფო ენას; მაგალითისათვის: „მარლბოროს“

თული წარწერა გაუკეთეს – მავნებელიაო ჯანმრთელობისათვის და ამით მოიხადეს ვალი ქართულის წინაშე!... აბსოლუტბანკის უზარმაზარ უცხოურ რეკლამას, ენათმეცნიერების ინსტიტუტს (!) თავზე რომ დაადგეს და აეროპორტიდანაც კი ჩანს, ისეთი ქართული წარწერა გაუკეთეს, შენობის წინ რომ იდგე, ძლივს შეამჩნევ...

ამას ვთვლით კანონისა და სახელმწიფო ენის აბუჩად აგდებად... არას ვამბობთ იმ შემთხვევებზე, საერთოდ რომ არავის მიუქცევია ყურადღება ქართულისათვის... ასეთი არაერთი ახალი რეკლამა გაჩნდა. ვინაა გამკითხავი?

რისთვის მივიღეთ კანონი? ვილაც ჩინოვნიკი აიღებს ქრთამს და იმასაც, რეკლამის პატრონსაც, როგორც ილია იტყოდა, კანონი „ფეხზე ჰკიდია!“

დაინერა არაერთგზის, მზადდებაო კანონი სახელმწიფო ენის შესახებ. ამ გამოცდილებით, მიაქცევს ვინმე ყურადღებას მას? რამდენი კარგი კანონია ასე მკვდრადშობილი? ენის კანონიც დაბადებამდე გარდაიცვალა...

და დაგვრჩა ქართული ენა ხელისუფლებისაგან მივიწყებული. საქართველოს მოქალაქეებისაგან უგულუბელყოფილი... დარჩა ღვთისა და თითო-ოროლა ორგანიზაციისა თუ კაცის ანაბარა...

მძიმეა ყოველივე ამაზე ფიქრი ახლა, ათასწლეულის მიწურულს, გულს უფრო ის გვიკლავს, რომ გავიგებთ და წავიკითხავთ, თუ როგორ ზრუნავენ თავიანთ დედაენაზე ჩვენზე გაცილებით მრავალრიცხოვანი ერები. ახლა რომ ხშირად მოჰყავთ საფრანგეთის მაგალითი – ეროვნება ჩაენეროს თუ არა ჩვენს დოკუმენტებში, იმას რად ივინყებენ – როგორ ეპყრობიან ფრანგები ყოველივე იმას, რასაც ფრანგული ჰქვია – ენას, მუსიკას, ზოგადად კულტურას... ენობრივი პოლიტიკის ფრანგულ მაგალითზე ჩვენს ჟურნალშიც ვწერდით (№ 1,2, 1998 წ.).

შევგშურდა, როცა წავიკითხეთ, თუ ესპანეთის სამეფო აკადემია რა ღონისძიებებს ატარებს ესპანური ენის დასაცავად... ღონისძიებათა მთელი სისტემა იცავს, თურმე, იაპონურ ენას ინგლისურის

ქართული  
ენის  
მეცნიერება

შემოტევისაგან... და ასე შემდეგ...

1999 საპარლამენტო არჩევნების წელია, თუ ნინა საარჩევნო წლებს გავიხსენებთ, აქტიურობას უნდა ველოდეთ... სამწუხაროდ, დედაენისათვის ზრუნვა კამპანიურ ღონისძიებად იქცა... მაგრამ ვინ დაეძებს, ოლონდ გაკეთდეს რაიმე, ოლონდ მოგვარდეს საქმე, ოლონდ გასწორდეს გამრუდებული...

მალე აპრილი მოვა, 14 აპრილი და კვლავაც ვიზეიმებთ ქართული ენის დღეს.

ღმერთმა ქნას, გვეზეიმებოდეს!...

*ჟურნალი „ბურჯი ეროვნებისა“, №1-2, 1999.*



## ქართული ბაზეთის წასაკითხად საქმარისია ქართულის ცოდნა?

ჩვენს პრესაში ქართული ენის სინმინდის დაცვის პრობლემები თანდათან მრავლდება. არასწორ ფორმათა სიჭარბე, სამწუხაროდ, აღარავის უკვირს. გრამატიკული, ორთოგრაფიული თუ პუნქტუაციური შეცდომები აღარავის ეუცხოება. ხშირად შენიშვნას ღიმილით ისმენენ... კორექტურული შეცდომები ჩვეულებრივ მისატყვევებელ ცოდვად ითვლება; ხშირად კომპიუტერს დავაბრალებთ ჩვენს დაუდევრობას... და ესეც ჩვეულებრივ ამბად იქცა...

ერთი საკმაოდ სერიოზული საფრთხე ინერგება ჩვენს პრესაში: უცხოური სახელწოდებები, დასახელებები, მთელი წინადადებებიც კი ხშირად უცხოური შრიფტითვე უთარგმნელად და განმარტების გარეშე გამოაქვთ ქართულ ტექსტში. თუ ვერ თარგმნიან და ვერ აქართულებენ, ეს ერთი უბედურებაა. თუ არ მიიჩნევენ ამას საჭიროდ, ეს – მეორე. არადა მკითხველმა რამდენი ენა უნდა იცოდეს, ქართული გაზეთი რომ ნაიკითხოს?

ხშირად ეს ფაქტი დაუდევრობისა და დედაენისადმი უპატივცემულობის გამოვლენა რომ არის, იქიდან ჩანს, რომ ერთი და იგივე სიტყვა ინერება ერთსა და იმავე ტექსტში ქართულადაც და უცხოურადაც, ვთქვათ „მერსედესი“ და „Mercedes“...

უკონტროლოდ მომრავლებულ ჟურნალ-გაზეთებში ეს ფაქტია, მაგრამ ჩვენს გულისტკივილს ის ინვევს, რომ მრავალენოვანი ტექსტები გვხვდება ისეთ გაზეთებში, როგორიცაა „კვირის პალიტრა“ და „ახალი ეპოქა“ – სხვებთან შედარებით სერიოზულ გამოცემებში. დიდად დასანანიია, მაგრამ ფაქტია...

მაგალითისათვის თითო ნომრიდან ნიმუშებს მოგანვდით.

„კვირის პალიტრა“ (№51, 348, 2001)

ვიდეო ჩანაწერი ტელეკომპანია HTB-ით უჩვენებს...

ერთობლივ პრესკონფერენციაზე BAT-ის პარტნიორებმა...

VOLVO სერიოზულ მოდელებს...

ახალი მოდელები BMW-I კორპორაციისაგან...

ახალ მოდელში კი Williams-ის ჯგუფის...



მას ნამდვილად არ გაუჭირდება თავის კატეგორიაში აღიარებული ფავორიტების – Mercedes CLK-ს Jaguar XK8-ისა და თვით Porsche 911-თვის კონკურენციის განევა...

ამერიკაში მოქმედებს სტანდარტი FMVSS 208 და 214...

„ახალი ეპოქა“ (№100, 2001)

ვინ დათვალოს NBA-ში ქართველები...

ცეკტიშვილი თითქმის NBA-ელია...

"Mortiy Crue"-ს დრამერის პრესმდივნის განცხადებით...

მომღერალს ჯგუფ "The CHillons"-ის სიმღერის "She's So Fine" მთავარი თემის მითვისებას აბრალებენ...

ჰარისონის ცნობილი – My Sweet Lord – ახლებური ვერსია...

BMW, ROVER, Land Rover, MG, MiNi-ს გენერალური იმპორტიორი საქართველოში...

NATO-ს გენერალური მდივანი...

მსოფლიო ბანკისა და USAID-ის ნარმომადგენლობამ...

*ურნალი „ბურჯი ეროვნება“. №1-2, 2002.*



ბრეშენვიდან კოკა-კოლამდე  
ქართულ ანბანზე ბა(ლა)ვლით

*რეკლამა რომ საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი აუცილებელი ატ-რიბუტია, ამაზე არაფერს დავიწყებ. ბოლო წლებში თვალს იმასაც შევჩ-ვია, რომ ყველა თავისუფალი ადგილი, ყველა თავისუფალი კედელი, ყოველი შენობის თავი თუ ბოლო, ძირითადად, ორი სახის რეკლამამ დაიკავა: სივარული, სახმელი... ქალაქმა იერი იცვალა და, რაც მთავა-რია, დაკარგა ქართული სახე.*

უამრავი უარყოფითი უპიტიეტი გამოიყენება ათიოდე წლის წი-ნანდელი ნყოფისათვის (არგასახსენებელი, ავად მოსაგონარი...), მა-გრამ დავფიქრდეთ ერთი წუთით: იმ დროს ქართულ ქალაქს ჰქონდა თუ არა ქართული სახე? გაბედავდა ვინმე ასეთ თვითნებობას? ვნერდით ერთხელ: ბარნოვის ქუჩაზე ერთ ლამაზ ეზო-სახლს წარ-წერა ჩინურ და ინგლისურ ენებზე აქვს. თბილისში, ვაკეში, რა ორგა-ნიზაციაა, ეს რომ გაიგოს ქართველმა კაცმა, ან ჩინური უნდა იცო-დეს, ან ინგლისური! ბედის დაცინვა უარესი იქნება? მწარე სიმარ-თლემ ათქმევინა კახელ კაცს ან უკვე ანეკდოტად ქცეული - თბი-ლისში რა მინდა, ინგლისური არ ვიციო... ვიცინოთ ამგვარ ანეკდო-ტებზე თუ ვიტიროთ? ამას წინათ, ჟურნალი „ბურჯი ეროვნებისა“ წერდა (№ 11-12, 1998, გვ. 2) რომ, თურმე *იაპონურ ენას ღონისძიებათა მთელი სისტემა იცავს ინგლისურის შემოტევისაგან.*

თურმე, ესპანეთის სამეფო აკადემია შემთოფებულა იმის გა-მო, რომ ესპანურ ენას ემუქრება საშიშროება. პრესისა და ტელევი-ზიის მეშვეობით ენაში შემოდის ინგლისური და ამერიკული სიტყვე-ბი, ასევე საფრთხეს უქმნის ენის სინმიხდეს რეკლამები, ეტიკეტები, განცხადებები იმ ენაზე, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას არ ესმის" („კვირის პალიტრა“, 21-27 დეკემბერი, 1998). დიდად საგუ-ლისხმო ფაქტებია. როცა მრავალმილიონიანი იაპონური და ესპანუ-რი საზოგადოება ისე დააფიქრა თავიანთი ენების ბედმა, ჩვენ რა-ტომ ვართ გულხელდაკრეფილნი? 14 აპრილს რომ გულზე ხელს ვი-ცემთ და დიდი და პატარა ვიბრალბებ 1978 წლის ამბავს, აქაოდა ის-

ტორიას ჩვენი ღვანლი არ გამოორჩესო, 14 აპრილიდან 14 აპრილამდე ვის ადარდებს, ვის აფიქრებს ქართული ენა?

დავწერეთ ერთხელ და გავგიჯავრდნენ, როგორ აკადრე მავანსა და მავანსო, მაგრამ ფაქტია: ნებისმიერი არჩევნების წინ მრავლად არიან ქართული ენის გამხსენებლები, დიახ „გამხსენებლები“, მაგრამ არა მის ბედზე მზრუნველნი...

არა და არ შეიქმნა რაიმე საკანონმდებლო აქტი, რომელიც საქართველოს ყოველი მოქალაქის პასუხისმგებლობასა და მოვალეობას განსაზღვრავდა სახელმწიფო ენის მიმართ.

თუმცა, რაც მივიღეთ, ის სრულდება? ვგულისხმობ კანონს რეკლამის შესახებ. მისი ერთ-ერთი პარაგრაფი გავიხსენოთ:

„მუხლი 4.

2. რეკლამა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება სახელმწიფო ენაზე. ეს მოთხოვნა არ ეხება იმ გადაცემებსა და გამოცემებს, რომლებიც ვრცელდება სხვა ენაზე. ხოლო საქართველოში განთავსებული, სხვა ენაზე რეგისტრირებული სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის (ლოგოტიპის) მფლობელს ევალება მისი ტრანსლიტერაციის წესით გადმოცემა ქართულ ენაზე“.

თითქოს, ყველაფერი გარკვევით და რიგიანადაა ნათქვამი, მაგრამ რად გინდა, ვინ უსმენს?! გადით ქალაქში (და არა მხოლოდ ქალაქში, ქვეყანაში) და დარწმუნდებით, რომ ამა თუ იმ რეკლამის პატრონს შენი კანონი არად მიაჩნია, იმას არ ადარდებს, არ აინტერესებს არაფერი ეროვნული, მაგრამ სადაა ის, ვისაც ამ კანონის შესრულებაზე პასუხისმგებლობა ევალება? სხვაგვარად: ვინც პასუხი უნდა მოსთხოვოს მავანსა და მავანს ამ კანონის მოთხოვნათა უგულებელყოფაზე? არც იმას აინტერესებს ქართულის საქმე და ესაა უბედურება.

ჩანს საქმეში ფულიც ერევა და...

ამას წინათ პარლამენტის სხდომაზე ითქვა, მოსახლეობა რომ გაჩუმებულიყო, „მაკდონალდსის“ მშენებლებმა 3000-3000 დაურიგესო („ფულის ერთეული არ დაასახელეს). ეს ხომ ქრთამია? ეს იცის პარლამენტმა და არ რეაგირებს? იქ, იმ სხდომაზე, ისიც ითქვა, ტყუილად ვტყვხთ აჟიოტაჟს, უკანონოს დავარქმევთ თუ კანონიერს, ის მშენებლობა მაინც გაგრძელდებაო. ასე აგიხდეთ ყოველივე კარგი... პოდა, ჩვენ იმაზე ვმსჯელობთ, რეკლამის კანონი რატომ არ სრულ-



დებო!.. ზედმეტად გულუბრყვილო ხომ არ ვჩანვართ დღევანდელი ჩვენი რეალობის შემყურენი? არადა იმ კანონში ასეთი რამეც წერია: „**მუხლი 24. 1. რეკლამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისათვის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს (რეკლამის დამკვეთებს, მწარმოებლებსა და გამავრცელებლებს) ეკისრებათ პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად**“. ეს კანონი ძალაში 1998 წლის 8 მარტს შევიდა. ვინმეს რაიმე პასუხისმგებლობა რომ დაკისრებოდა, მე არ გამიგია, თქვენ?

ესპანური ენის წინაშე მდგომი პრობლემების მოგვარებას თურმე ესპანეთის მეცნიერებათა აკადემია უდგას სათავეში. ჩვენთან? მეცნიერებათა აკადემიას საამისოდ არ სცალია. თუ როგორ ფიქრობს და ზრუნავს ქართულ ენაზე ქართველ მეცნიერთა აკადემია, ამის ნიმუში თუნდაც ისაა, რომ ქართული ენა მის სპეციალობათა ნუსხაში არა ჩანს; უფრო სწორად, აკადემიის არცერთ ნამდვილ წევრსა თუ წევრ-კორესპონდენტს ეს სპეციალობა არა აქვს. არადა არცთუ დიდი ხნის წინათ იყვნენ ამ სპეციალობის („ქართული ენა“) აკადემიკოსები და წევრ-კორესპონდენტები. ამაზეც ითქვა და დაინერა, მაგრამ პასუხის გაცემაც კი არავინ ისურვა...

ვიცი, რომ არსებობს ქართული ენის სახელმწიფო კომისია, ვიცი, რომ არსებობს ენის სახელმწიფო პალატა, მაგრამ მე კონკრეტულ ფაქტებზე ვსაუბრობ და ამ სტრუქტურათა არსებობა ამ სფეროში არ (ან ნაკლებად) იგრძნობა. არადა, ვიმეორებ, დღითი დღე უარესდება საქმე, ილახება ქართული ენის ღირსება... ხოლო თუ როგორ ილახება ღირსება, ერთ კონკრეტულ ფაქტს მივაპყრობთ თქვენს ყურადღებას:

ვერაზე, ფილარმონიასთან, სასტუმრო „მუხის“ უზარმაზარ კედელზე, გვახსოვს, ალბათ, ბრეჟნევის ვებერთელა სურათი იყო.

ოთხმოციანი წლების ბოლოს (სამწუხაროდ, ზუსტად თარიღის დასახელება არ შემიძლია) ეს კედელი ულამაზესმა ქართულმა ანბანმა დაამშვენა. მოგეხსენებათ, ანბანი სიმბოლოა ენისა და ეს იყო კიდევ ერთი ძეგლი ქართული ენისა, რომელიც დედაქალაქს სიამოვნებას ჰგვრიდა. გამორჩეული იყო დედაქალაქის ეს კუთხე ამის გამო.

ერთ მშვენიერ დღეს გაქრა ქართული ანბანი და მისი ადგილი „კოკა-კოლას“ უსახურმა რეკლამამ დაიჭირა. სწორედ ამის თაობაზე „ბურჯი ეროვნებისაში“ გამოქვეყნდა დოც. ლ. ჭეიშვილის შეკი-

ქიმიოლოგიკურ მოლოცა მიუღებს პიზნცადეც... მწერს ივანე ჯავახიშვილი

თხვა ქალაქის იმჟამინდელი მერისადმი, ბატონი ნ. ლეკიშვილისადმი: რატომ დაიჭირა ქართული ანბანის ადგილი მხატვრულ-ესთეტიკური თვალსაზრისით უაღრესად მდარე რეკლამამ (თუნდაც კარგი ყოფილიყოს)? პასუხი არავის გაუცია. ეს კია: რეკლამის პატრონებს, ეტყობა, მართლაც ენიშნათ რეკლამის უვარგისობა და ახლით შეცვალებს, არანაკლებ უსახურით. მერე, როცა ეს რეკლამაც შეილანძლა, დაზიანდა, გაზეთ „თბილისში“ გამოვაქვეყნეთ მიმართვა ბატონ თ. ჭყონიასადმი (წერილს ხელს ვანერდით ი. ჭუმბურიძე და მე). ვთხოვდით, სანამ დაზიანებული რეკლამის შეცვლაზე იზრუნებდნენ, იქნებ ეფიქრათ და ქალაქისათვის დაებრუნებინათ ქართული ანბანი; უფრო სწორად, ქართული ანბანისათვის დაებრუნებინათ მისი კუთვნილი ადგილი. პასუხად ისევ დუმილი... და სასწრაფოდ შეაკეთეს ის რეკლამა...

ახლაბან კვლავ დავუბრუნდით თემას - ამჯერად ჟურნალში „ბურჯი ეროვნებისა“ - ისევ დოც. ლ. ჭეიშვილის წერილით (№11-12, 1998). წერილის ადრესატი ამჯერად ქალაქის მერი, ბატონი ვ. ზოდელავა იყო. ისევ თხოვნა: ასე უღვთოდ განწირული ქართული ანბანისათვის დაებრუნებინათ სასტუმრო „მუზის“ კედელი.

ამის შემდეგ მხოლოდ ერთი რამ შეიცვალა: რეკლამაზე „კოკაკოლა“ ქართულად დაანერეს.. ასე რომ, ფულმა, ფულის კეთების „ეროვნულმა“ სურვილმა შეინირა დიდებული ქართული ანბანი. რამდენი რამ ეწირება და შეენირება ასე ფულს. ნუთუ, შესაბამისი სამსახურის მესვეურები არ გრძნობენ ელემენტარულ პასუხისმგებლობას ჩვენი ეროვნული ფასეულობების დაცვისათვის. ნუთუ ფულია ყველაფერი და ქართული მხოლოდ სადღეგრძელოსთვის შემოვიწინებთ?.. ამ ფულისმკეთებელთ რომ ჰკითხოთ, ქართულ საქმეს ემსახურებიან, საქართველოს კეთილდღეობაზე ფიქრით ათენ-ალამებენ.

როგორ დავუჯეროთ, როცა მხატვრის სახლის ადგილას სავაჭრო სახლის აშენება სურთ, რუსთაველის ძეგლის გვერდით „მაკდონალდსის“ შენობა დაიდგა... ახლა ამ შენობას რუსთაველის ძეგლი, რა თქმა უნდა, ხელს უშლის და რუსთაველის მოედნიდან რუსთაველის ძეგლის აღებასაც (გადატანის მოტივით) მოისურვებენ. ნუ გავილიმებთ, აღდოგმა და ხვალეო. ჩვენში ფული ყველაფერს აკეთებს... მე ისიც მაფიქრებს, დედაენის ძეგლის ახლოს რესტორნის



აგება არ მოისურვოს ვინმემ... რომ მოისურვოს, აღუდგება ვინმე  
ნინ, დაიცავს ვინმე დედაენის ღირსებას? მოტივი, დარწმუნებული  
ვარ, აქაც იგივე იქნება: ფულია გადახდილი!..

ბატონებო, არ მინდა ვიყო პესიმისტი, მაგრამ მომეცით საბაბი  
ოპტიმიზმისა, კანონი აკანონეთ! დედაენის ღირსებას ფულიან კაცს  
ნუ შეაღაბავინებთ, სისხლითა და ოფლით მოპოვებულ თუ შენარჩუ-  
ნებულ საუნჯეს ბინძურ ფულში ნუ გავაცვლევინებთ ვილაცას...

მალე 14 აპრილი მოვა და საანგარიშო ხომ უნდა გვექონდეს რაი-  
მე...

ვიფიქროთ და ვიზრუნოთ ქართული ქალაქის ქართულ სახეზე!..

მინანერი: ამას ნინათ სტუდენტთა ერთი ჯგუფის საუბარს შე-  
ვესწარი, იმ წერილზე საუბრობდნენ, ქალაქის მერს სასტუმრო „მუ-  
ზის“ კედელზე ქართული ანბანის დაბრუნებას რომ სთხოვდნენ, აქ-  
ციას მოვანყობთ იმ კედელთან, თუ ქართულ ანბანს არ დააბრუნე-  
ბენო, – ამბობდნენ. გვჭირდება ჩვენ ახლა აქციები?

პატრონს შეიძლება უღირდეს, მაგრამ ჩვენ გვიღირს ის რეკლა-  
მა ამაღ?

დავფიქრდეთ, ბატონებო.

*ვაზეთი „თბილისი“  
23 იანვარი, 1999 წ.*

## წერა და კითხვა ქართულის საზიანოდ?

ამ ცოტა ხნის წინათ (7-9 ივნისს) ფონდის „ღია საზოგადოება – საქართველოს“ ინიციატივით გაიმართა სემინარი. იგი გათვალისწინებული იყო პროგრამით – „წერა და კითხვა კრიტიკული აზროვნებისათვის“.

პროგრამის ორგანიზატორები გვაუწყებენ (კოორდინატორი – შალვა დუნდუა, ასისტენტი – პაატა პაპავა), რომ „სოროსის ფონდის აღნიშნული პროგრამით – „წერა და კითხვა კრიტიკული აზროვნებისათვის“ ათასობით პედაგოგი იმალლებს კვალიფიკაციას აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის 18 ქვეყანაში“. თავისთავად, ამგვარ პროგრამაში ჩართვა, მისი განხორციელება, მსგავსი სემინარების გამართვა სასიკეთო საქმედ მიგვაჩნია, ოღონდ ერთმა ფაქტმა ჩაგვაფიქრა: სემინარის პირველ დღეს მთავარი თემა იყო „*კურიკულუმის შეცვლა და მასწავლებლის სერვისამდელი განათლება*“. სათაურის გაგებისათვის, ლექსიკონებში ჩახედვა გახდა საჭირო. ლათინური ენის ლექსიკონში *კურიკულუმ* ასე განიმარტება: „ასპარეზი, გზა“; *კურიკულუმ ვიტაე* – „ბიოგრაფია“. რა თქმა უნდა, არცერთი ეს მნიშვნელობა სემინარის თემის სათაურში არ შეიძლება გავიაზროთ. ლათინური წარმომავლობის ამ სიტყვას ინგლისურში სხვა მნიშვნელობა აქვს: „1. სასწავლო გეგმა, პროგრამა (სკოლაში, ინსტიტუტში, უნივერსიტეტში და ა. შ.); 2. ცხრილი, განრიგი“ (იხ. ინგლისურ-ქართული ლექსიკონი, III რვეული, C, თბილისი, 1996).

რა გამოვიდა? თურმე, საუბარი ყოფილა სასწავლო გეგმის, პროგრამის შეცვლაზე. რისთვის ან ვისთვის არის საჭირო ქართულ ენაში საუკუნეობით დამკვიდრებული ტერმინების, გამოთქმების „განახლება“, შეცვლა? სემინარის მთავარი თემის დასახელების მეორე ნაწილიც, გარკვეულწილად, გაუგებარია („მასწავლებლის სერვისამდელი განათლება“...) განა არ შეიძლება ამ აზრის ჩვეულებრივ, ქართველი მკითხველისათვის გასაგებ ენაზე გადმოცემა? რა თქმა უნდა, შეიძლებოდა, მაგრამ...

ეს არ არის ერთეული შემთხვევა. გავიხსენოთ პრესასა თუ რადიო-ტელევიზიაში აკვიატებული „თინეიჯერი“. ლამის არის, მოზარ-



დი, ახალგაზრდა, ყმანვილი, ნინველი – ეს სიტყვები დავივიწყებ...  
მიზანი?

**კურიკულუმი** – ეს სიტყვა სემინარის მასალების ერთ გვერდზე 16-ჯერ არის ნახმარი. არას დაგიდევინ სტილისტურ უხერხულობას; მთავარია, რაც შეიძლება მეტჯერ განმეორდეს, რომ თვალი და ყური გაიხედნოს და შეეჩვიოს ამ უცხო სიტყვას!.. საერთოდ, ამ სემინარის საკმაოდ მრავალგვერდიანი მასალები ძალზე ცუდი ქართულითაა დაწერილი (თუ თარგმნილი). როცა ასეთი ფართომასშტაბიანი ღონისძიება ტარდება, ქართულის რიგიანი მცოდნეც შეიძლება მოიძებნოს, რომ უხერხულობა თავიდან ავიცილოთ. თუმცა, ვისთვისაა ეს უხერხულობა? გულახდილად ვთქვათ, „კურიკულუმი“ და „თინეიჯერი“ არ არის გამონაკლისები. „უიკენდი“ და „ტელეშოპი“, „ტრანსფერი“ და „სეკვესტრი“ და უამრავი სხვა აბნევს მკითხველსა თუ მსმენელს.

ეს, რბილად რომ ვთქვათ, უგულებელყოფაა ქართული ენისა, შელახვაა ეროვნულობის უმთავრესი ბურჯის ღირსებისა... ვის სჭირდება ან რისთვის კეთდება ყოველივე ეს? რატომ არ იქცა ეს საკითხი ქართული ენის სახელმწიფო კომისიისა თუ ენის სახელმწიფო პალატის მსჯელობის საგნად? ამ კომისიისა თუ პალატის უპირველესი მისია ხომ სწორედ ქართული ენის სინმინდის, მისი ღირსების დაცვაა!...

ჩვენი ღრმა რწმენით, ეს საშური საქმეა, სასწრაფოდ მოსაგვარებელი პრობლემა: თუ დროზე არ მივხედვით, ყოველდღე შეიძლება იმდენი ნახდეს, დაშავდეს, წლები რომ დასჭირდება გამოსასწორებლად, თუკი საერთოდ, მოხერხდება გამოსწორება!...

**ქურნალი „ბურჯი ეროვნებისა“**  
**№6-7, 2000 წ.**





## მკრეხელობა ერთ კოლოფში

ფაქტია, რომ ჩვენს პატარებს მაინცდამაინც ლალი და ბედნიერი ბავშვობა არა აქვთ. ეს სამწუხარო რეალობაა და ამიტომაც მათი ცოდნის მისაღებად, მათი გონების გასაფარჯიშებლად შექმნილი ნებისმიერი გამოცემა ქებისა და ნახალისების ღირსია. მადლობლები უნდა ვიყოთ, რომ ვილაც კიდევ ზრუნავს ამისათვის. სწორედ ასეთ გამოცემად მივიჩნევ, საბავშვო გასართობი „ცხოველების ანბანი“ როცა შევნიშნე ნიგნის დახლზე. *ოთარ ყარაღლაშვილის* მიერ შედგენილი ეს სათამაშო, გემოვნებითა და მაღალპოლიგრაფიულ დონეზეა გამოცემული (გამომცემლობა „დიოგენე“).

ეს ყოველივე კარგი, მაგრამ რას ნიშნავს „ცხოველების ანბანი“ ამ შესიტყვებას მხოლოდ ასე თუ გავიგებთ: ეს ანბანი ცხოველებისაა, მათთვისაა განკუთვნილი, მათი საკუთრებაა და ა. შ. არადა, ქართულ ანბანზეა საუბარი. ნუთუ, ქართულზე ისე ავიღეთ ხელი, რომ ამგვარი ელემენტარული ფაქტის შეხსენება გვჭირდება? არ მინდა ვიფიქრო, რომ კომერციულმა მიზნებმა დაგვაგინწყა და ასეთი მწარე შეურაცხყოფა მიგვაყენებინა ჩვენი ეროვნული ღირსების ერთ-ერთი არსებითი ფენომენისათვის – ქართული ენისათვის (ანბანი ხომ ენის სიმბოლოა...).

იქნებ, არც ის არის გამართლებული, ამ სათამაშოში „ცხოველი“ ზოგადი მნიშვნელობით რომ გამოიყენება. მოზარდისათვის არ იქნება იოლი გასააზრებელი ის, *ქათამი, იხვი, ჩიტა, თუთიყუში, პანგვინა, ბუზი, ფუტყარი, ჭიამაია, ობობა* და მისთანანი ცხოველებად რომ მოიხსენიება (სპილოს, ლომის, ძროხის, ვირისა და მისთანათა გვერდით).

არც *ურჩხულია* ცხოველი. შემეცნებითი ხასიათის გამოცემაში ასეთი რამ ყოვლად დაუშვებელია. რა გამოასწორებს ამას? დაფიქრდეთ, სანამ ასეთ სათამაშოს გამოვცემდეთ... რაც მთავარია, დაგვეტოვეთ ქართველებს ქართული ანბანი!

ფურნალი „ბურჯი ეროვნებისა“  
№6-7, 2000 წ.



„ოხ, რ(ო)ღამღის, რ(ო)ღამღის?...“

კარგა ხნის წინათ თამაზ წიგნივაძემ გამოაქვეყნა წერილი „აბა დელია ვორუდელია!... ანუ: მეტი პასუხისმგებლობა“, რომელშიც ქართული სიმღერების ტექსტებზე იყო საუბარი. შევესწარი: მწერალთა კავშირთან ნიკა აგიაშვილი შეხვდა თამაზს და უთხრა: „თამაზ, ძალიან კარგი წერილი გამოაქვეყნე, მაგრამ რად გინდა, ხვალ გამოვლენ და ისევ ისე იმღერებენო“...

ქართულ ენასთან დაკავშირებით რამდენი კომისია შეიქმნება, რამდენი ახალი დადგენილობა გამოვა, სამწუხაროდ, ეს კარგა ხნის წინანდელი ამბავი გამახსენდება და ეჭვი გამკრავს, ვაითუ „ისევ ისე იმღერონ“-მეთქი.

ვთქვამ, ჩემი ეჭვი ხშირად მართლდება... გასული წლის შემოდგომაზე თბილისის მერიასი ორჯერ იყო საგანგებო მსჯელობა არაქართულენოვანი რეკლამების თაობაზე. 1995 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილებიდან: „1.3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა (ბ-ნი მ. ტყეშელაშვილი) და დიზაინის სამმართველოსთან (ბ-ნი ზ. მგალობლიშვილი) ერთად მიიღონ გადამწყვეტი ზომები სარეკლამო გაფორმების მოსაწესრიგებლად. უახლოეს დროში აღრიცხონ და შესაბამისი ფირმებისა და კერძო სტრუქტურების საშუალებით შეცვალონ რაიონში არსებული არაქართულენოვანი სარეკლამო წარწერები, აბრები, პლაკატები და ა. შ. ხოლო ახალი ფირმის შექმნისას დროულად იზრუნონ შესაბამისი სახელწოდების შესარჩევად...“

1995 წლის 24 ნოემბერს კოლეგიის სხდომაზე გადაწყდა, რომ მერიასთან შეიქმნება სახელმწიფო ენის ფუნქციონირების საზედამხედველო სამსახური. გარკვეული ვადებიც დაითქვა, თუ არ ვცდებით, 1996 წლის 1 თებერვლამდე... ახლა, როცა პირველი თებერვალი ჩავლილია, დანაებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ, საუბედუროდ, ეს დადგენილებაც ქალაქზე დარჩა.

იმედს ვიტოვებთ, რომ 14 აპრილისთვის, დედაენის დღისათვის, კვლავ გაიხსენებს მავანი და მავანი ქართულ ენას და, ალბათ, ახალ დადგენილებასაც მიიღებენ, მაგრამ ნიკა აგიაშვილის თქმისა არ იყოს, „რად გინდა, ხვალ გამოვლენ და ისევ ისე იმღერებენ...“

და მაინც ვსვამთ კითხვებს: ვინ უნდა მოჰკითხოს პასუხი მერიის დადგენილებათა შეუსრულებლობაზე? არსებობს კი რაიმე მექანიზმი პასუხისგებისა? გვაქვს კი რაიმე საკანონმდებლო აქტი, რომელიც დედაენის წინაშე დამნაშავე კაცის პასუხისმგებლობას განსაზღვრავდა? რატომ ვიღებთ ისეთ დადგენილებას, რომლის შესრულებაც არ შეგვიძლია? ვგრძნობთ თუ არა იმას, რომ ყოველმა უმოქმედო დღემ შეიძლება იმდენი დაუშაოს დედაენას, წლები დასჭირდება მის გამოსწორებას?...მსგავსი კითხვების გამრავლება შეიძლება, მაგრამ... „ოხ, როდემდის, როდემდის?...“

გაზეთი „ბურჯი ეროვნებისა“,  
მარტი, 1996 წ.

## უნდა შეიცვალოს

### განათლების კანონის ერთი სავალალო მუხლის შესახებ

განათლების კანონის პროექტის იმ მუხლში, რომელიც სწავლების ენას შეეხებოდა, ასეთი წინადადება იყო: „სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების ენა არის ქართული“, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში საგანგებო განხილვა მოხდა ამ პროექტსა (განხილვას ხელმძღვანელობდა უნივერსიტეტის პრორექტორი, პროფ. რ. გორდეზიანი) და ერთხმად აღინიშნა, რომ ქართული უნდა იყოს სწავლების ენა არა მხოლოდ სახელმწიფო, არამედ არასახელმწიფო სასწავლებლებშიც (გარდა იმ შემთხვევისა, რომელთა შესახებაც საუბარია კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტში). ამ თვალსაზრისს, რა თქმა უნდა, შესაბამისი მეცნიერული დასაბუთებაც ახლდა...

ვიფიქრე, უნივერსიტეტის აზრს ანგარიში გაენეოდა, ანდა მსჯელობის საგნად იქცეოდა...

ახლახან გამოქვეყნდა „საქართველოს კანონი განათლების შესახებ“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 17 ივლისი, 1997), სადაც ვკითხულობთ: „სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების ენა არის ქართული, აფხაზეთში – აგრეთვე აფხაზური“ (მუხლი მე-4, პუნქტი 1).

რას ნიშნავს ეს? – არასახელმწიფო საგანმანათლებლო სასწავლებლებში სწავლების ენა შეიძლება იყოს არაქართული: ე. ი. სახელმწიფო ენის პარალელურად განათლების სისტემაში ამით ვაკანონებთ არაქართულ ენას (არა აქვს მნიშვნელობა იმას, ინგლისური იქნება ეს, რუსული თუ თურქული...). გავითვალისწინოთ ისიც, რომ რაოდენობრივად ამჟამადაც (და მით უმეტეს, მომავალში) არასახელმწიფო სასწავლებელთა რიცხვი გაცილებით მეტია...

გავიხსენოთ: როცა თბილისის უნივერსიტეტი გაიხსნა, საგანგებოდ აღინიშნა, რომ ეს იყო ახალი ეტაპის დასაწყისი სალიტერატურო ენის განვითარებაში: ქართული ენა იქცა განათლების და მეცნიერების ენად. დღეს? დღეს ამ დიდ მონაპოვარს კანონის ძალით ვკარგავთ!

თურქული უნივერსიტეტის გახსნით გამოწვეული აუცილებელი ჯერ არ ჩამქრალა (პრობლემა ისევ დგას!) და ქუთაისში დაიწყო ზრუნვა ახალი საერთაშორისო ინგლისურენოვანი უნივერსიტეტის გასახსნელად (იხ. გაზეთი „ბურჯი ეროვნებისა“, №10, 1996 წ.). ცხადია, ინგლისურენოვანი უნივერსიტეტების სტუდენტები გახდებიან ისინი, ვინც საამისო ინგლისური იცის... და შეიქმნება (უკვე შეიქმნა კიდევ) ინგლისურენოვანი საბავშვო ბალები, სკოლები, კოლეჯები, რომ კადრი მოუმზადონ საერთაშორისო უნივერსიტეტს... დამერწმუნებით, საერთაშორისო (არაქართულენოვანი) უნივერსიტეტებზე ორიენტირებულთა რიცხვი უფრო მეტი იქნება, ვიდრე ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში განათლების მიღების მსურველთა!

ლოგიკური შედეგი პროცესისა ის იქნება, რომ საქართველოს განათლების სისტემაში ქართულ ენაზეც იქნება სწავლება... დაბ, ამას გვიქადის ახალი კანონი. ეს დააკანონა ახალმა კანონმა!...

ვერაფერი დამამშვიდებელ ფაქტია ის, რომ „სავალდებულოა ქართული ენის სწავლება სახელმწიფო აკრედიტაციის მქონე ყველა საფეხურის საგანმანათლებლო დაწესებულებაში“ (მუხლი მე-4, პუნქტი მე-3).

საინტერესოა, როგორია აზრი ქართული ენის სახელმწიფო კომისიისა (თავმჯდომარე ბ-ნი ე. შვეარდნაძე), საქართველოს ენის სახელმწიფო პალატისა (თავმჯდომარე ბ-ნი ლ. ღვინჯილია), საქართველოს პარლამენტის ქართული ენის ქვეკომიტეტისა (თავმჯდომარე ქ-ნი მ. გიგინეიშვილი)...

ვფიქრობთ, სასწრაფოდ და აუცილებლად უნდა შეიცვალოს მე-4 მუხლის 1 პუნქტი ამგვარად: „სახელმწიფო და სახელმწიფო აკრედიტაციის მქონე საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების ენა არის ქართული, აფხაზეთში – აგრეთვე აფხაზური“, თუ გვსურს, რომ XXI საუკუნის საქართველომ არ შეგვაჩვენოს!

*გაზეთი „საქართველო“, 23-25 ივლისი, 1997.*

## სკოლა – ჩვენი სატკიპვარი

ვინ დაურიგოს დედაქალაქელ პირველკლასელებს წიგნები და სად? აგვისტოს ბოლო კვირაში ეს იყო ყველაზე მწვავე პრობლემა.

საკითხი განიხილებოდა მთავრობის სხდომაზე, მერიაში, განათლების სამინისტროში. საქმეში ჩაერთა შინაგან საქმეთა სამინისტრო, გენერალური პროკურატურა... პოლიტიკოსები, ხელისუფლების წარმომადგენლები მართავდნენ ბრიფინგებს; წამყვანი სატელევიზიო საინფორმაციო პროგრამები სისტემატურად აშუქებდნენ ვითარებას; იმართებოდა ტელედებატები...

ამაზე სერიოზული პრობლემა ვითომ არ დგას ჩვენი სკოლის წინაშე? თუ ასე, ავშენებულვართ: მაგრამ არ არის ასე...

მე პასუხს ვაგებ ამ განცხადებაზე: ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში დღეს რომ ვითარებაა, თუ ასე გაგრძელდება, 10-15 წლის შემდეგ ჩვენი ქვეყანა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის პრობლემის წინაშე დადგება.

დიახ, ჩვენ ეს დღე მოგველის, თუ არ გამოვფხიზლდით, არ დავესერიოზულდით, საქმეს არ მივხედეთ.

რა საქმეს?

მოდით, რამდენიმე ფიქრს გაგიმხელთ: მერე ერთად ვიმსჯელოთ. ღმერთმა ქნას, მე ვცდებოდე. მაგრამ ვაი, რომ არ ვცდები!...

\*\*\*

ჩვენი ეროვნულობის ერთ-ერთი მთავარი ბურჯი ეროვნული სკოლააო, იაკობმა ბრძანა. სწორედ ეს ეროვნული სკოლა – ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაა ჩვენი უბედურების თავი და ბოლო, ჩვენი სატკივარი.

ცხადია, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა არის საფუძველი ეროვნული განათლების სისტემისა. გახსოვთ შეგონება: „თუ საძირკველი დანგრეულია, მაშინ კედლების აშენებისთვის, ყოველი შრომა დაკარგულია“! ჰოდა, ჩვენ ვსაუბრობთ მომავლის სკოლაზე... არსებული კი ინგრევა, თუ უკვე დანგრეული არ არის! არ ვაჭარბებ!

ვსვამ კითხვას:

დღეს სკოლადამთავრებულის ატესტატში შეტანილი ნიშნები ასახავს თუ არა რეალურ ვითარებას, შეესაბამება თუ არა იგი ყმა-ვილის ცოდნას? საგანთა უმეტესობაში – არა! დიახ, ჰუმანიტარული სპეციალობის სტუდენტებს რომ ელემენტარული შეკითხვა დაუსვავთ ფიზიკაში, ქიმიაში, მათემატიკაში და ა.შ. მივიღებთ სწორ პასუხს? რა თქმა უნდა, ძალზე იშვიათად, არადა, მერნმუნეთ, ატესტატში უმაღლესი შეფასება აქვთ...

ასეა არაჰუმანიტარულ სპეციალობებზეც. ოღონდ იქ ჰუმანიტარული საგნების ცოდნის პრობლემაა...

ვერ ვხედავ პერსპექტივას, რომ ეს პრობლემა უახლოეს ხანებში გამოსწორდება...

განსაკუთრებით მძიმე ვითარებაა მაღალ კლასებში. აქ სასწავლო პროცესი თითქმის ჩაშლილია. მიბრძანდით მე-10, განსაკუთრებით კი მე-11 კლასებში და დარწმუნდებით. რაც შეეხება სალამოს თუ დაუსწრებელ (იყო ასეთიც, არ ვიცი, ისევ არის თუ არა) ანდა სპეციალიზებულ სკოლებს, – ამაზე ხომ საუბარიც არ ღირს...

სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის პირველკურსელებს დავუსვით შეკითხვა: სწავლობდა თუ არა X-XI კლასებში საგანს „ქართული ენა“? აბსოლუტური უმრავლესობის პასუხი ასეთი იყო: „არ ვიცი“, „არ მახსოვს“. ყურადღება მიაქციეთ: პირველკურსელს ვეკითხები X-XI კლასების შესახებ.

ფაქტებს არ ვიგონებ, არც ვაყალბებ. ყველა ეს მასალა შენახული მაქვს.

სხვა კითხვებსაც გაგიხეღებ „გამოკვლევიდან“:

„დაასახელეთ ილია ჭავჭავაძის 10 ნაწარმოები“ (შესაბამისად, აკაკისა, ვაჟასი...). სატირლად რომ არ გვექონდეს საქმე, პასუხებსაც მოვიყვანდი...

ასეთი კითხვებიც დავსვი: რამდენი მოსწავლე იყო თქვენთან მე-11 კლასში და შეგიძლიათ თუ არა, ჩამოთვალოთ ისინი?

ანდა: რა საგნებს სწავლობდით და ვინ იყო საგნის მასწავლებელი? და მისთანანი.

სტუდენტთა (!) უმეტესობას ამ კითხვებზე პასუხის გაცემა უჭირს. რატომ? მე სასწავლო პროცესში არასერიოზულობა ვახსენებ. ეს რბილად ნათქვამია: ლამის ჩაშლილია სასწავლო პროცესი (ვიმეორებ, მაღალ კლასებს ვგულისხმობ). მავნებლობაა, ერის ლალატა



ასეთი სკოლების არსებობა...

განათლების დარგის ხელმძღვანელი მუშაკები რომ გამოდიან და ფერადად გვიხატავენ ვითარებას, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რაც სკოლა დაამთავრეს, მერე სკოლაში აღარ შეუვლიათ...

ქველ დროში, ვინმე რომ ერთ წელიწადში ორი კლასის პროგრამას გაივლიდა, ქვეყანა გაიგებდა ამას. დღეს რა ხდება? არ ვიცი. მე დამიმაღლეს, თუ მართლა არ იციან, ქვეყანაში რამდენი მოსწავლე გადის ერთ სასწავლო წელიწადში X-XI კლასების პროგრამას! რა ჰქვია ამას?!

დიდი აჟიოტაჟია ატიხილი უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე. მართალიცაა: ესაა პრობლემა აბიტურიენტებისა, მათი მშობლებისა, უმაღლესი სასწავლებლებისა.... მისაღები გამოცდების გაუქმება, უპირველესად, უმაღლეს სკოლას გაუადვილებდა ცხოვრებას... მაგრამ რა შედეგს მოგვცემდა საზოგადოდ?

მწარე რეალობაა: საგანს, რომელშიც მისაღები გამოცდა არ არის, უბრალოდ არ სწავლობს ყმანვილი, ანუ სხვაგვარად: სწავლობს მხოლოდ იმ საგანს, რომელშიც მისაღები გამოცდა უნდა ჩააბაროს უმაღლეს სასწავლებელში. ასე რომ, მისაღები გამოცდა არის იძულებითი საშუალება, მოსწავლე წიგნთან რომ მივიყვანოთ...

ჩატარდა ასეთი ექსპერიმენტი: ერთ-ერთ სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებელში გაუქმდა მისაღები გამოცდები. ლამის წერაკითხვის უცოდინარი კონტინგენტი მოვიდა. ვწერდი ამის თაობაზე ადრე. არ გაამართლა ექსპერიმენტმა...

რა ხდება? სკოლა რომ თავის სიმალლეზე იდგეს, ცხადია, ეს ვითარება არ იქნებოდა...

წარმომიდგენია, რა მდგომარეობა იქნება კერძო უმაღლეს სასწავლებელთა უმეტესობაში....

ერთიც: დიდი ხანია, ვიბრძვით იმისათვის, რომ ქართულ ენაში მისაღები გამოცდა ჩატარდეს ყველა ტიპის უმაღლეს სასწავლებელში, ყველა სპეციალობაზე. მიზანი გასაგებია: წერა-კითხვა (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით) იცოდეს სტუდენტმა!

ეს საკითხი ოფიციალურ შეკრებაზე რომ დავსვი, ერთ-ერთი სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის რექტორმა ბრძანა: ქართული რომ ჩავაბარებინო, კონტინგენტი გამინახევრდებაო და ასეთი არგუმენტი მოიტანა: განცხადებას რომ წერს აბიტურიენტი, თავის სა-



ხელსა და გვარს სანახევროდ ქართული და სანახევროდ რუსული ასოებით მიწერსო! ეს ითქვა ოფიციალურ შეკრებაზე: ვნერდით ადრე ამის თაობაზეც... და ასეთი აბიტურიენტებისაგან „სპეციალისტებს“ ზრდიან... იმ აბიტურიენტებს ატესტატში მაღალი ნიშნები აქვს... რა ჰქვია ამას?

არის თუ არა საშიშროება იმისა, რომ, თუ ასე გაგრძელდა, ნერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის პრობლემა დაგვიდგება?

ალარ გავაგრძელებ. თუ ვინმე დაინტერესდება, ამ თემაზე კვლავაც შეიძლება საუბარი. ცალკე თემაა პროგრამები, სახელმძღვანელოები, კადრები...

ასე რომ, ჩვენი სკოლა უმწვავესი პრობლემის წინაშე დგას...

მეჩვენება, ეს ნამდვილი პრობლემები რომ დაიმალოს, რაღაცას იგონებენ... უპირისპირდებიან ეკლესიას, საზოგადოებას და ამტკიცებენ, რომ აუცილებელია სკოლაში შემოვიღოთ საგანი სექსის შესახებ...

და კიდევ: ვინ დაურიგოს, სად და როდის პირველკლასელებს „დედაენა“...

მოკლედ: ვინც უნდა დაარიგოს „დედაენა“, სადაც უნდა მოხდეს ეს, ჩვენს განათლების სისტემაში სრულყოფილი სასწავლო პროცესი თუ არ აღდგება, კატასტროფის წინაშე აღმოვჩნდებით!

ღმერთმა ქნას, მე ვცდებოდე, მაგრამ, ვაი, რომ არ ვცდები!...

და კიდევ: მაქვს იმედი, ასე ბევრი სხვაც ფიქრობს და ერთად ვცდებით, რომ გამაგრდეს მორყეული ბურჯი ეროვნებისა.

*ეურნალი „ბურჯი ეროვნებისა“.*

*№9-12, 2003.*

## სადა გვაქვს სკოლა, რის რეფორმაზეა საუბარი

საქართველოში განათლება რეფორმამ გადაარჩინაო, თქვა ამასწინათ განათლების დარგის ერთ-ერთმა მესვეურმა. ის, რაც მე უნდა ვთქვა, რა თქმა უნდა, არ მოეწონება იმ ჩინოსანს და არც იმას, ვისაც სჯერა, რომ საქართველოში განათლების საქმე, უპირველესად სასკოლო განათლებისა, სწორ გზაზე დგას...

მოგეხსენებათ, რეფორმა გარდაქმნას, შეცვლას ნიშნავს. ე. ი. არსებულის, მოქმედის გარდაქმნას, შეცვლას. არარსებულის გარდაქმნა, შეცვლა არ ხდება; არარსებული იქმნება; მოდით, დავსვათ კითხვა: ვქმნით ახალ სისტემას სასკოლო განათლებისა თუ ვახდენთ რეფორმას? შეიძლება ვინმემ საკითხის ასე დასმა ახირებად ჩამითვალოს: ამდენი სკოლა, ლიცეუმი, კოლეჯი და ამ დროს რომ თქვა კაცმა, სისტემა არ არსებობსო...

დასმულ საკითხს ამ კუთხიდან შევხედოთ: 20-30 წლის წინათ (და უფრო ადრე) კაცი სკოლას რომ ამთავრებდა, ზოგადი განათლება ჰქონდა ყველა საგანში (გამონაკლისები, რა თქმა უნდა, იყო); ჩვენმა თაობამ თითქმის თანაბრად იცოდა საბუნებისმეტყველო, მათემატიკური თუ ჰუმანიტარული საგნები. იშვიათი გამონაკლისის გარდა ატესტატში შეტანილი შეფასება ობიექტურად ასახავდა მოსწავლის ცოდნას. დღეს? ვინც ამტკიცებს, რომ დღეს სასკოლო განათლების სისტემა არსებობს და თავის საქმეს აკეთებს, ამ კითხვას უპასუხოს: სანახევროდ ასახავს თუ არა ობიექტურად მოსწავლის ცოდნის დონეს ატესტატში შეტანილი ნიშნები? ვინც სკოლას იცნობს, ვეჭვობ, ამ კითხვას დადებითად უპასუხოს.

კონკრეტული მაგალითები: ჰუმანიტარული პროფილის მოსამზადებელ ჯგუფში მეთერთმეტეკლასელებს „ვეფხისტყაოსნიდან“ შევახსენე: „ორთავე ერთგან მოკლული ყველაი ათჯერ იცია, მაგრამ ავთანდილს ოცითა უფროსი დაუხოცია“ – და ვინ რამდენი ნადირი მოკლა-მეთქი. სამუნხაროდ, სწორი პასუხი ვერ მივიღე... წყლის ფორმულა ვერ დამისახელეს; ელემენტარული ცნებები არ იციან ფიზიკიდან; კონტინენტებს ვერ ჩამოთვლიან... რატომ? „ზედმეტი საგნებია“ ეს საგნები მომავალი ფილოლოგებისა თუ იურისტებისა-

თვის. და პირიქით, ჰუმანიტარულ საგნებს ზედმეტად მიიჩნევენ მომავალი ბუნებისმეტყველები. ასეთი ფაქტის მონმეტ ვიყავი. ერთმა აბიტურეინტმა გ. ლეონიძის ამ სტრიქონის მოსმენისას - „ჩალაგდნენ ყველა ჩინგისხანები“ - სიცილი ვერ შეიკავა, - ჩინგისხანი უუცხოვა და ეხამუშა. როცა ჩავეკითხე, მიპასუხა: მე სამედიცინოზე ვაბარებ და ისტორიას არ ვსწავლობო...

რატომ მომრავლდა სალამოსა და დაუსწრებელი (!) სკოლები? რაოდენობით, რა თქმა უნდა, დღის სკოლა მეტია, მაგრამ სალამოსა თუ დაუსწრებელ სკოლაში 5-6 დამამთავრებელი კლასია (თბილისის ერთ-ერთ ასეთ სკოლაში 11 პარალელური კლასი იყო წელს). და ეს მაშინ, როცა დღის სკოლებში თითო-ოროლა გამოსაშვები ჯგუფია. ფიქრობს ვინმე, რომ ამგვარ სკოლებში სწავლაა? ბავშვები ერთმანეთს არ იცნობენ. აბა, ჰკითხეთ ასეთ სკოლადამთავრებულს, თუ შეძლებს თანაკლასელების ჩამოთვლას!... ამისმა შემხედვარე კაცმა შეიძლება თქვას, ჩვენი სასკოლო განათლების სისტემა ნამდვილად სისტემააო?

ასე უკონტროლოდ და ურიგოდ უმაღლესი სასწავლებლების გახსნამ (სოფლებში გაიხსნა უნივერსიტეტები....) კიდევ უფრო შეუწყო ხელი უნიგნურობას. ვინც ლიცენზია გასცა, თუ დაინტერესდა, რა დონეა მის მიერ ხელდასმულ სასწავლებლებში? ნერა-კითხვა ყველამ იცის, ვინც ხვალ-ზეგ დიპლომს მიიღებს? ვილაცას ლუკმა-პური გაუფრინეთ და ასობით და ათასობით ახალგაზრდა დავლუპეთ; საბოლოო ჯამში - ქვეყანა!...

სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელებმა, რომელთაც მისაღები გამოცდების ჩაბარება უნევთ, საგამოცდო საგნებში ცოდნა სად მიიღეს, სკოლაში? არა, ბატონო, რეპეტიტორთან... სკოლა საუმაღლესო ცოდნას ვეღარ იძლევა.

ის ფაქტი, რომ ზოგან (მაგალითად, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში) უგამოცდოდ ხდება ჩარიცხვა, კიდევ უფრო ართულებს საქმეს. ამ შემთხვევაში მომავალი სტუდენტები იმ საგნებსაც არ სწავლობენ, გამოცდების ჩაბარება რომ უნევდათ ადრე; ამით საერთოდ ააღებინეს ხელი სასკოლო განათლებაზე.

ჰქვია ამგვარ სისტემას სისტემა? არ იციან ეს ამ „სისტემის“ მესვეურებმა? რა თქმა უნდა, იციან, მაგრამ... ატარებენ რეფორმას. რისას? ხომ არ ჯობდა, ჯერ აღგვედგინა სისტემა და შემდეგ მო-



გვეხდინა რეფორმა?

ვთქვი ერთხელ და ვიმეორებ: XX საუკუნის სკოლის ნანგრევებზე XXI საუკუნის სკოლა არ აშენდება. ჯერ რამენაირად მეოცე საუკუნის სკოლა უნდა გადავარჩინოთ. მოსწავლეს მოსწავლის, მასწავლებელს მასწავლებლის და სკოლას სკოლის სახე დავუბრუნოთ. ვიცი, არაა ეს იოლი საქმე; უფრო იოლია რეფორმაზე საუბარი...

მეტყვიან, კრიტიკა იოლიაო, საქმე თქვიო შენ... ავს ვუნოდოთ ავი და ნუ ვეცდებით, ვილაცას მოვაჩვენოთ იგი კარგად; აქედან დაიწყება ფიქრი ავის გამოსწორებაზე.

გაუკეთებელი და შეუძლებელი არაფერია; მონდომებაა საჭირო იმათგან, ვის სიტყვასაც საქმე მოჰყვება... ხელისშემშლელი პირობაც ბევრი რომ იქნება, ვიცი; უპირველესად – სოციალური თუ ეკონომიკური ვითარება.

პედაგოგთა სოციალური თუ ეკონომიკური მდგომარეობა უთუოდ ბევრ რამეს განსაზღვრავს. ასეთი ფაქტი ვიცი: თბილისის ერთ-ერთ პრესტიჟულ სკოლაში მერვე კლასის მოსწავლეთა მშობლებმა ქართულის მასწავლებელი დაიქირავეს. დიახ, მოელაპარაკენ მასწავლებელს, გარკვეულ გასამრჯელოს შეჰპირდნენ ყოველთვიურად და პედაგოგიც მუშაობს თავდადებით, აი, ისე, ძველ დროში რომ იყო... რა გამოვიდა? სანამ ელემენტარულ საარსებო პირობებს არ შევუქმნით პედაგოგებს, ნურც ველოდებით საქმისადმი თავდადებულ დამოკიდებულებას. „ცარიელი“ ენთუზიაზმის დრო წავიდა. ერთი პედაგოგი „ენამახვილობდა“, გოგებაშვილი კი არა ვარ, უფასოდ ვამეცადინო ბავშვებიო...

იცის ეს ხელისუფლებამ, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არა აქვს.

ამგვარმა ვითარებამ მახინჯი ფორმებიც დაამკვიდრა მასწავლებელ-მოსწავლის ურთიერთობაში. მოსწავლე იძულებულია საკუთარ მასწავლებელთან შინ იაროს, გადაიხადოს გარკვეული თანხა, რომ სემესტრის ბოლოს სასურველი ნიშანი მიიღოს. გულდანყვებითი გოგონას საუბარს შევესწარი: მე სახლში რომ ვერ ვიარე მასწავლებელთან, კარგი ნიშანი იმიტომ არ დამინერაო (მასწავლებლის არაობიექტურობას უჩიოდა მეხუთეკლასელი). საუბედუროდ, უმაღლეს სასწავლებლებშიც მოიკიდა ფეხი ამ მანკიერმა პრაქტიკამ: სემესტრის ბოლოს საკუთარი სტუდენტების რეპეტიტორობამ (რა თქმა უნდა, უანგაროდ არ ხდება ეს!...).

დანაშაულებრივი მოქმედებაა, ვიმეორებ, ასე მომრავლებული საღამოსა და დაუსრნებელი (!) სკოლები; კორუფციის, ზნეობრივი დეგრადაციის გზაა ეს!

დანაშაულებრივი მოქმედებაა ასე მომრავლებული „ექსტერნად სკოლის დამთავრება“. ამ საკითხზე შეკითხვა გამოვაქვეყნე, მაგრამ, რა თქმა უნდა, ადრესატი (ვინც განაგებს ამ „საქმეს“) დუმს. რას აკეთებს განათლების სამინისტრო? რატომ უწყობს ხელს მასობრივი უნიგნურობის გავრცელება-დამკვიდრებას? განა არ იციან, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების გამოსაშვები გამოცდები ფორმალური გამოცდებია? რამდენმა პროცენტმა დაწერა დამოუკიდებლად ქართულის გამოცდაზე თემა? რამდენმა პროცენტმა შეძლო გამოეყვანა საგამოცდო ამოცანები მათემატიკის გამოცდაზე? რა თქმა უნდა, ძალიან ცოტამ. რატომ ვხუჭავთ ამაზე თვალს? და ამის შემყურე და პატრონი რეფორმაზე ვსაუბრობთ, მომავლის სკოლაზე! სადაა დღევანდელი სკოლა? იშვიათი გამონაკლისის გარდა, ეს ასეა... იშვიათი გამონაკლისი, საბედნიეროდ, არსებობს, მაგრამ იგი ვერ შექმნის ამინდს.

*ვაზეთი „კომენტარი“, № 3, 1997.*

## რომელ ატმოსტაფიაზეა საუბარი?

იაკობ გოგებაშვილი წერდა, ერის თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და აღორძინებისათვის ერთ-ერთი უმთავრესი ბურჯი ეროვნული სკოლააო. ეს თვალსაზრისი სადავოდ არავის გაუხდია და ხშირად მოვიშველიებთ ხოლმე, როცა ეროვნულ თემაზე საუბრის სურვილი გაგვიჩნდება, მაგრამ თვით ეროვნული სკოლის მდგომარეობისათვის ყურადღება ნაკლებად მიგვიქცევია.

ასრულებს კი დღეს ეროვნული სკოლა იმ ბურჯის მნიშვნელობას, რომელსაც XXI საუკუნის საქართველო უნდა დაეფუძნოს?

უპირველესად იმ ფაქტს უნდა მიექცეს ყურადღება, რომ მორავლდა არაქართულენოვანი საბავშვო ბაღები, სკოლები, ლიცეუმები, კოლეჯები და უნივერსიტეტებიც კი! ყოველივე ეს ეროვნული სკოლის ფუნქციონირების შეზღუდვას იწვევს. ეს გზა ქართველობას სიკეთეს მოუტანს? უდავოა, რომ არა. შეიძლება თუ არა, წავუყროთ ამ ფაქტს და მივუშვათ თვითდინებაზე! რა თქმა უნდა, არა, მაგრამ ვინაა გამკითხავი, ვინაა პატრონი...

რა მდგომარეობაა ეროვნულ სკოლებში? მასწავლებელთა ატესტაციის დებულებაში მასწავლებელთა ცოდნის დონის შემოწმების ერთ-ერთ პარამეტრად მოსწავლის ცოდნის დონე ითვლება. ნორმალურ ვითარებაში ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ დღეს ჩვენი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უმრავლესობაში ამგვარი პარამეტრის მიხედვით მასწავლებლის შეფასება აბსურდად მიმდინიანია. და აი, რატომ: ფაქტობრივად, მაღალ კლასებში და განსაკუთრებით, დამამთავრებელ კლასში, პროცესი თითქმის ჩაშლილია. ასამდე მეთერთმეტეკლასელი გამოვკითხეთ. ზოგი საერთოდ არ დადის სკოლაში, ზოგს ავალდებულებენ კვირაში ერთხელ შეიაროს, ზოგსაც – თვეში ერთხელ მიუწევს სკოლისაკენ გული... მხოლოდ რამდენიმე პასუხი იყო გამონაკლისი. დიახ, გამონაკლისი იყო ის, რომ მოსწავლე ყოველდღიურად დადიოდა სკოლაში, მაგრამ, ყველა მათგანისთვის ცოდნის მიღების ერთადერთი გზა კერძო რეპეტიტორია და კიდევ: სწავლობენ მხოლოდ იმ საგნებს, რომელთა ჩაბარებაც მოუწევთ უმაღლეს სასწავლებელში. ასე რომ, ჰუმანიტარული პროფილის

უმალლეს სასწავლებელზე ორიენტირებულ მოსწავლეთათვის ზედმეტია (ასე თვლიან თავად!) საბუნებისმეტყველო და მათემატიკური საგნების შესწავლა და პირიქით.

როცა ამ შეგნებით უდგებიან ზოგადსაგანმანათლებლო სწავლებას, შეიძლება კი იმ სკოლებში მოსწავლის ცოდნის დონის მიხედვით მასწავლებლის ცოდნის დონის შეფასება? და საერთოდ, შეიძლება თუ არა, ენოდოს ამგვარ სასწავლებელს სკოლა, და ამ სკოლის მუშაკებს - მასწავლებლები? დიახ, პედაგოგი, რომელიც მთელი წლის მანძილზე ერთ გაკვეთილს არ ჩაატარებს და ელემენტარულ ცოდნასაც ვერ მისცემს მოსწავლეს თავის საგანში (მაგალითად: მთავალ ფილოლოგს ფიზიკაში, ქიმიაში, მათემატიკაში...), რა ჰქვია ამას? რომელ ატესტაციასაზეა საუბარი?

რატომ არ ავტეხთ განგაშს იმის თაობაზე, რომ ასე მომრავლდნენ საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების სკოლები. ხომ ყველამ ვიცით, რომ ეს უსწავლელად და უმტკივნეულოდ ატესტატის გაცემის გზაა? რის საფასურად?!

საერთოდ, დადგება კი დრო, როცა ატესტატში შეტანილი შეფასება ობიექტურად ასახავს მოსწავლის ცოდნის დონეს?...

როგორც ვხედავთ, ერის თვითმყოფადობისა და აღორძინების უმთავრეს ბურჯს საფუძველი მოერყა. დროა, დავარისხოთ განგაშის ზარი! ხვალ უკვე გვიან იქნება...

*გაზეთი „ლიბო“ (გაზეთ „ალიას“ დამატება).*

*№ 5, 1997.*



„ქართულითა ენითა“...

გიორგი მერჩულე გავიხსენოთ: „ქართლად ფრიადი ქუეყანაა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა უამი შეინირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“. ე. ი. რაო? ენობრივი ფაქტორის როლი სახელმწიფოებრივი მთლიანობის საქმეში უმთავრესიაო. ეს იცოდნენ გიორგი მერჩულის წინაპრებმაც და შთამომავლებმაც... ეს აქსიომაა. ამას მტკიცება არა სჭირდება. მაგრამ... რა ხდება დღეს? არის კი საქართველო ის ქვეყანა, სადაც „ქართულითა ენითა უამი შეინირვის“?.. ანდა სხვაგვარად: იმ ქვეყანაში, რომელსაც დღეს საქართველოს უწოდებენ, ქართული ენა ყველგან თავის უფლებებშია? ამ კითხვას ბავშვიც გასცემს პასუხს: რა თქმა უნდა, არა! რას ვაკეთებთ იმისათვის, რომ საქმე გამოსწორდეს; სახელმწიფო ენას სახელმწიფოში თავისი ადგილი მიეჩინოს?..

ამას წინათ ენის სახელმწიფო პალატის თავმჯდომარე მთავრობის სხდომაზე ჯავრობდა: მინისტრები აბუჩად იგდებენ ქართულ ენასო... მერე? არაფერი. ითქვა და გათავდა...

სხვა ქვეყნებშიც უჭირდა სახელმწიფო ენებს, მაგრამ ვისაც სურვილი ჰქონდა, საქმე მოაგვარა. როგორ? ერთ-ერთი მთავარი ისაა, რომ კანონი მიიღეს სახელმწიფო ენის შესახებ: საკანონმდებლო აქტები შექმნეს... ჩვენ? ჩვენთან დიდი ხანია პროექტი არსებობს კანონისა... არადა, ყოველდღე რომ საქმე ფუჭდება, ხომ ვხედავთ?! როგორც ჩანს, ვერ ვხედავთ! ანდა არ გვსურს რომ დავინახოთ! რატომ? ვის წისქვილზე ვასხამთ წყალს? საქართველოს ტერიტორიის დიდ ნაწილზე ქართული სიტყვა რომ არ ისმის, რას ვაკეთებთ საიმი-სოდ, რომ იქაც ქართული გაისმას? მეტიც, სადაც ქართული ქართულობდა, იქაც რომ იკარგება? სამურზაყანო მაქვს მხედველობაში...

მოდით, ჯერ სხვებს მოვუსმინოთ და მერე ჩვენი ვთქვათ...

ყურნალი „ბურჯი ეროვნებისა“  
№8-9, 2001 წ.





სამურზაყანოში ქართული უცხო ენად გამოაცხადესო

*თამაზ ხმალაძე:* ახალი სასწავლო წლის დაწყების წინ კვლავ მთელი სიმწვავეით დგას სამურზაყანოში - გალის რაიონების სკოლებში ქართული ენის სწავლების, საერთოდ, ქართულ ენაზე სწავლების საკითხი. გასულ წელს რამდენიმე სიუჟეტი მივუძღვევინით ამ თემას. ერთ-ერთ გადაცემაში მოწვეული გვყავდა ჟურნალ „ბურჯი ეროვნებისას“ გამომცემელი და მთავარი რედაქტორი, პროფესორი გიორგი გოგოლაშვილი. ბატონი გიორგი დღეს კვლავაც ჩვენი სტუმარია. მოდით, ბატონო გიორგი, გავიხსენოთ, რა პრობლემაზე ვსაუბრობდით შარშან და ვნახოთ, რა ვითარებაა დღეს!

*გიორგი გოგოლაშვილი:* გასული წლის ზაფხულში გავრცელდა ცნობა იმის თაობაზე, რომ ოფიციალური სოხუმი წინააღმდეგი იყო გალის რაიონის სკოლებში ქართულ ენაზე სწავლებისა. სოხუმის განათლების სამინისტრო, ასე ვთქვათ, კეთილ ნებას იჩენდა და აცხადებდა, რომ არ იყო წინააღმდეგი გალის რაიონის სკოლებში ქართველ ბავშვებს ესწავლათ ქართული ენა და ლიტერატურა ქართულ ენაზე, მაგრამ, საერთოდ, სწავლების ენა რუსული უნდა ყოფილიყო.

*მ. ხ. გავიხსენოთ ისიც,* რომ მაშინ საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი, ბატონი მალხაზ კაკაბაძე შეხვდა სოხუმის განათლების მინისტრს ბესლან დბარს, მაგრამ ამ შეხვედრამ შედეგი არ გამოიღო. დაინერა, რომ „გალის სკოლებში რუსულ ენაზე სწავლების ქართულით შეცვლა დაუშვებლად მიიჩნია ოფიციალურმა სოხუმმა“. ითქვა ისიც, რომ ადრე ცნობილი „ბოევიკი“, იმჟამად გალის რაიონის განათლების განყოფილების გამგე მზია აგუშავა მკაცრად ადევნებს თვალს და, ყოველგვარი „დარღვევის“ გამოვლენის შემთხვევაში, დაუნდობლად უსწორდება „დამრღვევს“.

*ბ. ბ. იგულისხმება,* რომ „დამრღვევი“ არის ის ქართველი მასწავლებელი: რომელიც ქართველი ბავშვის განათლებას ქართულად მოისურვებს... აგერ, ერთ ადგილს ჩავიკითხავ გასული წლის სექტემბრის „კვირის პალიტრის“ პუბლიკაციიდან: „ამ სკოლებში, სადაც რუსულ ენაზე მიმდინარეობს სწავლება, მოსწავლეებიც და მას-



ნავლებლებიც მეტად რთულ მდგომარეობაში ხვდებიან. მათ არ მოეპოვებათ სათანადო სახელმძღვანელოები და პედაგოგს სახელდახელოდ უნევს ამა თუ იმ გაკვეთილის ქართულიდან რუსულად თარგმნა. მოსწავლე ვერ გებულობს საყველპურო რუსულით ახსნილ გაკვეთილს, აქ შველად და ხსნად მეგრული ენა ევლინებაო. ისე რომ, აფხაზურ და რუსულ ენებზე მეტად აფხაზურ სკოლებში მეგრული ჭრის" (კვირის პალიტრა, №37, 2001). ეს რა შედეგს მოგვიტანს, ნათელია.

*მ. ბ. შედეგებზე როცა ვსაუბრობთ, ცხადია, ვგულისხმობთ განათლების დონესაც და პოლიტიკურ შედეგებსაც.*

*ბ. ბ. ცხადია, ბატონო თამაზ, ყოველი ნაბიჯი გათვლილია. ის აფხაზი, ქართველს ქართულ ენაზე სწავლებას რომ უშლის და მეგრულს ნაუყრუებს, ხომ ნათელია, რატომ იქცევა ასე. გავიხსენოთ რუსული იმპერიული ენობრივი (თუ ეროვნული) პოლიტიკის ერთი ფაქტი: ამბობდნენ და ამბობენ, ნერდნენ და ნერენ: აფხაზეთში ცხოვრობენ ქართველები, მეგრელები, სვანები და სხვა. გალელ ქართველებს ეუბნებიან: ქართველები არიან ჩვენი მტრები, თორემ მეგრელებთან რა გვაქვსო გასაყოფი... არ აძლევთ მათ ხელს მეგრელთა ქართველობა...*

*მ. ბ. მეტად მძიმე პრობლემაა, ბატონო გიორგი, მაგრამ ამჯერად ჩვენ მიერ დასმულ საკითხს რომ არ მოვწყდეთ, ისევ სწავლების ენას დავუბრუნდეთ. რა შეიცვალა ამ ერთი წლის მანძილზე? არის თუ არა სასიკეთო ძვრები ამ სფეროში?*

*ბ. ბ. გახსოვთ, ბატონო თამაზ, იმ თქვენს გადაცემებში ერთერთმა ხელმძღვანელმა მუშაკმა გვისაყვედურა კიდეც, ასეთ საკითხებს ხმამაღლა საუბარი არ სჭირდებაო. კი, ბატონო, ჩვენ არ ვისაუბრებთ ხმამაღლა, მაგრამ, ასე ვთქვათ, საქმე თუ კეთდება, „ხმადაბლა“? მოგვარდა ან გვარდება ეს საქმე? ახლახან ისევ გაზეთ „კვირის პალიტრაში“ ასეთი ინფორმაცია გაჩნდა: „კვლავ გადაუჭრელ პრობლემად რჩება გალის რაიონის სკოლებში მშობლიურ ენაზე განათლების მიღება, ქართული ენისა და ლიტერატურის სრულფასოვანი სწავლების საქმე. გალის რაიონში ათასობით ქართველი ბავშვია, სკოლებში კი სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობს და ქართულ ენას უცხო ენის კვალიფიკაცია აქვს მინიჭებული. არადა, ახლოვდება სექტემბერი, პრობლემა კი ჰაერშია გამოკიდებული“ –*

(„კვირის პალიტრა“, №29, 2002).

*მ. ხ.* ეტყობა, მტერი (დავარქვათ ყველაფერს თავისი სახელი) გეგმაზომიერად მუშაობს, გამიზნულად მოქმედებს.

*ბ. შ.* ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევს წინ თავისი მიზნისაკენ; მიზანი კი ჩვენთვის სავალალოა: ათასობით ქართველ მოზარდს დედაენას აცლიან ხელიდან. მან ძალიან კარგად იცის, რომ თუ ბავშვი მშობლიურ ენაზე არ აღიზარდა, არ იქნება ის ღირსეული ქართველი.

*მ. ხ.* არა მხოლოდ „ღირსეული ქართველი“, ქართველი არ იქნება საერთოდ! „რა ენა ნახდეს, ერიც დაეცეს“ – ეს მარადიული შეგონება, მგონია, რომ არცერთი ერისა და ენის მიმართ არ ავლენს ისე თავის ჭეშმარიტებას, როგორც ქართულისა და ქართველის მიმართ.

*ბ. შ.* გეთანხმებით, ბატონო თამაზ. მაგალითისათვის სოჭის მხარისა და ყიზლარ-მოზდოკის ქართველობის გახსენებაც იკმარება; აღარ იციან მათ ქართული, გვარებილა შემორჩათ მამაპაპური, ესაა და ეს... რაც მთავარი, ცნობიერება დაკარგეს ქართული... აქეთ მიდის ის გზა, აფხაზი სეპარატისტები რომ მიგვიძღვებიან...

*მ. ხ.* გახსოვთ, ალბათ, წელს ქართველი პარტიზანები იმუქრებოდნენ, ვალში თუ არ აღდგება სწავლება ქართულ ენაზე, დაწვავთო სკოლებს. მაშინ ვთქვით და ახლაც ვიმეორებ: ეს არ არის პრობლემის მოგვარების გზა, მაგრამ რა კეთდება იმისათვის, რომ ასე არ დაისვას საკითხი?

*ბ. შ.* ნაყრუებამ და „იმას არ ეწყინოს“ – პოლიტიკამ მრავალჯერ დაგვლუპა და ახლაც ეს დღე გველის.

*მ. ხ.* მოკლედ, რა ეშველება ამ საქმეს? თქვენი აზრით, არის კი გამოსავალი?

*ბ. შ.* რომ ვთქვათ, აფხაზეთის დაბრუნების შემდეგ მოგვარდება საქმეო, სწორი იქნება, მაგრამ შეიძლება მაშინ უკვე ძალიან გვიან იქნეს... აფხაზეთის დაბრუნება არ ჩანს უახლოესი მომავლის ამბავი. არადა, ისეთი ტემპით მიდის განათლების სისტემაში რუსული ენის დამკვიდრება, მერე ქართულ ენაზე სკოლების გადაყვანა შეიძლება აღარც მოხერხდეს.

*მ. ხ.* ამ შემთხვევაში, ალბათ, საერთაშორისო საზოგადოების ჩარევაა საჭირო, იქნებ როგორმე მათმა ძალისხმევამ დააბრკოლოს არასასურველი პროცესის განვითარება, ხელი შეუწყოს ქართველთა სურვილს, რომ ქართველმა ბავშვმა შეძლოს მშობლიურ ენაზე გა-



ნათლების მიღება.

*ბ. ბ. ბატონო* თამაზ, თქვენ საერთაშორისო საზოგადოებები ახსენეთ. რა კეთდება იმისათვის, რომ ეს ამბავი მათ ყურამდე მივიდეს? პირადად მე ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ პირიქით, ვცდილობთ, ეს არავინ გაიგოს.

*მ. ბ. ამიტომ გვითხრა* იმ ჩინოვნიკმა, ასეთ თემებზე ხმამაღლა არ საუბრობენო?

*ბ. ბ. ეგ ერთი. მოდი*, ასეთი ფაქტიც გავიხსენოთ – დაინერა ამის თაობაზე. ჩავიკითხავ ამონაწერს: „ეს მოხდა 1994 წელს. სამშვიდობო ძალები აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩააყენეს და მათი ერთი ნაწილი თაგილონის ერთ-ერთ სკოლაში დაბანაკდა. ამ ნაწილის მეთაურმა სკოლის ბიბლიოთეკაში ქართული წიგნები აღმოაჩინა და იკითხა: „ეს გაუგებარ ენაზე დანერილი წიგნები რას წარმოადგენსო“. ქართული სახელმძღვანელოებიო, განუმარტეს – ამ ენაზე მიმდინარეობსო სწავლა. რუსი სამხედრო პასუხით უკმაყოფილო დარჩა და, ასე არ უნდაო, ეგ ზეკუციისდროინდელ ხერხს მიმართა. თავის ჯარისკაცებს სკოლის ეზოში გამოატანინა ყველა სახელმძღვანელო, ბენზინი გადაასხა, ცეცხლი წაუკიდა და ნასიამოვნებმა დაამატა: აი, ასე მოგიხდებათ თქვენო“ („კვირის პალიტრა“, №97, 2001).

*მ. ბ. ასეთ ფაქტზე იტყვიან*, კომენტარი ზედმეტიაო, მაგრამ უკომენტარობა რა შედეგს მოგვიტანს? ამ ფაქტის გამო ვინმე დაისაჯა, ვინმემ ვინმეს საყვედური უთხრა? არა მგონია.

*ბ. ბ. მეტიც*, ამგვარ ფაქტებს საგულდაგულოდ ვჩქმაღავთ. მიაქციეთ ყურადღება: სხვა აზრი არ შეიძლება არსებობდეს, რომ წიგნის დანვა შეუწყნარებელია, რა წიგნიც არ უნდა იყოს ის. როცა ბასილ მკალავიშვილის მრევლმა იელოველთა ლიტერატურა გაანადგურა, თავისუფლების ინსტიტუტმა და მსგავსმა ორგანიზაციებმა ერთი ამბავი ატეხეს და ულტიმატუმიც კი წაუყენეს ხელისუფლებას, უცხოელმა დემოკრატებმა, ალაგმეთ მკალავიშვილი და მისი მრევლიო. კი, ბატონო, დააშავეს, რომ დანვეს; ის ლიტერატურა სამართალდამცველებს უნდა ჩამოერთმიათ მათთვის, ვინც ამ საშუალებით მართლმადიდებელი სარწმუნოების შევიწროებას ცდილობდა. ოფიციალურმა ხელისუფლებამ არ გააკეთა ეს და ინიციატივა კერძო ჯგუფმა აიღო.

*მ. ბ. ეს იგივეა*, პარტიზანები რომ სკოლების დანვით იმუქრე-

ბოდნენ, თუ ხელისუფლება არ მიიღებს ზომებსო...

ბ. ბ. დიახ, გეთანხმებით. მაგრამ მე სხვა კითხვა მანუხებს. სახალხო დამცველს, იმ ჩვენს დემოკრატიულ ინსტიტუტებსა თუ უცხოელ გულშემატიკორებს რატომ ანუხებთ ასე, თუნდაც, იელოველთა ინტერესების შელახვა და არ ადარდებთ ქართულ მინაზე ქართველთა უფლებების ფეხქვეშ გათელვა?

მ. ხ. მეტიც: ჩვენდა საუბედუროდ, დღევანდელ აფხაზეთში ქართველობა ეროვნული უმცირესობაა. მათ არ ეძლევათ მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლება. ადამიანის უფლებების შელახვა კი ამაზე მეტი კიდევ რა არის? თუ მსოფლიოს გააგებინეს, მკალავიშვილის მრევლი იელოველთა უფლებებს ლახავსო, ამის თაობაზე რატომ არ იღებენ ხმას?

ბ. ბ. ამ პარალელებში საგულისხმო ის არის, რომ ქართული ენა, ქართველთა ეროვნული პრობლემები არავის ადარდებს. შინაურიც და გარეულიც (მე ის შინაურები მყავს მხედველობაში, ვისზეც ზემოთ ვისაუბრეთ) რალაც სხვა მიზნებს ემსახურებიან.

მ. ხ. გეთანხმებით, ეს რომ ქართული ინტერესების სამსახური არ არის, ფაქტია, ამიტომ ვერ ვენდობი მათ, მაგრამ საქმეს მაინც რა ეშველება?

ბ. ბ. ჩვენ კიდევ ერთხელ შემოვკრათ განგაშის ზარი, იქნებ ვინმემ იღოს ყურად, იქნებ ეშველოს რამე წამხდარ საქმეს.

მ. ხ. იქნება საქართველოს ძირძველ კუთხეში, სამურზაყანოში, ქართული ენა არ გამოაცხადონ უცხო ენად, იქნებ ეშველოს გალელ ბავშვებს და მისცენ მათ მშობლიურ ენაზე სწავლის უფლება.

*ყურნალი „ბურჯი ეროვნებისა“, №9, 2002.*

## ბანბაშის ზარი

### დიალოგი მწერალ თამაზ ხმალაძესთან

თ. ხმალაძე – პატივცემულო რადიომსმენელებო, სამსუხაროდ, ყველა ქართველ ბავშვს საშუალება არა ჰქონდა, ახალ სასწავლო წელს დედაენაზე დაენყო სწავლა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. როგორც ჩვენი პრესა იუნყებოდა, ოფიციალური სოხუმი გალის რაიონის სკოლებში ქართულ ენაზე სწავლის წინააღმდეგია. სოხუმის ხელისუფლების განათლების მინისტრის განცხადებით აფხაზური მხარე გალის სკოლებში ქართულ ენისა და ლიტერატურის, როგორც საგნის, სწავლების წინააღმდეგი არ არის, მაგრამ გალის სკოლებში ყველა საგნის ქართულად სწავლებას არ დაუშვებს. მინისტრის თქმით, გალის სკოლებში ქართულ ენაზე სწავლების შესახებ მასთან საუბარი ჰქონდა საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრ მალბაზ კაკაბაძეს, რომელთან შეხვედრის შემდეგაც აღნიშნულ საკითხზე სოხუმის მთავრობის განათლების სამინისტროს კოლეგიამ იმსჯელა და გალის რაიონის სკოლებში რუსულ ენაზე სწავლების ქართულით შეცვლა დაუშვებლად მიიჩნია. მისივე თქმით, ახალ სასწავლო წელს გალის სკოლებში პროგრამით გათვალისწინებულ საგნებს, ისევე როგორც შარშან, რუსულ ენაზე ასწავლიან, ქართველი ბავშვები, როგორც საგანს, აფხაზურ ენასაც შეისწავლიან. ამასთან დაკავშირებით, პატივცემულო რადიომსმენელებო, კიდევ ერთხელ გვსურს შემოგთავაზოთ საუბარი ამ თემაზე. სტუდიაშია ჟურნალ „ბურჯი ეროვნებისას“ გამომცემელი და მთავარი რედაქტორი პროფესორი გიორგი გოგოლაშვილი.

ბატონო გიორგი, თქვენც მოისმინეთ და ალბათ ჩვენი მსმენელების უმეტესობამაც, ჩვენი წინა გადაცემის სიუჟეტი გალის რაიონის სკოლებში სწავლების საკითხებს რომ ეხებოდა, მაგრამ მაინც შეგახსენებთ ქართველი პარტიზანების განცხადების ერთ მონაკვეთს, სწორედ ამ საკითხს რომ შეეხება: „აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედ პარტიზანებს მიაჩნიათ, რომ სამურზაყანოს ქართველობა

დადგა ეროვნული და იდეოლოგიური გადაგვარების საფრთხის წინაშე, რადგან ამ რაიონში მცხოვრებ 99 პროცენტ ქართველს უკრძავენ მშობლიურ ქართულ ენაზე სწავლას. სკოლებში არ ისწავლება აგრეთვე საქართველოს ისტორია, საქართველოს გეოგრაფია. სწავლაში გამეფებულია რუსული ენა. პარტიზანებმა გადაწყვეტილი: არ დაუშვათ რუსებისა და აფხაზ სეპარატისტთა ერთობლივი მზაკვრული შორსგამიზნული გეგმების შესრულება. გალის რაიონის ადმინისტრაციამ აუცილებლად უნდა შექმნას ყველა პირობა, რათა პირველი სექტემბრიდან გალის რაიონის ძველ საზღვრებში ყველა სკოლაში აღადგინოს სწავლება იმ ენაზე, რომელიც იყო კონფლიქტამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში 10 სექტემბრიდან დაენვათ ყველა სკოლას".

ბატონო გიორგი, ჩვენ, რა თქმა უნდა, ვერავის მოვუწონებთ და ვერც მოვუწოდებთ სკოლების დანვისკენ, თუნდაც იმიტომ, რომ ეს გამოსავლად არ მიგვაჩნია. მაგრამ თავად ის ფაქტი, რომ ქართველ ბავშვებს საშუალება არა აქვთ დედაენაზე განათლების მიღებისა, ფრიად საგანგაშოა და მხოლოდ პარტიზანების გადასაწყვეტი საქმე არ უნდა იყოს.

**გ. გოგოლაშვილი** - გეთანხმებით, ბატონო თამაზ, ეს ინფორმაცია უფრო ადრეც მქონდა: თქვენი წინა გადაცემებიც მოვისმინე. მართლაც საგანგაშო ცნობაა, გეთანხმებით იმაშიც, რომ პარტიზანების განცხადების მეორე ნაწილი - რომ დანვავენ სკოლებს, თუკი ქართულად არ იქნება სწავლება - გამოსავალი არაა, საკითხს არ მოაგვარებს. ეს სიტუაციას უფრო გაამწვავებს და ისევე ჩვენ გამოვჩნდებით ცუდები - ვნვათ სკოლებს... ჩემთვის ისიც გასაგებია, რომ პარტიზანებს სხვა ძალა არ შესწევს: სხვაგვარად ამ საქმეს ვერ უშველიან.

**თ. ხ.** - თუ ეს შველაა, სკოლა დაინვება, სასწავლო პროცესი გაგრძელდება. ყოფილა ასეთი შემთხვევები, ოჯახებში გადაუტანიათ კლასები...

**გ. გ.** - ასე იქნება ამ შემთხვევაშიც, ჩემთვის ყველაზე მწარე და მძიმე იმის ფიქრია, რომ ეს არ უნდა იყოს მხოლოდ პარტიზანების საფიქრალი..

**თ. ხ.** - იქნებ არც არის და სხვებიც არიან დაინტერესებულნი. ჩვენ წელან განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი ვახსენეთ.

გ. გ. - მე რეალური საქმე მაინტერესებს: როცა ეს განცხადება ასე გახშირდა: როცა თქვენ, ბატონო თამაზ, მე თუ ჩვენს მსმენელებს ეს ამბავი უბედურად მოეჭიდა გულზე, რალაციტ დამამშვიდებდა მითხარი, შენ რომ ხელისუფლება ხარ, არ არის ასეო: ანდა რალაციტ ეშველება საქმესო. თქვენს წინა გადაცემაში ერთ-ერთი ხელმძღვანელი მუშაკი გვასწავლიდა, რომ ასეთ საკითხებს ხმამაღლა საუბარი არ სჭირდება. მაგრამ როცა ხმამაღლა გაიუღერა ამ განცხადებამ და ამ ფაქტმა, მაშინ მე ხმამაღლა უნდა მითხრა და დამამშვიდო; ძალიან სწორადაა შენიშნული განცხადებაში, რომ ეს შორსგამიზნული ნაბიჯია, როგორც ამბობენ, 80 პროცენტი მკვიდრი მოსახლეობისა გალის რაიონში დაბრუნდა; მაგრამ იმ 80 პროცენტს, ბატონო თამაზ, მათ შვილებს თუ ჩვენ ჩამოვამორებთ მშობლიურ ქართულ ენას, საქართველოს ისტორიასა და საქართველოს გეოგრაფიას, ქართულ წერა-კითხვას და არ ვასწავლით ქართულად, ეს რას ნიშნავს? ზვალ, ზეგ და მაზეგ ის მოსახლეობა გალის რაიონისა აღარ იქნება-ქართველი; შერჩებათ ქართული გვარი, ხსოვნა იმისა (თუკი შერჩათ ეს ხსოვნა) რომ ისინი იყვნენ ქართველები... ელემენტარული ქმშარიტებაა: ვინც იზრდება ქართული ენის, ქართული ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიის გარეშე, ის აღარაა ქართველი. ფაქტობრივად ხელში შეგვრჩება ისეთი „ქართველობა“, როგორიც არაერთია დღეს სეპარატისტთა მხარეზე - ისტორიულად ქართველი; ია-ზე, ძე-სა თუ შვილზე დაბოლოებულ გვარებიანი „აფხაზები“.

თ. ხ. - გენეტიკური ქართველობა აღარაა ამ შემთხვევაში გადამწყვეტი.

გ. გ. - ცნობიერებით უნდა იყოს ქართველი, აზროვნებით უნდა იყოს ქართველი, სულით უნდა იყოს ქართველი; ამის ჩაკვლას ცდილობენ ისინი და აღწევენ კიდევ მიზანს. ამის უამრავი მაგალითი ვიცით - გენეტიკური ქართველი რომ არ არის ქართველი, არც ქართველობს. აი, ამისი უნდა გვეშინოდეს. დღეს ჩვენი იურისდიქცია იმ რეგიონში არ მოქმედებს და როდის აღდგება, კაცმა არ იცის.

თ. ხ. - ღმერთმა ქმნას, მალე აღდგეს.

გ. გ. - მაგრამ, როცა ვლასპარაკობთ აფხაზეთში ღირსეულად დაბრუნებაზე და კონფლიქტის ღირსეულად მოგვარებაზე, ის, რაც ახლა ხდება გალში, უზარმაზარ პრობლემას შეგვიქმნის სამერმისოდ. თაობები გაიზრდება არაქართულად. ამ შემთხვევაში ალბათ



კითხვა დადგება, ვინ უნდა იზრუნოს, ვინ უნდა მოაგვაროს საქმე, რა თქმა უნდა, ყველა ჩვენგანმა, მაგრამ მე მეორე საკითხი მალეღვებს: რას აკეთებენ ისინი, ვისაც ამაზე ხმის ამოღება სამსახურებრივად ევალებათ, თავი დავანებოთ ამჯერად მორალურ ვალდებულებას...

ჩვენ ვსაუბრობთ უფლებების დაცვაზე. დიახ, ადამიანის უფლებებზე, პატიმრების უფლებებზე და ა. შ. მაგრამ ქართველ ბავშვებს რომ წაართვეს უფლება მშობლიურ ენაზე სწავლისა? აიძულებენ მათ, არ ისწავლონ ქართულად. ამაზე დიდი დარღვევა ადამიანის უფლებებისა რა შეიძლება იყოს. რატომ ამ კუთხით არ დავინახავთ ამ ფაქტს და არ ავტეხთ განგაშს... რატომ არ იღებენ ხმას ის ორგანიზაციები, ის საზოგადოებები, ვისაც ეს ევალება. ერთი რელიგიური სექტის წევრებმა მეორე რელიგიური სექტის წევრები რომ შეურაცხყვეს, მსოფლიოს გააგებინეს, დაირღვა მათი უფლებები და ახლა რატომ დუმან?

სადაა ის საერთაშორისო საზოგადოება, „უფლებაშელახულ“ იელოველებს რომ დაუდგა მხარში? მისწვდა ეს ხმა მათ, ვინც მხარი უნდა დაუჭიროს იმ იდეას, რომ ბავშვს უფლება აქვს მშობლიურ ენაზე ისწავლოს? თუ ეს ასე არაა, ჩვენ ვაკეთებთ იმას, რაც სურს ჩვენს მტერს - ქართველ ბავშვებში ქართული და ქართველობა რომ ჩაკლას, არ შეიძლება ამას წავუყრუოთ; არ შეიძლება ჩვენ ეს საქმე გადავდოთ იმ დროისთვის. როცა მოგვარდება კონფლიქტი; ეს თაობები ჩაივლიან და უქართულოდ ჩაივლიან... „გვახსოვდეს აფხაზეთი“ - გვახსოვს კი? და თუ გვახსოვს, ეს ფაქტი რატომ არის ჩვეულებრივ ფაქტად გააზრებული (კონფლიქტის რეგიონში მომხდარ სხვა რიგით ფაქტორთა გვერდით...).

თ. ხ. - თქვენ იმას ამბობთ, რომ მხოლოდ პარტიზანების საფიქრალი არ უნდა ყოფილიყო ეს: მათ არ უნდა უხდებოდეთ ასეთი გაცხადების გაკეთება.

გ. გ. - ეს პარტიზანების საქმე იმდენადაა, რამდენადაც ქართული საქმეა და ყველა ჩვენგანის საფიქრალ-საკეთებელია; მაგრამ საქმეს მხოლოდ პარტიზანები არ უნდა აგვარებდნენ და არ უნდა გააძულებდნენ ჩვენ, თუ არ მიხედავ ამ საქმეს, სკოლებს დავწვავთ.



მთავრობა რომ ხარ, შენ უნდა მიხედო ამას...

**თ. ხ.** – ბატონო გიორგი, ამ თემაზე ბევრი შეიძლება თქმულიყო. მაგრამ დღეს ამით დავასრულოთ საუბარი. ჩვენს მსმენელს კი მი-  
ნდა ვუთხრა, რომ ამ თემას შემდგომ გადაცემებშიც დავუბრუნდე-  
ბით.

*საქართველოს მთავარი რადიო, 8 სექტემბერი, 2001.*

*„ბურჯი ეროვნებისა“, №8-9, 2001.*



## ბანათლებლის სამინისტრო ქართულ ენას, როგორც საბანს, ყველაზე ნაკლებ ყურადღებას აქცევს

- ბატონო გიორგი, ჩვენი წინა საუბრისას თქვენ ზოგადად ახსენეთ განათლების სისტემაში არსებული სავალალო მდგომარეობა ქართული ენის სწავლების თვალსაზრისით: მოდიეთ. უფრო ფართოდ გაეშუქოთ ეს პრობლემა...

- ქართული ენის სწავლებაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. არ არის შემთხვევითი ის ფაქტი, რომ ილია ჭავჭავაძის მამულს, ენასა და სარწმუნოებას იაკობ გოგებაშვილმა მეოთხე ბურჯი დაუმატა: ეს იყო *ეროვნული სკოლა* - ესე იგი, ეროვნული სკოლა არის ის, რასაც უნდა დაემყაროს ჩვენი ეროვნულობა... აქედან გამომდინარე, რა მდგომარეობაა სკოლაში, ბევრად განსაზღვრავს იმას, ერის მომავალი როგორი იქნება ხვალ... ამ მხრივ კი მრავალი პრობლემა დაგროვდა დღეისათვის.

ჩვენ ვამბობთ, რომ ვატარებთ რეფორმას - თითქოსდა ვაშენებთ ოცდამეერთე საუკუნის სკოლას - მაგრამ მოხდა ისე, რომ ჯერ საფუძველიც არ გვქონდა შექმნილი ამ სკოლისა, რომ დავანგრეთ XX საუკუნის სკოლა! ფაქტობრივ, აღარ არსებობს მაღალი კლასები: ყველაფერი ატარებს ფიქტიურ, ფორმალურ ხასიათს.

- ეს კონკრეტულად ქართულს ეხება თუ სხვა საგნებსაც?

- ეს ეხება ქართულსაც და სხვასაც... ქართული ხომ იმ საერთო ანსამბლში ზის. იცით რა არის? ჩემი მოსწავლეობის პერიოდში ის სკოლა, ავი იყო თუ კარგი, მშვენიერ ზოგად განათლებას იძლეოდა: მე ახლაც კი, ფილოლოგიის კვალობაზე, საკმაოდ კარგი ზოგადი წარმოდგენა მაქვს ფიზიკაზეც, ქიმიაზეც, მით უმეტეს - მათემატიკაზე... ახლა კი ჰუმანიტარული პროფილით წასულმა არითმეტიკაც არ იცის (გამონაკლისებს არ ვგულისხმობ!)...

- ბატონო გიორგი, მოდიეთ ისევ საკუთრივ ენის სწავლებას მიუბრუნდეთ. პირადად მე არაერთხელ დავეინტერესებულვარ სკოლადაქთავრებულითა აზრით ქართული ენის გრამატიკის თაობაზე და, მართალი ვითხრათ, ჯერ არავინ შემხვედრია ისეთი, რომ ეთქვას. „ეს ჩემს საყვარელი საგანიო“...



- აბსოლუტურად გეთანხმებით... აქ რამდენიმე მომენტიცა გასათვალისწინებელი: ჯერ ერთი, გვიდგას სახელმძღვანელოს პრობლემა: მეორეც - როგორია თვითონ დამოკიდებულება ამ საგნისადმი. სახელმძღვანელოს საკითხს მერე დავუბრუნდებით, მაგრამ, ჩემი აზრით, უფრო შემზარავია შემდეგი ფაქტი: მე ჩავატარე გამოკითხვა ჰუმანიტარული სპეციალობის პირველკურსელებთან. დავუსვი კითხვა: „სწავლობდით თუ არა მეთე-მეთერთმეტე კლასებში ქართულ ენას?“

პასუხები გამაოგნებელი იყო: ნაწილმა მიპასუხა, რომ არ ახსოვს (?) ან არ იცის(!)...

აქ უკვე კომენტარი ზედმეტია: ესე იგი, უბრალოდ, არ ასწავლიან! არადა, სასწავლო გეგმებით ქართული ენა უნდა შეისწავლებოდეს დამამთავრებელ კლასებშიც...

რაც შეეხება სახელმძღვანელოს... ჩვენ იმითაც შევაძულეთ ბავშვებს ქართული ენა, როგორც საგანი, რომ მეხუთედან მერვე კლასამდე ვასწავლით მათ მეცნიერულ გრამატიკას. დიდი აკაკი შანიძისადმი ჩემი მოწინება და პატივისცემა უსაზღვროა. მაგრამ მან ამ საუკუნის 30-იან წლებში შექმნა ის სახელმძღვანელო, რითაც დღეს ისწავლება ქართული ენის გრამატიკა. მაშინ ეს აუცილებელი იყო: ამით იგი დაუპირისპირდა ძველ პრაქტიკულ გრამატიკებს, რომლებიც მეტწილად არამეცნიერულ საფუძველზე იყო შედგენილი - ამან მაშინ შეასრულა უდიდესი როლი. მაგრამ ახლა? აბა, თქვენ წარმოიდგინეთ, მეხუთე და მეექვსე კლასში ბავშვმა როგორ უნდა ისწავლოს ის ურთულესი ზმნური კატეგორიები, რომელთა გარკვევა ჩვენ, სპეციალისტებსაც კი გვიჭირს და მონოგრაფიები იწერება ამა თუ იმ საკითხის გარკვევაზე.

ეს საკითხი, სხვათა შორის ჩვენ უკვე დავსვით: მაგალითად, ბატონმა ავთანდილ არაბულმა ნამოჭრა ორიოდე წლის წინ ეს პრობლემა - იგი გვთავაზობდა ევროპული ქვეყნების გამოცდილებას, სადაც მშობლიურ ენას პრაქტიკული გრამატიკებით ასწავლიან: მართლწერა ვასწავლოთ, გრამატიკის ელემენტარული საკითხები - სხვადასხვა სახალისო თამაშის სახით - რაც ენას კი არ შეაძულებს, არამედ შეაყვარებს, დააინტერესებს, კეთილად განაწყობს... ენა საოცარი ფენომენია, თუ, რა თქმა უნდა, დავაინტერესებთ ბავშვს!

არ მიაქციეს ყურადღება ამ ნამოწყობას... არადა, რა ხდება ახ-

ლა? მეხუთე-მეექვსეკლასელი ბავშვი ვერ იგებს მეცნიერულ გრამატიკას, როცა გაგების დრო მოუდის - საერთოდ აღარ ასწავლიან ენას და... რჩება მშობლიური ენის ცოდნის გარეშე ქართველი.

- ბატონო გიორგი, ეს საბჭოურ პერიოდში ხდებოდა თუ ახლა?

- არა, ბატონო, ახლახან, 1997 წელს... იცით, მე სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ განათლების სამინისტრო ქართულ ენას, როგორც საგანს, ყველაზე ნაკლებ ყურადღებას აქცევს... პირიქით კი უნდა იყოს! არა იმიტომ, რომ მე ფილოლოგი და ქართული ენის სპეციალისტი ვარ - არამედ მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ქართული სახელმწიფო ენაა. ხწავლების ენაა და ის ხვანთ ხვანი უნდა იყოს!

- ბატონო გიორგი, განათლების სამინისტროს ხელმძღვანელობა შეიცვალა... აღბათ. გაჩნდა იმედი, რომ ახალი მინისტრი თქვენ შერწამოქრილ პრობლემას მიხედავს...

- ყველა ის კითხვა, რაც ეხება ქართული ენის სწავლების საკითხს, მე უკვე გავუგზავნე ახალ მინისტრს. დიდი იმედი მაქვს, რომ იგი ყურადღებით, გულდასმით განიხილავს ამ პრობლემას, ვინაიდან ეს ჩემი ახირება კი არაა, ერის გადარჩენის ტოლფას საქმედ მიმაჩნია!

გაზეთი „ინტერვიუ“. № 2, 1999.

## ქართულმა ენამ სკოლაში თავისი კუთვნილი ადგილი უნდა დაიკავოს!

– ბატონო გიორგი! წინა შეხვედრისას ჩვენ საუბარი გექონდა საშუალო სკოლაში ქართული ენის ხწავლების საკითხებზე: მოდიოთ და ვაკონკრეტოთ. რა პრობლემები გვაქვს ამ თვალსაზრისით...

– ჩვენმა საუბარმა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია: ბევრმა მკითხა, თუ რას ვგულისხმობდი, როდესაც სახელმძღვანელოების პრობლემა ვახსენე...

საქმე ის გახლავთ, რომ, უპირველს ყოვლისა, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, თუ რა სახის სახელმძღვანელო გვჭირდება სკოლაში – სახელმძღვანელო, რომელიც მოსწავლეს შეაყვარებს ქართულ ენას.

დღეს არსებული სახელმძღვანელოები (V-IX კლასებისა) – ეს არის, ფაქტობრივად, მეცნიერული სახელმძღვანელოს კონსპექტური ვარიანტები: VI თუ VII კლასელ მოსწავლეს საუბარი უხდება ისეთ ურთულეს კატეგორიებზე, სპეციალისტებისთვისაც რომ სადავოა...

ასეთ შემთხვევაში, ალბათ, კარგი იქნებოდა, საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებისათვის გადაგვეხედა. მე ვიცი, მაგალითად, ინგლისში რა ვითარებაა: იქაურ სასწავლებლებში, სკოლებსა თუ კოლეჯებში, ისე ასწავლიან ინგლისურ ენას, რომ მას მთელი ცხოვრება შემდეგ უზრუნველყოფილი აქვს ის ცოდნა, რომელიც სჭირდება ინგლისელს, რა სპეციალისტიც არ უნდა იყოს. იქ ენის კარგი ცოდნა ეროვნულ ღირსებად, პიროვნულ ღირსებად მიაჩნიათ!

მეორე საკითხია – როგორ ასწავლიან... ასწავლიან არა მეცნიერულ გრამატიკას, არამედ პრაქტიკულ გრამატიკას.

ჩვენ შემთხვევაში, აუცილებლად მიმაჩნია, ფსიქოლოგებიც ჩაერთონ საქმეში, იმიტომ, რომ V-VII კლასელ ბავშვს რისი ათვისება შეუძლია და რისი არა – ეს ჯერ კიდევ დასადგენია.

- მეც ვეთანხმებით, რომ აუცილებელია პრაქტიკული და არა მცნიერული გრამატიკის სწავლება. მაგრამ სხვა საკითხზეც მიხდება თქვენი აზრი ვაფიქრო: ფაქტია, რომ ქართული ენა, როგორც საგანი, სკოლებში მხოლოდ IX კლასის ჩათვლით ისწავლება - „ვამოხაშვებ“ კლასებში, როგორც წესი, მხოლოდ მშობლიურ ლიტერატურას სწავლობენ. მიუხედავად იმისა, რომ კვირაში ორი საათი გრამატიკას უნდა ეთმობოდეს...

- აქ ორი მომენტი: ერთი - რა ეშველება პროგრამებსა და სახელმძღვანელოებს და მეორე - ვინ ასწავლის... მე უკვე ვახსენე ავთანდილ არაბულის წინადადება, რომელიც „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა ამ ორიოდ წლის წინ. მისი აზრით, გრამატიკის სისტემური კურსის სწავლება უნდა ხდებოდეს დამამთავრებელ კლასებში - მაშინ, როცა 15-16 წლის მოზარდს მეტად აქვს განვითარებული სისტემური ათვისების უნარი, ხოლო მანამდე ჩვენ ვასწავლოთ მართლწერის, პრაქტიკული გრამატიკის საკითხები - რაც, დამერწმუნეთ: ბევრად უკეთეს შედეგებს მოგვცემს... მაგრამ ამის გაგონებაც არ სურთ. ეს საკითხი განათლების სამინისტროს მეთოდსაბჭოზეც დაისვა (კორნელი დანელია გახლდათ მაშინ მეთოდსაბჭოს თავმჯდომარე). შედეგი - არაფერი!

ახლა მეორე მომენტი: ვინ ასწავლის.

მე მითხრა ერთ-ერთი კლასიკური გიმნაზიის XI კლასის მოსწავლემ: ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა განგვიცხადა, რომ მას არ უყვარს ქართული ენა, როგორც საგანი, და ამიტომ არ ჩაუტარებს ენის გაკვეთილებს.

- ბატონო გოგი, იქნებ მისი ეს „სიძულვილი“ სწორედ იმ მიზეზითაა გამოწვეული, რომ არ გეაქვს სათანადო სახელმძღვანელოები. მეთოდური ხასიათის ლიტერატურა?

- ეს მიზეზი შეეძლოთ რამდენიმე წლის წინ მოეტანათ. ახლა არსებობს პროგრამაც X-XII კლასებისათვის და ამ პროგრამის მიხედვით მშვენიერი სახელმძღვანელოებიც გაკეთდა, რომელთა ავტორები არიან ცნობილი მეცნიერები - ზურაბ ჭუმბურიძე და როზა გაბეჩავა. ასე რომ, სახელმძღვანელო არსებობს - უბრალოდ, არ ასწავლიან!



მოდით, გავიხსენოთ, რა ხდება სკოლებში გამოსაშვებ გამოცდებზე: ამას უკვე არც მალავენ, რომ წერით გამოცდაზე დაახლოებით 5-10% თუ წერს თავისით – დანარჩენი ყველა იწერს... რაც შეეხება ზეპირ გამოცდას: ჯერ ერთი, მრავალ სკოლაში ის საერთოდ ამოიღეს: სადაც არის – ენის საკითხებს არ ეკითხებიან – მასწავლებელი პირდაპირ ეუბნება მოსწავლეებს – შეტანილი კია ბილეთებში მე-5 საკითხად გრამატიკის საკითხი, მაგრამ ნუ მიაქცევთ ყურადღებას, იმას გამოცდაზე არ მოგკითხავთო...

ასეთი დამოკიდებულება ქართული ენისადმი, ბუნებრივია, შედეგად გვაძლევს იმ სურათს, რაც გვაქვს დღეს... სკოლას თუ არ მივხედეთ, ქუჩასა და დაწესებულებებში ჩვენ ვერაფერს გავასწორებთ!

*- ბატონო გოგი, მაინც როგორ გესახებათ პრობლემის გადაჭრის გზა?*

- ეს, უპირველეს ყოვლისა, უნდა ითავოს განათლების სამინისტრომ; ის რაციონალური წინადადება, რომელზეც უკვე გესაუბრეთ, უნდა მიიღონ... გამოცხადდეს კონკურსი. შეიქმნას შესაბამისი სახელმძღვანელოები და სასწრაფოდ დავინყოთ რეფორმა; კეთება საქმისა – თორემ ასე, საუბრის დონეზე, არაფერი გაკეთდება... არანაირი პრაქტიკული ნაბიჯი აქამდე არ გადადგმულა – მეტსაც ვიტყვი: განათლების სამინისტრო ყველაზე ნაკლებ ყურადღებას აქცევს ქართულ ენას!

გავიხსენოთ: არსებობდა მშვენიერი ჟურნალი – „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“. მისი გამოცემა შეჩერდა... მერე გამოვიდა „ბალავარი“ – ისიც მოკვდა... ახლა კი რა ხდება: არსებობს 12 მეთოდური ჟურნალი, რომელთა შორის არ არის „ქართული ენა!“ რა გამოდის? ქართული ენის მასწავლებელს არა აქვს არანაირი საშუალება, გაეცნოს უახლეს ლიტერატურას, მეთოდურ მითითებებს, თავისი აზრი გამოთქვას და ა.შ.

*- ხომ არ შეაჩნიათ, რომ საკითხის საბოლოოდ გადაჭრა მაინც შემოდან უნდა მოხდეს?*

- ქართული, როგორც სახელმწიფო ენა, უშუალოდ პრეზიდენ-



ტის მფარველობის ქვეშ იმყოფება – იგია თავმჯდომარე ქართული ენის სახელმწიფო კომისიისა. ამ კომისიამ რეალურად უნდა აკონტროლოს სიტუაცია... მაგრამ მეორეც არის ახლა: რატომ უნდა სჭირდებოდეთ, თქმა განათლების სამინისტროს მესვეურებს, ანდა თვითონ მასწავლებლებს, რომ ქართული ენა რიგიანად ასწავლონ... მესმის, რომ დაბალია ხელფასები, მაგრამ თუკი არ გინდა, ნადი და იქ იმუშავე, სადაც მეტი შემოსავალია! თუ აქ ხარ და რჩები, ნუ დაამახინჯებ ბავშვს... მოვა დრო და კეთილ საქმეს დამფასებელი გამოუჩნდება...

გაზეთი „ინტერვიუ“, № 3, 1999.

## რატომ ვიძინით პრობლემებს?!

ბაზალეთზე უნივერსიტეტი უნდა აშენდესო... ამ იდეის მომხრეები დაჟინებით იმეორებენ: ეს იქნება არა თურქული, არამედ ინგლისურენოვანი უნივერსიტეტიო...

ვთქვათ და ასეა, *არის კი საქართველოში არაქართულენოვანი უმაღლესი სასწავლებელი?* ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, თუ ქართულზე უარს ვიტყვით. *არის კი პრინციპული განსხვავება იმაში.* საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში *სწავლების ენა რომელი იქნება* – თურქული, ინგლისური, რუსული თუ სხვა?

იქნებ დავფიქრდეთ, რა იყო მიზეზი იმისა, რომ ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძის დროს „ცარიზმი, ცხადია, თბილისში უნივერსიტეტის დაარსების წინააღმდეგი იყო“ (ს. ჯორბენაძე).

ანდა, რატომ ეწინააღმდეგებოდნენ ასე თავგამოდებით დიდი ივანე ჯავახიშვილისა და მისი თანამებრძოლების მცდელობას ქართული უნივერსიტეტის გახსნის თაობაზე? გავიხსენოთ, რას ამბობს შალვა ნუცუბიძე: „ოლდენბურგი, ვასილიევი და სხვები მზრუნველობითი კილოთი გვირჩევენ, ხელი აგველო ამ უიმედო საქმის დაწყებაზე, რომელსაც საქართველოს უნივერსიტეტი ეწოდება. ქართულ ენას არა აქვს არც მეცნიერული ტერმინოლოგია, არც მეცნიერული ტრადიცია; ყველა ამის შექმნა არა თუ ბნელი, უიმედო საქმეაო, გვეუბნებოდა ეს გულშემატკივარი ხალხი... ისინი მფარველობის კილოთი ამბობდნენ: დაგვიჯერეთ, დროს ნუ დაკარგავთ, თავს ნუ მოიტყუებთო...“

არ იყო ეს მხოლოდ „ოლდენბურგებისა“ თუ „ვასილიევიების“ პოზიცია. მაშინაც არაერთი ქართველი აღუდგა წინ ეროვნული უნივერსიტეტის გახსნას. დიდ ივანე ჯავახიშვილს მოეწონებოდა: „რამდენი იყო ჩვენში 1917 წელს ისეთი განათლებული ქართველი, რომელსაც ან მთელი ეს კამათი (ეროვნული უნივერსიტეტის გახსნის თაობაზე – გ. გ.) სასაცილო გულუბრყვილობად მიაჩნდა, ანდა მის გაგონებაზე ღიმილი მოსდიოდა. რამდენი გვყავდა ბრძენი დამრიგებლნი, ჭკუის მასწავლებლნი და წინასწარმეტყველნიც კი, რომელ-

ნიც, მათი ღრმა რწმენით, სრულიად უნიადაგო და უიმედო განსაზღვრებისაგან ხელის აღებას გვირჩევდნენ. ისეთებიც ხომ იყვნენ, მათ შორის მეცნიერებიც კი, რომელთაც მთელი ეს გეგმა და დანაშაულებული საქმე თვით ქართველობისათვისაც დაძლუპველად ჰქონდათ პრესაშიც კი აღიარებული. კულტურული დაქვეითების მეტი არაფერია საქართველოს მეცნიერული აზროვნებისათვის ამ გეგმის განხორციელებისაგან მოსალოდნელიო..."

ეროვნული უნივერსიტეტის მონინაალმდეგენი მონდომებულნი იყვნენ, თბილისში კავკასიის უნივერსიტეტი გახსნილიყო (ამას სახელმწიფო დააფინანსებს, ქართული უნივერსიტეტი თქვენ უნდა შეინახოთო - „მეგობრულად“ ურჩევდნენ...). რატომ?

როცა 1918 წლის მარტში ჩრდილოეთ ოსეთიდან სურვილს გამოთქვამენ თბილისის უნივერსიტეტში განათლების მიღების თაობაზე, უნივერსიტეტის საბჭო ასეთ დადგენილებას გამოიტანს: „გაეგზავნოს მადლობა და ეცნობოს, რომ ლექციები ქართულად იკითხება, ხოლო მიღებით ყველანი მიიღებიან, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა“. რატომ იღებს ასეთ დადგენილებას ახლადდაარსებული უნივერსიტეტის საბჭო?

1918 წლის ივლისში ერთ-ერთ სომხურ გაზეთში დაიბეჭდა გ. აბელიანის წერილი „დროა, რომ ჩვენც უნივერსიტეტი გვექონდეს“. ავტორი წერს: „ჩვენმა მეზობელმა ქართველებმა თავისი ცხოვრების მოწესრიგება უნივერსიტეტით დაიწყეს და უნდა აღვნიშნო, მათ სწორი გზა აირჩიეს...“ რატომ აძლევდა ასეთ შეფასებას ეროვნული უნივერსიტეტის გახსნას სომეხი მოღვაწე?

ყველა ამ კითხვას ერთი პასუხი აქვს: *ქართული ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის მხოლოდ ქართული უმაღლესი სასწავლებელი იყო საჭირო...* აქედან გამომდინარე, *„ამ იდეას ამ ეწინააღმდეგებოდა, ვისაც ეს არ აძლევდა ხელს... ქართული უნივერსიტეტის გახსნისათვის იბრძოდა ის, ვისთვისაც ჩვენი ეროვნულობის შენარჩუნება სისხლხორცეული საქმე იყო...*

ქართული უნივერსიტეტის ისტორიისა და დიდი ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მკვლევარმა, ბატონმა სერგო ჯორბენაძემ ახლაბან ერთ-ერთ ინტერვიუში თურქული უნივერსიტეტის თაობაზე ბრძანა: „მე იმდენად არ მაშინებს იჯარით მიწის გაცემა, რამდენადაც თვით ამ უნივერსიტეტის გახსნის ფაქტი. სიფ“



რთხილვა საჭირო... როგორც კი ივანე ჯავახიშვილმა ქართული უნი-  
ვერსიტეტი დააარსა, მაშინვე „ალმოაცენეს“ რუსული უნივერსიტე-  
ტი, სომხური ფილოლოგიის ფაკულტეტი... ნუ შევიქმნით პრობლე-  
მებს“.

იქნებ კიდევ ერთხელ დავფიქრდეთ: რატომ ხდება ყოველივე ეს,  
რატომ ვიქმნით პრობლემებს?

*გაზეთი „ბურჯი ეროვნებისა“.*

*№5, 1996 წ.*

### კიდევ ერთხელ და... როდემდის?\*

ამას წინათ განათლების სისტემის ერთ-ერთმა მუშაკმა სიამაყით განაცხადა, თბილისში 70-მდე უცხოენოვანი დაწყებითი სასწავლებელიაო. უპირველესად, განათლების სამინისტროს აზრი გვანტერესებს: არის თუ არა ეს საამაყო ფაქტი და, საერთოდ, განათლების სისტემაში ქართულის გვერდით უცხო ენის დამკვიდრება სახელმწიფო ენის ფუნქციონირების სფეროს შეზღუდვად მიგაჩნიათ თუ არა? ეს რიტორიკული შეკითხვა უფროა, მაგრამ ადრესატს ექნება ალბათ პასუხები ამ კითხვაზე.

ეს კითხვა ისევ თურქული უნივერსიტეტის პრობლემამ დაგვასმევინა. ამას წინათ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კვლავ იმსჯელეს ამის თაობაზე.

გთავაზობთ გაზეთ „საქართველოს“ (24-28 ოქტომბერი, 1996 წ.) ინფორმაციას:

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ჯგუფი აპირებს თბილისში საპროტესტო აქციის ჩატარებას საქართველოში ე.წ. თურქული უნივერსიტეტის ფუნქციონირების საწინააღმდეგოდ. ისინი მოითხოვენ, დაუყოვნებლივ შეწყდეს აღნიშნული უნივერსიტეტის ფუნქციონირება დემირელის სახელობის კოლეჯში.“

„შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“ დაარსდა საქართველოსა და თურქეთის პრეზიდენტების ედუარდ შევარდნაძისა და სულეიმან დემირელის შეთანხმების საფუძველზე. „იბერიას“ კორესპონდენტს *საქ. განათლების სამინისტროს მაღალი რანგის წარმომადგენელმა* განუცხადა, რომ ჭორი იმის თაობაზე, თითქოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ისლამური ფუნდამენტალიზმის კერა გახდება საქართველოში, მტკნარი სისულელეა. მისივე თქმით, *უნივერსიტეტი ფუნქციონირებს მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სასწავლო პროგრამების მიხედვით* რაც შეეხება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-

\* თანაავტორი ი. ქუმბურიძე

მასწავლებელთა და სტუდენტთა ერთი ჯგუფის მიერ ატეხილი ისტერიკას იგი პროვოცირებულია რუსეთის სპეცსამსახურების მიერ, რომლითაც სურთ შეაფერხონ ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობა თურქეთსა და საქართველოს შორის. - განაცხადა სამინისტროს წარმომადგენელმა" (ხაზი ჩვენია - გ. გ.).

მაშ ასე, თურქული უნივერსიტეტის სანინაალმდეგო მოძრაობა „პროვოცირებულია რუსეთის სპეცსამსახურების მიერ“, - აცხადებს განათლების სამინისტროს მაღალი რანგის წარმომადგენელი და იგი ამ შემთხვევაში იმეორებს განათლების მინისტრის მიერ ადრე გამოთქმულ აზრს. გავიხსენოთ: „ბატონმა თამაზ კვაჭანტირაძემ უნივერსიტეტის აშენების მიზანშეწონილობის საკითხი საქართველოში თურქი და რუსი სპეცსამსახურების მოღვაწეობის პრობლემებს დაუკავშირა. ამის გაკეთება მან შეძლო იმ აზრის არაერთხელ განმეორებით, რომ თუ ზოგიერთები შიშობენ, უნივერსიტეტი თურქეთის რეზიდენტების ბუდედ იქცევა, სამაგიეროდ, აშენების მომხრეებიც სერიოზულად ფიქრობენ, რომ სანინაალმდეგო აზრი რუსეთის სპეცსამსახურების მიერ არის შემოგდებული" (გაზეთი „კავკასიონი“, 13 აპრილი, 1996).

როგორც ვხედავთ, განათლების სამინისტრო ჯიუტად იმეორებს ერთსა და იმავეს მინისტრისა თუ სამინისტროს მაღალი რანგის წარმომადგენლის პირით. ითქვა და დაინერა: ამ აზრის ავტორები არ გრძნობენ იმას, რა უხერხულ მდგომარეობაში იგდებენ თავს... როგორც ზემოთ მოყვანილ პუბლიკაციაშია ნათქვამი, ეს მართლაც „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ერთი ჯგუფის მიერ ატეხილი ისტერიკაა“?. კვლავ გაზეთ „კავკასიონს“ მოვიშველიებთ: „როინ მეტრეველი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი, აკადემიკოსი: რაც ვიცი, იმის მიმართ უარყოფითია ჩვენი დამოკიდებულება და ამის შესახებ არა მხოლოდ სიტყვიერად, არამედ წერილობითაც ვაცნობეთ. ჩვენ მათი გეგმების, მათი პროგრამების ექსპერტი გახლდით და ჩვენი ექსპერტიზა უარყოფითი იყო... ამ უნივერსიტეტის მიმართ პირადად მეც, რექტორთა საბჭომაც და თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომაც წერილობით გამოვხატეთ უარყოფითი დამოკიდებულება" (გაზეთი „კავკასიონი“, 18 თებერვალი, 1996 წ.).

თუ სხვადასხვა დროს უნივერსიტეტის გადაჭედილ აუდიტორი-ებში ამ საკითხის განხილვასაც გავისვენებთ, აღმოჩნდება, რომ არ-ყოფილა ეს „პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ერთი-ჯგუფის მიერ ატეხილი ისტერიკა!“ მაშ, ვისთვის ან რისთვისაა გა-თვლილი პრობლემის ასე გაუფასურება?

იქნება გვითხრას *სამინისტროს მალალი რანგის წარმომადგენელ-მა* - უნივერსიტეტი არაა მთელი საქართველო. და, საერთოდ, სა-ხელმწიფო უმაღლეს სასწავლებელთა აზრი არაა საკმარისი...

შევახსენებთ, რომ ამავე აზრისაა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაც. *აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი ანდრია აფაქიძე* „მე სათითაოდ გამოვიკითხე მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუ-მის ყველა წევრის აზრი და ყველანი წინააღმდეგნი არიან ამ უნივერ-სიტეტის აშენებისა“ („კავკასიონი“, №64, 1996).

*საქართველოს საპატრიარქოს „უარყოფითი დამოკიდებულება ალნიშნული უნივერსიტეტისადმი მეცნიერებათა აკადემიაში გამარ-თულ შეხვედრაზე გამოხატა საქართველოს საპატრიარქოს მისიისა და ევანგელიზაციის განყოფილების ხელმძღვანელმა, ცხუმ-აფხა-ზეთის ეპისკოპოსმა დანიელმა“* („კავკასიონი“, №64, 1996 წ.).

მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა თურქული უნივერსიტეტის მიმართ საქართველოს მწერალთა კავშირმა, საკი-თხის ხანგრძლივ და საფუძვლიან განხილვას აქ ბატონი მინისტრიც ესწრებოდა.

მაშ ასე:

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერ-სიტეტი.*

*რექტორთა საბჭო (ე. ი. ყველა სახელმწიფო უმაღლესი სახწყა-ლებელი).*

*მეცნიერებათა აკადემია.*

*საქართველოს საპატრიარქო.*

*მწერალთა კავშირი...* აღარას ვამბობ სხვადასხვა ორგანიზაცია-თა თუ გაერთიანებათა შესახებ, რომელთაც ასევე ცალსახად გამო-ხატეს უარყოფითი დამოკიდებულება თურქული უნივერსიტეტის მიმართ. რა თქმა უნდა, იცის ეს ყოველივე განათლების სამინის-

ტროს მალალი რანგის წარმომადგენელმა და მაინც იტყვის, რომ ეს პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ერთი ჯგუფის ისტერიკააო...

ესაა ზემოჩამოთვლილ დანესებულებათა არად ჩაგდება, მათი კომპეტენტური აზრის იგნორირება და პრობლემის გაუბრალოება.

მაინც, რა ძალაა ის, რომელიც უპირისპირდება ამ საერთო აზრს და... იმარჯვებს! ვის ან რას ემსახურება ეს ძალა?!

და კიდევ: თუ ზემოჩამოთვლილი ორგანიზაცია-დანესებულეები რუსეთის სპეცსამსახურების დავალებებს ასრულებენ, გამოდის, რომ რუსეთის სპეცსამსახურები უფრო მეტად არიან დაინტერესებულნი ჩვენი ეროვნული პრობლემების მოგვარებით, ვიდრე საქართველოს განათლების სამინისტრო...

დაინტერესებულმა პირმა რომ შეკრიბოს ყველა ის პუბლიკაცია, რომელშიც განათლების სამინისტროს საპირისპირო პოზიციას ადამოკცემული, ერთი სქელტანიანი ტომი გამოვა. თითქმის ყველა დარგის სპეციალისტმა გამოთქვა თავისი აზრი და მაინც განათლების მინისტრი ბრძანებს: „მე ვერაფრით მოვისმინე ის არგუმენტი, რომელიც დამარწმუნებდა, რომ ეს უნივერსიტეტი არ არის საჭირო“. არადა, ბატონ თ. კვაჭანტირაძეს მოსმენილისა და ნაკითხულის გაგება რომ შეუძლია (და სხვაზე უკეთადაც), ამაში ეჭვი არ გვეპარება, მაგრამ, როგორც ჩანს, საჭიროა ასე ითქვას...

„განათლების სამინისტროს მალალი რანგის წარმომადგენლის“ განცხადებიდან ერთ ადგილსაც მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას: „ჭორი იმის თაობაზე, თითქოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ისლამური ფუნდამენტალიზმის კერა გახდება საქართველოში, მტკნარი სისულელეა“. იქნებ განმარტოს განმცხადებელმა, რატომ არის სასწავლო საგანთა ნუსხაში *ყურანი*? რა აუცილებლობა არის საქართველოში არსებულ ე.წ. საერთაშორისო უნივერსიტეტში ამ საგნის სწავლებისა? „მალალი რანგის წარმომადგენელს“ უბრძანებია: „უნივერსიტეტი ფუნქციონირებს სამინისტროს მიერ დამტკიცებული სასწავლო პროგრამების მიხედვით“. ყურანს რომ თავი დავანებოთ, *ქართული ენა* და *საქართველოს ისტორია* არ უნდა ისწავლებოდეს საქართველოში არსებულ თუნდაც საერთაშორისო უნივერსიტეტში? თუ ამ საკითხებს არ მიაქცევს ყურადღებას, მაშინ რა



მნიშვნელობა აქვს, საქართველოს განათლების სამინისტრო დაამტკიცებს ამ პროგრამებს თუ სხვა ვინმე?

დაბოლოს, ტელევიზიით არაერთგზის გადაიკვან ცანცხადება, რომ ე. წ. საერთაშორისო (ანუ თურქულ) უნივერსიტეტში მისაღები გამოცდები არ ჩატარებულა და თურქეთიდან სტუდენტები არ ჩამოუყვანიათო. „მაღალი რანგის ნარმომადგენელი“ კი აცხადებს, რომ უნივერსიტეტი ფუნქციონირებსო. როგორ გავიგოთ ეს ფუნქციონირება? რა არის ტყუილი და რა - მართალი?

მოკლედ, კითხვა უამრავია, პასუხი კი ერთი და ისიც ასე ჭერს: ვინც რა უნდა თქვასო...

ჩვენი გაზეთი სიამოვნებით გამოაქვეყნებს ჩვენ მიერ დასმულ შეკითხვებზე პასუხებს, თუკი მივიღებთ...

*გაზეთი „ბურჯი ეროვნება“.*

*II(16) ნოემბერი, 1996 წ.*



**ლაშქრობა XXI საუკუნის საქართველოს წინააღმდეგ,  
ანუ ღრობა ღაჭვიძრღვით, რას ვაკეთებთ**

ქუთაისის ტელევიზიით შემთხვევით მოვისმინეთ ქალაქის მერის, ბატონი თემურ შაშიაშვილის საუბარი ახალი საერთაშორისო უნივერსიტეტის თაობაზე. დავინტერესდით, გავიკითხეთ. როგორც ჩანს, ბატონ თ. შაშიაშვილს ამ საერთაშორისო უნივერსიტეტის თაობაზე არაერთგზის განუცხადებია სხვადასხვა ოფიციალურ შეხვედრებზე.

თურმე, ბატონ თ. შაშიაშვილს მოლაპარაკება ჰქონია სხვადასხვა ქვეყნის 15 (საბერძნეთის, თურქეთის, იტალიის, უკრაინის...) ქალაქის ხელმძღვანელობასთან ქუთაისში საერთაშორისო უნივერსიტეტის გახსნის თაობაზე; შერჩეულია შენობა უნივერსიტეტისათვის (წყალტუბოს გადასახვევთან, ყოფილი სანატორიუმის შენობა, ამჟამად, პოლიციის სამსახურია მასში...); უნივერსიტეტის გახსნა 1997 წლის მაისში ივარაუდება – ქუთაისობის დღესასწაულზე.

ერთ-ერთ შეკრებაზე ბატონმა მერმა უპასუხოდ დატოვა შეკითხვა – რა ენაზე იქნება სწავლება ამ უნივერსიტეტში; მაგრამ დაამშვიდა მსმენელი, რომ უნივერსიტეტში ქართული ენაც შეისწავლებაო... ამბობენ, სხვადასხვა ქვეყნებიდან მოსანვევ ლექტორ-მასწავლებელთა შერჩევაც მოხდაო...

**ფაქტია:** ეს უნივერსიტეტი არ იქნება ქართულენოვანი.

ქართულის გვერდით – სახელმწიფო ენის გვერდით – განათლების სისტემაში არაქართული ენის დამკვიდრება სახელმწიფო ენის ფუნქციონირების სფეროს შევიწროებას მოასწავებს. უცხო ენის გათანაბრება ხდება ქართულთან ამ სფეროში. გავიხსენოთ: დიდ ივანე ჯავახიშვილს უკიჟინებდნენ თავის დროზე, ქართულს არ შესწევს ძალა, იყოს უმაღლესი განათლების ენაო. ამგვარი ინიციატივები (საერთაშორისო უნივერსიტეტების გახსნა იგულისხმება) ი. ჯავახიშვილის მონინააღმდეგეთა აზრის დადასტურების მცდელობაა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ანტიეროვნული ქმედებაა!

მოგეხსენებათ, მშობელთა უმეტესობა აკვნიდანვე ოცნებობს და ზრუნავს იმისათვის, რომ შვილმა უმაღლესი განათლება მიიღოს;

აკვნის ბავშვების გაპროფესორებაზე მოფიქრალი მშობლები, მოგეხსენებათ, ორიენტაციას „პრესტიჟულ“ უმაღლეს სასწავლებლებზე იღებს. ამგვარ მშობელთათვის უნივერსიტეტის სახელს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ამიტომ აკვნიდანვე დაიჭერს თაღარიგს „მზრუნველი“ მშობელი და ბავშვს შეიყვანს არაქართულენოვან ბაღში, სკოლაში, ლიცეუმში, კოლეჯში... საუბედუროდ, მომრავლდა ასეთები, საქართველოში და გამრავლდება კიდევაც ამგვარი მცდელობებიდან გამომდინარე... საით მივყავართ ამ გზას? - ქართული განათლების სისტემაში საუკუნოვანი ბრძოლის შედეგად დამკვიდრებული ქართული ენის უარყოფაა ეს. ეს გზა უბედურების გზაა; ეს გზა ქართული ინტერესების საპირისპირო გზაა. ბიზნესს, ბიუჯეტსა და სურვილს ინიციატორებისას არ გადავყალოთ ქართული საქმე. ყოველივე ეს იმ სავალალო შედეგს გამოიღებს, რომლის გამოსწორებას, საერთოდ თუ შევძლებთ, ათეული წლები დასჭირდება.

თურქული უნივერსიტეტის შესახებ ატეხილი აჟიოტაჟი ამავე პრობლემებს უკავშირდება... ეს არ იყო (და არ არის) პოლიტიკური საკითხი; თურქეთი აქ არაფერ შუაშია; თურქული იქნება, რუსული თუ ინგლისური, შედეგი ერთი ექნება მას - მშობლიური ენის იგნორირება მოხდება ყოველ შემთხვევაში. ვიმეორებთ, ამის გამოსწორება ბევრად მეტ დროსა და ენერგიას შეინირავს, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს.

დაგვწყველის მომავალი თაობა (21-ე საუკუნის საქართველო). ეს 21-ე საუკუნის საქართველოს წინააღმდეგ მიმართული ქმედებაა.

ეს არაა ტაძრისკენ მიმავალი გზა, ეს გადაგვარების გზაა... დროა, დავფიქრდეთ, რას ვაკეთებთ...

გაზეთი „ბურჯი ეროვნებისა“,  
ოქტომბერი, 1996 წ.



„ვის შეჴივლო, იაკობი მკვდარი...“

გაზეთ „ახალ განათლებაში“ (№ 23, 2002 წ.) გამოქვეყნდა „საქართველოს განათლების სამინისტროს ინფორმაცია საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 2002-2003 სასწავლო წელს სასწავლო პროცესში დაშვებული სახელმძღვანელოებისა და მათი სტატუსის შესახებ“.

ამჯერად ჩვენ ყურადღება მივაქციეთ პირველი კლასის მშობლიური ენის სახელმძღვანელოს. ძირითად სახელმძღვანელოდ ორი ნიგნია დაშვებული:

საგანი	სახელმძღვანელო	ავტორი
1. მშობლიური ენა	დედაენა	ვ. რამიშვილი
2. მშობლიური ენა	დედაენა	ვ. როდონია და სხვ.

დამხმარე ლიტერატურის ნუსხაში შეტანილია:

საგანი	სახელმძღვანელო	ავტორი
1. მშობლიური ენა	დედაენა	ლ.შალიკიანი-ხოტივარი
2. მშობლიური ენა	დედაენა	ბ. ჩხენკელი

სამწუხაროდ, ეს უკანასკნელი (ბ. ჩხენკელის „დედაენა“) ვერ ვნახე, ვერ მივაკვლიე. ყველა დანარჩენი ხელთა მაქვს. ერთსაც შევნიშნავ: კარგია: რომ განათლების სამინისტრო რეკომენდაციას არ უწევს ზ. ვახანიას „დედაენას“; ამ გამოცემის თაობაზე ჩვენს ყურნალში არაერთგზის ვწერდით, ამიტომ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. ჩვენ ამ წერილში არც სხვა სახელმძღვანელოების ავ-კარგზე ვისაუბრებთ. სხვა რამ გვაინტერესებს. აქ ოთხი „დედაენა“ დასახელებული და არსად არაა ნახსენები იაკობ გოგებაშვილი. შეიძლება მითხრან, ზუსტი ორიენტაციისათვის ვინც იაკობის „დედაენა“

გადაამუშავა (ვ. რამიშვილი), სახელმძღვანელოთა ნუსხაში ის მიუთითეთ; ნიგნში სათანადო აღნიშვნა არისო („იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ მიხედვით შეადგინა ვალერიან რამიშვილმა“). სწორია, ეს ერთ შემთხვევაში, მაგრამ სხვაგან? ავტორები იტყვიან, სხვაგან საერთო არაფერია იაკობის „დედაენასთან“, ამიტომ აღნიშვნაც არააო საჭირო. ჩვენც აქა ვართ:

*შეიძლება თუ არა. წიგნს დაერქვას „დედაენა“. როცა საერთო არაფერი აქვს იაკობის ქმნილებასთან?*

რას ნარმოადგენს ალტერნატიული „დედაენა“ (ავტორები ვ. როდონია და სხვ.)? ამის თაობაზე არაერთგზის დაინერა და იტყვა. აღვნიშნეთ, ამჯერად ნიგნის ავ-კარგი არ გვაინტერესებს. ფაქტია: სრულიად განსხვავებული პრინციპები, სრულიად განსხვავებული მასალა (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ი. გოგებაშვილისაგან აღებულ რამდენიმე ტექსტს)...

რას ნარმოადგენს ლ. შალიკიანი-ხოტივარის „დედაენა“? ესაა საკითხავი ნიგნი, რომელშიც ი. გოგებაშვილის „დედაენაში“ ანბანის შესასწავლ სიტყვათა თემებზე (ია, თითი,... რეჰანი) ავტორს მის მიერ შედგენილი „ლექსები და პროზაული ტექსტები“ შეუტანია. ესაა აქვს საერთო იაკობთან, ამიტომ ტიტულზე არც უნდა ეწეროს: „დედაენის“ მიხედვით შეადგინა ლ. შალიკიანი-ხოტივარმაო“. ამ ნიგნის სიავეზე ვწერდით ერთხელ ჩვენს ჟურნალში, მაგრამ ამჟამად სახელწოდება გვაინტერესებს.

*მშობლიური ენის (ქართული ენის) სახელმძღვანელოს „დედაენა“ დაარქვა იაკობ გოგებაშვილმა. მანამდეც და მერეც არაერთი საანბანე ნიგნი არსებობდა, მაგრამ „დედაენის“ დარქმევა არავის მოსვლია აზრად. ეს რომ იყოს „ნეიტრალური“ სახელი, მაგალითად მშობლიური ენა, ანდა ქართული ენა, ცხადია, ყველას აქვს ამის დარქმევის უფლება... მაგრამ დედაენა ავტორისაა, იაკობისაა. მისი გამოყენება მითვისებაა სხვისი საკუთრებისა! ეს იგივეა, მიმსგავსებულ თემაზე შექმნილ ნიგნს „ვეფხისტყაოსანი“ დაარქვას ვინმემ.*

მივმართავთ განათლების სამინისტროს, ყურადღება მიაქციოს ამ ფაქტს და არსებული უსამართლობა გამოასწოროს, დავიცვათ იაკობ გოგებაშვილის საკუთრება სხვათა მიერ მითვისებისაგან.



## მკრეხელობა

„დედაენა“ სახელმძღვანელო კი არა, უდიდესი პოემაა. მე თანახმა ვიქნები, გამოვიდეს ეხლა ეს ნიგნი არა როგორც სახელმძღვანელო, არამედ საკითხავ ნიგნად, – ბრძანებს გალაკტიონი და, რა თქმა უნდა, ქართველი კაცისათვის შეხსენებაც არაა საჭირო, რომ „დედაენის“ ავტორი იაკობ გოგებაშვილია. თუმცა... ასე იყო აქამდე; შემდგომში ალბათ დაზუსტება დასჭირდება ავტორს...

გამომცემლობა „საქართველოს“ ქუთაისის ფილიალმა 1995 წელს გამოსცა „დედაენა“. გამოცემა უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზეა შესრულებული – ბუდაპეშტში დაიბეჭდა საუკეთესო ხარისხის ქალაღზე! ძალიან კარგო, იტყვის მკითხველი, მაგრამ... ეს არ არის იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“. ეს ლელა შალიკიან-ხოტივარის „დედაენაა“! დიახ: „ნიგნის მხატვრული გაფორმება. ლექსები და პროზაული ტექსტები ლელა შალიკიან-ხოტივარისა“ – ასე აწერია ნიგნს.

ამ ნიგნს იაკობის „დედაენასთან“ საერთო სახელი აქვს და მინიშნება იმის თაობაზე, რომ ეს არის „დამხმარე სახელმძღვანელო პირველკლასელთათვის იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ მიხედვით შედგენილი“; და კიდევ სურვილი, იაკობის „დედაენის“ გვერდით დგომისა!... ავტორს მოვუსმინოთ: „ამ ნიგნსაც დედაენა ვუწოდებ ისე როგორც დედა არქშევს ხოლმე თავის პირშოს სახელს ეისამე საყვარელითა და პატივისცემით. ვფიქრობ, ეს ნიგნი მოკრძალებით დადგება იაკობ გოგებაშვილის დედაენის გვერდით“...

მკრეხელობაა, სხვა რომ არა ითქვას, ამგვარი სათაურის შერჩევა...

მკრეხელობაა, იაკობის „დედაენასთან“ თავის გატოლება...

ცალკე მსჯელობის საგანია ნიგნის თემატური მხარე და მასში (I ნაწილში) შესულ ნაწარმოებთა მხატვრული დონეც („ნიგნის ბოლოს, – ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, – თავმოყრილია ქართველი პოეტების საუკეთესო ლექსები“)...

ნიგნის რედაქტორია *ზურაბ კუხიანიძე*.

ნიგნი დამხმარე სახელმძღვანელოდ „*დამტკიცებულია საქართველო*“



საქართველოს  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

ლოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს მიერ“...

გვსურს შევეკითხოთ გამომცემლობასა და განათლების სამინისტროს: ხვალ ლელა შალიკიან-ხოტივარმა, ან ვინმე სხვამ, შოთა რუსთაველის სიყვარულითა და პატივისცემით „ვეფხისტყაოსანი“ რომ დაარქვას თავის წიგნს, დაამტკიცებენ და გამოსცემენ?

და კიდევ, შევახსენებთ გამომცემლობასა და განათლების სამინისტროს, რომ წელს „დედაენის“ საიუბილეო წელია – იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“!...

გაზეთი „ბურჯი ეროვნებისა“, №12(17), 1996 წ.





კვლავ პროგრამები, მიხეილ ჯავახიშვილი და სხვა...

„რამდენი წელია, განათლების რეფორმა მიმდინარეობს და ვერა და ვერ მოხერხდა სასკოლო და მისაღები გამოცდების პროგრამების შეჯერება. კანონიერად ისმის კითხვა, ვის ან რას ენიჭება მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლება სკოლაში?“ ამ კითხვას პრაქტიკოსი პედაგოგი სვამს (მ. კარტოზია, ღმერთმა გისმინოთ, ბატონო პრეზიდენტო: „ბურჯი ეროვნებისა“, № 12, 1999, გვ. 15).

მ. კარტოზიამ ერთმანეთს შეუდარა ახლახან გამოსული საშუალო სკოლის ქართული ლიტერატურის პროგრამა ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისაღები გამოცდების პროგრამას ქართულ ლიტერატურაში და, როგორც აღნიშნავს, სხვაობა მართლაცდა საგულისხმოა.

ლოგიკურია და პრობლემური ავტორის მიერ დასმული შეკითხვები: „მისაღებ გამოცდაზე მისულ აბიტურიენტს, რომელსაც სასკოლო პროგრამის მიხედვით „ჯაყოს ხიზნები“ აქვს გავლილი, როგორ შეიძლება „ჯილდო“ და „მინის ყივილი“ გამოჰკითხო? გამოცდელმა რა ქნას? როგორ მოიქცეს? რატომ გვიჩენს განათლების სამინისტროს სამეცნიერო-მეთოდური ცენტრი ასეთ თავსატეხს? განა არ შეიძლებოდა, რომ ეს საკითხი მოგვარებულიყო?“

მართლაცდა, რა ხდება?

საიდან გაჩნდა მისაღები გამოცდების პროგრამაში მ. ჯავახიშვილის „ჯილდო“ და „მინის ყივილი“, როცა სასკოლო პროგრამაში „ჯაყოს ხიზნებია?“

საკითხი არც ისე მარტივია და ყველაზე მეტად ამ სირთულემ თუ გაუგებრობამ მიხეილ ჯავახიშვილი დააზარალა.

პატივცემულ პედაგოგს მხედველობიდან გამორჩა ის, რომ დღეს ქართული საშუალო სკოლების ბოლო სამ კლასში ალტერნატიული პროგრამები მოქმედებს, უფრო სწორად, არსებობს ორი პროგრამა მაღალი კლასებისათვის: პირველი, რომელსაც პირობითად განათლების სამინისტროს პროგრამას დავარქმევ, რომლის ახალმა გამოცემამაც დაანერინა ეს წერილი ქ-ნ მ. კარტოზიას და მეორე - ქართული ლიტერატურის პროგრამა IX-XI კლასებისათვის,

რომლის ავტორი არის პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მარიამ თაბორიძე. როგორც განათლების სამინისტროს საშუალო განათლების სამმართველოს მთავარმა სპეციალისტმა გვიტხრა, პედაგოგს უფლება აქვს, აირჩიოს და მის მიერ მოწონებული პროგრამის მიხედვით ასწავლოს.

ჩვენ დავინტერესდით, მაგრამ ვერავინ გვიპასუხა, რომელი პროგრამა რამდენ სკოლაში გამოიყენება. ის კი არაა, შეიძლება, ერთსა და იმავე სკოლაში ერთმა მასწავლებელმა ერთი პროგრამით ასწავლოს და მეორემ – მეორით...

პროფ. მ. თაბორიძის პროგრამა განათლების სამინისტროს სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის გრიფითაა გამოსული, თუმცა, განსხვავებით პირველი პროგრამისაგან, არ ჩანს, განათლების სამინისტროს კოლეგიამ განიხილა და დაამტკიცა თუ არა. ვერც ის გავარკვეეთ, რა პრინციპით ხდება არჩევანი. და საერთოდ, რამდენადაა მისაღები ერთმანეთისაგან ასე განსხვავებული პროგრამების ალტერნატივა. როცა ასეთ შესაძლებლობას ვუშვებთ, უნდა არსებობდეს გარკვეული სტანდარტები, სავალდებულო მინიმუმი, რასაც დაემყარება ამგვარი ალტერნატიული პროგრამები.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილი გახდა, ასეთ სტანდარტებზე განათლების სამინისტრო მუშაობს, მაგრამ მაღალი კლასებისათვის ქართულ ლიტერატურაში სტანდარტები ჯერ არ შეუმუშავებიათ.

ამიტომაცაა, ერთ სკოლაში სხვას ასწავლიან, მეორე სკოლაში – სხვას. ახლა კონკრეტულად მიხვილ ჯავახიშვილის თაობაზე. დავწერე ერთხელ, მ. ჯავახიშვილის რეპრესიები გრძელდება-მეთქი. ადრე, 90-იან წლებამდე, საშუალო სკოლისა და უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდების პროგრამებში „არსენა მარაბდელი“ იყო შეტანილი და თითქოს ყველაფერი ნესრიგში იყო.

მერე გაიმართა დისკუსია, „არსენა მარაბდელი“ უნდა ისწავლებოდეს თუ არა სკოლაში; ამ დროს გამოჩნდა ალტერნატიული პროგრამაც, რომელშიც ამ რომანის ნაცვლად მ. ჯავახიშვილის მოთხრობები იქნა შეტანილი. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ უმაღლესი სასწავლებლის პროგრამიდან 80-იანი წლების ბოლოს ამოიღეს „არსენა მარაბდელი“ და მ. ჯავახიშვილი დარჩა პროგრამის გარეთ.

სამწუხარო ჭეშმარიტებაა: მწერალსა თუ ნაწარმოებს, რომელიც არ შედის მისაღები გამოცდების პროგრამაში, არც სკოლაში

აქცევენ ყურადღებას. უფრო სწორად, უმეტესწილად ახალგაზრდა სწავლობს იმას, რასაც მოჰკითხავენ მისაღებ გამოცდაზე და არა იმას, რასაც ითვალისწინებს საშუალო სკოლის პროგრამა. ასე მოხდა ამ შემთხვევაშიც. უმაღლეს სასწავლებლებში მიდიოდნენ ახალგაზრდები, რომელთაც ნაკითხულიც არ ჰქონდათ მ. ჯავახიშვილი.

მოძებნეს გამოსავალი: 90-იანი წლების დასაწყისში უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდების პროგრამაში შეიტანეს მოთხრობა „ღამბალო და ყაშა“. როგორც გაირკვა, ეს შესანიშნავი მოთხრობა მხოლოდ კლასგარეშე საკითხავ ლიტერატურაში იყო დასახელებული ერთ-ერთ მოქმედ სასკოლო პროგრამაში.

თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის სამეცნიერო-მეთოდურმა საბჭომ საგანგებოდ იმსჯელა პროგრამების თაობაზე. სხდომას ესწრებოდა განათლების სამინისტროს ქართული ლიტერატურის მეთოდსაბჭოს თავმჯდომარე პროფ. გ. ფარულავაც. ლოგიკურად დაისვა კითხვა: რასაც არ ვასწავლით სკოლაში, როგორ შეიძლება შევიტანოთ მისაღები გამოცდების პროგრამაში. მ. ჯავახიშვილი ისევ პროგრამის გარეთ დარჩა.

შემდეგ ეტაპზე, 1998 წელს, განათლების სამინისტროს პროგრამაში „არსენა მარაბდელი“ „ჯაყოს ხიზნებით“ შეცვალეს. მაგრამ, ეს ცვლილება შეეხო იმ პროგრამას, რომელშიც იყო „არსენა მარაბდელი“. მეორე პროგრამაში სავალდებულოდ არის მიჩნეული მ. ჯავახიშვილის მოთხრობები: „ჩანჩურა“, „ჯილდო“, „მინის ყივილი“ და „მართალი აბდულაჰ“.

1998 წელს თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო-მეთოდურმა საბჭომ კვლავ იმსჯელა მისაღები გამოცდების პროგრამების თაობაზე; იმსჯელა ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭომაც და გადაწყდა, რომ თსუ მისაღები გამოცდების პროგრამაში შეეტანათ საშუალო სკოლებში მოქმედ *ერთ-ერთ პროგრამაში წარმოდგენილ მოთხრობები „ჯილდო“ და „მინის ყივილი“*. ფილოლოგიის ფაკულტეტის აზრი გაითვალისწინა და დაამტკიცა თსუ სამეცნიერო-მეთოდურმა საბჭომ და გამოქვეყნდა კიდევ ასე. ეს იყო 1998 წელს. მაგრამ რადგანაც ყველა სკოლაში არ ისწავლებოდა ეს ნაწარმოებები, ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოზე ითქვა და გაკეთდა კიდევ განცხადება, რომ მისაღები გამოცდების პროგრამაში შეტანილი „ჯილდო“ და „მინის ყივილი“ 1999 წლის მისაღებ გამოც-



დებზე აბიტურიენტებს არ მოეკითხებოდა. ვიმედოვნებდით, რომ განათლების სამინისტროს საშუალო განათლების სამმართველო და სამეცნიერო-მეთოდური ცენტრი ანგარიშს გაუნევდა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის აზრს, ანდა მასთან კონსულტაციებს გამართავდა ამის თაობაზე; მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა... აქ მუნდირის ღირსებაზე არ არის საქმე. ბევრი რამ ფუჭდება: ვაბნევთ პედაგოგებს, ვაბნევთ აბიტურიენტებს, ზარალდება კლასიკოსი მწერალი (და შესაბამისად, მკითხველი...).

განათლების სამინისტროს შესაბამისმა სამსახურებმა ვფიქრობთ, ყოველივე ეს ყურად უნდა იღონ. ამ თვალსაზრისით თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო-მეთოდურ საბჭოსთან კონტაქტები და თანამშრომლობა საქმეს მხოლოდ სიკეთეს მოუტანს.

ეს საკითხი ჩვენ მ. ჯავახიშვილის მაგალითზე დავსვით. პრობლემები სხვა მწერალთა შემოქმედებასთან დაკავშირებითაც იჩენს თავს.

მადლობას მოვახსენებთ პედაგოგ მ. კარტოზიას ამ საკითხის წამოჭრისათვის და მოვუწოდებთ პრაქტიკოს მასწავლებლებს, ერთად ვიფიქროთ ჩვენი ენისა და ლიტერატურის პრობლემებზე.

*ჟურნალი „ბურჯი ეროვნებისა“*

*№1-2, 2000 წ.*

## დიდი მწერლის „რეპრესია“ ბრძოლები

ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის პროგრამები და უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა მისაღები გამოცდების პროგრამები რომ განსხვავებულია, ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს: ყველაფერი, რაც შეიძლება ბავშვმა თერთმეტი წლის მანძილზე ისწავლოს, არ შეიძლება მოეთხოვოს მისაღებ გამოცდებზე: გამოცდების პროგრამებში უნდა აისახოს არსებითი და მთავარი...

სამწუხაროდ, მისაღები გამოცდების პროგრამებმა სასწავლო პროცესში არსებითი კორექტივი შეიტანა - მაღალი კლასების მოსწავლეები სკოლასა თუ რეპეტიტორთან მხოლოდ იმას სწავლობენ, რაც უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვისაა სავალდებულო.

ამ „ჭეშმარიტებას“ არა ერთი და ორი მწერალი „შეენირა“. განსაკუთრებით მძიმე ვითარებაა XI კლასში: XX საუკუნის ქართული მწერლობა ძალზე მწირადაა წარმოდგენილი. 20-25 წლის წინათ თანამედროვე მწერლობა გაცილებით უკეთ ისწავლებოდა და ეს მისაღები გამოცდების პროგრამებშიც აისახებოდა...

იქნებ დადგა დრო, სერიოზული მსჯელობის საგნად იქცეს, რა ვასწავლოთ სკოლაში და რა - არა. ეს საკითხი ერთი-ორი ამბიციური და ახირებული კაცის გადასაწყვეტი არ უნდა იყოს.

კონკრეტული მაგალითი: ჩვენდა სამწუხაროდ, 1937-1956 წლებში თაობები მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედების გარეშე გაიზარდა. ამ წლებში დიდი ქართველი მწერალი აკრძალული იყო.

საბედნიეროდ, ოთხი ათეული წელია, არავინ გვიშლის ვისწავლოთ და ვიკითხოთ მიხეილ ჯავახიშვილის გენიალური თხზულებანი, მაგრამ ბოლო წლებში ქართულ სკოლაში ეს მწერალი მაინც „რეპრესირებულთა“ რიცხვში მოხვდა...

ჩვენს ხელთაა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ორი პროგრამა: ერთი განათლების სამინისტროსი (ავტორი და რედაქტორი არაა მითითებული), რომელიც ძირითად პროგრამად ითვლება და სკოლების უმეტესობა ამით სარგებლობს (ბოლო გამოცემა 1991 წლით თარიღდება). მასში სავალდებულოდ შეტანილია მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელი“, ხოლო კლასგარეშე საკითხავად - „ჯაყოს“



ხიზნები", "დამპატიჟე", "მინის ყივილი", "ჩანჩურა", "მართალი აბდულაჰ", "ლამბალო და ყაშა" და წერილები.

მეორე პროგრამის ავტორია პროფესორი მ. თაბორიძე. აქ სავალდებულოდ მიჩნეულია მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობები: „ჩანჩურა“, „ჯილდო“, „მინის ყივილი“, „მართალი აბდულაჰ“, კლასგარეშე საკითხავად – „არსენა მარაბდელი“ და წერილები.

თავისთავად, ასე განსხვავებული ორი პროგრამის არსებობა საკმეხს ართულებს, მაგრამ მთავარი ისაა, რომ უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების პროგრამებში მიხეილ ჯავახიშვილი შეტანილი არ არის: „არსენა მარაბდელი“ უგულებელყვეს. იყო მცდელობა „ლამბალო და ყაშას“ პროგრამაში შეტანისა, მაგრამ რამდენადაც სკოლაში არ ისწავლება, ეს მცდელობა უმართებულოდ ჩაითვალა და დღეს აბიტურიენტს მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედების ცოდნა არ მოეთხოვება.

შედეგი: საშუალო სკოლებში მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედება აღარ ისწავლება (100-მდე სკოლის მონაცემები), რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, დამამთავრებელ კლასებში სასწავლო პროცესი თითქმის ჩაშლილია, მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებას ფორმალურადაც აღარ გადიან. ანდა აბსოლუტურად თავისუფალი დამოკიდებულებაა, ვისაც რა უნდა, იმას ასწავლის... ასე რომ, მიხეილ ჯავახიშვილი სკოლის გარეთ აღმოჩნდა, დიდი მწერალი კვლავ „რეპრესირებულითა“ რიცხვშია.

ვფიქრობთ, არ არის გვიან, ამ ფაქტზე სერიოზულად დავფიქრდეთ და მისაღები გამოცდების პროგრამები საშუალო სკოლის პროგრამებთან შევაჯეროთ. შესაბამისად, კლასიკოსებს კუთვნილი პატივი მივაგოთ, ვიხსნათ მიხეილ ჯავახიშვილი გაუმართლებელი და ცინიკური რეპრესიებისგან. მოსწავლე-ახალგაზრდობას გულსა და გონებაში გარკვეული მიზეზების გამო ჩამქრალი ეროვნული სულის გამოსაღვიძებლად ამ დიდი მწერლის შემოქმედების შესწავლა და გათავისება აუცილებელზე აუცილებელია.

გაზეთი „ლიბო“ (ვაზ. „ალიას“ დამატება).

1997 წ. 5 მაისი



## ქართულად თარგმნიან... ქართველ მწერლებს?

თურმე ნუ იტყვიტ და თანამედროვე მკითხველის დიდი ნაწილის გაუცხოება მოხდა ისეთი „მრავალმხრივ მნიშვნელოვანი ძეგლის“ მიმართ, როგორც „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“. ამის მიზეზი მკითხველის ძველ ქართულ ენასთან დაშორება და გიორგი მერჩულის დიდებული ქმნილების „ზოგიერთი ადგილის სირთულე“ (რა სახის სირთულე – ვერ გეტყვიტ) ყოფილა.

ამ საკითხს დიდად შეუწუხებია ორი ქალბატონი, მანანა ანდრიაძე და შორენა ქაჯაია, და უპოვიატ გამოსავალი: გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ უთარგმნიატ თანამედროვე ქართულ ენაზე.

და ასე გაუმარტივეს საქმე იმას, ვინც, რა თქმა უნდა, არც ამ „თარგმანის“ კითხვით მოიკლავს თავს. თორემ ვისაც სურდა და სურს, ის უთარგმნელადაც იგებს და კითხულობს ქართული ენის ამ ბრწყინვალე ძეგლს.

თუმცა რა გვიკვირს: სამი ათეული წელია პროზად „თარგმნილი“ „ვეფხისტყაოსანი“ გადადის ხელიდან ხელში. არსებობს რამდენიმე გამოცემა... ამას წინათ „შუშანიკის წამება“ და „აბო თბილელის წამებაც“ თარგმნეს (იხ. „ბ.ე.“, №8-9, 1997)... მალე ალბათ სულხან-საბასა და გურამიშვილის ჯერი დადგება...

და ჩვენი ეროვნული სკოლა ფართოდ უღებს კარს ასეთ „თარგმანებს“. უფრო მეტიც, მასწავლებლები ძალიან აქტიურობენ და აიძულებენ მოსწავლეებს, შეიძინონ საკმაოდ ძვირადღირებული ვიოთარგმანები!...

ვილაცის აზრით ეს ბიზნესია!... მაგრამ რის ხარჯზე – უმნიშვნელოვანეს ეროვნულ ფასეულობათა ხელყოფისა და შერყვნის ხარჯზე? რა დარჩა ამ თარგმანში მხატვრულად ფასეული, მერჩულესეული! „მთარგმნელები“ გულახდილად აღიარებენ, მაგრამ რას შევლის ასეთი აღიარება: თარგმანში „თავიდან ვერ იქნა აცილებული მცირეოდენი სტილური უხერხულობანი თანამედროვე ნორმებთან მიმართებით“...

ქართული კულტურის გადარჩენაზე უამრავი საუბარია. სა-



მთავრობო შეკრებები ეწყობა: პრესა, ტელევიზია, რადიო... ესეც ხომ ჩვენი კულტურული ფასეულობის ხელყოფაა!?

„ვეფხისტყაოსნისა“ თუ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ თარგმნა(!) იმის ტოლფასია, დიდებული ტაძარი დავანგრიოთ და უბრალო ფარდულს შევაფაროთ თავი!

*მეშართავთ განათლების დარგის შესვეურებს:* განათლების სისტემაში ამგვარი „თარგმანებით“ სარგებლობა უნდა აიკრძალოს! მკაცრად უნდა მიეთითოთ იმ პედაგოგებს, ვინც ამას უწყობს ხელს!

იქნებ კანონმდებლებსაც ეფიქრათ. კანონი (ან მსგავსი რამ – დადგენილება, განკარგულება, ბრძანებულება...) ხომ არ შეგვექმნა, რომელიც ქართველ კლასიკოსთა ქართულ ენაზე თარგმანს აკრძალავდა? ამით იქნებ ვიხსნათ მთარგმნელები იმ ჯოჯოხეთური შრომისაგან, რაც მათ გალაკტიონის ლირიკის პროზად თარგმნისას მოეწივთ. არადა ამგვარი თარგმანის საჭიროებასაც დაასაბუთებენ – უჭირს მოსწავლეს გალაკტიონის ლექსის გაგებაო...

P.S. „თარგმანის“ ენობრივი განხილვისათვის არც დრო გვეშეუტება და არც ადგილი უურნალოში...

*უურნალო „ბურჯი ეროვნებისა“. №2, 1998.*





### სულხან-საბას თარგმნეს... ძართულად!...

ჩვენს მკითხველს ახსოვს: იაკობ ხუცესის, იოანე საბანის ძისა და გიორგი მერჩულის თხზულებებს შეჰბედეს და ახალ ქართულ ენაზე „თარგმნეს“; კეთილშობილური მიზნები გვამოძრავებდაო - მოსწავლე-ახალგაზრდობას ძველი ქართული ლიტერატურის კლასიკურ ნაწარმოებთა აღქმა-გაგება გავუადვილებთო: თუ როგორი იყო ეს გაადვილება, ერთ მაგალითს მოვიყვან „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“. „*ხინჩოთგანვე ღვინოა და ჭორცი არა შეჭდა პირსა მისსა*“; - ასე „თარგმნეს“: *პატარაობიდანვე ღვინო და ხორცი არ შეხულა მის პირშიო...*

ამ „თარგმანების“ თაობაზე ავტოცხეთ ერთი ამბავი, მივმართეთ განათლების სამინისტროსაც; ამის შესახებ იმსჯელა სამინისტროს სამეცნიერო-მეთოდურმა საბჭომ; დისკუსიაში ჩაერთნენ ჩვენი ცნობილი მეცნიერები, კულტურის მოღვაწენი... შედეგი? ხელახლა „ითარგმნა“ პროზად „ვეფხისტყაოსანი“ („მთარგმნელი“ თ. ბარბაქაძე) და, მიუხედავად საზოგადოებრივი აზრისა, პედაგოგთა ერთი ნაწილი ავალებს მოსწავლეებს, იშოვონ ახალქართულზე „თარგმნილი“ ტექსტები და იმით ისწავლონ!...

კლასიკური მწერლობისადმი ასეთი დამოკიდებულება საგანგაშოა...

ახლახან კიდევ ერთი „თარგმანით“ „გამდიდრდა“ სასკოლო ბიბლიოთეკა. „თარგმნეს“ სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“!!!

„მთარგმნელმა“ და გამომცემლებმა ძალიან კარგად იციან, აუსაქმეს რომ ჩადიან, ამიტომაც ასაიდუმლოებენ თავიანთ თავს. ამ გამომცემას არც ავტორი აწერია და არც რედაქტორი; არც გამომცემლობა და არც სტამბა! საერთოდ, როდემდე უნდა გამოდიოდეს ასეთი მაკულატურა? გამომცემლობებსა და სტამბებს: (ალარას ვამბობ ავტორ-რედაქტორებზე) უნდა მოეკითხოთ ამგვარი გამომცემების გამო.

ჩვენი აღშფოთება სულხან-საბას იგავ-არაკთა ანონიმი ავტორის „თარგმანებმა“ გამოინვია. ერთ მაგალითს მოვიყვან:



**სულთან-საბა ორბელიანი**

ერთმან მეფემან უბრძანა თავისსა ვაზირსა: ნადი, ასეთი საჭმელი მომიტანეო, რომე ხმელზე მის უტკბესი არა იყოსო და არცა ზღვათა შინა იპოვებოდესო!

ნავიდა ვაზირი, ენა უყიდა, მოუტანა, შეწვა, აჭამა და მოეწონა.

უბრძანა კიდევ: ნადი, ასეთი რამ მომიტანე, ქვეყანაზე მისი უმწარესი არა იპოვებოდესო!

ნავიდა, კიდევ ენა უყიდა და მოუტანა.

უბრძანა მეფემ: მწარე ვითხოვე, ენა მომიტანე და ტკბილი ვითხოვე და, ენა მომიტანეო?!

მოახსენა ვაზირმან: თავმან შენმან, არცარა ენის უტკბესი იქნების და არცარა ენის უმწარესი პირსა ყოვლისა ქვეყნისასაო".

**ანონიმი „მთარემწელი“...**

ერთმა მეფემ თავის ვეზირს უთხრა, რომ წასულიყო იგი და ისეთი საჭმელი მოეტანა, რომ დედამინის ზურგზე და ზღვაშიც მასზე ტკბილი არაფერი ყოფილიყო. ნავიდა ვეზირი, უყიდა ენა, მოუტანა, შეწვა, აჭამა. მეფეს ძლიერ მოეწონა. მეორედაც უბრძანა მეფემ ვეზირს, წასულიყო და ისეთი რამ მოეტანა, მასზე მწარე არაფერი ყოფილიყო. ვეზირი ნავიდა, კიდევ ენა უყიდა და მოუტანა. მეფემ გაკვირვებით ჰკითხა ვეზირს: მწარის მოთხოვნისას ენა მიართვეს, ტკბილი ითხოვა და კვლავ ენა მიუტანეს და რით აიხსნებოდა? ვეზირმა მოახსენა: „არც ენის უტკბესი იქნებისო და არცა ენის უმწარესი პირსა ყოვლისა ქვეყნისასაო“.

ამგვარი შედარება, ვფიქრობთ კომენტარს არ საჭიროებს, მაგრამ კითხვას კიდევ ერთხელ დავსვამთ: როდემდე უნდა გაგრძელდეს კლასიკოსთა თხზულებების ასეთი ხელყოფა? ვთქვათ და, ვილაც წერასატანილმა ივარჯიშა, მაგრამ ხომ შეიძლება სკოლებისაკენ ამგვარ მკრეხელობას გზა გადაეკეტოს?

მაგრამ, აინტერესებს ვინმეს ჩვენი სკოლის ბედი?...

*ჟურნალი „ბურჯი ეროვნებისა“. №1-2, 2001.*



## ერთი წიგნი და მრავალი კითხვა... პასუხი?

ამას წინათ ჩემთან მშობელი მოვიდა და წიგნი მიჩვენა. ნახე. როგორი სახელმძღვანელოთი ასწავლიან ჩემს შვილსო. გაკვირვებული და უკმაყოფილო იყო. იმ მშობლის შვილი ისწავლის თუ არა ისე იმ სასწავლებელში, ეს სხვა საკითხია. ვილაც ხომ სწავლობს და არ უკვირთ მის მშობლებს...

მოკლედ:

წიგნს ჰქვია: *ქართული ლიტერატურის კურსი მე-9 კლასელთათვის. მოგ ზაურობა კოსმოსში.*

წიგნის გამომცემელი არის ამერიკული აკადემია თბილისში. გამომცემის წელი – 2002.

პირველი კითხვა: ქართული ლიტერატურის კურსს რატომ ჰქვია მოგ ზაურობა კოსმოსში?

ერთიც ვთქვათ: ჩემს კითხვებს არ ჰყავს კონკრეტული ადრესატი. ერთად ვიფიქროთ. ასეთი სასწავლებლები და ასეთი სახელმძღვანელოები რა ხეირს დაგვაცურის. ისე კი, სხვაზე მეტად, ალბათ, ჩემი კითხვების ადრესატი განათლების სამინისტრო.

წიგნში არის რუბრიკა „საფიქრალი“. მოყვანილია სხვადასხვა აზრი, ფრაზა და მოსწავლემ უნდა იფიქროს. ცხადია, აქ ცუდი არაფერია, მაგრამ... პირველივე გვერდზე საფიქრალში ვკითხულობთ: როდესაც „ევგენი ონეგინში“ ტატიანამ უარი უთხრა ონეგინს, პუშკინმა შეჰყვირა: Айда Пушкин, айда сукин сын! (გვ. 4)

რა შუაშია ქართული ლიტერატურა?

„საფიქრალები“ ამგვარ კითხვას ხშირად დაგვასმევენებს:

გვ. 67. „შვიდი წლის ბიჭის ლექსი

„Я верблю

Я вас люблю

И мне все чедится

Что вы верблюдица“

საინტერესოა და ამკარად გაგვიჩენს საფიქრალს ასეთი ფაქტები: „შვილის გარდაცვალების დღეს ტოლსტოიმ ერთადერთი ფრაზა დაწერა (ჯობდა „ჩანერა“ – გ. გ.) დღიურში:

„Ваничка скончался - это ужасно“ (გვ. 68)

იქვე: „მისი მეუღლის დღიურებში ასეთ ჩანაწერს ვხედავთ:

„Мой милый Ваня скончался - а я жива“...

მაგრამ რა შუაშია ქართული ლიტერატურის კურსი?

მაინც რა არის ეს „საფიქრალები“? ვთქვათ, ასეთი მაგალითი: „ყოველ ადამიანში არის მზე, ოლონდ, მიეცით საშუალება, რომ აინთოს“ – სოკრატე (გვ. 1) და ჩვენ შევხვდებით: მაჰათმა განდისა (გვ. 31) და ჯეიმს ჯოისს (გვ. 45). ჟან-პოლსა (გვ. 116) და ჟან-ჟაკ რუსოს (გვ. 117), ჰერმან ჰესესა (გვ. 130) და სხვათ... ამ უკანასკნელის გამონათქვამი რუსულადაა მოყვანილი...

ნუ დაგვაფიქვდება, ჩვენ ვსაუბრობთ ქართული ლიტერატურის მე-9 კლასის სახელმძღვანელოზე...

არცთუ დიდი მოცულობის წიგნში დაბეჭდილია:

იოჰან ბორგერის „სკანდინავიური ესეებიდან“ – „მწერლის პროფესია“ – (გვ. 35-38).

ხოხე ორგეტა ი გასეტის – „ხელოვნების დეჰუმანიზაცია“ (გვ. 53-55).

გიორგი გურჯიევის – „ადამიანი არის მრავლობითი არსება“ (გვ. 120-122).

იაპონური ტანკების ქართული თარგმანი (მთარგმნელი არაა მითითებული)...

ანა ახმატოვას (გვ. 164), სერგეი ესენინის (გვ. 178), ჰაინრიხ ჰაინეს (გვ. 134), ომარ ხაიამის (გვ. 194), ჰაფეზის (გვ. 195) – ლექსები. ამათგან ა. ახმატოვასა და ს. ესენინის ლექსები რუსულადაა დაბეჭდილი. დანარჩენი – ქართული თარგმანითაა წარმოდგენილი (მთარგმნელი არსად არ მითითება).

და ყოველივე ეს ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოში...

აქ აღარ ვამახვილებთ ყურადღებას, ქართული ავტორების რა ნაწარმოებებია შერჩეული – ეს ცალკე თემაა...

ვინ შეადგინა წიგნი? ვინაა პასუხისმგებელი ამ გამოცემაზე? ვინ აგებს პასუხს შედეგებზე?...

კითხვა მრავლადაა...

პასუხი?



## აღმავსოთიბელი და შვიავსოთიბელი

28 თებერვალს ლატარია „ფორტუნას“ გათამაშებაში მონანილე ნყვილებს ბატონმა ბორის ნიფურიამ ასეთი კითხვა დაუსვა: ასი გამოკითხულიდან რამდენს ექნებოდა წაკითხული „ვეფხისტყაოსანი“ და რამდენს ეცოდინებოდა, ვინ იყო ბესიკი. ჯერ თამაშის მონანილეთა და მერე გამოკითხულთა პასუხებმა გამოოგნა: 60-ს ქონდა „ვეფხისტყაოსანი“ წაკითხული და 40-მა იცოდა, ვინ იყო ბესიკი (მოთამაშებმა უფრო ნაკლები ივარაუდეს!).

არა მგონია, ეს საბავშვო ბალის აღსაზრდელებისათვის ეკითხათ. ვფიქრობ, ამ კითხვაზე გაცემულმა პასუხებმა ჩვენი განათლების სისტემის მესვეურები დიდად უნდა ჩააფიქროს! რა რეფორმებზე ვსაუბრობთ, რა მიღწევებით ვინონებთ თავს, როცა ჩვენში მოსწავლეების ნახევარს „ვეფხისტყაოსანიც“ არა აქვს წაკითხული... თუმცა, მე იმ 60 და 40 პასუხის სისწორეც შეეჭვება, დღევანდელი სკოლის მდგომარეობას რომ ვიცნობ.

საინტერესო იქნებოდა, ამ ფაქტზე განათლების სამინისტროს წარმომადგენელთა კომენტარი, კერძოდ, მათი პასუხი შეკითხვაზე: განათლების სისტემაში ეს გზა არის კი მესამე ათასწლეულისაკენ მიმავალი ქვეშარიტი გზა?

გაზეთი „თბილისი“, № 24, 1999.

## საით მივყავართ ამ ბზას?

არცთუ ისე შორეულ წარსულში თავს ვინონებდით, პირველ ადგილზე ვართ განათლების მხრივო, უმაღლეს დამთავრებულთა რაოდენობითო...

ეს იყო მაშინ, როცა საქართველოში 20-მდე უმაღლესი სასწავლებელი გვექონდა. დღეს 200-ზე მეტი უმაღლესი სასწავლებელი გვაქვს... მაშინ ერთი უნივერსიტეტი იყო; დღეს არც უნივერსიტეტებს აქვს სათვალავი...

შედეგი?

„დუტას შოუში“ საკონკურსოდ შერჩეული 10 კაციდან 3-4 კაცი ახერხებს ოთხი სიტყვის ანბანთრიგზე დალაგებას...

რა ერქვა ილიას მამას; ერეკლეს დროს ვინ ცხოვრობდა – სულხან-საბა, ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი... – ეს „რთული კითხვებია“, პირველს ფილოლოგმაც ვერ უპასუხა...

რამდენი კვადრატული მილიმეტრია კვადრატულ სანტიმეტრში; რა ალინიშნება ნიშნით W – ვატი, ვოლტი, ვოლფი თუ სხვა; და სხვა, და სხვა... არ იცოდა ოცი ათასის მსურველმა... არაა ეს არცოდნა არცოდვა... მაგრამ როცა ტელეჟურნალისტი გადაცემას ამზადებს, ნიგნში ხომ უნდა ჩაიხედოს? ასეთი მაგალითებიც არაა ცოტა.

„მაესტროში“ მამუკა ლლონტმა შეკითხვა დასვა, რა იყო ფარსმან სპარსის ნამდვილი სახელი და გვარიო და ეკრანზე დანერილი არც ერთი პასუხი სწორი არ იყო... ნამყვანმა, როგორც იქნა, „მიახვედრა“ მაყურებელი, სწორი პასუხი ბაქარ ჯორჯანელიაო...

სოსო თოლორაიამ კითხვა დასვა, ვინ არის ავტორი „გაყრისაო“; სამი სავარაუდო პასუხი მისცა: ილია ჭავჭავაძე, რაფიელ ერისთავი, ეგნატე ნინოშვილი! „მიახვედა“ მაყურებელი, რომ სწორი პასუხია რაფიელ ერისთავი და ნამყვანი დიდხანს ვერ ფარავდა ემოციას...

შეკითხვა დაუსვეს ტელემაყურებელს, რომელი უმაღლესი სასწავლებელი გაიხსნა პირველად საქართველოშიო. მაყურებელს არ „ჩაუთვალეს“ – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი – „გეპეიო“, უთხრა ნამყვანმა.

მეცხრე არხზე გადაცემაში „ჭკუისკოლოფი“ სკოლებიდან სწავ-



ლით გამორჩეული მონაფეები გამოჰყავთ და რა კითხვებზე ვერ უპასუხებენ, შეგეცოდება, რომ უყურო...

არ ვიცით, როდის მოხდა ბაზალეთის ომი, ბავშვი ვიყავი მაშინო – არ რცხვენია ამის თქმა უნივერსიტეტისა და ქვეყნის მონყობის მსურველ სტუდენტებს...

ამგვარი მაგალითების გაზრდა, ჩვენდა საუბედუროდ, უსასრულოდ შეიძლება, მაგრამ...

მაგრამ ჩვენ ეს ფაქტები საღალბოდ არ მოგვიტანია. ეს უბედურებაა ჩვენი; ეს უბედურებაა ჩვენი სკოლისა; ეს უბედურებაა ჩვენი საზოგადოებისა; ეს უბედურებაა ჩვენი ქვეყნისა.

ვიფიქროთ ამაზე!... და, რაც მთავარია, ვიღონოთ რაიმე...

**ჟურნალი „ბურჯი ეროვნებისა“. №1-2, 2002.**

## მომზადებული პოზა

იყო დრო, როცა ოფიციალურ პრესაში რადიოთი თუ ტელევიზი-  
ით გამოთქმული შენიშვნა, კრიტიკა უპაუხოდ არ რჩებოდა. უმარ-  
ტებულო შენიშვნისა თუ არაობიექტური კრიტიკის შემთხვევაში ად-  
რესატი თავს იმართლებდა, თუ, რა თქმა უნდა, პასუხის ღირსად  
ცნობდა კრიტიკოსს. ცილის მნამებელსაც ამხელდნენ და სჯიდნენ...  
მართებული შენიშვნების შემთხვევაში მიზეზებს განმარტავდნენ...  
ასე იყო არცთუ შორეულ წარსულში...

დღეს ხშირ შემთხვევაში ადრესატი არ თვლის საჭიროდ პასუ-  
ხის გაცემას საჯაროდ გამოთქმულ შენიშვნაზე, კრიტიკაზე, სერიო-  
ზულ ბრალდებაზეც კი... ვინც რა უნდა თქვასო...

ჩვენი გაზეთის პროფილიდან გამომდინარე, არაერთი წერილი  
დავბეჭდეთ ზოგადად განათლების, ეროვნული სკოლისა და, კერ-  
ძოდ, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების პრობლემებზე.  
შენიშვნებიც მრავლად იყო და კრიტიკაც, სურვილიც და თხოვნაც,  
არც საფუძვლიან ბრალდებას მოვრიდებოვართ, შეკითხვებიც დავს-  
ვით, მაგრამ პასუხი არ მიგვიღია... ვფიქრობთ, ან არ ჩაგვთვალეს  
პასუხის ღირსად (რაც საკმაოდ უსიამოვნო შეგრძნებას იწვევს), ან  
არაფერი ჰქონდათ საპასუხო (რაც უფრო მძიმედ შესაგუებელი აზ-  
რია ჩვენთვის).

ჩვენი სატკივარი კვლავ ეროვნული სკოლაა, რომელიც ეროვნუ-  
ლობის ბურჯად მიაჩნდა იაკობ გოგებაშვილს (მამულთან და დედაე-  
ნასთან ერთად). ცნობილია, რომ მზადდება სასკოლო რეფორმა, მა-  
გრამ ეს მომავლის სკოლას ეხება; რა დღეშია დღევანდელი სკოლა?  
ვთქვით ერთხელ, XX საუკუნის სკოლის ნანგრევებზე XXI საუკუნის  
სკოლა არ აიგება; ღრმად გვწამს ეს და ეს რწმენა მოსვენებას გვი-  
კარგავს... ძალიან გვინდა, მაგრამ ეს რწმენაც ჩვენთვის არავის და-  
ურღვევია...

ამიტომაც კვლავ დავსვამთ შეკითხვებს:

განათლების სისტემაში ქართულის პარალელურად არაქართუ-  
ლი ენების დამკვიდრება სწავლების ენად (საბავშვო ბაღიდან მოყო-



ლებული უნივერსიტეტის ჩათვლით) არის თუ არა სახელმწიფო ენის ფუნქციონირების შეზღუდვა და საით მივყავართ ამ გზას?

რა არის მიზეზი იმისა, რომ კითხვაზე – სწავლობდით თუ არა X-XI კლასებში საგანს ქართული ენა – პირველ-მეორე კურსის სტუდენტთა უმრავლესობამ ასე უპასუხა: „არ მახსოვს“, „არ ვიცი“?

რატომ მიეცა ასეთი ფართო მასშტაბი ე.წ. „ექსტერნად“ სკოლის დამთავრებას; რატომ იღებს ამდენი მეთექვსმეტე კლასის დამთავრების ატესტატს?

რატომ მომრავლდა ასე სალამოსა (თუ ლამის!) დასწრებული და დაუსწრებელი (!) სკოლები? თავის დროზე მსგავსი ფორმა სწავლებისა მასობრივი გაუნათლებლობის ლიკვიდაციისათვის შემოიღეს; დღეს კი ეს სკოლები მასობრივ უნიგნურობას ამკვიდრებენ.

ჩვეულებრივ (ე. ი. დღის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში თითო-ორილა დამამთავრებელი კლასია, ხოლო სალამოსა და დაუსწრებელ სკოლებში, რაზეც თვალი მიგვიწვდა, 5-7 (10-ზე მეტიც!) პარალელური კლასია; ხოლო თითოეულ ამ კლასში 35-40 მოსწავლეა. რატომ ხდება ასე?

პროცენტულად რამდენი იქნება ისეთი შემთხვევა, როცა ატესტატში შეტანილი შეფასება ობიექტურად ასახავს სკოლადამთავრებულის ცოდნას?

ამგვარი ცოდვამადლიანი კითხვების გამრავლება შეიძლება, თუმცა გვეყოფა... ამ კითხვებზე პასუხი ჩვენ ვიცი, მაგრამ ხელისუფალთა აზრი გვაინტერესებს. აქ კი, სამწუხაროდ, არ გვაქვს იმედი, რომ ადრესატი გვიპასუხებს. რატომ? ნაყრუება მომგებიანი პოზიაა. ვითომც არაფერი თქმულაო... საქმე კი უკუღმა მიდის...

**ვაჭეთი „ბურჯი ეროვნების“:**

**იენისი, 1997 წ.**

## ნუ ვიტყვიო უარს!

### არის თუ არა საჭირო მისაღები გამოცდები?

ჩვენ, უპირველესად, ქართული ენა და ლიტერატურა გვაინტერესებს: საგანი, რომელიც თითქმის ყოველთვის იყო საგამოცდო საგანთა სიაში ნებისმიერი უმაღლესი სასწავლებლის ნებისმიერ ფაკულტეტზე. დღეს აღარ არის ასე.

არასახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში ამ მხრივ სრული განუკითხაობაა; რამდენადაც ჩვენთვისაა ცნობილი, ლიცენზიის გაცემისათვის მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში გამოცდის ჩაბარება ანდა შემდგომ ამ საგნის სწავლება ერთ-ერთი აუცილებელი პირობა არ არის.

რა ხდება სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში?

საბედნიეროდ, უმეტეს შემთხვევაში ტრადიციული ვითარება შენარჩუნებულია.

ამ შემთხვევაში ჩვენ დასმული საკითხი გვაინტერესებს, თორემ როგორ ჩატარდეს, რა მეთოდით, ეს არაერთგზის ყოფილა დისკუსიის საგანი: ვფიქრობთ, „როგორ?“ – ეს სხვა თემაა: ამჯერად ჩვენთვის მთავარია საკითხი – საერთოდ არის თუ არა საჭირო მისაღები გამოცდები.

ზოგს საკითხის ამგვარად დასმა ალბათ გააკვირვებს – მაგას რა კითხვა უნდაო? არაა ასე მარტივად საქმე: 1995 წელს ქუთაისის უნივერსიტეტმა მისაღებ საგანთა ნუსხა გაამარტივა; აბიტურიენტი აბარებდა მხოლოდ ერთს – სპეციალურ საგანს. ასე რომ, ქართული ენა და ლიტერატურა მხოლოდ ფილოლოგიის ფაკულტეტზე ბარდებოდა... ასე ჩატარდა მისაღები გამოცდები 1996 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფასიან სექტორზე...

1996 წელს ქუთაისის მერიის ინიციატივას განათლების სამინისტროს კოლეგიამ მხარი დაუჭირა და ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ყველა ფაკულტეტზე უგამოცდო ჩარიცხვა მოხდა. ამ ექსპერიმენტის ავ-კარგზე ბევრი ითქვა და ითქმება კიდევ. ფაქტია, ინიციატივის ავტორები კმაყოფილნი არიან, რადგან 1997 წელსაც

ამგვარად აპირებენ სტუდენტთა მიღებას ამ უმაღლეს სასწავლებელში...

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ჩვენში ყველა გაიოლებულ და გამარტივებულ საქმეს მრავალი მიმბაძველი შეიძლება გამოუჩნდეს, უნდა ველოდეთ, რომ ეს ექსპერიმენტი ფართოდ გავრცელდება... შედეგი?

უგამოცდოდ ჩარიცხულ სტუდენტებს რამდენიმე შეკითხვა დავუსვით. ერთ-ერთი ასეთი იყო: დაასახელეთ თქვენი საყვარელი 10 მწერალი და 10 ნაწარმოები. მძიმე შედეგის წინაშე აღმოვჩნდით. იმჟამად ივანე ჯავახიშვილის საიუბილეო დღეები იყო და გამოკითხულთა 20-25%-მა საუკეთესოდ ამ „მწერლის“ - „მთვარის მოტაცება“ დაასახელა... საუკეთესო მწერალთა ნუსხაში აღმოჩნდნენ ნიკო ნიკოლაძე, გრიგოლ ხანძთელი და სხვანი. 10 მწერლის ჩამოთვლაც ყველამ ვერ შეძლო...

უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდით, როცა 10 თანამედროვე მწერლის დასახელება ვთხოვეთ, ანდა ილიას, აკაკის, ვეფხისტყაოსნის 10-10 ნაწარმოების ჩამოთვლა დავავალეთ.

მეტყვიან, ეს კურიოზებიაო და ასეთი კურიოზები ყოველთვის იყო... მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ ამჯერად საქმე გვაქვს არა შემთხვევით აბიტურიენტთან, არამედ სტუდენტთან - მომავალ ფილოლოგთან. როცა ამგვარად გასტუდენტებულ ახალგაზრდებს ჩვენი ქვეყნის ისტორიიდან ეპიზოდის გახსენება ვთხოვეთ, სავალალო მდგომარეობაში აღმოვჩნდით...

არ იფიქროთ, რომ ჩვენ ვინმეს დავცინოდეთ, პირიქით, გვადარდებს ეს...

მაგრამ პასუხი გვანტიერებს კითხვაზე: მშობლიური ენა და ლიტერატურა რომ არ იცის და თავისი ქვეყნის ისტორიაზე წარმოდგენა არა აქვს, ამგვარი სტუდენტისაგან შევძლებთ ისეთი სპეციალისტის გაზრდას, XXI საუკუნეს რომ სჭირდება?...

მისაღები გამოცდები რა შუაშიაო, შეიძლება იკითხოს ვინმემ.

ჩვენდა საუბედუროდ, დამამთავრებელი კლასების მოსწავლეები დღეს სწავლობენ მხოლოდ იმ საგნებს, რომელთა ჩაბარებაც მოუხდებათ მისაღებ გამოცდებზე. ასე რომ, სამწუხაროდ, მისაღები გამოცდები არის იძულების საშუალება, რომ ყმანვილი წიგნთან მი-



ვიყვანოთ და ის ელემენტარული საკითხები ვასწავლოთ, რასაც მიწის საღებები გამოცდების პროგრამები ითვალისწინებენ!

სკოლა რომ თავის სიმალლეზე იდგეს, სკოლადამთავრებულს ატესტატში ჩანერილი შეფასების შესაბამისი ცოდნა რომ ჰქონდეს, მაშინ ეს პრობლემა აღარ დადგებოდა, მაგრამ იშვიათი და ბედნიერი გამონაკლისის გარდა, დღეს სკოლებში დამამთავრებელ კლასებში სწავლა არაა! ეს ყველასთვის ნათელია.

თუ არ გვინდა, რომ უნიგნურობამ წალეკოს ყოველივე, თუ არ გვინდა, რომ XXI საუკუნემ შეგვაჩვენოს, მისაღებ გამოცდებს ნუ ვეცყვიით უარს ამ ეტაპზე... დავფიქრდეთ ყოველივე ამაზე!

*გაზეთი „ბურჯი ეროვნებისა“  
მარტი, 1997 წ.*



### დავხუჭოთ თვალი?

უმაღლესი სასწავლებლის სასწავლო გეგმების შედგენა, ერთი მხრივ, და უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდების საგნების შერჩევა, მეორე მხრივ, არაერთი დისკუსიის საგანი ყოფილა ამ ბოლო წლებში. საკითხი სხვადასხვა კუთხით დაისმოდა და დისკუსიის მონაწილეთა მოთხოვნებიც სხვადასხვაგვარი იყო. ვერ ვიტყვი, რომ ყოველთვის საღი აზრი იმარჯვებდა, მაგრამ, საბედნიეროდ, არც უამისობა იყო.

ძირითადი სადისკუსიო პრობლემა ქართული ენა და ლიტერატურა იყო: ვასწავლოთ თუ არა უმაღლესი სასწავლებლის არასპეციალურ ფაკულტეტებზე და თუ ვასწავლოთ, როგორ, რა პროგრამით? უნდა ჩაბარდეს მისაღებ გამოცდებზე ეს საგანი თუ არა და, თუ უნდა ჩაბარდეს, როგორ, რა სახით?... ეს კითხვები არაერთგზის დაისვა ბოლო წლებში.

ახლახან სახელმწიფო კონსერვატორიაში ისტორიის სწავლების საკითხი გახდა სადისკუსიო თემა. კერძოდ, კონსერვატორიის სასწავლო პროგრამიდან ამოიღეს საქართველოს ისტორია. როგორც მოსალოდნელი იყო, ამას სპეციალისტთა აღშფოთება მოჰყვა, რამაც კონსერვატორიის რექტორის გაკვირვება გამოიწვია.

ამთავითვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ არ გვაქვს კონკრეტულად ამ დისკუსიაში ჩართვის სურვილი. ჩვენ გვსურს პრობლემა სხვა კუთხით დავინახოთ: საქართველოს ისტორიის სწავლებაზე უარის თქმა ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის მიერ არაა გამონაკლისი შემთხვევა. სხვა უმაღლესმა სასწავლებელმა სავალდებულო საგანი ქართული ენა არჩევით საგნად გამოაცხადა და არჩევანის გაკეთების უფლება სტუდენტებს მისცა; მეორე უმაღლესმა სასწავლებელმა მისაღები გამოცდების საგანთა ნუსხიდან ამოიღო ქართული ენა და ლიტერატურა; იქვე არასპეციალურ ფაკულტეტებზე ქართული ენა აღარ ისწავლება. ასეთივე ბედი ეწია საქართველოს ისტორიასაც არაერთ უმაღლეს სასწავლებელში. აღარას ვამბობთ არასახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებზე. დავხუჭოთ თვალი და შევეგუოთ ყოველივე ამას?

სასწავლო საგანთა ნუსხიდან საქართველოს ისტორიის ამოღებას ასე ასაბუთებენ: „ეს სიახლე უმაღლესი სასწავლებლის რეფორმასთანაა დაკავშირებული, რომელიც სხვათა შორის, ერთ-ერთ მიზნად დასავლეთში მიღებულ სტანდარტებთან მიახლოებას ისახავს“ („რეზონანსი“, 3-4 თებერვალი, 1996 წ. გვ. 7). უკვე მერამდენედ იშველებენ დასავლეთის ქვეყნების სტანდარტებს, მაგრამ არც ერთხელ არ გავცა პასუხი კითხვას: ვართ კი ჩვენ მზად იმ სტანდარტების შემოსაღებად? საიდან დავიწყოთ რეფორმა, ზემოდან?...

რა თქმა უნდა, ვერ დავეთანხმებით მსჯელობას, რომ „სკოლაში დაშვებული სერიოზული შეცდომები უმაღლეს სასწავლებლებში, როგორც წესი, ვერ გამოსწორდება“ (იქვე).

გვნამს და გვჯერა: სანამ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა სკოლას დაემსგავსება, სანამ სკოლა თავის უშუალო საქმეს თავს გაართმევს, უმაღლესმა სკოლამ დიახაც უნდა იზრუნოს იმისათვის, რომ მშობლიური ენისა და ლიტერატურის თუ ისტორიის სწავლებაში დაშვებული ხარვეზები გამოასწოროს. სკოლაზე გადაბრალება გაუნათლებელ სპეციალისტთა თაობას გაგვიზრდის...

ასეც მსჯელობენ: „ჩვენ მისაღები საგამოცდო პროცესის ჩაშლას გვთავაზობენ, რადგან არასპეციალური საგნის მეტ-ნაკლებმა ცოდნამ იოლად შეიძლება შემოაბრუნოს ახალგაზრდა მუსიკოსის ბედი“ (იქვე). ეს „არასპეციალური საგანი“ საქართველოს ისტორიაა და, ალბათ, ქართული ენა და ლიტერატურაც. კი, მაგრამ, იქნება კი ის ქართველი სპეციალისტი (მუსიკოსი, მხატვარი, მსახიობი...), ვინც საქართველოს ისტორიასა თუ ქართულ ენას „არასპეციალურ“, ზედმეტ საგნად მიიჩნევს?

ამ თემაზე საუბარი შეიძლება გაგრძელდეს, მაგრამ ჩვენთვის მთავარია ერთი საკითხი - როგორია განათლების სამინისტროს პოზიცია?...

სამწუხარო ფაქტად მიგვაჩნია ის, რომ ასეთი დისკუსიები იმართება და განათლების სამინისტრო მას დუმილით ხვდება. 1989-1990 წლებში ორი სახელმწიფო პროგრამა დამტკიცდა - ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის. ორივე პროგრამაში საგანგებო ყურადღება ამ საგნების სწავლებაზე იყო გამახვილებული. ორივე შემთხვევაში განათლების სამინისტროს ვეალებოდა ამ საკითხზე პასუხისმგებლობა. რამდენადაც ეს პროგრამები არავის გაუუქმებია,



ივარაუდება, რომ მოქმედებს. განათლების სამინისტროს პასუხისმგებლობა კი არ ჩანს...

როცა საკითხი ამა თუ იმ საგნის სწავლებას, ანდა მისაღები გამოცდების ნუსხაში მის ყოფნა-არყოფნას ეხება, ინიციატივათა ავტორები უმაღლესი სასწავლებლის ავტონომიურობას მოიშველიებენ ხოლმე. გარკვევით ითქვა თავის დროზე და ახლაც უნდა გავიმეოროთ: ქართული ენისა და ლიტერატურის თუ საქართველოს ისტორიის სწავლება-არასწავლების საკითხი არ უნდა იყოს რომელიმე უმაღლესი სასწავლებლის გადასაწყვეტი. ამ საკითხზე სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს და განათლების სამინისტროს მეშვეობით მართავდეს პროცესს. ამას მოითხოვდა ზემოხსენებული სახელმწიფო პროგრამები და ეს მოთხოვნა უნდა შესრულდეს.

*ვაშეთი „ბურჯი ეროვნებისა“, №3, მარტი, 1996 წ.*

## ობიექტურად ბანსაჟოტი

ბუნებრივია, ქართულ ენასა და ლიტერატურაში მისაღები გამოცდების ახლებურად ჩატარების თვალსაზრისს ჰყავს მომხრეც და მონინაალმდეგეც. ელემენტარული ჭეშმარიტებაა: ობიექტური შეფასება განსახილველი საკითხებისა საქმეს მხოლოდ სასიკეთოდ წაადგება და პირიქით, არაობიექტური მიდგომა პრობლემებისადმი მხოლოდ და მხოლოდ ზიანის მომტანია. გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა ბატონ რევაზ თვარაძის წერილი „რას სჩადიხართ, ბატონებო?!“ (22 მარტი, 1991 წ.). ჩვენი სურვილიც დისკუსიაში მონაწილეობისა ამ წერილმა აღძრა.

ვთქვათ და შევადგინოთ ბილეთი იმ საკითხების მიხედვით, რომლებსაც გვთავაზობს პროფ. კ. დანელია:

1. ლომ-ვეფხვის დახოცვის ეპიზოდი (შინაარსი);
2. „ვისაც გსურთ“ (იდეურ-მხატვრული ანალიზი);
3. ქართული ლიტერატურის განვითარების პერიოდები;
4. ... (ამ საკითხის თაობაზე ქვემოთ ვისაუბრებ);
5. აფორიზმი (მაგალითად: ავსა კაცსა ავი სიტყვა...).

ნუ მივაქცევთ ყურადღებას ბატონ რ. თვარაძის მიერ ამ მოდელის ავტორის სანინაალმდეგოდ ამამხედრებელ მონოდებას - „ვაი იმ აბიტურიენტებს, მარქსისტული ესთეტიკის სქემებში ვინც ვერ ჩაჭედავს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“ თუ „ოთარაანთ ქვრივს“ - რადგან ასეთი რამ არც თქმულა და არც შეიძლება თქმულიყო. ნურც შემოთავაზებული მოდელის წინააღმდეგ ამამხედრებელ სხვა კითხვებს მივაქცევთ ყურადღებას (მაგალითად: „რატომ უნდა მიიყვანონ წინასაინფარქტო მდგომარეობიდან მაინცდამაინც ინფარქტამდე აბიტურიენტები?“) და დავუკვირდეთ შემოთავაზებულ საკითხებს.

შეიძლება თუ არა ის დავასკვნათ, რომ „გამომცდელის უპირველესი საზრუნავია, მარჯვედ ჩაუსაფრდეს აბიტურიენტებს და იმნაირი ხაფანგები დაუგოს, ეშმაკმა ვერ მოახერხოს იქიდან თავის დაღწევა?“



სხვა ვარიანტი შევადგინეთ იმ სათაურთაგან, რომლებიც მოდელის ავტორმა შემოგვთავაზა:

1. ავთანდილის შებრძოლება მეკობრეებთან (შინაარსი); 2. „რად ჰყვედრი კაცსა“ (იდეურ-მხატვრული ანალიზი); 3. ქართული რომანტიზმის სპეციფიკა..., 5. აფორიზმი (ან ანდაზა)...

სპეციალისტმა განსაჯოს, შეიძლება თუ არა ამის მიხედვით დავასკვნათ: „ამნაირი ავტორი, თუკი საშუალება მიეცით, სიამოვნებით დაიყვანს მთელ სიტყვაკაზმულ მწერლობას უსახურ სოციოლოგისტურ სქემებამდე, ხოლო გამომცდელის როლში თუ აღმოჩნდა გინდ ქართული ლიტერატურა ჩაგიბარებიათ მისთვის და გინდ – პოლიტიკონომია“. გვაქვს კი ამგვარი განგაშის ატეხვის საფუძველი: „რას სჩადიხართ, ბატონებო?! რამდენ უბედურებას გამოიწვევს არსებული მოდელის აგრე ხელალებით შეცვლა“?. რა ვქნა, ვერ ვხედავ კავშირს ამგვარს დასკვნებსა და მსჯელობის საგნად ქცეულ საკითხებს შორის.

აქ დასახელებულ საკითხთაგან რომელი არღვევს „იმ ელემენტარულ ლოგიკას“, „რომ უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გამოცდაზე აბიტურიენტებს მხოლოდ და მხოლოდ ის უნდა მოეთხოვოს, რასაც სწავლობდა და როგორც სწავლობდა სკოლაში. ამ ელემენტარული წესის დარღვევის უფლება არავის აქვს, რაგინდ მაღალი სამეცნიერო თუ თანამდებობრივი რეგალიების მფლობელიც უნდა ბრძანდებოდეს (ხაზი რეცენზენტისა – გ. გ.)“.

არავის შეუთავაზებია აბიტურიენტისათვის „ოთარაანთ ქრევიდან“ ქისების სახელების ჩამოთვლა (ეს იმ მოარულ ამბავს ჰგავს, აბიტურიენტს ჰკითხეს, რა ჰქვია გოგია უიშვილის ძალსო და ჩაჭრესო). „ხუთი ქისა“ ერთ-ერთი მოზრდილი თავია ნანარმოებისა და მისი შინაარსის მოთხრობას სთხოვენ. ეს ორი სხვადასხვა რამაა, მოგეხსენებათ...

შეიძლება არ დავეთანხმოთ თვალსაზრისის ავტორს ამა თუ იმ საკითხის დასათაურების თაობაზე, მაგრამ განა ტრადიციული მეთოდით შეთავაზებული საგამოცდო თემები არ იწვევდა კამათს? მაგრამ...

მაგრამ, სამწუხაროდ, ისეთი შთაბეჭდილება რჩება კამათის რეალური საფუძველი სარეცენზიო წერილის მიღმა უნდა ვეძებოთ. ამის საფუძველს იმ ბრალდებებისა და დასკვნების გააზრება ჰქმნის, რაც რეცენზიაშია წარმოდგენილი. და თუ ასეა, მაშინ რეცენზენტს



ისიც უნდა ეთქვა, რა არის ის, რამაც ამ წერილის დაწერა განაპირობა. ვიტყვი შევცდი-მეთქი, თუ დამარწმუნებს ვინმე რომ პროფესორი კ. დანელიას მიერ წარმოდგენილ საკითხთა იმგვარი შეფასება შეიძლება, როგორც ბატონი რ. თვარაძე გვთავაზობს.

შეიძლება თუ არა ენოდოს პროფ. კ. დანელიას თვალსაზრისს „ჯიქურ დაყენებული“ და უნივერსიტეტის რექტორატის გადანყვეტილებას „ფიცხელი?“

მკითხველს შევახსენებ საკითხის დასმისა და განხილვის თანმიმდევრობას (ამის თაობაზე წერდა პროფ. კ. დანელია კრიტიკის საგნად ქცეულ წერილში). თბილისის უნივერსიტეტის რექტორატის წინადადებით ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანატმა შეიმუშავა ქართულში წერიტი გამოცდის ალტერნატიული მოდელი. მკითხველს ამის შესახებ ეცნობა 1989 წლის 6 დეკემბერს „მისაღები გამოცდები - კვლავ „აქილევსის ქუსლი“ („სახალხო განთლება“). იმავე საკითხს ეხებოდა ავტორის (კ. დანელიას) სტატია „მისაღები გამოცდები: მისი შუქჩრდილები“ („თბილისი“, 1990 წ., 13 სექტემბერი); 1990 წლის 5 იანვარს განათლების სამინისტროში სპეციალიური თათბირი მიეძღვნა დასმული საკითხის განხილვას (თათბირს ესწრებოდნენ სამინისტროს ხელმძღვანელობა, ქართული ენისა და ლიტერატურის 1989 წლის საგამოცდო კომისიის თავმჯდომარეები, პროფესორ-მასწავლებლები, საშუალო სკოლის პედაგოგები); 1990 წლის 16 სექტემბერს განათლების სამინისტროს მეთოდ-კაბინეტებისა და უმაღლესი სკოლების სამმართველოს თათბირზე კვლავ დაისვა ეს საკითხი და მიღებული იქნა გადანყვეტილება, რომ ქართულ ენასა და ლიტერატურაში წერიტი გამოცდაზე ტრადიციული თემები შეიცვალოს საკითხებით: ყოველივე ეს ეცნობა მკითხველს 1990 წლის 25 ოქტომბერს („ახალგაზრდა ივერიელი“); 1990 წლის ნოემბერში უნივერსიტეტის რექტორატმა მიიღო გადანყვეტილება...

როგორც ვხედავთ, საკითხის დასმას, მის შესწავლასა და განხილვას სპეციალისტთა წრეებსა და პრესაში საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. მოულოდნელობით გამოწვეული „შოკის“ საფუძველი აქ არ ჩანს.

გარდა ამისა, ამგვარად, საკითხების მიხედვით, ჩატარდა მისაღები გამოცდები ქართულ ენასა და ლიტერატურაში ბოლო ორ წელს ტექნიკურ უნივერსიტეტში: საკითხები შესთავაზეს თემების

ნაცვლად უცხო ენათა ინსტიტუტშიც, რაც დადებითად შეფასდა და არავის უთქვამს, რომ ეს იყო „ყოვლად უაზრო ექსპერიმენტი, რომელსაც გაუთვალისწინებელი შედეგები უხვად მოჰყვება“. რეცენზენტს ეს ფაქტიც უნდა გაეანალიზებინა და მის შედეგებზეც ემსჯელა. თუ მხოლოდ უნივერსიტეტის აბიტურიენტთა ბედზე ზრუნვას საქმე და ტექნიკური უნივერსიტეტისა და უცხო ენათა ინსტიტუტის მრავალათასიანი არმია აბიტურიენტებისა არ გვადარდებს? რატომ არ დაინტერესდა შემოთავაზებული თვალსაზრისის მონინაალმდევე რეცენზენტი ამ ფაქტით? ანდა რამ გამოიწვია და რა იყო მიზანი ტექნიკურ უნივერსიტეტსა და უცხო ენათა ინსტიტუტში ჩატარებული რეფორმისა? ახალგაზრდობის ბედით შეშფოთებული მოღვაწისათვის მხოლოდ უნივერსიტეტის ახალგაზრდობა არ უნდა იყოს ზრუნვისა და ფიქრის საგანი. თუ შეველა სჭირდება და ილუპება ქვეყანა, ვუშველოთ სხვა უმაღლეს სასწავლებელთა აბიტურიენტებსაც. თუმცაღა იქ ყველაფერი მშვიდად წარიმართა (ინფაქტი არავის მოსვლია), მაგრამ...

ასეთ პრობლემურ საკითხებზე მსჯელობისას „ბოროტ ენებზე“ დაყრდნობა – ლიტერატორ-რეპეტიტორებს გაექცნენ აბიტურიენტები და ენათმეცნიერებს მიანყდნენო – უხერხულია...

უფრო სერიოზული ის მოტივებია, რამაც ეს თვალსაზრისი წარმოშვა და რაც ასე არ მოსწონს რეცენზენტს. გავიხსენოთ, პროფ. კ. დანელია წერს: „თუ გვინდა, გამოცდამ რეალური შინაარსი დაიბრუნოს, ტრაფარეტებად ქცეული თემები (რომელთა გართულებაზე ხშირად თავს იტყვენ კომისიის თავმჯდომარეები) უნდა შეიცვალოს კონკრეტული საპროგრამო საკითხებით“. საგამოცდო თემები რომ ტრაფარეტებად იქცა, ვფიქრობთ, არავისთვის არაა სადავო. 40-50-იან წლებში „დაშპარგალკებული“ თემები შემოაქვთ გამოცდებზე. რეცენზენტი ბრძანებს: „აქ მთავარი ის არის ალბათ, ინდიფერენტული, დოცლაპია ან, კიდევ უარესი, უსინდისო გამომცდელები არ ადგნენ თავს აბიტურიენტებსო“. გეთანხმებით, მაგრამ ყოველთვის არის კი შესაძლებელი იმ „შპარგალკის“ მიგნება ან ჩამორთმევა? არაერთი უსიამოვნო ინციდენტი მომხდარა „შპარგალკის“ გამო, მილიციაც კი ჩარეულა საქმეში. ეს არაა მხოლოდ გამომცდელთა „ინდიფერენტულობაზე“, „დოცლაპიობასა“ და „უსინდისობაზე“ დამოკიდებული. ახალი მოდელი გვაძლევს თუ არა იმის შესაძლებლობას,



რომ მინიმუმამდე დავიყვანოთ „შპარგალკოსანთა“ რაოდენობა? მინიმუმამდე-მეთქი, ვამბობ იმიტომ, რომ ვეთანხმები რეცენზენტს: „ბუნებაში არ არსებობს იმგვარი საგამოცდო თემა (პროფ. კ. დანელიას მიერ პანაცეად მიჩნეული „საკითხების“ ჩავლით), რომლის „დაშპარგალკება“ ვერ მოახერხოს დახელოვნებულმა აბიტურიენტმა თუ მისმა გულშემატკივარმა“. გამორიცხულია შესაძლებლობა, რომ ერთად თავმოყრილ საკითხთა „დაშპარგალკება“ მოხდეს ნინასწარ. სირთულე „დაშპარგალკებულ“ საკითხთა მოძებნა-გამოყენებისა და მოსალოდნელ საკითხთა გამოცნობის უიმედობა ბევრს აალებინებს ხელს „შპარგალკაზე“ და წიგნისკენ მიახედებს. თუნდაც ამისთვის ღირს საკითხების შემოტანა.

კიდევ ერთი მოტივი: პროფ. კ. დანელია წერს ცოდნის შეფასების არსებულ კრიტერიუმთა მოძველებაზე, არასრულყოფილებასა და არასტაბილურობაზე. „მართალია, – ბრძანებს ავტორი თვალსაზრისისა, – ინსტრუქცია თითქოს განსაზღვრავს, რა სახის და რა რაოდენობის შეცდომებზე დაინეროს ესა თუ ის ნიშანი, მაგრამ სხვადასხვაგვარი შეფასებისათვის დასაშვებ შეცდომათა რიცხვით მაჩვენებლებს შორის ისეთი ფართო მიჯნა თუ კორიდორია, რომ თავისუფლად შეიძლება მოხდეს უზუსტობა შეფასებაში ერთი ქულის ფარგლებში“. ვისაც მისაღებ გამოცდებთან საქმე ჰქონია, არ შეიძლება ამ აზრს არ დაეთანხმოს, პროფ. კ. დანელიას ხუთივე კითხვაზე გაცემული პასუხები ცალ-ცალკე შეფასდება ხუთბალიანი სისტემით, ბალების ჯამი გაიყოფა ხუთზე და გამოიყვანება ერთი საბოლოო შეფასება... ამბობენ, რომ იქ, სადაც უკვე ამ მეთოდით მოხდა შეფასება, პრაქტიკულად სიზუსტე მეტი იყო; იქ, სადაც ამგვარი ექსპერიმენტი ჩატარდა, ამგვარ მეთოდზე უარი არ უთქვამთ. რატომ?

რეცენზენტის ერთ-ერთი მთავარი სამიზნე შემოთავაზებული მოდელის მეოთხე საკითხია: წინადადების გრამატიკული (სინტაქსური და მორფოლოგიური) გარჩევა. „გამოცდების ეს „გრამატიზაცია“, – ბრძანებს ბატონი რ. თვარაძე, – აბსოლუტურად არაფრის მაქნისია და არავის არაფრად ესაჭიროება სპეციალისტთა მცირე ჯგუფის გარდა...“ მიუხედავად იმისა, რომ საერთოდ ენთამეცნიერებისადმი რეცენზენტს კარგი დამოკიდებულება ჰქონია, მაინც აღნიშნავს „ერთი მცირე ჯგუფი“ (რატომ?). ამას კი აღნიშნავს ავტორი, მაგრამ პრობლემასთან ალბათ კავშირი არ უნდა ჰქონდეს,

რადგან ამ საკითხის შემოტანის უაზრობაზე ვრცლად მსჯელობს და ასე „ასაბუთებს“: „დიახ, ბატონებო, წერიტმა გამოცდამ ქართული ენის პრაქტიკული ცოდნა უნდა გამოავლინოს და არა მორფოლოგიისა და სინტაქსის ნიუანსების თვითმიზნური ცოდნა, მორფოლოგიისა და სინტაქსის ის ნიუანსები საერთოდ არავისთვის არ არის საჭირო, ქართული ენის მომავალ სპეციალისტთა გარდა“. ვინ, სად და როდის მოითხოვა ანდა რას ნიშნავს „მორფოლოგიისა და სინტაქსის ნიუანსების თვითმიზნური ცოდნა?“ ვინ, სად და როდის თქვა, რომ საჭიროა „აბიტურიენტმა ზედმინევენით იცოდეს, ვთქვათ, უშუალო თუ შუალობითი კონტაქტის თეორიული რაობა“. წინადადების პრაქტიკული გარჩევა განა ამას გულისხმობს? რეცენზენტი მისაღებ გამოცდაზე ქართული ენის ცოდნის შემონმების პრინციპული წინააღმდეგია ამ მოტივითაც: „სკოლებში გრამატიკა ცუდად ისწავლება და ამ უბრალო მიზეზის გამო აბიტურიენტთა დიდმა უმრავლესობამ ასევე ცუდად იცის გრამატიკის საკითხები, იმდენად ცუდად, რომ ამ დიდ უმრავლესობას გრამატიკაში წერიტი გამოცდა გამოუვალ მდგომარეობაში მოაქცევს“. რა, სკოლაში ლიტერატურა კარგად ისწავლება (თქვენვე ბრძანებთ „რარიგ სავალალო დონეზეა ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება სკოლაშიო“)? მაშინ ლიტერატურასაც ნუ მოვკითხავთ და რაც კარგად ისწავლება, იმ საგანში გამოვცადოთ. მაგრამ რა ისწავლება დღევანდელ სკოლაში კარგად? თანაც, ვილაც რომ არ ასწავლის კარგად და სადღაც რომ არ ისწავლება რიგიანად, ამის გამო საგანი უნდა უარეყოთ?

ესეც რომ არ იყოს, უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გამოცდებზე ქართული ენის ცოდნის მოთხოვნის საკითხი პროფ. კ. დანელიამ დასვა? რაც ეს საგანი არსებობს, ქართული ენის საკითხების ცოდნის მოთხოვნა ყოველთვის იგულისხმებოდა. ვისაც მისაღები გამოცდების პროგრამაში ჩაუხედავს, დაგვეთანხმება, საგანს ჰქვია „ქართული ენა და ლიტერატურა“; პირველ ნაწილს – „ქართული ენა“, ხოლო მეორე ნაწილს – „ქართული ლიტერატურა“. იქვე ვკითხულობთ: „ქართული ენის ცოდნის შესამონმებლად გამოსაცდელს ეძლევა კითხვები გრამატიკის კურსიდან ქვემოთ მოყვანილი პროგრამის ფარგლებში და ერთი წინადადება მორფოლოგიურ-სინტაქსური გარჩევისათვის“. ეს უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდების პროგრამის მოთხოვნაა. ვფიქრობთ, ისიც მოგეხსენებათ,



პროგრამას სპეციალისტები ადგენენ და განათლების სამინისტრო ამტკიცებს...

შემოთავაზებული თვალსაზრისის მიხედვით, სიახლე მხოლოდ ისაა, რომ პროფ. კ. დანელიამ წერით გამოცდაზე წინადადების პრაქტიკული გარჩევის შემოტანა ივარაუდა. აქამდე „ქართული ენა“ ზეპირ გამოცდაზე ბარდებოდა, თანაც უფრო რთულად, ვიდრე წერით გამოცდაზე მოეთხოვება აბიტურიენტს. ზეპირ გამოცდაზე „ქართული ენიდან ჩვეულებრივ ორი საკითხი შედის საგამოცდო ბილეთში: ერთი – თეორიული (ვთქვათ, „კონტაქტის რაობა“) და მეორე – წინადადების მორფოლოგიურ-სინტაქსური გარჩევა. ისიც უნდა ითქვას, რომ წერით გამოცდაზე ენობრივი საკითხის შემოტანა არ არის საპროგრამო მოთხოვნის დარღვევა – პროგრამაში არაა მითითება იმის თაობაზე, მხოლოდ ზეპირად ჩაბარდესო „ქართული ენა“...

გართულდა ვითომ საქმე? არა მგონია! მას ვისაც ზეპირი გამოცდისთვის საგანი მზად აქვს ამგვარი წერა არ გაუჭირდება და მით უფრო, არც ინფარქტი დაემართება. ჩვენ მშობლისა და რეპეტიტორის პოზიციიდან კი ნუ ვიდავებთ, იმ აბიტურიენტს ვკითხოთ, ვინც პროგრამის მიხედვით მოამზადა საგანი „ქართული ენა და ლიტერატურა“ და გამოცდის ჩაბარებას ეპირება...

ერთ ღირსსაცნობ ფაქტსაც გავიხსენებ; გასულ წელს მშობლებმა დებოში ატეხეს, რთული თემები მიეცათო აბიტურიენტებს; თვითონ აბიტურიენტები ამშვიდებდნენ აღშფოთებულ მშობლებს, არააო რთული თემები. ვიცი, მკითხავენ, ვინც მხოლოდ წერით გამოცდას აბარებდა, იმისათვის ხომ რთულდებაო საქმე. ყოველმა ქართველმა, რომელიც ქართულ უნივერსიტეტში სტუდენტობას ეპირება ქართული ენა იმდენად კი უნდა იცოდეს, რომ სახელი და ზმნა გარჩიოს ერთმანეთისაგან!

გაიოლებული ცხოვრების მოსურნე დაინტერესებული პირი შეიძლება რეცენზენტის მხარეზე დააყენოს ამგვარმა მსჯელობამ: „რა აუცილებლობის ძალით უნდა მოვთხოვოთ მას (ე. ი. აბიტურიენტს – გ.გ.) ზედმინევნით იცოდეს, ვთქვათ, უშუალო თუ შუალობითი კონტაქტის თეორიული რაობა, რასაც პრაქტიკულად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს სწორმეტყველებისა და მართლწერისათვის?“ მაგრამ აქ რეცენზენტს მხედველობიდან გამორჩა ის, რომ „უშუალო

თუ შუალობითი კონტაქტის“ ცოდნას მნიშვნელობა აქვს „სწორმეტყველებისა და მართლწერისათვის“; დღევანდელ სამწერლობო ენაში *გააკეთება* და *დააწერია* ტიპის ფორმათა მომრავლება ამ ცოდნის (უფრო სწრაფ, უცოდინარობის) შედეგია.

ასე რომ, თუ მისაღებ გამოცდებზე ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკის საკითხებს მოვკითხავთ, ეს ქართველ მოზარდს გარკვეულწილად დედაენისადმი დამოკიდებულებას შეუცვლის – მისი შესწავლის აუცილებლობას დაუსახავს მიზნად... ამიტომ ვერ დავეთანხმები რეცენზენტს, რომ ენობრივი „საკითხი ულოგიკოდ და უადგილოდ არის ჩაკვებებული ნმინდა ლიტერატურულ საკითხთა შორის“.

თავისი აზრის განსამტკიცებლად პატივცემული რეცენზენტი ერთ ირონიულ ვარიანტსაც გვთავაზობს: „მომავალი ივანე ჯავახიშვილიც რომ იყოს, მომავალი პავლე ინგოროყვა ან დიმიტრი უზნაძე, ის თუ ვერ გაიხსენა ზუსტად, ოთარაანთ ქვრივის ხუთი ქისიდან თითოეულს რა სახელი ერქვა... ამას ისიც თუ დაემატა, რომ, თავისდაჭირად, მაინცდამაინც ლექსის „ვისაც გსურთ“ იდეურ-მხატვრული გაანალიზება ვერ მოახერხა... ბედის ირონია იქამდე მივიდეს, რომ მესამე საკითხსაც ბევრი ვერაფერი მოუხერხოს, რამეთუ არჩევანი არც აქ ეძლევა, სურს თუ არა, „სამოციანელთა ესთეტიკური შეხედულება“ უნდა დანეროს მაინცდამაინც... ხოდა მომავალმა დიმიტრი უზნაძემაც ამ უბრალო მიზეზის გამო (კარგად რომ არ ასწავლიან სკოლაში – გ. გ.) არ იცის გრამატიკა, უკეთეს შემთხვევაში ხეირიანად არ იცის“... „მორჩენილა მისი საქმე“. ნუთუ მართლა სჯერა ბატონ რ. თვარაძეს, რომ აბიტურიენტმა, რომელმაც არ იცის „ოთარაანთ ქვრივის“ შინაარსი, ვერ შეძლებს ლექსის „ვისაც გსურთ“ იდეურ-მხატვრულ ანალიზს, ვერ უპასუხებს საკითხს „სამოციანელთა ესთეტიკური შეხედულება“, ერთმანეთისაგან ვერ გაარჩევს ქვემდებარესა და შემასმენელს, მისგან ან ივანე ჯავახიშვილი გამოვა, ან – პავლე ინგოროყვა და ან – დიმიტრი უზნაძე? მეეჭვება!

გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“.  
12 აპრილი, 1991 წ.

## მე კი ტირილს მივანც კალი...

## წინასიტყვა

„როგორც ჩანს, იგი (ე. ი. მე, გიორგი გოგოლაშვილი) ზედმეტად გულწრფელი ადამიანია და ამიტომაც პირდაპირ ამბობს სათქმელს“, – წერს ბატონი გურამ ბარნოვი იმ წერილში, რომლის შესახებაც მინდა ვისაუბრო („გრამატიკა“: მამული. ხარწმუნობა – „ლიტერატურული საქართველო“: 10 მაისი, 1991 წელი). რამდენადაც ჩემ შესახებ ავტორს აზრი უკვე ჩამოყალიბებული აქვს (ე. ი. ვარ ზედმეტად გულწრფელი და პირდაპირი), ამიტომ უფლებაც არა მაქვს, არ ვთქვა ის, რასაც ვფიქრობ ამ წერილის თაობაზე. ამას იმის ფაქტიც მაკეთებიანებს, ხვალ არ დამნამოს ოპონენტმა, ხასიათს ხშირად იცვლისო!

ვიცი, რა მძიმე გზას შევუდექი, როცა პოლემიკაში ჩავერთე; მართლის მთქმელის ბედიც ვიცი, მაგრამ რადგან ერთხელ უკვე შეიკაზმა ცხენი, „მართალს ვიტყვი, შევიქმნები ტყუილისა მოამბე რად“ (ეს ციტატა „ანექსირებულ ტერიტორიებზე“ მოვიპოვე!)

## სათაურის განმარტებისათვის

ბატონ გურამ ბარნოვს მადლობა მინდა მოვახსენო იმისთვის, რომ თავის წერილს „შეგონების“ სახით სულხან-საბას არაკი დაურთო და მომაგონა იგი. მკითხველს ახსოვს: ერთი და იგივე ამბავი ერთს ატირებს, მეორეს – აცინებს. ბატონი გურამი მეორეს უჭერს მხარს – ცინიზმით, ირონიით, „იუმორით“ ცდილობს თავისი აზრის მკითხველამდე მიტანას; სათაურიდან დაწყებული ბოლო ფრაზის ჩათვლით (სახელსა და გვარს არ ვგულისხმობ) დაცინვით უყურებს ენათმეცნიერებს და გამარჯვებულის ღიმილით შესცქერის მკითხველს. დიახ, თვითონ იცინის და შიგადაშიგ მკითხველის გაღიმებასაც ცდილობს („ადრე. ალბათ, განათლების სახალხო კომისარიატი ამტკიცებდა“..., „მაშინ იჩინა თავი ველიკოგრამატიკულმა შოვინიზმმა“... და სხვა მისთანანი, ე. ი. „ხუმრობანი“). ჩემი აზრით, თუ ავტორი მართლა ფიქრობს, რომ ისეა ვითარება, როგორც წარმოაჩენს, სასაცილოდ არ გვქონია საქმე; მოყვარე ამან არ უნდა გააცი-



ნოს... წერილის კითხვისას შეიძლება იმ მოკეთემ გაიცინოს, ობიექტურად ვინც შეაფასებს სიტუაციას და იტყვის, ეს რა დაუნერიაო... მაგრამ მაინც სატირალი უფროა საკითხის ასე დასმა, ვიდრე - საცინარი. რატომ? აი, ამის თქმა მსურს ამ წერილში.

### რატომ იცვალა გეზი პოლემიკამ?

დისკუსიას სრულიად გამოკვეთილი თემა ჰქონდა - როგორ ჩატარდეს წერილი გამოცდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში; ვეთანხმებით თუ არა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებულ ვარიანტს. თავიდან, რა თქმა უნდა, მხოლოდ ამ საკითხებზე იყო მსჯელობა. ბოლო წერილებში გეზი შეიცვალა; თავი იჩინა სრულიად მოულოდნელმა თემამ: ვის ეკუთვნის პრიორიტეტი - ენათმეცნიერს თუ ლიტერატორს... თავისთავად, პირველი დიდი შეცდომა საკითხის ასე დასმაა: ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობა ორი სხვადასხვა დარგია მეცნიერებისა და ერთის მიერ მეორის „ტერიტორიების ანექსირება“, სხვა რომ არა იყოს, უცნაურად ჟღერს ამ საკითხს ქვევით კვლავ მივუბრუნდებით...

წინა წერილში („ლიტ. საქართველო“, 12 აპრილი, 1991) ვწერდი: სამწუხაროდ, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, კამათის რეალური საფუძველი სარეცენზიო წერილის მიღმა უნდა ვეძებოთ-მეთქი. მართლაც, ბატონი გ. ბარნოვის წერილში მისაღები გამოცდები სხვათაშორისაა ნახსენები, საბაბია მოულოდნელი თვალსაზრისის განსაუვთარებლად...

მისაღები გამოცდები რომ საბაბია, ამის დასტურად ერთ ფაქტს მინდა მივაპყრო მკითხველის ყურადღება - ოპონენტები დაჟინებით საუბრობენ „პროფ. კ. დანელიას მოდელზე“. წინა წერილშიც ვწერდი და ახლაც შევახსენებ მკითხველს: 1989 და 1990 წლებში ტექნიკურ უნივერსიტეტში მსგავსი მოდელით ჩატარდა მისაღები გამოცდები ქართულ ენასა და ლიტერატურაში. ამ სიახლის ინიციატორი იყო კათედრა, რომლის გამგეც ბრძანდება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ს. ცაიშვილი. რესპუბლიკურ პრესაში ამ სიახლის თაობაზე დაიბეჭდა პროფ. თ. ჯაგოდნიშვილის წერილები. მოდელი ასეთი იყო. აბიტურიენტს ეძლეოდა სამი საკითხი, პირველი შინაარსობრივი მასალის ცოდნას ამოწმებდა; მეორე ლიტერატურული ნაწარმოების ანა-



ლიზს მოითხოვდა და *მესამე* გრამატიკული მასალის ცოდნის გამოვლენას ითვალისწინებდა.

რა განსხვავებაა სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებულ ვარიანტთან? მოგეხსენებათ, უნივერსიტეტის საბოლოო ვარიანტი ასეთია: აბიტურიენტებს წერით გამოცდაზე მიეცემა სამი საკითხი. *პირველი* ავლენს ლიტერატურული ნაწარმოების შინაარსის ცოდნას. *მეორე* - მოითხოვს ნაწარმოების იდეურ-მხატვრულ ანალიზს და *მესამე* გრამატიკული ცოდნის გამოვლენას ითვალისწინებს. როგორც ვხედავთ, ორი მოდელი იდენტურია. მესამე საკითხში გრამატიკული ცოდნის გამოვლენა ხდება განსხვავებულად: ტექნიკურ უნივერსიტეტში ტექსტი ეძლევა, რომელშიც მცდარი ფორმები უნდა გაასწოროს აბიტურიენტმა; სახელმწიფო უნივერსიტეტში - წინადადების მორფოლოგიურ-სინტაქსურ გარჩევას სთხოვენ. ისიც გავითვალისწინოთ, რომ ამ უკანასკნელში ასეთ მოთხოვნას ჰუმანიტარებს უყენებენ (როცა გ. ბარნოვის წერილი გამოქვეყნდა, ეს გადაწყვეტილება კარგა ხნის მიღებული იყო).

რატომ დაერქვა, მაშ მოდელს „კ. დანელიას მოდელი?“ ტექნიკურ უნივერსიტეტშიც კი ამჟამად აბიტურიენტები და მათი მშობლები „კ. დანელიას მოდელს“ უწოდებენ. რა ხდება? აი, რა : პროფ. კ. დანელია არის ენათმეცნიერი, ხოლო ტექნიკურ უნივერსიტეტში დანერგილი სიახლის ინიციატორები - ლიტერატორები. გაკვირვებულმა მკითხველმა შეიძლება იკითხოს, ეს რა შუაშიაო. მეც ეს კითხვა მანუხებდა, სანამ ბატონი გ. ბარნოვის წერილი გამოქვეყნდებოდა. არა მგონია, ამ შემთხვევაში „მულო, გეუბნებიან, რძალო, გაიგონეს“ პრინციპით მოქმედებდნენ ოპონენტები...

ისიც გავიხსენოთ: ბატონი კ. იმედაშვილის თაოსნობით „საკითხებით“ ჩატარდა მისაღები გამოცდები უცხო ენათა ინსტიტუტში (ბატონი კობა საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე იყო)...

ამის თაობაზე წინა წერილშიც ვწერდი. რამდენიმე კითხვა დავსვი: „რეცენზენტს ეს ფაქტიც უნდა გაეანალიზებინა და მის შედეგებზეც ემსჯელა. თუ მხოლოდ უნივერსიტეტის აბიტურიენტთა ბედაზე ზრუნვაა საქმე და ტექნიკური უნივერსიტეტისა და უცხო ენათა ინსტიტუტის მრავალათასიანი არმია აბიტურიენტებისა არ გვადარდებს? რატომ არ დაინტერესდა შემოთავაზებული თვალსაზრისის მოწინააღმდეგე რეცენზენტი ამ ფაქტით? ანდა რამ გამოინ-

ვია და რა იყო მიზანი ტექნიკურ უნივერსიტეტსა და უცხო ენათა ინსტიტუტში ჩატარებული რეფორმისა? ახალგაზრდობის ბედით შემფოთებული მოღვაწისათვის მხოლოდ უნივერსიტეტის ახალგაზრდობა არ უნდა იყოს ზრუნვისა და ფიქრის საგანი. თუ შველა სჭირდება და ილუპება ქვეყანა, ვუშველოთ სხვა უმაღლეს სასწავლებელთა აბიტურიენტებსაც". ჩემი წერილის შემდეგ ორი ვრცელი წერილი დაიბეჭდა (*ბატონების რ. თვარაძისა და გ. ბარნოვის*). ამ კითხვებს გვერდი აუარეს. რატომ? სხვა რა დასკვნა შეიძლება გააკეთოს კაცმა, თუ არა ის, რომ ებრძვიან არა პრინციპს, არამედ პიროვნებას – ენათმეცნიერს; *ვიტყვი შევცდი-მეთქი და სავარაოდ მოვიხდი ბოდიშს*, თუ ვინმე დამიმტკიცებს, რომ ეს არის „კ. დანელიას მოდელი“ და გაუმართლებელია მხოლოდ სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო სხვაგან – დასაშვები.

### ჩემი შენ გითხარიო...

აზრი, რომელიც წერილიდან წერილში გადადის, ასეთია: ენათმეცნიერები ერთმანეთში ურევენ ცნებებს – „ენა“, „დედაენა“, „ენათმეცნიერება“, „გრამატიკა“; სერიოზულად რომ ველარ „შეგვასმინეს“, იუმორის თუ ირონიის ენაზე დაგვიწყეს შეგონებანი... „პროფესორი დანელია უკლებლივ ყველგან აიგივებს ცნებებს – „ქართული ენა“ და „ქართული გრამატიკა“ ან „გრამატიკა“. მოკრძალებით შევასხენებ, რომ ასე არ არის“ (რ. თავაძე). „ახლა მე შევასხენებ ასევე მოკრძალებით, რომ დაახლოებით მეც ამასვე ვწერდი ამ ერთი წლის წინათ“ (გ. ბარნოვი). „თვითონ (ე. ი. გ. გოგოლაშვილი) „ქართულ ენაში“ დედაენის მისხალსაც აღარ გულისხმობს“, – ბრძანებს გ. ბარნოვი და განაგრძობს, „სამწუხაროდ, ბატონი ვაიორგი გამონაკლისი არ არის. გამონაკლისი კი არა, ყველა გრამატიკოსი, ყველა წერა-კითხვის მცოდნე, ვისაც სკოლაში უვლია (დღევანდელ დღეს კი ვის აღარ უვლია სკოლაში), მით უფრო ყველა აბიტურიენტი დარწმუნებულია. რომ „ენა“ ნიშნავს მხოლოდ „გრამატიკას“ (ხაზი ჩემია – გ. გ.). კარგად ყოფილა ჩვენი საქმე! აქ გოგოლაშვილი და ბატონი აკაკი შანიძე ერთ ტაფაში მოაქცია ავტორმა. გოგოლაშვილისთვის კია ეს დიდი პატივი, მაგრამ რა ვუთხრათ „ჩვენი სასიქადულო მეცნიერის“ (ბატონი გ. ბარნოვის სიტყვებით) ნათელ სულს? საშუალო სკოლის სახელმძღვანელოებს V-დან IX კლასის ჩათვლით „ქარ-



თული ენა" ჰქვია და მათი ავტორი, მოგეხსენებათ, აკაკი შანიძეა (თანაავტორები პროფესორები ი. იმნაიშვილი და ლ. კვაჭაძე). „დისციპლინა, რომელსაც „ენას" ვუნოდებთ და ვასწავლით, ფაქტიურად არის „გრამატიკა". აშკარაა, მოხდა ცნებების აღრევა", - ბრძანებს გ. ბარნოვი. დავიჯეროთ, მკითხველო, რომ ასეთ ელემენტარულ ცნებებს ურევდა „ჩვენი სასიქადულო მეცნიერი"? ხოლო თუ მართლა ურევდა, აღარ ყოფილა მაშინ სასიქადულო. ოპონენტს რომ საშუალო სკოლის პროგრამებში ჩაეხედა, ანდა სახელმძღვანელოები გადაეშალა, ნახავდა, რომ ბატონი აკაკი შანიძის სახელმძღვანელოებში საგნის „ქართული ენა" შემადგენელ ნაწილებად იგულისხმება - ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი, ორთოგრაფია, პუნქტუაცია, ლექსიკა და ფრაზეოლოგია, მეტყველების განვითარება, ძველი ქართული ენა. ყველა აქ ჩამოთვლილი დასახელება სხვადასხვა სახელმძღვანელოში საერთო სათაურის - „ქართული ენა" - ქვევითაა მინერილი საკმაოდ მოზრდილი შრიფტით. „გრამატიკა" კი, მოგეხსენებათ, მხოლოდ „მორფოლოგიასა" და „სინტაქსს" გულისხმობს.

რა დავარქვათ, მკითხველო, ამ ფაქტს? ენათმეცნიერები ურევნ ცნებებს? ოპონენტი რომ „ენას" და „დედაენას" აიგივებს და ჩვენ გვიკიჟინებს, სხვადასხვა ჰგონიათო, ამასაც არ ვიცო, რა ჰქვია სახელად. არა, შეიძლება ვიცოდე, მაგრამ... „დედა გრამატიკა", „ქართული დედაგრამატიკა და ლიტერატურა"... და საერთოდ სიტყვა „გრამატიკის" მეშვეობით ჩატარებული თამაშობანი მხოლოდ ტენდენციურ და საქმეში ჩაუხედავ კაცზე მოახდენს გამიზნულ ეფექტს; მაგრამ ობიექტური მკითხველიც ხომ არსებობს? ხომ არ ჯობია, მათთვის ვნეროთ? ჩემგან ვის რა ესწავლება და, დასკვნა რაც უნდა კატეგორიული იყოს, მკაცრად და ხელალებით გაკეთებული, ჭეშმარიტებას ვერ გაარკვევს, თუ არგუმენტირებული არაა: ასეთ კამათში არა თუ იბადება, იკარგება ჭეშმარიტება; „მაგრად" თქმა არ ნიშნავს სიმართლეს...

„ანდაზა სხვაა, გამოცანა სხვაა" - ამ მოტივზე არ შეიძლება მღერა „ენა სხვაა, გრამატიკა სხვაა", რადგან საქმეში ჩახედული მკითხველი ვერ დაინახავს, „შუა უძევს დიდი ზღვარიო"... მაპატიოს მკითხველმა ამ თემაზე სიტყვის გაგრძელება. დაინტერესებულ კაცს შეუძლია ნებისმიერ ცნობარში, ლექსიკონში (რა თქმა უნდა, თემატურში) ჩაიხედოს და ნახოს განმარტებანი ცნებებისა „ენა",

„ენათმეცნიერება“, „დედაენა“, „გრამატიკა“ და შეადაროს, რა მნიშვნელობით ხმარობენ ოპონენტთა მიერ შერისხულნი ამ სიტყვებს. თუ შემთხვევითი ლაფსუსი ან უზუსტობა არაა გაპარული, უსაგნო ბრალდებაც მოგვეხსნება.

თუ ოპონენტები იმას გულისხმობენ, რომ საშუალო სკოლის პროგრამები გადატვირთულია გრამატიკის თეორიული საკითხებით და გადახალისებაა საჭირო, სავსებით ვეთანხმები. მაგრამ განა ამ საკითხზე მათ ენათმეცნიერთა აზრი არ მოუსმენიათ, არ ნაუკითხავთ? ბატონი გ. ბარნოვი თავად იყო მონაწილე, რა დაჟინებით მოითხოვდნენ ენათმეცნიერები ქართული ენის პროგრამების გამარტივებას, გადახალისებას, შეცვლას ოფიციალურ შეკრებებზე. თუ არაფერი შეიცვალა, იმათ ვედავოთ, ვისი ბრალიცაა. მხარდაჭერა გვჭირდება ამ შემთხვევაში და არა თავდასხმა. მაგრამ, სანუხაროდ, იქ, ოფიციალურ შეკრებებზე, ეს მხარდაჭერა არ გვიგრძნია. რატომ? ამ დღეს ველოდით, როცა მოგვეცემოდა შესაძლებლობა დაპირისპირებისა? და განა ქართული ლიტერატურის პროგრამებში ყველაფერი რიგზე იყო, ანდა რიგზეა? ამან ათქმევინა ვინმეს, ლიტერატურისმცოდნეებმა ლიტერატურა არ იციან რააო, ანდა უარყოთ ეს საგანო?

ნუ იტყვით, ბატონო გურამ, შეგვაგონებსო, უბრალოდ ჩემს აზრს ვამბობ: ერთი ოჯახის წევრთა შორის გაუცხოება არ უნდა მოხდეს, მით უმეტეს - კონფრონტაცია; მუნდირების გადანაწილება და საკუთარი მუნდირის ღირსების დაცვის მიზნით სხვისი მუნდირის ხელყოფაც ვერაა მოსაწონი საქმე. ნუ ათქმევინებთ ლიტერატურას, ავ მოკეთეს კარგი მძაგებელი მირჩევნიაო. ფილოლოგია ის ოჯახია, რომელშიც ენათმეცნიერიც და ლიტერატორიც შეთანხმებულად ცხოვრობდნენ. კ. კეკელიძე ბრწყინვალე ენათმეცნიერულ შრომებსაც თუ წერდა და ლიტერატურული საკითხების კვლევისას იყენებდა ენათმეცნიერულ მონაპოვარს, ანდა ა. შანიძე ბრწყინვალედ გამოსცემდა ლიტერატურულ თუ ფოლკლორულ ძეგლებს და იკვლევდა მათ, ამას სიკეთის მეტი არა მოუტანია რა... დღეს კი? ტოტალიტარული რეჟიმის მომხრე ენათმეცნიერება ახდენს ლიტერატურის ტერიტორიების ანექსირებას! ნუ გაიცინებ, მკითხველო...

„არ ვსდევ ჯამთა ცვლას“...



ავტორის მიზანი ერთია: ყველანაირად ცდილობს, დაარწმუნოს მკითხველი, რომ ენათმეცნიერები ისეთ საქმეს აკეთებენ, რაც მათი საკეთებელი არაა; სხვის მიერ იძულებით დათმობილი ტერიტორიები „ოპერატიულად დაიკავა ენათმეცნიერებამ“; „მანქურთების“ აღწრდის პოლიტიკამ და პრაქტიკამ თავისთავად მოითხოვა ლიტერატურის ფაქტიური უარყოფა“; „ლინგვისტიკა ცდილობს ანექსირებულ ტერიტორიებზე საკუთარი მართლწესრიგის დამყარებას“; ამ დროს „საკუთარ მეურნეობაშიც არა აქვს ყველაფერი მონესრიგებული“; „თავი იჩინა ველიკოგრამატიკულმა შოვინიზმმა“; „ამ დოცვილებმაც (გრამატიკოსებზე მოგახსენეთ), ძალიან მალე აუღეს ალლოტოტალიტარიზმის ბუნებას“... და მისთანანი. არცთუ შორეული ეპოქის პრაქტიკიდან ნასესხები მეთოდებით ამგვარ ბრალდებას მაშინ ჰქონდა გასაქანი, როცა კითხვის - „რატომ?“, „როგორ?“ - დასმა არ შეიძლებოდა. მთავარი იყო ბრალდება, შემდეგ „ტროიკა“ ნყვეტდა ბრალდებულის ბედს. დაიგმო, ბატონო გურამ, ასეთი პრაქტიკა და დღეს დასაბუთებას ითხოვენ ყოველგვარი ბრალდებისას. თქვენ უბრალოდ ეს გამოგრჩათ მხედველობიდან და ამიტომ ამთავრებთ თქვენს წერილს საზეიმო შეძახილით: „ასე, ჩემო ბატონო რევაზ!“ მაგრამ არ არის ასე, ბატონო გურამ! მე არ ვიცი, თქვენ სერიოზულად გიფიქრიათ თუ არა ყოველივე იმის თაობაზე, რაც დეკლარაციების სახით ბრალდებად წაუყენეთ ენათმეცნიერებას. და თუ გიფიქრიათ სერიოზულად, თუ ცდილხართ მის დასაბუთებას, არგუმენტირებულ მსჯელობას თითოეულ ბრალდებაზე? რა თქმა უნდა, არც ცდილხართ და ნურც ეცდებით. ამგვარი რამ, რასაც თქვენ ბრძანებთ, არ მომხდარა, არ არსებობს და არმომხდარისა და არარსებულის მტკიცება ნყლის ნაყვია. თუ თქვენ ამ პრინციპით აქვეყნებთ ბრალდებებს - მე ვიტყვი და მერე იმათ ამტკიცონ, რომ ასე არააო - აქაც გაგიმტყუნებთ იმედს. ერთი მეგობარი ლიტერატორი ხუმრობდა თავის ნაცნობზე (გამომცდელებზე): ასე შვრებაო, თუ შეიტყობს, რომ აბიტურიენტი კარგი მცოდნეა, იმას ეკითხება, რაც თვითონ არ იცის და ამით ივსებს ნაკლულ ცოდნასო... კარგი მეთო-დია, არა?...

თქვენ შეგიძლიათ ბრძანოთ, ვიხუმრეო (ხშირად „ხუმრობთ“ ამ წერილში), მაგრამ თქვენივე მეთოდით, მოკრძალებით შეგახსენებთ, რომ ასე არ ხუმრობენ...



## დაგვაწერინებს „ვეფხისტყაოსანს“ გრამატიკის უგულბელყოფა?

ენათმეცნიერებს თავიანთი საქმისათვის ვერ მოუბამთ თავი („საკუთარ მეურნეობაშიც არა აქვს ყველაფერი მონესრიგებული“) და სხვის საქმეში ეჩრებიანო („ლინგვისტიკა ცდილობს „ანექსირებულ ტერიტორიებზე“ საკუთარი მართლწესრიგის დამყარებას“) - ეს ერთ-ერთი ძირითადი თეზისია ბატონი გ. ბარნოვისა. აქ ავტორი „მიუკერძოებელი“ და შეუწყნარებელია „ოკუპანტების“ მიმართ. მოვუსმინოთ: „ჩვენი გრამატიკოსები სიტყვით დღემუდამ იბრძვიან ყოველივე უცხოურის წინააღმდეგ, მაგრამ თვითონვე ცდილობენ სხვა ენებიდან ისეთი წესების გადმოღებას, რომლებიც ჩვენი ენის ბუნებას ვერ ესადაგებინ“. ასომთავრულის შემოღების მცდელობა მოჰყავს მაგალითად. პრინციპულობაც ამას ჰქვია! რადგან ქვეყანა იქცევა, ა. შანიძე და კ. გამსახურდიაც არ უნდა დავინდოთ. რადგან ეს საკითხი - ასომთავრულის შემოღებისა - მათ დასვეს, ისინიც ქვეყნის დამაქცევარი „გრამატიკოსები“ (ბრჭყალებში ვსვამთ იმიტომ, რომ ვხმარობს ავტორისეული გაგებით) არიან. ყველა-ყველა, მაგრამ ა. შანიძესა და კ. გამსახურდიას ჩვენგან არ ესწავლებოდა ის, რომ „ყველა დანინაურებული ენა მართლწერის მაქსიმალურ გამარტივებას ცდილობს“...

თქვენ ბრძანებთ: „მისი (გრამატიკის - გ. გ.) ამჟამინელი „ზეობის“ ერთი მიზეზი ისიც არის, რომ მას უამრავი კანონი აქვს, ხოლო ჩვენ დიდი ხანია რაც კანონთა სიმრავლეს შეგვაჩვიეს. ამ დალოცვილებმა (გრამატიკოსებზე მოგახსენებთ), ძალიან მალე აუღეს ალლო ტოტალიტარიზმის ბუნებას და დეკრეტების სახით იმდენი კანონი გამოგვიცხადეს“... ჯერ ერთი, ბატონო გურამ, კანონები ენას აქვს, ენათმეცნიერება ამ კანონებს იკვლევს...

ის, რომ ენის კანონთა კვლევა ხდება და შესაბამისად - ნორმათა დადგენა, ტოტალიტარიზმის ბუნებისადმი ალლოს აღება კი არ არის, ნებისმიერი კულტურული ენის არსებობის აუცილებელი პირობაა. მოვუსმინოთ კლასიკოს მწერალს: „ენა ხომ ხალხის საკუთრებაა, მისი ერთობლივი მეტყველება. ამ მეტყველებას ერთნაირი ყალიბი უნდა, ერთ დიდ ხუროთმოძღვრების გეგმაზე აგებული. ვინ იქნება ეს ხუროთმოძღვარი? მწერლებისა და ენათმეცნიერების კონფერენცია... ამიტომ ძლიერ საშურია ამ კონფერენციის მოწვევა.“



ცხადია, მართლწერის კონფერენციის დასკვნებს ხელისუფლება და იკანონებს და აღსდგება ქართული ენის სისადავე და მშვენება" (კ. გამსახურდია). ამგვარი კონფერენციის მოწვევის აუცილებლობის საკითხი არც მიხეილ ჯავახიშვილისათვისაა საეჭვო, თუმცა იგი ვადებს აზუსტებს: „სადაო ბევრი დაგვიგროვდა. ფორმათა სიმრავლემ ანარქია შემოიტანა. დაირღვა საერთო გრამატიკა, დაიშალა მთლიანი ქართულიც, და მისი აღდგენისათვის, ზოგის აზრით, საჭიროა მოწვევა ენის მცოდნეთა კონფერენციისა. ჩემი რწმენით კონფერენციის მოწვევა ნაადრევი... და როცა ძალთა ურთიერთობის წყალობით დამკვიდრდება ცხადი უპირატესობა ამა თუ იმ ფორმებისა, კონფერენციამ მაშინღა უნდა დაადასტუროს არსებული ფაქტი“. ასე რომ, ის „გამოცხადებული კანონები“ საჭირო ყოფილა, ფორმათა სიმრავლეს ანარქია შემოაქვსო - კლასიკოსი მწერალი ბრძანებს და არა „გრამატიკოსი“. ამ ფონზე სრულიად გაუგებარია, რას გულისხმობთ: „ჯერ მარტო ზმნის პარალელური ფორმებისადმი გრამატიკოსების დამოკიდებულება რად ღირს!“

აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას თქმული რომ შეგვახსენეთ მოკრძალებით, რისი თქმა გსურდათ ამით? ჯერ მოვუსმინოთ ბატონ არნოლდს (ციტატა მოგვყავს თქვენზე შემოკლებით): „ენა არ შეიძლება კაცმა ისწავლოს გრამატიკის მეშვეობით“... და მხოლოდ მაშინ, „როცა სტუდენტი პრაქტიკულად გაინაფება ენაში, გრამატიკის ძირითადი წესები პრაქტიკულ ცოდნას გააზრებინებს“. თქვენ პატივცემული მეცნიერი იმისათვის დაიმონმეთ, რომ გრამატიკა ზედმეტი იაო. ბატონი არნოლდი კი პირიქით ამბობს: გრამატიკა აუცილებელია, რომ ენის პრაქტიკული ცოდნის გააზრება მოხდესო. როგორ ფიქრობთ, გააზრებული ცოდნა სჯობია თუ გაუაზრებელი?

და კიდევ: როცა არნ. ჩიქობავას ნაშრომებში თქვენთვის საჭირო ციტატებს დაუნწყებთ ძებნას, ასეთ რამეს ნუ აუვლით გვერდს: „ვეფხისტყაოსანი“ იმ დროს დაინერა, როდესაც ქართული ენის გრამატიკული წყობა და სათანადო კანონზომიერებანი არ ყოფილა გარკვეული. აქედან ის დასკვნა ვერ გაკეთდება, თითქოს მწერალს ენის კანონზომიერებათა ცოდნა არ სჭირდებოდეს, ანდა თითქოს გრამატიკის ცოდნის უგულვებელყოფა „ვეფხისტყაოსნის“ დაწერას შეგვაძლებინებდეს. ყველაფერსა და ყველას თავისი ადგილი აქვს“.



## „ინტელიგენტური ბაასი“ თუ „მოახლური გაქიშება“

ავტორი ბრძანებს, ენათმეცნიერების შიშით „ხელში კალმის აღებისა და უბრალო წერილის დანერის ეშინია კაცს, აქაოდა შეცდომა არ მომივიდესო. „თვითონ მათ (ე. ი. ენათმეცნიერებს – გ. გ.) კი შეცდომებისა, როგორც თქვენ დარწმუნდით (ბატონ რ. თვარაძეს მიმართავს – გ. გ.) და მომავალშიც კიდევ არაერთხელ დარწმუნდებით, სრულებით არ ეშინიათ (ალბათ, რაკი კანონმდებლები თვითონ არიან)“. ჯერ ერთი, რასაც თქვენ შეცდომებად მიიჩნევთ, ენის კარგი მცოდნე დაგვეთანხმება, ნამდვილად არაა შეცდომა... თუმცა, ეს სხვა საკითხია. მთავარი ისაა, რომ ამ ბოლო ხანებში გახშირდა გაღმა შედავების შემთხვევები; ის კი გვაგონყდება, რომ გაღმა შედავება გამოღმა მოსაგვარებელ საკითხებს არ უშველის. ერთ ნაწყვეტს შეგახსენებთ აკაკი წერეთლის მოგონებიდან: „ერთხელ სადილად ვიყავი იმასთან (ივანე მაჩაბელთან – გ.გ.) და სუფრაზე ჩამოვარდა ლაპარაკი შექსპირის შესახებ. ვანომ სთქვა: მეფე ლირი პირდაპირ ინგლისურიდან არის ნათარგმნი და კარგი ენითაც არის ქართულზე გადაღებულიო! – პირდაპირ ინგლისურიდან რომ არის ნათარგმნი, ეტყობა, მაგრამ ქართული ენა კი ძალიან კოჭლობს-მეთქი, ვუპასუხე მე. – გაცხარდა. ჩამოვარდა ზეზე, შეიჭრა მეორე ოთახში, გამოიტანა ნიგნი და დამიგდო წინ... აბა გვიჩვენე შეცდომებიო! პირველ გვერდზევე მივუთითე. გადააბრუნა მეორე, აქაც აღმოჩნდა... ჩაჰყვა ამგვარად და რომ გამტყუნდა, მითხრა: „რა ვუყოთ მერე, განა შენს ნაწერებში კი არ არის შეცდომები თუო?“ მე სიცილი დავინყე და ვუთხარი: აქ სიტყვა ჩამოვარდა მეფე ლირზე და მეც მიტომ ვამბობ! და როცა ჩემ ნაწერებზე გადახვალთ, რა იცით, რომ აქაც არ დაგეთანხმებით? – მერე კიდევ, განა ერთის უვარგისობა ამართლებს მეორისას? მე რომ ქართული კარგათ არ ვიცი, ნუთუ სხვებმაც აღარ უნდა ისწავლონ? ამგვარი ბაასი ინტელიგენტური ბაასი კი არ არის, მოახლური გაქიშებაა-მეთქი“. დაეჯერება, ალბათ, აკაკი წერეთელს.

გუსტავ ფლობერის გატაცება – „ლინგვისტური ნაშრომებიდან კრებდა ენობრივი შეცდომების ნიმუშებსო“ – დროის კარგვა მგონია მე. აი, რატომ: „ენა ისეთი უცნაური ფენომენია, რომ არც ერთი, თვით სიტყვის უდიდესი ოსტატიც არაა დაზღვეული, რომ მას თუნდაც ერთ-ორჯერ რაიმე ლაპსუსი, ან შეცდომა არ გაეპაროს“ (კ. გა-



მსახურდია). უნდა დავიჯეროთ და ნუ დავკარგავთ დროს ენათმეცნიერთა ნაშრომებში შეცდომების ძებნით: პრობლემას ეს არ გადაჭრის.

### რამ შეჭამა ციტატა?

ბატონ გურამს ჩემი ციტატა მოჰყავს – „საგანს ჰქვია „ქართული ენა და ლიტერატურა“, პირველ ნაწილს – „ქართული ლიტერატურა“ – და აკეთებს დასკვნას: „ხედავთ, ბატონ რევაზ, რაში ყოფილა საქმე? რაკი პირველ ნაწილს ჰქვია „ქართული ენა“, ხოლო მეორე ნაწილს – „ქართული ლიტერატურა“, შესაბამისად, პირველი ნაწილი უფრო მთავარია, ხოლო მეორე ნაწილი – შედარებით ნაკლებ მთავარი“. არადა, ჩემი ციტატის წინა (აქ მოკვეცილ) ნაწილში იმაზე იყო საუბარი, რომ მისაღები გამოცდების პროგრამებშია-მეთქი ასე დაბეჭდილი. ფაქტზე მივანიშნე და, რა თქმა უნდა, ამგვარი დასკვნის გაკეთება ჩემგან უაზრობა იქნებოდა. ბატონმა გურამმა ციტატა ისე მოწყვიტა ტექსტს, შექმნა შთაბეჭდილება, თითქოს ასეთი დაყოფა მე მოვახდინე. რატომ? ასე იყო საჭირო! თორემ პროგრამაშია ასეო, რომ ეთქვა და ეს დასკვნა გაეკეთებინა, ხომ შეიძლება რომელიმე აბიტიურიენტს ეკითხა – ბიოლოგიის პროგრამაში პირველი რომ *მცენარეებია*, მეორე – *ცხოველები* და მესამე – *ადამიანი*, ეს იმას ნიშნავს, რომ *მცენარეები* „უფრო მთავარია“; *ცხოველები* „შედარებით ნაკლებ მთავარი“; ხოლო *ადამიანი* კიდევ უფრო ნაკლებ მთავარი? – დაეთანხმებოდა? სამწუხაროდ, საკუთარი აზრის ჭეშმარიტებად გასაღების სურვილმა „შეჭამა“ ციტატა...

ავტორი ბრძანებს: „მაგრამ რამდენადაც მახსოვს, ბატონი გ. გოგოლაშვილის მიერ მოხმობილი ციტატა ზეპირი გამოცდის პროგრამიდანაა“... როგორც ჩანს, ოპონენტმა ან აღარ ჩაიკითხა ბოლომდე, ანდა „შეიჭამა“ ციტატა. მე ვწერდი: „წერით გამოცდაზე ენობრივი საკითხის შემოტანა არ არის საპროგრამო მოთხოვნის დარღვევა – პროგრამაში არაა მითითებული იმის თაობაზე, მხოლოდ ზეპირად ჩაბარდესო „ქართული ენა“. ეს არაა ერთეული ფაქტი; გახშირდა დასკვნების გაკეთება ასეთი წანამძღვრების საფუძველზე: ასე მითხრა ვილაყამ, გამოცდებზე მხოლოდ ენათმეცნიერები არიანო; რამდენადაც მახსოვს, ასეაო... ჩემგან ვის რა ესწავლება, მაგრამ როცა სერიოზულ დასკვნებს ვაკეთებთ, მით უმეტეს, თუ ბრალს

ვდებთ ვინმეს რამეში, ფაქტების შემონმება სჯობს ყურმოკრულზე დაყრდნობილ მსჯელობას.

### პასუხი შეკითხვებზე

ბატონი გ. ბარნოვის წერილში რამდენიმე რიტორიკული კითხვაა დასმული. ვფიქრობ, ზოგ მათგანზე პასუხი მაინც საჭიროა.

**კითხვა:** „საინტერესოა, აბიტურიენტმა რომ დანეროს: „კაცმა მოვიდა“, დედაენის არცოდნაში ჩაეთვლება, თუ „ქართული ენის საკითხების“ „არცოდნაში?“

**პასუხი:** გააჩნია, ბატონო გურამ, რა ეროვნებისაა აბიტურიენტი; თუ არაქართველია, მაშინ არ ჩაეთვლება „დედაენის არცოდნაში“, ხოლო თუ ქართველია, დედაენის არცოდნად ჩაეთვლება.

**კითხვა:** „მართალია, აუცილებელია აზრის გამოთქმისა და წერის წესების ცოდნა, მაგრამ პირველ რიგში მაინც სათქმელი უნდა ჰქონდეს ადამიანს. ასე არ არის, ბატონო რევაზ?“

**პასუხი:** ნუ შეანუხებთ ბატონ რევაზს ასეთ მარტივ საკითხზე, მეც გიპასუხებთ: ნამდვილად ასეა!

**კითხვა:** „ნუთუ, აკადემიკოს აკაკი შანიძის ცნობილი მონოგრაფიის სათაური – „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები“ – არაფერს ეუბნებათ?“

**პასუხი:** როგორ არა, ბატონო გურამ, შეგვახსენებთ, რომ ის, რაც ბატონმა აკაკი შანიძემ და მისმა ნაშრომებმა გვასწავლეს, მთლად არ უნდა დავივიწყოთ.

**კითხვა:** „მგონი ის დროც დგება, „დედაენა“ შეიცვალოს „დედაგრამატიკით“, განა ცუდად ფლერს: წერიტი გამოცდა „ქართულ დედაგრამატიკასა და ლიტერატურაში“?!

**პასუხი:** წერილის ნაკითხვის შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ აქ არ ხუმრობთ და მართლა გჯერათ, რასაც ამბობთ. კითხვაზე კითხვით არ უპასუხებენ, მაგრამ მომიტევეთ: რომ ბრძანებთ, „დედაენა“ შეიცვალოს „დედაგრამატიკით“ და საგნის სახელწოდების თქვენეულ ვარიანტს გვთავაზობთ, რომ არ შეგეცვალათ, ასე იქნებოდა: გამოცდა „ქართულ დედაენასა და ლიტერატურაში“. „ქართული დედაენა“ ძალიან მოგწონთ?



**კითხვა:** „ნარმოიდგინეთ, რა დღეში ჩააგდებდნენ აბიტურიენტს... მსგავსი ფორმა („დისაგანცა უფრო დესი“ - გ.გ.) რომ ეხმარა“?

**პასუხი:** საინტერესოა, ამ შემთხვევაში რუსთაველთან რომ ატოლებთ, აბიტურიენტს უკეთებთ გულს და აგყავთ მის სიმალლეზე, თუ რუსთაველს ამდაბლებთ ჩვეულებრივი აბიტურიენტის დონემდე? ეს ნაძალადევი გაშარუება მავანისა და მავანისა, რუსთაველს ხომ არ შეურაცხავყოფინებს? როცა თქვენ გამოცდაზე ბრძანდებით, ასეთ ფორმებს - უუდიადესი, აგიყოფდება, მოიდა, მაუდის... - არ ასწორებთ აბიტურიენტთა ნაწერებში (რა თქმა უნდა, თუ ციტატაში არაა)? მეეჭვება.

დაბოლოს, თქვენ რომ ასეთი შეკითხვა დაგესვათ, რამდენი უცნაური აზრი შეიძლება დაიტიოს ერთმა წერილმაო, გიპასუხებდით: გააჩნია წერილს, გააჩნია ავტორს...

### ბოლოსიტყვა

სულო ცოდვილო, რა დაგიმალოთ და, ისიც კი ვიფიქრე, რომ ბატონი გ. ბარნოვის საპასუხო წერილს ბატონი რ. თვარაძე დაწერდა. აი, რატომ: ბატონი რ. თვარაძე ბატონ გურამს მის მიერ დასმულ საკითხებში თანამოაზრედ გამოჰყავს: „დაახლოებით მეც ამასვე ვწერდი (ე. ი. რასაც თქვენო - გ.გ.) ამ ერთი წლის წინათ“... „ვინ დაგვიჯერებს ბატონო რევაზ!“ „მოდით, ორივემ ერთად ახლა აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას მიერ ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ თქმული შევახსენოთ...“, „იყოს ისე, როგორც გადავწყვიტეთ...“, „გულუბრყვილოდ გვჯერა, რომ დროებითია...“ რამდენადაც მე ბატონი რ. თვარაძის შემოქმედებას ვიცნობ, მეგონა ეტყოდა: „არაა ასე, ჩემო ბატონო გურამ!“ მაგრამ არც ის მიკვირს, რომ არ უპასუხა: ქართველები ვართ და, როცა კაცი გეფიცება პატივს გცემო, გეთანხმები, შენი თანამოაზრე ვარო - ძნელია ამ დროს საჯაროდ გაემიჯნო მას... თორემ, დარწმუნებული ვარ, ამ წერილში ნარმოდგენილ აზრთა თანაზიარობა სასიამოვნო არ უნდა იყოს ბატონი რ. თვარაძისათვის. გული მიგრძნობს, რომ „დახურულ წერილში“ მაინც ითქმება სიმართლე.

ერთიც: როცა ეს ნავიკითხე – „ბატონო რევაზ, კიდევ ბევრი რამ მაქვს სათქმელი, მაგრამ იმას უკვე დახურულ წერილში გეტყვი“ – რა დაგიმალთ და, ვიფიქრე: ჯობდა ეს „ლია წერილი“ დაეხურა ავტორს და თუ რამ სასიკეთო იქნებოდა შიგ, დაპირებული „დახურული წერილი“ გაეხსნა.

*გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“.  
27 სექტემბერი, 1991 წ.*

## ვიცოთ გულახდილნი

„ჩვენ ჩვენის ენის დამცირებამ დაგვაწერინა ეს სტატია, თორემ ჩვენ ვინა და კალამი ვინა?“.

ილია

მოდით, ვიცოთ გულახდილნი, ავს ვუნოდოთ ავი და კარგს თავისი სახელი დავარქვათ.

დღეს რომ ქართველს უთხრა, ქართულ ენას პატივს არ სცემო, ვფიქრობ, ამაზე დიდ შეურაცხყოფას ვერ მიაყენებ. იწყენს და საგანიც ექნება განაწყენებისა. მაგრამ გულზე ხელი დავიდოთ, დავფიქრდეთ და გულახდილი პასუხი საკუთარ თავს მაინც ვუთხრათ: ვაკეთებთ კი იმას, რასაც ჩვენი ქართველობა გვავალეებს დედაენის წინაშე? ნებისით თუ უნებლიეთ არ შეგვიღალხავს ღირსება ქართული ენისა, არ აღვდგომივართ წინ მისი სიკეთისათვის ზრუნვას?..

ნუ გავვეჯიბრებით ერთმანეთს ლამაზსიტყვაობაში - ვინ უკეთ შევაქვით დედაენას. ტყუილად გავირჯებით, ვერ ვიტყვით უკეთესად, ვიდრე ბრძანეს ილიამ, აკაკიმ, იაკობმა, ვაჟამ... მრავალი სხვაც შეგვიძლია გავიხსენოთ. ვიცი, გამინაწყენდებიან, არ სიამოვნებს წიგნიერ კაცს, ვინმე რომ წიგნისკენ მიახედებს (სხვისი მისათითებელი რა გვჭირსო), მაგრამ, მოდით, კიდევ ერთხელ გულზე ხელი დავიდოთ და საკუთარ თავს გამოვუტყდეთ: გვახსოვს კი ის, რასაც ბრძანებდნენ ჩვენი კალსიკოსები დედაენის თაობაზე? როგორ იცავდნენ მას, როგორ ებრძოდნენ ქართული ენის ღირსების შემლახველ ყოველგვარ გამოვლინებას? ანდა: როგორ იცოდნენ ქართული, როგორ დაობდნენ, კამათობდნენ, პაექრობდნენ დედაენის პრაქტიკულ თუ თეორიულ საკითხებზე... არ იყვნენ ისინი ენათმეცნიერები; *მამულისმოყვარენი* იყვნენ, ილიას სიტყვით რომ ვთქვათ. მამულის სიყვარულის უპირველესი გამოვლინება დედაენისადმი უანგარო სამსახურია, შეძლებისდაგვარი ზრუნვა.

ვიყოთ გულახდილნი და საკუთარი თავის წინაშე მაინც ვალა-  
როთ: დედაენის სამსახურში ვდგავართ ჩვენ იმ გზაზე, ჩვენმა წინაპ-  
რებმა რომ გაგვიკვალეს? ვეჭვობ.

დიდი იაკობი ბრძანებდა: ეროვნებას სამი უმთავრესი ბურჯი  
აქვსო – *მაშული, ენა და ეროვნული სკოლა*. ეროვნული სკოლა დედა-  
ენის სწავლების უპირატესობაზე უნდა იყოს დაფუძნებულიო. «დე-  
დაენის სწავლების ამ გვარად მოწყობას თხოულობს არა მარტო ინ-  
ტერესები ქართული წერა-კითხვის გავრცელებისა, რაიცა არსები-  
თი საჭიროებაა ხალხისათვის, არამედ სახელმწიფო ინტერესები-  
ცა»... მეტყვიან, ეს ცნობილი ფაქტიაო, მაგრამ რა კეთდება საიმი-  
სოდ, რომ დედაენამ (ისევ კლასიკოსს რომ დავესესხოთ) გერად არ  
იგრძნოს თავი ეროვნულ სკოლაში?.. რას ვაკეთებთ იმისათვის, რომ  
ამ საგნის პრესტიჟი ამალღდეს სკოლაში?

ვინც გასულ წელს მისაღებ გამოცდებზე იყო თბილისის სახელ-  
მწიფო უნივერსიტეტში, დამეთანხმება, რომ აბიტურიენტებმა ქარ-  
თული ენის პრაქტიკული თუ თეორიული საკითხების გაცილებით  
უკეთესი ცოდნა გამოავლინეს, ვიდრე წინა წლებში. ფაქტია, აბიტუ-  
რიენტთა ცოდნის დონის ამალღება წერით გამოცდაზე ქართული  
ენის საკითხების შემოტანამ გამოიწვია. მარტივი ჭეშმარიტებაა: გა-  
იზარდა მოთხოვნა ქართული ენის ცოდნისა – ამალღდა აბიტური-  
ენტთა ცოდნის დონეც.

დღეს კი ორწლიანი დისკუსიის შედეგად მიღებული გადაწყვე-  
ტილება ხელაღებით უარყვავით ფართო საზოგადოებისათვის გაუ-  
გებარი მიზეზების საფუძველზე. *განმმართველთა მაინც, რა ხდება და  
რატომ...*

რამდენადაც მწარე სიმართლე უნდა იყოს, ესეც ფაქტია: აბი-  
ტურიენტთა ერთმა ნაწილმა უკეთესი ცოდნა გამოავლინა ქართული  
ენისა, ვიდრე ზოგმა გამომცდელმა... ნუ გამინაწყენდებიან კოლეგე-  
ბი. მესმის, რომ მათი კონკრეტული კვლევისა და პედაგოგიური სა-  
ქმიანობის სფერო დაშორდა ქართულ ენას; ანდა, კერძოდ საშუალო  
სკოლის ქართული ენის პროგრამით გათვალისწინებულ საკითხებს.  
მაგრამ, მოდით, ნუ დავიშურებთ ორიოდ დღეს, აღვიდგინოთ ქარ-  
თული ენის ის ცოდნა, რასაც საშუალო სკოლის პროგრამები ითვა-  
ლისწინებს, თუ გვინდა, რომ მისაღებ გამოცდებს ვემსახუროთ...



ჩვენი (სპეციალისტების) საქმის გაიოლების მიზნით ნუ უარვყოფთ ეროვნული სკოლის ძირულ საგანს...

ვისაც საშუალო სკოლის მაღალ კლასებში შეუხედავს, დამე-  
თანხმება, რომ მოსწავლეები ძირითადად სწავლობენ იმ საგნებს,  
რომელთა ჩაბარებასაც აპირებენ მისაღებ გამოცდებზე. ამიტომ მი-  
საღებ გამოცდებზე ქართული ენის ცოდნის სერიოზული მოთხოვნა  
ამ საგნისადმი ყურადღებას სკოლებშიც გაამახვილებს; გაზრდის  
მასწავლებელთა და მოსწავლეთა პასუხისმგებლობას დედაენისა-  
დმი.

ვიყოთ გუდახდილნი და მშობელთა, მასწავლებელთა თუ რეპე-  
ტიტორთა კერძო ინტერესებიდან ნუ შევხედავთ ამ საკითხს. იმ პო-  
ზიციიდან დავინახოთ, დიდი წინაპარი რომ გვასწავლიდა: „ჩვენ კი  
მშობელ მამასაც არ დაუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენას მინასთან  
გასწორებას. ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას  
კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“. დედაენისადმი ჩვენი ვა-  
ლი ამას გვიკარნახებს.

და კიდევ ერთი: ქართულ ენასა და ლიტერატურაში თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის გასული წლის მოდელის თავდადებუ-  
ლი მონინაალმდეგენი ბრძანებდნენ: „უმაღლეს სასწავლებელში მი-  
საღებ გამოცდაზე აბიტურიენტს მხოლოდ ის უნდა მოეთხოვოს, რა-  
საც სწავლობდა და როგორც სწავლობდა სკოლაში. ამ ელემენტარუ-  
ლი წესის დარღვევის უფლება არავის აქვს, რაგინდ მაღალი სამეც-  
ნიერო თუ თანამდებობრივი რეგალიების მფლობელიც უნდა ბრძან-  
დებოდეს“. არ შეიძლება არ დაეთანხმო კაცი ამ მსჯელობას. მაგ-  
რამ...

გამოქვეყნდა თბილისის უნივერსიტეტის ახალი მოდელი და  
პროგრამა მისაღები გამოცდებისა ქართულ ენასა და ლიტერატუ-  
რაში. იქნებ გაიხსენონ პოლემისტებმა ის პრინციპი, რითაც წინა მო-  
დელს ებრძოდნენ, და აგვიხსნან, ანდა ახალი მოდელის ავტორებმა  
განგვიმარტონ: რა გამართლება აქვს პროგრამაში ისეთი ლიტერატუ-  
რული ნაწარმოებების შეტანას, რომლებიც საშუალო სკოლაში არ  
უწავლობთ მოსწავლეებს (თუნდაც კლასგარეშე საკითხავი მასალის  
შეტანა მისაღები გამოცდების პროგრამაში რამდენადაა გამართლე-  
ბული)? რა ქნან იმ აბიტურიენტებმა, ვისაც მაღალკვალიფიციური  
რეპეტიტორი არა ჰყავს? დედაქალაქში ეს პრობლემა მეტ-ნაკლე-





ბად შეიძლება მოგვარდეს, მაგრამ დედაქალაქის მიღმა მყოფ აბიტიურიენტებზე ხომ უნდა ვიფიქროთ? ხელოვნურად ხომ არ ვართულებთ ისედაც მძიმე სიტუაციას?

საგარაუდო საგამოცდო საკითხთა დასახელება ასეთ კითხვასაც აღძრავს: მალალკვალიფიციური სპეციალისტის დონის მოთხოვნებს ხომ არ ვუყენებთ აბიტურიენტს?

ისედაც სიჭაბუკეჩამწარებულ ახალგაზრდობას ნუ ვაქცევთ დაუსაბუთებელი ექსპერიმენტის საგნად!

*გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“  
10 აპრილი, 1992 წ.*

წინასაბამოცდო წაძეზებანი,  
 ანუ რა შუაშია „მესამე საკითხი“?

ახლახან ყოველკვარტალურ სამეცნიერო-მეთოდურ ჟურნალში „ქართული ლიტერატურა“ (№1, 1998 წ., გამომცემელი შპს „სკოლა“, მთ. რედაქტორი კახა ჯამბურია) გამოქვეყნდა მასალები დისკუსიისა „თხზულება სასკოლო განათლებაში და მისი მნიშვნელობა“. დისკუსიის მონაწილენი არიან ქალბატონი ლაურა გრიგოლაშვილი. ბატონები რევაზ სირაძე, გრივერ ფარულავა, ვახტანგ როდონია, გია მურღულია და ჟურნალის მთავარი რედაქტორი. თავისთავად, თემა აქტუალურია და ამგვარ საკითხებზე გამართულმა დისკუსიამ მხოლოდ სიკეთე შეიძლება მოუტანოს სკოლას... თუ მიზანი, მართლაც, სკოლის პრობლემებზე ფიქრი იქნება.

მაგრამ პუბლიკაციის პირველივე ფრაზებიდან ჩანს, რომ დისკუსიის მთავარი მიზანი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბოლო წლებში ქართულ ენასა და ლიტერატურაში გამართული წერიტი გამოცდების კრიტიკაა, დასაბუთება იმისა, თუ რამდენად „მიზანშეწონილია თხზულების ერთგვარი „გაძევება“ მისალები გამოცდების პრაქტიკიდან და მის მაგივრად წერიტი გამოცდის ბილეთებით ჩატარება“.

საქმეში ჩახედულმა პირებმა იციან, რომ ბილეთების მეთოდით (და არა ტესტებით, როგორც ამას ხშირად იმეორებენ დისკუსიის მონაწილენი) თსუ-ში წერიტი გამოცდა პირველად 1991 წელს ჩატარდა. ამგვარად გაიმართა გამოცდები ბოლო სამი წლის მანძილზეც (1995-1997 წ.წ.). 1991 წლის შემდეგ ამ თემაზე საჯაროდ მსჯელობა არ ყოფილა (მანამდე მწვავე დისკუსია იყო). ასე რომ, 1998 წლამდე თითქოსდა ყველაფერი რიგზე იყო. ახლა ირკვევა, რომ ასე არაა. თურმე: „ბილეთებით ჩატარების ფორმა გაუმართლებელია... ახალგაზრდას ე. წ. „ახალი მოდელი“ (...) მწყობრ და გამართულ ლიტერატურულ აზროვნებას გადააჩვევს...“ (ვ. როდონია). „გამოცდას ქართულ წერაში ბილეთის თუ რაღაც ტექსტის მაგვარი იერი მისცეს: ნაგლეჯი ტექსტისა. ნაგლეჯი ვარჩევისა. ვრამატიკული სავარჯიშო...“

ყველაფრიდან ცხადია, რომ ახალი მოდელის უბადრუკობა ლიტერატურისადმი არალიტერატურული მიდგომის, არაპროფესიონალიზმის რეციდივია“ (გ. ფარულავა); „შე კატეგორიულად არ ვემხრობი წერითა გამოცდის ჩატარების ამ წებს“ (ლ. გრიგოლაშვილი).

განაჩენი ნათელია... რა ხდება? ბოლო წლებში თუ ქვეყანა იქცეოდა, აქამდე ხმა რატომ არ ამოვიღეთ?

ამთავითვე მინდა ვთქვა, რატომ გადავწყვიტე ამ თემაზე წერილის დაწერა. დისკუსიის მონაწილეთათვის (და საერთოდ ამ საკითხში ჩახედულ პირთათვის) ცნობილია, რომ, საუბედუროდ, დისკუსიაში მონაწილეობას ველარ მიიღებს ამ მოდელის შემოღების ინიციატორი პროფესორი კორნელი დანელია (გარდაიცვალა 1997 წ. სექტემბერში). უპირველესად, ეს ფაქტი მავალეებს, ვთქვათ ის, რასაც ვფიქრობ და კიდევ ის, რის გამოც თავის დროზე საჯაროდ დაეუჭირე მხარი ამ მოდელს და ემონაწილეობდი ამგვარად ჩატარებულ გამოცდებში.

ისე კი, თუ სადავო იყო ეს საკითხი, ჯობდა, დისკუსია 1997 წლის სექტემბრამდე გამართულიყო... თუმცა, ეს საკითხის ერთი მხარეა...

მე არ ვაპირებ არსებული მოდელის დასაცავად არგუმენტების მოხმობას. ეს თავის დროზე (1990-1991 წწ.) ძალიან ნათლად და გარკვევით ითქვა და ამ ახალ პუბლიკაციაში არც ცდილან იმ არგუმენტების გაბათილებას.

ჩემთვის მიუღებელია ამ პუბლიკაციის პათოსი, მსჯელობის ლოგიკა და მიზანი. ამიტომ რამდენიმე კითხვას დავსვამ და ზოგ მათგანზე პასუხის გაცემასაც შევეცდები.

როცა ვაცხადებთ, თხზულების წინააღმდეგ „ლაშქრობა“ გამოცხადდაო. უპირველესად, უნდა განვმარტოთ, რა არის „თხზულება“. ლექსიკონებიდან მოხმობილი განმარტება ამ შემთხვევაში არ გამოგვადგება. არის თუ არა „თხზულება“ ტოლფასი გავრცელებული ტერმინებისა „გარჩევა“, „განხილვა“, „იდეურ-მხატვრული ანალიზი“ და სხვა. შეიძლება თუ არა „თხზულებად“ ჩაითვალოს ერთი ლექსის ანალიზი (ვთქვათ, „განთიადისა“, „მერანისა“, ან თუნდაც „მე და ლამისა“, რაც ამავე ჟურნალშია გამოქვეყნებული)? როგორ განიხილვრება წერიტი ნამუშევრის მოცულობა? პერსონაჟის დახასიათება არის თუ არა „თხზულება“? მოკლედ:



დეფინიციის მიცემა აუცილებელი იყო, თუნდაც იმიტომ, რომ დისკუსიის მონაწილენი ცდილობენ დაამტკიცონ, ბოლო წლების საგამოცდო კომისიის თავმჯდომარის მიერ მოტანილი სათაურები არის „ნაგლეჯი გარჩევისა“ (გ. ფარულავა); „ლიტერატურული ნაწარმოების დაქუცმაცება“ (ვ. როდინაია)... მაგრამ, იქნებ, ამ კითხვაზეც ეპასუხათ: რატომ არის „ნაგლეჯი გარჩევისა“, ვთქვათ: „*მეფნურობის არსი „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის მიხედვით*“; ანდა „*ავთანდილი. როგორც მეგობარი. „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით*“; თუნდაც „*ვრიგოლ ხანძთელის ცხოვრების ლიტერატურული მნიშვნელობა*“ და სხვა.

და რატომ არის „თხზულება“ დისკუსიის მონაწილის ბატონ გ. ფარულავას მიერ 1992 წ. (როცა იგი საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე იყო) აბიტურიენტებისთვის საწერად მოცემული თემები: „*ავთანდილისა და თინათინის სიყვარული (ლოცვა შეიძთა მნათობთადმი)*“; ანდა „*ეროვნული სინამდვილის ანარკლი „ვეფხისტყაოსანში“ (თინათინის ვამეფების სცენა)*“; ან „*ქალთა ხატები „ქაშუშაძის გაჭირვებაში“ (ეფროსინე სონიას უყვება თავისი ოჯახის ამბავს)*“, თუ „*სოლომონ მორბელაძე არსებობისთვის იბრძვის („სოლომონი გულაშღვრული მიაჩაქჩაქებდა ჯორს“...)*“.

გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ ფრჩხილებში მოცემულ დაზუსტებებს!

შეიძლება სხვა „თხზულებებიც“ გაგვეხსენებინა ბ-ნი გ. ფარულავას მიერ საგამოცდოდ მიცემული:

„*ლუარსაბ თათქარიძე (შვილის მოძლოდინე ლუარსაბი და დარჯანს ქეიფობდნენ)*“.

„*აკაკის პატრიოტული ლირიკის მშვენიერება*“

„*არსაკიძე - ხელოვანი და პიროვნება (პაემანი. როცა დედის-ტატს ერთი განცდა ტანჯავს: „სახწორზე ორი უძვირფასესი ქმნილება დაჰკიდეს)*“;

„*როგორ ყალიბდებოდა აკაკის სულიერი სამყარო (დედასთან ურთიერთობის ეპიზოდები - „ჩემი თავგადასავალი“)*“...

აღარ გავაგრძელებთ ჩამოთვლას, მხოლოდ მკითხველს შევახსენებთ ამ სათაურთა ავტორის მიერ დისკუსიის დროს გამოთქმულ აზრს: „ახალი მოდელი ვერ ითვალისწინებს ერთ ქრესტომათიულ ჭეშმარიტებასაც: მხატვრული ნაწარმოების სტრუქტურა ორგანული მთლიანობაა... რიგიანი იდეურ-მხატვრული ანალიზი ყოველ-

თვის სრულად მოიცავს თხზულებას... მხატვრული მთელის ისე და-  
ნაკუნება, როგორც ამას ახალი მოდელის მიმდევარნი აკეთებენ,  
ყოვლად გაუმართლებელია". ეს აზრი დავიხსოვოთ.

ზემოჩამოთვლილ სათაურთა გააზრება (განსაკუთრებით  
ფრჩხილებში მითითებულ დაზუსტებათა!) კიდევ უფრო გაუგებარს  
ხდის ავტორის (გ. ფარულავას) მსჯელობას: „არ შეიძლება აბიტუ-  
რიენტს მოვთხოვოთ ნაწარმოების ყველა თავის შინაარსისა და ანა-  
ლიზის კარგი ცოდნა“. იმისათვის, რომ სუბიექტური (ე. ი. არაობიექ-  
ტური) მიზეზების გამო, ჩვენთვის მიუღებელი მოდელის შესახებ  
მკითხველს უარყოფითი შეხედულება შევუქმნათ, შეიძლება ასეთი  
მსჯელობა და დაპირისპირება საკუთარ თავთან?!

როგორც ვთქვით, დისკუსიის უმთავრესი მიზანი თავიდანვე  
გამოიკვეთა – უარყოფა თსუ-ში დამკვიდრებული საგამოცდო მო-  
დელისა. და მკითხველი რომ აღუმხედრონ ამ მოდელს, რომ მიიმხრონ,  
სამწუხაროდ, ფაქტების გაყალბებაც ხდება... ასე ვთქვათ, ვატყუ-  
ებთ მკითხველს:

ვ. როდინაია: *„ერთი ბილეთი ამგვარი იყო: 1. „ავთანდილის დახა-  
სიათება“ (...). 2. „სული ობოლის“ გარჩევა და 3. ტექსტის გასწორე-  
ბა“.* არ არის მართალი: ორი ასეთი საკითხი (ე.წ. გარჩევა) ერთ ბი-  
ლეთში არ შეიძლება ყოფილიყო და არც ყოფილა. მეორეც: ბოლო  
ორი წლის მანძილზე (მე, ეს მონაცემები მაქვს ხელთ) არც ცალ-  
ცალკე ყოფილა „ავთანდილის დახასიათება“ ან „სული ობოლის“ გა-  
რჩევა...

ლ. გრიგოლაშვილი: *„ბილეთის შესაშე საკითხად ბავშვებს მისცეს  
გასასწორებლად დიალექტოლოგიური ლექსიკონებიდან ამოღებული  
მასალა“.* რას ნიშნავს „დიალექტოლოგიური ლექსიკონებიდან ამო-  
ღებული მასალა“? რისთვის ვაბნევთ მკითხველს?

ლ. გრიგოლაშვილი: *როშაქის სახელი თუ არ ახსოვს, ლამის კა-  
ტასტროფაა!“*... *„ვთქვათ, ბავშვს ახსოვს, რომ ლექსებმა დაატყვევეს  
გურამიშვილი და წაიყვანეს თავის სოფელში, მაგრამ არ ახსოვს ამ  
სოფლის სახელი – ოსოქოლო, უნდა დააკლდეს ნიშანი?“*

რატომ ვაშარებთ? ამგვარი „შეცდომებისათვის“ ნიშანი ვის  
დაუკლია? განა ახალი მოდელი ამას მოითხოვს?

ვ. როდონაია: *„ახლა ვეკითხოთ: რას ნიშნავს შეცდომებიანი ტექ-  
სტის გასწორება? ჯერ გარეგნულად როგორი სანახაევია ასეთი ნაშუ-  
-*



შეუარი?! შეცდომებს აბიტურიენტი ახწორებს ან ვერ ახწორებს, შე-  
მდეგომ კი ყოველივე ამას გამხწორებელი ახწორებს". ისევ სიტუაციის  
გაშარუება. საკითხს ისე წარმოადგენენ, თითქოს აბიტურიენტი ფე-  
რადი ფანქრით ასწორებს მცდარ ფორმებსა და შემდეგ სხვა ფერის  
ფანქრით - გამომცდელი. დისკუსიის პათოსი რომ ამის უფლებას  
მაძლევდეს, ვიფიქრებდი ხუმრობენ-მეთქი, მაგრამ არაა ასე. მკი-  
თხველზე ეფექტის მოსახდენად ვამახინჯებთ ფაქტს. როგორ, ენის  
სახელმძღვანელოებში მსგავსი სავარჯიშოები არ გვინახავს, მო-  
სწავლეს მცდარი ფორმის სწორედ გადანერა რომ ევალეება? აქაც  
ასეა, მაგრამ.. სწორი ფაქტების მოყვანა ეფექტს ვერ მოახდენს მკი-  
თხველზე.

მსჯელობენ მისაღებ გამოცდებზე და აბიტურიენტის ცოდნის  
შეფასებაზე: ასეთ აზრებს გვთავაზობენ: „საგამოცდო პროგრამაში  
შეტანილი დიდტანიანი რომანის ზოგიერთი ეპიზოდის უცოდინარობის  
გამო ახალგაზრდას საყვედური იქნებ არ ეთქმოდეს“ (ე. როდონაია).  
მაშ უცოდინარობის გამო მადლობა უნდა ვუთხრათ? რატომ შე-  
გვაქვს პროგრამაში, თუ სავალდებულო არ იქნება მათი ცოდნა? ან-  
და, რას ნიშნავს მსჯელობა: „ბოლოს და ბოლოს, მას (აბიტურიენტს  
- გ.გ.) უფლება აქვს „პრინციპულადაც“ კი არ ახსოვდეს მისთვის მი-  
უღებელი რამ“. აქ საპროგრამო ნაწარმოებზეა საუბარი!.. უფრო მე-  
ტიც, იქვე გამომცდელს დანაშაულად უთვლიან საპროგრამო ნაწარ-  
მოების ცოდნის მოთხოვნას: „ჩვენ კი მტკიცედ დადგენილი გან-  
საზღვრული რომელი პრინციპით ვსარგებლობთ, როცა მას წერის  
დროს ყველაფრის ცოდნას უკანონობა“?. თუ „ყველაფერი“ საპროგ-  
რამო მასალას გულისხმობს, მსჯელობა აშკარად გაუგებარია; ანდა:  
„წერითი გამოცდის დროს ახალგაზრდას აქვს უფლება, რომელიმე  
ეპიზოდი (ან ეპიზოდები) არც ახსოვდეს (!). ლიტერატურულად გაწა-  
ფულმა ნიჭიერმა ყმაწვილმა კაცმა შეიძლება თავისი ცოდნის ასეთი  
ხარვეზიც კი თავის სასარგებლოდ გამოიყენოს“. ბარემ ასწავლონ ნი-  
ჭიერ ყმაწვილს, არცოდნაში როგორ მიიღონ სასურველი ნიშანი...  
ერთი აზრიც მოვისმინოთ: „მეტიც, არსებობს არცოდნის რაღაც თავი-  
ხებური“ ხაბლი“ (!)... როგორ უნდა შეფასდეს ეს „არცოდნის თავი-  
ხებური ხაბლი“? საით არის მიმართული ეს მსჯელობა? დაარწმუნებს  
ობიექტურ მკითხველს ეს ბილეთებით გამოცდის უაზრობაში? მეექ-  
ვება. ერთი კია: ხვალ შეიძლება მისაღები გამოცდების შედეგებით

უკმაყოფილო აბიტურიენტი განათლების სამინისტროს ამ უზრუნველყოფით ხელში მიადგეს მიმღებ კომისიას და ამ „დოკუმენტის“ ნყალობით თავისი არცოდნისათვის მაღალი ნიშანი მოითხოვოს... ახლა, როცა უკვე გამოცხადებულია, თუ როგორ უნდა ჩატარდეს მისაღები გამოცდები თსუ-ში, ამგვარ პუბლიკაციას მხოლოდ ეს მიზანი შეიძლება ჰქონდეს: უიმედო აბიტურიენტები და მისი ქომაგები აუმხედრონ არსებულ მოდელს...

მოდით, ახლა საკითხს ასეც შევხედოთ: თუ დისკუსიის მიზანი იყო მსჯელობა თხზულების თაობაზე სასკოლო განათლებაში, შეიძლება ესაუბრათ ბილეთის I-II საკითხის აკვარგიანობაზე, მაგრამ რა შუაში იყო ამ შემთხვევაში III საკითხი, „შეცდომებიანი ტექსტის გასწორება“ (როგორც ისინი მოიხსენიებენ)? თუ დისკუსიის თემაა „თხზულება სასკოლო განათლებაში“, თსუ-ში აბიტურიენტს ნერით გამოცდაზე „შეცდომებიან ტექსტს“ გაასწორებინებენ თუ არა, რა კავშირშია სკოლაში თხზულების დამუშავებასთან? და თუ კავშირშია, მაშინ უნდა განემარტათ, მისაღებ გამოცდაზე ამგვარი დავალების მიცემა რითი ან როგორ უშლის ხელს სკოლაში თხზულების წერას? დისკუსია აცდა თემას, თუ უბრალოდ სხვა სათაურით შევნიღბეთ მთავარი მიზანი?

მესამე საკითხის მიმართ ასეთი აგრესიული დამოკიდებულება ქართული ენის, როგორც საგნის, წინააღმდეგ გალაშქრებას უფრო ჰგავს; საგანგებოდ გართულებული და არასწორი ინფორმაციის მიზანიც ის ჩანს. უარყოფითად განაწყობს მკითხველი სწორედ ამ საგნის მიმართ. თუ ასე არაა, მაშინ უნდა განემარტათ, ქართული ლიტერატურის ინტერესები რატომ ილახება საგამოცდო ბილეთში ენობრივი საკითხის შეტანით? თუ ასე არ ფიქრობენ. მაშინ ამდენ დროს რატომ უთმობენ მესამე საკითხზე საუბარს. როცა დისკუსიის თემაა „თხზულება სასკოლო განათლებაში“? ხომ არ არის ეს (მე კი ვფიქრობ, რომ ასეა) გაგრძელება იმ ავადხსენებული დისკუსიისა, 1990-1991 წლებში რომ გაიმართა და იმას არკვევდა, ვის ეკუთვნის პრიორიტეტი მისაღებ გამოცდებზე, ენის სპეციალისტს თუ ლიტერატურისას?

ქართული ენისადმი ასეთი დამოკიდებულების შედეგია ის, რომ ჩვენს სკოლაში ქართული ენა გერად იქცა. საგამოცდო ბილეთების მესამე საკითხის განქიქებას ხომ არ ჯობდა, სკოლაში ქართული



ენის მდგომარეობაზე ეფიქრათ და ემსჯელათ განათლების სამინისტროსა და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტს? ვის აძლევს ხელს ასეთი დაპირისპირება ენისა და ლიტერატურისა?... ის არ იყო საკმარისი, მტრისაგან რომ გვიხდებოდა ქართული ენის დაცვა და ახლა მოყვრისა უნდა გვეშინოდეს?... ამ გზასაცდენილმა დისკუსიამ ასეთი მწარე კითხვებიც გაგვიჩინა...

დისკუსიის მასალების გაცნობა მკითხველს იმ შთაბეჭდილებას შეუქმნის, რომ ეს საგამოცდო მოდელი არაპროფესიონალების, დილექტანტების, საქმეში ჩაუხადვი ხალხის მოგონილია. რატომ ვივინწყებთ და ვჩქმალავთ, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტთა თითქმის ორწლიანი დისკუსიის შემდეგ საკითხი განიხილა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდსაბჭომ და ამ მოდელს რეკომენდაცია გაუწია ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს წინაშე: სწორედ ამ საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება მისაღები გამოცდების ასეთი სახით ჩატარების თაობაზე. ეს გადაწყვეტილება კი დაამტკიცა თსუ ცენტრალურმა მიმღებმა კომისიამ. ასე რომ, ის „რექტორი (პროფესორი ინტერესებით ლიტერატურისაგან მეტად დაშორებული)“ სწორედ ამ გადაწყვეტილებას იცავდა და არა საკუთარ ახირებულ აზრს... აქედან გამომდინარე, თავს უხერხულ მდგომარეობაში იგდებს ბ-ნი გ. ფარულავა, როცა ასეთ დასკვნას აკეთებს:

*„ყველაფრისაგან ცხადია, რომ ახალი მოდელის უბადრუკობა ლიტერატურისადმი არალიტერატურული მიდგომის, არაპროფესიონალიზმის რეციდივია“.* ამის თქმა იმ საბჭოს მიმართ, ვინც ამ მოდელით გამოცდების ჩატარების გადაწყვეტილება მიიღო, ცოტა არ იყოს, ზედმეტი „სითამამეა“... მე აღარ გავკადნიერდები და მას და დისკუსიის სხვა მონაწილეებს აღარ შევახსენებ ამ საბჭოს შემადგენლობას...

ახალი მოდელის სიძულვილმა და ქართული ენისადმი არამოყვარულმა დამოკიდებულებამ დისკუსიის მონაწილეებს დაავინყა, რომ სკოლაზე უნდა ესაუბრათ... იქნებ იმაზე გვეფიქრა, ვინ სწავლობს დღეს სკოლაში და როგორ: რამდენი მოსწავლე იქნება ჩვენს სკოლაში (ვთქვათ IX კლასში), ვინც დისკუსიის მონაწილეთა მიერ სანიმუშოდ დასახელებული „თხზულების“ – „ადამიანის იდეალი ძველ ქართულ მწერლობაში“ – დაწერას შეძლებდა... და კიდევ, როცა სკოლაზე ვფიქრობთ, იქნებ პრაქტიკოსი მასწავლებლებისთვისაც



მოგვესმინა, მათი აზრიც გაგვეგო!.. თუმცა, ვთქვი კიდევაც ზევით, „სკოლა“ სათაურისთვის დასჭირდათ, დისკუსიის მიზანი და სათაური შორიშორსაა.

გამიგრძელდა საუბარი. დამეთანხმებით, არ მიცდია იმის მტკიცება. რაც უკვე დამტკიცებულია... მინდოდა მხოლოდ ყურადღება გამემახვილებინა იმ რამდენიმე უხერხულ მომენტზე. რაც ჩემი აზრით, ახლავს ამ დისკუსიას... და კიდევ: სენსაციებისა და ჭორების მოყვარულთათვის მინდოდა მეთქვა, რომ დისკუსიის მასალებში მოყვანილი ყველა ფაქტი არ არის ზუსტი, ამიტომ. თუ სურთ ამ საგამოცდო მოდელის შესახებ მართალი ინფორმაცია, სხვა წყარო ეძებონ.

ვაზეთი „ივერია ვესპრესი“  
17 მაისი, 1998 წ.



## მისაღები გამოცდების „სეზონური“ პრობლემები

უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდები ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების „უმნიშვნელოვანეს“ მოვლენად იქცა. გამოჩნეულია მისადმი პრესისა თუ ტელევიზიის ინტერესი გამოცდებამდე და გამოცდების შემდეგაც: თუმცა არის არსებითი განსხვავებული დამოკიდებულება ამ პროცესისადმი სხვადასხვა ეტაპზე: გამოცდებამდე და გამოცდების პერიოდში ხდება რეკლამირება ამა თუ იმ უმაღლესი სასწავლებლისა; ჟურნალისტები ცდილობენ, უშუალოდ რექტორებისაგან აიღონ ინტერვიუები; დადებითად წარმოაჩინონ ყოველივე – როგორ მოემზადა უმაღლესი სასწავლებლები გამოცდებისათვის, რომ ღირსეულებს ელოდებიან სტუდენტებად; ყველაფერი კარგად იქნება და ა.შ. გამოცდების დროს კმაყოფილი სტუდენტებისა და მშობლების სახეებიც გაიელვებს ეკრანზე, პრესის ფურცლებზე... დამთავრდება გამოცდები და უკვე იწყება განაწყენებულ აბიტურიენტთა და მათი მშობლების ქომაგობა, ლანძღვა-გინება უმაღლესი სასწავლებლებისა, გამომცდელებისა... ვიღაც თავისი პოლიტიკური მიზნებისთვის (ანდა კერძო ინტერესებისათვის) იყენებს ამ განაწყენებულებს და იწყება გაუთავებელი საჩივრები, ცილისწამებები, მუქარა... რამდენიმე თვეში ჩაცხრება ვნებები და იწყება ფიქრი და მზადება მომავალი გამოცდებისათვის... სამწუხაროდ, ეს ტრადიციად იქცა... და ყოველწლიურად მეორდება ერთი და იგივე...

ასე ხდება წელსაც. ამ პროცესში მეტ-ნაკლები ინტენსივობით ერთვება სხვადასხვა გაზეთი, სატელევიზიო არხი, საზოგადოებრივი ორგანიზაცია. განსაკუთრებული დაინტერესება გამოიჩინა გაზეთმა „24 საათი“ და ტელეკომპანიამ „რუსთავი - 2“. ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. თუმცა ზოგი შენიშვნა საგაზეთო პუბლიკაციების მიმართ მაინც ჩნდება. მხედველობაში მაქვს ჟურნალისტ ეთერ მამულაშვილის წერილები. მკითხველს გაუჭირდება აღქმა იმისა, ეს არის ფიქრი ზოგადად უმაღლესი განათლების შესახებ, თუ კერძოდ ერთი სასწავლებლის პრობლემებზე. „უნივერსიტეტში მისაღები გამოცდების გაუქმება მოითხოვს“; „უნივერსიტეტის წინააღმდეგ

ახალი სარჩელი მზადდება" - დღეს საქართველოში მრავალი უნივერსიტეტია, სახელმწიფოც და არასახელმწიფოც (ეს უკანასკნელი გაცილებით მეტია). წერილების შინაარსიდან გამომდინარე, საუბარი ძირითადად ეხება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, შემოკლებით თსუ-ს რომ ეძახიან (ზოგჯერ ეს აბრევიატურაც გამოჩნდება აქა-იქ)... ასეთ მნიშვნელოვან პრობლემაზე ასე მკვეთრად მსჯელობის შემთხვევაში სიზუსტეა საჭირო, რომ არ დავაბნოთ მკითხველი... ღირსეულს რომ ლაფი არ ვესროლოთ და უღირსი უსაყვედუროდ არ დაგვრჩეს...

სიზუსტე სხვა შემთხვევაშიც ირღვევა, თუმცა ამას ამჯერად არ მივაქცევთ ყურადღებას. უფრო არსებითი სხვა რამ გვგონია. შევეცდებით იმ პრობლემებზე გავამახვილოთ ყურადღება, რომლებიც პრესაში თუ ტელეგადაცემებში დაისვა და, ჩემი აზრით (და არა მხოლოდ ჩემი აზრით), საშურია მასზე მსჯელობა.

პრესაში გამოჩნდა ინფორმაცია განაწყენებულ პიროვნებათა კომიტეტის თაობაზე. გვაუნებს, რომ შეიქმნა „თსუ-ზე განაწყენებულ მშობელთა და აბიტურიენტთა კომიტეტი“, რომლის „მთავარი მოვალეობაა, უნივერსიტეტში მისაღებ გამოცდებზე აბიტურიენტთა დარღვეული უფლებების აღდგენა“; „შელახული უფლებების რეაბილიტაცია...“ იკრიბებიან სახალხო დამცველის ოფისში და, ალბათ, სახალხო დამცველიც თანაუგრძნობს... რა შელახულ უფლებებზეა საუბარი? „კარგ ბავშვს (მშობლის აზრია და უნდა დავეთანხმეთ) მათემატიკის გამოცდაზე ექვსიანი დაუნერეს. ახლა სარჩელს ვამზადებ და იმედი მაქვს, რომ სამართალს აუცილებლად ვიპოვი“, - წერს ერთ-ერთი „განაწყენებული“. მათემატიკაში არაობიექტური შეფასების შემონმება-გაადამონმებას სასამართლო რისთვის სჭირდება, რა ძნელი საქმე ესაა? ასეთი და მსგავსი შემთხვევების საზოგადოებრივი მსჯელობის საგნად ქცევა უხერხული ხომ არ არის? ანდა რას ნიშნავს: „კომიტეტი მოითხოვს ყველა ჩაჭრილი თუ ქულადაკლებული აბიტურიენტის იანვრამდე საბიუჯეტო (ე.ი. „უფასო“ - გ. გ.) განყოფილებაზე ჩარიცხვას“. იმას კი არ ამბობენ, არაობიექტურად გამოცადეს და ჩაჭრესო: ჩაიჭრა, მაგრამ მაინც ჩარიცხეთ საბიუჯეტო განყოფილებაზეო. რა ლოგიკაა, ამ პრეტენზიის მქონე აბიტურიენტი რატომ იღებდა მონაწილეობას კონკურსში? ხომ იცოდა, თუ ჩაიჭრებოდა, ვერ ჩაირიცხებოდა? თავიდანვე მოეთხოვა,



პირდაპირ ჩამრიცხოვ? ძალზე სამნუხარო ისაა, რომ ნაკარნახევი მოთხოვნაა; და უკარნახეს იმათ, ვისაც უმაღლეს სასწავლებლებში მშვიდი სიტუაცია არ აძლევს ხელს...

და ერთი საგულისხმო ფაქტიც: ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წელს ბიუჯეტით დაფინანსებულ ვაკანტურ ადგილებზე კონკურსში მონაწილეობა მიიღო 3 787-მა აბიტურიენტმა; მათგან ჩაირიცხა 1 883 სტუდენტი („საქართველოს რესპუბლიკა“ № 196, 2002 წ.); 1 904 აბიტურიენტი ვერ მოხვდა ე.წ. უფასო განყოფილებაზე; ე. ი. იმ ტერმინოლოგიით რომ ვიმსჯელოთ, აღმოჩნდა „განაწყენებული“! როგორც გვაცნობეს, ახლად შექმნილ „განაწყენებულ მშობელთა და აბიტურიენტთა კომიტეტში“ „ჯერ-ჯერობით მხოლოდ ოცამდე ადამიანია გაერთიანებული“; თუ ასეა, საქმე თსუ-ში ძალიან კარგად ყოფილა; დაახლოებით 6 000 განაწყენებული მშობლიდან და აბიტურიენტიდან (1 904 აბიტურიენტს მივუმატოთ ორი ამდენი მშობელი) მხოლოდ „ოციოდე ადამიანი“ განეწიანდა იმ კომიტეტში. ამგვარი სტატისტიკა არა მგონია ატეხილი განგაშის საფუძველს იძლეოდეს...

კითხვა , ცხადია, რჩება: შეილახა თუ არა იმ აბიტურიენტების უფლებები, რომლებიც ვერ მოხვდნენ საბიუჯეტო განყოფილებაზე. მათ ხომ წინასწარ იცოდნენ ის პირობები, რასაც სასწავლებელი მომავალ აბიტურიენტებს უყენებდა; ხომ წინასწარ იცოდნენ, თუ ჩაიჭრებოდნენ, ანდა ვერ დააგროვებდნენ საჭირო ქულებს, ვერ გახდებოდნენ სტუდენტები? თავიდან ხომ იყვნენ თანახმანი ამ პირობებზე? გამოცდების შემდეგ ეს პირობები შეცვალა ვინმემ? რას გულისხმობს ამ შემთხვევაში აბიტურიენტის შელახული უფლებები?... ძნელი გასააზრებელია...

არც იმ გამოსავლის ლოგიკაა ჩვენთვის ნათელი, რომელსაც ანტიკორუფციული საბჭოს წევრი ბატონი გ. თევზაძე გვთავაზობს: „ის, ვინც წელს უნივერსიტეტში საბუთები შეიტანა, ყველა უნდა ჩაირიცხოს და პირველი სემესტრის გამოცდების შედეგების მიხედვით მოხდეს სტუდენტების ფასიან თუ უფასო სექტორზე გადანაწილება“. რატომ უნდა ჩაირიცხოს ჩაჭრილი და ქულებდაკლებული აბიტურიენტი? ვიმეორებთ, რა პირობა დაარღვია უნივერსიტეტმა, რომ იმის საფასურად ამ დათმობაზე წავიდეს? ანდა რას ნიშნავს ასეთი მუქარა: „ეს თავიდან აგვაცილებს სტუდენტების (უნდა იყოს

აბიტურიენტების - გ. გ.) მხრიდან ქუჩაში მოსალოდნელ გამო-  
სვლებს, რის შესახებაც ბოლო ერთი კვირაა საუბრობენ". სხვათა  
შორის ეს ნაკარნახევი აზრი შემდეგ „განაწყენებულთა კომიტეტის“  
წევრებმაც გაიმეორეს; „გვეყო, რასაც აქამდე ვითმენდით, სექტემ-  
ბერში უკვე ქუჩაში გამოვალთ და სახელმწიფო კანცელარიის წინ  
შიმშილობას გამოვაცხადებთ“. ჯერ ერთი, რას ითმენდნენ აქამდე  
და რას ითხოვენ ამის შემდეგ? არ ვიცით, მაგრამ მაინც ჩამრიცხეთ  
სტუდენტადო? შეიძლება აბიტურიენტს არ გაემტყუნოს ამის მო-  
თხოვნა (ის ყველაფერს აკეთებს, სტუდენტი რომ გახდეს), მაგრამ მე  
ამ აზრის მხარდაჭერაში ლოგიკას ვერ ვხედავ იმათი მხრიდან, ვისაც  
ქვეყანამ უაღრესად დიდი და საპასუხისმგებლო საქმე დააკისრა...  
რადგან საქმეში ანტიკორუფციული საბჭოს წევრები ჩაერივნენ ასე  
აქტიურად, ცხადია, ეს მოძრაობა ანტიკორუფციულ მიზნებს ისა-  
ხავს. საგაზეთო წერილის სათაურიც ამაზე მიანიშნებს: „ანტიკო-  
რუფციული საბჭოს წევრები გამოცდების გაუქმებას მოითხოვენ“.  
პუბლიკაციიდან მთლად ნათლად არ ჩანს, ეს საერთოდ ანტიკო-  
რუფციული საბჭოს აზრია, თუ მხოლოდ ბატონების გ. თარგამაძისა  
და გ. თევზაძისა. ამას აქვს არსებითი მნიშვნელობა, მაგრამ ეს ერთი  
მხარეა საკითხისა. ბატონი გ. თარგამაძე ბრძანებს: „მისაღები გა-  
მოცდების ის წესები, რომლებიც წლების მანძილზე უნივერსიტეტში  
არსებობს, შეურაცხყოფელია. გარდა იმისა, რომ ის პირდაპირ არ-  
ღვევს სტუდენტებისა და აბიტურიენტების უფლებებს, ეს წესები  
ხელს უწყობს უნივერსიტეტში გამეფებულ კორუფციას“. ეს წესები  
რატომ არღვევს აბიტურიენტის უფლებებს, ზემოთაც ვთქვით, არ  
გვესმის, მაგრამ კორუფციის პრობლემა კი შეიძლება იდგეს. ცხა-  
დია, ანტიკორუფციულ საბჭოს უფიქრია ამის თაობაზე. მაგრამ რას  
გვთავაზობენ კორუფციის დასაძლევად? „ის, ვინც წელს უნივერსი-  
ტეტში საბუთები შეიტანა, ყველა უნდა ჩაირიცხოს და პირველი სე-  
მესტრის გამოცდების შედეგების მიხედვით მოხდეს სტუდენტების  
ფასიან და უფასო სექტორებზე გადანაწილება“, - ბრძანებს ბატონი  
გ. თევზაძე. ეს არის გამოსავალი? თუ ეჭვია იმისა, რომ მისაღებ  
გმოცდებზე ვილაც ქრთამს იღებს, სემესტრულ ჩათვლასა თუ გა-  
მოცდაზე ის „ვილაც“ გამოსწორდება? კორუფცია სეზონური მო-  
ვლენა ხომ არ არის, ზაფხულის ნაცვლად შერჩევა ზამთარში მოვა-  
წყობთ და კორუფციაც დაიძლევა!... არც ეს აზრი მეჩვენება ლოგიკუ-  
რი.



ვთვლი, რომ მისაღები გამოცდები უმძიმესი ტვირთია ნებისმიერი უმაღლესი სასწავლებლისათვის. არც იმას ვამტკიცებ, ყველაფერი წმინდად და უანგაროდ კეთდება-მეთქი. ამდენ ათეულ თუ ასეულ უმაღლეს სასწავლებელში როცა ასეულობით გამომცდელი ათასობით აბიტურიენტს ხვდება, გულუბრყვილო უნდა იყოს კაცი, ამტკიცოს, ყველაფერი პატიოსნად კეთდებაო... მაგრამ სად არის გამოსავალი; რა გზებს ვხედავთ ამ სფეროში კორუფციის დასაძლევად? ანტიკორუფციული საბჭოს წევრები ორ გზას გვთავაზობენ:

პირველი, ეს გახლავთ აბიტურიენტთა უგამოცდოდ ჩარიცხვა და სემესტრულ გამოცდებზე შერჩევა: „სხვათა შორის აბიტურიენტთა უნივერსიტეტში უგამოცდოდ ჩარიცხვის პრეცედენტი საქართველოში უკვე არსებობს. იმერეთის მხარის რწმუნებულის, თემურ შაშიაშვილის, გადაწყვეტილებით ქუთაისში მისაღები გამოცდები უკვე რამდენიმე წელია არ ტარდება. თარგამაძის თქმით, აბიტურიენტთა უნივერსიტეტში მიღების ასეთმა წესმა გაამართლა“. არ ვიცი, რამდენად კარგად იცნობს ბატონი გ. თარგამაძე ქუთაისის ექსპერიმენტს, მაგრამ მე ვერ ვიტყვი, რომ ამ ექსპერიმენტმა გაამართლა. ვერ ვიტყვი, თუნდაც იმიტომ, რომ ა. ნერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უგამოცდოდ მიღება ბოლო წლებში შეცვალეს, ასე ვთქვათ, ერთგამოცდიანი შერჩევით; სპეციალურ საგანში (მათემატიკოსები მათემატიკაში, ისტორიკოსები ისტორიაში და ა.შ.) აბარებენ ტესტირებულ გამოცდას და იმის მიხედვით ხდება შერჩევა საბიუჯეტო სექტორზე. არასაბიუჯეტო სექტორზე ეს მოთხოვნა არაა. ასე რომ, 1996 წელს შემოღებულმა უგამოცდოდ მიღების წესმა ასეთი ცვლილება განიცადა... ნუ შევიყვანთ შეცდომაში მკითხველს...

ახლი სხვა კუთხით დავინახოთ ეს წესი. რომელ უმაღლეს სასწავლებელს აქვს შესაძლებლობა (შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა თუ პედაგოგიური კადრები) მიიღოს და ასწავლოს ყველა მსურველს, უპირველესად აქ ე.წ. „პრესტიჟული“ სპეციალობები გვაქვს მხედველობაში. მაგალითისათვის: იმის გამო, რომ საკმაოდ რთული და მძიმე გამოცდები ელით, თსუ-ში იურიდიულ ფაკულტეტზე ბოლო წლებში ერთ საკონკურსო ადგილზე 4 კაცი მოდის – ისინი სხვებთან შედარებით უკეთესად მომზადებული ახალგაზრდენ-

ბი არიან. იურისტობის სხვა მსურველები სხვადასხვა უნივერსიტეტებსა თუ ინსტიტუტებში გადანანილდება. ასეთები (როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო) ათობით თუ ასობითაა. ხომ ფაქტია, თუ მოიხსნება მისაღები გამოცდა, ყველა დედაუნივერსიტეტისაკენ აიღებს გეზს, მით უმეტეს, რომ ამას წინათ ძალოვანმა სამინისტროებმა გამოაცხადეს, სამსახურში მხოლოდ თსუ-ს კურსდამთავრებულებს მივიღებთ...

არის მეორე, არანაკლებ მძიმე და დამაფიქრებელი ფაქტორი: ჩვენდა საუბედუროდ, ახალგაზრდა სერიოზულად სწავლობს მხოლოდ იმ საგნებს, რომელ საგნებშიც უნდა ჩააბაროს მისაღები გამოცდები; სხვა საგნები მეორე თუ მეთხუთმეტე ხდება მოსწავლისათვის მას შემდეგ, რაც გამოიკვეთება მისი პროფესიული ორიენტაცია. მისაღები გამოცდა, ვიმეორებ, ჩვენდა საუბედუროდ, იძულებითი საშუალებაა იმისათვის, რომ უმეტეს შემთხვევაში აბიტურიენტი წიგნთან მივიყვანოთ. ვინც ჩვენს სკოლას კარგად იცნობს და ვინც ამ პრობლემასთან ახლოსაა, არ შეიძლება, არ დამეთანხმოს. აქედან გამომდინარე, სანამ ჩვენი სკოლის პრობლემები არ მოგვარდება, სანამ საშუალო სკოლის ატესტატში შეტანილი ნიშანი არ იქნება სკოლადამთავრებულის ცოდნის დონის ობიექტური ამსახველი ნებისმიერ საგანში, უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდების გაუქმება მხოლოდ და მხოლოდ უნიგნურობის ფართო მასშტაბით გავრცელებას შეუწყობს ხელს...

მეორე გზა: „ლამის კურიერში“ ბატონმა გ. თევზაძემ სპეციალური სააგენტოს შესახებ ისაუბრა. ეს სააგენტო ტესტირების გზით მოახდენს აბიტურიენტთა საერთო მასის ცოდნის დონის შეფასებას, ასე ვთქვათ, გადაარჩევს და შემდგომ მათ გაანანილებს რეიტინგის მიხედვით უმაღლეს სასწავლებლებში (მაპატიოს ბ-მა გ. თევზაძემ, თუ ზეპირად გამოთქმული ეს თვალსაზრისი ზუსტად ვერ გადმოვეცი); ეს თვალსაზრისი ალბათ გამოქვეყნდება ნერილობით და მის ავ-კარგზე შემდეგ უფრო იოლი იქნება საუბარი. ცხადია, საინტერესო იდეაა (უცხოეთში აპრობირებული და დამკვიდრებული), მაგრამ ამ იდეას დამკვიდრების მექანიზმი მთლად ნათელი არ არის ჩემთვის, ამიტომ ვერას ვიტყვი. ერთი კი შეიძლება ითქვას: ქ-მა ეკა ხოფერიამ როცა ამ იდეის ავტორს ჰკითხა, სააგენტოს შექმნა თუ გამორიცხავს კორუფციასო, უარყოფითი პასუხი მიიღო - ვე-



რაო... მაშინ ამგვარი რეფორმის მიზანი რა არის?...

ასე რომ, ვიმეორებ, მისაღები გამოცდები ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელს მძიმე ტვირთად აწევს. მაგრამ ამ ტვირთის გადაგდება არა მგონია სასიკეთო იყოს ჩვენი საზოგადოებისათვის ამ ეტაპზე.

ცხადია, უნდა ვიფიქროთ და ვეძებოთ ოპტიმალური ვარიანტი, ნაკლებად მტიკივნიული გამოსავალი ამ ვითარებიდან. და ეს ყველა ჩვენგანის ვალია, ჩვენი საზოგადოების ნებისმიერი წევრისა, რადგანაც უშუალოდ თუ არაუშუალოდ ეს ყველას გვეხება... და, რაც მთავარია, აზრი იმის თაობაზე, რომ განათლება გადაარჩენს ქვეყანას, ჭეშმარიტებაა და ამ ჭეშმარიტებისაკენ სავალი გზის ძიება, ვიმეორებ, ყველა ჩვენგანის ვალია.

*გაზეთი „თბილისი“, 16 სექტემბერი, 2002.*





საქართველოს პრეზიდენტს, ქართული ენის  
სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარეს,  
ბატონ ედუარდ შივარდნაძეს

ბატონო ედუარდ,

მოგეხსენებათ, სახელმწიფო ენა არის სახელმწიფოებრივი ზრუნვის ერთ-ერთი უპირველესი საგანია. საყოველთაოდ ცნობილია თქვენი დამსახურება ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის შენარჩუნების საქმეში ჯერ კიდევ მაშინ, როცა ეს თითქმის შეუძლებელი იყო (ვგულისხმობთ 1978 წლის 14 აპრილს). ამ დიდი მონაპოვრის შემდგომი დამკვიდრებისა და დედაენის მიმართ სახელმწიფოებრივი ზრუნვის სამაგალითო ფაქტად გვესახება თავის დროზე თქვენი ინიციატივით მიღებული დადგენილება ქართული ენის სწავლების გაუმჯობესების შესახებ.

ბევრი სასიკეთო შედეგი მოჰყვა ამ დადგენილებას: ქართული ენა, როგორც სასწავლო საგანი, დამკვიდრდა რესპუბლიკის ყველა ტიპის, ყველა სახის სასწავლებელში; მისაღები გამოცდები ქართულ ენაში ბარდებოდა ყველა უმაღლეს სასწავლებელში... ვფიქრობთ, ეს იყო ტიპური ნიმუში იმისა, თუ როგორ უნდა ზრუნავდეს სახელმწიფო სახელმწიფო ენაზე.

დღეს კი, როგორც თქვენ მიერ 1995 წლის იანვარის დადგენილებაში არის აღნიშნული (ქართული ენის სახელმწიფო კომისიის შექმნას რომ ეხებოდა), ქართული ენა საკმაოდ მძიმე და რთული პრობლემების წინაშე დგას; მომრავლდა არაქართულენოვანი სასწავლებლები (საბავშვო ბაღიდან დანყებული უნივერსიტეტის ჩათვლით), სადაც ქართული, როგორც რიგითი საგანი, ისეც კი არ ისწავლება.

მისაღებ გამოცდებზე ქართული ენის უგულვებელყოფა საშუალო სკოლაში ამ საგნისადმი უყურადღებობას იწვევს, რასაც მოზარდი ქართული ენის უცოდინრობამდე მიჰყავს.

მომრავლებულ არაქართულ რეკლამებს, ქართული ენისადმი უპატივცემულობას პრესის, რადიო-ტელევიზიის მხრიდან (იგულისხმება, უმთავრესად, არასახელმწიფო) მეტად ცუდი შედეგების მო-



ტანა შეუძლია...

ბატონო ედუარდ, ქართული ენის ქომაგთა და გულშემმატკივართა სახელით მოგმართავთ თხოვნით:

განაახლოთ თავის დროზე თქვენ მიერ მიღებულ დადგენილებას-ლონისძიებები, რათა საქართველოს ყველა ტიპის, ყველა დონის სასწავლებელში ქართული ენა სავალდებულო საგანი იყოს; რათა ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში ახალი კონტინგენტის მიღებისას აუცილებლად ითვალისწინებდნენ ქართული ენის ცოდნის დონეს. ამ საკითხებს არ უნდა წყვეტდნენ სასწავლო დანესებულებათა საქმეში ჩაუხედავი ხელმძღვანელები, რომელთაც დედაენის პრობლემები ნაკლებად, ან საერთოდ არ ანუხებთ და არ აინტერესებთ.

ჩვენი ღრმა რწმენით, ეს პრობლემები მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის საგანგებო განკარგულებით მოგვარდება.

*ვახეთი „ბურჯი ეროვნებისა“, №10 (15), 1996.*

*მიმართვა ვადაიკა სატელეფიზიო პროგრამა „შობებით“, საქართველოს შთაფარი რადიოთი.*



მიმართვა რეპტორთა საბჭოს თავმჯდომარეს,  
აკადემიკოს როინ მებრძველს

ბატონო როინ,

მოგეხსენებათ, ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, ფუნქციონირების, შესწავლისა თუ სწავლების საკითხების მოგვარება თითოეული ჩვენგანის სისხლხორცეული საქმეა.

ამჯერად თქვენი ყურადღება ქართული ენის, როგორც საგნის, სწავლების მიმართ გესურს გავამახვილოთ.

იყო დრო, როცა საქართველოს ყველა უმაღლეს სასწავლებელში სავალდებულო იყო მისაღები გამოცდების ჩაბარება ქართულ ენასა და ლიტერატურაში; ყველა სპეციალობაზე ისწავლებოდა ქართული ენა, როგორც სავალდებულო საგანი... ეს არცთუ შორეულ წარსულში იყო.

სახელმწიფო დამოუკიდებლობის მოპოვება და ეროვნული ხელისუფლების მოსვლა ამ საქმეს, სამწუხაროდ, არ წასდგომია სასიკეთოდ...

უმაღლეს სასწავლებელთა ერთმა ნაწილმა მისაღები გამოცდების დროს კონკურსის გამარტივება ქართული ენის ხარჯზე მოახდინა: გამოცდები ქართულ ენასა და ლიტერატურაში მოიხსნა იქ, სადაც კონკურსი არ იყო დიდი; აბიტურიენტთათვის საქმის გაიოლების მიზნით ზოგან წერიტი გამოცდა ზეპირით შეიცვალა; ზოგ უმაღლეს სასწავლებელში საერთოდ უარი ეთქვა მისაღებ გამოცდებს...

ფაქტია, დღეს (ჩვენდა საუბედუროდ) ჩვენი სკოლა - ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლებელი - ვერ უზრუნველყოფს მომავალი აბიტურიენტისათვის პროგრამით გათვალისწინებული ცოდნის მინიმუმის მიცემასაც კი (ბედნიერი გამოწაკლისები, რა თქმა უნდა, არსებობს...). ასეთ ვითარებაში მისაღები გამოცდები არის ის ბარიერი, რომელიც მოსწავლეს აიძულებს (დიახ, ვაღიარებთ, რომ ეს იძულებაა!...) ისწავლოს მშობლიური ენა და ლიტერატურა. უარის თქმა მისაღებ გამოცდებზე, ანდა მისთვის ფორმალური ხასიათის მიცემა ამ იძულებისაგან თავის დახსნაა და, ცხადია, უარყოფითი შედეგიც არ აყოვნებს: ჩვენ გვაქვს უამრავი მასალა (გამოკითხვის შედეგები),

რაც ამ ფაქტს ადასტურებს... მდგომარეობა საგანგაშოა. აბიტურიენტებს (და უკვე სტუდენტებს) წარმოდენა არა აქვთ ელემენტარულ საკითხებზე (თუნდაც: როდის შეიქმნა ქართული დამწერლობა... არ შეუძლიათ დაასახელონ ილიას, აკაკისა თუ ვაჟას რამდენიმე ნაწარმოები...).

ქართული ენის ღირსების შელახვად უნდა გავიაზროთ ის ფაქტიც, რომ ზოგ უმაღლეს სასწავლებელში (ფაკულტეტზე, სპეციალობაზე) სწავლების: ქართულ ფაკულტეტებზე ქართული ენა აღარაა სავალდებულო საგანი: ზოგან არჩევით საგანთა ნუსხაში მოხვდა, ზოგან ფაკულტატურ საგანთა სიაში და რექტორის, დეკანისა თუ უბრალო მოხელის გადასაწყვეტია, სახელმწიფო ენა ისწავლებოდეს თუ არა საქართველოს უმაღლეს სასწავლებელში!...

მსგავსი ფაქტები, რაც სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში ხდება, თავისთავად „მაგალითია“ არასახელმწიფო სასწავლებელთათვის და ადვილი წარმოსადგენია, ამ თვალსაზრისით რა ხდება იქ...

ბატონო როინ, ჩვენთვის ცხადია, რომ სახელმწიფო ენა სახელმწიფო ზრუნვის საგანი უნდა იყოს და შესაბამისი საკანონმდებლო აქტები უნდა განამყარებდეს მის პოზიციებს. მაგრამ სანამ ეს აქტები შეიქმნება, მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდება და მის გამოსწორებას გაცილებით მეტი ძალისხმევა დასჭირდება, ვიდრე დღესაა საჭირო.

მოგმართავთ თხოვნით, რექტორთა საბჭოს მსჯელობის საგნად აქციოთ აქ დასმული საკითხები და მიიღოთ საჭირო გადაწყვეტილება.

ჩვენი წინადადებებია: ა) ყველა უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გამოცდებზე სავალდებულო საგნად აღდგეს წერიითი გამოცდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში; ბ) ქართულ ენასა და ლიტერატურაში აბიტურიენტთა ცოდნის დონის შეფასება მოხდეს ქულათა ისეთივე რაოდენობით, როგორც ეს ხდება სხვა საგნებში; გ) ყველა სახის უმაღლეს სასწავლებელში, ყველა სპეციალობაზე სავალდებულო სასწავლო საგნად აღდგეს ქართული ენა.

ქურნალი „ბურჯი ეროვნებისა“  
№1, 1998 წ.



საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიენტს,  
აკადემიკოსს ალბერტ თავაშელიძეს

ბატონო ალბერტ,

ვიციტ, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში არის ენისა და ლიტერატურის განყოფილება; გვახსოვს, რომ არცთუ შორეულ წარსულში ეროვნული აკადემიის შემადგენლობაში იყო არაერთი თვალსაჩინო მეცნიერი - ქართული ენისა და ლიტერატურის მკვლევარი. მაგრამ, სამწუხაროდ, ამჟამად აკადემიაში არ არის ქართული ენის არცერთი სპეციალისტი, არც ნამდვილი წევრი და არც წევრ-კორესპონდენტი... ქართული ლიტერატურის მკვლევართაგან მხოლოდ ერთია ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი (ბატონი გ. ციციშვილი), არცერთი - წევრ-კორესპონდენტი...

გვინტერესებს და გთხოვთ გვიპასუხოთ:

დღეს საქართველოში ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტთაგან არ არის ვინმე იმ დონის მეცნიერი, რომ ეროვნული აკადემიის წევრობის (თუნდაც წევრ-კორესპონდენტობის) ღირსი იყოს?

ნუთუ ფილოლოგიის სხვა დარგების განვითარების დონე საქართველოში დღეს იმდენად მაღალია ქართული ენისა და ლიტერატურის კვლევის დონესთან შედარებით, როგორც ეს თქვენს აკადემიაში ასეთი შეფარდებითაა წარმოდგენილი - 1 : მრავალი.

ხომ არ გრძელდება ის „ტრადიცია“, როცა აკადემიაში არჩევაზე უარს ეუბნებოდნენ პავლე ინგოროყვას, აკაკი განერელიას?...

*ვაწვთი „ბურჯი ეროვნებისა“, ნოემბერი, 1995.*



### საით მივყავართ ჩვენს მოწყენილ ბზას?

(საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას)

აქ, ილია ჭავჭავაძის პროსპექტზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირდაპირ, იყო აკადემიური წიგნის მაღაზია, დღეს...

შევედი და სინანულით ჩავილაპარაკე: წიგნის მაღაზია იყო-მეთქი აქ. ენაწყლიანმა მომსახურე ქალბატონმა ღიმილით დამამშვიდა, წიგნი ვილას სჭირდებაო ახლა...

დიახ, ასე ფიქრობენ ის ქალბატონი და მისთანანი. საინტერესოა, რას ფიქრობენ აკადემიური თუ არააკადემიური წიგნის მესვეურნი... სჭირდება კი დღეს ვინმეს წიგნი? ფიქრობს კი ვინმე დღეს ამაზე?... საით მივყავართ ამ გზას?

*გაზეთი „ბურჯი ეროვნებისა“, სექტემბერი, 1996.*



**გავოცდით და აღვფოთდით\***

**საქართველოს განათლების მინისტრს,  
ბატონ თამაზ კვაჭანტირაძეს**

ბატონო თამაზ, ახლახან შევიტყვეთ, რომ საქართველოს განათლების სამინისტროსა და საქართველოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრალურ ინსტიტუტს დაუფუძნებია შპს „სკოლა“. ვიხილეთ ამ შპს-ს ეგიდით გამოსული ჟურნალი „ქართული ლიტერატურა“, რომლის გარეკანზე წერია: „ყურადღება! შპს „სკოლა“ 1998 წლიდან გამოსცემს 12 ახალ ყოველკვარტალურ სასკოლო სამეცნიერო-მეთოდოლოგიურ ჟურნალს:

1. სკოლამდელი აღზრდა და დაწყებითი განათლება;
2. ქართული ლიტერატურა;
3. ქართული ენა და ლიტერატურა არაქართულენოვან სკოლებში;
4. პოლიგლოტი (უცხოური ენები);
5. კულტურა (ესთეტიკური ციკლის საგნები);
6. სამოქალაქო აღზრდა;
7. ისტორია;
8. მათემატიკა;
9. ფიზიკა;
10. ბიოლოგია;
11. გეოგრაფია;
12. ქიმია

ბუნებრივია, გავოცდით და აღვფოთდით: სად გაქრა „ქართული ენა?“ ასევე ბუნებრივად გაგვახსენდა მშვენიერი ჟურნალი „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, რომელიც 1978 წლიდან თქვენი რედაქტორობით გამოდიოდა და რომელსაც მას შემდეგაც კარგა ხანს რედაქტორობდით, რაც... აღარ გამოდიოდა, თუმცა, ხელმომწერი მრავლად ჰყავდა (?!). მადლობა ღმერთს, საგანი „ქარ-

\* თანაავტორი ი. ჭუმბურიძე.



თული ენა და ლიტერატურა" დღესაცაა სასწავლო გეგმებში. ასე ჰქვია საშუალო სკოლის გამოსაშვებ და უმაღლესში შესასვლელ საგამოცდო საგანსაც. სამეცნიერო-მეთოდოლოგიური ჟურნალი კი ქართულ ენას, თურმე, არ სჭირდება (?). ეს არ არის შემთხვევითი მოვლენა ან უნებლიე შეცდომა. ეს გაგრძელებაა იმ უსიამოვნო ისტორიისა, რომელიც 1990-91 წლებში მაშინდელმა განათლების მინისტრმა და იმდროინდელი პარლამენტის მეცნიერებისა და განათლების კომისიის თავმჯდომარემ წამოიწყეს – დაპირისპირება... ქართული ენისა და ლიტერატურისა! ხელოვნური გახლეჩვა ერთი საგნისა (?)... და გაიყო განათლების სამინისტროს ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდკომისია... სკოლაში კი არ არსებობს ცალკე ენისა და ცალკე ლიტერატურის მასწავლებელი. ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში ერთი სპეციალობის კადრებს ამზადებენ – „ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებელი“. განა შეიძლება, ენა ვასწავლოთ ლიტერატურის გარეშე და პირიქით?

ეს სავალალო შეცდომა ქალბატონმა გ. კვარაცხელიამ (ცხადია, როცა მინისტრი იყო) გამოასწორა – საგანგებო ბრძანებით აღადგინა „ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდკომისია“... თქვენი მინისტრობის ჟამს კი ისევ გაიყო(!)... შედეგი სავალალოა. სკოლაში არსებითად იგნორირებულია ქართული ენა... X-XI კლასებში ეს საგანი, ფაქტობრივად, აღარც ისწავლება (თუმცა, ცხრილებსა და პროგრამებში კი არის შეტანილი).

პირველკურსელებს კითხვარი დაუურიგეთ: ა) სწავლობდით თუ არა X-XI კლასებში საგანს „ქართული ენა“; ბ) ჩააბარეთ თუ არა გამოსაშვები ზეპირი გამოცდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში; გ) თუ ჩააბარეთ, იყო თუ არა ბილეთებში შეტანილი საკითხი ქართული ენიდან; დ) თუ იყო შეტანილი, ითხოვდნენ მასზე პასუხის გაცემას?

ამ კითხვებზე ან უარყოფითი პასუხი მივიღეთ, ანდა: „არ მახსოვს“ (იყო იშვიათი გამონაკლისებიც)... ვითარება ნათელია! ბატონო თამაზ, ვინ უნდა უპატრონოს ქართულ ენას ქართულ სკოლაში? რატომ ხდება ასეთი რამ თქვენი მინისტრობის ჟამს? ვის აძლევს ხელს ქართულ სკოლაში ქართული ენის გერის როლში ყოფნა? განა მხოლოდ ლამაზსიტყვაობისთვის გვჭირდება იმის გამეორება, რომ „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“?! როდის დაიბრუნებს თავის კუთ-





ენილ ღირსეულ ადგილს ქართული ენა ქართულ სკოლაში (და შპს „სკოლაშიც“)?

ბატონო თამაზ, მინისტრობა წარმავალია, ქართული ენის ერთგულება, მით უმეტეს, ენის სპეციალისტიკისათვის - მარადიული ვალი! ქართველიც ან ყოველთვის ხარ, ან - არასოდეს. იქნებ, ღირდეს ამაზე დაფიქრება!...

გაზეთი „თბილისი“,  
30 აპრილი, 1998 წ.

წურაღდება ვიხ(ო)ვი

- საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს,  
ბატონ თამაზ წიგწივიძეს,
- საქართველოს რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარეს,  
ბატონ მურმან ლეპანიძეს,
- საქართველოს განათლების მინისტრს,  
ბატონ ალექსანდრე კარტიციას

დიდი აკაკის გულისტკივილი, ჩვენი ჟურნალის ამ ნომრის გარეკანის მეორე გვერდზე დაბეჭდილი, თითქოს დღევანდელ ვითარებას ასახავს: ახალგაზრდობის უდიდესი ნაწილი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“ აღარ კითხულობს. საგანგებოდ „იზრუნეს“ ამისათვის: „ვეფხისტყაოსანი“ „თარგმნეს“ ქართულ ენაზე! საბედნიეროდ, ეს პროზაული თარგმანებია, არ გასჩენიათ სურვილი... პოეტური თარგმანისა! ისე, ამ ტენდენციის (პროზაული „თარგმანების“) დამცველთა მსჯელობის მომსმენს ეჭვი შეიძლება დაებადოს ხვალზეგ პოეტური თარგმანის გამოჩენისა! ხუმრობა იქით იყოს (რა გვეხუმრება!...), რუსთაველის სახელსა და დიდებას ასე იოლად იმეტებს მავანი და მავანი!

1966 წელს გამომცემლობა „განათლებლამ“ გამოსცა „*რას მოგვითხრობს ვეფხისტყაოსანი*“. გამოცემას „მოკრძალებული“ ანოტაცია წარუმძღვარეს: „შოთა რუსთაველის ამ უკვდავი პოემის ტექსტი ჩვენი გამომცემლობის *დავალებით მამია ებრალიძემ პროზად ვარდათქვა* (ხაზი აქაც და ქვემოთაც ჩვენია – გ.გ.). ბევრი ითქვა ამ გამომცემის თაობაზე (რა თქმა უნდა, კრიტიკულ აზრს ვგულისხმობთ), მაგრამ 1990 წელს გამომცემლობა „მერანმა“ ხელახლა გამოსცა. ახლახან კი მესამე გამომცემა გამოჩნდა ნიგნის მალაზიებში (გამომცემლობა „ლოტოსი“ – თუმცა მეორე გვერდზე გამომცემლობა „მერანია“ მითითებული). ამ ბოლო ორ გამომცემაში ბ-ნი მ. ებრალიძე ავტორადაა გამოცხადებული: „მკითხველს ვთავაზობთ „ვეფხისტყაოსნის“ *პროზაულ ვარიანტს*, რომელიც შოთა რუსთაველის დაბადების რვაასი წლისთავის საიუბილეოდ *მამია ებრალიძემ დაწერა*“. თუ წინა გამომცემის მიზანდასახულობა შედარებით „მოკრძალებული“

იყო („მეტადრე მოსწავლე ახალგაზრდობას“ ვეხმარებითო), ბოლო გამოცემის მიზანი გაფართოვდა: „ნიგნი განკუთვნილია ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის“; თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ავტორი რჩევას გვაძლევს: „ვისაც სურს ღრმად შეიმეცნოს და განიცადოს „ვეფხისტყაოსნის“ უმდიდრესი და უმშვენიერესი პოეტური სამყარო, ცხადია, აუცილებლივ უნდა ნაიკითხოს რუსთველისეული ტექსტი...

ჩვენი მიზანი სიტყვაზე გამოდევნება არაა, სხვა უბედურება გვიკლავს გულს: გამოჩნდა „ვეფხისტყაოსნის“ მეორე „თარგმანი“ – „ვეფხისტყაოსანი“ მოსწავლეთათვის – სადაც მიზანდასახულობა სათაურშივეა განსაზღვრული და ავრცელებენ კიდევ სკოლებში დირექტორ-მასწავლებელთა ხელშეწყობით! ნიგნი 1997 წელს დაბეჭდილა (გამომცემლობა არაა მითითებული). ანოტაცია იუნყება: „ნიგნი შეადგინა და წინასიტყვაობა დაურთო ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა თამარ ბარბაქაძემ“. ნიგნის შედგენა ჩვენ სხვაგვარად გვესმის; ეს არის თითქმის პნკარედი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნისა“ პროლოგისა და ეპილოგის ჩათვლით!

ვერ ვიტყვით, რომ ავტორს (ასეც უნოდებს საკუთარ თავს: „ნიგნი იბეჭდება ავტორის ხარჯით“, „ეს ნიგნი ძირითადად ნ. ნათაძის ზემოხსენებულ სასკოლო გამოცემაზე დაყრდნობით დაიწერა“) არ ესმოდეს, რას აკეთებს: „თითქოს უმადურია (!), მკრეხელური საქმეა გენიალური პოემის ტექსტთან მიახლოება (!) და ისე გათამამება, რომ საკუთარი მოთხრობით (!) შესთავაზო იგი უკვდავი საუნჯის მფლობელ ერს: პოეტური ენამზეობა მწირი, პროზაული ენით შეცვალო და გეყოს გამბედაობა (!), შესატყვისი გარსი მოარგო პოემის ბრძნულ აფორიზმებს, ხატოვან გამონათქვამებს“... ამას ავტორი წინასიტყვაობაში წერს. იქვე ასეთ კითხვასაც დასვამს: „თუკი ძველი და ახალი აღთქმის ნიგნების თანამედროვე ქართულით შესრულებულ თარგმანებს ვთავაზობთ მკითხველს, მაშინ რატომ უნდა იყოს მოულოდნელი, თუნდაც უფრო მოგვიანო ხანის, მაგრამ არა მაინც თანამედროვე, სალიტერატურო ენაზე დაწერილი პოემის ტექსტის თხრობითი ვარიანტის წარმოდგენა?“ („თარგმანის“ ქართულზე ამ ამონარიდებითაც შეიძლება შევიქმნათ შთაბეჭდილება!). ამ შეკითხვის დასმამდე ავტორს „ბიბლიის“ წინასიტყვაობაში რომ ჩაეხედა, შეამჩნევდა, რომ იქ საუბარია ახალ თარგმანზე და ძველ თარგმანზე.



ბიბლია ძველი ქართულიდან კი არ ითარგმნა ახალ ქართულზე, დედნის ენიდან თარგმნეს! ეს ჩვეულებრივი ამბავია: არაერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოების რამდენიმე თარგმანი არსებობს სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა მთარგმნელისა. „ვეფხისტყაოსნის“ ახალ ქართულზე თარგმნა სხვა ფაქტია; არაა შედარება ზუსტი!...

ესეც გაუგებარია ჩვენთვის: „ძველი ქართული ლექსიკა, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსით გაცოცხლებული, უფრო ეგზოტიკური (?) არის და პოეტურიც“ – თუ სწორად გვესმის, ეს „თარგმანი“ უფრო ეგზოტიკური და პოეტურია, ვიდრე რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“? იქნებ, ჩვენ ვცდებით? მოდიოთ, მაგალითს მოვუხმობთ:

*შოთა რუსთაველი:*

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,  
ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა, ზეცით მონაბერითა,  
ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა,  
მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მის მიერითა“.

*თამარ ბარბაქაძე:*

„ვინც სამყარო შექმნა ძალით, მიწიერ არსებებს ზეციდან სული ჩაჰბერა, სიცოცხლე მიანიჭა და ადამიანებს უბოძა უთვალავი ფერით ავსებული ქვეყანა, – მანვე შექმნა ყოველი ხელმწიფე თავის მსგავსად“.

მიუკერძოებელმა მკითხველმა განსაჯოს...

პოემის პირველ „თარგმანს“ (მ. ებრალიძისეულს) ის „უპირატესობა“ აქვს, რომ პროლოგი და ეპილოგი არაა „თარგმნილი“...

კიდევ ერთი მაგალითი (პირველივე სტროფი...):

*შოთა რუსთაველი:*

„იყო არაბეთს როსტევეან, მეფე ღვთისაგან სვიანი,  
მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი, ყმიანი,  
მოსამართლე და მონყალე, მორჭმული, განგებიანი,  
თვით მეომარი უებრო, კვლა მოუბარი ნყლიანი“

*მამია ებრალიძე:*

„არაბეთში მეფობდა როსტევეანი, სვებედინიერი და დიდებული“

ხელმწიფე. ბრძენი და ენამჭევრი, თავმდაბალი და გულმონყალე, უხვი და სამართლიანი გამგებელი, უთვალავი ლაშქრის პატრონი იყო, თავად ხომ სწორუპოვარი მეომრის სახელი მოეხვეჭა”.

*თამარ ბარბაქაძე:*

„არაბეთში მეფობდა როსტევეანი; ბედნიერი, თავმდაბალი, ღვთის მოშიში, ურიცხვი ყმისა და ლაშქრის პატრონი. სამართლიანი და ყოველთვის გამარჯვებული. მეფე როსტევეანი თვითონ სწორუპოვარი მეომარი იყო და, აგრეთვე, ენანყლიანი მოსაუბრე“.

და ასე შემდეგ...

და ამ „თარგმანებს“ (?) სკოლებში ავრცელებენ (!). ეს უბედურება მხოლოდ რუსთაველის თავზე არ დატრიალებულა: „თარგმნეს“ იაკობ ხუცესის, იოანე საბანის ძისა და გიორგი მერჩულის თხზულებანი (ამის თაობაზე იხ. „ბურჯი ეროვნებისა“, №2, 3, 1998). რამდენადაც ჩვენთვისაა ცნობილი, „ვეფხისტყაოსანის“ სხვა „თარგმანებიც“ არსებობს და გამოცემას ცდილობენ: ჯერი, ალბათ, სხვა მწერლებზეც მიდგება...

ვილაცის აზრით, ეს ბიზნესია; ვილაცის აზრით – კეთილი საქმე, მოსწავლეთათვის დახმარებაა... სინამდვილეში კი ეს არის ჩვენი კულტურული წარსულის უგულვებელყოფა, ჩვენი კლასიკოსების შეურაცხყოფა.

XIX საუკუნიდან ილია გვაფრთხილებს: „ჩვენ რუსთაველის სახელი მეტისმეტად დიდ სახელად მიგვაჩნია და მოგვიტყონ. რომ მის სახელს და დიდებას ადვილად ვერავის დაეუთმობთ“.

დღეს რა ხდება?

ასე იოლად რატომ ვთმობთ რუსთაველის სახელსა და დიდებას? რატომ ვუქმნით ყოველგვარ პირობას ახალგაზრდობას, რომ არ წაიკითხონ „ვეფხისტყაოსანი“? ხომ არ დადგა დრო (თუ დაგვიანებული არ არის!), ხმა ავიმალლოთ ყოველივე ამის წინააღმდეგ? ხომ არ დადგა დრო, აიკრძალოს სკოლებში ამგვარი „თარგმანების“ გავრცელება-გამოყენება?

მოგმართავთ თქვენ,

*საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს.*



**ბატონთამაზ წიფწივაძეს,**

**საქართველოს რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარეს,**

**ბატონ მშუმან ლეპანიძეს,**

**საქართველოს განათლების მინისტრს,**

**ბატონ ალექსანდრე კარტოზიას!**

უპირველესად თქვენი (და მერე ყველა ჩვენგანის) ვალია, დარა-  
ჯად დავუდგეთ შოთა რუსთაველს და მის „ვეფხისტყაოსანს“.

**ყურნალი „ბურჯი ეროვნებისა“. №1-2, 1999.**



გამომცემლობა „განათლების“ ღირეპტორს,  
ბატონ ლუკა ხუნდაძეს

ბატონო ლუკა,

თითქმის ორი ათეული წლის წინათ თქვენს გამომცემლობაში მოიტანეს ი. გიგინეიშვილისა და ვ. თოფურიას „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“. ვიცით, რომ ეს არის შევსებული, შესწორებული გამოცემა.

თუ რამდენად საჭირო და აუცილებელი წიგნია „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“, სიტყვას არ გავაგრძელებთ – ეს ძალიან კარგად იცით თქვენც, ჩვენც და ყველამ, ვისაც წერა-კითხვასთან აქვს საქმე. ისიც ვიცით, რომ საგამომცემლო საქმე ძალიან გართულდა, მაგრამ ეს ახლა. ამ 10-20 წლის წინათ ეს სირთულეები არ გვექონდა... გულზე ხელი დავიდოთ და გავიხსენოთ, ამ პერიოდში რამდენი გაცილებით ნაკლებად საჭირო წიგნი გამოიცა „განათლების“ გრიფით...

იყო შემთხვევები, როცა სხვამ მოისურვა ამ ლექსიკონის გამოცემა, მაგრამ თქვენ არ დათმეთ... ე. ი. არც სხვას მიეცით ნება გამოცემისა და თქვენც ვერ (თუ არ) გამოეცით...

ვფიქრობთ, რომ ორი ათეული წლის განმავლობაში შეიძლება და წიგნის გამოცემა... ჩვენ არც იმის უფლებამოსილება გვაქვს და არც სურვილი, ვინმეს პასუხი მოვთხოვოთ „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის“ გამოუცემლობის გამო. ყველა ღვთისა და საკუთარი სინდისის წინაშე აგებს პასუხს...

გვანტერესებს მხოლოდ:

ელირსება თუ არა დღის სინათლე ივანე გიგინეიშვილისა და ვარლამ თოფურიას „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონს“? თუ ელირსება, როდის? თუ არა და – რატომ? გრძნობთ თუ არა პასუხისმგებლობას ამ გამოცემის დაბრკოლებისათვის?

*ვაზეთი „ბურჯი ეროვნებისა“, ივლისი, 1995.*

როგორ საქართველოს გვპირდებიან

საქართველოს ხსენება, ქართულის გახსენება ძალიან გახშირდება ხოლმე წინასაარჩევნო პერიოდში. ადრე იყო მოწოდება – „მოვუაროთ საქართველოს“, იმედიც ჩანდა – „ივერია გაბრწყინდება“. საუბრობდნენ და საუბრობენ საქართველოს გადარჩენაზე, ალორძინებაზე, ძლიერ საქართველოზე...

რას ნიშნავს „მოვლა“, „გაბრწყინება“, „გადარჩენა“, „ალორძინება“, „ძლიერება“?

ვის რა მიაჩნია „მოვლის“, „გაბრწყინების“, „გადარჩენის“, „ალორძინების“, „ძლიერების“ პირობად?

ბევრს ვეცადე, მაგრამ ვერც ადრე და ვერც ამჟერად ეს ვერ გავარკვიე... ვერც არჩევნების შემდგომ პერიოდში ჩავნვდი წინასაარჩევნო დაპირებების არსს...

წინასაარჩევნო ლოზუნგები და მოწოდებები უნიჭო თამადის ტრაფარეტულ სადღეგრძელოებს დაემსგავსა...

\*\*\*

მე კერძო ინტერესი მაქვს: ქართული ენის სპეციალისტი გახლავართ, განათლების დარგის მუშაკი, უმაღლესი სკოლის პედაგოგი და, ცხადია, უპირველესად ამ სფეროს პერსპექტივები მაინტერესებს...

მახსოვს, პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი პროფესორ-მასწავლებლებს აშენებას გვპირდებოდა და ეს სხვას სასაცილოდ არ უყოფნიდა. და მართლაც სასაცილოდ იყო იმ კანდიდატის საქმეც და ჩვენიც...

და, მაინც: რას ველი არჩევნებისაგან, უფრო სწორად, რას მიიწოდებ; როგორ მესმის გადარჩენა, ალორძინება, სიძლიერე...

\*\*\*

მოგეხსენებათ, საქმიანი ფიქრი ჰქონდათ XIX საუკუნეში ჩვენს წინაპრებს. იცოდნენ, რა იყო საქართველო, ვინ იყო ქართველი და რა გადაარჩენდა ქვეყანასა და ერს.



გრიგოლ ორბელიანის ნააზრევი გავიხსენოთ; გახსოვთ, ალბათ, ლექსი „თამარის სახე ბეთანიის ეკლესიაში“.

რა იყო ოცნება, მიზანი პოეტის?

„შენი ივერი  
აღსდგეს ძლიერი,  
და დადგეს ერად  
სხვა ერთა  
შორის“.

ცხადია, ეს იყო ოცნება ყველა ჭეშმარიტი მამულიშვილისა, მაგრამ გრიგოლ ორბელიანი მხოლოდ ამ ზოგადი ფრაზებით არ იფარგლება.

იმ პირობებზეც საუბრობს, რაც მის ოცნებას რეალურ სახეს მისცემს. ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, რა მიაჩნია აუცილებლად პოეტს, რომ მისი „ივერი აღდგეს ძლიერი და დადგეს ერად სხვა ერთა შორის?“

გრ. ორბელიანი ექვს ძირითად კომპონენტს ასახელებს:

„წმიდით საყდარით (*ხარწმუნოება*),

ენით მდიდარით (*ენა*),

სწავლისა შუქით განათებული (*განათლება*),

ზნე-ამაღლებით (*ზნობა*),

ძღვევის დიდებით (*ძალმოსილება*),

სამშობლოს მიწის სიყვარულითა (*პატრიოტული ხულისკვეთება*).

სწორედ ერთობა ამ კომპონენტთა – *ხარწმუნოება, ენა, განათლება, ზნობა, ძალმოსილება, პატრიოტული ხულისკვეთება* – მოგვცემს ძლიერ საქართველოს; იმ საქართველოს, რომელსაც შეუძლია, შვას რუსთაველი, ძალუძს აღდგენა, აღორძინება ქვეყნისა. ასე ესმის პოეტს.

სხვაგვარად დიადი მიზანი არ მიიღწევა.

ერთ-ერთი პირობის დარღვევაც კი ამ მიზანს დაგვაშორებს...

დღეს ფიქრობენ ასე? ამ პირობათაგან, რომელი მიაჩნიათ აუცილებლად ქვეყნის აღდგენისათვის, გადარჩენისათვის?

\*\*\*



*სარწმუნოებაზე* საუბარი წინასაარჩევნო პერიოდში არ ითვლება მომგებიან თემად. ორიოდ კერძო გამონაკლისის გარდა, ამის თაობაზე ყურადღებას არავინ ამახვილებს. აღარ ახსოვთ, რომ იმ „სამღვთაებრივ საუნჯეს“ შორის სარწმუნოებაც ჰქონდა ილიას... ცდებოდა ვითომ? რწმენის განმტკიცება, სარწმუნოების გაძლიერება აღარაა ერთ-ერთი უმთავრესი პირობა ქვეყნის უკეთესი მომავლისა?

არ ეგების ამის დავინწყება!

\*\*\*

*ქართული ენა* რომ წინასაარჩევნო მსჯელობის საგანი ყოფილიყოს, რატომღაც, არ მახსოვს. არ თვლიან საჭიროდ ამაზე ფიქრს. არადა, იაკობს თუ დავუჯერებთ, „უმთავრესი ბურჯი ეროვნებისა გახლავთ სამშობლო ენა“. თუ ეროვნულ სახელმწიფოს ვაშენებთ, ეროვნულ ენას რატომ ვივინყებთ? მოძრაობაა ასეთი – „ენა, მამული, სარწმუნოება“ (ისე, ილიამ სხვაგვარად დააღაგა!..), მაგრამ ეროვნული ენის აღორძინების კონკრეტულ პროგრამას მე არ ვიცი... არადა, ენა წახდენის გზაზეა. „რა ენა წახდეს, ერიც დაეცესო“ – არ არის მხოლოდ ლამაზი პოეტური ფრაზა. ეს ჭეშმარიტებაა და ღმერთმა არ ქნას, ეს ჭეშმარიტება ჩვენს თავზე აცხადდეს... ვფიქრობთ ამაზე? არ არის ვითომ საჭირო ზრუნვა ქართულ ენაზე?

არც ამის დავინწყება ეგების!..

\*\*\*

*განათლების* პრობლემას მხოლოდ პედაგოგთა გაუცემელი ხელფასები შეახსენებთ მომავალ პარლამენტარებს და ჰპირდებიან, გაყინულ ხელფასებს დაგირიგებთ და შეიძლება მოგიმატოთ კიდევცო...

განათლების დონე ჩვენში კატასტროფულად დაეცა. სასწავლო პროცესი ლამისაა ჩაშლილია (განსაკუთრებით მაღალ კლასებში)... მოდის უნივერსული თაობა! ვინ ფიქრობს ამაზე?

არ მახსენდება პოლიტიკოსი, რომელიც ჩვენი სკოლის ამ საჭირობოროტო პრობლემებს შეხებოდეს და მიზნად დაესახოს მისი გამოსწორება. არადა, აღორძინდება და გადარჩება უამისოდ ქვეყანა? მეეჭვება! მეეჭვება კი არა, ნამდვილად არაფერი ეშველება ქვე-



ყანას, თუ განათლებასა და მეცნიერებას სერიოზულად არ მივხედეთ...

არც ამის დავინწყება ეგების!..

\*\*\*

*ზნეობრივად* დაცემულ საზოგადოებას ქვეყანა ჯერ არ აუშენებია და ვერც ააშენებს. ვინ ფიქრობს ზნეობრივ საზოგადოებაზე? ვინ ფიქრობს საზოგადოების ზნეობრივ გაჯანსაღებაზე? პირიქით! წინასაარჩევნო დებატები და გამოსვლები ხშირად სწორედ უზნეობის ქადაგებაა!

ერთი კონკრეტული მაგალითი: ერთ-ერთი ძალოვანი სამინისტროს მალაღჩინოსანმა (მინისტრის მოადგილემ) საჯაროდ, ოფიციალურად დასდო ბრალი კორუფციაში ფინანსთა მინისტრის მოადგილეს და მისი დაჭერა მოითხოვა... ცოტა ხნის შემდეგ მინისტრის ორივე მოადგილე (ბრალმდებელიც და ბრალდებულიც) პრეზიდენტის გვერდით დადგა და ერთი ბლოკიდან იყრიან კენჭს... რა ჰქვია ამას? ალბათ უზნეობა... საზოგადოებისათვის თვალში ნაცრის შეყრა...

ყველა ჩვენგანს უამრავი მაგალითის მოყვანა შეუძლია ზნეობრივი და მორალური ნორმების უგულვებელყოფისა... არადა, აღდგენა და აღორძინება ქვეყნისა საზოგადოების ზნეობრივი გაჯანსაღების გარეშე არ მოხდება... ფიქრობს ვინმე ამაზე?

არც ამის დავინწყება ეგების...

\*\*\*

*„ძლევის დიდება“*, ძალმოსილება ქვეყნისა უპირველესი საფიქრალი უნდა იყოს თითოეული ჩვენგანისა. დაცემული, დაქუცმაცებული, დანანევრებული ქვეყანა, საზოგადოება იმ საქართველოს ვერ აღგვიდგენს, პოეტი რომ ოცნებობდა...

რა კეთდება ქვეყნის გაძლიერებისათვის, გაერთიანებისათვის? ყოველდღიურად ღრმავდება დაპირისპირება, კონფრონტაცია, მტრობა და შუღლი... არადა, საქმეა საქირო ერთიანობისათვის, *„ძლევის დიდების“* მოპოვებისათვის...

არც ამის დავინწყება ეგების...

\*\*\*



„სამშობლო მიწის სიყვარული“ ლამის სადღეგრძელოს თემადღა დარჩეს... ერთი მეორეს სდებს ბრალს ღალატში, მეორე – მესამეს... ეს ბრალდება რომ არ წაეყენებინოთ, თითქოს, არცაა ვინმე ასეთი... ამ ბრალდებათაგან ნახევარიც რომ მართალი იყოს, დაღუპულა ქვეყანა და ესაა...

არადა, დაღუპვის პირას კია მისული...

ქვეყნის სიყვარულის, პატრიოტული სულისკვეთების აღორძინების გარეშე ვერ აღდგება და აღორძინდება ქვეყანა! ვფიქრობთ ამაზე?

არადა, არც ამის დავინყება ეგების...

\*\*\*

რაც ვთქვი, ვერ არის ოპტიმისტური ხედვა მომავლისა... დღევანდელმა წინასაარჩევნო სიტუაციამ მიკარნახა ეს ფიქრები... არჩევნებამდე არც ისე ცოტა დროა, იქნებ იფიქრონ ასარჩევებმაც და ამომრჩევლებმაც ამაზე...

გაზეთი „თბილისი“

17-18 ოქტომბერი, 2003.



**„ჩემი წუთისოფელი“ და ჩვენი ბულისტაქივილი**

კლასიკოსთაგან მხოლოდ რამდენიმე მწერალმა დაგვიტოვა მემუარული ნაწარმოებები. ქართული ლიტერატურის ბრწყინვალე შენაძენია აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავალი“, დავით კლდიაშვილის „ჩემი ცხოვრების გზაზე“, კონსტანტინე გამსახურდიას „ლანდებთან ლაციცი“. 1937 წელს მიხეილ ჯავახიშვილი წერდა: „მე ცხოვრების საკმაოდ ჭრელი გზა განვლე და უამრავი მასალა დამიგროვდა. განვიზრახე, მკითხველსაც გაეუზიარო იგი, ე. ი. ჩემი მოგონებანი დავწერო (სათაური: „დილიდან საღამომდის“)“... სამწუხაროდ, მხოლოდ სათაურის თქმა მოასწრო... მემუარულ ნაწარმოებთა შორისაა ვაჟა-ფშაველას „ჩემი წუთისოფელი“. სამწუხაროდ, ავტორს იგი დაუსრულებელი დარჩა; არ არის ვრცელი (რამდენიმე გვერდი), მაგრამ ვაჟას ყოველ ნაწარმოებს, ყოველ სიტყვას სხვაგვარი დაფასება სჭირდება ჩვენგან... მკითხველის ყურადღება სათაურებს მინდა მივაპყრო: „ჩემი თავგადასავალი“, „ჩემი ცხოვრების გზაზე“, „ლანდებთან ლაციცი“, „ჩემი წუთისოფელი“... თუ თავად რა მნიშვნელობას ანიჭებდნენ სათაურებს, იქიდანაც ჩანს, რომ მ. ჯავახიშვილმა მკითხველს, უპირველესად, სათაური გაანდო... რატომ ვამახვილებ ამ ფაქტზე ყურადღებას? მოგახსენებთ:

ამას წინათ ხელში ჩამივარდა ბატონი ვახუშტი კოტეტიშვილის რედაქტორობით გამოშვებული გაზეთი „ქართული სიტყვა“, რომელშიც გაგრძელებებით იბეჭდებოდა ბატონი ვახუშტის მემუარული ნაწარმოები „ჩემი წუთისოფელი“ (!). ქართული მწერლობის შესანიშნავმა მცოდნემ, ვახუშტი კოტეტიშვილმა, რა თქმა უნდა, იცის, რომ ეს სათაური ვაჟასია... და მაინც გამოიყენა (არ მინდა, სხვაგვარად ვთქვა)...

ვიმედოვნებთ, ბატონი ვახუშტი, ვიდრე წიგნად გამოსცემდეს ამ მოგონებებს, პატივს მიაგებს დიდ ვაჟას და შუეცვლის სათაურს თავის წიგნს!...

*„ბურჯი ეროვნებისა“*

*№10-11, 2001 წ.*

## ერთი ფაქტი, ორი მთხრობელი

ახლახან ხელში ჩამივარდა ალექსანდრე სიგუას წიგნაკი – „მკვლელობა ბერიას კაბინეტში“. მასში ასეთ რამეს ვკითხულობთ:

„ქართველი მწერლები და მეცნიერები ნუხდნენ იმაზე, რომ მეტეხის ციხის დანგრევასთან ერთად ეკლესიაც დაინგრევო. იმისათვის, რომ ისტორიული ძეგლი – ეკლესია არ დანგრეულიყო, რამდენიმე მწერალმა და მეცნიერმა გადაწყვიტეს მისულიყვნენ ბერიასთან. ბერიასთან აუდენციის მონაწილენი იყვნენ პავლე ინგოროყვა, დიტო შევარდნაძე, იროდიონ სონღულაშვილი, შალვა დადიანი, ნიკოლო მინიშვილი, ალექსანდრე აბაშელი და სხვები, რომელთა გვარები ახლა აღარ მახსოვს.

ბერიამ მწერალთა და მეცნიერთა ჯგუფი მიიღო.

მას სათხოვარი გააცნეს.

ბერიამ მწერლებსა და მეცნიერებს უთხრა, თქვენ ჯობს რომანები, მეცნიერული გამოკვლევები, წერილები წერთ, ისტორიულ ძეგლებს კი ჩვენ მოვუვლითო და აუდენციის მონაწილეებს ცენტრალური კომიტეტის დადგენილება გადასცა იმის შესახებ, რომ ეკლესიას ხელს არ ახლებენ...

ცეკადან დაბრუნებული მწერლები და მეცნიერები გამომცემლობაში მოვიდნენ და ნიკოლო მინიშვილის კაბინეტში მოიყარეს თავი. მე მათ შორის ვტრიალებდი და ვხედავდი მათ კმაყოფილ სახეებს. ნიკოლო მინიშვილი თავისი ბოხი ხმით ამბობდა: ეჰ, ჩემო კარგო მეგობრებო, დღეს ჩვენ მართლა კარგად გავბითურდითო!”

ამ ფაქტის შესახებ უფრო ადრე ქალბატონი ქეთევან ჯავახიშვილი გვიამბობდა: მიხეილ ჯავახიშვილი „ისეთი ბუნების კაცი გახლდათ, რომ შიშიანობის დროსაც კი სოროში შეძრომა და თავის მომკვდარუნება არ შეეძლო – თუ საქვეყნო საქმე მოითხოვდა, ქვეყანას მისძრა-მოსძრავდა და ვერც კლიტეს დაადებდა ვინმე პირზე. ასეთ დროს სიფრთხილე და შეპუება არ იცოდა. მახსოვს, ერთი ამბავი დაათია, როცა ყოვლად უმსგავსო გადაწყვეტილების მიღება დააპირეს მეტეხის ისტორიული მნიშვნელობის კომპლექსის განადგურებაზე... იმხანად საკულტო ნაგებობის დაცვა სარისკო საქმე გა-

ხლდათ. მეტეხი მაშინ გამოყენებული იყო მუზეუმად, რომელსაც განაგებდა ჩინებული მხატვარი და ღირსეული მამულიშვილი დიმიტრი შვეარდნაძე. მამამ და დიმიტრიმ ჩვენი მოღვაწეები დაითანხმეს, მეტეხის გადასარჩენად კოლექტიური წერილით ნარსდგომოდნენ იმ პიროვნებას, ვინც, პოეტის გამოთქმისა არ იყოს, კენის სულის აღზევებად გადისრიალა საქართველოზე. დანიშნულ დროს თითქმის არავინ მოვიდა, სიფრთხილე... არ მინდა სხვა რამ სახელი ვუნოდო ამ საქციელს... მოკლედ, წინდახედულება გამოიჩინეს. მიხეილ ჯავახიშვილმა, დიმიტრი შვეარდნაძემ და ორმაც მათსავით „წინადუხედავებმა“ კი უკან არ დაიხიეს. მამა მოგვიყვა: ცივად მიგვიღო, რა განგაშს ტეხთ და დემონსტრაციას მართავთ, რა პეტიცია შეგიდგენიათო. თავი ვერ შევიკავე, – კი ბატონო, დაანგრეთ-მეთქი, ვუთხარი, ოღონდ, რომ დაანგრევთ, ის მეხუთე საუკუნის თლილი ქვები ფრანგებს ან შვეიცარიელებს მაინც მიჰყიდეთ... ისინი ხელახლა ააშენებენ ამ ქვებისგან ტაძარს... თქვენ თუ არ იცით, იმათ იციან ამ ლოდების ფასი-მეთქი. ამის გაგონება და სახეზე ისე წამოენთო, რომ უბრალოდ არ ჩამივლის ეს სიტყვებო, დაამთავრა მამამ... და ვაი, რომ არც ჩაუვლია“.

ერთი ფაქტი, ორი მთხრობელი.

ბატონ ალ. სიგუას მონათხრობში მ. ჯავახიშვილი „და სხვებში“ იგულისხმება, თუ იგულისხმება ჯავახიშვილისეული ნაამბობი, ამიტომ ასე აგრძელებს ზემომოყვანილ თხრობას: „ნიკოლო მინიშვილმა ცეკას დადგენილება, რომელიც მას ბერიამ გამოატანა, აპოლონ ნულაძეს გადასცა, აპოლონმა იგი წაიკითხა და შეკრებილთ მიმართა:

– რა გახმაურებდათ და გაღელვებდათ, თქვე კაი ხალხო, რა განგაში ატეხეთ, გეგონათ, რომ მთავრობაში ერის საქმისათვის თავდადებული ადამიანები არ არიან?

მე ყოველივე ამის ცოცხალი მოწმე ვარ და ახლა, როცა ამ ამბიდან ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა, მიკვირს, როგორ დაიკარგა სიმართლე, როგორ თავხედურად წერენ ჟურნალ-გაზეთებში მავანი და მავანი მეცნიერთაგან და მწერალთაგან სიცრუეს, სიყალბეს, თითქოს ციხის დანგრევასთან ერთად ბერიას უნდა ეკლესიის დანგრევაც და ეკლესია მხოლოდ *მწერალთა და მეცნიერთა მეცადინეობამ*. *მათმა დაჟინებულმა მოთხოვნამ გადაარჩინა*“ (ხაზი ჩემია – გ.გ.)

„მესამის“ ალ. სიგუას მიზანი: უნდა ხალხს შეაყვაროს „ეროვნუ-



ლი მოლვანე" (მისი სიტყვებია) ბერია, მაგრამ ვის ხარჯზე? მიხეილ ჯავახიშვილის ხარჯზე?

მართლა დაიკარგა სიმართლე, თუ განგებ ვქმნით საიმისო სიტუაციას, რომ დაიკარგოს? მაინც რა არის მიზანი ამგვარი მოგონებებისა?

ჩვენი კულტურის უახლოესი ისტორიის ეს ფრიად საინტერესო საკითხი უნდა გაირკვეს და ცნობილი გახდეს.

*გაზეთი „მსგეფსი“ № 17, 1995.*





## უსალმობა წახდენილს ვერ უშველის

*თქმულა, სალამი ღვთისაო... მე არ ვიცი, ვის როგორ ეხმის ეს გამოთქმა, მაგრამ ის კი ვიცი, უსალმობა ცუდკაცობის სინონიმია ჩვენ-ში. შესაბამისად, ხალმიანი კაციაო, იტყვიან და ამით დადებითად ახასიათებენ მკვანს.*

როგორც ჩანს, ამ ფაქტს საგანგებო ყურადღებას ვაქცევდით ყოველთვის და ამიტომაც ბევრი რამ მოვიგონეთ საიმისოდ, რომ ჩვენი სალამიანობა გამოგვეხატა. და არსებობს მრავალი სიტყვა, ფრაზა, გამოთქმა, უესტი, მიმიკა მისალმების გამომხატველი - დროის, სიტუაციის, ვითარების, გარემოს შესაბამისი: გამარჯობა, სალამი, აქა მშვიდობა, დილა მშვიდობისა, სალამო მშვიდობისა... დაგინახე (ყარგონი იყო ადრე), ბარაქა (გავიხსენოთ თუნდაც კინოფილმი „ქვევრი“ - ბარაქა, გოგი!...)...

ერთ საოცრად ლამაზ მისალმებას შევესწარი ახმეტაში. რაიონის თავკაცი ქალაქელ სტუმრებს მასპინძლობდა, სადილად ბუნებაში მიგვიწვია; სუფრის მოლოდინში ვსაუბრობდით. გლახმა ჩამოიარა, ცხვარს მიერეკებოდა. ხელი ჩამოართვა გამგებელს და „სტუმრიანობას გილოცავო“, მიესალმა... იმ სალამოს ამალღებულ განწყობილებას ამ მისალმებამაც შეუწყო ხელი... მისალმებაში, მისი გამოხატვის ფორმაში, ინტონაციაში ბევრი რამ ჩანს: ხასიათი, ბუნება, დამოკიდებულება, ინტელექტი, შეგნების დონე... უსალმობაში ერთადერთი - ცუდკაცობა უსალმო კაცისა.

ქართული ხასიათია: გაცდებით ქალაქს და სოფელში ნაცნობი თუ უცნობი შეგხვდება და დასწრებაზეა სალამი. უსალმოდ გვერდს არ აგიქცევს; უფროს-უმცროსობაშიც ხომ სალამით გაირჩევა კარგი და ცუდი კაცი. ფორმაა აღზრდისა, უფროსი უმცროსს ტოლივით რომ მიესალმება, მოიკითხავს... ცხადია, ქალაქური სიტუაცია სხვაა. ყველა ყველას ვერ მიესალმება... თუმცა, იყვნენ კოლორიტული პიროვნებებიც; თბილისს დღესაც ახსოვს და, ალბათ, დიდხანს ეხსომება ღიმილიანი და სალამიანი იოსებ ნონეშვილი... თუმცა, ამას ყვე-



ლას ვერ მოჰკითხავთ, არც შეიძლება, მაგრამ ნაცნობობა ღმერთს იმისთვის დაუდგენია, რომ კეთილი სალამი ვუთხრათ ერთმანეთს.

ბევრი შემთხვევა ვიცით, მავანს მავანის საქმიანობა არ მოსწონებია; ვინმეს ვინმეს აზრი არ გაუზიარებია; ვილაცას ვილაცა გაუკრიტიკებია; ვილაცა ვილაცას დაპირისპირებია, მაგრამ კაცისთვის კაცს სალამი არ დაუკარგავს. ალბათ ადამიანს არც აქვს ამის უფლება: „სალამი ღვთისააო“ და, რაც ღვთისაა, კაცს მისი დაკარგვის უფლება არა აქვს... ნაცნობთა შორის უსალმობა იგივე უბრობაა და ჩვენში იმასაც იტყვიან, უბრობა დედაკაცის საქმეაო. რატომ? ალბათ, ამით იმის თქმა სურთ, უსალმობა ვაჟკაცური საქმე არ არის, არაკაცური საქმეაო...

არა, ბატონებო, მე დაკარგულ სალამს კი არ ვეძებ და მივტირი... ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს, ვინც სხვისთვის ვერ გაიმეტა...

მე ის მადარდებს, რომ ჩვენს გვერდით არიან ადამიანები, ვინც ამბიციურობისა და პატივმოყვარეობის „წყალობით“ ამას სხვაგვარად უყურებენ, სხვაგვარად იქცევიან. თუ მის აზრს არ იზიარებ, მის პოზიციას არ დგახარ, თუ მას კრიტიკა შეჰბედა, შეედავე და დაუპირისპირდი კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით, ზურგს შეაქცევს და სალამს არ მოგცემს!..

მერე რაო, იტყვის კაცი; არ უნდა და არ გესალმებო, მაგრამ ეს უსალმობა რაღაა? პოზიციიაა? – სათქმელი რომ არა აქვს, პასუხი რომ არ შეუძლია გაგცეს, გაკრიტიკებული პოზიციის დაცვა რომ არ შეუძლია, მარტივ გამოსავალს მოძებნის – სალამს არ მოგცემს და მორჩა... ნახდენილი საქმე კი ამით, რა თქმა უნდა, არ სწორდება; პირიქით, უარესდება. უსალმო კაცი ყოველ ღონეს ხმარობს, ვინმემ არ გააკრიტიკოს; და ერთხელ თუ შეჰბედა, ვილაცამ კვლავაც რომ არ მოითხოვოს მისგან პასუხი დასმულ კითხვებზე, ზურგს შეაქცევს და სალამს არ მისცემს...

რამ გამახსენა?

მე კონკრეტულმა ფაქტმა ჩამაფიქრა, მაგრამ არ არის ეს, ალბათ, ერთეული შემთხვევა: ერთი ნაცნობი მყავს, თავის დროზე უნივერსიტეტში ერთი სემესტრის მანძილზე პრაქტიკულ მეცადინეობასაც მიტარებდა. მერე კოლეგები ვიყავით და კარგი სალამი გვქონდა

ერთმანეთში. შემდეგ „მაღლა“ წავიდა, „პოპულარული კაცი“ გახდა და შორიდან მესალმებოდა (ესეც ძალზე საინტერესოა: თანამდებობა სალმის ფორმასა და ხასიათს რომ ცვლის – შინაგანი ავი ბუნების გამოვლენა ხდება ამ დროს, ჩემი აზრით)... მერე მის აღმასვლას შერისხვა მოჰყვა და უკვე შინაურულად, ახლობლურად მესალმებოდა; დრო შეიცვალა, ჩემი ნაცნობი „დიდი კაცი“ გახდა; ისეც – შორი სალამი...

და ამ „დიდკაცობის“ დროს მისი უწყებისა და პირადად მის მიმართ რამდენჯერმე კრიტიკული აზრი დავბეჭდე. ჩემი ღრმა რწმენით, და ჩემს აზრს მრავალი იზიარებდა (ასე სჯობს, რომ ვთქვა: მრავალთა აზრს მე ვიზიარებდი). საქმე ქართულ ენას ეხებოდა და კიდევ თბილისის მახლობლად (შემდეგ თბილისში) არაქართული უმაღლესი სასწავლებლის გახსნას. მე ვინ ვარ, ამ პოზიციაზე იდგა თითქმის მთელი ინტელიგენცია, ბევრზე ბევრი... ხანგრძლივი და მწვავე პოლემიკა გაიმართა... ჩემზე უთქვამს ამ ჩემს ნაცნობს, როგორ გამიბედა კრიტიკაო, ეს კი უთქვამს, მაგრამ რატომ არ უნდა გამებედა, არც უთქვამს და არც დაუნერია. პასუხი არც ჩემთვის გაუცია და არც სხვისთვის (ან კი რა უნდა ეთქვა?!)..

კარგა ხანია, ის აღარ არის „დიდი კაცი“. რამდენჯერმე შემხვდა, სალამზე არ მიპასუხა; „დიდკაცობის“ დროს მის კაბინეტში ოფიციალურ თათბირზე მოვხვდი და არც მაშინ მომსალმებია... როგორც ჩანს, დღემდე მწარედ ახსოვს ის შენიშვნები...

ნუ იფიქრებს ჩემი ნაცნობი, რომ ძალზე განვიცდი მისგან უსალმობას; ნუ მიიღებს ამით კმაყოფილებას. ისე კი, მინდა იცოდეს, რომ მე შეხვედრისას თავს კვლავაც დაგუკრავ... თავად შეუძლია, იამაყოს უსალმო კაცის სახელით!..

თუმცა, ის კი მინდა იცოდეს ჩემმა ნაცნობმა, რომ უსალმობა არ არის პასუხი იმ შენიშვნებისა თუ კრიტიკისა, მის მიმართ რომ გამოითქვა და, ადრე თუ გვიან, მაინც მოუნევს პასუხის გაცემა მის მიერ ნახდენილი საქმის გამო... უსალმობა ნახდენილ საქმეს ვერ გამოასწორებს... ვერც მე და ვერც სხვას ვერ დაგვაავინყებს, რაზეც თავის დროზე ვწერდით, ვწერდით და ვწერდით; ვერ დავივინყებთ, მით უმეტეს, რომ მისგან დარგული სიავის ნერგის მწარე ნაყოფს ვიპკით



და კარგა ხანს მოვიმკით კიდეც... სკამის დაკარგვის შემდეგ აქტიური პუბლიცისტური მოღვაწეობა და მორალისტის პოზა მის-მიერ დანგრეულს ვერ ააშენებს! იმიტომ, რომ ამ მოღვაწეობაში სიძულვილი ჩანს... თავადაც მოეხსენება, დანგრეულს მხოლოდ სიყვარული ააშენებს...

ნუ მომცემს სალამს და იფიქროს ყოველივე ამაზე, თუ საქმე აინტერესებს, მაგრამ, მეეჭვება, დაფიქრდება კი?..

გაზეთი „თბილისი“  
№27, 2000 წ.

მთავარი იზიარებს იდეოლოგიას...  
...აქტიური მოღვაწეობა...  
...დაკარგვის შემდეგ...  
...სიძულვილი ჩანს...  
...თავადაც მოეხსენება...  
...დაფიქრდება კი?..  
...გაზეთი „თბილისი“...  
...№27, 2000 წ.

**ცინიზმი სიამაყის წინააღმდეგ?**

*„მე ქართველი ვარ!“ – ამაყად განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ ევროსაბჭოს ასამბლეის სხდომაზე. ეს არ არის შემთხვევითი: ქართველობა ქართველი კაცისთვის ყოველთვის იყო, არის და იქნება სიამაყის უპირველესი საგან.*

„მე პატარა ქართველი ვარ!“ – ასე ვინცებდით საკუთარი თავის შეცნობას და მიახლოებას ყოველივესთან, რასაც ქართული ერქვა... დღეს კი დისკუსიის საგნად ქცეულა, ჩაინეროს თუ არა ეროვნება ჩვენს პირადობის დამადასტურებულ დოკუმენტში. რა გამოდის, „ქართველი“ და „ქართველობა“ მხოლოდ ზეპირგადაცემის საგნად უნდა ვაქციოთ?

ჩვენი ევროპელობის დასტურად განვითარებული ქვეყნების მიბაძვას ვინცებთ. ჯერ კიდევ თითქმის ორი საუკუნის წინათ შეგვახსენა დიდიმა ნიკოლოზ ბარათაშვილმა, რომ, როცა უმნიშვნელოვანეს ეროვნულ საკითხებს ვწყვეტთ, ჩვენი ეროვნული ფსიქოლოგია უნდა გავითვალისწინოთ:

*„სახელმწიფოსა ერთობა რჯულის  
არარას არგებს. ოდეს მის შორის  
თვისება ერთა სხვადასხვაობდეს!..“*

თუ როგორ აგვიხდა დიდი პოეტის წინასწარმეტყველება, ყველამ კარგად ვიცით.

ახლა საფრანგეთის მაგალითს იხსენებენ, საფრანგეთშიც ასეაო. იქ, თურმე, ყველა ფრანგად ითვლებაო. მაგრამ ჩვენ ხომ ამ გზით არ მივდივართ? ანდა, თუ წავალთ, რა სიკეთეს მოგვიტანს? ახლახან მოვისმინე, საფრანგეთში კანონს ითხოვენ, ჰომოსექსუალისტებს ქორწინების ნებართვა რომ მისცენ... ევროპული გამოცდილების უკრიტიკოდ გადმოღების მსურველნი მალე ასეთ კანონს ჩვენთანაც მოითხოვენ. რა ვქნათ, ამაშიც მივბაძოთ საფრანგეთს?

დასავლეთის ზოგ უმაღლეს სასწავლებელში უგამოცდო მიღებააო და ერთ-ერთ სახელმწიფო უნივერსიტეტში სამი წელია უგამოცდოდ იღებენ სტუდენტებს... ვინც იმ სტუდენტთა მომზადების



დონეს იცნობს, დამეთანხმება, რომ ყოველგვარი პირობა შევუქმენით მათ, რომ... არ ისწავლონ... იქ, დასავლეთში, სადაც ასეთი წესია, წინასაუნივერსიტეტო ეტაპზე უმკაცრესი მოთხოვნებია. ჩვენთან? რა დღეშია ჩვენი სკოლა, როგორი სწავლებაა, განსაკუთრებით მაღალ კლასებში? უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდები ახალგაზრდებს აიძულებთ, საგამოცდო საგნები მაინც ისწავლონ. გაეაუქმეთ გამოცდები და ეს იძულებაც გაქრა... ჯერ წინასაუნივერსიტეტო ეტაპისათვის უნდა მიგვეხედა, იქ უნდა მოგვეგვარებინა საქმე და შემდეგ უნდა გამოგვეცხადებინა უგამოცდო მიღება. ჩვენ უკულმა დავინწყეთ და უკულმადაც ნაგვივიდა საქმე.

ისევ უცხოეთის მაგალითი და ისევ ნამხედურობა!

საფრანგეთის მაგალითს რომ იშველიებენ, იქნებ იმას მიაღვეწონ თვალი, იქ რასაც ფრანგული ჰქვია, სხვა ფასი აქვს; სხვაგვარია მისდამი ქვეყნისა და ხალხის დამოკიდებულება. ეს ყოველივე ერთ კომპლექსში მოიაზრება.

თურმე საფრანგეთის რადიოს ეკრძალება, ერთი დღის განმავლობაში გადაცემული სიმღერებიდან 30 პროცენტზე მეტი არაფრანგული იყოს. საფრანგეთში არსებობს კანონი, „ფრანგულის ენის გამოყენების უზრუნველსაყოფად“ (ამის თაობაზე იხ. ჟურნალი „ბურჟი ეროვნებისა“ №1, 2, 1998), სადაც შესაშური სიზუსტით არის გათვალისწინებული ყოველი „წერილმანი“. რატომ ამ საქმეში არ ვბაძავთ ფრანგებს?

ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა ვისწავლოთ, რა გადმოვიღოთ უცხოეთიდან და რა – არა!

არაერთი უბედურება მოუტანია ჩვენთვის გაუაზრებელ სიჯიუტეს. ბრძენს უთქვამს: შეცდომის აღიარება მისი სანახევრო გასწორებააო. უნდა შევგეძლოს, ერისა და ქვეყნის სასიკეთოდ შეცდომის აღიარება. ამის ბრწყინვალე მაგალითი თავად პრეზიდენტმა მოგვცა, როცა თქვა, „შევცდი, ვეტოს უფლება რომ არ გამოვიყენო“.

რას მივანეროთ მავანთა და მავანთა ჯიუტი თავგამოდება?

ასეთ ფაქიზ საკითხზე როგორ შეიძლება იხუმროს, მეტიც, ცინიკურად იკითხოს ახალგაზრდა კაცმა „ეროვნებას თუ ჩაგინერ, უკეთესი ქართველი იქნებიო?“.. როგორ უნდა აძლევდეს თავს უფლებას პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარე, ასე გააშარჟოს ვითარება: „*მაშინ ჩავეწერთ მეგრელი, აჭარელი, გურული, იმერელი.*



კახელი. *ეწეროთ და ვეკითხოთ*" (კ. ჩიტაია: „ახალი 7 დღე“, №3, 1998).  
ვის მიმართავს პარლამენტარი ასე, ვთქვათ, ანა კალანდაძეს, შოთა  
ნიშნიანიძეს და სხვებს, ვინც დოკუმენტებში ეროვნების მითითებას  
ითხოვს? ნუთუ, არ გრძნობს უხერხულობას, საკითხი ასე არასერი-  
ოზულ ტონში რომ გადაჰყავს?

ვიმეორებ, ქართველისათვის ქართველობა სხვა ფენომენია და  
არ გვეკადრება მისი ასე აბუჩად აგდება...

**ვაზეთი „თბილისი“:**  
**№15, 1999 წ.**



ენათმეცნიერის ასტრონომიული „დაკვირვებანი“,

ანუ კომენტარი ასტრონომის ენათმეცნიერულ „ნააზრევზე“

1999 წლის ნოემბერში გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ (№45) გამოქვეყნდა შალვა საბაშვილის ვრცელი წერილი „ცოცხალი ენა თუ გრამატიკა?... (ქართული ზმნის უღვლილების შესახებ)“. ავტორი წერს: „ამ რამდენიმე ათეული წლის წინათ ძალიან დამაინტერესა ქართული ზმნის უღვლილების სისტემამ... მუშაობის პროცესში ბევრი საინტერესო საკითხი აღიძრა, მთავარი კი ის იყო, რომ დავინახე: სასკოლო გრამატიკაში მოყვანილი ზმნის უღვლილების სისტემა არც ლოგიკური იყო და არც სრული... ამას წინათ კიდევ ჩავიხედე 1996 წლის მე-7 კლასის გრამატიკის სახელმძღვანელოში და იგივე სურათი დამხვდა, არავის არაფერი შეუცვლია...“ და ბატონმა შ. საბაშვილმა იტვირთა არალოგიკური და არასრული სისტემის ლოგიკურ ჩარჩოებში მოქცევა და სრულყოფა!.. როგორც შევიტყვე, ბ-ნი შ. საბაშვილი ასტრონომი ბრძანდება. მცირე რეპლიკა შევკადრე და სასწრაფოდ პასუხი დამიბრუნა ვაგულისებულმა; იძულებული გავხდი, უფრო ვრცლად მემსჯელა და მოვლენებისთვის თავისი სახელი დამერქმია.

საჭიროდ მივიჩინე, ბ-ნი საბაშვილისა და ჩემი რეპლიკებისთვის ერთად მომეყარა თავი და მკითხველის სამსჯავროზე კვლავ გამომეტანა. მიზანი: არაპროფესიონალიზმსა და დილეტანტიზმს დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოვეუცხადოთ, თუ გვინდა, რომ საქმე სასიკეთოდ წარიმართოს...

ყურნალი „ბურჯი ეროვნებისა“

№1-2, 2000

გაზეთმა „ლიტერატურულმა საქართველომ“ რუბრიკით „თვალსაზრისი“ გამოაქვეყნა ასტრონომ შალვა საბაშვილის წერილი „ცოცხალი ენა თუ გრამატიკა“, რომელსაც ქვესათაურად აქვს მიწერილი: „ქართული ზმნის უღვლილების შესახებ“. სანამ ჩემს აზრს მო-





ვახსენებდე პატივცემულ ასტრონომს, მინდა ორიოდე ასტრონომიული დაკვირვება გავუზიარო:

ვფიქრობ, მზის დაბნელება იმიტომ ხდება, რომ მთვარე ეფარება მზეს. ამ აღმოჩენამ ასეთ დასკვნამდეც მიმიყვანა: მთვარე უფრო ახლოსაა დედამიწასთან, ვიდრე - მზე, წინააღმდეგ შემთხვევაში მთვარის დაბნელება მოხდებოდა და არა მზისა...

და კიდეთ: მე არა მჯერა მოლა ნასრედინისა, რომელიც ამტკიცებდა, რომ, როცა მთვარე ძველდება, მას ჭრიან და მისგან პატარა პატარა ვარსკვლავებს ამზადებენ. მე ვთვლი, რომ ვარსკვლავები მზისა და მთვარის შვილები არიან.

გავიხსენოთ: „მზე დედაა ჩემი, მთვარე - მამაჩემი...“ - ამას პანია ვარსკვლავი ამბობს...

მაინტერესებს, რა კომენტარს გაუკეთებს პატივცემული ასტრონომი ამ აღმოჩენებს. რა დაგიმალოთ და, ისეთივე კომენტარი უნდა გაუკეთდეს ბატონ შ. საბაშვილის ნააზრევსაც...

ხუმრობა იქით იყოს და, ნუთუ სერიოზულად ფიქრობს ავტორი, რომ „ვწერე“, „ვკეცე“, „ვაშრე“ ფორმები მან აღმოაჩინა და ამიტომ კითხულობს შეშფოთებული: „ეს ფორმა (ვწერე - გ.გ.) არ არსებობს ქართულში, თუნდაც თანამედროვე ქართულში? ეგებ არაბუნებრივია? ეგებ არ ესაჭიროება ქართულ ენას, ე. ი. რაიმე ბუნებრივ მოქმედებას არ გამოხატავს?“ და იქვე დაასკვნის: „პირიქით, ეს ფორმა არსებობს ენაში, ბუნებრივიცაა და აუცილებელიც“.

ამგვარ მსჯელობაზე სერიოზული კომენტარის გაკეთება არ შეიძლება. ისე კი, ერთმა ახირებულმა კაცმა მცხეთის ჯვრის მონასტრის დანგრევა მოისურვა: იმის ქვევით, სიღრმეში მნიშვნელოვანი საბუთი მეგულება ჩვენი დამწერლობის თაობაზე და ის უნდა ამოვიღოო! მეორე ახირებულმა კაცმა ევროპაში ნაპოვნი ათეული საუკუნეების წინანდელი ფირფიტა თანამედროვე მეგრული და სვანური ენების მეშვეობით „გაშიფრა“; მესამე ახირებულმა კაცმა მსოფლიოს ყველა ენა მეგრული ენიდან წარმოშობილად გამოაცხადა; მეოთხე ახირებულმა კაცმა - ქართული დამწერლობა ყველა დამწერლობის საფუძველიაო; მეხუთე ახირებულმა კაცმა „სა 1 აშ 2 სო გრამატიკა“ შეადგინა და ა. შ...

და რაც მთავარია, ყველა ამ ახირებას გზა მისცა ჩვენმა პრესამ და ტელევიზიამ. რატომ არ მოვიშველიებთ კომპეტენტურ აზრს (მეცნიერებათა აკადემიის შესაბამისი ინსტიტუტებისა თუ თბილისის



უნივერსიტეტის სათანადო კათედრებისას...)? რატომ არ შეეგვენეს  
ძალა, ახირებულ ავტორს უარი ვუთხრათ დაბეჭდვაზე?

მეშვიდე კლასის წიგნის წაკითხვამ ბატონ ასტრონომს აზრი გა-  
უჩინა; მაღალ კლასებში რომ გადავა, ისევ უნდა ველოდოთ ახალ  
აღმოჩენებს?... ეს ხომ გაშარყება და აბუჩად აგდება ჩვენი ეროვნუ-  
ლი მეცნიერების ტრადიციული დარგისა!?

ვიფიქროთ ამაზეც...

*გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“.*

*№47. 1999 წ.*



## რას მოგვიტანს არაპროფესიონალიზმი და დილექტანტიზმი?

ამას წინათ ერთ-ერთ ცნობილ ჟურნალისტზე ითქვა ტელევიზიით – „ყოფილი ჟურნალისტიო“; თურმე მას ჟურნალისტური საქმიანობა მიუტოვებია და სახელმწიფო მოხელე გამხდარა... ამ ფაქტმა ეს ამბავი გამახსენა: ერთ სატელევიზიო სამართლებრივ გადაცემას ჩემი ნაცნობი სტუდენტი უძღვებოდა. ტელეეკრანზე იწერებოდა „ჟურნალისტი ესა და ესაო“. ვიცოდი, იურიდიულზე რომ სწავლობდა და შეხვედრისას ვკითხე. შენ ხომ იურისტი ხარ-მეთქი. ჯერ არ დამიმთავრებია უნივერსიტეტიო. ჟურნალისტი საიდან ხარ-მეთქი; – ჟურნალისტობას რა უნდაო... საიტერესო ფაქტია: ვინც წერს, ვინც გამოდის ტელევიზიით, ყველა „ჟურნალისტია“. ჟურნალისტობას, მათი გაგებით, არ სჭირდება პროფესიული განათლება. ამიტომაც კარგად უზომოდ მომრავლებული ჟურნალ-გაზეთებისა და ტელეკომპანიების საქმე...

არაპროფესიონალიზმმა და დილექტანტიზმმა ძალუმად შემოგვიტია. აივსო წიგნის ბაზარი არამწერალთა და არაჟურნალისტთა წიგნებით, ჟურნალ-გაზეთებით.

არაპროფესიონალ, დილექტანტ „მეცნიერთა“ ასპარეზად იქცა ძირითადად რუსთველოლოგია და ენათმეცნიერება... ამას წინათ ქუთაისის ერთ-ერთ გაზეთში ვკითხულობდი, თამარ მეფის მესამე ქმარი შოთა რუსთაველი იყო და ერთად არიან დასაფლავებული აგერ, გელათშიო... მითხრეს, ეს ნაშრომი წიგნადაც გამოიცაო. სხვა ფაქტების დასახელებაც შეიძლება... სრული განუკითხაობაა... რატომ ვსაუბრობ ამ თემაზე?

იმიტომ, რომ მხოლოდ ამგვარ კონტექსტში შეიძლება მოვიაზროთ შ. საბაშვილის წერილი „გრამატიკა თუ ცოცხალი ენა“, რომელიც გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა (5-12 ნოემბერი, 1999 წ.). მოკლე რეპლიკა შევკადრე ავტორს და შევახსენე, რომ ქართული ენათმეცნიერება ეროვნული მეცნიერების ტრადიციული დარგია და ასე მარტივად ნუ შეხედავ ამ საქმეს-მეთქი. იწყინა ბატონმა საბაშვილმა ჩვენი რეპლიკა და გაგულისებულმა რიტორი-



კული კითხვა დამისვა: „მთავარი ხომ ჭეშმარიტებაა?“ და ისე გაიზარა, თითქოს მას, ასტრონომს, მე, ენათმეცნიერი, ვუკრძალავდე ენის საკითხებზე ფიქრს... არ არის ასე, ბატონო შალვა!

ერთადერთი, რაშიც შეიძლება დაგეთანხმოთ, ის არის, რომ „მთავარი ჭეშმარიტებაა!“ მაგრამ ჭეშმარიტება არ ჩანს არც თქვენს „მეცნიერულ გამოკვლევაში“ და არც რეპლიკის პასუხად დაწერილ წერილში.

ნება მიბოძეთ, უფრო ვრცლად განგიმარტოთ:

არ გამოვრიცხავ (და არც არის აუცილებელი), რომ „ლიტერატურული საქართველოს“ მკითხველთა ნაწილი არ იყოს ჩახედული იმ საქმეში ღრმად, რასაც საუღლებელ ერთეულთა რაოდენობის დადგენა მოითხოვს. ვამბობ, ისე ღრმად-მეთქი, რადგან 30-იანი წლებიდან მოყოლებული ჩვენს სკოლაში აკაკი შანიძის გრამატიკის სახელმძღვანელოებით ისწავლება ქართული ენა და ამიტომ ყველა ჩვენგანისათვის ნაცნობია ის წიგნი, ბატონ საბაშვილს პაექრობის სურვილი რომ გაუჩინა.

და რადგან არ არის აუცილებელი, რომ „ლიტერატურული საქართველოს“ ყველა მკითხველი ღრმად ერკვეოდეს საუღლებელ ერთეულთა რაოდენობის საკითხში, ვინმემ შეიძლება გულწრფელად გაიცინოს: თუ ეს საკითხი მოყვარულმა (ასე უნოდებს თავის თავს შ. საბაშვილი) გაარკვია, რას აკეთებს ამდენი სამეცნიერო დაწესებულება, უმაღლესი სასწავლებელი? კითხვა ლოგიკური იქნება, მაგრამ...

ასე დავასრულე რეპლიკა, რომელიც ამ წერილის გამო გამოვაქვეყნე: „ეს ხომ გაშარყება და აბუჩად აგდებაა ჩვენი ეროვნული მეცნიერების ტრადიციული დარგისა?! ვიფიქროთ ამაზეც“. და ვიფიქრე, საკითხი არ იყო ისე დასმული, რომ მასზე დაწერილებით მსჯელობა ღირებულებიყო. მაგრამ, როგორც ჩანს, ზოგი რამ მაინც უნდა მეთქვა...

რა არ მოსწონს სასკოლო გრამატიკაში შ. საბაშვილს და ვის თვალსაზრისს უკეთებს კორექტივს?

მე შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ ა. შანიძის, ვ. თოფურიას, არნ. ჩიქობავას თუ სხვათა თვალსაზრისის კრიტიკა არ შეიძლება. საკითხის ამგვარად დასმას არც ამ კლასიკოსთა სულები გვაპატიებენ. პირიქით, ეს რომ საჭიროცაა, ამის კარგი მაგალითები თავადაც

მოგვეცეს. ერთ ფაქტს გავიხსენებ: ა. შანიძემ კ. დანელიას ერთ წე-  
რილს ასეთი მინაწერი გაუკეთა:

„თქმულა: სინყნარე გამობილი სჯობს სიჩქარესა ქებულსა“. ეს  
ბრძნული აზრი შ. რუსთაველისა ვერ გავითვალისწინე, ავჩქარდი და  
შეცდომა მომივიდა „მსხორ“ სიტყვის ახსნისას, მაგრამ, სასიამოვნოა,  
რომ ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობა გაირკვა და ეს ჩემი შე-  
ცდომა ჩემმავე მონაფემ პროფ. კ. დანელიამ გამოასწორა“.  
კ. დანელიას წერილი ამ მინაწერთურთ გამოქვეყნდა.

დიახ, ბატონო შალვა, შეცდომის გასწორებას, ახლის მიგნებას,  
აღმოჩენას ასეთი ალტაცებით ხვდებოდნენ ჩვენი მასწავლებლები  
და ამასვე მოითხოვდნენ ჩვენგანაც. ამიტომ, თუ რაიმე დაზუსტდე-  
ბა, გაირკვევა, აღმოჩნდება – ალტაცებით მივიღებთ და დავუჭერთ  
მხარს. არა აქვს ჩვენთვის მნიშვნელობა, ამას ასპირანტი გააკეთებს  
თუ აკადემიკოსი, ენათმეცნიერი თუ ასტრონომი. მაგალითები გნე-  
ბავთ? კეთილი. ჩვენ გამოვეცით კრებული „საენათმეცნიერო ძიებანი“,  
სადაც დაიბეჭდა მათემატიკოს ნ. კანდელაკის საინტერესო ნა-  
შრომი ქართულ ასომთავრულზე („საენათმეცნიერო ძიებანი“, 1983);  
თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტისა და ენათმეცნიერების ინსტიტუ-  
ტის ერთობლივ სამეცნიერო სემინარზე „საენათმეცნიერო საუბრე-  
ბი“ მოვისმინეთ და, ფაქტობრივ, გზა დავულოცეთ ფიზიკოს პ. მარ-  
გველაშვილის საინტერესო ტექსტოლოგიურ ძიებებს „ვეფხისტყა-  
ოსნიდან“. იმის მაგალითიც მრავლად შეიძლება მოვიყვანოთ, თუ რა  
წვლილი შეიტანეს ენათმეცნიერების განვითარებაში განათლებით  
არაფილოლოგებმა; ერთი სახელის გახსენებაც იკმარება – პეტრე  
უსლარი... ასე რომ, ბატონო შალვა, ის კი არ არის მთავარი, თქვენს  
დიპლომში რა გინერიათ, მთავარია, რას ამბობთ და როგორ.

აბა, დავფიქრდეთ, რას ნიშნავს თქვენი ამბიციური და თავმომ-  
ნონე განცხადება: „განვმარტავ იმას, რაც ისედაც ნათლად ჩანს  
ჩემს წერილში: „მე აღმოვაჩინე“ არა „ვნერე“ და კიდევ ოთხი სხვა  
ფორმა: „ვნერო“, „მინერია“, „მენერა“, „მენეროს“, არამედ ის, რომ  
ეს ფორმები „ვერ აღმოჩნდა“ ან შეგნებულად უგულუბელყო ხასკოლო  
გრამატიკის კურსმა. ნუთუ ამის გაგება ძნელია?“ (ხაზი ჩემია – გ.გ.).

იმის გაგებაა ძნელი, ბატონო შალვა, რატომ არ ამბობთ, ვისია მოძ-  
ღვრება 11 მწკრივის შესახებ, ვინ არიან ავტრები სახელმძღვანელოსი.



დიახ, ბატონო შალვა, ამ მოძღვრების ავტორი და სახელმძღვანელოსიც ა. შანიძეა (სახელმძღვანელოს თანაავტორები არიან პროფ. ი. იმნაიშვილი და პროფ. ლ. კვაჭაძე, მაგრამ მოძღვრება 11 მწკრივის შესახებ, კიდევ ერთხელ გიმეორებთ, ა. შანიძისაა). იცით, რომ ა. შანიძეს VII კლასის სახელმძღვანელოს გარდა სხვა ნაშრომებიც აქვს, სადაც ეს საკითხებია განხილული? იცით, რომ მწკრივთა მოძღვრება მონოგრაფიულად დაამუშავა ა. შანიძემ? იცით, რომ ამ საკითხის მეცნიერულ კვლევას საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს? იცით, რომ ჯერ კიდევ XIX საუკუნეში დიმიტრი ყიფიანი გამოთქვამდა იმ აზრს, რაც თქვენ საკუთარ აღმოჩენად მიგაჩნიათ? იცით, რომ დღესაც არიან ენათმეცნიერები, ვინც ამ საკითხებზე წერენ და ნუ გაიოცებთ, არ ეთანხმებიან ა. შანიძეს, მაგრამ, თქვენგან განსხვავებით, იცნობენ და პატივს სცემენ მის ღვაწლს? იცით, რომ ქართული ენათმეცნიერება მხოლოდ სასკოლო გრამატიკა არ არის? იცით... თუმცა რაღა საჭიროა ამდენი შეკითხვა...

თქვენ ეს არ იცით, სამწუხაროდ, და ამიტომ აცხადებთ ასე, რბილად რომ ვთქვათ, გაბედულად: „მე დავენერე, რომ სინამდვილეში არსებობს 16 (მწკრივზეა საუბარი – გ.გ.), მივუთითე 5 დამატებითი მწკრივი და ვაჩვენე მათი სრულფასოვნება“.

თქვენ რომ იცნობდეთ ამ საკითხის შესახებ არსებულ ლიტერატურას, თქვენ რომ მოგეცალათ და ნაგეკითხათ, რაც საჭიროა, არ გამოვრიცხავ, რაიმე ახალი აზრი გაგჩენოდათ, მაგრამ თქვენ ამისთვის ვერ მოიცალეთ. დიახ, ასე ამბობთ თქვენს წერილში: „მიზეზი იყო მოუცლელობა“, რომ აქამდე ვერ დავენერე ეს გამოკვლევაო... მერე მოიცალეთ და აღმოაჩინეთ, რომ ა. შანიძის მოძღვრება მწკრივის შესახებ „არც ლოგიკურია და არც სრული“. უხერხულობას არ გრძნობთ, ამას რომ ამბობთ? შეიძლება არ გაიზიარო, მაგრამ ჩვენი მეცნიერების პატრიარქის მიერ ათეული წლების განმავლობაში ნაფიქრ-ნაღვანი ასე ერთი ხელის მოსმით რომ მოისროლეთ, ღმერთი არ გნამთ? სინდისმა არ შეგანუხათ?

„არც ლოგიკურია და არც სრული“ – აცხადებს და ამ ლოგიკას ინუნებს კაცი, რომელიც ასე მსჯელობს: გ. გოგოლაშვილი „რეპლიკის თითქმის ნახევარი ეთმობა... მეორე ნახევარში მინიშნებულია... დარჩენილ ნაწილში“... ორი ნახევრის შემდეგ რაღა დარჩა? რამდენი



ნახევარია სულ?.. და ამ ლოგიკის პატრონი ა. შანიძის ლოგიკას იწუნებთ?

ნერეთ, ბატონო, ვინ გიშლით, მაგრამ ისიც ნაიკითხეთ, სხვა რას ნერს, ურანი უკვე ნაპოვნია და ნუ ეძებთ მას...

ახლა მაინც თუ ხვდებით, ბატონო შალვა, რა მიზანი ჰქონდა ჩემს რეპლიკაში, თქვენი სიტყვებით რომ ვთქვათ, „მარტივ მსჯელობას მზისა და მთვარის შესახებ“? კიდევ ერთხელ ვიტყვი: დიდად დაგიმადლებთ ჩვენცა და ერიც, თუ რაიმე ფასეულსა და მნიშვნელოვანს აღმოაჩენთ; ვიღებთ ყურად თქვენს შეგონებას: ასტრონომები „მიესალმებიან მოყვარულთაგან ასტრონომიაში შეტანილ წვლილს“, მაგრამ ნურც თავს მოიტყუებთ და სხვის შეცდომაში შეყვანასაც ნუ ეცდებით: აქ წვლილზეა საუბარი და არა სხვისი წვლილის უგულებელყოფაზე...

დაბოლოს: თავში ნათქვამს რომ დაფუბრუნდეთ, არაპროფესიონალიზმი და დილეთანტიზმი სიკეთეს არ მოგვიტანს და შეძლებისდაგვარად მას გზა უნდა გადავუღობოთ ყველგან, ყველა სფეროში.

*P.S. და მაინც, ღირდა კი ამდენი დროისა და საფურნალგაზეთო ადგილის ხარჯვა? რა შედეგს გვაძლევს ამგვარი პოლემიკა?*

*ჯობს, დ. გურამიშვილს დავუჯეროთ: „ავს თუ ავი არ ვუნოდო, კარგს სახელად რა დავარქო?“*

*ისიც ვთქვათ, ეს არაა კერძო შემთხვევა და შეიძლება საკმაოდ ბევრიც გავაგულისოთ. ისევ გურამიშვილი: „მართალია მძრახველს ძრახვა თვით კი ავად მოუხდების, მაგრამ ფარვა სიავისა ქვეყანას არ მოუხდების!“*

*ქვეყანა რა შუაშიაო, არა მგონია, ჩვენმა მკითხველმა იკითხოს...*

**გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“.**

**№52. 1999 წ.**



**სამება**

\*\*\*

სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება. თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას?

ილია

\*\*\*

ჩვენ ჩვენი წინაპრების ანდერძის გამტეხი არა ვართ... გვნამს მათი და დღესაც მოველით იმას, რასაც ისინი თხოულობდნენ: ენას, რჯულს და ეროვნული საქმის მოწყობას.

აკაკი

\*\*\*

ეროვნებას სამი ბურჯი აქვს: სამშობლო, ენა და ეროვნული სკოლა

იაკობი

**რა არის ენა?**

\*\*\*

ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრება, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხო.

ილია

\*\*\*

არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი გული და სული – ენაა, ამიტომ ტლანქი ხელი უმეცარის მოხელეობისა ყველაზე უწინარეს ენას მისწვდა.

ილია





\*\*\*

დედა-ენა არის ძვირფასი სალარო, დაუსრულებელი რვეული, რომელშიც დაცულია მთელი სიმდიდრე ხალხის გონებისა, ფანტაზიისა და ნამოქმედარისა, რომლის შესწავლა ბავშვს აკავშირებს ერის სულთან და გულთან.

იაკობი

\*\*\*

ენა ყველაზედ შემძლებელია და ყველაზედ სანდო მონშეა ცივილიზაციის ისტორიისათვის, რადგანაც ერთობა ენისა მოასწავებს ერთობას კულტურისას.

ილია

\*\*\*

ენა ჩვენი ბრძოლისა და განვითარების შეუცვლელი იარაღია.

ვარლამ თოფურია

\*\*\*

დედა ენა, მისი სიტყვების აკინძვა, მისი მიმოხერა ერთნაირი ამამოდრავებელი ძალაა, ზეშთაბერვა, პოეტის აღმაფრთოვანებელი მუსიკა, მისთვის ძალღონის მიმცემი.

ვაჟა

\*\*\*

დედაენა გარეგნობით როდია ადამიანის არსებასთან შეკავშირებული, იგი როდი ჰგავს ტანისამოსსა, რომლის გამოცვლაც ადვილად და უვნებლად შეიძლება. მას აქვს ღრმად გამდგარი ფესვები ადამიანის ტვინში, ნერვებში, ხმის ორგანოებში, ძვალსა და რბილში, მთელს მის არსებაში.

იაკობი

\*\*\*

ეროვნული ენა არის ეროვნული კულტურის ფორმა: კულტურას ენის გარდა სხვა ფორმებიც მოეპოვება (მხატვრობა, ხუროთმოძღვრება...), მაგრამ ენა არის კულტურის ძირითადი ფორმა.

არნოლდ ჩიქობავა

\*\*\*



ენა ჩვენი ბრძოლისა და განვითარების შეუცვლელი იარაღია  
*ვარლამ თოფურია*

\*\*\*

დედა-ენა არის ძირითადი ეროვნული ძალა.

*იაკობი*

\*\*\*

მშობლიური ენის სინმინდისათვის ბრძოლა ისეთივე საპატიო საქმეა, როგორც ხმლით დაცვა საკუთარი სამშობლოსა.

*კონსტანტინე გამსახურდია*

\*\*\*

ეროვნულ ენას ქარი საიდანაც მოუბერავს, იქიდან უნდა ჩამოეფარო.

*ოტია იოსელიანი*

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

## ენა და ერი

\*\*\*

ერის ცხოვრება, მისი დიდება, მისი ისტორია დაცულ არს ენით. რა ენა ნახდეს, ერიც დაეცეს, ნაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმიდას.

*გრიგოლ ორბელიანი*

\*\*\*

ენა ხალხის გონებრივი და ზნეობრივი საუნჯის გასაღებია.

*ილია*

\*\*\*

რამდენად ძველია, მონოლითურია, მდიდარი და დახვეწილია ლიტერატურული ენა, იმდენად კულტურულია მისი შემქმნელი და მატარებელი ერიც.

*ვარლამ თოფურია*

\*\*\*

ხალხია ენის კანონის დამდები და არა ანბანთთეორეტიკა.

*ილია*

\*\*\*

ხალხი, ერი დედაა ენისა. იგი ჰბადებს და ჰზრდის ენას, როგორც დედა შვილს.

*ვაჟა*

\*\*\*

თუ ენა ერთ ნერტილზეა შეჩერებული, ერის წინ მსვლელობაც მოსპობილია.

*იაკობი*

\*\*\*

თუ ენა უკა-უკან მიდის და ლატაკდება, აზროვნებაც ერისა ქვეითდება, უძლურდება, ღარიბდება.

*იაკობი*



\*\*\*

ერის განვითარება პირდაპირ დამოკიდებულია ენის განვითარებაზე.

*იაკობი*

\*\*\*

უმთავრესი ბურჯი ერის აღორძინებისათვის გახლავთ სამშობლო ენა.

*იაკობი*

\*\*\*

მტრობა ენის არს მტრობა ქვეყნის.

*ილია*

\*\*\*

თუ ენა წინ მიდის, დღითი-დღე იფურჩქნება, ვითარდება, მდიდრდება ფორმებითა, ერის აზროვნებაც წელში იმართება, ძალღონეს იძენს, აყვავების ხანა უდგება.

*იაკობი*

\*\*\*

ენა ხალხის გონებრივი და ზნეობრივი საუნჯის გასაღებია.

*ილია*

\*\*\*

ენაში ასახულია მისი შემოქმედი და მატარებელი ხალხის ანმყოფი და მომავალი, მისი ზნეობრივი და გონებრივი ცხოვრება.

*ვარლამ თოფურია*

\*\*\*

იმ ხალხს, რომელსაც სალიტერატურო ენა არა აქვს მტკიცედ დადგენილი, ხალხოზობა არ ეთქმის.

*დიმიტრი ყიფიანი*

\*\*\*

ენა თუ ცოცხალია და ფხიზელი, არ მოასვენებს, არ დააძინებს ერს, ხმალს არ დაუჩლუნგებს.

*ოტია იოსელიანი*



## ენა და მწერალი

\*\*\*

ენა მწერლის ბალავარია, მისი უმთავრესი იარაღია. ენის უცოდინარი მწერალი სამფეხა ცხენსა ჰგავს, გენიოსიც რომ იყოს, ვერც გაიქცევა და ვერც დაიძვრება.

*მიხეილ ჯავახიშვილი*

\*\*\*

ენა სახეა მწერლისა, მისი ფიზიონომიაა და, უკეთესად რომ ვსთქვათ, – მწერლის სულია.

*ვაჟა*

\*\*\*

ენა უმთავრესი სამწერლო იარაღია და ვისაც იგი ჩლუნგი აქვს, ის მწერლად არ ივარგებს.

*მიხეილ ჯავახიშვილი*

\*\*\*

ენაში იმალება მწერლის ინდივიდუალობა, მისი „მე“.

*ვაჟა*

\*\*\*

სალიტერატურო გამარჯვებისათვის ჯერ კარგი ქართულია საჭირო, მერე კარგი ქართული და ბოლოს ისევ კარგი ქართული.

*მიხეილ ჯავახიშვილი*

\*\*\*

დედა-ენა, მისი სიტყვების აკინძვა, მისი მიმოხვრა ერთნაირი ამამოდრავებელი ძალაა, ზეშთაბერვა, პოეტის აღმაფრთოვანებული მუსიკა, მისთვის ძალღონის მიმცემი თვით წერის დროს, მეორე მუზაა.

*ვაჟა*

ენა და სკოლა

\*\*\*

სკოლა, ეს უძლიერესი კულტურული ღონისძიება, უნდა ეპყრობოდეს ქართულს ენას სრულის პატივით, როგორც უსაჭიროეს საგანს.

იაკობი

\*\*\*

უდედაენოდ გონების გახსნა ბავშვისა ყოველად შეუძლებელია.

ილია

\*\*\*

დედა-ენის უარყოფას სწავლა-აღზრდაში მოსდევს დიდი დაქვეითება ადამიანისა ყოველ მხრივ.

იაკობი

\*\*\*

მარტოოდენ დედა-ენას შეუძლია გაუნოს ბავშვის ბუნებას დალოცვილი გუთნის სამსახური, მხოლოდ მას ძალუმს შესძრას იგი, მოჰხნას, შეიმუშაოს და ავარჯიშოს ძირიან-ფესვიანად.

იაკობი

\*\*\*

დედა-ენა უნდა მეფობდეს ქართულს ოჯახობაში სრულიად და სავსებით და ყოველი პატარა ქართველი მხოლოდ მის ზეგავლენის ქვეშ უნდა იზრდებოდეს და ვითარდებოდეს მთელი შვიდი წლის განმავლობაში.

იაკობი

\*\*\*

მშობელნი, რომელნიც თავისს შვილებსა ზრდიან გარეშე დედა-ენის გავლენისა, სწყვეტენ კავშირს მათსა და სამშობლოს შორის, უკარგავენ თავისს ქვეყანასა მამულიშვილებს, ამცირებენ იმ რაზმს ქართველებისას, რომელნიც ემსახურებიან სამშობლოს წარმატებას, მის ბედნიერებას, რომ ეს მშობელნი, ერთი სიტყვით, დამნაშავენი არიან სამშობლო ქვეყნის წინაშე.

იაკობი



## დედაენა და უცხო ენანი

\*\*\*

საჭიროა საქართველოს ეროვნულ ეტლში შევებათ ძირში ქართული ენა და კევრად მივუბათ რუსული ენა და სხვა ენები.

იაკობი

\*\*\*

მხოლოდ დედა-ენა არის ენა სულისა და გულისა, ყველა უცხო ენანი კი არიან ენანი მეხსიერებისა.

იაკობი

\*\*\*


დედა-ენის გაცვლა უცხო ენაზედ ადაბლებს კაცის გონებასა და უსუსტებს ზნეობრივ ძალასა... ამ შემთხვევაში იბადება წინააღმდეგობა კაცის ეროვნული აგებულების და მის მეტყველების შუა და ამ წინააღმდეგობის წყალობით ეს პირი რამდენსამე ხარისხით ძირს ჩამოდის სულიერად. თუ იგი გენიოსად იყო დაბადებული, გამოვა მხოლოდ შესანიშნავი ნიჭის პატრონი; თუ ნიჭიერად იყო გაჩენილი, საშუალო ნიჭის ადამიანი შეიქმნება და თუ ბუნებისაგან დაყოლილი ჰქონდა უბრალო ნიჭი, მტკნარ სიტუტუცეზედ ჩამოხტება.

იაკობი


\*\*\*

დედა-ენის გაცვლა უცხო ენაზედ მაშინაც კი ამდაბლებს კაცის გონებასა და უსუსტებს ზნეობრივ ძალასა, როდესაც იგი სტოვებს თავისს სამშობლო ქვეყანას, შორდება მის ბუნებასა და ვარდება უცხო ბუნებისა და ცხოვრების გავლენის ქვეშ.

იაკობი







გზა ტაძრისაკენ


კატეგორია 2.2.2. განსაკუთრებული სიყვარულისა

# დედა ენა

ხრეული ნაწილი  
ქართული ანბანი

პატარა მოთხრობებით დაკრძობილი  
და დედათა

სადაც სარწმუნოების ქარაფლია




შეგვეჩვილი  
მკობ მოგებაშვილის-მეგობრის

რად-მეგობრებმა გამოცემა, მხადლი სურათით


ფანი თან ზეგრი, დედა ხანი ზეგრი.

ბედილინი  
მ.ს. წიგნებისა, მოსკოვი ქ. სპ. ს.ს. № 8  
1912.

„ხელში ავიღებ...“




ფრთხილად, „ღუღუნა“!




მე „წიგნთა“ ზღვაში წიგნი ჩაეღვი როგორც ფაცქერი...



„ღუღუნა“? „ღუღუნა“!



ფარად და გიგანტებით!



და რა წიგნი, ხელის გულზე სატარები...



**შეკრები ათასწლეულის კარიბჭისთან**

\*\*\* (პირველი ათასწლეულის მინურული)..... 5  
 \*\*\* (მესამე ათასწლეულის კარიბჭესთან ვდგავართ...) ..... 6  
 \*\*\* (მამული, ენა, სარწმუნოება...) ..... 8  
 „ყველაფერი – სამწყსოსათვის, არაფერი – საკუთარი  
 თავისათვის“ ..... 14

**გუგუნი მროველი**

ქართული ენა ..... 18  
 „დედაენა“ – ნიგნთა ნიგნი ..... 33  
 მეოცე საუკუნე და ქართული უნივერსიტეტი ..... 61  
 ქართული ენა, ჩვენ და ხელისუფლება ..... 78  
 კავშირი დედაენისა ერის სულთან და ხორცთან ..... 90  
 როგორ ვიცით ქართული ..... 96  
 ქართულ ენას სახელმწიფომ უნდა უპატრონოს!... მაგრამ რომ ვერ  
 პატრონობს?... ..... 104  
 როდის გვახსენდება „დედაენა“? ..... 111  
 ზოგადი ფრაზებით ვერ დავმშვიდდებით ..... 113  
 „ჩვენ ასე ვერ გავფრინდებით“, ანუ რამდენია ორჯერ ორი? ..... 118

**ენის კანონი, სახელმწიფო პროგრამა**

დედაენას უანგარო სამსახური სჭირდება ..... 127  
 დროა, ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა სახელმწიფოებრივი  
 ზრუნვის საგანი გახდეს ..... 131  
 ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა გუშინ, დღეს, ხვალ ..... 137  
 რა დროს ქართული ენააო, ღმერთმა ნუ გვათქმევინოს! ..... 140  
 რა ენა ნახდეს, ერიც დაეცეს! ..... 148  
 „რას იტყვის ჩვენზე შთამომავლობა“ ..... 151  
 ქართული ენა გრანტებში არ უნდა გაიცვალოს ..... 153  
 ნუ დავაბნევთ მსმენელს, ანუ აჩქარება ნელინადში ერთხელ ..... 158  
 ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა ..... 165  
 „ინგლისურად მოლაპარაკეთა კავშირის“ გამო ..... 170

**წ. ვნახ ნაშო...**

ქართული ტელეგადაცემები ..... 171  
 რამდენიმე შეკითხვა ტელევიზიის მუშაკებს ..... 172  
 ბატონი დამნაშავე?! ..... 173  
 ბედნიერ ახალ წელს გისურვებთ ..... 174  
 ფიქრები დედაენაზე (წერილი პირველი) ..... 176  
 ფიქრები დედაენაზე (წერილი მეორე) ..... 182





„საიდანაც ქარი მოუბერავს, დედაენას იქიდან უნდა ჩამოეფარო“ .....	186
„დიდი რამ არის, ვინც იცის კარგად წაკითხვა წასაკითხისა“ .....	194
ახალი წელი და ძველი პრობლემები .....	197
ქართული გაზეთის წასაკითხად საკმარისია ქართულის ცოდნა? .....	201
ბრენენევიდან კოკა-კოლამდე ქართულ ანბანზე გა(და)კლბით .....	203
ნერა და კითხვა ქართულის საზიანოდ?! .....	208
მკრეხელობა ერთ კოლოფში .....	210
„ოხ, როდემდის, როდემდის“ .....	211

**ჩვენი სკოლა**

უნდა შეიცვალოს (განათლების კანონის ერთი სავალალო მუხლის შესახებ) .....	213
სკოლა – ჩვენი სატკივარი .....	215
სადა გვაქვს სკოლა, რის რეფორმაზეა საუბარი? .....	219
რომელ ატესტაციიაზეა საუბარი? .....	223
„...ქართულითა ენითა...“ .....	225
სამურზაყანოში ქართული უცხო ენად გამოაცხადესო .....	226
განგაშის ზარი .....	231
განათლების სამინისტრო ქართულ ენას, როგორც <b>საგანს</b> , ყველაზე ნაკლებ ყურადღებას აქცევს .....	236
ქართულმა ენამ სკოლაში თავისი კუთვნილი ადგილი უნდა დაიკავოს .....	239
რატომ ვიქმნით პრობლემებს?! .....	243
კიდევ ერთხელ და... როდემდის? .....	246
<b>ლაშქრობა XXI საუკუნის წინააღმდეგ, ანუ დროა დაფუქრდეთ</b> , რას ვაკეთებთ .....	251
„ვის შეეჩიელო, იაკობი მკედარია...“ .....	253
<b>მკრეხელობა</b> .....	256
კვლავ პროგრამები, მიხეილ ჯავახიშვილი და სხვა .....	258
დიდი მწერლის „რეპრესია“ გრძელდება .....	262
ქართულად თარგმნიან ... ქართველ მწერლებს?! .....	264
ზულხან-საბაც თარგმნეს... ქართულად! .....	266
ერთი წიგნი და მრავალი კითხვა... პასუხი? .....	268
აღმამფოთებელი და შემამფოთებელი .....	270
საით მივყავართ ამ გზას? .....	271
მოშგებიანი პოზა .....	273

**აროალება - მისაღვიმ ბაჰოცაღვიმ**

ნუ ვიტყვით უარს .....	275
დავხუჭოთ თვალი? .....	278

ობიექტურად განესაჯოთ .....	281
მე კი ტირილს მივეც ძალი .....	289
ვიყოთ გულახდილნი .....	303
წინასაგამოცდო ნაქეზებანი, ანუ რა შუაშია „მესამე საკითხი“? .....	307
მისაღები გამოცდების „სეზონური“ პრობლემები .....	315

### წარადგას ვთხოვთ

საქართველოს პრეზიდენტს, ქართული ენის სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარეს, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს .....	322
რექტორთა საბჭოს თავმჯდომარეს, აკადემიკოს როინ მეტრეველს .....	324
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, აკადემიკოს ალბერტ თავხელიძეს .....	326
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას .....	327
საქართველოს განათლების მინისტრს, ბატონ თამაზ კვაჭანტირაძეს .....	328
ბატონ თამაზ ნიენივაძეს, ბატონ მურმან ლებანიძეს, ბატონ ალექსანდრე კარტოზიას .....	331
გამომცემლობა „განათლების“ დირექტორს, ბატონ ლუკა ხუნდაძეს .....	336

### და ხვანდ...

როგორ საქართველოს გეპირდებიან .....	337
„ჩემი ნუთისოფელი“ და ჩვენი გულისტკივილი .....	342
ერთი ფაქტი, ორი მთხრობელი .....	343
უსაღმობა ნახდენილს ვერ უშველის .....	346
ცინიზმი სიამაყის წინააღმდეგ?! .....	350
ენათმეცნიერის ასტრონომიული „დაკვირვებანი“ .....	353
რას მოგვიტანს არაპროფესიონალიზმი და დილეტანტიზმი? .....	356

### პარადუმლი შეგონებანი

სამება .....	361
რა არის ენა .....	362
ენა და ერი .....	364
ენა და მწერალი .....	366
ენა და სკოლა .....	367
დედაენა და უცხო ენანი .....	368

დედაენა კლასიკაში (ავტორები ი. ავალიანი და გ. გოგოლაშვილი, ნიგინიდან „დედაენა – ნიგნთა წიგნი“, თბ., 2002 წ.) .....	369
---	-----

118/218



გამომცემლობის რედაქტორები:  
ციცინო კვანტალიანი,  
რუსუდან ლანდია

კომპიუტერული უზრუნველყოფა  
რუსუდან გრიგოლიასი,  
რუსუდან პაპიაშვილისა

ფორმატი A5 (60X80<sup>1</sup>/<sub>36</sub>)  
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 23,75  
შეკვეთა № 48, ტირაჟი 500  
ფასი სახელშეკრულებო

## აპრორი

დაიბადა სოფელ კურსებში. მისი მამაპაპეული მამული გელათის მონასტრიდან ორიოდე კილომეტრზეა. ეამაყება, რომ საისტორიო საბუთებში მისი წინაპრები გელათის მემკვიდრე აწნაურებად მოიხსენიებიან...

სწავლა კურსების საშუალო სკოლაში დაიწყო: დაამთავრა ქუთაისის რკინიგზის XI საშუალო სკოლა. 1966-1971 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე; დაამთავრა კავკასიურ ენათა განყოფილება.

1975 წლიდან იყო თხუ ახალი ქართული ენის კათედრის მასწავლებელი: შემდეგ – დოცენტი, პროფესორი, კათედრის გამგის მოადგილე. 2003 წლიდან თხუ ძველი ქართული ენის კათედრის გამგეა.

1978-1998 წლებში იყო არნ. ჩიქობავას ხასელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკი: განყოფილების ხელმძღვანელი, სწავლული მდივანი, დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში.

სხვადასხვა დროს ასწავლიდა თბილისის I კლასერამენტულ და V საშუალო სკოლებში.

დამფუძნებელი და თავმჯდომარეა ორგანიზაციისა: ბესარიონ ჯორბენამის საზოგადოება (1993), დამაარსებელი, გამომცემელი და მთავარი რედაქტორი ჟურნალისა „ბურჯი ეროვნებისა“ (1995-1997 წლებში გასეთი იყო), ასევე: „საენათმეცნიერო ძიებანის“ მთავარი რედაქტორი; „ენათმეცნიერების საკითხების“ მთავარი რედაქტორის მოადგილე. ქართული ენის სახელმწიფო კომისიისა და მრავალი საბჭოსა თუ კომისიის წევრი.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1992 წ.); პროფესორი (1994 წ.).

პყავს მეუღლე და სამი შვილი – თორნიკე, ვაჩე, თამარი.

სურს პყავდეს ბევრი შვილიშვილი...

1984 წელს გამოსცა პირველი მონოგრაფია.

წინამდებარე გამოცემა ავტორის მეცხრე წიგნია.

ცხოვრება გრძელდება...



F 119.808  
3